

ლავრენტი მაღლაკელიძე

13 170

გენზრასვა და
მართლწინააღმდეგობის
უგნეობა ქართული და
გერმანული სისხლის
სამართლს მიხედვით

(უფარებით-სამართლებრივი ანალიზი)



სისხლისსამართლებრივი კვლევები

სამეცნიერო რედაქტორი
სამართლის დოქტორი, პროფესორი
მერაბ ტურავა

წიგნი I

თინათინ წახეიძის სხვაობების
და სამართლის გეგმობის

წიგნი I


17.06.2013

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა
და საზოგადოებრივი მეცნიერებების
სამეცნიერო ბიბლიოთეკა

STRAFRECHTLICHE UNTERSUCHUNGEN

Herausgegeben vom
Professor, Dr. Merab Turava

BAND I



ლავრენტი მაღლაკელიძე

**ბანზრასკა და
მართლწინააღმდეგობის
შეგნება ქართული და
გერმანული სისხლის
სამართლის მიხედვით**
(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

- 017 170 -

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2013

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

მერაბ ტურავა

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი

ჰაინერ ალვარტი

სამართლის დოქტორი, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

რეცენზენტები:

ირაკლი დვალიძე

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ნონა თოდუა

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013

© ლ. მაღლაკელიძე

ISBN 978-9941-10-741-2

LAVRENTI MAGLAKELIDZE

**Vorsatzbegriff und Bewusstsein
der Rechtswidrigkeit – Eine
rechtsvergleichende Analyse
zum georgischen und deutschen
Strafrecht**

Verlag „Meridiani“

Tbilisi 2013

Wissenschaftliche Betreuer:

MERAB TURAVA
Full Professor, Doktor,
Ivane Javakhishvili Staatliche Universität Tbilisi

HEINER ALWART
Professor, Doktor, Doktor h.c.,
Friedrich-Schiller-Universität Jena

Rezensenten:

IRAKLI DVALIDZE
Assoziierter Professor, Doktor,
Ivane Javakhishvili Staatliche Universität Tbilisi

NONA TODUA
Assoziierte Professorin, Doktor,
Ivane Javakhishvili Staatliche Universität Tbilisi

© Verlag „Meridiani“, 2013

© L. Maglakelidze

ISBN 978-9941-10-741-2

წინათქმა

განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართების საკითხი სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელსაც, თეორიულთან ერთად, დიდი პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია სამართალშემოქმედებითი და სამართალგამოყენებითი საქმიანობისთვის.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი, გარკვეულწილად, განიცდის გერმანული სისხლისსამართლებრივი აზროვნების ზეგავლენას. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა, სადაც ერთ-ერთი გადაწყვეტი ადგილი განზრახვის ცნებას უკავია. სწორედ განზრახვის ცნების დეფინიციამ გამოიწვია დიდი დისკუსია არა მარტო ქართულ, არამედ ასევე ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის სამეცნიერო წრეებში. დღემდე არ არსებობს ამ პრობლემასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია. აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეულია დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაში განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ადგილისა და ბუნების, ბრალის არსისა და დანიშნულების შესახებ რადიკალურად განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობის არსებობით.

წიგნში მოცემულია განზრახვის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, რაც კიდევ უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდის ამ პრობლემის მეცნიერული კვლევის პროცესს.

რასაკვირველია, ნაშრომს არა აქვს განზრახვასა და მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან დაკავშირებული პრობლემების ყოველმხრივი ანალიზისა და მათი საბოლოოდ გადაჭრის პრეტენზია. ის უფრო თანამედროვე პრობლემების ქართველ მკითხველამდე მიტანას ისახავს მიზნად.

წინამდებარე ნაშრომი წიგნად ვერ იქცეოდა და დღის სინათლე ვერ იხილავდა ჩემი პროფესორ-მასწავლებლებისა და კოლეგების მხარდაჭერის გარეშე. ამ მხრივ, განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელები – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი ბატონი მერაბ ტურავა და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი ჰაინერ ალვარტი.

2008 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის სექტემბრამდე ვიყავი გერმანიის აკადემური გაცვლის სამსახურის (DAAD) სტიპენდიანტი. სწორედ აღნიშნული პროგრამის მხარდაჭერითა და მის ფარგლებში შესაძლებლობა მქონდა, პერიოდულად გავცნობოდი იენის უნივერსიტეტის ბაბლიოთეკაში არსებულ მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურას, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა დისერტაციის ძირითადი ნაწილის იქვე დამუშავება.

მინდა ასევე მადლობა გადავუხადო ჩემს რეცენზენტებს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ბატონ ირაკლი დვალაძესა და ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ ნონა თოდუას, მათ მიერ ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული საგულისხმო შენიშვნებისათვის.

დაბოლოს, გულწრფელ მადლიერებას გამოვხატავ ჩემი მეუღლისა და ოჯახის მიმართ, რომელთა დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე დისერტაციაზე მუშაობა გაცილებით რთული იქნებოდა.

ლავრენტი მალლაკელიძე

თბილისი, 2013 წლის მაისი

VORWORT

Das Verhältnis zwischen dem Vorsatz und dem Bewusstsein der Rechtswidrigkeit ist eines der bedeutendsten Probleme in der Strafrechtsdogmatik, welches sowohl für die Rechtsprechung als auch für den Bereich der Rechtsanwendung eine große theoretische und praktische Bedeutung hat.

Der Allgemeine Teil des georgischen Strafgesetzbuchs steht erkennbar unter dem Einfluß der Denkweise, die man auch in der deutschen Strafrechtsdogmatik findet. Dies ist vor allem daran erkennbar, dass das georgische StGB ebenfalls das Modell eines dreistufigen Delikttaufbaus kennt, bei dem Begriff des Vorsatzes eine entscheidende Rolle spielt. Die Definition des Vorsatzbegriffs im georgischen Strafrecht führte nicht nur in Georgien zu einer Diskussion in der Strafrechtswissenschaft, sondern auch in anderen Ländern. Ein gemeinsamer Standpunkt wurde bis heute nicht gefunden. Der Meinungsstreit wird vor allem von radikal unterschiedlichen Interpretationen getragen, welche den Prüfungsstandort, die Natur, die Art und den Zweck des Vorsatzes sowie auch das Bewusstsein der Rechtswidrigkeit betreffen.

Der Arbeit liegt eine vergleichende Analyse des deutschen und des georgischen Strafrechts zugrunde.

Jedoch wird mit der vorliegenden Arbeit weder der Anspruch erhoben, eine erschöpfende Analyse sämtlicher Probleme, welche den Vorsatz und das Bewusstsein der Rechtswidrigkeit betreffen, anzustellen, noch diese zu lösen. Die Untersuchung versteht sich vielmehr als ein Versuch, den (georgischen) Leser auf die bestehenden Probleme aufmerksam zu machen und mit den für das Verständnis erforderlichen Informationen zu versorgen.

Ohne die Hilfe und Unterstützung meiner Professoren und Kollegen wäre die Fertigstellung der Arbeit und deren Veröffentlichung nicht möglich gewesen. Zu aufrichtigem Dank verpflichtet bin ich daher besonders meinen hochverehrten Doktorvätern Herrn Professor Dr. *Merab Turava* (Ivane Javakhishvili Staatliche Universität Tbilisi) und Herrn Professor Dr. Dr. h.c. *Heiner Alwart* (Friedrich-Schiller-Universität Jena).

Von Oktober 2008 bis September 2012 war ich im Rahmen eines „Sandwich-Programms“ Stipendiat des Deutschen Akademischen Austauschdienstes (DAAD). Diese Unterstützung hat mir die Möglichkeit gegeben, in verschiedenen Etappen auch an der Friedrich-Schiller-Universität in Jena zu forschen, wissenschaftliche Literatur zu recherchieren und somit den Hauptteil meiner Arbeit fertigzustellen.

Des Weiteren möchte ich mich ganz herzlich bei den Rezensenten meiner Doktorarbeit Herrn Dr. *Irakli Dvalidze* und Frau Dr. *Nona Todua*, beide assoziierte Professoren an der Ivane Javakhishvili Staatliche Universität Tbilisi, bedan-

ken. Sie haben meine Arbeit mit großer Aufmerksamkeit gelesen und mir viele wertvolle Anregungen gegeben.

Nicht zuletzt danke ich auch meiner Ehefrau und meiner Familie, die mich während der gesamten Zeit meiner Arbeit in jeder Hinsicht uneingeschränkt unterstützt und auf diesem Weg begleitet haben.

LAVRENTI MAGLAKELIDZE

Tbilisi, im Mai 2013

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა.....	V
VORWORT.....	XII
გამოყენებული აბრევიატურა.....	XV
ზოგადი შესავალი.....	1
პარი I. განჯრაჰვის ცნება და მართლწინააღმდეგობის შეგნება გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით.....	4
1. განჯრაჰვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება დანაშაულის სხვადასხვა მოკლვერებაების მიხედვით (მოკლვე ისტორიული ექსპურსი).....	4
1.1. შესავალი.....	4
1.2. ბრალის ფსიქოლოგიური თეორია და განჯრაჰვის აღბილი დანაშაულის სისტემაში.....	5
1.3. ბრალის კომპლექსურ-ფსიქოლოგიური თეორია და განჯრაჰვა, როგორც ბრალის ნიშანი.....	10
1.4. ბრალი, როგორც განსაკიცხაობა და განჯრაჰვა, როგორც ქვედების სუბიექტური შემაღმენლობის ნიშანი.....	17
1.5. შეჯამება.....	20
2. განჯრაჰვა გერმანულ სისხლის სამართალში.....	21
2.1. საკითხის მოკლვე მიმოხილვა.....	21
2.2. პრობლემის დასება.....	23
2.3. განჯრაჰვა, როგორც ქვედების შემაღმენლობის განხორციელების ცოდნა და ნებელობა.....	24
2.3.1. ცოდნის ელემენტი.....	24
2.3.1.1. განჯრაჰვის ცნებაში აქტუალური და პასიური ცოდნის არსებობის პრობლემა.....	25
2.3.1.1.1. თანაცნობიერების თეორია.....	26
2.3.1.1.2. მუდმივად თანემდვი ცოდნის თეორია.....	31
2.3.1.2. ქვედების ფაქტობრივი გარემოებების სოციალურ- სამართლებრივი ბუნების შეცნობა.....	32
2.3.1.3. ცოდნის არსებობის პრობლემა აფექტური და რეფლექსური დანაშაულების ჩადენის დროს.....	35
2.3.1.3.1. აფექტურ დანაშაულებში ფაქტობრივი	

ბარემოვების შემცობის პრობლემა	35
2.3.1.3.2. რეფლექსურ და ავტომატიზებულ ქმედებებში ფაქტობრივ ბარემოვებათა შემცობის პრობლემა	37
2.3.1.4. ცოდნის კომპონენტის განსაზღვრა დანაშაულის აღფერილობითი და შეფასებითი ნიშნების მიმართ	39
2.3.1.4.1. ცოდნის კომპონენტი დანაშაულის დესკრიფციული ნიშნების მიმართ	39
2.3.1.4.2. ცოდნის კომპონენტი დანაშაულის ნორმატიული ნიშნების მიმართ	42
2.3.2. ნებულობის ელემენტი	47
2.3.2.1. ნებულობის ელემენტის პრობლემა პირდაპირი განზრახვის დროს	49
2.3.2.2. ნებულობის ელემენტი არაპირდაპირი განზრახვის დროს	51
2.3.2.2.1. კოზიცი, რომელიც არაპირდაპირ განზრახვაში ნებულობის ელემენტის მნიშვნელობას არ აღიარებს	54
2.3.2.2.2. ნებულობის ელემენტის მნიშვნელობის უარყოფის კრიტიკა	56
2.3.2.2.3. გერმანიის უზენაესი სასამართლოს კოზიცია განზრახვაში ნებულობის ელემენტის შესახებ	60
2.4. შეჯამება	63
3. მართლწინააღმდეგობის შეგნება გერმანულ სისხლის სამართალში	64
3.1. საკითხის მოკლე მიმოხილვა	64
3.2. პრობლემის დასმა	65
3.2.1. მართლწინააღმდეგობა გერმანულ სისხლის სამართალში	65
3.2.1.1. ფორმალური და მატერიალური მართლწინააღმდეგობა	69
3.2.1.2. მოკვრება ქმედების შემაღმენლობის ნებატიური ნიშნების შესახებ	71
3.2.1.3. მართლწინააღმდეგობის დასაბუთება კლასიკური და ბლანკეტური შემაღმენლობების დროს	73
3.2.2. მართლწინააღმდეგობის შეგნების არსი და მისი შინაარსობრივი მხარე	76
3.2.2.1. მართლწინააღმდეგობის შეგნების არსი და მისი ადგილი ბრალის ერთიან სისტემაში	76

3.2.2.2. მართლწინააღმდეგობის შეზღუდვის შინაარსობრივი მხარე.....	79
3.2.3. მართლწინააღმდეგობის შეზღუდვის დადგენა კლასიკურ და ბლანკეტურ დელიქტებში.....	82
3.2.4. დანაშაულთა ერთობლიობის დროს მართლწინააღმდეგობის შეზღუდვა და გერმანიის უზენაესი სასამართლოს კოზიციცია	84
3.2.5. მართლწინააღმდეგობის შეზღუდვა განზრახი დანაშაულის ჩადენის დროს.....	87
3.2.5.1. მართლწინააღმდეგობის აქტუალური და პოტენციური შეზღუდვა.....	87
3.2.5.2. მართლწინააღმდეგობის არაკირდაკირი შეზღუდვა....	92
3.2.6. მართლწინააღმდეგობის შეზღუდვა გაუშრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის დროს.....	93
3.3. შეჯამება.....	97
4. მოქმედება შეცდომის შესახებ. აკრძალვაში შეცდომა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.....	98
4.1. შესავალი.....	98
4.2. სამართლებრივი (აკრძალვაში) შეცდომა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით.....	98
4.2.1. გერმანიის უზენაესი სასამართლოს კოზიციცია აკრძალვაში შეცდომის შესახებ	102
4.2.2. განზრახვის თეორია.....	104
4.2.2.1. განზრახვის ეკატრი თეორია.....	104
4.2.2.2. განზრახვის შეზღუდული თეორია	106
4.2.2.3. განზრახვის მოდიფიცირებული თეორია თანამედროვე გერმანულ იურიდიულ დოგმატიკაში.....	107
4.2.3. ბრალის თეორია.....	110
4.3. გერმანულ სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომა	114
4.3.1. საკითხის მოკლე ვიშოხილვა.....	114
4.3.2. პრობლემის არსი.....	115
4.3.3. განზრახვისა და ბრალის თეორიების მიხედვით მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის ინტერპრეტაცია	115

4.3.3.1. პრობლემის განხილვა განჯრახვის თეორიის მიხედვით.....	116
4.3.3.2. პრობლემის განხილვა ბრალის თანაჲიმიდევრული (ჲკაცრი) თეორიის მიხედვით.....	118
4.3.3.3. პრობლემის განხილვა ბრალის შუჲღუდული თეორიის მიხედვით.....	121
4.3.3.3.1. პრობლემის განხილვა ქმიდების შუჲღუდენლობის ნეჲატიური ნიშნების მოქღვრეჲბის მიხედვით.....	124
4.3.3.3.2. სჲმართლუბრივ შუღუდუჲე ორიენტირეჲბული ბრალის შუჲღუდული თეორიჲ და განჯრახვის ორეჲბი ფუნქციჲ.....	128
4.3.3.3.3. სჲმართლუბრივ შუღუდუჲე ორიენტირეჲბული ბრალის შუჲღუდული თეორიის კრიტიკული ანალიზი.....	132
4.3.3.3.3.1. განჯრახვის ბრალის ბჲმოჲერიცხველი მოღიფიცირეჲბული შუჲღუდული თეორიჲ.....	134
4.3.3.3.3.2. პრობლემის ბღღაჭრჲ სჲკანონეღღულო ცვლილუბის გჲით.....	137
4.4. შუჲჯჲმეჲბჲ.....	138

კარი II. განჯრახვა და მართლუფინჲაღღუდუბის შუგნეჲბჲ ქართული სისხლის სჲმართლის ღოგჲატიკის მიხედვით (მოქლე ისტორიული ექსკურსი).....	140
1. შუჲსჲჲალი.....	140
2. განჯრახვა და მართლუფინჲაღღუდუბის შუგნეჲბჲ ქართული სჲბჭოთჲ სისხლის სჲმართლის მიხედვით.....	140
2.1. ქართულ მეცნიერთჲ შუგნეღუდუბჲნი ბრალის შუჲსჲჲე მოქღვრეჲბეთჲნ ღჲკჲჲფირეჲბით.....	140
2.2. სჲბჭოთჲ მეცნიერთჲ შუგნეღუდუბეჲბი სჲზოგღოუბრივი სჲშიშროეჲბის შუგნეჲბჲსჲ და უმართლობის შუგნეჲბჲსთჲნ ღჲკჲჲჲფირეჲბით.....	147
3. განჯრახვა და მართლუფინჲაღღუდუბის შუგნეჲბჲ თჲნემღრეჲვე ქართული სისხლის სჲმართლის მიხედვით.....	153
4. შუჲჯჲმეჲბჲ.....	157

კარი III. ქართული „სისხლისსჲმართლუბრივი განჯრახვისსჲ“ და „მართლუფინჲაღღუდუბის შუგნეჲბის“ კატიჲმორეჲბის ინტეგრეჲტიციჲ გერმჲნული იურიდიული ღოგჲატიკისსჲ და სსსჲმართლო კრჲტიკის ბჲმოყენეჲბით.....	159
---	------------

1. შესავალი	159
2. სისხლისსამართლებრივი განჯრაჲვის შინაარსობრივი მხარე ქართული სისხლის სამართლის მიხედვით	159
2.1. პრობლემის დასმა	160
2.2. განჯრაჲვის ინტელექტუალური და ნებელობითი მხარის ჯოგბერთი პრობლემა სისხლის სამართლის დოგმატიკაში	161
2.2.1. პირდაპირი განჯრაჲვის ინტელექტუალური და ნებელობითი მხარე	164
2.2.2. არაკირდაპირი განჯრაჲვის კომბინირებული და ვოლუნტატიური ნიშანი	166
2.2.3. მართლწინააღმდეგობის შემგების პრობლემა თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში	173
2.2.3.1. მართლწინააღმდეგობის ცნება ქართულ იურიდიულ დოქტრინაში	174
2.2.3.2. მართლწინააღმდეგობის შემგების მნიშვნელობა განჯრაჲსი და გაუჯრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის დროს	180
2.2.3.2.1. განჯრაჲსი დანაშაულის ჩადენის დროს მართლწინააღმდეგობის აქტუალური ან კოტენციური შემგება	181
2.2.3.2.2. გაუჯრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის დროს მართლწინააღმდეგობის კოტენციური შემგება	183
3. სამართლებრივი (აკრძალვაში) შეცდომა ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით	186
3.1. საკითხის მოკლე მიმოსილვა	186
3.2. პრობლემის დასმა	186
3.2.1. პრობლემის განხილვა განჯრაჲვის თეორიის მიხედვით	188
3.2.2. პრობლემის განხილვა ბრალის თეორიის მიხედვით	189
3.2.3. საქართველოს უჯენაესი სასამართლოს პრეპტიკა აკრძალვაში შეცდომის შესახებ	190
3.2.4. აკრძალვაში შეცდომის ნორმის ახლებურად განმარტების მცდელობა ქართულ სისხლის სამართლის	

დოგმატიკაში	199
4. მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომა	202
4.1. საკითხის მოკლე მიმოხილვა	202
4.2. პრობლემის დასმა	202
4.2.1. პრობლემის განხილვა განჯრახვის თეორიის მიხედვით	202
4.2.2. პრობლემის განხილვა ბრალის შეზღუდული თეორიის მიხედვით	203
4.2.3. საქართველოს უყენაესი სასამართლოს პრაქტიკა მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის შესახებ	204
4.3.4. მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის ინტერპრეტაცია ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში	206
5. შეჯამება	208
პარი IV. სამართლებრივი ინტერპრეტაცია და ზოგიერთი მოსაზრება „განჯრახვისა“ და „მართლწინააღმდეგობის შეხვნის“ კატეგორიების სრულყოფისათვის ქართულ სისხლის სამართალში	210
1. განჯრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეხვნის ინტერპრეტაცია	210
1.1. საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის ინტერპრეტაცია და განჯრახვის ორმაგი ფუნქცია	210
2.2. საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლის ინტერპრეტაცია. აკრალვაში შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის კრობლემის რეგულაცია	214
2.2.1. აკრალვაში შეცდომა	214
2.2.2. მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომა	215
2. საკითხის საკანონმდებლო სრულყოფისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კომდმეში (de lege ferenda)	216
დასკვნა	220
ბამოყენებული ლიტერატურა	225

გამოყენებული აბრევიატურა

ქართული:

ა.შ.	- ასე შემდეგ
გვ.	- გვერდი
დასახ. ნაშრ.	- დასახელებული ნაშრომი
ე.წ.	- ეგრეთ წოდებული
ე.ი.	- ესე იგი
ზოგადი ნაწილი	- სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი
იხ.	- იხილეთ
ლათ.	- ლათინურად
რედ.	- გამოცემის რედაქტორი
რსფსრ	- რუსეთის საბჭოთა ფედერალური სოციალისტური რესპუბლიკა
საქართველოს სსრ	- საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
უზენაესი სასამართლო	- საქართველოს უზენაესი სასამართლო
სსკ	- სისხლის სამართლის კოდექსი
სხვ.	- სხვა
შდრ.	- შეადარეთ

გერმანული:

- AT**
(Allgemeiner Teil) – გერმანიის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი
- BayObLG**
(Bayerisches Oberstes Landesgericht) – ბაიერნის მიწის უმაღლესი სასამართლო
- BGH**
(Bundesgerichtshof) – გერმანიის ფედერალური სასამართლო
- BGHSt**
(Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsache) – გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე
- BVerfG**
(Bundesverfassungsgericht) – გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო
- BVerfGE**
(Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts) – გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (კრებული)
- ff.**
(folgende) – შემდეგი
- FG**
(Festgabe) – საიუბილეო გამოცემა (კრებული)
- FS**
(Festschrift) – საიუბილეო გამოცემა (კრებული)
- GA**
(Goltdammer's Archiv für Strafrecht) – თეოდორ გოლტდამის არქივი სისხლის სამართლისათვის (ჟურნალი)

- GS** – საიუბილეო გამოცემა (კრებული)
(Gedächtnisschrift, Geden-
kenschrift)
- Hrsg.** – გამომცემელი რედაქტორი
(Herausgeber)
- JA** – იურიდიული სამუშაო ფურცლები
(Juristische
Arbeitsblätter)
- JuS** – იურიდიული სწავლება (ჟურნალი)
(Juristische Schulung)
- Jura** – იურიდიული განათლება (ჟურნალი)
(Juristische Ausbildung)
- JZ** – იურისტთა გაზეთი (ჟურნალი)
(Juristenzeitung)
- NJW** – ახალი იურიდიული ყოველკვირეული ჟურ-
(Neue Juristische
Wochenschrift) ნალი
- NStZ** – ახალი ჟურნალი სისხლის სამართლისათვის
(Neue Zeitschrift für
Strafrecht)
- OLG** – მიწის უმაღლესი სასამართლო
(Oberlandesgericht)
- ÖstZStr** – ავსტრიული ჟურნალი სისხლის სამარ-
(Österreichische
Zeitschrift für Strafrecht) თლისათვის
- RGSt** – გერმანიის რაიხის სასამართლოს გადაწ-
(Entscheidungen des
Reichsgerichts in Strafsa-
chen) ყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე

- Rn.**
(Randnummer) – გვერდითი ნომერი
- SJZ**
(Süddeutsche Juristen- Zeitung) – სამხრეთგერმანული იურისტთა გაზეთი
- StGB**
(Strafgesetzbuch) – გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი
- VRS**
(Verkehrsrechts- Sammlung) – სატრანსპორტო სამართლის კრებული
- ZStW**
(Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft) – ჟურნალი სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის
- (ZfRV)**
(Zeitschrift für Rechtsvergleichung) – ჟურნალი შედარებითი სამართლისათვის

ზოგადი შესავალი

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემა აქტუალური, თუმცა სათანადოდ დაუმუშავებელი და საკამათოა.

წინამდებარე ნაშრომში თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით გაანალიზებულია დანაშაულის სისტემის, კერძოდ, ქმედების სუბიექტური შემადგენლობისა და ბრალის ნიშნები. კონკრეტულ შემთხვევაში კი საქმე ეხება იმას, თუ როგორ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან ისეთი ელემენტები, როგორცაა: ქმედებაზე წარმოდგენა (ცოდნა), ნებელობა და მართლწინააღმდეგობის შეგნება, რა ადგილი უკავია ან უნდა ეკავოს ამ მიმართებაში სისხლისსამართლებრივ განზრახვის ცნებას. უფრო ნათლად რომ ითქვას, გასარკვევია, არსებობს თუ არა მართლწინააღმდეგობის შეგნება განზრახვის ცნებისაგან დამოუკიდებლად. ხაზგასასმელია, რომ დისკუსიები საანალიზო საკითხზე დღემდე მიმდინარეობს ქართულ სისხლის სამართლის მოძღვრებაში.

მიუხედავად ლიტერატურის სიმრავლისა საანალიზო თემის ცალკეულ საკითხზე, წიგნში კომპლექსურად არის გადმოცემული ძირითადი, პრინციპული დებულებები. თემის მრავალასპექტიანობის გამო, ყველა პრობლემის ზედმიწევნით დეტალური განხილვა ერთი ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია, თუმცა, პრობლემის ანალიზი აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ პირებს გარკვეულწილად გაუადვილებს ამ მიმართულებით მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის უფრო ორიენტირებულად და დეტალურად წარმართვას; წარმოდგენილი კვლევა-ძიება ხელს შეუწყობს მეცნიერული წინადადებების შემუშავებას სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

მეცნიერულ სიახლეზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას შემდეგს:

(1) ნაშრომი არის მცდელობა იმისა, ახლებურად იქნეს გააზრებული განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების არსი და ერთობლივად წარმოჩნდეს მათი სისხლისსამართლებრივი ფუნქციები დანაშაულის ჩადენის დროს. ეს კი გაადვილებს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საკითხში განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობის უფრო მკაფიოდ გაგებას;

(2) ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ნაკლებადაა დამუშავებული უმართლობის სუბიექტური ელემენტები. ამ მხრივ, უდავოა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განზრახვის შინაარსსა და მის ფუნქციას დანაშაულის სისტემის სხვადასხვა ეტაპზე. კერძოდ, ამ შემთხვევაში საუბარია განზრახვის ორმაგ ბუნებაზე, რა დროსაც ქმედების შემადგენლობის განზრახვა, ცალკეულ ვითარებაში, გავლენას ახდენს ე.წ. „განზრახვის ბრალზე“ და, პირიქით, „განზრახვის ბრალის“ გამორიცხვამ შესაძლოა, ქმედების შემადგენლობის შეცვლა – განზრახვიდან გაუფრთხილებლობაზე გადასვლა

გამოიწვიოს. აღნიშნული პრობლემის გარკვევა კი, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს ამსრულებლობისას და თანამონაწილეობისას სწორად განვსაზღვროთ დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხიც;

(3) ნაშრომში ახლებურად არის გააზრებული განზრახვაში ნებელობის ელემენტის არსებობის პრობლემაც, რაც ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში დავის საგანს წარმოადგენს;

(4) ნაშრომის სიახლეს შეადგენს ასევე მართლწინააღმდეგობის შეგნების დასაბუთება გაუფრთხილებლობითი დანაშაულების ჩადენის დროს.

წინამდებარე წიგნი ნაწილობრივ შეაყვებს არსებულ ქართულ იურიდიულ ლიტერატურას. გარდა ამისა, აღნიშნული ნაშრომი ხელს შეუწყობს ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში დანაშაულის სისტემის, კერძოდ, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნების სწორად გაგებას.

როგორც ზემოთ ითქვა, განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების კატეგორიებს გადაწყვეტი როლი ენიჭება ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ ან მართლზომიერად მიჩნევისათვის, ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ფარგლების მართებულად განსაზღვრისათვის, რომელიც მნიშვნელოვანია თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. კვლევის მიზანია განზრახვის, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური ნიშნის, ბუნების ახსნა სათანადო იურიდიული, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. ამასთან, აღნიშნული ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების გარკვეული თავისებურებანი და მათი ფუნქციები სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის.

უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, კვლევის მიზანია, გაირკვეს:

– განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ადგილი დანაშაულის სხვადასხვა სისტემის მიხედვით;

– თუ რა ნიშნებით ხასიათდება განზრახვის ცნება, კერძოდ:

(ა) რა მოცულობითა და ინტენსიურობით უნდა არსებობდეს მასში ინტელექტუალური ელემენტი – აქტუალური თუ პოტენციური ფორმით;

(ბ) როგორ უნდა დადგინდეს განზრახვის კოგნიტიური ელემენტი აფექტური, რეფლექსური და ავტომატიზებული დანაშაულების ჩადენის დროს;

(გ) როგორ უნდა განისაზღვროს ცოდნის კომპონენტი დანაშაულის შემადგენლობის აღწერილობითი და ნორმატიული ნიშნების მიმართ;

(დ) საჭიროა თუ არა განზრახვაში საერთოდ ვოლუნტატიური ელემენტის დასაბუთება;

(ე) როგორ უნდა იქნეს გაანალიზებული განზრახვის ინტელექტუალური და ნებელობითი კომპონენტი უმართლობის შეგნებასთან ურთიერთკავშირში;

– მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობა და მისი ფუნქცია განზრახვი და გაუფრთხილებელი დანაშაულების განხორციელების დროს; სხ-

ვაგვარად: დასადგენია, არსებობს თუ არა მართლწინააღმდეგობის აქტუალური ან პოტენციური შეგნება როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით ჩადენილი დელიქტებისას;

– აკრძალვაში შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების დროს.

ყოველივე ამის საფუძველზე ნაშრომში შემუშავებულია რეკომენდაციები და წინადადებები ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

პარი I. განზრახვის ცნება და მართლწინააღმდეგობის შეზღუდვა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

1. განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეზღუდვა დანაშაულის სხვადასხვა მოქმედებების მიხედვით (მოკლე ისტორიული მსჯელობა)

1.1. შესავალი

განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართების საკითხი გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის შესახებ არსებული მოძღვრებების მიერ წლების განმავლობაში განსხვავებულად განიხილებოდა. მათი ადგილი და ფუნქცია დანაშაულის ერთიან სისტემაში სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად იყო გაგებული.

როგორც განზრახვამ, ისე მართლწინააღმდეგობის შეგნებამ განვითარების გარკვეული ისტორიული ეტაპები გაიარა. განზრახვის ცნებამ ჩამოყალიბება ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში – ძველი რომის სამართალში დაიწყო.¹ განზრახვა აქ ერთი სიტყვით – „dolus“-ით მოიხსენიებოდა და მისი სახელწოდებაც სწორედ აქედან მომდინარეობს.²

განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ცნებების შემდგომი განვითარება სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა. თავდაპირველად ის დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტის – ბრალის შემადგენელ დამოუკიდებელ ნიშანს წარმოადგენდა, რაც განპირობებული იყო ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის არსებობით. აღნიშნული თეორია მე-20 საუკუნის დასაწყისამდე გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულ შეხედულებად ითვლებოდა. მოგვიანებით, მისი კრიტიკის შედეგად, სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარება პოვა ბრალის ახალმა მოძღვრებამ, რომელიც იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიის სახელწოდებით არის ცნობილი.³

განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ცნებების განვითარების შემდგომი ეტაპი ბრალის ნორმატიულ თეორიას უკავშირდება, რომელიც როგორც გერმანულ, ისე თანამედროვე ქართულ იურიდიულ აზროვნებაში შეადგენს გაბატონებულ მოძღვრებას.

თითოეული ეს თეორია კი ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ცალ-ცალკე ქვეთავებად.

¹ იხ. Jescheck, Weigend, AT (1996), გვ. 292.

² იქვე.

³ იხ. Hirsch, ZStW 93 (1982), გვ. 831-863.

1.2. ბრალის ფსიქოლოგიური თეორია და განზრახვის ადგილი დანაშაულის სისტემაში

ბრალის ფსიქოლოგიური თეორია განვითარების სათავეს დანაშაულის კლასიკურ სისტემაში იღებს⁴. თავად კლასიკური სისტემა კი მე-19 საუკუნის ფილოსოფიური ნატურალიზმის ზეგავლენას განიცდის, რის გამოც მას ხშირად ნატურალისტური მოძღვრებითაც მოიხსენიებენ⁵.

კლასიკური სისტემის მთავარი მონაპოვარია დანაშაულის კაუზალური და ბრალის ფსიქოლოგიური თეორია. აღნიშნული ცნებების ერთმანეთისგან გამიჯვნას საფუძველი ერთ-ერთმა პირველმა *მ. ვ. ბურმა* ჩაუყარა.⁶ ურადლების სფეროს კი ამ შემთხვევაში ბრალის ფსიქოლოგიური თეორია და მასში მოაზრებული განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება წარმოადგენს.

ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის ფუძემდებლად (ისევე, როგორც ქმედების კაუზალობის მოძღვრებისა), *ფ. ვ. ლისტი*⁷ და *ე. ბელინგი*⁸ ითვლებიან⁹. *ვ. რადბრუხი* ბრალს „ფსიქოლოგიური შერაცხვის ცნებით“ მოიხსენიებს,¹⁰ ხოლო *ჰ. რ. ბუში* ასე განსაზღვრავს მას: „დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ქმედებისადმი წარმოდგენილია განზრახვით ან გაუფრთხილებლობით.“ ავტორი იქვე უთითებს, რომ „განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმები, ანუ სახეებია, შერაცხალობა კი – მათი წინაპირობა.“¹¹

ასე რომ, განზრახვა ისევე, როგორც გაუფრთხილებლობა, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიით გაგებულია როგორც ბრალის ერთ-ერთი დამოუკიდებელი ნიშანი. თუმცა განზრახვის ცალკეულ ელემენტებთან მიმართებით ამ სკოლის წარმომადგენელთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. კერძოდ, *ფ. ვ. ლისტი* თავის მოძღვრებაში განზრახი დანაშაულებრივი ქმედების დასჯადობის წინაპირობად მხოლოდ ორ მომენტს გამოყოფს; სახელდობრ: (1) ცოდნას ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და (2) ცოდნას ქმედების ანტისოციალურ მნიშვნელობასთან დაკავშირებით.¹²

(1) ფაქტობრივი გარემოებების ცოდნის ამოსავალი წერტილი *ლისტის* მოძღვრებაში არის ქმედების ცნება, რომელიც განზრახვის დასაბუთების დროს შეფასებულია როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევა; თავად განზრახვა კი

⁴ დანაშაულის კლასიკური სისტემის შესახებ იხ. *Jescheck*, ZStW 73 (1961), გვ. 179-190.

⁵ იხ.: *Walter* (2006), გვ. 108; *Roxin*, AT I (2006), გვ. 241, 855-856.

⁶ იხ.: *Buri* (1873), გვ. 9; *Buri* (1995), გვ. 70-89.

⁷ იხ. *List* (1919), გვ. 163-172.

⁸ იხ. *Beling* (1906), გვ. 10.

⁹ იურიდიულ ლიტერატურაში ამ თეორიას *ლისტი-ბელინგის* თეორიის სახელწოდებითაც მოიხსენიებენ. ამის შესახებ იხ. *Stratenwerth*, *Kuhlen*, AT (2004), გვ. 189.

¹⁰ იხ.: *Radbruch*, Frank FG I (1969), გვ. 167; *Busch* (1949), გვ. 4.

¹¹ იხ. *Busch* (1949), გვ. 4.

¹² იხ. *List* (1919), გვ. 164.

მოიცავს ნებელობითი ქმედების შეცნობას, რომელიც გულისხმობს შედეგისა და მიზეზობრივი კავშირის გათვალისწინებას.¹³ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ფ. ე. ლისტის ე.წ. შემეცნების თეორიის უპირატესობას აღიარებს და სწორედ ამ მიზეზით არის გამოწვეული განზრახვის ცნებაში, ნებელობის ელემენტთან შედარებით, კოგნიტიური ელემენტის პრიორიტეტულობა. გამოდინარე აქედან, განზრახვა, ლისტის თეორიით, მაშინ არის მოცემული, როცა დამნაშავეს შედეგი გამიზნული აქვს და იგი მის დადგომას დანამდვილებით ითვალისწინებს (პირდაპირი განზრახვა) ან შესაძლებლად თვლის (ევენტუალური განზრახვა).¹⁴

(2) სისხლისსამართლებრივად რელევანტურია განზრახვა მაშინაც, როცა დამნაშავეს მისი, როგორც ანტისოციალური მოვლენის, მნიშვნელობა შეცნობილი აქვს¹⁵; თუმცა ამ უკანასკნელ ნიშანთან დაკავშირებით შესაძლებელია დაიბადოს შეკითხვა: ხომ არ გულისხმობს ავტორი ქმედების ანტისოციალური მნიშვნელობის შეცნობაში მართლწინააღმდეგობის შეგნებას ან ხომ არ წარმოადგენს აღნიშნული ცნებები (როგორც ქმედების ანტისოციალური მნიშვნელობის შეცნობა, ისე მართლწინააღმდეგობის შეგნება) ერთი და იმავე შინაარსის მატარებელ კატეგორიას? პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია, რადგან ფ. ე. ლისტის მართლწინააღმდეგობის შეგნებას განზრახვას არ მიაკუთვნებს¹⁶ და მას ბრალის ეტაპზე ცალკე განიხილავს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი, ამ სკოლის სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით, მართლწინააღმდეგობის შეგნებას არ თვლის არც ბრალის სახედ და არც მის ფორმად¹⁷. მეცნიერი მას, ისევე როგორც „მართლწინააღმდეგობას“, წმინდა ობიექტურ კატეგორიად მიიჩნევს.¹⁸

ქმედების ანტისოციალური მნიშვნელობის შეცნობა სხვა არაფერია, თუ არა „მართლწინააღმდეგობის შეგნება“, რომელიც თავის თავში გულისხმობს, რა თქმა უნდა, ქმედების, როგორც ანტისოციალური ქცევის მნიშვნელობის შეცნობასაც, ამიტომ, ლისტის პოზიცია მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან მიმართებით არ არის გასაზიარებელი.

ფ. ე. ლისტის მოძღვრებაში ასევე ყურადსაღებია შეხედულება სისხლისსამართლებრივი და არასისხლისსამართლებრივი შეცდომის ერთმანეთისგან ურთიერთგამიჯვანსთან დაკავშირებით. ავტორი ამ შემთხვევაში, სხვა მეცნიერები-

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე, ასევე იხ. Buri (1995), გვ. 344.

¹⁵ იხ. List (1919), გვ. 164, 167. ფ. ე. ლისტის ამ მოსაზრებას აკრიტიკებს ე. კ. როზენფელდი, რომელიც, თავის მხრივ, ბრალში შეფასებითობის მომენტს აღიარებს. იხ. Rosenfeld, ZStW 32 (1911), გვ. 466, 487.

¹⁶ იხ. List (1919), გვ. 172.

¹⁷ იქვე, გვ. 172-175, ასევე იხ.: Jescheck, Weigend, AT (1996), გვ. 203; Turava (1998), გვ. 60.

¹⁸ იხ. List (1919), გვ. 172-174.

სგან განსხვავებით, არასისხლისსამართლებრივ შეცდომასა და ფაქტობრივ შეცდომას იდენტურად განიხილავს და მათ დოგმატურად არც კი ასხვავებს,¹⁹ რაც, უდავოდ, მრავალ კითხვას ბადებს. კერძოდ, ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, საკითხავია, როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი შეცდომის დროს რომელი კატეგორიის გამორიცხვა უნდა მოხდეს – განზრახვისა, თუ მართლწინააღმდეგობის შეგნებისა. ფ. ვ. ლისტის ამ შემთხვევაში პრობლემას, ერთი შეხედვით, მარტივად წყვეტს. სახელდობრ, ვინაიდან იგი ფაქტობრივ შეცდომასა და აკრძალვაში შეცდომას არ განასხვავებს, ამიტომ შეცდომის ორივე სახეს განზრახვასთან ურთიერთკავშირში განიხილავს.²⁰ ეს ნიშნავს იმას, რომ ასეთი შეცდომების შემთხვევაში შესაძლოა მხოლოდ განზრახვა გამოირიცხოს. აღნიშნულ მოსაზრებას კი ავტორი იმ გარემოებით ასაბუთებს, რომ შეცდომათა სახეების ამგვარ დიფერენციაციას კანონმდებელი საერთოდ არ ითვალისწინებს²¹, რის გამოც, ასეთ დაყოფას თავად კატეგორიულად უარყოფს.²²

მაშასადამე, ფ. ვ. ლისტის მოძღვრებით, როგორც ფაქტობრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი შეცდომა შესაძლებელია იყოს განზრახვის გამორიცხვის საფუძველი, მაშინ, როცა სისხლისსამართლებრივი შეცდომა, მისი აზრით, ყოველთვის ირელევანტურად უნდა იქნეს მიჩნეული (*error iuris nocet*).²³

რაც შეეხება თავად მართლწინააღმდეგობის შეგნებას, ფ. ვ. ლისტი, კლასიკური სკოლის სხვა წარმომადგენელთაგან განსხვავებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, განზრახვის შემადგენელ ელემენტად არ მიიჩნევს. უმართლობის შეგნებას იგი მხოლოდ მაშინ თვლის განსახილველად, როცა პირი არამართლსაწინააღმდეგო ქმედებას შეცდომით მართლსაწინააღმდეგოდ აღიქვამს, ე.ი. ე.წ. „მოჩვენებითი დანაშაულის“ შემთხვევაში. ამგვარ ვითარებას ავტორი მთლიანად დასჯადობის გამომრიცხავ გარემოებად აღიარებს და პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვისაც კი უარყოფს, რაც, უდავოდ, სწორია; საპირისპირო ვითარებაში კი (ე.ი. მაშინ, როცა დამნაშავე მართლსაწინააღმდეგო ქმედებას არამართლსაწინააღმდეგოდ ჩათვლის) მეცნიერი ასეთ შემთხვევას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობად განიხილავს და ამგვარ შეცდომას ირელევანტურად მიიჩნევს.

მაშასადამე, ფ. ვ. ლისტი, ერთი მხრივ, ქმედების ანტიისოციალისტური

¹⁹ იხ. *List* (1919), გვ. 169.

²⁰ იქვე, გვ. 172-175.

²¹ გერმანიის რაიხის სისხლის სამართლის კოდექსი, განსხვავებით დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისგან, ცალ-ცალკე ნორმებით არ აწესრიგებდა სამართლებრივი შეცდომისა და ფაქტობრივი შეცდომის პრობლემებს, რის გამოც შეცდომის ეს სახეები კანონმდებლობით ერთნაირად რეგულირდებოდა. შდრ. *Kaufmann* (1985), გვ. 47.

²² იხ. *List* (1919), გვ. 168-172.

²³ იქვე.

მნიშვნელობის შეცნობას განზრახვის შემადგენელ ელემენტად, ხოლო, მეორე მხრივ, მართლწინააღმდეგობის შეგნებას განზრახვისგან დამოუკიდებლად განსახილველ კატეგორიებად აცხადებს.

მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს ლისტს იმ შემთხვევაში, როცა თავად კანონმდებელი ქმედების ცალკეულ შემადგენლობაში პირდაპირ მინიშნებს ამ ქმედების „მართლწინააღმდეგობაზე“²⁴, კერძოდ, როდესაც დანაშაულის შემადგენლობა სისხლის სამართლის კანონში ისეა დეფინირებული, რომ მასში უშუალოდ არის მითითებული ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. ასეთ ვითარებაში ავტორს მიაჩნია, რომ განზრახვა მხოლოდ ამ გამონაკლის შემთხვევაში უნდა მოიცავდეს მართლწინააღმდეგობის შეგნებასაც²⁵; მაგალითად, ქურდობისას, რომელსაც კანონმდებელი განმარტავს როგორც სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას, ვინაიდან აქ ცნება „მართლწინააღმდეგობა“ (ე.წ. ფორმალური მართლწინააღმდეგობა) ქმედების შემადგენლობის ნიშანია, მისი შეგნებაც, ლისტის მოსაზრებით, განზრახვას უნდა მიეკუთვნებოდეს²⁶.

მასასადამე, ავტორი ე.წ. „ფორმალური მართლწინააღმდეგობის“ შეცნობადობას განზრახვის ელემენტად აღიარებს და ამ ნიშნის არარსებობის შემთხვევაში პირის დასჯადობას გამორიცხავს.

ლისტის ამ შეხედულების მიხედვით, გაუგებარია „მართლწინააღმდეგობის“ ცნების ამგვარი დიფერენციაცია. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ქურდობისა და მიზნით დაფუძნებულ სხვა ანალოგიურ შემადგენლობებში „მართლწინააღმდეგობაზე“ მინიშნება არის კანონმდებლობის ზოგადი მითითება, რომელსაც ქმედების შემადგენლობის დადგენისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს²⁷. მართლწინააღმდეგობა დანაშაულის მეორე ელემენტია და სისტემურად შეუძლებელია ქმედების შემადგენლობაში იყოს მოხსენიებული. ქურდობა (ისევე, როგორც მკვლელობა და სხვ.), როგორც წესი, მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა, ამიტომ ამ ან სხვა სახის დელიქტების ქმედების შემადგენლობაში „მართლწინააღმდეგობის“ დამოუკიდებელ ნიშნად მითითება სრულიად ზედმეტია. იგულისხმება, რომ სისხლის სამართლის კანონის კერძო ნაწილში მოცემული დელიქტები, როგორც წესი, მართლსაწინააღმდეგოა; გამომდინარე აქედან, ასეთი სახის დანაშაულებში მართლწინააღმდეგობისა და, შესაბამისად, მისი შეგნების შესახებ ცალკე მსჯელობა და მხოლოდ ამ გამონაკლის შემთხვევებში განზრახვისადმი მიკუთვნება, სწორი არ არის. მართლწინააღმდეგობის შეგნება ან განზრახვას უნდა მიეკუთვნებოდეს (ე.წ. განზრახვის თეორია), მიუხედავად

²⁴ იქვე, გვ. 174.

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე, გვ. 174-175.

²⁷ ანალოგიურ პოზიციას იზიარებს ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში არაერთი ქართველი მეცნიერი, ასე მაგალითად, მ. ტურაყა, *ა. დვალაძე*. ამის შესახებ იხ. ტურაყა (2011), გვ. 340; *დვალაძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 276.

იმისა, „მართლწინააღმდეგობა“ კანონმდებლის მიერ ქმედების შემადგენლობაში პირდაპირ განსაზღვრულია თუ არა, ან კიდევ მისი ადგილი ყოველთვის ბრალში უნდა იყოს განზრახვისგან დამოუკიდებლად (ე.წ. ბრალის თეორია).

კ. ბინდივი, ფ. ვ. ლისტის ანალოგიურიად, ბრალს განმარტავს როგორც ქმედებისადმი ფსიქიკურ კავშირს, თუმცა, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, იგი „ქმედების ანტისოციალური მნიშვნელობის შეგნებას“ უწოდებს ნორმისადმი „წინააღმდეგობის შეგნებას“ და მას, ისევე როგორც ლისტის, განზრახვის სფეროში მოიაზრებს.²⁸

მართლწინააღმდეგობის შეგნების შესახებ განსხვავებული შეხედულება აქვს ე. ბელინგს, რომელიც ამ ნიშანს განზრახვას მიაკუთვნებს და მას, განზრახვასთან ერთად, ბრალის ეტაპზე ამოწმებს²⁹. იგი ისევე, როგორც კ. ბინდივი, მართლწინააღმდეგობის შეგნებაში გულისხმობს არა ცოდნას სისხლის სამართლის კანონის კონკრეტული ნორმის აკრძალულობის შესახებ, არამედ სამართლით ზოგადად დაუშვებელი ქმედების შეცნობას³⁰. მისი ამგვარი თვალსაზრისი დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ ე. ბელინგს, კ. ბინდივის მსგავსად, „მართლწინააღმდეგობის შეგნებაში“ მოცემული ცნება – „მართლწინააღმდეგობა“ ესმის არა ვიწროდ, როგორც სისხლისსამართლებრივი ნორმებისადმი წინააღმდეგობა, არამედ ფართოდ, როგორც მთლიანად მართლწესრიგის წინააღმდეგ მიმართული ქმედება.³¹

მასადამატე, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ერთიანი პოზიცია როგორც განზრახვის, ისე მართლწინააღმდეგობის შეგნების ცნების გარშემო ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის მიმდევართა შორის არ არსებობს³².

ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა აგრეთვე, ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა ვ. ნაუკემ³³, რომელიც აღნიშნავს, რომ ბრალი შემდეგი ნიშნებისგან შედგება:

ა) ბრალუნარიანობისგან, რომლის ქვეშ ავტორი მოიაზრებს შერაცხალობას როგორც ასაკის, ისე სულიერი მდგომარეობის გამო;

ბ) განზრახვისა და გაუფრთხილებლობისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელება მხოლოდ ბრალის სხვადასხვა ფორმით არის შესაძლებელი. ამასთან, ვ. ნაუკეს მოსაზრებით, განზრახვა გულისხმობს ცოდნასა და ნებელობას, ხოლო რაც შეეხება უმართლობის შეგნებას, ავტორი მას ბრალის დამოუკიდებელ კომპონენტად მიიჩნევს;

გ) მიზნისა და სხვა საეციალური სუბიექტური ნიშნებისგან – ამ შემთხვევაში ვ. ნაუკე აღნიშნულ ნიშნებს ბრალის შემადგენელ ნაწილებად მოიაზ-

²⁸ შტრ. *Binding II* (1991), გვ. 403.

²⁹ იქვე, გვ. 182.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე, გვ. 147.

³² შტრ. *Jescheck, Weigend, AT* (1996), გვ. 203.

³³ იხ. *Naucke* (2002), გვ. 288, 302, 310.

რებს; მაგალითად, ქურდობისთვის დამახასიათებელი მიზანი, ასევე, მკვლელობის დროს ანგარების მოტივი და სხვ.

დ) საპატიებელი გარემოებებისგან, რომლის ქვეშ იგულისხმება, მაგალითად, საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობა, თავიდან აუცილებელი შეცდომა და სხვ.³⁴

ამრიგად, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ბრალი გაგებულა როგორც დამნაშავეის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისა და დამდგარი შედეგის მიმართ³⁵, რაც იმას ნიშნავს, რომ პირის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება ობიექტურად უმართლობის, ხოლო სუბიექტურად ბრალის ეტაპზე მოწმდება. გამოძინარე აქედან, ბრალი არის მხოლოდ წმინდა სუბიექტური, ხოლო უმართლობა – ობიექტური, ყოველგვარი სუბიექტური ელემენტისაგან თავისუფალი კატეგორია. შესაბამისად, განზრახვაც, ისევე როგორც გაუფრთხილებლობა, ბრალის ფორმებს ან კიდევ მის სახეებს წარმოადგენს³⁶. რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნებას, ავტორთა ერთი ნაწილი მას განზრახვას მიაკუთვნებს, ხოლო მეორე ნაწილი განზრახვისგან დამოუკიდებელ ნიშნად აღიარებს ბრალის ეტაპზე.

1.3. ბრალის კომპლექსურ-ფსიქოლოგიური თეორია და განზრახვა, როგორც ბრალის ნიშანი

ბრალის იდეისა და მასთან ერთად განზრახვის ცნების განვითარების შემდგომი ეტაპი გერმანულ სისხლის სამართლის მოძღვრებაში 1907 წლიდან იწყება. კერძოდ, იურიდიულ დოგმატიკაში იქმნება ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის საპირისპირო – კომპლექსურ-ფსიქოლოგიური თეორია, რომელსაც ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიის სახელწოდებითაც მოიხსენიებენ. აღნიშნული დოგმატიკის ფუძემდებლად გერმანელი მეცნიერი რ. ფრანკი ითვლება³⁷, რომელმაც თავის მოძღვრებაში პირველად გამოიყენა ფორმულა: „ბრალი, როგორც გასაკიცხაობა“³⁸. ამის შემდგომ ძალიან მალე ტერმინი „გასაკიცხაობა“ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ფართოდ გავრცელდა. მის დოგმატიკაში დამკვიდრებას ზოგიერთი ავტორი, „გარეგნულად“ გარკვეული სახელცვლილებით, თუმცა, შინარსობრივად უცვლელად, მაინც შეეცადა,³⁹ ასე მაგალითად, გერმანელმა მეცნიერმა ი. ვოლდშმიტმა, რომელსაც არ სურდა

³⁴ იქვე. გვ. 310.

³⁵ იხ. Jescheck, Weigend, AT (1996), გვ. 202-203.

³⁶ იხ. Turava (1998), გვ. 29.

³⁷ იხ.: Frank, FS (1907), გვ. 11; Jescheck, Weigend, AT (1996), მე-20 სქოლიო, გვ. 420.

³⁸ იხ.: ფრანკის დასახ. ნაშრ., 23-ე, მე-14, 519-ე, 529-ე სქოლიო; Roxin, AT I (2006), გვ. 857.

³⁹ შდრ. Safferling (2008), გვ. 51.

ფრანკისეული ეს ფორმულა თავისად გაესაღებინა, თეზა – „ბრალი, როგორც გასაკიცხაობა” – განავრცო ფორმულაში: „ბრალი, როგორც მოვალეობისადმი წინააღმდეგობა”.⁴⁰ ავტორი აღნიშნავს: „მაგალეებელი ნორმები შესაძლებელია პირმა დაარღვიოს ისე, რომ იგი მოქმედებდეს ბრალის გარეშე, რამდენადაც მას საპატივებელი გარემოების გამოწვევა ამ მაგალეებელი ნორმების უგულბე-ლყოფითაც შეუძლია.”⁴¹

ნეოკლასიკური სისტემის პრიორიტეტულობა კლასიკურ სისტემასთან მიმართებით გამოიხატება იმაში, რომ ნეოკლასიკური სისტემით ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა აღარ წარმოადგენს მხოლოდ წმინდა ობიექტურ-ფორმალურ კატეგორიას. ამ მოძღვრებით, ქმედების მართლწინააღ-მდეგობის ეტაპზე არსებულ ობიექტურ კრიტერიუმებთან ერთად, ასევე აღი-არებულ იქნა სუბიექტური მომენტებიც.⁴² გარდა ამისა, აღნიშნულმა თეორიამ ქმედების შემადგენლობაში პირველად შემოიტანა ისეთი სუბიექტური ელ-ემენტი, როგორც არის მიზანი⁴³. ასე მაგალითად, უნივერსიტეტის სტუდენტი, გამოცდაზე რომ დროულად გამოცხადდეს, თავისი მეგობრის კუთვნილ ვე-ლოსიპედს მესაკუთრის ნებართვის გარეშე წაიყვანს, გამოცდის დასრულების შემდეგ კი მას უკან დააბრუნებს. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ასეთ შემთხვევაში, მისაკუთრების მიზნის არარსებობის გამო, ქურ-დობის შემადგენლობა არ არის განხორციელებული.⁴⁴

ამ მაგალითიდან გამომდინარე, ბრალის კომპლექსურ-ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენლებმა დაასკვნეს, რომ ქურდობის ტიპური უმართლობა ძალიან ჰგავს ნივთის დროებითი გამოყენების უმართლობას, მაგრამ განსხ-ვავება დაშნაშავის „მიზანშია“. კერძოდ, ქურდობა ჩადენილია მხოლოდ მაშინ,

⁴⁰ ამის შესახებ იხ.: *Goldschmidt, Frank FS I (1969)*, გვ. 428; *Goldschmidt, ÖstZStr (1913)*, გვ. 17, 34.

⁴¹ იხ. *Goldschmidt, ÖstZStr (1913)*, გვ. 34.

⁴² იხ. *Baumann, Weber, AT (1985)*, გვ. 283-284.

⁴³ შდრ. *Jescheck, Weigend, AT (1996)*, გვ. 206.

⁴⁴ იქვე. ამ პოზიციისგან განსხვავებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო ავითარებს ნივთის დროებით მისაკუთრების ცნებას. სასამართლოს განმარტებით: „ის ფაქტი, რომ სისხ-ლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის დისპოზიციის მიხედვით არ არის მოცემული მართლსაწი-ნააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, არ ნიშნავს იმას, რომ დაშნაშავის მიერ ამ მუხლით გათ-ვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს არ არსებობს ამ ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვა დროებით, რა დროსაც დაშნაშავე, თავისი შეხედულებით, მხოლოდ დროებით, ანგარებითი მოტივით თავის სასარგებლოდ გამოიყენებს სხვის საკუთრებას – ავტოტრანსპორტს, რადგან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ნიშნავს იმას, რომ დაშნა-შავეს ეძლევა შესაძლებლობა ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი.“ ამის შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, 2008. გვ. 129-132. აღნიშნულ საკითხზე დასაბუთებული კრიტიკა გამოთქვეს მ. ტურავამ და ო. გამყრელიძემ. ამ ავტორების აზრით, ნორმის ასეთი ინტერპრეტაცია არასწორია, რადგან „მისაკუთრება“, როგორც ასეთი, „დროებით“ არ ხდება. ამის შესახებ იხ. ტურავა (2011), გვ. 130-132.

როცა დამნაშავეს სხვის საკუთრებაზე ზეგავლენა (იგულისხმება ამ ნივთით სარგებლობა, სხვისთვის გადაცემა, გასხვისება და ა.შ.) გამიზნული აქვს ხანგრძლივი პერიოდით და არა დროებით. სწორედ ამიტომ, მხოლოდ წმინდა ობიექტური გარემოებების მხედველობაში მიღება და ყველა სუბიექტური ელემენტის ბრალში გადატანა, რასაც დანაშაულის კლასიკური სისტემა ითვალისწინებს, მსგავსი სახის დელიქტების ერთმანეთისგან განსხვავების დროს წარმოშობილ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს⁴⁵. აქედან გამომდინარე, ამ თეორიის მხარდამჭერთა მიერ სრულიად მართებულად იქნა მიჩნეული ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე სუბიექტური ნიშნების გათვალისწინებაც.

რაც შეეხება ბრალს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნეოკლასიკური სისტემით ბრალი გახდა ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგთან, რომელიც გაკიცხვას იმსახურებს⁴⁶. ანუ ამ მოძღვრებამ ბრალის ცნებაში შეფასების მომენტი შემოიღო და შედეგად ბრალი განისაზღვრა როგორც პირის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და დამდგარი შედეგის მიმართ⁴⁷. სწორედ, რ. ფრანკი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც ცდილობდა დაესაბუთებინა ფსიქოლოგიური თეორიის გამოუყენებლობა ბრალის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის დროს.⁴⁸ კერძოდ, თუკი დამნაშავე საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩაიდენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მიუხედავად მისი ფსიქიკური კავშირისა ქმედებასა და შედეგთან, საკითხი საბოლოოდ ბრალის არარსებობის დასაბუთებით უნდა გადაწყდეს, ვინაიდან იგი მისატყვეველ ვითარებაში იმყოფება.⁴⁹

რ. ფრანკის იმდროინდელ პოზიციას კიდევ უფრო ამყარებდა მე-19 საუკუნეში ინგლისში მომხდარი ერთ-ერთი შემთხვევა: „გემის ჩაძირვის შემდეგ ცოცხლად მხოლოდ ორი პირი გადარჩა. ორივენი წყლის ზედაპირზე მოტივტივე ფიცარზე აცოცდნენ და ისე დააღწიეს თავი წყალში დახრჩობას, თუმცა, დიდი ხნის შიმშილი მათ გარდაუვალ დალუპვას მაინც უქაღდა, რის გამოც ერთ-ერთმა მეზღვაურმა მეორე გადარჩენილი, მაგრამ დაუძლურებული მეზღვაური ჯერ მოკლა, შემდეგ კი შეჭამა და ამ გზით შეძლო თავის გადარჩენა“⁵⁰. ამ შემთხვევამ, როგორც ინგლისელ, ისე გერმანელ მეცნიერებს შორის დიდი დისკუსია გამოიწვია. სასამართლომ მსჯავრდებულის გამართლებისგან თავი შეიკავა, რადგან მიიჩნია, რომ სიცოცხლე აბსოლუტურ სიკეთეს წარმოადგენს და ამის გამო უდანაშაულო პირის მოკვლა, თუნდაც ამგვარ გამოუ-

⁴⁵ შტრ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 206.

⁴⁶ იხ.: *Baumann, Weber*, AT (1985), გვ. 369; *Radbruch*, Frank FG I (1969), გვ. 167-168.

⁴⁷ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 856.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ იხ. *Baumann, Weber*, AT (1985), გვ. 369.

⁵⁰ შტრ.: *Radbruch* (1958), გვ. 69 ff; *Welzel*, JuS (1966), გვ. 421; *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 195. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული შემთხვევა ასევე განხილული აქვს *მ. ტურავას* იხ. *ტურავა* (2011), გვ. 481.

ვალ სიტუაციებში, არ შეიძლება ნებადართულად ჩათვლილიყო. საბოლოოდ, სიკვდილისჯილი პირი ინგლისის დედოფალ ვიქტორიას მიერ შეწყალების შედეგად მხოლოდ ექვსი თვე აღმოჩნდა გისოსებს მიღმა⁵¹; მეცნიერებს შორის კი გადამწყვეტი მნიშვნელობა თავად ამ ფაქტის დოგმატურმა შინაარსმა შეიძინა, რაც შემდეგ კლასიკური სკოლის კრიტიკისთვის კარგად გამოიყენეს ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენლებმა.

ბრალის კომპლექსურ-ფსიქოლოგიური თეორიის აქტიურმა დამკველებმა ჩათვალეს, რომ თუკი ანალოგიურ შემთხვევას გერმანულ სასამართლო პრაქტიკაშიც ექნებოდა ადგილი, ქმედების ჩამდენი პირი, მიუხედავად განხორციელებული განზრახვი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა, მაინც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლებულიყო ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემობის არსებობის გამო. არსებული სამართლებრივი წესრიგი ასეთ სიტუაციებში მყოფი პირისგან, როცა მას სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა წართმეული ჰქონდა, გმირობის ჩადენას არ მოითხოვდა.⁵² გამომდინარე აქედან, მიუხედავად ბრალუნარიანობისა და განზრახვისა, ამ პირის სამართლებრივი გაკიცხვა არ იქნებოდა მიზანშეწონილი⁵³. ამიტომ, აღნიშნული თეორიის მიმდევართა მტკიცებით, ბრალში არა მარტო ფსიქოლოგიური, არამედ ნორმატიული ელემენტიც უნდა მოაზრებულიყო⁵⁴. სწორედ ამგვარი კომბინაციის გამო ეწოდა შემდგომში ბრალის ამ თეორიას კომპლექსურ-ფსიქოლოგიური თეორია.⁵⁵

რ. ფრანკის თეორიის მიხედვით, აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ქმედების გაკიცხვის წინაპირობებია:

- ა) შერაცხვისუნარიანობა;
- ბ) მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი დამნაშავის კონკრეტული ფსიქიკური დამოკიდებულება ან ასეთი დამოკიდებულების შესაძლებლობა (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა);
- გ) გარემოებათა ნორმალური მიმდინარეობა, რომელთა პირობებშიც მოქმედებდა დამნაშავე.⁵⁶

მაშასადამე, განზრახვა, ამ მოძღვრების მიხედვით კვლავ ბრალის ეტაპზე მოწმდება, მაგრამ იგი, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება, შეფასების

⁵¹ იხ. *Welzel*, JuS (1966), გვ. 421.

⁵² შდრ. *Jescheck*, *Weigend*, AT (1996), გვ. 207.

⁵³ იქვე.

⁵⁴ იქვე. ბრალის საპატიებელი გარემოება მოგვიანებით გერმანიის რაიხის სასამართლოს მიერ იქნა ასევე აღიარებული. ამის შესახებ იხ. *RGS* 61, გვ. 242-255.

⁵⁵ იხ. *Maurach*, *Zipf*, AT I (1992), გვ. 420.

⁵⁶ იხ.: *Frank*, FS (1907), მე-12 და 23-ე სქოლიო; *Roxin*, AT (2006), გვ. 856-857; *Turava* (1998), გვ. 62. მსგავს პოზიციას ავითარებს ი. ბაუშანიც. ამის შესახებ იხ. *Baumann*, *Weber*, AT (1985), გვ. 372-373.

პარალელურად განაგრძობს არსებობას⁵⁷. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ფსიქიკური მომენტები, ნორმატიულ მომენტებთან ერთად, კვლავ უცვლელი რჩება. გამომდინარე აქედან, ბრალი, კლასიკური სისტემისგან განსხვავებით, არა მარტო ფსიქოლოგიურ, არამედ ნორმატიულ ელემენტსაც შეიცავს⁵⁸; თუმცა ამ შემთხვევაში ხაზგასასმელია, როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს თავად განზრახვასა და ბრალს შორის. კერძოდ, გასარკვევია განზრახვის, როგორც ფსიქოლოგიური შინაარსის მქონე ინსტიტუტის, მიმართება ბრალთან, როგორც დანაშაულის შეფასებით კატეგორიასთან.⁵⁹

ცალკეულ მეცნიერთა მიერ ეს ურთიერთკავშირი ბრალის ცნებასა და განზრახვას შორის ინტერპრეტირებულია, როგორც კავშირი გვარეობით-მთლიან ნიშანსა (ბრალი) და მის სახეებს (განზრახვა და გაუფრთხილებლობა) შორის⁶⁰. ამგვარ ურთიერთდამოკიდებულებას კი კატეგორიულად უარყოფს რ. ფრანკი და ამაში იგი ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრების ერთ-ერთ უმთავრეს შეცდომას ხედავს. ის მიიჩნევს, რომ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ბრალის სახეებად გამოცხადებით ფსიქოლოგიზმა გადაულახავი ბარიერი წარმოქმნა, ვინაიდან „განზრახვასა და გაუფრთხილებლობაზე ყოველთვის ვერ ითქმის ის, რაც ითქმის ბრალზე.“⁶¹ კერძოდ, განზრახვა მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავეს ფსიქიკურ კავშირს ქმედებისადმი და არა ნორმატიულ მომენტებს. სწორედ ამიტომ, რ. ფრანკი უარყოფს მათ ბრალის სახეებად გამოცხადებას და შემოაქვს ბრალის ელემენტის ცნება.

მაშასადამე, რ. ფრანკი განზრახვას, ისევე როგორც გაუფრთხილებლობას, როგორც ბრალის ცნების ალტერნატიულ შემადგენელ ელემენტებს, ერთმანეთის გვერდიგვერდ განიხილავს. მას ბრალის, როგორც გვარეობითი ცნების, განსაზღვრა მიზანშეუწონლად მიაჩნია.⁶²

რ. ფრანკის ამ მოსაზრებას შემდგომში მრავალი მომხრე გამოუჩნდა. თანამედროვე ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენლები ბრალის, როგორც გასაკიცხაობის, კონსტრუირებას შეუძლებლად მიიჩნევენ, თუკი მასში განზრახვა და გაუფრთხილებლობა ცალკე ელემენტებად არ იქნება გამოყოფილი. ასე მაგალითად, ი. ბაუმანიც თავის მოძღვრებაში, ამგვარად განმარტავს ბრალის ცნების შინაარსს: „ბრალი შემდეგ ელემენტებს მოიცავს: 1) დამნაშავეს ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი, ანუ ის, რის გამოც იკიცხება პირი (ქმედების გათვალისწინება და ნებელობა – განზრახვა, ან გათვალისწინების შესაძლებლობა – გაუფრთხილებლობა); 2)

⁵⁷ იხ. Frank, FS (1907), გვ. 519, 528.

⁵⁸ იხ. Mayer, ZStW 26 (1911), გვ. 492, 503, 509 ff.

⁵⁹ იხ. List, Schmidt (1927), გვ. 217.

⁶⁰ შტრ. Safferling (2008), გვ. 53.

⁶¹ იხ. Frank, FS (1907), გვ. 519, 528.

⁶² იქვე.

შერაცხვისუნარიანობა; 3) ბრალის გამოძიების გარემოებები⁶³.

ბრალის ცნების ამ კონსტრუქციიდან გამომდინარეობს, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ელემენტებია და არა მისი ფორმები ან კიდევ სახეები, როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრებით იყო განსაზღვრული.

რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნებას, იგი განზრახვის შემადგენელი ერთ-ერთი ნიშანია ცოდნასა და ნებულობასთან ერთად და როგორც კლასიკურ სისტემაში, ამ შემთხვევაშიც ბრალის ეტაპზე დგინდება.⁶⁴ აღნიშნული მოძღვრებით, „განზრახვა არის ქმედების თითქმის ყველა სუბიექტური ფაქტორის განთავსების ადგილი, რომელშიც ასევე ასახული უნდა იყოს ქმედების ობიექტური მხარეც (მათ შორის მართლწინააღმდეგობაც)“.⁶⁵ ამ პოზიციას იზიარებს გერმანიის რაიხის სასამართლოც, რომელიც მიუთითებს, რომ „განზრახვაში, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, აისახოს მართლწინააღმდეგობის შეგნებაც, როგორც განზრახვის აუცილებელი და საჭირო ნიშანი“⁶⁶.

მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა თავად ტერმინ „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ გარშემო, რადგან ზოგიერთი ავტორი მას „მოვალეობისადმი წინააღმდეგობის“, ზოგიც „სოციალური ზიანის მიყენების“ შეცნობადობას უწოდებს, თუმცა ეს არ ცვლის საერთო სურათს მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან მიმართებით. უმართლობის შეგნებას უწინდებურად ისევ და ისევ ბრალის ეტაპზე უკავია თავისი ადგილი.⁶⁷

თუკი ტერმინ „მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან“ – დაკავშირებით მეცნიერთა შორის ერთგვარი „უთანხმოებაა“, მის შინაარსობრივ მხარეს ეს პრობლემა ნაკლებად ეხება; ბრალის კომპლექსურ-ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენელთა შორის დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ ინდივიდუალური გასაკიცხაობისთვის საკმარისი არაა მხოლოდ ქმედების ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა; საჭიროა, ასევე, ცოდნა ქმედების აკრძალულობის შესახებაც. ამასთან, დამნაშავეს არ მოეთხოვება სისხლის სამართლის კანონის ნორმების დაწვრილებითი შეცნობა.

ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის მიმდევართა შეხედულებებისგან განსხვავებით, ბრალის კომპლექსურ-ფსიქოლოგიური მოძღვრების აქტიური დამცველები, მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნების ნაცვლად, განზრახვის დასასაბუთებლად, სულ მცირე, ამ ნიშნის პოტენციური შეგნების არსებობითაც კმაყოფილებიან. ასე მაგალითად, გასაკიცხაობისთვის საკმარის წინაპირობად *მ. ე. მაიერი* თვლის მოვალეობისადმი წინააღმდეგობის შესაძლო (პოტენციურ) შეგნებულობას⁶⁸. იგი ამ შემთხვევაში არ იზიარებს თავის ადრინდელ პოზი-

⁶³ იხ. *Baumann, Weber*, AT (1985), გვ. 372-373.

⁶⁴ იხ. *Nagler*, Binding FS (1911), გვ. 273, 343.

⁶⁵ იხ.: *Frank*, FS (1907), გვ. 519, 537; *Achenbach* (1974), გვ. 99.

⁶⁶ იხ.: RGS1 20, გვ. 393; RGS1 26, გვ. 265.

⁶⁷ იხ. *Achenbach* (1974), გვ. 99.

⁶⁸ იხ. *Mayer*, ZStW 26 (1911), გვ. 492.

ციას, როცა განზრახვის დასამტკიცებლად მოვალეობისადმი წინააღმდეგობის აქტუალურ შეგნებას მოითხოვდა და განზრახვისთვის ამ ნიშნის შესაძლო-პოტენციური ფორმით არსებობას სჯერდება⁶⁹.

ასე რომ, ნეოკლასიკური თეორიის მიხედვით, ფსიქიკური დამოკიდებულება ნორმატიულთან ერთად შეადგენს უკვე ბრალის ცნების მხოლოდ ერთ-ერთ ელემენტს და არა მის მთლიან შინაარსს.⁷⁰ ეს ნორმატიული ელემენტი მოგვიანებით ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა ბ. ფროიდენტალმა ერთი საერთო ნიშნის ქვეშ მოაქცია და მას სხვაგვარად მოქმედების შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობა უწოდა.⁷¹ ავტორის მოსაზრებით, ბრალი არსებობს მაშინ, როცა პირს ჰქონდა ნორმის შესამაბისი მოქმედების შესრულების შესაძლებლობა.⁷²

რაც შეეხება შერაცხადობას, თუკი კლასიკური სისტემის წარმომადგენელთათვის ის იყო განზრახვი და გაუფრთხილებლობითი ბრალის წინაპირობა, ამ სკოლის მიმდევრებისთვის შერაცხადობა უკვე ბრალის ერთ-ერთი ნიშანია⁷³. ამის შესახებ რ. ფრანკი მიუთითებს: „შერაცხადობა უნდა იყოს არა ბრალის წინაპირობა, არამედ მისი ადგილი ბრალშია.“⁷⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნეოკლასიკურმა სისტემამ შეძლო სისხლის სამართლის მოძღვრებაში ნოვაციური ელემენტების შემოტანა. უმართლობის ნორმატიული და სუბიექტური ნიშნებისა და ბრალის კომპლექსურ-ნორმატიული მოძღვრების აღიარება მართლაც რომ წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარებისთვის, თუმცა მან მაინც ვერ მოახერხა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, რაც გულისხმობს განზრახვის გამოცხადებას უმართლობის სუბიექტურ ნიშნად. გარდა ამისა, აღნიშნული მოძღვრების ერთ-ერთ კრიტიკულ პუნქტს წარმოადგენს ის, რომ იგი შეფასების ობიექტსა და შეფასებას ორივეს ერთობლივად ბრალის ცნების ქვეშ აერთიანებს.⁷⁵ სწორედ ეს მომენტი იყო ფინალური მოძღვრების კრიტიკის ამოსავალი წერტილი⁷⁶, რამაც საბოლოო ჯამში ნეოკლასიკური სისტემის რღვევას დაუდო საფუძველი.

⁶⁹ იხ.: Mayer (1901), გვ. 114; Mayer (1903), გვ. 81.

⁷⁰ იხ. Roxin, AT I (2006), გვ. 857.

⁷¹ იხ.: Freudenthal (1922), გვ. 7; Roxin, AT I (2006), გვ. 857; ტურავა (2011), გვ. 408.

⁷² იხ.: Freudenthal (1922), გვ. 7; Jescheck, Weigend, AT (1996), გვ. 421.

⁷³ იხ. Frank, FS (1907), 23-ე, მე-9 სქოლიო.

⁷⁴ იქვე, 23-ე, მე-9 სქოლიო, ასევე იხ.: Roxin, AT I (2006), გვ. 856; Baumann, Weber, AT (1985), გვ. 370.

⁷⁵ სწორედ ამის გამო ბრალის ეს თეორია პირველად მწვავედ გერმანელმა მეცნიერმა გ. ცლონამ გააკრიტიკა. ამის შესახებ იხ. Dohna (1950), გვ. 22, 40.

⁷⁶ იხ.: Baumann, Weber, AT (1985), გვ. 370; Maurach, Zipf, AT I (1992), გვ. 422; Turava (1998), გვ. 66.

1.4. ბრალი, რომორც გასაკიცხაობა და განზრახვა, რომორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანი

განზრახვის ცნებისა და ბრალის იდეის განვითარების მესამე ეტაპს წარმოადგენს ბრალის წმინდა ნორმატიული თეორია, რომელიც გერმანელი მეცნიერების *გ. ც. დონას*⁷⁷ და *ჰ. ველცელის*⁷⁸ სახელებს უკავშირდება⁷⁹. თუმცა, აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ აღნიშნულ მოძღვრებას გზა გაუკვალა იმ ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ, რომელიც მეცნიერებაში ანტიფსიქოლოგიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ უკანასკნელის ფუძემდებლად კი ითვლება *ნ. ჰარტმანი* თავისი მოძღვრებით ადამიანური მოქმედების ფინალობის საკითხზე.⁸⁰ ავტორი ქმედების სუბიექტურ მხარეს შემდეგი სამი აქტის ერთობლიობად წარმოგვიდგენს:

(1) გონებაში მიზნის დასახვა, როგორც მომავლის წინასწარ განჭვრეტა (ანტიციპაცია);

(2) გონებაში ხერხთა შერჩევა დასახული მიზნის მისაღწევად;

(3) დასახული მიზნის რეალიზება შერჩეულ ხერხთა გამოყენებით.⁸¹

სწორედ *ნ. ჰარტმანის* ამ თეორიაზე დაყრდნობით მოგვიანებით *ჰ. ველცელმა* განავითარა მოსაზრება, რომ ადამიანის მოქმედება ყოველთვის მიზანმიმართულია, ფინალურია, ე.ი. რაიმე შედეგზეა ორიენტირებული⁸². ეს ნიშნავს იმას, რომ არსებობს არა ნებელობითი მოქმედება ზოგადად, არამედ მკვლევლობის მოქმედება, ქურდობის მოქმედება და ა.შ.⁸³ გამომდინარე აქედან, ფსიქიკური კავშირის გარეშე, ცალკე აღებული მოქმედება არ არსებობს, ვინაიდან ადამიანის მოქმედება მისი ფსიქიკისგან განუყრელი ნაწილია და მისგან დამოუკიდებლად არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

მაშასადამე, *ჰ. ველცელის* დოგმატიკით, მოქმედება ყოველთვის დაკავშირებული უნდა იყოს პირის ნებელობით აქტთან, რომელიც შესაძლებელია, განზრახვაში ან კიდევ გაუფრთხილებლობაში გამოიხატოს⁸⁴. ამ მოსაზრების შედეგად სისტემური ცვლილებები დაიწყო ბრალის ცნებაში. განზრახვა და,

⁷⁷ იხ. *Dohna* (1950), გვ. 46-47.

⁷⁸ იხ. *Welzel* (1949), გვ. 22-29.

⁷⁹ ფინალური მოძღვრებას თავიანთი ნაშრომები მიუძღვნეს ასევე გერმანული დოგმატიკის სხვა წარმომადგენლებმაც, მაგალითად: *გ. ჰარდვიგი*, *ჰ. ვებერი*, *რ. მურახი*, *რ. ბუში* და სხვა. ამის შესახებ იხ.: *Hardwig* (1957), გვ. 187-189; *Weber* (1948), გვ. 63-64; *Maurach*, AT (1954); *Busch* (1949), გვ. 11-13.

⁸⁰ იხ.: *Hartmann* (1962), გვ. 195; *Hartmann* (1951), გვ. 2-3, 17, 68; *Ulrich*, Emge FS (1960), გვ. 33-40; *Welzel*, JuS (1966), გვ. 423.

⁸¹ იხ.: *Hartmann* (1962), გვ. 195; *Ulrich*, Emge FS (1960), გვ. 34-35.

⁸² შტრ. *Welzel*, JuS (1966), გვ. 421-425.

⁸³ შტრ. *Welzel* (1969), გვ. 64, 185-186.

⁸⁴ შტრ. *Welzel* (1961), გვ. 42-43.

ასევე, გაუფრთხილებლობა ტრადიციულად გავრცელებული ბრალის ფსიქოლოგიური ცნებიდან მოქმედების ცნებაში გადავიდა და ბრალი განისაზღვრა როგორც წმინდა გასაკიცხაობა. *ჰ. ველცელი* ამის შესახებ წერს: „თუკი ბრალი არის მოქმედების ბრალეული ნება, ანუ შეფასების ობიექტისა და შეფასების ერთობლიობა, მაშინ განზრახვა ბრალს უნდა მიეკუთვნოს, მაგრამ, რამდენადაც ბრალს განვსაზღვრავთ როგორც მხოლოდ მოქმედების ნების შეფასებას, ანუ როგორც შეფასებას შეფასების ობიექტის გარეშე, განზრახვის ადგილი ბრალის ცნებაში ვერასოდეს იქნება.“⁸⁵

ალსანიშნავია, რომ *ჰ. ველცელის* ეს შეხედულება იდეის დონეზე პირველად სწორედ *გ. ც. დონამ* ჩამოაყალიბა. მან განზრახვა ბრალის ცნებიდან გამოიტანა და ჩათვალა, რომ მისი ადგილი ბრალში არ უნდა ყოფილიყო.⁸⁶ ავტორი ამის შესახებ უთითებს: „საჭიროა, მკაცრად გაიმიჯნოს ერთმანეთისგან შეფასება (გასაკიცხაობა) და შეფასების ობიექტი (განზრახვა)“.⁸⁷ თუმცა *გ. ც. დონას* მოძღვრების სისუსტე არის ის, რომ მან, მართალია, განზრახვა ბრალის ცნებიდან გამოიტანა, მაგრამ ამ უკანასკნელს ადგილი დანაშაულის ვერცერთ ნიშანში ვერ მოუძებნა, რის გამოც იგი „ჭაერში გამოკიდებული“, როგორც *ჰ. ველცელი* მიუთითებს, „უთავშესაფროდ“ დატოვა.⁸⁸

მოგვიანებით ის, რაც *გ. ც. დონამ* ვერ მოახერხა, სწორედ *ჰ. ველცელმა* შეძლო. მან განზრახვას „თავშესაფარი“ უბოვა და იგი ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში „დააბინავა“. ამით მან ბრალის ცნება მთლიანად „გაწმინდა“ ფსიქოლოგიური ელემენტებისგან.⁸⁹ *ჰ. ველცელი* ამის შესახებ აღნიშნავს: „თუ ერთმა ადამიანმა მეორეს ესროლა, იმის დადგენა, ეს მოქმედება მკვლელობის მცდელობაა თუ სხეულის დაზიანების მცდელობა, ან მხოლოდ ნებადაურთავ ადგილას გასროლა, – შეიძლება მხოლოდ მოქმედის განზრახვის მიხედვით გადაწყდეს. განზრახვა უდავოდ შემადგენლობის ნიშანია, ურომლისოდაც შეუძლებელია დადგინდეს, შეესაბამება თუ არა გარეგანი ქმედება ქმედების შემადგენლობას. ამგვარად, განზრახვა მცდელობის დროს უმართლობის სუბიექტური ელემენტია, ხოლო რადგან განზრახვა მცდელობისას ეკუთვნის არა ბრალს, არამედ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მან ეს ფუნქცია იმ შემთხვევაშიც უნდა შეინარჩუნოს, როდესაც მოქმედება მცდელობის სტატიიდან დამთავრებული დანაშაულის სტადიაში გადავა“.⁹⁰ გამომდინარე აქედან, *ჰ. ველცელმა* განზრახვა უპირობოდ ქმედების შემადგენლობის ელემენტად გამოაცხადა, ხოლო ბრალი წმინდა შეფასებით კატეგორიად გადააქცია.

ბრალის ცნებიდან ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ცნებაში გადატ-

⁸⁵ შდრ. *Welzel* (1949), გვ. 24.

⁸⁶ იხ. *Dohna* (1950), გვ. 42.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ იხ.: *Welzel* (1969), გვ. 140; *Welzel*, JuS (1966), გვ. 421-425.

⁸⁹ იხ.: *Welzel* (1961), გვ. 28; *Roxin*, AT I (2006), გვ. 202-203.

⁹⁰ იხ.: *Welzel* (1961), გვ. 228-229; *Welzel*, JuS (1966), გვ. 422.

ანილი განზრახვა აღარ არის ტრადიციულად გაგებული „ბოროტი განზრახვა“ (dolus malus), რომელიც მუდამ უარყოფითად ხასიათდებოდა, არამედ იგი ქმედების ცნებაში განიხილება, როგორც ბუნებრივი, არაბოროტი განზრახვა, რომელიც ყოველგვარი შეფასებისგან თავისუფალია.⁹¹ ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვა წარმოდგენილია მხოლოდ ინტელექტუალური და ვოლუნტატიური ელემენტების სახით. ავტორის აზრით, ნებელობის კომპონენტთან ერთად, განზრახვას მოეთხოვება ასევე: 1) ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ცოდნის არსებობა; 2) სავარაუდო შედეგის დადგომის შეცნობა და 3) მიზეზობრივი კავშირის სავარაუდო მიმდინარეობის შესახებ ცოდნა.

რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნებას, *კ. ველცელის* შეხედულებით, ის უკვე განზრახვის პრობლემა აღარ არის და იგი განზრახვისგან დამოუკიდებლად უნდა იქნეს განხილული.⁹²

მაშასადამე, მართლწინააღმდეგობის შეგნება, რომელიც კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიების მიხედვით, „ბოროტი განზრახვის“ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენდა, ფინალური სკოლის მიმდევართა მოსაზრებით, საჭიროა, ბრალის სფეროში ბუნებრივი განზრახვისგან დამოუკიდებლად დასაბუთდეს.⁹³

გერმანელი მეცნიერი *კ. კ. იეშეკი* თავის სახელმძღვანელოში მიუთითებს ფინალიზმის შემდეგ სამ თვისებაზე:

ა) ქმედება ვიწრო და შეზღუდული გაგებით არის ადამიანური მიზანმიმართული საქმიანობა;

ბ) განზრახვა ეკუთვნის არა ბრალს, არამედ ქმედებას;

გ) განზრახვი და გაუფრთხილებლობითი დელიქტები შეიძლება ერთმანეთისგან გაიმიჯნონ უკვე უმართლობის შემადგენლობის ეტაპზევე.⁹⁴

ასე რომ, ფინალიზმის თანახმად, განზრახვა ისევე, როგორც გაუფრთხილებლობა, შეადგენს ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშნებს, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნება წარმოდგენილია ბრალში, როგორც ბრალის ერთ-ერთი დამოუკიდებელი ნიშანი, რომელსაც ე.წ. „ბუნებრივ განზრახვასთან“ კავშირი არა აქვს.

მაშასადამე, ფინალური მოძღვრების მიხედვით, განზრახვა უკვე არის ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებისკენ მიმართული ცოდნისა და ნებელობისგან შემდგარი ერთი მთლიანი ელემენტი; მართლწინააღმდეგობის შეგნება კი ბრალის სფეროში ინარჩუნებს დამოუკიდებელ ადგილს, როგორც მისი შემადგენელი ერთ-ერთი ნიშანი.⁹⁵

⁹¹ იხ. *Welzel* (1969), გვ. 64-77.

⁹² იქვე, გვ. 77.

⁹³ იხ.: *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 212; *Turava* (1998), გვ. 69.

⁹⁴ იხ. *Jescheck*, ZStW (1981), გვ. 16.

⁹⁵ იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 212.

1.5. შეჯამება

ისტორიული განვითარების ის ეტაპები, რომლებიც ზემოთ იქნა განხილული, მე-19, მე-20 საუკუნეების გერმანული იურიდიული აზროვნების ნაყოფი იყო.

ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის ნაკლი არის ის, რომ ბრალი განიმარტება, როგორც ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და, ასევე, დამდგარი შედეგისადმი; ამ ლოგიკით კი აუცილებელი მოგერიების ვითარებაში მყოფ პირსაც უნდა ჰქონდეს ბრალი. ქმედების ჩამდენი ასეთ შემთხვევაში ითვალისწინებს, რომ აზიანებს თავდამსხმელს და აქვს კიდევ ასეთი დაზიანების ნებელობა.

დაუდევრობა არის, ასევე, ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიის მთავარი გადაუჭრელი პრობლემა, რადგან ამ დროს ფსიქიკური კავშირი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. სწორედ ამ მიზეზთა გამო, ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას პრობლემა შეექმნა და მან კრახი განიცადა.

რაც შეეხება ბრალის კომპლექსურ-ფსიქოლოგიური თეორიას, მის ერთ-ერთ კრიტიკულ პუნქტს წარმოადგენს ის, რომ იგი შეფასების ობიექტსა და შეფასებას ორივეს ერთობლივად ბრალის ცნების ქვეშ აერთიანებს. ბრალი ან ფსიქოლოგიურ კატეგორიად უნდა დარჩეს, ან მხოლოდ შეფასების ობიექტად იქცეს. გამომდინარე აქედან, განზრახვა ან მთლიანად უნდა ამოირიცხოს ბრალის ცნებიდან, ან კიდევ ბრალში დარჩეს, მაგრამ ნორმატიული ბუნება ჩამოსცილდეს.

გარდა ამისა, ამ მოძღვრების სისუსტეზე მეტყველებს ასევე ის ფაქტიც, რომ დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს სუბიექტური კომპონენტებით აგებულ დელიქტის ტიპს: მაგალითად, მკვლელობის მცდელობის დროს განზრახვა აფუძნებს ქმედების უმართლობას, მაშინ, როდესაც იმავე დანაშაულის დამთავრების შემთხვევაში იგი ბრალის ნიშნად იქცევა და უმართლობა მხოლოდ წმინდა ობიექტური ნიშნით აიგება. გამომდინარე აქედან, გაუგებარია, თუ მკვლელობის განზრახვა მცდელობის დროს უმართლობას ეკუთვნის, როგორ შეიძლება, იგივე სუბიექტური ნიშანი ამ დელიქტის დამთავრების შემთხვევაში არა უმართლობის, არამედ ბრალის დამაფუძნებელი ნიშანი გახდეს. აღნიშნულ კითხვაზე დამაჯარებელ პასუხს ვერ სცემენ დასახელებული მოძღვრების წარმომადგენელები. ამ პრობლემასთან დაკავშირებით კი საჭიროა ცალსახად ითქვას, რომ დანაშაულის ორივე სტადიაზე ერთსა და იმავე სუბიექტურ კომპონენტს უმართლობის ერთი და იგივე დამაფუძნებელი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. შესაბამისად, განზრახვას დამთავრებული დელიქტების შემთხვევაში იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაც მას მცდელობის სტადიაზე გააჩნია.

ასე რომ, ვერც ბრალის ფსიქოლოგიური და ვერც ბრალის კომპლექსურ-ფსიქოლოგიური თეორია განზრახვის პრობლემას რაციონალურად ვერ წყვეტს. განხილული მოძღვრებებიდან უდავოდ გასაზიარებელია ფინალური სისტემის

წარმომადგენლთა ის შეხედულებები, რომელთა მიხედვით განზრახვა ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში წარმოდგენილი და იგი ცოდნისა და ნებელობის სახით მოწმდება დანაშაულის ამ ეტაპზე.

ამ მოძღვრების მიმდევართა შეხედულების მართებულობა კი დასაბუთებულია იმით, რომ ცალკე აღებული მოქმედება ფსიქიკური კავშირის გარეშე არ არსებობს. ადამიანის მოქმედება მისი ფსიქიკის განუყრელი ნაწილია და მისგან დამოუკიდებლად არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ასე მაგალითად, როცა ერთი პირი მეორეს ესვრის, შეიძლება ეს გარეგანი კაუზალური ქცევა მკვლელობის მცდელობა, ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობა ან კიდევ სხვა ქმედება იყოს, იმისდა მიხედვით, თუ რა განიზრახა პირმა. სწორედ ამიტომ, შეუძლებელია, მცდელობის დროს, პირის სუბიექტური მიზანდასახულობის გარეშე, წმინდა ობიექტურად დადგინდეს ქმედების თუ რომელი შემადგენლობა იქნა განზოცვილებული. შესაბამისად, განზრახვა ყოველთვის ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელ კატეგორიას უნდა წარმოადგენდეს. მაშასადამე, იგი უნდა იყოს არა ბრალის, არამედ უფრო ადრეულ სტადიაზე ქმედების შემადგენლობის ნიშანი. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, მართებულია, ნაშრომში გამოსაკვლევი ინსტიტუტები გაანალიზდეს ფინალური მოძღვრების მიხედვით.

2. განზრახვა გერმანულ სისხლის სამართალში

2.1. საპითხის მოკლე მიმოხილვა

სისხლის სამართლის დოგმატიკა იცნობს როგორც განზრახვის (პირდაპირი და არაპირდაპირი), ისე გაუფრთხილებლობის (თვითიმედოვნება და დაუდევრობა) ორ-ორ სახეს. მათი ერთმანეთისაგან გამოიჯენა კი, ერთი მხრივ, აუცილებელია დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, სასჯელის დანიშვნის დასაბუთებისთვის. კონტინენტალურ-ევროპული და, მათ შორის, გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობა აწესებს პასუხისმგებლობას როგორც განზრახვი, ისე გაუფრთხილებლობითი ქმედებისათვის.

გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კანონი, შვეიცარიის⁹⁶ და ავსტრიის⁹⁷ სისხლის სამართლის კოდექსებისგან განსხვავებით, განზრახვის ცნების შინაარსს საერთოდ არ განსაზღვრავს⁹⁸. მისი მე-15 პარაგრაფი შეიცავს მხოლოდ ზოგად განმარტებას იმის შესახებ, რომ ის ქმედების შემადგენლობები, რომლებიც მოცემულია კანონის კერძო ნაწილში, შესაძლებელია,

⁹⁶ იხ. შვეიცარიის სსკ-ის მე-12 მუხლი.

⁹⁷ იხ. ავსტრიის სსკ-ის მე-5 მუხლი.

⁹⁸ გერმანულ დოგმატიკაში განზრახვის ცნების შესახებ იხ. *მაღლაკელიძე* (2013), გვ. 291-324.

მხოლოდ განზრახ იქნეს ჩადენილი, თუკი მათი გაუფრთხილებლობისთვის დასჯადობა პირდაპირ არ იქნება კოდექსში გათვალისწინებული. გამომდინარე აქედან, კანონმდებელი აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას ანდობს სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკას.

განზრახვის ცნება თანამედროვე გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში შემდეგი სახით განისაზღვრება: „განზრახვა ეს არის ცოდნითა და ნებელობით განხორციელებული ქმედების შემადგენლობა“⁹⁹.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ განზრახვის ცნების ამგვარი ფორმულირება არ არის ზუსტი და სრულყოფილი¹⁰⁰, თუმცა, მისი ასეთი სახით არსებობას ისტორიული საფუძველი აქვს. კერძოდ, განზრახვის აღნიშნული ცნება გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერებაში სათავეს მე-18 საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს. გერმანელმა ფილოსოფოსმა კ. ვოლფმა თავის ნაშრომში განზრახვა შემდეგნაირად განმარტა: „განზრახი ქმედება იმის მიერ არის ჩადენილი, ვინც მოქმედებას იცნობს და მოქმედების ჩადენის ნებელობა აქვს“¹⁰¹. მსგავს განსაზღვრებას აკეთებს, აგრეთვე ფილოსოფოსი ი. გ. დარიესი. იგი მიუთითებს, რომ „ვინც განზრახ მოქმედებს, მოქმედებს ცოდნითა და ნებელობით“¹⁰² თუმცა, აქვე ხაზგასასმელია, რომ როგორც ვოლფის, ისე დარიესის შეხედულებებში განზრახვა, როგორც *dolus malus* – ანუ როგორც ბოროტი განზრახვა, ისეა დეფინირებული. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ამ ცნებაში, ასევე, მართლწინააღმდეგობის შეგნებაც მოიაზრება და მისი ადგილი მხოლოდ ბრალშია¹⁰³.

მოგვიანებით, მე-20 საუკუნის დასაწყისში, განზრახვას მართლწინააღმდეგობის შეგნება ცალკე გამოეყო და მხოლოდ ორი კომპონენტით გააგრძელა არსებობა, სახელდობრ, როგორც ცოდნითა და ნებელობით განხორციელებული ქმედების შემადგენლობამ¹⁰⁴ განზრახვის ცნების ამგვარ ფორმულირებას შეიცავდა, ასევე, 1962 წლის გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ალტერნატიული პროექტიც. მის მე-17 პარაგრაფში მითითებულია: „განზრახ მოქმედებს ის, ვინც კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას ცოდნითა და ნებელობით განხორციელებს“¹⁰⁵ თუმცა, კანონმდებელმა განზრახვის დეფინიციის საკანონმდებლო დონეზე რეგულირება მიზანშეწონილად

⁹⁹ აღნიშნულის შესახებ იხ.: BGHSt 19, გვ. 295-298; BGHSt 36, გვ. 1-10; Roxin, AT I (2006), გვ. 436-437; Welzel (1969), გვ. 64; Satzger, Jura (2008), გვ. 112-113; MüKo-Joelcks I (2011), გვ. 762; Hruschka, Roxin FS (2001), გვ. 443; Otto, Jura (1996), გვ. 468.

¹⁰⁰ შდრ.: Otto, Jura (1996), გვ. 468; Satzger, Jura (2008), გვ. 113.

¹⁰¹ ლათ.: Actio dolosa committitur a sciente & volente. ამის შესახებ იხ. Wolf (1738), §705. – მითითებულია წიგნში: Hruschka, Roxin FS (2001), გვ. 443.

¹⁰² ლათ.: Qui dolose agit, ille sciens & volens agit dolose. ამის შესახებ იხ. Daries (1740), §196. – მითითებული წიგნში: Hruschka, Roxin FS (2001), გვ. 443.

¹⁰³ იხ. Hruschka, Roxin FS (2001), გვ. 443-444.

¹⁰⁴ იქვე.

¹⁰⁵ იხ. Schmidhäuser (1968), გვ. 6.

არ ჩათვალა და ამ პრობლემის გადაწყვეტა სისხლის სამართლის მეცნიერებასა და სამართალშემოქმედებით საქმიანობას მიანდო.

მაშასადამე, განზრახვა გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დეფინირებულია როგორც ცოდნითა და ნებელობით განხორციელებული დანაშაულის შემადგენლობა. იგი ქმედების შემადგენლობის ეტაპზე მხოლოდ ორი – კოგნიტიური და ვოლუნტატიური – ნიშნით ღვინდება.

2.2. პრობლემის დასმა

ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში განზრახვის გადატანა და მისი ამგვარი ფორმით ჩამოყალიბება უკავშირდება დანაშაულის შესახებ არსებულ ე.წ. ფინალურ მოძღვრებას. კერძოდ, ჰ. ველცელის მიერ ბრალის ცნებიდან ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ბუნებრივი განზრახვის გადატანის იდეა მოგვიანებით გაბატონებულ შეხედულებად იქცა გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და პრაქტიკაში. ამაზე მიუთითებს სასამართლოს ის გადაწყვეტილებებიც, რომლებიც განზრახვას ქმედების შემადგენლობის ნიშნად აღიარებს. ჯერ კიდევ რაიხის უზენაესი სასამართლო ცალსახად უჭერდა მხარს ფინალური მოძღვრების მიერ დამკვიდრებული ბუნებრივი განზრახვის ცნებას¹⁰⁶. განზრახვა, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური ნიშანი, ასევე დასაბუთებულ იქნა გერმანიის ფედერალური სასამართლოს განაჩენებშიც¹⁰⁷. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მიუთითა: „განზრახვა ეს არის დანაშაულის შემადგენლობის ნებელობითი განხორციელება ყველა მისი ფაქტობრივი გარემოების შეცნობით“¹⁰⁸.

განზრახვის ცნების ამგვარი სახით არსებობა ნიშნავს იმას, რომ ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანი „ცოდნითა და ნებელობით“ კუმულაციურად უნდა განხორციელდეს¹⁰⁹. თუმცა, როგორც ინტელექტუალური, ისე ნებელობითი ელემენტის მიმართ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი შეხედულებაა. ეს კი, განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, განზრახვის მისამართით არსებული რამდენიმე პრობლემური შეკითხვით, კერძოდ, (1) რა მოცულობითა და ინტენსიურობით უნდა არსებობდეს განზრახვაში ინტელექტუალური ელემენტი – აქტუალური თუ პოტენციური ფორმით; (2) როგორ უნდა დადგინდეს განზრახვის კოგნიტიური ელემენტი აფექტური, რეფლექსური და ავტომატიზებული დანაშაულების ჩადენის დროს; (3) როგორ უნდა განისაზღვროს ცოდნის კომპონენტი დანაშაულის შემადგენ-

¹⁰⁶ შდრ.: RGSt 44, გვ. 325-327; RGSt 51, გვ. 305-311; *Schmidhäuser* (1968), გვ. 6; *Hruschka*, *Roxin FS* (2001), გვ. 444.

¹⁰⁷ იხ.: BGHSt 19, გვ. 295-298; BGHSt 36, გვ. 1-10; BGHSt 51, გვ. 100-119.

¹⁰⁸ იხ. BGHSt 19, გვ. 289, ასევე შდრ. *Hruschka*, *Roxin FS* (2001), გვ. 444.

¹⁰⁹ იხ.: *Heinrich AT I* (2010), გვ. 101; *Satzger*, *Jura* (2008), გვ. 113.

ლობის აღწერილობითი და ნორმატიული ნიშნების მიმართ; (4) საჭიროა თუ არა განზრახვაში საერთოდ ვოლუნტატიური ელემენტის დასაბუთება.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად კი მიზანშეწონილია ამ პრობლემების გამოკვლევა და მათი ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევის შემდეგ თავად განზრახვის შინაარსობრივი მხარის დოგმატური გაანალიზება.

2.3. განზრახვა, როგორც ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და ნებელობა

2.3.1. ცოდნის ელემენტი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებლად, როგორც ზემოთ აღინიშნა, საჭიროა, პირმა ქმედების ობიექტურ შემადგენლობასთან ერთად სუბიექტური შემადგენლობაც განახორციელოს. კონკრეტულად რომ ითქვას, ასეთ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, დასადგენია, ქმედების ჩამდენ პირს დელიქტებში მოცემული ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნები შეცნობილი ჰქონდა თუ არა¹¹⁰. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ აუცილებელია განზრახვის ინტელექტუალური კომპონენტის შინაარსობრივი მხარის სათანადო დამტკიცება¹¹¹. ამაზე მიუთითებს ცალსახად გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფიც, სადაც აღნიშნულია, რომ, თუკი პირი არ იცნობს ქმედების ფაქტობრივ გარემოებებს, მას განზრახი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. გარდა ამისა, ზოგიერთ დანაშაულში, საჭიროა, ასევე, ცოდნის, როგორც არსებითი ნიშნის დეტალური შემოწმებაც. განსაკუთრებით, ეს ეხება ისეთ დანაშაულებს, სადაც ცალკეულ დელიქტებში კანონმდებელი პირდაპირ მიანიშნებს კოგნიტიური ელემენტის არსებობის აუცილებლობაზე. ასე მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი (საბოტაჟის დანაშაული); კოდექსის 187-ე პარაგრაფი (ცილისწამება) და სხვ.¹¹² თუმცა, ამგვარი სახის დანაშაულებში პრობლემას შეადგენს სწორედ იმის დასაბუთება, რა მოცულობით უნდა იქნეს „ცოდნის“ ელემენტი მასში წარმოდგენილი.

ინტელექტუალურ ელემენტს განზრახვის ცნებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ზოგიერთი მეცნიერი მას უპირატესობასაც კი ანიჭებს ნებელობის ელემენტთან შედარებით¹¹³.

განზრახვაში „ცოდნის“ შემოწმების აუცილებლობა დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ განზრახ ჩადენილ ყველა დელიქტში საჭიროა, უპირველეს

¹¹⁰ იხ. *Heinrich*, AT I (2010), გვ. 102.

¹¹¹ შდრ.: *BGHSt* 19, გვ. 295-298; *Warda*, *Jura* (1979), გვ. 1-5; *Bloy*, *JuS* (1989), გვ. L1-L4.

¹¹² შდრ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 437.

¹¹³ იხ. *Satzger*, *Jura* (2008), გვ. 113.

ყოვლისა, დადგინდეს, ჰქონდა თუ არა დამნაშავეს ფაქტობრივი გარემოებები გაცნობიერებული და მხოლოდ შემდეგ უნდა შემოწმდეს, მოქმედებდა თუ არა იგი ნებელობით¹¹⁴. როგორც პირველი (კოგნიტიური), ისე მეორე (ვოლუნტატიური) ელემენტის არარსებობა კი ნიშნავს განზრახვის ავტომატურად გამორიცხვას.¹¹⁵

ცნობილია, რომ განზრახვის დასამტკიცებლად დამნაშავეს არ მოეთხოვება ფაქტობრივი გარემოებების ზუსტი და დაწვრილებითი ცოდნა¹¹⁶. იურიდიულ ლიტერატურაში მსჯელობის საგანს შეადგენს, საკმარისია თუ არა განზრახვის დასადგენად გარემოებების პოტენციური შეცნობა და ზომ არ არის ყოველთვის საჭირო მისი აქტუალური ფორმით წარმოდგენა. გამოძინარე აქედან, უნდა გაირკვეს, რამდენად დასაბუთებულია განზრახვის ცნებაში ქმედების ფაქტობრივი გარემოებების მიმართ აქტუალური ან პასიური ცოდნის არსებობა.

2.3.1.1. განზრახვის ცნებაში აქტუალური და პასიური ცოდნის არსებობის პრობლემა

სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულებით, აუცილებელია, პირის ცოდნა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე არსებობდეს აქტუალური ფორმით¹¹⁷, რაც ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის დროს ფაქტობრივი გარემოებები „ამკარად“ შეცნობილი უნდა ჰქონდეს, კონკრეტულად თვალწინ უნდა ედგას¹¹⁸. ამაზე მიუთითებს, გარკვეულწილად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 პარაგრაფი, რომელიც ეძღვნება ფაქტობრივი ხასიათის შეცდომას. ამ ნორმის პირველ ნაწილში მითითებულია: „ის, ვინც ქმედების განხორციელების დროს არ იცნობს გარემოებას, რომელიც კანონით განსაზღვრულ ქმედების შემადგენლობას მიეკუთვნება, განზრახ არ მოქმედებს. შესაბამისად, პირი შეიძლება, დაისაჯოს მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის“.

მაშასადამე, კანონმდებელი, ერთი შეხედვით, ცალსახად საუბრობს განზრახვაში აქტუალურ ცოდნაზე და მისი არარსებობის შემთხვევაში პირს პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობითი დანაშაულისთვის აკისრებს¹¹⁹. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ განზრახვა ასეთ ვითარებაში, როგორც დანაშაულის ჩადენის უბრალო გადაწყვეტილება, სისხლისსამართლებრივად ირელევანტუ-

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ იხ. *Welzel* (1969), გვ. 64.

¹¹⁶ იხ.: *Roxin*, AT I (2006), გვ. 497; *BGHSt*, *NStZ* (2004), გვ. 201; *BGHSt* (2004), გვ. 79-81; *Kühl*, AT (2008), გვ. 106; *Satzger*, *Jura* (2008), გვ. 115.

¹¹⁷ შტრ. *Schmidhäuser*, *JuS* (1980), გვ. 241.

¹¹⁸ იხ.: *Welzel* (1969), გვ. 65; *MüKo-Joelcks I* (2011), გვ. 762, 765-767.

¹¹⁹ იხ. *Schmidhäuser*, *JuS* (1980), გვ. 241.

რია, რადგან სისხლის სამართალი მართო აზრს არ სჯის. რელევანტური ასეთი აზრი მაშინ გახდება, როცა იგი ქმედებაში იქნება გამოხატული, ე.ი., როცა პირი ქმედებას განაზოცილებს და მასზე „იბატონებს.“¹²⁰ თუმცა, ამ მსჯელობიდან გამომდინარე, გასარკვევია, საკმარისია თუ არა განზრახვის დასასაბუთებლად გარემოებების მიმართ პასიური ცოდნის არსებობა?

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ავსტრიელ მეცნიერს ვ. პლატცგუმერს¹²¹, რომელმაც სისხლის სამართლის დოგმატიკაში განავითარა შეგნებულობის ორი დამოუკიდებელი ქვესახე. კერძოდ: (1) თანაცნობიერება (Mitbewusstsein); (2) მუდმივად თანმდევი ცოდნა (ständiges Begleitwissen)¹²². გამომდინარე აქედან, შეგნებულობის ამ ორ დამოუკიდებელ ფორმას ცალ-ცალკე განვიხილავთ.

2.3.1.1.1. თანაცნობიერების თეორია

ვ. პლატცგუმერი თანაცნობიერების თეორიის დასაბუთებისას მიუთითებს იმაზე, რომ განზრახვის კოგნიტიური ელემენტი, ფაქტობრივი გარემოებების ცოდნასთან ერთად, აგრეთვე, უნდა მოიცავდეს ქმედების იმ გარემოებების ცოდნასაც, რომელთა შესახებ, მართალია, დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის დროს კონკრეტულად არ უფიქრია, მაგრამ ისინი მის შეგნებაში არსებობდა¹²³. კერძოდ, ამ შემთხვევაში საქმე ეხება შეგნებულობის ისეთ ფორმას, რომელიც აშკარად არ არის ასახული ადამიანის ცნობიერებაში, მაგრამ იგი, სხვა გარემოებების შეგნებულებასთან ერთად, მის ფსიქიკაში თანაარსებობს – ე.წ. თანაცნობიერების თეორია¹²⁴. კონკრეტულად, აქ საქმე ეხება ისეთ მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ ცოდნას, რომელიც რელევანტურია განზრახვის დასასაბუთებლად¹²⁵. ამ მსჯელობის გასამყარებლად კი, ვ. პლატცგუმერს შემდეგი მაგალითი მოჰყავს: ა.-მ ნებაყოფლობითი სექსუალური კავშირი დაამყარა თოთხმეტ წელს მიულწვევლ გოგონასთან, რითაც ჩაიდინა გერმანიის სსკ-ის 176-ე პარაგრაფით (ბავშვებთან სექსუალური კავშირი) გათვალისწინებული დანაშაული.¹²⁶ აღნიშნულ ვითარებაში, თუკი დამნაშავეს როდესმე, ერთხელ მაინც, თუნდაც შემთხვევით, ჰქონდა მიღებული ცოდნა ბავშვის ასაკის შეს-

¹²⁰ იხ. Welzel (1969), გვ. 64.

¹²¹ შდრ. Platzgummer (1964), გვ. 83-84.

¹²² იქვე. ამ მოძღვრების შესახებ ასევე იხ.: Roxin, AT I (2006), გვ. 498; Frisch, GS für Kaufmann (1989), გვ. 313.

¹²³ შდრ.: Platzgummer (1964), გვ. 83-84; Roxin, ZStW 78 (1966), გვ. 250-261; Frisch, GS für Kaufmann (1989), გვ. 315.

¹²⁴ შდრ. Platzgummer (1964), გვ. 83-84, ასევე იხ. Frisch, GS für Kaufmann (1989), გვ. 313.

¹²⁵ შდრ. Roxin, AT I (2006), გვ. 498-500.

¹²⁶ ანალოგიური მაგალითი იხ. Roxin, AT I (2006), გვ. 500, ასევე შდრ. Frisch, GS für Kaufmann (1989), გვ. 315-317.

ახებ, მიუხედავად იმისა, რომ ქმედების განხორციელების მომენტში მას ამ გარემოების შესახებ არც კი უფიქრია, ვ. პლატცგუმერის მტკიცებით, ამგვარი ინფორმაცია თანაცნობიერების თეორიიდან გამომდინარე, დამნაშავეს შეგნებაში „დაფარულად“ არსებობდა, ამიტომ პირს განზრახვის კოგნიტიური ელემენტის არსებობა მაინც უსაბუთდება¹²⁷.

მაშასადამე, ვ. პლატცგუმერი საკუთარი მოსაზრებიდან გამომდინარე, არ ეთანხმება ცოდნის, როგორც განზრახვის ცნების აუცილებელი ელემენტის, ტრადიციულ გაგებას და გამოსავალს ხედავს ე.წ. „თანაცნობიერების თეორიაში“. აღნიშნული თეორიის მიხედვით კი იგი ცდილობს ქმედების ობიექტურ გარემოებათა ცოდნისადმი წაყენებული მოთხოვნები შეამციროს სწორედ პასიური ცოდნის მოთხოვნით¹²⁸.

ავტორის ეს მოსაზრება ორიგინალურია, თუმცა, ე.წ. „თანაცნობიერების თეორიის“ ყველა შემთხვევისთვის გამოყენება არ არის მართებული. კერძოდ კი ზემოთ მოყვანილ მაგალითში¹²⁹ შესაძლებელია, საკამათო გახდეს ის გარემოება, რატომ უნდა ჰქონდეს მოქმედს ასეთი ინფორმაცია ყოველთვის შეგნებული მაშინ, როდესაც მას ბავშვის ასაკის შესახებ სადღაც, თუნდაც, დიდი ხნის წინ „ყურმოკვრით“ ჰქონდა გაგებული.

ვ. პლატცგუმერის მტკიცებით, ყველა ის ინფორმაცია, რაც პიროვნებას დანაშაულის ჩადენამდე „შემთხვევით“ აქვს მოსმენილი, ავტომატურად მის მეხსიერებაში რჩება და იგი ცნობიერების გარკვეულ ნაწილში „ინახება“. გამომდინარე აქედან, ბავშვთან სექსუალური კონტაქტის დამყარებისას, თუკი დამნაშავეს ადრე გაგონილი ჰქონდა მისი ასაკის შესახებ, მოქმედის მხრიდან ამ ინფორმაციის „დავიწყების“ მტკიცება სასამართლოსთვის ირელევანტურად უნდა იქნეს მიჩნეული.¹³⁰

ეს მოსაზრება სწორი არ არის, რადგან ამ დროს შესაძლებელია, სხვა პრობლემამაც იჩინოს თავი. სახელდობრ, საკითხავია, ზომ არ ეწინააღმდეგება ავტორის ეს შეხედულება, ერთ შემთხვევაში, ქმედების ჩადენის დროს გარემოებების მიმართ აქტუალური „ცოდნის“ პრინციპს, ხოლო, მეორე შემთხვევაში, დანაშაულის მიმდინარეობისას განზრახვის უწყვეტად არსებობის მოთხოვნას (ე.წ. „თანხედრის, სიმულანტობის პრინციპი“)¹³¹.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ განზრახვა დანაშაულის ჩადენის ყველა ეტაპზე უწყვეტად და კონკრეტულად უნდა არსებობდეს¹³². სწორედ ამიტომ, როგორც ე.წ. წინმსწრები (*dolus antecedens*), ისე

¹²⁷ იხ. *Platzgummer* (1964), გვ. 84.

¹²⁸ იხ.: *Otto*, *Jura* (1996), გვ. 468; *Roxin*, *ZStW* 78 (1966), გვ. 255-256.

¹²⁹ ეს მაგალითი კრიტიკულად აქვთ განხილული ასევე *კ. როქსინსა და კ. კიულს*. ამის შესახებ იხ.: *Roxin*, *ZStW* 78 (1966), გვ. 255; *Kühl*, *AT* (2008), გვ. 106.

¹³⁰ იხ. *Platzgummer* (1964), გვ. 84, ასევე შდრ. *Frisch*, *GS für Kaufmann* (1989), გვ. 313.

¹³¹ იხ.: *BGHSt* 23, გვ. 123-135; *Wessels, Beulke*, *AT* (2011), გვ. 81.

¹³² შდრ. *Wessels, Beulke*, *AT* (2011), გვ. 81.

ე.წ. შემდგომში აღმოცენებული განზრახვა (dolus subsequens) არ შეიძლება გახდეს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად საკმარისი საფუძველი¹³³. ამასთან, განზრახვა უნდა მოიცავდეს არა მარტო ქმედებასა და შედეგს, არამედ ასევე მათ შორის მიზეზობრივი კავშირის განვითარების ყველა ეტაპზე ცოდნასაც¹³⁴. გამოძინარე აქედან, გაუგებარია, რატომ უნდა ჰქონდეს ზემოთ მოყვანილ მაგალითში დამნაშავეს ბავშვის ასაკი ყოველთვის გაცნობიერებული მაშინ, როცა მას ქმედების ჩადენის დროს აღნიშნული მაკვალფიცირებელი ნიშანი, შესაძლოა, მართლაც არც კი ჰქონოდა შეცნობილი. ამკარაა, რომ ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, ირღვევა ქმედების მიმართ აქტუალური ცოდნის, ხოლო, მეორე მხრივ, დანაშაულის მიმდინარეობისას ამავე ცოდნის უწყვეტად არსებობის მოთხოვნის პრინციპი (ე.წ. „თანხვედრი, სიმულანტობის პრინციპი“). ამასთან, განზრახვის ფარგლები ამ თეორიით ფართოდ არის წარმოდგენილი¹³⁵.

არაერთი ავტორი მართებულად მიუთითებს იმის შესახებ, რომ დაუსვებელია განზრახვის სფეროში ქმედების ჩამდენის მიერ ამა თუ იმ გარემოების გაუცნობიერებლობა შეიცვალოს იმ ფაქტით, რომ მას შეეძლო ანდა სრულად უნდა გაეცნობიერებინა შესაბამისი ვითარების არსებობა (ე.წ. პოტენციური ან პასიური ცოდნა)¹³⁶. ასე მაგალითად, თუკი პირი, რომელიც საჭვსთან ზის და მაღალ ხმაზე მუსიკას უსმენს, ავტომანქანის პარკირებისას სხვა ავტომანქანას დაზიანებს ისე, რომ ხმამაღალი მუსიკის გამო ამას ვერ გაიგებს და შემდეგ შემთხვევის ადგილს დატოვებს¹³⁷, სისხლისსამართლებრივად პასუხი არ უნდა აგოს¹³⁸. აქ ინტელექტუალური ელემენტი არ არის აქტუალური ფორმით მოცემული. ასეთ ვითარებაში იმის დასაბუთება, რომ მძღოლს შეეძლო მუსიკის დაბალ ხმაზე მოსმენის შემთხვევაში მეორე ავტომანქანასთან მცირედი შეჯახების ხმის გაგონება (ე.წ. პოტენციური, პასიური ცოდნა), არ არის საკმარისი წინაპირობა განზრახვის დასამტკიცებლად¹³⁹.

ზემოაღნიშნული მოსაზრების გარდა, ამსრულებლის გონებაში ადრე არსებული, მაგრამ შემდგომში „მივიწყებული“ ცოდნა არც მაშინ უნდა გახდეს განზრახვის დასასაბუთებლად საკმარისი საფუძველი, როცა მისი აღდგენა მესხიერების დაძაბვის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა¹⁴⁰. სწორედ ამიტომ,

¹³³ იქვე.

¹³⁴ იხ. Safferling (2008), გვ. 155.

¹³⁵ ე. პლატცგუშერის მოძღვრების კრიტიკის შესახებ ასევე იხ.: Schroth (1998), გვ. 89-90; Roxin, AT I (2006), გვ. 500.

¹³⁶ შდრ.: Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 90-91; Satzger, Jura (2008), გვ. 115.

¹³⁷ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი დანაშაულად მიიჩნევა შემთხვევის ადგილიდან უნებართვოდ გაუჩინარებას.

¹³⁸ გერმანიის სისხლის სამართლის კანონი ნიუთის გაუფრთხილებლობით დაზიანების შემადგენლობას საერთოდ არ ითვალისწინებს.

¹³⁹ იხ. Satzger, Jura (2008), გვ. 115.

¹⁴⁰ შდრ. Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 91.

ქმედების ფაქტობრივი გარემოებების მიმართ პასიური ან თუნდაც პოტენციური შეგნების შესახებ მოხდება მიზანშეუწონელია. წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენიმე პრობლემა იჩენს თავს, კერძოდ, (1) განზრახვაში აქტუალური შეგნების უარყოფა საერთოდ წაშლის ზღვარს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის, რადგან ამ უკანასკნელის დასაბუთება პოტენციური ცოდნის არსებობით არის შესაძლებელი.¹⁴¹ ამაზე მიუთითებს კ. ველცელიც, რომელიც აღნიშნავს, რომ „განზრახვის ცნებაში ქმედების შემადგენლობის გარემოებათა აქტუალურ შეგნებაზე უარის თქმით წაიშლება ზღვარი განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის“¹⁴². ანალოგიურ პოზიციას იზიარებს ასევე ი. ბაუმანი, როცა იგი განზრახვაში პოტენციური ცოდნის არსებობას აკრიტიკებს¹⁴³. ავტორი აღნიშნავს: „ის, რომ დამნაშავეს შეეძლო ქმედების გარემოებების შეცნობა, არის არა განზრახვის, არამედ გაუფრთხილებლობისთვის დამახასიათებელი“¹⁴⁴; (2) განზრახვაში პოტენციური ცოდნის აღიარების შემთხვევაში ფაქტობრივი შეცდომა სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით დაემსგავსება გერმანულ აკრძალვაში შეცდომას. სახელდობრ, ფაქტობრივი შეცდომის დაშვების დროს პირის მხრიდან აქტუალური ცოდნის არარსებობა შესაძლოა, ყოველთვის პოტენციური ცოდნის დადგენით შეიცვალოს და ამ არგუმენტით დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ისევ განზრახი დანაშაულისთვის დადასტურდეს. ასე მაგალითად, მონადირეს ჰგონია, რომ კლავს დათვის, სინამდვილეში სიბნელეში ტყვიას მოახვედრებს მეორე მონადირეს და მას მოკლავს. ამ სიტუაციაში მონადირემ ფაქტობრივი შეცდომა დაუშვა, რის გამოც გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფიდან (ფაქტობრივი შეცდომა) გამომდინარე, საჭიროა, განზრახვა გამოირიცხოს და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გაუფრთხილებლობის ფარგლებში გადაწყდეს. გერმანელი კანონმდებელი ფაქტობრივი შეცდომისას მიუთითებს იმაზე, რომ დამნაშავეს ამ დროს შეცნობილი არ უნდა ჰქონდეს ქმედების ფაქტობრივი გარემოებები, მაშასადამე, მას აქტუალური ცოდნა არ უნდა გააჩნდეს¹⁴⁵.

განზრახვაში პოტენციური ცოდნის აღიარების შემთხვევაში კი სულ სხვა სამართლებრივ შედეგს მივიღებთ. კერძოდ, მონადირეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკვე არა გაუფრთხილებლობისთვის, არამედ ისევ განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის დაეკისრება. მას, მართალია, ფაქტობრივი გარემოებების მიმართ აქტუალური ცოდნა არ ჰქონდა, თუმცა, პოტენციური ცოდნის შესაძლო არსებობიდან გამომდინარე, იგი მაინც განზრახი დანა-

¹⁴¹ იხ.: Welzel (1969), გვ. 65; Roxin, ZStW 78 (1966), გვ. 256; Baumann, Weber, AT (1985), გვ. 390.

¹⁴² იხ. Welzel (1969), გვ. 65.

¹⁴³ შდრ. Baumann, Weber, AT (1985), გვ. 390.

¹⁴⁴ იქვე.

¹⁴⁵ შდრ. Schmidhäuser, JuS (1980), გვ. 241.

შაულის ჩადენისთვის დაისჯებოდა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ფაქტობრივი შეცდომა, პრაქტიკული თუ იურიდიული თვალსაზრისით, დაემსგავსებოდა გერმანულ აკრძალვაში შეცდომას. სახელდობრ, გერმანული სამართლებრივი შეცდომის ვითარებაში დამნაშავე, მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნების არარსებობის მიუხედავად, მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნების დასაბუთების შემთხვევაში ისევ განზრახი დანაშაულისთვის ისჯება. უფრო ნათლად რომ ითქვას, გერმანიის სსკ-ის მე-17 პარაგრაფში საუბარია აკრძალვაში შეცდომაზე. მასში ცალსახად არის მითითებული, რომ თუკი პირს მართლწინააღმდეგობის შეგნება (მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნება) არ აქვს და ასეთი შეცდომა თავიდან აცილებადია – ე.ი. პირს შეეძლო, რომ შეცდომა თავიდან აეცილებინა (უმართლობის პოტენციური შეგნება) – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედების ჩამდენს არა გაუფრთხილებლობის, არამედ განზრახი დანაშაულისთვის დაეკისრება.

გერმანიის სსკ-ის მე-17 პარაგრაფში („აკრძალვაში შეცდომა“) მოცემული ეს დებულება, თუკი ასევე, ანალოგიურად, გაზიარებული იქნება კოდექსის მე-16 პარაგრაფთან („ფაქტობრივი შეცდომა“) მიმართებითაც, მაშინ აღნიშნული შეხედულება უკვე თავად ამ უკანასკნელი ნორმის შინაარსობრივ მხარესთან მოვა წინააღმდეგობაში. კანონმდებელი კოდექსის მე-16 პარაგრაფში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ცალსახად უთითებს იმაზე, რომ დამნაშავეს ასეთი შეცდომის შემთხვევაში აქტუალური ცოდნა არ უნდა ჰქონდეს, ხოლო მისი პასიური ფორმით არსებობას იგი ირელევანტურად მიიჩნევს¹⁴⁶. სწორედ ამ მოსაზრებით არის გამოწვეული ის, რომ ფაქტობრივი შეცდომის შემთხვევაში, ყოველთვის, როგორც წესი, აქტუალური ცოდნის არარსებობის გამო, განზრახვა გამოირიცხება და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უკვე გაუფრთხილებლობის სფეროში წყდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამნაშავეის მხრიდან ფაქტობრივი გარემოებების პოტენციური შეცნობა განზრახვის დასასაბუთებლად საკმარისი წინაპირობა არ არის¹⁴⁷. მართებულად მიუთითებს კ. როქსინი თანაცნობიერების თეორიის კრიტიკისას იმის შესახებ, რომ შეგნებულობის ეს ფორმა „უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ საეჭვო ვითარებებში, ე.ი. კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება, ამ თეორიამ შეცდომაში შეგვიყვანოს, რადგან, თუკი პირი რაიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას ერთხელ მაინც გაიგებს და მას ამის შესახებ ლატენტურად ეცოდინება, თანაცნობიერების თეორიის დახმარებით ცოდნა და, შესაბამისად, განზრახვა მარტივად დასაბუთდება.“¹⁴⁸ ამით კი, ავტორის აზრით, განზრახვის საზღვრები

¹⁴⁶ იქვე.

¹⁴⁷ იხ.: *Welzel* (1969), გვ. 65; BGHSt, NStZ (2004), გვ. 201; BGHSt (2004), გვ. 79-81; *Otto*, Jura (1996), გვ. 468.

¹⁴⁸ იხ. *Roxin*, ZStW 78 (1966), გვ. 255-256, ასევე შდრ.: *Roxin*, AT I (2006), გვ. 500; *Blei* (1983), გვ. 125-126.

გაფართოვდება და მისი მოქმედების მასშტაბი, ასევე, გაუფრთხილებლობაზეც გავრცელდება¹⁴⁹.

2.3.1.1.2. მუდმივად თანმდევნი ცოდნის თეორია

განსხვავებული სიტუაციაა მოცემული შეგნებულობის მეორე ფორმის – „მუდმივად თანმდევნი ცოდნის“ დროს¹⁵⁰. კერძოდ, ამ შემთხვევაში საუბარია ისეთი გარემოების შეგნებაზე, რომელიც დამნაშავეს ცნობიერებაში, მისი პროფესიიდან გამომდინარე, მუდმივად არსებობს¹⁵¹. მსჯელობა უფრო ნათელი რომ გახდეს, მოვიყვანთ მაგალითს: ექიმმა თავისი პაციენტის მკურნალობისას შეიტყო, რომ ეს უკანასკნელი სხვა უკურნებელი სენით იყო დაავადებული. აღნიშნული ინფორმაცია მან რამდენიმე დღეში საჯაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით გაავრცელა, რის გამოც დღის წესრიგში დადგა ექიმის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გერმანიის სსკ-ის 203-ე პარაგრაფის (პირადი საიდუმლოების ხელყოფა) მიხედვით. ასეთ შემთხვევაში მტკიცება იმისა, რომ ამ ინფორმაციის გახმაურებისას ექიმს დაავიწყდა პაციენტის პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, მხედველობაში არ მიიღება. აღნიშნულ თანამდებობის პირს თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულებისას მუდმივად უნდა ჰქონდეს იმის ცოდნა, რომ ექიმს ამ ტიპის ინფორმაციების გავრცელება კანონით ეკრძალება¹⁵².

„მუდმივად თანმდევნი ცოდნის“ შესახებ შეხედულების მართებულობას ადასტურებს სხვა მაგალითიც: ტაბელური იარაღით აღჭურვილი პოლიციელი საიუველირო მაღაზიაში შევიდა და ძვირად ღირებული საათი მოიპარა. პოლიციელს ამ ქმედების განხორციელებისას არ ჰქონდა გაცნობიერებული ის გარემოება, რომ მას თან ტაბელური იარაღი ჰქონდა¹⁵³.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი ქმედება მიჩნეულია კვალიფიციურ ქურდობად, ე.ი. ქურდობად, რომელიც ჩადენილია იარაღით. გერმანელი კანონმდებელი ამგვარი დანაშაულისათვის, მიუხედავად იმისა, თუ ვის (პოლიციელის თუ უბრალო მოქალაქის) მიერ არის იგი ჩადენილი, უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე ეს ე.წ. მარტივი ქურდობისას არის განსაზღვრული. აქვე ზახგასასმელია ისიც, რომ აღნიშნული დელიქტი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, განსხვავდება ყაჩაღობის შემადგენლობისგან. კერძოდ, იარაღით ქურდობისას დამნაშავესთვის იარაღის მხოლოდ თანქონა (როგორც აბსტრაქტული საფრთხის წყარო) და არა ამ

¹⁴⁹ იხ. *Roxin*, ZStW 78 (1966), გვ. 255-256, ასევე შდრ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 500.

¹⁵⁰ იხ.: *Platzgummer* (1964), გვ. 89; *Roxin*, ZStW 78 (1966), გვ. 254.

¹⁵¹ იხ.: *Platzgummer* (1964), გვ. 89; *Roxin*, ZStW 78 (1966), გვ. 254.

¹⁵² იხ.: *Platzgummer* (1964), გვ. 89; *Roxin*, ZStW 78 (1966), გვ. 254.

¹⁵³ იხ. *Satzger*, Jura (2008), გვ. 115.

იარაღის გამოყენება არის საკმარისი საფუძველი იმის მტკიცებისათვის, რომ ასეთი ქმედება შეფასდეს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ქურდობად¹⁵⁴.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელს დანაშაულის ჩადენისას თანაქონი იარაღის შესახებ კონკრეტულად მართლაც არ უფიქრია, პროფესიიდან გამომდინარე, მას იარაღის მიმართ „მუდმივი თანმდევი ცოდნა“ მაინც გააჩნდა.¹⁵⁵ სწორედ ამიტომ, პოლიციელის ქმედება უნდა შეფასდეს არა მარტივ, არამედ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ქურდობად (გერმანიის სსკ-ის 244-ე პარაგრაფი, ქურდობა იარაღით).

ასე რომ, ზემოაღნიშნულ ვითარებებში პირის მიერ აქტიურად შეცნობილად უნდა ჩაითვალოს შემადგენლობის ყველა ის გარემოება (მათ შორის, კვალიფიციური გარემოებაც), რომლის შესახებ ცოდნა მას მუდმივად „თანსდევს“, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენისას, შესაძლოა, ეს გარემოებანი არც კი გახსენებია.

ამრიგად, როგორც ექიმს, ისე პოლიციელს, ადვოკატს თუ ნებისმიერი სხვა პროფესიის წარმომადგენელს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დღიდან, საკუთარ პროფესიასთან დაკავშირებული მოვალეობების შეგნება მუდმივად უნდა გააჩნდეს¹⁵⁶. „თანაცნობიერების“ თეორია არ უნდა იქნეს გაიგივებული ე.წ. „მუდმივად თანმდევი ცოდნის“ თეორიასთან, ამ უკანასკნელ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ სპეციალური სუბიექტის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, რა დროსაც აუცილებელია, რომ მოქმედს თავისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, საკუთარ პროფესიასთან დაკავშირებული მოვალეობების შეგნება მუდმივად ჰქონდეს.¹⁵⁷

2.3.1.2. ქმედების ფაქტობრივი გარემომდებლის სოციალურ-სამართლებრივი ბუნების შეცნობა

ვ. პლატცგუმერის მოსაზრება შეგნებულობის ორ დამოუკიდებელ ფორმასთან დაკავშირებით მოგვიანებით კიდევ უფრო განავრცო ე. შმიდჰაიზერმა, რომელმაც ცოდნის ორი განსხვავებული გამოვლინების პრობლემას ცალკე მონოგრაფია მიუძღვნა¹⁵⁸. აღნიშნულ ნაშრომში იგი ერთმანეთისგან განასხვავებს ქმედების გარემოებათა სიტყვიერ გაგებასა და ქმედების სოციალური ბუნების გააზრებას¹⁵⁹; ამგვარი დიფერენციაცია კი, თავის მხრივ, გულისხმობს

¹⁵⁴ იხ.: Leipzig Kommentar (2007), გვ. 1067-1076; Eser, Bosch, Schöнке/Schröder (2010), გვ. 2192-2203.

¹⁵⁵ იხ. Satzger, Jura (2008), გვ. 115.

¹⁵⁶ იხ. Frisch, GS für Kaufmann (1989), გვ. 311-331.

¹⁵⁷ ამის შესახებ იხ. მაღლაკელიძე (2013), გვ. 298-299.

¹⁵⁸ იხ. Schmidhäuser, Mayer FS (1966), გვ. 317-338.

¹⁵⁹ იქვე.

იმას, რომ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის დროს არ სჭირდება გარემოებების სიტყვასიტყვითი ფორმულირების ცოდნა (ასე მაგალითად, ის, რომ მოსაპარი ნივთი სხვისია), არამედ საკმარისია, პირს ქმედების სოციალური ბუნება ჰქონდეს გააზრებული¹⁶⁰.

მასასადამე, ე. შმიდპოიზერის თეორიით, განზრახვისთვის დამახასიათებელი კოგნიტიური ელემენტი, როგორც დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების მიმართ აქტიური ცოდნა, გულისხმობს, ასევე, ქმედების სოციალური არსის გააზრებასაც¹⁶¹, რომელიც, როგორც შინაარსობრივად, ისე სისტემური თვალსაზრისით, განსხვავდება მართლწინააღმდეგობის შეგნებისგან. ეს უკანასკნელი ნიშანი ბრალის ეტაპზე მოწმდება და ნიშნავს მხოლოდ ქმედების აკრძალულობის შეცნობადობას.

ე. შმიდპოიზერის ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ავითარებს გერმანელი მეცნიერი კ. ოტო. იგი სისხლის სამართლის მეცნიერებას ქმედების შეგნებულობის ცნების ნაცვლად სთავაზობს ცნებას – მატერიალური უმართლობის შეგნება. ავტორი მას ასევე უწოდებს მოქმედების სოციალურად საშიში ხასიათის შეცნობადობას და ამ უკანასკნელს განზრახვის სფეროში – ცოდნასა და ნებელობასთან ერთად – აანალიზებს¹⁶², ფორმალურ უმართლობის შეგნებას კი, გერმანიის სსკ-ის მე-17 პარაგრაფიდან (აკრძალვაში შეცდომა) გამომდინარე, განზრახვისგან დამოუკიდებლად ბრალის ეტაპზე განიხილავს.¹⁶³

ფორმალურ უმართლობის შეგნებაში (მართლწინააღმდეგობის შეგნება, როგორც ბრალის ნიშანი), ავტორის აზრით, იგულისხმება არა სისხლის სამართლის კანონით, არამედ სამართლით ზოგადად აკრძალული ქმედების შეცნობადობა.¹⁶⁴ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, სამართლის თუ რომელი დარგის მიხედვით ჩათვალა პირმა მის მიერ განხორციელებული ქმედება აკრძალულად.

ქმედების შემადგენლობის ეტაპზე მოცემულ უმართლობის მატერიალურ შეგნებაში კი იგი გულისხმობს კონკრეტული დანაშაულის უმართლობის შეგნებას, ე.ი., სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული ნორმიდან გამომდინარე, მართლწინააღმდეგობის შეგნებას¹⁶⁵.

მასასადამე, კ. ოტო უმართლობის შეგნებას, ერთი მხრივ, განზრახვის შემადგენელ ელემენტად (მატერიალური უმართლობის შეგნება), ხოლო, მეორე მხრივ, ბრალის განუყოფელ კატეგორიად (ფორმალური უმართლობის შეგნება) აცხადებს. ამასთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განზრახვას ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე განიხილავს.

¹⁶⁰ იქვე.

¹⁶¹ იხ.: BayObLG, NJW(1974) გვ. 1432; Kühl, AT (2008), გვ. 107.

¹⁶² იხ.: Otto (2000), გვ. 89-93; Lesch, JA(1996), გვ. 346-352.

¹⁶³ იხ. Otto (2000), გვ. 90-91.

¹⁶⁴ იქვე, გვ. 89.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 90.

3. ოტოს ეს შეხედულება არ უნდა იქნეს გაზიარებული შემდეგ გარემოებათა გამო:

(1) გერმანელმა კანონმდებელმა უმართლობის შეგნება სსკ-ის მე-17 პარაგრაფში (აკრძალვაში შეცდომა) ცალსახად ბრალის დამოუკიდებელ ნიშნად გამოაცხადა და არა განზრახვის ერთ-ერთ ელემენტად;

(2) თუ განზრახვა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნად იქნება მიიჩნეული, მასში ქმედების მართლწინააღმდეგობის ჩართვა იქნება გაურკვეველი, რადგან თავად მართლწინააღმდეგობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სისტემური თვალსაზრისით, სწორედ ქმედების შემადგენლობის დასაბუთების შემდეგ დგინდება. 3. ოტოს შეხედულებით კი გამოდის, რომ მართლწინააღმდეგობის (თუნდაც მატერიალური მართლწინააღმდეგობის) შემოწმება ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ეტაპზევე უნდა მოხდეს, რაც არ არის სწორი; უმართლობა მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა განზორციელებული.¹⁶⁶ გამომდინარე აქედან, უმართლობა თავის თავში მოიცავს როგორც განზრახვას, ისე ქმედების მართლწინააღმდეგობასაც, ამიტომ განზრახვა, როგორც უმართლობის შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილი, არ შეიძლება, რომ თავად უმართლობის, როგორც მთლიანის, შეცნობადობას გულისხმობდეს. შესაბამისად, უმართლობის შეგნება თუ შეუგნებლობა მხოლოდ მას შემდეგ საჭიროებს შემოწმებას, როცა თავად უმართლობის არსებობა დადასტურდება და არა პირიქით. სწორედ ამიტომ, უმართლობის შეგნების ადგილი ყოველთვის ბრალშია და არა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე.

3. ოტოს ამ შეხედულებისგან განსხვავებით, ე. შმიდჰოიზერის მოსაზრებამ იმის შესახებ, რომ განზრახვის დასასაბუთებლად ასევე ქმედების სოციალური ბუნების შეცნობადობის შემოწმებაც არის საჭირო, სამართლიანად მოიპოვა სათანადო აღიარება გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში¹⁶⁷. იგი მოგვიანებით ასევე გაბატონებულ შეხედულებადაც კი იქცა სასამართლო პრაქტიკაშიც¹⁶⁸.

ამრიგად, განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის არსის განსაზღვრისათვის საკმარისად არ მიიჩნევა მარტო ქმედების შემადგენლობის გარემოებების აქტუალური ცოდნა, არამედ ქმედების ჩამდენს ასევე შეცნობილი უნდა ჰქონდეს მათი სოციალურ – სამართლებრივი ბუნებაც¹⁶⁹.

¹⁶⁶ შდრ. Safferling (2008), გვ. 136.

¹⁶⁷ ე. შმიდჰოიზერის ამ პოზიციას იზიარებს ასევე გერმანული მეცნიერი კ. როქსინი. მისი აზრით, განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის არსის განსაზღვრისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ქმედების შემადგენლობის გარემოებების ცოდნა, არამედ ქმედების ჩამდენს შეცნობილი უნდა ჰქონდეს საქმის გარემოებების სოციალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც. ამის შესახებ იხ. Roxin, ZStW 74 (1962), გვ. 548.

¹⁶⁸ იხ.: Satzger, Jura (2008), გვ. 115; Jakobs, AT (1991), გვ. 263.

¹⁶⁹ იხ. Roxin, ZStW 74 (1962), გვ. 548.

2.3.1.3. ცოდნის არსებობის პრობლემა ავთენტური და რეფლექსური დანაშაულების ჩადენის დროს

2.3.1.3.1. ავთენტურ დანაშაულებში ფაქტობრივი ბარემომბების შეცნობის პრობლემა

ქმედების ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ცოდნა განსაკუთრებით პრობლემურია აფექტური დანაშაულის ჩადენის დროს¹⁷⁰. ცნობილია, რომ მსგავსი კატეგორიის დელიქტების განხორციელების შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების შეგნებულობა დამნაშავეს შესაძლოა საერთოდ არ ჰქონდეს ან კიდევ ჰქონდეს, მაგრამ იგი ნაკლები ინტენსიურობით იყოს წარმოდგენილი მის ფსიქიკაში. თუმცა, მეორე მხრივ, ისიც ნათელია, რომ აფექტური დანაშაულები მხოლოდ განზრახ, მიზანმიმართულად, ხორციელდება. ამ მსჯელობიდან გამომდინარე კი იბადება კითხვა: რატომ ერაცხება დამნაშავეს ასეთი განზრახვა მაშინ, როცა მას ქმედების განხორციელების დროს ფაქტობრივი გარემოებების შეგნებულობა აშკარად, კონკრეტულად არ აქვს? ან აქვს, მაგრამ „დეფექტურად“ არსებობს იგი პირის გონებაში?

ასეთ შემთხვევაში ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ „ამგვარი შეუგნებელი მიზანმიმართულება განზრახვის დასაბუთებისთვის სრულიად საკმარისი პირობა უნდა იყოს“¹⁷¹. ავტორთა მეორე ნაწილი კი „ქმედების გარემოებების შეგნების გარეშე არსებულ განზრახვას“ გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფთან (ფაქტობრივი შეცდომა) ძნელად შესათავსებლად თვლის.¹⁷²

რამდენად შეიძლება განზრახვა ქმედების შეგნებულობის გარეშე არსებობდეს, ეს დავის საგანს არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან თუკი პირს არ აქვს ფაქტობრივი გარემოებები გაცნობიერებული, „კოდნაც“ და, შესაბამისად, განზრახვაც გამორიცხულია. სწორედ ამაზე მიუთითებს კანონმდებელი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) პირველ აბზაცში, სადაც აღნიშნულია, რომ ვინც დანაშაულის განხორციელების დროს არ იცნობს ქმედების გარემოებებს, მოქმედებს განზრახვის გარეშე. გამომდინარე აქედან, თუ ამ მსჯელობას ლოგიკურად მივყევით, მაშინ აფექტური დანაშაული, ერთი შეხედვით, საერთოდ დაუსჯელი უნდა დარჩეს. ამ დროს განზრახვის კოგნიტიური ელემენტი თითქმის არ არის მოცემული ან კიდევ არასრულფასოვნად არსებობს, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, მთლიანად განზრახვის არსებობის უარყოფა გამოიწვიოს. გაუფრთხილებლობითი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა კი შეუძლებელია დღის წესრიგში დადგეს. გაუფრთხილებლობითი აფექტი, როგორც ასეთი, გაბატონებული შეხედულებ-

¹⁷⁰ იხ.: BGHSt 18, გვ. 23; BGHSt 6, გვ. 329; BGHSt, NStZ (2001), გვ. 86; *Jakobs*, AT (1991), გვ. 264; *Schewe* (1972), გვ. 107-108; *Stratenwerth*, *Welzel* FS (1974), გვ. 304-305.

¹⁷¹ იხ. *Schewe* (1972), გვ. 101.

¹⁷² იხ. *Stratenwerth*, *Welzel* FS (1974), გვ. 304.

ბით არ არსებობს და, შესაბამისად, არც სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მსგავსი ქმედების დასჯადობას.

ამ პრობლემიდან გამოსავალი ზოგიერთმა ავტორმა მარტივად იპოვა. კერძოდ, *კ. როქსინი* მიიჩნევს, რომ ის, რაც კანონმდებელმა მე-16 პარაგრაფში (ფაქტობრივი შეცდომა) – „გარემოებების ცოდნაში“ – იგულისხმა, პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული.¹⁷³ ავტორი ცალსახად მიუთითებს, რომ აფექტური დანაშაულის ჩადენის დროს დამნაშავეს უბრალო გადაწყვეტილებისა და ქმედების განხორციელების ერთმანეთისადმი დამთხვევა განზრახვის, როგორც „გვეგის განხორციელების“, პრინციპს არ ეწინააღმდეგება.¹⁷⁴ ასეთ შემთხვევაში მის დასასაბუთებლად სრულიად საკმარისია ქმედების გარემოებების უბრალო შეცნობა მხოლოდ „თვალის ერთი გადავლებით“ მოხდეს.¹⁷⁵ კერძოდ, „აფექტური ქმედების დროს დამნაშავე ხედავს მსხვერპლს, ხედავს, ასევე, თავის იარაღს და სურს კიდევ მსხვერპლის სიკვდილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკვლევლობა არ შესრულდება.“¹⁷⁶ გამომდინარე აქედან, აფექტში ჩადენილმა დანაშაულმა შესაძლოა, გამორიცხოს არა ქმედების შეგნებულობა და, შესაბამისად, განზრახვა, არამედ ბრალუნარიანობა. სწორედ ამიტომ, აღნიშნული პრობლემა ბრალში უნდა იქნეს განხილული და არა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე¹⁷⁷.

კ. როქსინის ამ შეხედულებას არ შეიძლება, არ დაეთანხმო. აფექტური დანაშაულები დაუშვებელია რომ განდეს სისხლისსამართლებრივი უმართლობის გამორიცხვის საფუძველი. იგი უდავოდ ბრალის პრობლემაა. პირის პასუხისმგებლობის შემსუბუქება აქ ემყარება არა უმართლობის, არამედ ბრალის შემცირებულ ხარისხს. აფექტური დანაშაული შეიძლება ითქვას, რომ არის შემცირებული ანუ შეზღუდული შერაცხადობის ნაირსახეობა. სწორედ ამ საფუძველით ითვლება აღნიშნული კატეგორიის დელიქტები როგორც გერმანულ, ისე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ბრალის შემამსუბუქებელ (ე.წ. ფიზიოლოგიური აფექტი) ან კიდევ მთლიანად მის გამომრიცხველ (ე.წ. პათოლოგიური აფექტი) გარემოებად.

მამასადაბე, აფექტური დანაშაულების ჩადენის დროს ფაქტობრივი გარემოებების შესაცნობად საკმარისია ამ გარემოებების უბრალო აღქმა და არა მათი სიღრმისეული გაცნობიერება.

¹⁷³ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 501.

¹⁷⁴ იქვე.

¹⁷⁵ იქვე, ასევე შდრ.: BGHSt 6, გვ. 121; BGHSt 6, გვ. 331; BGHSt 23, გვ. 121.

¹⁷⁶ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 501.

¹⁷⁷ იქვე, გვ. 501, 891-896, ასევე იხ. *Schewe* (1972), გვ. 107.

2.3.1.3.2. რეფლექსურ და ავტომატიზებულ ქმედებებში ფაქტობრივ გარემოებათა შეცნობის პრობლემა

ცოდნის დასაბუთება პრობლემურია, ასევე, ე.წ. ავტომატიზებული (automatisierte - Handlungen), რეფლექსური ქმედებების ჩადენის დროს¹⁷⁸. ასე მაგალითად, 90 კმ/თ სიჩქარით მოძრავე ავტომანქანის გამოცდილი მძღოლი, რომელიც ქუჩაში წესების სრული დაცვით გადაადგილდება, უეცრად გზაზე მორბენალ ძაღლს დაინახავს. მძღოლი ასეთ შემთხვევაში მოძრაობის წესების შესაბამისად იმოქმედებს და ავტომანქანის საჭეს „უკიდურეს მარჯვენა მხარეს“ მიმართავს. ავტომანქანა მოცურდება და იქვე არსებულ განათების ბოძს დაეჯახება, შედეგად კი მძღოლის გვერდით მჯდომი მგზავრი დაიღუპება¹⁷⁹.

აღნიშნულ მაგალითში ავტომანქანის მძღოლის მიერ ავტოავარიის თავიდან აცილების ასეთი რეაქცია გამოწვეულია ე.წ. „ავტომატიზებული მოქმედებით“; რომელიც გარკვეული გამოცდილების შედეგად მის ფსიქიკაში ჩამოყალიბდა და ამ კონკრეტულ ვითარებაში, ყოველგვარი გააზრების გარეშე, ქმედებაში, ე.ი. შეჯახებაში, აისახა¹⁸⁰. ანუ, უფრო ზუსტად რომ ითქვას, ამ შემთხვევაში, პირის მიერ ავტომანქანის უკიდურესი მარჯვენა მხარის მიმართულებით წაყვანა განპირობებულია არა ამ მოქმედის შეგნებულობით, არამედ ავტომატური დაუფიქრებელი ქცევით, რაც ეფუძნება ავტომანქანის მართვის დიდი ხნის გამოცდილებას. ამიტომ ასეთ სიტუაციაში მძღოლს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს. სწორად მიუთითებს ამის შესახებ *კ. როქსინი*, როცა იგი ე.წ. ავტომატურ ქმედებებზე საუბრობს. ავტორი აღნიშნავს, რომ „ზშირად განმეორებადი მოქმედებები, როგორცაა, მაგალითად, ავტომანქანის დამუხრუჭება, საავარიო სიტუაციაში საჭის უკიდურეს მარჯვენა მხარეს მიმართვა, არის ადამიანების გონებაში მნიშვნელოვნად ავტომატიზებული, რის გამოც მძღოლი ცალკეულ კონკრეტულ ვითარებაში შეუგნებლად და, მაშასადამე, არაგანზრახ მოქმედებს“¹⁸¹.

ზემოაღნიშნული მოსაზრება არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი პოზიცია ნებისმიერ შემთხვევაზე გავრცელდება. იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებით, ყოველ კონკრეტულ ვითარებაში განზრახვის დასასაბუთებლად საჭიროა ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ რამდენად იყო პირის შეგნებულობა მოცული ქმედების იმ ობიექტური გარემოებებით, რომელთაც კონკრეტულ შემთხვევაში შეეძლოთ მძიმე შედეგის გამოწვევა. ზოგიერთი ავტორის აზრით კი განზრახვაზე ცალკეულ სიტუაციებში მხოლოდ იმ დროს

¹⁷⁸ იხ.: *Jakobs*, AT (1991), გვ. 264; *Roxin*, AT I (2006), გვ. 267, 501.

¹⁷⁹ ანალოგიურ შემთხვევას ადგილი ჰქონდა გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში. ამის შესახებ იხ. OLG Frankfurt 28 (1965), გვ. 364.

¹⁸⁰ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 267-268.

¹⁸¹ იქვე, გვ. 268.

შეიძლება საუბარი, თუ დადასტურდება, რომ ქმედების მიზანი დამნაშავეის შეგნებულობით იყო მოცული, ანუ იგი შეგნებულად და მიზანდასახულად მოქმედებდა¹⁸². ასე მაგალითად, წვიმიან ამინდში შუა ქალაქში მოძრავი ავტომანქანის მძღოლი დაინახავს, რომ ქუჩაზე ძაღლი გადადის, რომელსაც უკან ძაღლის პატრონი, მისივე მეზობელი მიჰყვება. მძღოლი სიჩქარეს მოუმატებს ძაღლის დაჯახების მიზნით, რადგან ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინ იგი მსუბუქად დაკბინა. ასეთ ვითარებაში ავტომანქანა უცაბედად მოცურდება და სინამდვილეში არა ძაღლს, არამედ ძაღლის პატრონს დაეჯახება, შედეგად კი, მძღოლის მეზობელი გარდაიცვლება.

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ანალოგიურ სიტუაციებში ხშირად რთულია ერთმანეთისგან გამიჯნო არაპირდაპირი განზრახვა და თვითიმედოვნება. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად აქვს დამნაშავეს ფაქტობრივი გარემოებები შეცნობილი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ის ფაქტი, რომ მძღოლს არა აქვს აქტუალური ცოდნა იმის შესახებ, რომ მის მოქმედებას რეალურად სხვა მძიმე შედეგი მოჰყვება, არ არის თვითიმედოვნების დასაბუთების საკმარისი საფუძველი. აქ დამნაშავე, მართალია, ამის შესახებ კონკრეტულად არ ფიქრობს, თუმცა, ფაქტობრივ გარემოებებს იგი აშკარად აღიქვამს. კერძოდ, მან იცის, რომ წვიმიანი ამინდია და შესაძლოა, ავტომანქანა მოცურდეს, ხედავს იმასაც, რომ ძაღლს მისივე მეზობელი ასეირნებს. პირის მხრიდან ყველა ამ გარემოების აღქმა არის საკმარისი წინაპირობა იმისა, რომ აღნიშნულ ვითარებაში არაპირდაპირი განზრახვის არსებობა დასაბუთდეს.

იმ შემთხვევაში, თუ მძღოლი შოკური განცდებით ისეა აფორიაქებული, რომ საჭეს ვერ დაიმორჩილებს და შედეგად უბედურ შემთხვევას გამოიწვევს, განზრახვის არსებობაზე საუბარი გაუმართლებელი იქნებოდა¹⁸³. ასე მაგალითად, თუკი მანქანის მოცურება გამოწვეულია არა გადაჭარბებული სიჩქარით, არამედ მწერის მიზეზით, რომელიც მძღოლს თვალში უცაბედად შეუფრინდა და ამის გამო მან მოსახვევში ავტოსაგზაო შემთხვევა მოახდინა¹⁸⁴, განზრახვის დასაბუთება მიზანშეუწონლად მიიჩნევა. მძღოლს მოვლენების ამგვარი განვითარების შესახებ არათუ ცოდნა, არამედ ქმედებაზე „ნების ბატონობის“ შესაძლებლობაც წართმეული ჰქონდა.¹⁸⁵ ასეთი მოქმედება შესაძლებელია, არც კი შეფასდეს როგორც ნებელობით ქმედება¹⁸⁶. მოქმედება არის, უპირველეს ყოვ-

¹⁸² შდრ.: *Jakobs*, AT (1991), გვ. 263; *Roxin*, AT I (2006), გვ. 502.

¹⁸³ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 502.

¹⁸⁴ იხ. *OLG Hamm*, NJW (1975), გვ. 657, ასევე შდრ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 267. ქართულ ლიტერატურაში აღნიშნული შემთხვევა ასევე განხილული აქვს მ. ტურავას, რომელიც ასეთ ვითარებაში მიუთითებს ინდივიდუალური ბრალის გამორიცხვაზე. ამის შესახებ იხ. *ტურავა* (2011), გვ. 593.

¹⁸⁵ იხ. *Schewe* (1972), გვ. 71, 73-74.

¹⁸⁶ ამ პოზიციას იზიარებს გერმანელი მეცნიერი ვ. შევე, ამის შესახებ იხ. *შევეს* დასახ. ნაშრ.,

ლისა, ყველაფერი ის, რაც ადამიანს, როგორც ფსიქიკურ-ინტელექტუალური მოქმედების ცენტრს, შეიძლება მიეკუთვნოს¹⁸⁷. ამიტომ ვინც რეფლექსურად ან ავტომატურად მოქმედებს, როგორც წესი, არ ახორციელებს სისხლის-სამართლებრივ ქცევას, შესაბამისად, ასეთი ქცევა არ წარმოადგენს პირის პერსონალურობის გამოხატულებას. გამომდინარე აქედან, ასეთი მოქმედება არ შეიძლება შეერაცხოს ამ სუბიექტის ფსიქიკურ-ინტელექტუალური სფეროს (ინდივიდის პერსონალურობის გამოხატულებას)¹⁸⁸. ამ პოზიციას მართებულად იზიარებს, ასევე, გერმანიის ერთ-ერთი მიწის სასამართლოც¹⁸⁹. ასე რომ, ქმედების შეგნებულობა არსებობს ყოველთვის იქ, სადაც განზრახვის კოგნიტიური ელემენტი სრული მოცულობითაა წარმოდგენილი და, შესაბამისად, მოქმედიც ქმედების გარემოებებს სწორად და ზუსტად აღიქვამს.

მაშასადამე, განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის შინაარსიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად მასში საყურადღებოა ცოდნის აქტუალურობა, მისი ინტენსიურობა და კონკრეტულობა. კოგნიტიური ელემენტის ამოსავალი პრინციპია იმ გარემოებების შეცნობა, რომლებიც კანონით განსაზღვრული დანაშაულის შემაღენლობას მიეკუთვნება.¹⁹⁰ იურიდიულ ლიტერატურაში ამ მხრივ ერთმანეთისგან განასხვავებენ ქმედების შემაღენლობის დესკრიფციულ (აღწერილობით) და ნორმატიულ (შეფასებით) ნიშნებს¹⁹¹. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია მათი ანალიზი ინტელექტუალურ ელემენტთან ურთიერთკავშირში განხორციელდეს.

2.3.1.4. ცოდნის კომპონენტის განსაზღვრა დანაშაულის აღფერილობითი და შუფასებითი ნიშნების მიმართ

2.3.1.4.1. ცოდნის კომპონენტი დანაშაულის დესკრიფციული ნიშნების მიმართ

სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთმანეთისგან განასხვავებენ ქმედების შემაღენლობის დესკრიფციულ და ნორმატიულ ნიშნებს. დანაშაულის დესკრიფციული ნიშნების ზუსტად განსაზღვრა ხშირ შემთხვევაში რთულია.¹⁹²

გვ. 71, 73-74.

¹⁸⁷ იხ. *Roxin*, Radbruch FS (1968), გვ. 262.

¹⁸⁸ გერმანულად: Persönlichkeitsäußerung. ამის შესახებ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 256, 267. ანალოგიურ ტერმინს იყენებს ასევე ქართული მეცნიერი მ. ტურავა. ამის შესახებ იხ. ტურავა (2011), გვ. 176.

¹⁸⁹ იხ. OLG Hamm, NJW (1975), გვ. 657.

¹⁹⁰ იხ. *Safferling* (2008), გვ. 125.

¹⁹¹ იხ.: *Dopstfaff*, GA (1987), გვ. 1-3; *იშუკისა და ვაიგენდის* დასახ. ნაშრ., გვ. 269-270.

¹⁹² იხ. *Bloy*, JuS (1989), გვ. L1-L4.

იურიდიულ დოგმატიკაში ამ პრობლემასთან მიმართებით ერთიანი აზრი არ არსებობს,¹⁹³ თუმცა, აღნიშნული ცნებაში შესაძლებელია ვიგულისხმოთ ისეთი ნიშნები, რომლებიც მხოლოდ აღწერილობითი ხასიითისაა და რომელთა აღქმაც გარშობის ორგანოების მეშვეობით შეიძლება.¹⁹⁴

ქმედების შემაღგენლობის დესკრიფციული ნიშნების შეცნობისთვის საჭირო არ არის იურიდიული განათლება¹⁹⁵. ასე მაგალითად, ქურდობის შემთხვევაში შემაღგენლობის აღწერილობით ნიშანს წარმოადგეს „ნივთი“. იმის გასაგებად, თუ რა იგულისხმება „ნივთის“ ცნებაში, პიროვნებას არ მოეთხოვება სპეციალური ცოდნა¹⁹⁶. იგივე შეიძლება ითქვას განზრახ მკვლელობის შემთხვევაში ცნება „აღამიანის“ შესახებ, რომელიც აღწერილობითი ხასათისაა და მის შესაცნობად აუცილებელი არ არის, რომ მოქმედს გააჩნდეს იურიდიული ცოდნა¹⁹⁷.

დესკრიფციული ნიშნების საპირისპიროდ, ნორმატული ნიშნები, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული, შეფასებითა და მათ დასადგენად გარკვეულ შემთხვევებში საჭიროა პიროვნების მხრიდან სამართლებრივი განმარტებები¹⁹⁸.

დანაშაულის შემაღგენლობის ნიშნების ამგვარი დიფერენციაციის მიუხედავად, ხშირად რთულია ერთგვარი ზღვრის გაკლება დესკრიფციულ და ნორმატიულ ნიშნებს შორის,¹⁹⁹ რადგან ცალკეული აღწერილობითი ნიშნების დასადგენად შესაძლებელია, ასევე, საჭირო გახდეს მათი შეფასებაც.²⁰⁰ აღნიშნული შეხედულების დასასაბუთებლად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: ა.-მ თავისივე მეზობლის – ბ.-ს ავტომანქანის საბურავიდან ჰაერი გამოუშვა და საბურავი დაუშვა, რის გამოც, ბ.-მ ავტომანქანით სამსახურში წასვლა დროულად ვეღარ შეძლო. ისმის კითხვა: დასჯადია თუ არა ა.-ს ქმედება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე პარაგრაფის (ნივთის დაზიანება) მიხედვით?²⁰¹

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ნივთის დაზიანებად ითვლება პირის მიერ მასზე ისეთი ზემოქმედება, რის შედეგადაც ნივთის გამოყენება, თუნდაც დროებით, შეუძლებელია²⁰².

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლისგან (ნივთის განზრახ დაზიანება ან განადგურება) განსხვავებით, გერმანული კანონმდებლობა

¹⁹³ იხ. Safferling (2008), გვ. 126.

¹⁹⁴ იხ. Heinrich, AT I (2010), გვ. 49.

¹⁹⁵ იქვე.

¹⁹⁶ იხ. Bloy, JuS (1989), გვ. L3.

¹⁹⁷ იხ. Heinrich, AT II (2010), გვ. 109-110.

¹⁹⁸ იქვე, გვ. 49.

¹⁹⁹ იხ. Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 49.

²⁰⁰ იხ. Roxin, AT I (2006), გვ. 308.

²⁰¹ ანალოგიური კაზუსი იხ. Roxin, AT I (2006), გვ. 486.

²⁰² იხ.: BGHSt 13, გვ. 207; BGHSt 29, გვ. 129-133; BGHSt 44, გვ. 34-38.

მნიშვნელობას არ ანიჭებს ნივთის ღირებულებას. ა.-მ აღნიშნულ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის ყველა ობიექტური წინაპირობა განახორციელა და, შესაბამისად, მას ეს გარემოებებიც შეცნობილი ჰქონდა. გამოძინარე აქედან, დამნაშავეს ამ კონკრეტულ ვითარებაში არ შეუძლია დაასაბუთოს, რომ ნივთის დაზიანების მიზნით მასზე ზემოქმედებისას იგი ვარაუდობდა საგნის მხოლოდ ამორტიზებას თუ სულაც მთლიანად განადგურებას. განზრახვის დასამტკიცებლად სრულიად საკმარისია ა.-ს მიერ ფაქტობრივი გარემოებების უბრალო შეცნობა. კერძოდ, იმის გაცნობიერება, რომ მანქანის საბურავიდან ჰაერის გამოშვების შედეგად ავტომაქანის მძლოლი დროულად გადაადგილებას ვეღარ შეძლებს, და არა ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ არის „ნივთის დაზიანება“ იურიდიულად ფორმულირებული.²⁰³

ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშანი — „დაზიანება“ მხოლოდ წმინდა აღწერილობითი ბუნებისა არ არის. კანონმდებელი როგორც ნორმატიულ, ისე დესკრიფციულ განმარტებას ასევე მოითხოვს პირის მხრიდან შინაური ცხოველის განადგურების დროსაც; ასეთ შემთხვევაში დასასაბუთებელია, შინაური ცხოველი არის თუ არა მოძრავი ნივთი.

ადამიანის მკვლელობის შემადგენლობაში, იმისათვის რომ განისაზღვროს, როდის არის ადამიანი სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტი, უნდა დადგინდეს მისი სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული.²⁰⁴

თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, განზრახვის დასამტკიცებლად დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ამგვარი სახით დაყოფას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. სახელდობრ, პირის მიერ დაშვებულმა ისეთმა შეცდომამ, რომელიც ერთ შემთხვევაში მიმართულია ნორმატიული, ხოლო მეორე შემთხვევაში დესკრიფციული ნიშნების მიმართ, შესაძლოა, დანაშაულის კვალიფიკაციაზე მოახდინოს გავლენა. გამოძინარე აქედან, ცოდნის ელემენტის დასაბუთება ამ ორი განსხვავებული გარემოების დროს სხვადასხვაგვარად ხდება. კერძოდ, თუკი დესკრიფციული ნიშნების შესახებ საკმარისია დამნაშავეს მხრიდან მხოლოდ „მარტივი ცოდნა“, ნორმატიულ ნიშნებთან დაკავშირებით აუცილებელია სპეციალური ცოდნის არსებობა. კონკრეტულად რომ ითქვას, განზრახვის კოგნიტიური ელემენტი ერთ შემთხვევაში გულისხმობს ქმედების შემადგენლობის აღწერილობითი გარემოებების არსობრივ აღქმას, ხოლო მეორე შემთხვევაში — შემადგენლობის შეფასებითი ნიშნების ინტელექტუალურ (ფსიქოლოგიურ) გააზრებას.²⁰⁵

ამგვარი მსჯელობის მიუხედავად, სისხლის სამართლის მეცნიერებაში საერთო მოსაზრება არ არსებობს იმის შესახებ, რა მოცულობით ან რა სიხ-

²⁰³ იხ. Safferling (2008), გვ. 127.

²⁰⁴ იხ.: Heinrich, AT I (2010), გვ. 49; Satzger, Jura (2008), გვ. 114.

²⁰⁵ შდრ. Engisch, Mezger FS (1954), გვ. 127-162.

შირით უნდა იქნეს წარმოდგენილი ასეთ ვითარებაში კოგნიტიური ელემენტი განზრახვის სფეროში. დღეს გაბატონებული პოზიცია ირჩევს შუალედურ გზას. კერძოდ, განზრახვის დასასაბუთებლად ის, ერთი მხრივ, საქმის გარემოების ზედაპირული ცოდნით არ კმაყოფილდება, ხოლო, მეორე მხრივ, პიროვნებისგან არც იმას მოითხოვს, რომ მან თავის გონებაში ქმედების ზუსტი სუბსუმცია მოახდინოს. როგორც გერმანელი მეცნიერი *ე. შმიდტი* მიუთითებს, დამნაშავეს არ მოეთხოვება სამართლებრივი დეფინიციების ზუსტი ცოდნა, რადგან „სუბსუმციის გაკეთება ხელეწიფება მხოლოდ იურისტს, რომელიც იცნობს სამართლებრივი სილოგიზმის წესს და სწორედ ამგვარად ახდენს ქმედების შემადგენლობის სუბსუმციას“²⁰⁶. ამავე პოზიციას იზიარებს ასევე, *კ. კ. იეშეკი*. იგი აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონი არ მოითხოვს დამნაშავეს მიერ იურიდიული ტერმინების ზუსტ, დეტალურ ცოდნას, საკმარისია, მას ჰქონდეს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ საქმის რომელ გარემოებებზე უნდა კანონმდებელს გააერცელოს სისხლის სამართლის ნორმის დაცვის ფუნქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენას მხოლოდ იურისტები შეძლებდნენ²⁰⁷.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის აღწერილობით ნიშნების მიხედვით განზრახვის დასაბუთება შედარებით მარტივია. პიროვნებას ასეთ დროს არ მოეთხოვება გარემოებების მიმართ სამართლებრივი შეფასება, მთავარია, მან ეს ნიშნები ელემენტარულად, მარტივად აღიქვას²⁰⁸. იმ ვითარებაში კი, როცა დამნაშავე შეცდომას დაუშვებს ამ გარემოებებთან დაკავშირებით, შესაძლოა, განზრახვის ერთ-ერთი ელემენტი – ცოდნა – გამოირიცხოს. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებით, დანაშაულის დესკრიფციულ ნიშნებთან დაკავშირებული შეცდომა, როგორც წესი, ირელევანტურად ითვლება და პირი მაინც განზრახვი დანაშაულის ჩადენისათვის ისჯება.²⁰⁹

2.3.1.4.2. ცოდნის კომპონენტი დანაშაულის ნორმატიული ნიშნების მიმართ

ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშნები, როგორც ზემოთ ითქვა, გრძნობის ორგანოებით არ აღიქმება და სწორედ ამიტომ, არ არის ფაქტობრივი ხასიათის²¹⁰. ასეთ შემთხვევაში ქმედების ჩამდენ პირს, ერთი შეხედვით,

²⁰⁶ იხ. *Schmidt* (1927), გვ. 240.

²⁰⁷ იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 295. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ასევე ქართველი მეცნიერი *მ. ტურავა* ამის შესახებ იხ. *ტურავა* (2011), გვ. 270.

²⁰⁸ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 485.

²⁰⁹ იხ. *Jakobs*, AT (1991), გვ. 290.

²¹⁰ იხ. *Baumann, Weber, Mutsch*, AT (2003), გვ. 498.

აღნიშნული გარემოებების მიმართ უნდა მოეთხოვოს არა ზედაპირული, არამედ სპეციალური ცოდნა. მაგალითად, ქურდობისას, ცნება „სხვისი ნივთი“ წარმოადგენს ნორმატიულ ნიშანს და მის დასასაბუთებლად საჭიროა სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ნორმების ცოდნა (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 929-ე პარაგრაფი)²¹¹. ასევე შემადგენლობის ნორმატიული ნიშანია გერმანიის სსკ-ის 267-ე პარაგრაფში (დოკუმენტების გაყალბება) მოცემული ნიშანი „მოწმობა“, რომელიც, აგრეთვე, მოითხოვს სამართლებრივ განმარტებას.²¹² საკითხავია, თუ რა ინტენსიურობით არის საჭირო დამნაშავეში ამგვარი სახის „ცოდნის“ არსებობა; მითუმეტეს, რომ ყველა ადამიანს, მათ შორის, ქმედების ჩამდენს, არ მოეთხოვება სისხლისსამართლებრივ ტერმინთა განმარტების მთელი სიზუსტით ცოდნა.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებული გაბატონებული შეხედულებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისთვის აუცილებელი არ არის პირის მიერ ნორმატიული ნიშნების ზუსტი ინტერპრეტირება, საკმარისია, მას ამ ნიშნების „სოციალური მნიშვნელობა“ ზოგადად მანც ჰქონდეს შეცნობილი.²¹³ მაშასადამე, ვისაც გაცნობიერებული არა აქვს, რომ ნივთი, რომელსაც იგი იღებს, სხვის საკუთრებას წარმოადგენს, განზრახ არ მოქმედებს. აქ განზრახვის კომპონენტი – ცოდნა არ არის სრულფასოვნად წარმოდგენილი²¹⁴. ასეთ შემთხვევაში შეცდომის ეს სახეც, შემადგენლობის დესკრიფციული ნიშნების მიმართ დაშვებული შეცდომის მსგავსად, შესაძლოა, განზრახვის გამომრიცხველი გარემოება იყოს²¹⁵, თუმცა, მხოლოდ იმ გამოჩაქვლის შემთხვევაში, როცა მოქმედი პირი არასწორად აფასებს ქმედების ნორმატიულ ნიშნებს²¹⁶. ასე მაგალითად, თუ პირი ქურდობის შემთხვევაში არასწორად განმარტავს ცნებას – „სხვისი ნივთი“, მაშინ ასეთი შეცდომა შესაძლოა, გახდეს განზრახვის გამომრიცხველი საფუძველი. დანაშაულის შემადგენლობის ნორმატიულ ნიშნებთან დაკავშირებული შეცდომა განხილულ უნდა იქნეს როგორც ფაქტობრივი შეცდომა. მისი გაანალიზება აუცილებელია განხორციელდეს გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) ფარგლებში.

მაშასადამე, ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშნების „ინტელექტუალური გააზრება“ არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავემ თავის თავში აუცილებლად იურიდიული შეფასება გაუკეთოს მის მიერ განხორციელებული ქმედების შემადგენლობის ცალკეულ ნიშანს, არამედ საკმარისია, მან ამ ნიშნებით აღ-

²¹¹ იქვე, ასევე იხ.: *Hafit*, JA (1981), გვ. 281-285; *Hafit*, JuS (1980), გვ. 588-592.

²¹² იხ. *Heinrich*, AT I (2010), გვ. 49.

²¹³ იხ.: *Heinrich*, FS für Roxin (2011), გვ. 449 ff; *Roxin*, AT I (2006), გვ. 485.

²¹⁴ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 485.

²¹⁵ შტრ.: *Heinrich*, FS für Roxin (2011), გვ. 449 ff; *Heinrich*, AT I (2010), გვ. 49; *Darnstädt*, JuS (1978), გვ. 441-447; *Hafit*, JuS (1980), გვ. 588-592.

²¹⁶ იხ.: *Heinrich*, FS für Roxin (2011), გვ. 449 ff; *Heinrich*, AT II (2010), გვ. 106; *Roxin*, AT I (2006), გვ. 486.

წერილი ცნებების სოციალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა გაიაზროს. თუმცა, საკითხავია, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა განისაზღვროს თავად განზრახვის ცოდნის ელემენტის არსებობის დადგენის მასშტაბი, მისი დასაბუთების სამართლებრივი წინაპირობები.

ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშნების მიმართ დაშვებული შეცდომა საჭიროა, იურიდიულად გაანალიზებულ იქნეს არა იმ პირის მიერ გაკეთებული შეფასებებიდან გამომდინარე, რომელმაც ეს შეცდომა დაუშვა, არამედ იგივე სოციალური მდგომარეობისა და შესაძლებლობის მქონე ობიექტური პიროვნების თვალსაზრისის მიხედვით²¹⁷. სხვაგვარად: დამნაშავე „საშუალო ადამიანის“ დონეზე მაინც სწორად უნდა აცნობიერებდეს ქმედების შემადგენელი გარემოების სოციალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის შინაარსს (ე.წ. „საშუალო ადამიანის“ მიერ გაკეთებული პარალელური შეფასება)²¹⁸. ასე მაგალითად, დამნაშავეს მიერ დოკუმენტების განადგურების ან მისი გაყალბების შემთხვევაში მას არ მოეთხოვება იმის ცოდნა, როგორ არის განმარტებული კანონში „დოკუმენტი“ ან „საბუთი“, მაგრამ, „საშუალო ადამიანის“ შესაძლებლობიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ თავისი ქმედებით ზოგადსამართლებრივი ნორმით დაცულ ობიექტს აზიანებს. ასეთი შეცდომა გამორიცხავს ქმედების შემადგენლობის ნიშნის სოციალური მნიშვნელობის შეცნობადობას და, მაშასადამე, განზრახვას.²¹⁹

ამრიგად, ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშნებთან დაკავშირებული შეცდომის შემთხვევა, ისე, როგორც ქმედების შემადგენლობის აღწერილობითი ნიშნებთან მიმართებით დაშვებული შეცდომა, გაბატონებული შეხედულებით, საჭიროა განიხილებოდეს როგორც ფაქტობრივი შეცდომა. ამ დროს შესაძლოა, უარყოფილ იქნეს განზრახვის ერთ-ერთი კომპონენტი – ცოდნა, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს მთლიანად განზრახვის გამორიცხვა.²²⁰

ქმედების შემადგენლობის ნორმატიულ ნიშნებთან დაკავშირებული შეც-

²¹⁷ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 485.

²¹⁸ ამის შესახებ იხ.: BGHSt 3, გვ. 248; BGHSt 4, გვ. 347; BGHSt 8, გვ. 321; *Schroth* (1998), გვ. 65; *Mezger* (1949), გვ. 328, 331. „პარალელური შეფასება დამნაშავეს შეგნებაში (Parallelbeurteilung im Täterbewusstsein)“ – ასე უწოდებს აღნიშნულ ფორმალურას *კ. ველცელი*. ამის შესახებ იხ. *Welzel*, JZ (1953), გვ. 120. იხ. ასევე: იმავე ჟურნალში, გვ. 266; *Welzel*, JZ (1954), გვ. 276-278. ქართველი მეცნიერი *მ. ტურავა* ამ ტერმინს უწოდებს „პარალელურ განსჯას“, რაც შინაარსობრივად იგივეა. იხ. *ტურავა* (2011), გვ. 270. აღსანიშნავია, რომ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ე.წ. „პარალელური შეფასების“ კატეგორიას ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი უარყოფს, ასე მაგალითად, *ო. პუპე*, *უ. ქინდჰაუზერი*, თუმცა აღნიშნული ავტორების ამ თვალსაზრისმა იურიდიულ ლიტერატურაში სათანადო აღიარება ვერ მოიპოვა. *ო. პუპეს* და *უ. ქინდჰაუზერის* მოსაზრებების შესახებ იხ.: *Puppe*, GA (1990), გვ. 145; *Kindhäuser*, GA (1990), გვ. 407.

²¹⁹ იხ. *Herzberg*, JuS (1999), გვ. 1073.

²²⁰ იხ.: BGHSt 48, გვ. 322-328; BGHSt 8, გვ. 321-323; *Rönnau*, *Faust*, *Fehling*, JuS (2004), გვ. 667-670.

დომა აუცილებელია გამიიჯნოს ე.წ. სუბსუმციაში დაშვებული შეცდომისგან²²¹, რადგან შეცდომის ეს სახე იურიდიულ ლიტერატურაში მიიჩნევა როგორც აკრძალვაში შეცდომა²²².

სუბსუმციაში დაშვებული შეცდომა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 პარაგრაფში (აკრძალვაში შეცდომა) მოიაზრება და პირის პასუხისმგებლობის საკითხიც, სწორედ, აღნიშნული ნორმის ფარგლებში გადაწყდება²²³. სახელდობრ, აკრძალვაში შეცდომის მსგავსად, სუბსუმციაში დაშვებული თავიდან აუცილებელი შეცდომის შემთხვევაში გამოირიცხება მართლწინააღმდეგობის შეგნება და, შესაბამისად, ბრალიც, რის გამოც პირი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება. ამგვარი შეცდომის თავიდან აცილებადობის ვითარებაში კი მართლწინააღმდეგობის შეგნება პოტენციურად მაინც დასაბუთდება, რაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს პირის განზრახი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას.

შეცდომის აღნიშნული სახეების ერთმანეთისგან გამიიჯნვის დროს წარმოშობილი პრობლემის გადაჭრის განსხვავებულ გზას გეთავაზობს გერმანელი მეცნიერი ფ. ჰაფტი. იგი ერთმანეთისგან განასხვავებს (1) „საგანთან დაკავშირებულ“ შეცდომას, რომელიც განზრახვას გამოირიცხავს და (2) „ცნებასთან დაკავშირებულ“ შეცდომას, რომელიც სუბსუმციაში დაშვებულ შეცდომად განიხილება და ასეთ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობის შეგნება გამოირიცხება²²⁴. მაგალითად, თუ მოქმედი ფიქრობს იმას, რომ „დოკუმენტაციის“ ცნებაში მხოლოდ საიდუმლო ინფორმაციის შემცველი საბუთები იგულისხმება და არა მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი ოფიციალური დოკუმენტები, მაშინ სახეზე გვაქვს შეცდომა სუბსუმციაში, ე.ი. „ცნებასთან დაკავშირებული“ შეცდომა. აქ დამნაშავე არასწორად ახდენს „დოკუმენტის“, ე.ი. ცნების დეფინიციას²²⁵. სხვა ანალოგიურ ვითარებაში, თუკი სხვისი შინაური ცხოველის განადგურების ან ქურდობის შემთხვევაში ცნება „შინაური ცხოველი“ დამნაშავეს მხრიდან გაგებულ იქნება როგორც უძრავი ნივთი, მაშინ ასეთმა შეცდომამ, მისი თავიდან აუცილებადობის შემთხვევაში, შეიძლება, გამოირიცხოს არა ქმედების შემადგენლობის განზრახვა, არამედ მართლწინააღმდეგობის შეგნება²²⁶. ამ პოზიციის მართებულობა კი შესაძლებელია, დასაბუთდეს იმ გარემოებით, რომ ნივთის დეფინიცია განსაზღვრულია არა სისხლის სამართლის კანონში, არამედ გერ-

²²¹ შდრ.: Herzberg, JuS (1999), გვ. 1073; Haft, JA (1981), გვ. 281-285; Haft, JuS (1980), გვ. 588-592.

²²² იხ.: BGHSt 9, გვ. 341-347; BGHSt 13, გვ. 135-138; BGHSt 15, გვ. 332-338; Baumann, Weber, Mitsch, AT (2003), გვ. 500; Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 91; Roxin, AT I (2006), გვ. 485; ტურავა (2011), გვ. 533-534.

²²³ შდრ. იემეკისა და ვაიგენდის დასახ. ნაშრომს, გვ. 282.

²²⁴ იხ.: Haft, JA (1981), გვ. 281-285; Haft, JuS (1980), გვ. 588-592.

²²⁵ იხ.: Haft, JA (1981), გვ. 284; Haft, JuS (1980), გვ. 591.

²²⁶ შდრ. იემეკისა და ვაიგენდის დასახ. ნაშრომს, გვ. 282-283.

მანის სამოქალაქო კოდექსის 90-ე პარაგრაფში²²⁷. ამ ნორმის მიხედვით, ნივთში მხოლოდ მატერიალური ფასეულობის მქონე საგანი იგულისხმება²²⁸. აქედან გამომდინარე, სრულიად დასაშვებია, რომ ბრალდებულმა ნივთის ზუსტი დეფინიცია მართლაც არ იცოდეს. ამიტომ, აკრძალვაში შეცდომის მსგავსად, შეცდომის ეს სახეც, მისი მისატყვებლობის შემთხვევაში, ავტორის აზრით, მართლწინააღმდეგობის შეგნებისა და, შესაბამისად, ბრალის უარყოფას უნდა იწვევდეს.²²⁹

რაც შეეხება „საგანთან დაკავშირებულ“ შეცდომას, მას ფ. ჰაფტი უკავშირებს ისეთ შემთხვევებს, რა დროსაც საჭირო არ არის გარკვეული საკანონმდებლო დეფინიციების გაკეთება. „ყოველი შეცდომა, რომელიც შესაძლოა, გაგებულ იქნეს არა საკანონმდებლო დეფინიციიდან გამომდინარე, უნდა ჩაითვალოს „საგანთან დაკავშირებულ“ შეცდომად“²³⁰ – აღნიშნავს იგი. ასე მაგალითად, თუკი ვინმე სხვის ნივთს იმიტომ დააზიანებს (სსკ-ის 303-ე პარაგრაფი, ნივთის დაზიანება), რომ შეცდომით თავისად ჩათვლის, მიიჩნევა არა „ცნებასთან დაკავშირებულ“, არამედ „საგანთან დაკავშირებულ“ შეცდომად.²³¹ ასეთ დროს შესაძლებელია, გამოირიცხოს ქმედების შემადგენლობის განზრახვა და პირი პასუხისმგებლობისგან საბოლოოდ გათავისუფლდეს²³².

თუმცა, გაბატონებული შეხედულებით, როგორც ქმედების შემადგენლობის ნორმატიულ ნიშნებთან დაკავშირებით, ისე სუბსუმციისას დაშვებული შეცდომა, როგორც წესი, სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია²³³. ამგვარ ვითარებებში დამნაშავემ ნივთის ზუსტი დეფინიცია შესაძლოა, მართლაც არ იცოდეს, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისთვის სრულიად საკმარისი იყოს იმის დადგენა, რომ პირს ცხენის, ძროხის, ძაღლის და ა.შ. ქურდობის ან განადგურების დროს მათი, როგორც მატერიალური ფასეულობის მქონე საგნის, დანიშნულება და მნიშვნელობა ზოგადად გააზრებული ჰქონდა²³⁴. მაშასადამე, „ნივთის“ ცნების არასწორი განმარტება სუბსუმციაში დაშვებული შეცდომისთვის, როგორც წესი, უმნიშვნელოა.²³⁵

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, ერთი შეხედვით, ძალზე რთულია, ერთი მხრივ, ქმედების შემადგენლობის დესკრიპციული და ნორმატიული, ხოლო, მეორე მხრივ, ქმედების შემადგენლობის

²²⁷ შდრ.: *Schroth* (1998), გვ. 29; *Roxin*, AT I (2006), გვ. 487.

²²⁸ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 487.

²²⁹ იხ.: *Haft*, JA (1981), გვ. 284; *Haft*, JuS (1980), გვ. 591.

²³⁰ იხ. *Haft*, JA (1981), გვ. 284.

²³¹ იქვე, გვ. 281-285, ასევე იხ. *Haft*, JuS (1980), გვ. 588-592.

²³² გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანების შემადგენლობის დასჯადობას არ ითვალისწინებს.

²³³ იხ. *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 498.

²³⁴ შდრ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 486.

²³⁵ იქვე, გვ. 487.

ნორმატიული ნიშნებისა და სუბსუმციისას დაშვებული შეცდომების ურთიერთ-გამიჯენა²³⁶. თითქმის ყველა ასეთ შემთხვევაში საჭიროა დამნაშავეის მხრიდან შეფასებების გაკეთება. გარდა ამისა, ყველა ეს შეცდომა პრაქტიკული თვალსაზრისით, ძირითადად, ირელევანტურად მიიჩნევა და პირი მაინც განზრახი ქმედების ჩადენისთვის ისჯება. ცალსახად იმის თქმა, რომ ნებისმიერი არასწორი სამართლებრივი შეფასება ყოველთვის ნიშნავს სუბსუმციაში შეცდომას, გაუმართლებელია.²³⁷ ზუსტად რომელია ქმედების ნორმატიულ და აღწერილობით ნიშნებში ან კიდევ სუბსუმციაში დაშვებული შეცდომა, დამოკიდებულია მხოლოდ კონკრეტულ გარემოებებზე და ცალკეულ შემთხვევებზე.

მაშასადამე, განხილულ იქნა განზრახვის ერთ-ერთი – კოგნიტიური – ელემენტი, რომლის დასასაბუთებლად აუცილებელია, რომ იგი დანაშაულის მიმდინარეობისას აქტუალური და უწყვეტი ფორმით იქნეს წარმოდგენილი. ამასთან, ის უნდა მოიცავდეს:

ა) კონკრეტული ქცევის ყველა ძირითად ნიუანსს;

ბ) განსახორციელებელი ქმედების შემადგენლობისთვის მნიშვნელოვან გარემოებებს;

გ) ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგის დადგომის წინასწარ განჭვრეტას;

დ) მოვლენის კაუზალური განვითარების არსობრივ მონახაზს;

ე) უმართლობის ობიექტური შემადგენლობის ყველა სხვა ნიშანს;

ვ) ქმედების გარემოებების სოციალურ ბუნებას.

თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ ცოდნის ელემენტის წარმოდგენა განზრახვის არსებობისთვის საკმარისი არ არის; საჭიროა, ასევე, მისი მეორე, მნიშვნელოვანი – ვოლუნტატიური – კომპონენტის დასაბუთებაც.

2.3.2. ნიშნების ელემენტი

კოგნიტიური ელემენტის განხილვის შემდეგ, მნიშვნელოვანია ყურადღება ამაყვრად განზრახვის მეორე ელემენტზე – ნებელობაზე იქნეს გამახვილებული. გაბატონებული შეხედულებით, განზრახვაში, ინტელექტუალური მომენტის გვერდით, ყოველთვის მოიაზრება ნებელობითი მომენტიც. სწორედ ამიტომ მის დასასაბუთებლად საჭიროა ამ ნიშნების კუმულაციური არსებობა²³⁸. მართალია, გერმანიის სისხლის სამართლის კანონი, ზოგიერთ შემადგენლობაში კოგნიტიური ელემენტისგან განსხვავებით, ვოლუნტატიური კომპონენტის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი სათანადო გამოკვლევა

²³⁶ იხ. *Welzel*, JZ (1954), გვ. 279.

²³⁷ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 489.

²³⁸ შდრ.: *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 80-81; *Roxin*, AT I (2006), გვ. 437.

და განაღლიზება საჭირო არ არის²³⁹.

როგორც ზემოთ აღინიშნა, განზრახვის დასადგენად აუცილებელია როგორც ცოდნის, ისე ნებელობის შემოწმება.²⁴⁰ აქედან გამომდინარე, პრობლემის კვლევაც სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. სახელდობრ, უნდა დასაბუთდეს დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ერთი მხრივ, გარემოებების მიმართ ცოდნის არსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, ნებელობა. რაც უფრო დიდი მოცულობითაა განზრახვაში კოგნიტიური ელემენტი წარმოდგენილი, მით უფრო ნაკლები ინტენსიურობით არის საჭირო ნებელობის ელემენტის არსებობა და პირიქით²⁴¹. ასე მაგალითად, მიზნით დეტერმინირებულ განზრახვაში ნებელობის ელემენტი უფრო მეტი ინტენსიურობით არსებობს, ვიდრე ცოდნის კომპონენტი. ამ შემთხვევაში ვოლუნტატიურ ელემენტს აძლიერებს დამატებით კიდევ ერთი კომპონენტი – მიზანი, რომელიც არაპირდაპირი განზრახვისთვის, როგორც ასეთი, დამახასიათებელი არ არის.²⁴² აქედან გამომდინარე, იბადება ლოგიკური შეკითხვა: განზრახვის ცნებაში რომელ ნიშანს აქვს უპირატესი მნიშვნელობა – ინტელექტუალურს თუ ნებელობის?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის ცალსახად გაცემა შეუძლებელია. თუ რომელი ელემენტი პრიორიტეტული განზრახვის ცნებაში, გადამწყვეტი არ უნდა იყოს. უპირველეს ყოვლისა, დასადგენია, განზრახვის რომელი ფორმით არის დანაშაული ჩადენილი. მიზნით დეტერმინირებულ განზრახვაში მის პირდაპირობას სწორედ ნებელობითი მომენტი განსაზღვრავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში ნებელობითი კომპონენტი უფრო დიდი მოცულობითაა წარმოდგენილი, ვიდრე ცოდნის ელემენტი²⁴³. კონკრეტულად რომ ითქვას, პირდაპირ განზრახვაში ქმედება იმდენად არის დელიქტური შედეგისკენ პირდაპირ მიმართული, რამდენადაც სუბიექტს ეს შედეგი სურს. არაპირდაპირი განზრახვის დროს კი ქმედება მხოლოდ ირიბად მიიმართება მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ, რაც განპირობებულია იმით, რომ სუბიექტი ესწრაფვის სხვა, განსაზღვრულ და არა კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო შედეგს.

ამ მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე კომპონენტს განზრახვის ცნებაში თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება. სხვა საკითხია, განზრახვის რომელ ფორმაში (პირდაპირში თუ ირიბში) რა მოცულობითაა აღნიშნული ელემენტები წარმოდგენილი, რაც მათ ერთმანეთისადმი პრიორიტეტულობას კი არ განსაზღვრავს, არამედ მხოლოდ იმას მიანიშნებს, თუ განზრახვის რომელი ფორმით (პირდაპირით, თუ არაპირდაპირით) არის ქმედე-

²³⁹ შტრ. Satzger, Jura (2008), გვ. 115.

²⁴⁰ შტრ.: RGSt 44, გვ. 324-327; RGSt 51, გვ. 305-311; BGHSt 19, გვ. 79-80; Jescheck, Weigend, AT (1996), გვ. 293; Otto, Jura (1996), გვ. 468; MüKo-Joelck I (2011), გვ. 762, 769-770.

²⁴¹ იხ. Schroth (1998), გვ. 3.

²⁴² შტრ. იეშკისა და ვაიგენდის დასახ. ნაშრომს, გვ. 297-298.

²⁴³ შტრ. Satzger, Jura (2008), გვ. 116.

ბა ჩადენილი. აღნიშნული საკითხის გასარკვევად კი აუცილებელია, პირველ რიგში, დამნაშავეის ცოდნის კომპონენტის დასაბუთება და მხოლოდ ამ ნიშნის დადგენის შემდეგ არის შესაძლებელი, ვიმსჯელოთ ნებელობის ელემენტზე. სრულიად დასაშვებია, კოგნიტიური ელემენტი არსებობდეს ნებელობის გარეშე (მაგალითად, თვითიმედოვნების დროს), მაგრამ პირიქით, მხოლოდ ნებელობის არსებობა და ცოდნის ელემენტის გამორიცხვა – შეუძლებელია²⁴⁴. აქედან დასკვნა: განზრახვაში მეორე (ნებელობის) ელემენტს პირველი (კოგნიტიური) ელემენტის გარეშე არსებობა არ შეუძლია²⁴⁵. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნებელობის ელემენტი განსხვავებული მოცულობითა და ინტენსიურობით არსებობს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ განზრახვაში. გამომდინარე აქედან, მართებულია პრობლემის ანალიზიც სწორედ ამ კუთხით წარიმართოს.

2.3.2.1. ნებელობის ელემენტის პრობლემა პირდაპირი განზრახვის დროს

ნებელობითი ელემენტის დადგენას პირდაპირ განზრახვაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ, ნებელობის ელემენტის საფუძველზე არის შესაძლებელი პირველი და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის ერთმანეთისგან ურთიერთგამიჯვნის საკითხის გარკვევა. კერძოდ, პირველი ხარისხის პირდაპირ განზრახვაში განსაკუთრებული ინტენსიურობით ვოლუნტატიური ელემენტი გამოირჩევა, რადგან მას მიზნის არსებობა აძლიერებს, ხოლო მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს მიზანი, როგორც ასეთი, არ არის მოცემული და, შესაბამისად, ნებელობაც აქ ნაკლები ხარისხით არსებობს.

რაც შეეხება პირდაპირ განზრახვაში თავად ნებელობის ელემენტის შინაარსს, ზოგიერთი გერმანელი მეცნიერის (მაგალითად, *ი. პუპე*, *პ. ოტო*) შეხედულებით, „ნებელობა“ (*wollen*) ასეთ შემთხვევაში ორი – დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური²⁴⁶ და ნორმატიულ-შერაცხვითი²⁴⁷ მნიშვნელობით გამოიყენება²⁴⁸.

ნებელობის დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური გაგება ნიშნავს „შედეგის დადგომისკენ მიმართული მიზნით დეტერმინირებულ ნებელობას“, ე.ი. ნებელობა აქ მიზნის იდენტურია და, გამომდინარე აქედან, ფსიქოლოგიურად არის გაგებული²⁴⁹. ნებელობის ნორმატიულ-შერაცხვითი გაგება კი გულისხმობს იმას, რომ პირს შედეგი, მართალია, გამიზნულად არ სურს, მაგრამ მის დადგომას

²⁴⁴ იხ. *Schroth* (1998), გვ. 3-4.

²⁴⁵ იხ.: *Ziegert* (1987), გვ. 69; *Schmidhäuser* (1968), გვ. 10.

²⁴⁶ გერმანულად: *Deskriptiv - psychologischer Sinn*.

²⁴⁷ გერმანულად: *Normativ - zurechnender Sinn*.

²⁴⁸ შტრა.: *Puppe*, *Nomos Kommentar I* (2010), გვ. 604; *Otto*, *Jura* (1996), გვ. 470.

²⁴⁹ ამის შესახებ იხ.: *Puppe*, *Nomos Kommentar I* (2010), გვ. 604; *Otto*, *Jura* (1996), გვ. 470.

გარდაუვლად მიიჩნევეს. დამნაშავეს ასეთ შემთხვევაში არ შეუძლია თავის გამართლება იმ არგუმენტით, რომ მას ფსიქოლოგიური გაგებით შედეგის დადგომის ნებელობა საერთოდ არ ჰქონდა, შედეგის დადგომის სურველი საერთოდ არ ამოძრავებდა.²⁵⁰ სწორედ ამიტომ, საჭიროა, ამ შემთხვევაში ნებელობა დასაბუთდეს არა ფსიქოლოგიურად, არამედ ნორმატიულად.²⁵¹

მაშასადამე, თუკი ქმედების ჩამდენ პირს შედეგი გამიზნულად არ უნდა, მაგრამ მისი დადგომის გარდაუვლობაში დარწმუნებულია, მაშინ შეიძლება დაღასტურდეს ე.წ. მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა,²⁵² რომელიც პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ნებელობა მიზნით არ არის განპირობებული. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ მიზანი მხოლოდ პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვის ძირითადი ელემენტია.²⁵³ ასე მაგალითად, თუ პირი თავის პოლიტიკურ კონკურენტს, რომლის მოკვლაც მას გამიზნულად სურს, მისსავე კუთვნილ ავტომატქანაში ააფეთქებს, ეს პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა იქნება, ხოლო თუ დამნაშავეს თავისი ქმედებით პოლიტიკოსის თანმხლები პირების მოკვლა გამიზნულად არ სურდა, თუმცა მათი სიკვდილის გარდაუვალობაში დარწმუნებული იყო, მაშინ სხვა პირთა მიმართ, შესაძლოა, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა დასაბუთდეს.²⁵⁴ მიუხედავად პოლიტიკოსის თანმხლებ პირთა მოკვლის მიზნის არარსებობისა, ქმედების ჩამდენი მათ სიკვდილს გარდაუვლად მიიჩნევდა, ამიტომ მას შედეგისადმი ნებელობაც, ნებელობის ნორმატიულ-შერაცხვადი გაგებით, დაუმტკიცდება. ამ შემთხვევაში, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვაში ნაგულისხმევი სიტყვები – „არ სურდა“ – უნდა გავიგოთ არა დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური, არამედ ნორმატიულ-შერაცხვითი მნიშვნელობით²⁵⁵. შედეგის დადგომის გარდაუვლად დაშვება სხვა არაფერია, თუ არა პირდაპირი განზრახვაში ნებელებითი მომენტის აღიარება.

ამ შეხედულებიდან გამომდინარე, იბადება ლოგიკური შეკითხვა: ხომ არ გულისხმობს განზრახვაში ზოგადად ნებელობის ამგვარი გაგება თავად განზრახვის, როგორც წმინდა ფსიქოლოგიური კატეგორიის უარყოფას?

ამ პრობლემას ქვემოთ განვიხილავთ, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს: ნებელობისადმი ნორმატიული ხარისხის მინიჭება, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ საჭიროა „განზრახვა“ გაგებულ იქნეს არა მარტო წმინდა ფსიქოლოგიურად, არამედ ნორმატიულადაც.

მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვასთან დაკავშირებით *ი. პუპესა* და *კ. ოტოს* პოზიციას იზიარებს ასევე, *კ. როქსინი*. იგი მიუთითებს: „პირდაპირ

²⁵⁰ შდრ.: Puppe, Nomos Kommentar I (2010), გვ. 604; Otto, Jura (1996), გვ. 470.

²⁵¹ შდრ. Otto, Jura (1996), გვ. 470.

²⁵² იხ. Puppe, Nomos Kommentar I (2010), გვ. 604.

²⁵³ იქვე.

²⁵⁴ იქვე, ასევე შდრ. Otto, Jura (1996), გვ. 470-471.

²⁵⁵ იხ. Puppe, Nomos Kommentar I (2010), გვ. 604.

განზრახვაში იგულისხმება არა მარტო ის შედეგი, რისკენაც დამნაშავე ისწრაფვის, არამედ ის შედეგიც, რომლისკენ დამნაშავეს მიზანი, მართალია, პირდაპირ არ არის მიმართული, მაგრამ დარწმუნებით ითვალისწინებს მისი დადგომის ალბათობას და, შესაბამისად, ეს შედეგი დამნაშავეს უნდა კიდევ²⁵⁶ ასე რომ, მიზანი და „ნებელობის ფაქტორი“ პირველი ხარისხის პირდაპირ განზრახვაში, ცოდნის ელემენტთან შედარებით, უფრო მეტად დომინირებს.²⁵⁷ ამ მსჯელობიდან გამომდინარე კი, შეიძლება ითქვას, რომ როდესაც დამნაშაულის ჩამდენი პირი შედეგის დადგომისთვის იღვწის, პირდაპირი განზრახვით დამნაშაულის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, იგი ქმედების შემადგენლობის განხორციელებას მხოლოდ გარდაუვლად მიიჩნევს, თუ დარწმუნებულია მოვლენათა ასეთი სახით განვითარებაში.²⁵⁸

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სწორად განმარტა პირდაპირი განზრახვა; მან ცალსახად მიუთითა, რომ „შედეგი, რომლის დადგომისთვის პირი ყველაფერს აკეთებს, ყოველთვის გამიზნულია (Absicht), თუკი ქმედების ჩამდენს ასეთი შედეგის განხორციელება დანამდვილებით ან გარდაუვლად მიაჩნდა, მიუხედავად იმისა, სურდა ეს შედეგი, თუ შინაგანად ნანობდა კიდევ ამის გამო“²⁵⁹.

2.3.2.2. ნებელობის ელემენტი არაპირდაპირი განზრახვის დროს

ნებელობის ელემენტის არსებობის დასაბუთება ევენტუალურ განზრახვაში მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.²⁶⁰ გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაბატონებული შეხედულებით, ევენტუალური განზრახვა (dolus eventualis) მხოლოდ მაშინ არის მოცემული, როდესაც ამსრულებელი ითვალისწინებს კანონით განსაზღვრული ქმედების შემადგენლობის განხორციელებას და ურიგდება ან შინაგანად იწონებს მას²⁶¹.

ცნობილია, რომ არაპირდაპირი განზრახვა, მისი ცალკეული ელემენტების შინაარსიდან გამომდინარე, ხშირად ძალიან ემსგავსება შეგნებულ გაუფრთხილებლობას. ამ დროს, ისევე როგორც არაპირდაპირი განზრახვისას, პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედება, ასევე ითვალისწინებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას და, რაც მთავარია, ამ ვითარებაში არ სურს შედეგის

²⁵⁶ შდრ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 436-437.

²⁵⁷ შდრ. *იუშეკისა და ვაიგენლის* დასახ. ნაშრომს, გვ. 297.

²⁵⁸ იხ. *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 83.

²⁵⁹ იხ.: BGHSt 21, გვ. 283; BGHSt 9, გვ. 143; BGHSt 13, გვ. 219.

²⁶⁰ შდრ. *Safferling* (2008), გვ. 170-171.

²⁶¹ იხ.: *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 486; *Kühl*, AT (2008), გვ. 70; *Bloy*, JuS (1989), გვ. L3.

დადგომა. გამომდინარე აქედან, როგორც არაპირდაპირი განზრახვის, ისე შეგნებული გაუფრთხილებლობის დროს, ამსრულებელი აბსტრაქტულად ერთნაირად უწევს ანგარიშს იმის ალბათობას, რომ კანონში განსაზღვრული გარემოებები შესაძლოა განხორციელდეს და მისი ქცევა შედეგის დადგომის წინაპირობა გახდეს²⁶². ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს ქმედების ამ ორ სრულიად განსხვავებულ სუბიექტურ ნიშანში ინტელექტუალურ ასპექტთა თითქმის იდენტურობას. აღნიშნულ მოსაზრებას ერთგვარად აძლიერებს თვით არაპირდაპირი განზრახვის ალტერნატიული სახელწოდებაც – ევენტუალური.

სიტყვა „ევენტუალურის“ (ფრანგულად: „შესაძლო“) ალტერნატიულ ტერმინად გამოყენება განპირობებულია იმით, რომ აქცენტი აქ გადაიტანება შედეგის შესაძლო დადგომის გათვალისწინებაზე, ე.ი. ინტელექტუალურ მომენტზე. თუმცა, შედეგის დადგომის გათვალისწინების აბსტრაქტული შესაძლებლობა შეგნებული გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც ასევე მოცემულია.

მაშასადამე, გამოდის, რომ ინტელექტუალური ელემენტი სუბიექტური შემადგენლობის ორ სხვადასხვა გამოვლინებაში თითქმის ერთნაირად არის წარმოდგენილი. სწორედ ამიტომ, ისმის კითხვა: რომელი ნიშნის – ინტელექტუალურის თუ ნებელობითის – საფუძველზე უნდა მოხდეს არაპირდაპირი განზრახვისა და შეგნებული გაუფრთხილებლობის ერთმანეთისგან ურთიერთგამიჯვნა? უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, გასარკვევია, საერთოდ არის თუ არა მოცემული ნებელობის ელემენტი გაუფრთხილებლობითი დელიქტების ჩადენის დროს, ვინაიდან, როგორც აღმოჩნდა, ინტელექტუალურ ასპექტებში ისინი ფაქტობრივად თითქმის იდენტურია.

საკითხი, როგორ განისაზღვრება არაპირდაპირი განზრახვის შინაარსი და რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს მისი შეგნებული გაუფრთხილებლობისგან გამიჯვნა – მეტად პრობლემურია არა მარტო გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში, არამედ სისხლის სამართლის დოგმატიკაშიც²⁶³. ამ მიზნით, სისხლის სამართლის მეცნიერებაში ჩამოყალიბდა ე.წ. შემცენებისა და ნებელობის თეორიები. მათი არსი შემდეგში მდგომარეობს:

ა) შემცენების ანუ წარმოსახვის თეორიისთვის (Wissenstheorie) ამოსავალია ის, რომ ევენტუალური განზრახვის არსებობის აუცილებელი წინაპირობაა პირის გარკვეული წარმოდგენა საფრთხის შესახებ ქმედების შემადგენლობის განხორციელებისას, ხოლო ნებელობითი მომენტი ამ შემთხვევაში საჭირო არაა.²⁶⁴ ეს კი ნიშნავს იმას, რომ ევენტუალური განზრახვა და შეგნებული გაუფრთხილებლობა ერთმანეთისგან განსხვავდება მხოლოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნის სფეროში;²⁶⁵

²⁶² იხ. *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 84-85.

²⁶³ ზღრ. *Schmidhäuser*, JuS (1980), გვ. 242-243.

²⁶⁴ იხ. *Morkel*, NStZ (1981), გვ. 177-179.

²⁶⁵ იქვე.

ბ) ნებელობის თეორიის (Willenstheorie) მიხედვით, ევენტუალურ განზრახვას აქვს ორი დამოუკიდებელი ნიშანი – ქმედების განხორციელების ცოდნა და ნება²⁶⁶. შეგნებული გაუფრთხილებლობისგან იგი მხოლოდ ნებელობის ელემენტის არსებობით განსხვავდება. გამოძინარე აქედან, ნებისმიერი სახით ჩადენილი განზრახვი დანაშაული ყოველთვის ნებელობითია, ხოლო გაუფრთხილებლობით ჩადენილი – ნების გარეშე განხორციელებული. თუმცა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ გაუფრთხილებლობა ზოგადად არანებელობითი ქმედებაა, აქ, უპირველეს ყოვლისა, საუბარია შედეგისადმი პირის მხრიდან ნებელობის არარსებობაზე და არა ქმედების არანებელობით განხორციელებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ როგორც არანებელობით ქმედებას, ისე არანებელობით შედეგს, რაც, საბოლოო ჯამში, პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან საერთოდ გაათავისუფლებას გამოიწვევს. ყოველი დასჯადი ქმედება ნებელობითი ხასიათისა უნდა იყოს; ამიტომ სისხლის სამართალსაც მხოლოდ ნებელობითი ქმედება აინტერესებს და არა ე.წ. ინსტიტუტური ან რეფლექსური მოქმედებები²⁶⁷. ამის შესახებ გერმანულ იურიდიული ლიტერატურაში არაერთი ავტორი მართებულად მიუთითებს: „განზრახვა წარმოადგენს ამა თუ იმ ქმედების ჩადენის გზით სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თაობაზე პირის პერსონალურ გადაწყვეტილებას, რომელიც ქმნის მოქმედების უმართლობის ბირთვს“²⁶⁸. გამოძინარე აქედან, მოქმედება არის ნებელობითო აქტი, ნებელობა კი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება სისხლისსამართლებრივად რელევანტურ მოქმედებათა დადგენას, მაგრამ, ამ ფუნქციის გარდა, იგი არ კარგავს თავის მნიშვნელობას განზრახვისა და ბრალის ეტაპზე. ნებელობის შინაარსი მათ არსებობაზე მსჯელობის დროს ღვინდება.²⁶⁹

სწორედ შემეცნებისა და ნებელობის თეორიებიდან გამომდინარე, ავტორთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ნებელობის ელემენტის შემოწმება დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ისეთივე აუცილებელი წინაპირობაა, როგორც კოგნიტიური ელემენტის განხილვა²⁷⁰. მეცნიერთა მეორე ნაწილი კი, განზრახვაში ნებელობითი ელემენტის მნიშვნელობას უარყოფს და მხოლოდ კოგნიტიურ კომპონენტს აღიარებს²⁷¹.

²⁶⁶ იხ. *Heinrich*, AT I (2010), გვ. 114.

²⁶⁷ იხ. *Wolff*, *Gallas FS* (1973), გვ. 242,

²⁶⁸ შდრ.: *Jescheck*, *Weigend*, AT (1996), გვ. 293; *Kühl*, AT (2008), გვ. 68, ასევე შდრ. *ტურაყა* (2011), გვ. 289-290.

²⁶⁹ შდრ. *ტურაყა* (2011), 289-290.

²⁷⁰ შდრ.: *Hippel* (1903), გვ. 45-46; *Blei* (1983), გვ. 115-116; *Wessels*, *Beulke*, AT (2011), გვ. 84-87; *Jescheck*, *Weigend*, AT (1996), გვ. 293; *Heinrich*, AT I (2010), გვ. 102-106; *Spendel*, *Lackner FS* (1987), გვ. 167-171; *Bloy*, *JuS* (1989), გვ. L1-L4.

²⁷¹ შდრ.: *Frank*, *ZStW* 10 (1890), გვ. 169-185; *Herzberg*, *JuS* (1986), გვ. 249; *Frisch* (1983), გვ. 57 ff, 111 ff, 196 ff, 255-257; *Lesch*, *JA* (1997), გვ. 802-809; *Schlehofer*, *NJW* (1989), გვ. 2017-2026; *Schmidhäuser* (1968), გვ. 14-18, 21-25; *Puppe*, *Nomos Kommentar I* (2010), გვ. 604; *Kindhäuser*, *ZStW* 96 (1984), გვ. 1-35; *Maurer* (2007), გვ. 50-52.

ასეთ შემთხვევაში ერთგვარად არაღამაჯერებელი ჩანს იმ ავტორთა შეხედულება, რომლებიც განზრახვაში ნებელობის ელემენტის არსებობას არ იზიარებენ²⁷². თუკი დამნაშავე შედეგის დადგომის შესაძლებლობას უშვებს და მას ეგუება ან კიდევ შინაგანად იწონებს, გადაჭრით იმის თქმა, რომ ამ შედეგის ნებელობა მას არა აქვს, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. დელიქტური შედეგის შვენიერი დაშვება, როგორც ქმედების ნებელობითი ასპექტი და ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება, როგორც ამავე ქმედების ინტელექტუალური მხარე – სწორედ რომ არაპირდაპირი განზრახვის იმანენტური მომენტი. თუმცა, ისიც ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული შეხედულების საწინააღმდეგო პოზიციას არანაკლებ ავტორიტეტული მეცნიერები ემხრობიან. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია ამ ავტორთა პოზიციების ცალკე განხილვა-გაანალიზება.

2.3.2.2.1. პოზიციის, რომელიც არაპირდაპირ განზრახვაში ნებელობის ელემენტის მნიშვნელობას არ აღიარებს

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ავტორთა ერთი ნაწილი არაპირდაპირ განზრახვაში ნებელობის ელემენტის რელევანტურობას, მართალია, აღიარებს, თუმცა არსებით მნიშვნელობას მაინც პირის ცოდნას ანიჭებს. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიანიშნებს, რომ ამ მოსაზრების წარმომადგენლები უფრო მეტად განზრახვის ინტელექტუალური მხარის პრიორიტეტულობას ემხრობიან. მეცნიერთა მეორე ნაწილი განზრახვაში ვოლუნტატიური კომპონენტის რელევანტურობას საერთოდ უარყოფს და მთელი ყურადღება მის კოგნიტიურ მხარეზე გაადაქვს.

ავტორთა პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან გერმანელი პროფესორები: *ე. ფრიში* და *ი. ჰუჟე*, ხოლო მეცნიერთა მეორე ჯგუფის წარმომადგენელია *ე. შმიდპოიზერი*.

ე. ფრიში თავის ვრცელ მონოგრაფიულ ნაშრომში მიუთითებს: „ნებელობის ელემენტის არსებობა არაპირდაპირ განზრახვაში იმით კონმპქსირდება, რომ ქმედება ნებელობითი. სხვა შემთხვევაში კი ისიც საკმარისია, პირს შედეგის განხორციელების საფრთხე ზოგადად ჰქონდეს შეცნობილი.“²⁷³ მაშასადამე, *ე. ფრიში* განზრახვის დასასაბუთებლად არა ნებელობის, არამედ შემეცნების თეორიას ემხრობა და ასეთ ვითარებაში საკმარის პირობად მიიჩნევს მხოლოდ შედეგის განხორციელების საფრთხის შეცნობადობას.

²⁷² ნებელობის თეორიის კრიტიკის შესახებ იხ.: *Roxin*, JuS (1964), გვ. 53-58; *Freund*, AT (2009), გვ. 279; *Frisch* (1983), გვ. 57, 111, 196, 255-257.

²⁷³ იხ. *Frisch* (1983), გვ. 486. არაპირდაპირ განზრახვაში ნებელობით ელემენტს უარყოფს ასევე *ი. ჰრუსჩკა*. ამის შესახებ იხ. *Hruschka* (1988), გვ. 437.

ვ. ფრიშის ამ პოზიციას კიდევ უფრო ავითარებს ი. პუპე. იგი, ვ. ფრიშის მსგავსად, არაპირდაპირი განზრახვის დროს ნებელობის ელემენტის მნიშვნელობას არ აღიარებს და მას მნიშვნელობას მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს ანიჭებს²⁷⁴. ის აღნიშნავს: „განზრახვა ეს არის კონკრეტული (კვალიფიციური) საფრთხის შეცნობადობა“. სახელდობრ, პირის ქცევა მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცეს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად, როცა კონკრეტულმა საფრთხემ, რომელიც დამნაშავემ გაცნობიერებულად ან სავარაუდოდ „ალბათობის მაღალი ხარისხით შექმნა“, სამართლებრივი სიკეთის დაზიანება გამოიწვია. ამ შემთხვევაში, ავტორის აზრით, არაპირდაპირი განზრახვით კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, დამნაშავემ ეს საფრთხე „სერიოზულად აღიქვა“, თუ მის „ბედნიერ დასასრულს“ იმედოვნებდა²⁷⁵.

ამით კი ი. პუპე, როგორც ჩანს, ცდილობს განზრახვასა და შეგნებულ გაუფრთხილებლობას შორის ზღვარი გაავლოს დამნაშავეს მიერ საფრთხის უფრო სწორად, რისკის შეცნობადობასა თუ ასეთი რისკის საერთოდ არარსებობაში. მისი აზრით, არაპირდაპირი განზრახვა მხოლოდ მაშინ არის მოცემული, როცა დამნაშავეს კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობა „მაღალი ხარისხის ალბათობით“ შეცნობილი აქვს²⁷⁶.

ი. პუპესგან განსხვავებით, უფრო კატეგორიული პოზიცია უკავია ე. შმიდჰაუზერს, რომელიც ნებელობითი მომენტის მნიშვნელობას არამარტო არაპირდაპირ, არამედ პირდაპირ განზრახვაშიც (მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა) უარყოფს²⁷⁷. მას მიაჩნია, რომ ტრადიციულად გაგებული განზრახვის ცნებიდან საჭიროა ნებელობის ელემენტის ცალკე გამოყოფა და ამ უკანასკნელის აღიარება მხოლოდ ქმედების იმანენტურ მომენტად.²⁷⁸ ავტორის აზრით, ამ შემთხვევაში ნებელობა წარმოადგენს, როგორც განზრახვით, ისე გაუფრთხილებლობით ჩადენილი მოქმედების და არა თავად განზრახვის ან გაუფრთხილებლობის შემადგენელ ელემენტს.

მაშასადამე, ნებელობა ე. შმიდჰაუზერის თეორიით, დანაშაულებრივი ქმედების დამახასიათებელი მომენტია. თავად განზრახვა კი, მეცნიერის აზრით, ბრალს განეკუთვნება და იგი მხოლოდ კოგნიტიური ნიშნით ფუძნდება.²⁷⁹ შეიძლება ითქვას, რომ ამით ე. შმიდჰაუზერი გვევლინება ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის დამცველად. სწორედ ამიტომ, იგი განზრახვის, როგორც

²⁷⁴ იხ.: Puppe, Nomos Kommentar I (2010), გვ. 604; Puppe, ZStW 103 (1991), გვ. 1-42.

²⁷⁵ იხ.: Puppe, ZStW 103 (1991), გვ. 41; Puppe, AT I (2002), გვ. 312-320.

²⁷⁶ ი. პუპეს მოძღვრების კრიტიკის შესახებ იხ. Roxin, AT I (2006), გვ. 458.

²⁷⁷ იხ. Schmidhäuser (1968), გვ. 14-18, 21-25.

²⁷⁸ იხ. Schmidhäuser, AT (1984), გვ. 63, 201-202. ე. შმიდჰაუზერის ამ მოსაზრებას იზიარებენ ასევე სხვა ავტორებიც, ამის შესახებ იხ.: Herzberg, JZ (1988), გვ. 576; Kindhäuser, ZStW 96 (1984), გვ. 21.

²⁷⁹ იხ. Schmidhäuser, AT (1984), გვ. 63, 201-202.

ქმედების სუბიექტური ნიშნის, არსებობის მიზანშეწონილობას ეჭვქვეშ აყენებს.

ამრიგად, გერმანელ მეცნიერთა ერთი ნაწილი ევენტუალურ განზრახვაში ნებელობის ელემენტის მნიშვნელობას არ აღიარებს და უპირატესობას ინტელექტუალურ მომენტს ანიჭებს.

2.3.2.2.2. ნებელობის ელემენტის მნიშვნელობის უარყოფის კრიტიკა

ზემოთ მითითებულ აღნიშნულ ავტორთა შეხედულებები არაპირდაპირ განზრახვაში ნებელობის ელემენტის რელევანტურობის უარყოფის შესახებ გაზიარებული არ უნდა იქნეს, რის გამოც საჭიროა, მათი მოსაზრებების ცალკე, თანამივდევრობით გაანალიზება:

(1) *ე. ფრიშის* შეხედულება იმის შესახებ, რომ განზრახვაში ნებელობის ელემენტის დასაბუთება არ არის აუცილებელი, გამომდინარე იქიდან, რომ ქმედება ასეთ შემთხვევაში ნებელობითი და ამიტომ პრობლემა თითქოსდა მხოლოდ შედეგის განხორციელების შესახებ საფრთხის შეცნობით უნდა გადაწყდეს²⁸⁰, სწორი არ არის. ნებელობითი ქმედება არამარტო განზრახვის, არამედ გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც არსებობს. მათ შორის განსხვავება კი ის არის, რომ შედეგის მიმართ ასეთი ნებელობა გაუფრთხილებლობის დროს საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ხოლო განზრახვის შემთხვევაში იგი ინტელექტუალური ელემენტის გვერდით არის მოცემული. წინააღმდეგ შემთხვევაში არაპირდაპირი განზრახვა გაუფრთხილებლობას დაემსგავსებოდა;

(2) *ი. პუჰეს* მოსაზრება ევენტუალურ განზრახვასთან მიმართებაში ნებელობითი ელემენტის მნიშვნელობის უარყოფის შესახებ სამართლიან კრიტიკას იმსახურებს. საფრთხის შეცნობადობა, მართალია, შეგნებული გაუფრთხილებლობის შემთხვევაში არა კონკრეტულად, მაგრამ აბსტრაქტულად უდავოდ არსებობს. ასე მაგალითად, როდესაც ავტომანქანის მძღოლი სატრანსპორტო საშუალებას დაშვებული სიჩქარის ნაცვლად გადაჭარბებული სიჩქარით მართავს, მას აბსტრაქტულად საფრთხის არსებობა შეცნობილი აქვს, თუმცა დარწმუნებულია, რომ მის ამგვარ ქმედებას კონკრეტულ სიტუაციაში მძიმე შედეგი არ მოჰყვება²⁸¹. გამომდინარე აქედან, კონკრეტული თუ აბსტრაქტული საფრთხის მხოლოდ შეცნობადობის საფუძველზე განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ერთმანეთისგან ურთიერთგამიჯენის საკითხის ამ ფორმით გადაწყვეტა აღნიშნული პრობლემიდან რაციონალური გამოსავალი არ არის;

(3) ცალკე აღნიშვნას იმსახურებს *ე. შმიდჰაუსერის* მოსაზრება არაპირდაპირ განზრახვასთან დაკავშირებით. იგი, როგორც ჩანს, უარყოფს ნებელობის

²⁸⁰ იხ. *Frisch* (1983), გვ. 486.

²⁸¹ იხ. *Schmidhäuser*, JuS (1980), გვ. 245.

მომენტის მნიშვნელობას განზრახვის სფეროში. ავტორის შეხედულება იმის შესახებ, რომ ნებელობა მხოლოდ ქმედების ცნებაში უნდა განიხილებოდეს, არ არის არგუმენტირებული შემდეგ გარემოებათა გამო:

(ა) განზრახვაში ნებელობის გამორიცხვა ფაქტობრივად ნიშნავს კოლ-უნტატიური ელემენტის საერთოდ იგნორირებას და მხოლოდ კონკრეტული მომენტის აღიარებას, რაც, თავის მხრივ, განზრახვის სხვადასხვა ფორმით ჩადენილი ქმედების უარყოფასაც გულისხმობს. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება მიზნით დეტერმინირებული განზრახვა განვასხვავოთ მიზნის გარეშე ჩადენილი მოქმედებისგან. მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ნებელობით მომენტს უკავშირდება და მიზნით ჩადენილ დელიქტებში იგი ნებელობითი ელემენტის დამატებით კომპონენტს წარმოადგენს;

(ბ) განზრახვის ცნებაში ნებელობის ელემენტის მნიშვნელობის უარყოფა პრობლემას შექმნის, ასევე, არაპირდაპირი განზრახვისა და შეგნებული გაუფრთხილებლობის ურთიერთგამიჯვნის საკითხის გარკვევისას.²⁸² კერძოდ, ადამიანს შეუძლია, გააცნობიეროს თავისი ქმედების შედეგად ზიანის დადგომის შესაძლებლობა (კონკრეტული ელემენტი), მაგრამ მას შეიძლება არ სურდეს იგი. შედეგის შესაძლო დადგომის მხოლოდ გააცნობიერება ევენტუალური განზრახვის დასადასტურებლად საკმარისი წინაპირობა არ არის. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ნიშნავს შეგნებული გაუფრთხილებლობის სფეროში განზრახვის „შეჭრას“²⁸³, ვინაიდან არაპირდაპირი განზრახვისა და შეგნებული გაუფრთხილებლობის ინტელექტუალური მხარე, როგორც ზემოთ აღინიშნა, თითქმის იდენტურია.

გამომდინარე აქედან, აუცილებელია, რომ დადგინდეს ნებელობის ელემენტი როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაშიც. სწორად მიუთითებს ამის შესახებ ჰ. ოტო, როდესაც იგი განზრახვის ნებელობით მომენტზე საუბრობს. ავტორი აღნიშნავს, რომ განზრახვის ინტელექტუალური და ნებელობითი მხარე წარმოადგენს განზრახვის ერთი და იმავე კომპლექსურ-ფსიქოლოგიური ფაქტობრივი ვითარების სხვადასხვა ელემენტს: „მოვლენათა სოციალურად საშიში, სოციალურად საზიანო განვითარების უბრალოდ ცოდნა განზრახვის დასადგენად სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია, თუ მას თან არ ახლავს ნებელობა.“²⁸⁴

არაპირდაპირი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ერთმანეთისგან გამიჯვნასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემის განსხვავებულად გადაჭ-

²⁸² იხ. *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 81. იგივე პოზიციას ავითარებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მ. ტურავა. ამის შესახებ იხ. ტურავა (2011), გვ. 283-298.

²⁸³ იხ.: *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 81; *Krüger, Helmke*, JA (1989), გვ. 71-77; *Küpper*, ZStW 100 (1988), გვ. 758; *Otto*, Jura (1996), გვ. 468-476.

²⁸⁴ იხ. *Otto*, Jura (1996), გვ. 471. ჰ. ოტოს ამ პოზიციას იზიარებს ასევე მ. ტურავა. იხ. ტურავა (2011), გვ. 273.

რის გზას გვთავაზობს *კ. როქსინი*²⁸⁵. მან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ არაპირდაპირი განზრახვის არსებობისთვის გადაწყვეტია არა იმდენად ნებელობითი მომენტის დასაბუთება, არამედ უფრო იმის შემოწმება, ჰქონდა თუ არა დამნაშავეს ასეთ შემთხვევაში „სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გადაწყვეტილება მიღებული“.²⁸⁶ კონკრეტულად რომ ითქვას, ამ შეხედულების მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვის დროს ქმედების ჩამდენ პირს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა შინაგანად გადაწყვეტილი აქვს, ხოლო თვითიმედოვნებისას ამგვარი გადაწყვეტილება არ არსებობს.²⁸⁷

მაშასადამე, ავტორი ამ შემთხვევაში, მართალია, ნებელობის ელემენტის არსებობას ცალსახად არ უარყოფს, მაგრამ მას მაინც არასაკმარის წინაპირობად თვლის და განზრახვის დასასაბუთებლად დამატებით კიდევ ერთი კრიტერიუმის – დამნაშავეს მიერ სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების – შემოწმებას მოითხოვს.

აღნიშნული მოსაზრება ნაწილობრივ მისაღებია. კერძოდ კი იმ ნაწილში, სადაც *კ. როქსინი* მიიჩნევს არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს მხრიდან „სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შესახებ გადაწყვეტილების“ არსებობის დადგენას. ამ პოზიციის მიზანშეწონილობის წარმოსაჩენად შესაძლებელია შემდეგი მაგალითის მოყვანა: თუ პირი ვაზნებით დატენილ იარაღს ამოიღებს, მაგრამ გადაწყვეტილი არა აქვს მოპირდაპირე მხარეს მდგომ პიროვნებას ესროლოს თუ მხოლოდ დაემუქროს, ასეთი ქმედება განზრახვას არ აფუძნებს. ამ შემთხვევაში არც მცდელობის კვალიფიკაცია შეიძლება, რადგან მას სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ან განადგურება შინაგანად გადაწყვეტილი ჯერ კიდევ არა აქვს.²⁸⁸

კ. როქსინის ზემოაღნიშნული შეხედულების საწინააღმდეგოდ შეიძლება გამოითქვას კრიტიკული მოსაზრებაც; სახელდობრ, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გადაწყვეტილება პირს მიღებული აქვს მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის შემთხვევაშიც. მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროსაც პირი შედეგისკენ, მართალია, მიზანმიმართულად არ ისწრაფვის, მაგრამ შედეგის დადგომის, ანუ სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შესაძლებლობას გარდაუვლად მიიჩნევს. გამომდინარე აქედან, მარტო ამ ნიშანზე დაყრდნობით, შესაძლოა, არაპირდაპირი განზრახვა, ერთი მხრივ, მართლაც გაიმიჯნოს შეგნებული გაუფრთხილებლობისგან, ხოლო, მეორე მხრივ, არც

²⁸⁵ იხ. *Roxin*, JuS (1964), გვ. 53-58.

²⁸⁶ იქვე, ასევე იხ. *Roxin* (1973), გვ. 226-234. განზრახვის დასასაბუთებლად *კ. როქსინის* ამ ფორმულას იყენებს ასევე გერმანელი მეცნიერი *ვ. კაზაშერი*. ამის შესახებ იხ. *Hassemer*, GS für Kaufmann (1989), გვ. 295.

²⁸⁷ იხ.: *Roxin* (1973), გვ. 232-233; *Maurer* (2007), გვ. 108; *Hassemer*, GS für Kaufmann (1989), გვ. 295, 309.

²⁸⁸ იხ.: *Roxin*, AT I (2006), გვ. 447; *Sternberg-Lieben*, Schönke/Schröder (2010), გვ. 262.

ის არის გამორიცხული, რომ მისი „აღრევა“ უკვე პირდაპირ განზრახვაში მოხდეს. ამიტომ, არაპირდაპირ განზრახვაში მხოლოდ „სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შესახებ გადაწყვეტილების“ არსებობის შემოწმება საკმარისი წინაპირობა არ უნდა იყოს მის დასასაბუთებლად. საჭიროა, ასევე, დადგინდეს დამდგარი შედეგისადმი პირის ნებელობითი მომენტიც და სწორედ როგორც ნებელობითი ელემენტის, ისე „სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შესახებ გადაწყვეტილების“ კუმულაციურად არსებობის დასაბუთებით შესაძლებელი გახდება, რომ არაპირდაპირი განზრახვა გაიმიჯნოს შეგნებული გაუფრთხილებლობისგან.

მაშასადამე, როგორც აღმოჩნდა, განზრახვისა და თვითიმედოვნების ერთმანეთისგან გამიჯვნას ყველაზე არგუმენტირებულად და დასაბუთებულად ნებელობის თეორია ახდენს. ამ მოძღვრების მიხედვით, განსაზღვრული არაპირდაპირი განზრახვა უდავოდ იმსახურებს აღიარებას. ამსრულებელი განზრახვი ქმედების განხორციელების დროს, თუნდაც ის არაპირდაპირი ფორმით იყოს გამოხატული, დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას „შინაგანად იწონებს“ და, შესაბამისად, განზრახვაც ნებელობითია²⁸⁹. გაუფრთხილებლობისას კი პირს დარწმუნებით მიაჩნია, რომ მისი ქცევა მართლსაწინააღმდეგო შედეგს არ გამოიღებს და არც აქვს ამგვარი შედეგის დადგომის ნებელობა.

ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ, თუკი დავუშვებთ შემეცნების თეორიის მართებულობას და მივიჩნევთ, რომ განზრახვა შეიძლება განიმარტოს მხოლოდ ინტელექტუალურ ნიშანზე მითითებით, მაშინ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი იძულებული გახდება აგრეთვე არაპირდაპირი განზრახვისა და თვითიმედოვნების იგივეობაც აღიაროს. სუბექტური შემადგენლობის ეს ორი განსხვავებული ქვესახე, როგორც აღმოჩნდა, სწორედ, ერთსა და იმავე ინტელექტუალურ ელემენტზეა აგებული: სახელდობრ, ირიბი განზრახვის დროს, ისევე, როგორც თვითიმედოვნების შემთხვევაში, სუბიექტი ითვალისწინებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ის რომ, პირი არაპირდაპირი განზრახვისას შეგნებულად უშვებს არამართლზომიერი შედეგის დადგომას და შინაგანად იწონებს კიდევ მას, სხვა არაფერია თუ არა მასში ნებელობითი მომენტის არსებობის აღიარება. თავად ნებელობა კი ასეთ ვითარებაში წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას და საჭიროა იგი გაგებულ იქნეს არა წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ნორმატიულად, ისევე როგორც ეს ხდება მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს. კერძოდ, ამ შემთხვევაში შესამოწმებელია, ჰქონდა თუ არა პირს შედეგისადმი ნებელობა, ანუ დასადგენია, დამნაშავეს დამდგარი შედეგი საერთოდ უნდოდა თუ არა. თუკი დასაბუთდა, რომ ქმედების ჩამდენი პირი სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას შინაგანად ურიგდება და ასეთი შედეგის დადგომას ეგუება, მაშინ

²⁸⁹ შტრ.: BGHSt 5, გვ. 149-152; BGHSt 21, გვ. 14-17; Roxin, AT I (2006), გვ. 452-454; Müller, NJW (1980), გვ. 2390.

მას შედეგისადმი ნებელობაც და, შესაბამისად, არაპირდაპირი განზრახვაც დაუდასტურდება.

გამომდინარე აქედან, იმის მტკიცება, რომ არაპირდაპირი განზრახვის დროს ნებელობითი ელემენტი საერთოდ არ არის მოცემული, გაუმართლებელია.

მაშასადამე, არაპირდაპირ განზრახვაში ვოლუნტატიური კომპონენტი ყოველთვის უნდა დასაბუთდეს; თუმცა, ამ დროს ისევე, როგორც მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვის შემთხვევაში, პრობლემატურია სწორედ ნებისა (wollen) და სურვილის (wünsche) ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევა, რომელიც არსებით როლს თამაშობს აღნიშნულ ცნებებში. ეს პრობლემა კი გერმანიის უზენაესმა სასამართლომ გასული საუკუნის 50-იან წლებში, შეიძლება ითქვას, რომ რაციონალურად გადაწყვიტა.

2.3.2.2.3. გერმანიის უზენაესი სასამართლოს პოზიციის განხილვაში ნებელობის ელემენტის შესახებ

ნებისა და სურვილის ურთიერთგამიჯვნის საკითხის გარკვევას შეეცადა გერმანიის უზენაესი სასამართლო ერთ-ერთი განმარტებული საქმის განხილვის დროს, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს²⁹⁰: „კ.-სა და ა.-ს სურდათ მ.-ის დაფარვა. ისინი თავიდანვე გეგმავდნენ ტყავის ქაშირით მის გაკოჭვასა და ისე გათიშვას, რომ უგონო მდგომარეობაში ჩაეგდოთ და შემდგომ მისგან ნივთები გაეტაცათ. თუმცა, დამნაშავეები იმასაც ფიქრობდნენ, რომ ამ მოქმედებას შესაძლებელია, მ.-ის სიკვდილი მოჰყოლოდა, რაც მათ ნამდვილად არ სურდათ. სწორედ ამიტომ, თავდაპირველი გეგმა შეცვალეს და გადაწყვიტეს მ.-სთვის თავზე ტომარა ჩამოეცვათ და ისე გაეთიშათ. გეგმის განხორციელების დროს, ტომარის ჩამოცმისას კ.-სა და ა.-ს დიდი წინააღმდეგობა შეხვდათ მ.-ის მხრიდან, რის გამოც ისინი იძულებული გახდნენ, ისევ თავდაპირველ გეგმას დაბრუნებოდნენ და მ.-ის „გასანეიტრალებლად“ ტყავის ქაშირი გამოეყენებინათ, რომელიც, ყოველი შემთხვევისთვის, თან ჰქონდათ წამოღებული. მათ მ.-ს ყელზე ტყავის ქაშირი შემოახვიეს, გაუკეთეს მარყუჟი და, მისი გათიშვის მიზნით, ორივე მხრიდან მოქაჩეს. ქაჩავდნენ მანამ, სანამ მ.-მა მოძრაობა არ შეწყვიტა, რის შემდეგაც დაუფლნენ მის ქონებას. წასვლისას კ.-ს და ა.-ს გაახსენდათ, რომ მ.-ი შესაძლებელია, გაგუდულიყო, ამიტომ უკან მობრუნდნენ და დაზარალებულს ყელიდან ქაშირი მოხსნეს. უგონო მდგომარეობაში მყოფი მ.-ის გონზე მოყვანას დამნაშავეები რამდენიმე წუთის განმავლობაში ცდილობდნენ, თუმცა ამაოდ, იგი უკვე გარდაცვლილი იყო“²⁹¹.

²⁹⁰ შტრ.: Roxin, AT I (2006), გვ. 445; Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 85-86.

²⁹¹ იხ.: BGHSt 7, გვ. 369; Roxin, AT I (2006), გვ. 445.

ეს კონკრეტული შემთხვევა განზრახ მკვლელობაა თუ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, ერთი შეხედვით, შესაძლოა სადავო გახდეს.²⁹² კერძოდ, აღნიშნულ მაგალითში განზრახვის არსებობის დასაბუთების არგუმენტი ის, რომ დამნაშავეებს მსხვერპლის სიკვდილის შესაძლებლობა „კონკრეტულად თვალწინ ედგათ“, ხოლო განზრახვის არსებობის საწინააღმდეგოდ შეტყვევებს ის გარემოება, რომ მათ მსხვერპლის სიკვდილი საერთოდ არ სურდათ. გამოსავალი ამ პრობლემიდან კი შეიძლება იყოს იმის დადგენა, განზრახვის რომელ კომპონენტზე – ცოდნაზე თუ ნებელობაზე – უნდა გაკეთდეს ძირითადი აქცენტი.

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ამ შემთხვევაში არაპირდაპირ განზრახვის არსებობას დაუჭირა მხარი და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნებელობის თეორიით, უფრო სწორად კი, მისი ერთ-ერთი სახის ე.წ. მოწონების თეორიით (die Einwilligungstheorie) დაასაბუთა.²⁹³ მან აღნიშნულ განაჩენში შემდეგი მითითება გააკეთა: „არაპირდაპირი განზრახვა შეიძლება მაშინაც იყოს მოცემული, როცა დამნაშავესთვის დამდგარი შედეგი არასასურველია.“²⁹⁴ სასამართლომ ამ შემთხვევაში ჩათვალა: თუ დამნაშავე შედეგის დადგომას შინაგანად იწონებს და მას ეგუება, ეს იმას ნიშნავს, რომ პირს შედეგის ნებელობა (wollen), მიუხედავად ასეთი შედეგის დადგომის მისთვის შესაძლო არასასურველობისა.²⁹⁵

ასე რომ, აღნიშნული განაჩენით სასამართლო ცდილობს განზრახვის ცნებაში არსებულ ორ კომპონენტს – ნებელობასა და სურვილს შორის ერთგვარი ზღვარი გაავლოს.²⁹⁶ კერძოდ, თუკი შედეგის დადგომა პირს გამიზნულად არ სურს, მაგრამ ეს შედეგი არის სხვა მიზნის მიღწევის საშუალება, მას აუცილებლად ქმედების შემადგენლობის განზოცრელების ნებელობაც აქვს მაშინაც კი, როცა ამ ქმედების შედეგი მისთვის შეიძლება მართლაც არასასურველი აღმოჩნდეს.²⁹⁷ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ, თავის მხრივ, საფუძველი სხვა ანალოგიური დასაბუთების მქონე განაჩენებსაც დაუდო, რომელთა მიხედვით, ნებელობის ელემენტის შემოწმება ევენტუალური განზრახვის არსებობის შემთხვევაში საჭიროდ იქნა მიჩნეული.²⁹⁸

მაშასადამე, აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, შეიძლება ითქვას:

²⁹² იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 445.

²⁹³ იხ. BGHSt 7, გვ. 369, ასევე შდრ.: *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 85-86; *Heinrich*, AT I (2010), გვ. 114. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების კრიტიკის შესახებ იხ. *Schmidhäuser*, JuS (1980), გვ. 245-246.

²⁹⁴ იხ. BGHSt 7, გვ. 369.

²⁹⁵ ამის შესახებ იხ. BGHSt 7, გვ. 369.

²⁹⁶ იხ. *Safferling* (2008), გვ. 172.

²⁹⁷ იხ.: BGHSt 7, გვ. 369; BGHSt 19, გვ. 101; *MüKo-Joecks I* (2011), გვ. 769, 776.

²⁹⁸ იხ.: BGHSt 36, გვ. 1, BGHSt 36, გვ. 362-367; BGHSt, NSZ (2000), გვ. 583; BGHSt, NSZ (2006), გვ. 100; *MüKo-Joecks I* (2011), გვ. 776.

სურვილი და ნებელობა²⁹⁹ ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ სურვილში მხოლოდ მიზანმიმართული მოქმედება მოიაზრება, ხოლო ნებელობაში – როგორც მიზანმიმართული, ისე არამიზანმიმართული ქმედება. გამომდინარე აქედან, „ნებელობა“ ზოგადად უფრო ფართო მნიშვნელობის ცნებაა, ვიდრე თავად ცნება „სურვილი“. ანალოგიური აზრი გამომდინარეობს ნებელობის ცნების ეტიმოლოგიური გაგებიდანაც. კერძოდ, ტერმინი „ნებელობა“ (wollen) ლიტერატურაში განმარტებულია ასევე როგორც სურვილი, თუმცა პირიქით, სურვილი ნებელობის იდენტურად არ არის მოაზრებული. ამაზე მიუთითებს აგრეთვე არაერთი გერმანელი მეცნიერიც. ასე მაგალითად, პროფესორი პ. ბიერი აღნიშნავს, რომ „თუკი ვინმეს რაღაცის ნებელობა აქვს, ეს ნიშნავს უბრალოდ იმას, რომ პიროვნებაში ერთდროულადაა მოცემული სურვილის, დარწმუნების, მოფიქრებისა და მზადყოფნის ერთგვარი მონახაზი და სწორედ ეს შინაგანი სტრუქტურა არის პირის ქმედებისთვის პასუხისმგებელი.“³⁰⁰ სურვილი ასეთ შემთხვევაში გულისხმობს უფრო აბსტრაქტულ, ზოგად კატეგორიას, მაშინ როდესაც ნებელობა ფაქტობრივია და ნიშნავს პირის შინაგან გადაწყვეტილებას, რათა ქმედება რეალურად განხორციელდეს.³⁰¹ უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, თუკი პირს ვინმეს მოკვლის მხოლოდ სურვილი აქვს, მარტო სურვილის არსებობა სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია, მთავარია, ამ სურვილს ქმედითი ნაბიჯები მოჰყვეს, რათა იგი ნებელობით და, შესაბამისად, დასჯად ქცევად იქცეს.³⁰² ამ პოზიციას ემხრობა ასევე, გერმანელი პროფესორი კ. ბლაიცი. მეცნიერი თავის ნაშრომში³⁰³ მიუთითებს, რომ „იქ, სადაც დამნაშავეს შედეგის დადგომა მხოლოდ სურს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ განზრახვა განხორციელებული, ამიტომ მხოლოდ სურვილი ნებელობა არ არის.“³⁰⁴ აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად ავტორს შემდეგი მაგალითი მოჰყავს: „თუ პირი თავის მემკვიდრეს სასეირნოდ ტყეში გაუშვებს იმ იმედით, რომ მას იქ მეხი დაეცემა და მოკვდება, მკვლელობის განზრახვა არ იქნება მოცემული. დამნაშავეს ასეთ შემთხვევაში არ შეეძლო მოვლენების მიმდინარეობაზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა... შესაბამისად, მხოლოდ სურვილი არაფერს ნიშნავს, თუ იგი ნებელობით ქმედებაში არ აისახა.“³⁰⁵

ამრიგად, განზრახვაში სინტაგმა „არ სურდა“ არ გულისხმობს იმას, რომ შედეგის დადგომა არ იყო პირის ნების გამოხატულება. არანებელობითი განზრახვი მოქმედება სისხლის სამართლის კანონის მიხედვით დასჯადობას არ ექვემდებარება. ბრალებული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე კი

²⁹⁹ სწორედ ამ ტერმინს უკავშირდება ტერმინი – ნების თავისუფლება.

³⁰⁰ ამის შესახებ იხ. *Bieri* (2005), გვ. 40.

³⁰¹ შდრ. *Maurer* (2007), გვ. 11-12.

³⁰² იხ. *Welzel* (1969), გვ. 64.

³⁰³ იხ. *Blei* (1983), გვ. 114.

³⁰⁴ იქვე.

³⁰⁵ იქვე.

სისხლის სამართალს მხოლოდ ნებელობითი ქცევა აინტერესებს და არა ე.წ. ინსტიტუტური, თუ იმპულსური მოქმედება³⁰⁶. სწორედ ამიტომ, არაპირდაპირი განზრახვა, როგორც დანაშაულის ჩადენის შესახებ პირის შინაგანი თანხმობა და სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მოწონება³⁰⁷, ყოველთვის გულისხმობს ასევე ნებელობითი ელემენტის არსებობასაც. თუმცა, ნებელობა ამგვარ ვითარებაში, ისევე როგორც მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, გაგებულ უნდა იქნეს არა წმინდა ფსიქოლოგიურად, არამედ ნორმატიულად. ეს კინიშნავს იმას, რომ ნებელობა არაპირდაპირ განზრახვაში ფიქციის სახით³⁰⁸, ე.წ. „პირობადებულად“³⁰⁹ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებელობის ელემენტის დასაბუთება სისხლის სამართალში, რომელიც ნორმატიული (შეფასებითი) მეცნიერებაა, მხოლოდ წმინდა ფსიქოლოგიურად შეუძლებელი იქნებოდა.

ნებელობის ნორმატიული ბუნება განსაკუთრებით ნათლად ჩანს ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის დეფინიციაში, რომლის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით ანალიზი ქვემოთ იქნება წარმოდგენილი.

2.4. შიჯამება

ამრიგად, განზრახვა გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ნიშნავს ცოდნითა და ნებელობით ქმედების შემადგენლობის განზორციელებას. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში:

(1) იგი წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშანს და მოიცავს როგორც ინტელექტუალურ, ისე ნებელობით მომენტებს, რის გამოც, განზრახვა მართლწინააღმდეგობის შეგნებისგან დამოუკიდებლად განიხილება;

(2) განზრახვის დასასაბუთებლად საჭიროა აქტუალური ცოდნის არსებობა, ხოლო მისი პოტენციურად წარმოდგენა საკმარისი არ არის. ამასთან, დამნაშავეს ცალკეულ შემთხვევებში ასევე მოეთხოვება, რომ ქმედების სოციალურ-სამართლებრივი ბუნებაც შეცნობილი ჰქონდეს;

(3) განზრახვა დანაშაულის ჩადენის ყველა ეტაპზე უწყვეტად და კონკრეტულად უნდა არსებობდეს (ე.წ. „თანხედრის პრინციპი“). სწორედ ამიტომ, როგორც ე.წ. წინმსწრები, ისე ე.წ. შემდგომში აღმოცენებული განზრახვა არ შეიძლება გახდეს პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების საფუძველი;

(4) განზრახვაში ფსიქოლოგიური კომპონენტის დასაბუთება აფექტური დანაშაულების ჩადენის დროს, განსხვავებით აფექტის გარეშე ჩადენილი

³⁰⁶ შდრ. Maurer (2007), გვ. 11-12.

³⁰⁷ იხ.: Müller, NJW (1980), გვ. 2390; Hippel (1903); Hippel (1932), გვ. 132-136.

³⁰⁸ იხ. Schroth (1998), გვ. 3.

³⁰⁹ შდრ.: Spendel, Lackner FS (1987), გვ. 174; Stuckenberg (2007), გვ. 256-257.

დელიქტისგან, შემდეგი ფორმით უნდა ზღვებოდეს: აფექტურ დანაშაულებში ფაქტობრივი გარემოებების შესაცნობად საკმარისი უნდა იყოს ამ გარემოებათა უბრალო აღქმა და არა მათი სიღრმისეული გაცნობიერება;

(5) დანაშაულის შემადგენლობის ნორმატიული ნიშნების მიმართ განზრახვის ცოდნის ელემენტის არსებობის დადგენის მასშტაბი უნდა იყოს არა კონკრეტული ქმედების ჩამდენი პირის შეფასების უნარი, არამედ „პარალელური შეფასება“ საშუალო ადამიანის შესაძლებლობიდან გამომდინარე;

(6) განზრახვა, ბრალის კატეგორიისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ შეფასებითია, არის წმინდა ფსიქოლოგიური (პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა) ან ნორმატიული (მეორე ხარისხის პირდაპირი და ვენტუალური განზრახვა).

3. მართლწინააღმდეგობის შემნება გერმანულ სისხლის სამართალში

3.1. საკითხის მოკლე მიმოხილვა

სისხლის სამართლის დოგმატიკაში მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში თავდაპირველად ეს ცნება, როგორც ზემოთ აღინიშნა, უშუალოდ დაკავშირებული იყო განზრახვის პრობლემასთან და მის შემადგენელ ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს წარმოადგენდა.³¹⁰ თუმცა, განზრახვის ცნება „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ შინაარსსა და მნიშვნელობას სათანადოდ ვერ ხსნიდა, რის გამოც საჭირო გახდა ამ პრობლემის არა განზრახვასთან მიმართებით, არამედ მისგან დამოუკიდებლად გაანალიზება.

დანაშაულის შესახებ არსებული მოძღვრებები (კლასიკური, ნეოკლასიკური და ფინალური) განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართების საკითხს, როგორც ცნობილია, განსხვავებულად განიხილავენ. ამ თეორიებში პრობლემას შეადგენს როგორც თავად მართლწინააღმდეგობის შეგნების შინაარსობრივი მხარე, ისე მისი ადგილი და მნიშვნელობა დანაშაულის სისტემაში. მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა შორის წლების განმავლობაში ხანგრძლივი დისკუსიის საგანს წარმოადგენს, თუ დანაშაულის სისტემის რომელ საფეხურს ეკუთვნის ეს სამართლებრივი კატეგორია.³¹¹

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთმანეთისგან მიჯნავენ რელიგიურ, მორალურ და სამართლებრივ ბრალს.³¹² საკითხი, თუ რით განსხვავდება აღნიშნული ბრალის ცნებები ერთმანეთისგან, ჯერ კიდევ ღიად

³¹⁰ იხ. Kaufmann (1985), გვ. 21.

³¹¹ შტრ. Spendel, Tröndle FS (1989), გვ. 89-90.

³¹² იხ. Kaufmann (1961), გვ. 128.

რჩება.³¹³ მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემა რომ უშუალოდ სამართლებრივ ბრალს უკავშირდება, ეს უდავოა, ვინაიდან მართლწინააღმდეგობის შეგნების შემოწმება, არც მეტი და არც ნაკლები, ისტორიულად და ლოგიკურადაც ყოველთვის ბრალის ეტაპზე ხდება.

3.2. პრობლემის დასმა

ქმედების ჩამდენს სისხლისსამართლებრივი უმართლობა რომ სრულად შეერაცხოს საჭიროა, მან დანაშაულებრივი ქმედების არსი და მისი აკრძალულობა შეიცნოს, მაგრამ გასარკვევია:

(1) რას ნიშნავს ის, რომ პირს თავისი უმართლობა შეგნებული უნდა ჰქონდეს? ასეთ შემთხვევაში, დაზარალებულს მოეთხოვება სისხლის სამართლის კანონის კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მხოლოდ დასჯადობის ცოდნა, თუ საკმარისია აღნიშნულ პირს ქმედების სამართლებრივი აკრძალულობა, ე.ი. ქმედების მართლწინააღმდეგობა ზოგადად ჰქონდეს შეცნობილი?

(2) რამდენად შეიძლება, რომ ქმედების ჩამდენს სისხლისსამართლებრივი უმართლობა შეერაცხოს მაშინ, როცა იგი ქმედების აკრძალვას არ იცნობს?

(3) შეიძლება თუ არა მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის დასაბუთება გაუფრთხილებლობითი დანაშაულების განხორციელების დროს?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემამდე, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, გაირკვეს, თუ რას გულისხმობს თავად ცნება „მართლწინააღმდეგობა“ და როგორ უნდა იქნეს იგი გაგებული „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ დროს. გამომდინარე აქედან, პრობლემის კვლევა სწორედ აღნიშნული საკითხის განხილვითა და მისი დოგმატური ანალიზით უნდა დაიწყოს.

3.2.1. მართლწინააღმდეგობა გერმანულ სისხლის სამართალში

ქმედება მხოლოდ მაშინ არის დასჯადი, როცა ის მართლწინააღმდეგობა და ბრალეულია³¹⁴. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩასადენად საჭიროა კუმულაციურად სამივე ნიშნის – ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არსებობა. მართლწინააღმდეგობა სისტემურად ყოველთვის ქმედების შემადგენლობის დადგენის შემდეგ მოწმდება.

დანაშაულის სამწვერიან და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიან სისტემას ითვალისწინებს გერმანული

³¹³ იქვე, ასევე იხ. Kaufmann (1985), გვ. 21.

³¹⁴ იხ. Baumann, Weber, Mitsch, AT (2003), გვ. 300.

სისხლის სამართალი³¹⁵. აღსანიშნავია ის, რომ ტერმინი „მართლწინააღმდეგობა“, ცალკეულ შემთხვევებში სპეციალურად მითითებულია სისხლის სამართლის კანონის ზოგიერთ შემადგენლობაში, ასე მაგალითად, გერმანიის სსკ-ის 240-ე (იძულება), 303-ე (ნივთის დაზიანება) პარაგრაფები.

თავად ცნება „მართლწინააღმდეგობა“ იურიდიულ ლიტერატურაში მე-19 საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა.³¹⁶ მისი შექმნა ცნობილი გერმანელი მეცნიერის *კ. ბინდინგის* სახელს უკავშირდება, რომელმაც თავის მოძღვრებაში „ნორმათა თეორია“ პირველად ჩამოაყალიბა თეორია მართლწინააღმდეგობის შესახებ.³¹⁷ *კ. ბინდინგის* მოძღვრების არსი შემდეგში მდგომარეობს:

„სისხლის სამართალი არ არეგულირებს ურთიერთობებს ადამიანებს შორის. ეს ურთიერთობები მოწესრიგებულია სამართლის სხვა დარგების მიერ. სისხლის სამართლის ფუნქცია ამოიწურება იმით, რომ იგი უზრუნველყოფს ნორმის საწინააღმდეგო ქმედების დასჯადობას, ხოლო ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი სისხლის სამართლის კანონით არ დგინდება.“³¹⁸ ამის შემდეგ ავტორი იქვე განმარტავს, რომ დანაშაულის ჩადენის დროს დანაშავე არღვევს არა სისხლის სამართლის კანონს, არამედ ნორმას, რომელიც სისხლის სამართლის კანონის გარეთ არსებობს.³¹⁹ მისი აზრით, დანაშაულის ჩადენი პირი მოქმედებს არა სისხლის სამართლის კანონის წინააღმდეგ, არამედ მის შესაბამისად.³²⁰ მაშასადამე, ავტორის შეხედულებით, „ნორმა ქმნის მართლსაწინააღმდეგო, ხოლო სისხლის სამართლის კანონი — დანაშაულებრივ ქმედებას“³²¹. თავად ნორმა კი, *კ. ბინდინგის* თეორიით, საჯარო სამართალს ეკუთვნის.

კ. ბინდინგის მსგავსად, *ე. ბელინგიც* თავის მოძღვრებაში მიუთითებს, რომ დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ ნორმებში, არ აფუძნებს ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს³²². თუმცა, *კ. ბინდინგისგან* განსხვავებით, *ე. ბელინგის* დოგმატიკაში ყველაზე მეტად თვალსაჩინოა ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ურთიერთგამიჯვნის შესახებ იდეის განვითარება. სწორედ, *ე. ბელინგის* დამსახურებდა უნდა ჩაითვალოს ქმედების შემადგენლობიდან მართლწინააღმდეგობის, როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი ელემენტის, ცალკე

³¹⁵ შლრ.: *Beling* (1906), გვ. 7; *Roxin*, AT I (2006), გვ. 199-211; BGHSt 1, გვ. 132; BGHSt 2, გვ. 195; BGHSt 9, გვ. 375.

³¹⁶ შლრ. *Günther* (1983), გვ. 9.

³¹⁷ იქვე, გვ. 10-11.

³¹⁸ იხ.: *Binding I* (1991), გვ. 4-7; *Mezger* (1949), გვ. 162; *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 201.

³¹⁹ იხ. *Binding I* (1991), გვ. 4 ff.

³²⁰ იქვე.

³²¹ იქვე.

³²² იხ. *Beling* (1906), გვ. 6, 147.

„გატანა“³²³.

ავტორის აზრით, მართლწინააღმდეგობა ქმედების შემადგენლობისგან დამოუკიდებლად არსებული ელემენტია და იგი მხოლოდ შეფასებით კატეგორიას წარმოადგენს.³²⁴ აღნიშნული შეხედულების დასასაბუთებლად მას შემდეგი მაგალითი მოჰყავს: ადამიანის მოკვლა, როგორც ცნობილია, შეიძლება, ჩადენილ იქნეს, ასევე, აუცილებელი მოგერიების დროს ან საომარ პირობებში. იმის გასარკვევად, არის თუ არა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედება ამავე დროს მართლსაწინააღმდეგო, საჭიროა სწორედ შეფასების გამოყენება. გამომდინარე აქედან, მართლწინააღმდეგობა მხოლოდ წმინდა შეფასებითი მსჯელობაა და მას არაფერი აქვს საერთო ქმედების შემადგენლობასთან³²⁵.

ე. ბელინგის მოძღვრებაში ხაზგასასმელია ისიც, რომ ე. ბინდინგისგან განსხვავებით, იგი მართლსაწინააღმდეგოდ თვლის ისეთ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება არა მარტო სისხლის სამართლის კანონის გარეთ არსებულ ცალკეულ სამართლებრივ ნორმებს, არამედ მთლიანად მართლწესრიგს, როგორც სხვადასხვა სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას.

რაც შეეხება თავად დანაშაულის შემადგენლობის მნიშვნელობას, ავტორის აზრით, ქმედების შემადგენლობა მოსამართლის ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ იმაზე, რომ მისი არსებობის შემდეგ დადგენილ იქნეს მართლწინააღმდეგობა. იგი ამ შემთხვევაში იყენებს იურიდიულ ლიტერატურაში დღეს უკვე დამკვიდრებულ და ცნობილ ფორმულას: „ქმედების შემადგენლობა არის მართლწინააღმდეგობის არსებობის ვარაუდი“³²⁶. პირის მოქმედებაში შემადგენლობის ნიშნების არსებობა წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

მაშასადამე, ე. ბელინგის თეორიის მიხედვით, დანაშაულის შემადგენლობის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედება ეწინააღმდეგება სამართლის ნორმებს, ე.ი. ცალკეულ აბსტრაქტულ აკრძალვები, რომლებიც სისხლის სამართლის კანონის გარეთ არსებობს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ე. ბელინგის მიერ შექმნილი ეს ფორმულა თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში არ არის გაბატონებული. პირის მიერ ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგოდ, თუ იგი არ იმოქმედებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთის ვითარებაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ე. ბელინგის მოძღვრებამ სისხლის სამართლის მეცნიერებაში საფუძველი ჩაუყარა დღეს უკვე გაბატონებული დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც შემდგომ წლებში შინაარსობრივად კიდევ უფრო გაიზარდა და დაიხვეწა.

³²³ შტრ. Kaufmann (1985), გვ. 65.

³²⁴ იხ. Beling (1906), გვ. 6, 147.

³²⁵ იქვე, გვ. 6, 147.

³²⁶ შტრ.: Haft, AT (2004), გვ. 65; Heinrich, AT I (2010), გვ. 119; Gropp, AT (2005), გვ. 179.

კ. ბინდინგისა და ე. ბელინგის მოსაზრებებს განაგრცობს გერმანელი მეცნიერი მ. ე. მაიერი. იგი მართლწინააღმდეგობას განსაზღვრავს როგორც „კულტურის ნორმების“ დარღვევას.³²⁷ ავტორის აზრით, მართლწინააღმდეგობა არ წარმოადგენს მოქმედების და, მასთან ერთად, დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს, „იგი არ ხორციელდება არც გარე სამყაროში, არც შინაგან სამყაროში. მართლწინააღმდეგობა არის მსჯელობა, შეფასებითი პროცესი, ის ხორციელდება მოსამართლის შინაგან სამყაროში.“³²⁸

მ. ე. მაიერიც, კ. ბინდინგისა და ე. ბელინგის მსგავსად, ნორმათა თეორიას ეფუძნება. თვით ნორმას კი, რომელსაც არღვევს დამნაშავე და რომლის დარღვევაც აქცევს მის მოქმედებას მართლსაწინააღმდეგოდ, ავტორი სისხლის სამართლის კანონის „გარეთ ეძებს“. თუმცა, ამ მხრივ, იგი უფრო შორს მიდის, ვიდრე კ. ბინდინგი და ე. ბელინგი. კერძოდ, თუ ამ უკანასკნელთათვის ნორმა, რომელსაც არღვევს ქმედების ჩამდენი პირი, მაინც პოზიტიური სამართლის ნორმასაც შეადგენს, მ. ე. მაიერის მოძღვრებაში იგი არა მარტო პოზიტიური, არამედ დაუსწრელი სამართლის ნორმასაც წარმოადგენს.³²⁹ ავტორი ცალსახად უთითებს, რომ „მართლსაწინააღმდეგობა ისეთი ქმედება, რომელიც სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კულტურის ნორმებს არ შეესაბამება“³³⁰. თავად „კულტურის ნორმებს“ კი, რომლებსაც მ. ე. მაიერი საფუძვლად უდებს მსჯელობას მართლწინააღმდეგობის შესახებ, ავტორი შემდეგნაირად განსაზღვრავს: „კულტურა“ არის „ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა, მიმართული ბუნების დაუფლების, ადამიანთა მისწრაფებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიმართ“³³¹. იგი აღნიშნავს, რომ „კულტურის ნორმები წარმოიშობა საერთო საზოგადოებრივი ინტერესების ნიადაგზე და წარმოადგენენ აკრძალვებსა და ბრძანებებს, რომელთა მეშვეობით საზოგადოება მოითხოვს მისი ინტერესებისათვის შესატყვისი მოქმედების შესრულებას.“³³² ისინი იმ მასალას წარმოადგენენ, საიდანაც კანონმდებელი ქმნის სამართლის, კერძოდ, სისხლის სამართლის ნორმებს“³³³.

ამასადამე, როგორც მ. ე. მაიერის მოძღვრებიდან ჩანს, „მართლწინააღმდეგობა“ ავტორის მიერ შექმნილ სისტემაში, კ. ბინდინგისა და ე. ბელინგის თეორიისგან განსხვავებით, უფრო ფართოდ არის გაგებული და იგი ამჯერად განმარტებულია როგორც „კულტურის ნორმებისადმი“ წინააღმდეგობა. აღნიშნული მოძღვრებით, დანაშაულის შემადგენლობა, ე.ი. სისხლის სამართლის კანონი, არ წყვეტს საკითხს მართლწინააღმდეგობის შესახებ, რაც მართებულია.

³²⁷ იხ. Mayer (1903), გვ. 17.

³²⁸ იქვე, ასევე იხ. Mayer, AT (1915), გვ. 9-10.

³²⁹ იხ.: Mayer (1903), გვ. 17; Mayer, AT (1915), გვ. 179.

³³⁰ იხ.: Mayer, AT (1915), გვ. 180; Mayer (1903), გვ. 17-26.

³³¹ იხ. Mayer, AT (1915), გვ. 180.

³³² იხ.: Mayer (1903), გვ. 17-26; Mayer, AT (1915), გვ. 44.

³³³ იხ.: Mayer, AT (1915), გვ. 49; Mayer (1903), გვ. 17-26.

კ. ბინდინგის, ე. ბელინგისა და მ. ე. მაიერის მოძღვრებები საფუძვლად დაედო გერმანულ სისხლის სამართალში მთელი რიგი თეორიების შექმნას. მათ ჰყავს ბევრი მიმდევარი, რომლებმაც ზემოთ მითითებული ავტორების მიერ გამოთქმული ძირითადი დებულებანი განავითარეს და მათგან ლოგიკური დასკვნები გააკეთეს.

თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი კ. კ. იეშეკი თავის სახელმძღვანელოში მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობისას კ. ბინდინგის მიერ შექმნილ თეზას – „მართლწინააღმდეგობა ნიშნავს სამართლის წინააღმდეგობას“ – იყენებს და მას შემდეგნაირად განსაზღვრავს: კანონმდებელი საზოგადოებაში ადგენს ადამიანთა თანაცხოვრების დაცვისათვის აუცილებელ ქცევის წესებს, რომლებსაც სამართლის ნორმები ეწოდებათ³³⁴. ეს ნორმები შეიძლება იყოს როგორც მავალელები (მაგალითად, უბედურების შემთხვევაში, დაუხმარებლობა, გერმანიის სსკ-ის 323 პარაგრაფი), ისე აპკრძალავი ხასიათისა (მაგალითად, ადამიანის განზრახ მკვლელობა, 212-ე პარაგრაფი). თავად მართლწინააღმდეგობის არსი კი მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედება არღვევს სამართლის ნორმაში დადგენილ მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას.³³⁵

მასსადამე, ზემოთ მითითებულ ავტორთა მოძღვრებაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მართლწინააღმდეგობა ნიშნავს სამართლისადმი წინააღმდეგობას, რომელშიც იგულისხმება როგორც პოზიტიური, ისე ბუნებითი სამართალი, რაც გამოიხატება სამართლის ნორმაში მოცემული მოქმედების ან უმოქმედების ვალდებულების დარღვევაში.

3.2.1.1. ფორმალური და მატერიალური მართლწინააღმდეგობა

იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისგან ორი სახის მართლწინააღმდეგობას – ფორმალურსა და მატერიალურს – განასხვავებენ.³³⁶ თუმცა, საკითხავია, თუ რა პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ დიფე-

³³⁴ იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 233. კ. კ. იეშეკის მსგავსად, აღნიშნულ თეზას სხვა ცნობილი გერმანელი მეცნიერებიც იყენებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: *Dohna* (1905), გვ. 18, 54; *Roxin*, AT I (2006), გვ. 601; *Nagler, Frank FS* (1930), გვ. 339; *Heinrich*, AT I (2010), გვ. 118; *Haft*, AT (2004), გვ. 65. ამ შეხედულებისგან განსხვავებულ პოზიციას ავითარებს გერმანელი მეცნიერი კ. ლ. გიუნტერი, რომელიც მიიჩნევს, რომ ცნება – სისხლისსამართლებრივი წინააღმდეგობა (*Die Strafrechtswidrigkeit*) უფრო შეესაბამება სისხლის სამართლის დოგმატიკას, ვიდრე ცნება – მართლწინააღმდეგობა, ვინაიდან სისხლის სამართალი მხოლოდ დასჯადი უმართლობის კრიმინალიზაციას ახდენს. თუმცა, ავტორი სისხლისსამართლებრივ წინააღმდეგობას საბოლოოდ მაინც ქმედების შემადგენლობასთან აიგივებს: ამის შესახებ იხ. *Günther* (1983), გვ. 247.

³³⁵ იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 233.

³³⁶ იქვე, გვ. 234.

რენციაციას „მართლწინააღმდეგობის“ ცნების განსაზღვრისათვის. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მართებული იქნება, თუკი მსჯელობა თავდაპირველად ფორმალური მართლწინააღმდეგობის შესახებ წარმართება.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღიარებულია, რომ პირის მიერ ქმედების შემადგენლობის შესრულება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. თუმცა არსებობს იმის ვარაუდი, რომ იგი შეიძლება აკრძალული და, მაშასადამე, მართლსაწინააღმდეგოც იყოს. ამგვარი პრეზუმფციის საფუძველს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა იძლევა, რომელიც თავისთავად არის ან აკრძალვის დარღვევა ან კიდევ ვალდებულების შეუსრულებლობა. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება ნიშნავს ფორმალური მართლწინააღმდეგობის დადგენას.³³⁷ სხვა სიტყვებით რომ ითქვას: ქმედების შემადგენლობა არის ასევე, ფორმალური მართლწინააღმდეგობის არსებობის ვარაუდიც³³⁸. გამომდინარე აქედან, ქმედების შემადგენლობაში გამოხატული აკრძალვის დარღვევა ან ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს ფორმალურ მართლწინააღმდეგობას.³³⁹

რაც შეეხება მატერიალურ მართლწინააღმდეგობას, ფორმალური მართლწინააღმდეგობის დასაბუთების შემდგომ, ე.ი. მას შემდეგ, რაც პირი ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობას განახორციელებს, საჭიროა, გაირკვეს, ხომ არ არის ეს ქმედება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოების ვითარებაში ჩადენილი³⁴⁰. თუ დადგინდება, რომ პირის მოქმედება არც ერთ გამამართლებელ გარემოებას არ შეესაბამება, მაშინ მატერიალური მართლწინააღმდეგობის არსებობაც დადასტურებულია მიიჩნევა.

ასე რომ, მატერიალური მართლწინააღმდეგობა მხოლოდ მაშინ არის მოცემული, როცა არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება³⁴¹ (მართლწინააღმდეგობის ცნების ე.წ. ნეგატიური განმარტება). მაშასადამე, როცა უპრობლემოდ სრულდება როგორც ქმედების შემადგენლობა, ისე დანაშაულის მეორე ნიშანი – მართლწინააღმდეგობაც, ე.ი. როცა სახეზეა სისხლისსამართლებრივი უმართლობა.³⁴² ეს უკანასკნელი ცნება კი გულისხმობს

³³⁷ იქვე, გვ. 233, ასევე იხ. *Baumann, Weber*, AT(1985), გვ. 256-257.

³³⁸ შდრ.: *Hafi*, AT (2004), გვ. 65; *Heinrich*, AT I (2010), გვ. 119; *Gropp*, AT (2005), გვ. 179.

³³⁹ იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 233.

³⁴⁰ იხ. *Baumann, Weber*, AT (1985), გვ. 256.

³⁴¹ ფორმალურ და მატერიალურ მართლწინააღმდეგობის ურთიერთგამიჯვნის საკითხის შესახებ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 601-605. ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ფორმალური და მატერიალურ მართლწინააღმდეგობას აღიარებს ასევე *მ. ტურავა*. ამის შესახებ, იხ.: *ტურავა* (2010), გვ. 177-178; *ტურავა* (2011), გვ. 325.

³⁴² შდრ.: *იუშვილი* და *ვაიკენდის* დასახ. ნაშრომს, გვ. 233; *Heinrich*, AT I (2010), გვ. 118; *Roxin*, AT I (2006), გვ. 601. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უმართლობის ცნებაზე იხ.: *გამყრელიძე* (1989), გვ. 124-138; *ტურავა* (2010), გვ. 177-178, 275.

თავად მართლწინააღმდეგოდ შეფასებულ ქმედებას³⁴³, მაშასადამე, მატერიალურ მართლწინააღმდეგობას³⁴⁴. გამომდინარე აქედან, დანაშაულის ორი ნიშნის – ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ერთობლიობაში განხორციელება ნიშნავს სისხლისსამართლებრივ უმართლობას³⁴⁵ და იგი არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მოცემულია მატერიალური მართლწინააღმდეგობა³⁴⁶.

მართლწინააღმდეგობის ფორმალურ და მატერიალურ მართლწინააღმდეგობად დაყოფას, თავის მხრივ, მნიშვნელობა ენიჭება თავად „მართლწინააღმდეგობის შეგნებაში“ მოცემული ცნების „მართლწინააღმდეგობის“ განსაზღვრისათვის. კერძოდ, საკითხავია, მასში (უმართლობის შეგნებაში) „მართლწინააღმდეგობის ფორმალური“ გაგება მოიაზრება, თუ ამ ცნების „მატერიალური“ მნიშვნელობა. ეს პრობლემა, უშუალოდ კავშირშია მართლწინააღმდეგობის შეგნების შინაარსობრივ მხარესთან, რომლის ანალიზიც ქვემოთ იქნება წარმოდგენილი, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნების დასასაბუთებლად მხოლოდ ფორმალური მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობა საკმარისი წინაპირობა არ არის.

მართლწინააღმდეგობის ცნების ამგვარ დიფერენციაციას არ აღიარებს მოძღვრება „ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების შესახებ“. ეს თეორია იურიდიულ ლიტერატურაში მოგვიანებით, „მართლწინააღმდეგობის“ ცნების შექმნის შემდეგ განვითარდა და მან ცალკეულ მეცნიერთა მხრიდან გარკვეული აღიარება მოიპოვა.

3.2.1.2. მოძღვრება ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების შესახებ

მართლწინააღმდეგობის ცნების ფორმალურ და მატერიალურ მართლწინააღმდეგობად დაყოფას არ იზიარებს მოძღვრება „ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების“ შესახებ და, შესაბამისად, ამ პრობლემასაც ერთგვარად განსხვავებულად წყვეტს³⁴⁷. სახელდობრ, თავად ცნებას – „მართლწინააღმდეგობა“ აღნიშნული თეორია ქმედების შემადგენლობის შემადგენელ ნაწილად, მის ერთ-ერთ ელემენტად აცხადებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მართლწინააღმდეგობა არის არა დანაშაულის დამოუკიდებელი, როგორც ეს მოცემულია დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაში, არამედ უშუალოდ ქმედების შემად-

³⁴³ იხ.: *იუშევის* და *ვაიგენდის* დასახ. ნაშრ., გვ. 233; *Otto*, ZStW 87 (1975), გვ. 562.

³⁴⁴ იხ. *Leipziger Kommentar I* (2007), გვ. 783.

³⁴⁵ იხ.: *Heinrich*, AT I (2010), გვ. 38-39, 118; *Safferling* (2008), გვ. 216.

³⁴⁶ იხ. *Leipziger Kommentar I* (2007), გვ. 783.

³⁴⁷ ამ მოძღვრების შესახებ იხ.: *Kaufmann* (1985), გვ. 66; *Kühl*, AT (2008), გვ. 109; *Hirsch* (1960), გვ. 311-344; *Schünemann, Greco*, GA (2006), გვ. 777-792; *Stratenwerth, Kühlen*, AT I (2004), გვ. 186.

გენლობის ნეგატიური ნიშანი.³⁴⁸

ამ თეორიით, ქმედების შემადგენლობა შედგება არა მარტო პოზიტიური ნიშნებისგან, რომლებიც პირდაპირ განსაზღვრულია სისხლის სამართლის კანონით, არამედ ნეგატიური ნიშნებისგანაც, რომლებიც, მართალია, შემადგენლობაში პირდაპირ მითითებული არ არის, მაგრამ მასში „დაფარულად“ იგულისხმება³⁴⁹. ასეთი ნეგატიური ნიშნებია სწორედ მართლწინააღმდეგობის გამოძრის ცხელი გარემოებანი, რომლებიც ქმედების შემადგენლობაში მოიაზრება ნეგატიურად.³⁵⁰ ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის დროს უნდა გამოირიცხოს არა მარტო მართლწინააღმდეგობა, არამედ ასევე, ქმედების შემადგენლობაც³⁵¹, რაც სწორი არ არის. ამ ლოგიკით მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა, რომლის დროს აღნიშნული მოძღვრებით ქმედების განზრახვა ირიცხება, სამართლებრივი თუ პრაქტიკული თვალსაზრისით გაუთანაბრდება მართლწინააღმდეგობის გამოძრის ცხელ გარემოებას. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, მოძღვრება „ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების“ შესახებ მიიჩნევს, რომ მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს არა ბრალი, როგორც ეს ხდება გაბატონებული მოძღვრების მიხედვით, არამედ, გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) ანალოგიურად, ქმედების შემადგენლობის განზრახვა და, შესაბამისად, მთლიანად უმართლობაც. აუცილებელი მოგერიებისას კი, მართალია, უნდა გამოირიცხოს მართლწინააღმდეგობა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც ასევე, უმართლობაც, ვინაიდან, მართლწინააღმდეგობა ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშანია. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: როგორც აუცილებელი მოგერიების, ისე მოჩვენებითი მოგერიების ვითარებაში, თუ ეს შეცდომა მისატყვევლად ჩაითვლება, მოხდება სისხლის სამართლებრივი უმართლობის უარყოფა და სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით ორივე ეს კატეგორია – აუცილებელი მოგერიება და მოჩვენებითი მოგერიება – ერთი და იგივე მნიშვნელობისა იქნება. კერძოდ, ორივე შემთხვევაში გამოირიცხება უმართლობა და პირი პასუხისმგებლობისგან საბოლოოდ გათავისუფლდება.

გაბატონებული შეხედულებით, მართლწინააღმდეგობის გამოძრის ცხელი გარემოების დროს პირი მართლდება და ყოველგვარი სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვე-

³⁴⁸ იხ.: Kaufmann (1985), გვ. 66; Kindhäuser, AT (2011), გვ. 235-236; Rengier, AT (2009), გვ. 275-276; Jescheck, Weigend, AT (1996), გვ. 248-251.

³⁴⁹ იხ. Kaufmann (1985), გვ. 66.

³⁵⁰ შდრ.: იუშკისა და კაიჯენლის დასახ. ნაშრომს, გვ. 250; Baumann, Weber, Mitsch, AT (2003), გვ. 315-317; Kaufmann, JZ (1955), გვ. 37; Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 47-48; Jakobs, AT (1991), გვ. 156-158.

³⁵¹ შდრ.: Kühl, AT (2008), გვ. 416; Kaufmann (1985), გვ. 66.

ბული ფაქტობრივი შეცდომისას კი დამნაშავეს ასეთი ქმედება ან ეპატიება და სამოქალაქო სამართლებრივად შესაძლოა, ზიანის ანაზღაურება დაეკისროს, ან კიდევ არ ეპატიება და გაუფრთხილებლობისთვის დაისჯება. „ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების“ შესახებ მოძღვრების მიხედვით, როგორც ჩანს, ეს ზღვარი სამართლებრივად განსხვავებულ ამ ორ კატეგორიას შორის ფაქტობრივად იშლება. მართებულად მიუთითებს აღნიშნული მოძღვრების კრიტიკისას ჰ. ველცელი, რომ ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების შესახებ თეორიის მიხედვით, „ადამიანის მკვლელობა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში სამართლებრივად იმავე მნიშვნელობისაა, რაც მწერის განადგურება.“³⁵² სწორედ ამიტომ, ეს თეორია თავშივე უნდა იქნეს უარყოფილი.

აღნიშნული პრობლემა კიდევ ერთხელ კრიტიკულად ქვემოთ იქნება განხილული. თუმცა, ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მოძღვრება „ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების“ შესახებ სრულიად სამართლიანად იქნა უარყოფილი თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში, რის გამოც სისხლის სამართლის დოგმატიკაში შემდგომი განვითარება ვეღარ პოვა.³⁵³

3.2.1.3. მართლწინააღმდეგობის დასაბუთება კლასიკური და ბლანკეტური შემადგენლობების დროს

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მართლწინააღმდეგობის ცნების დასაბუთება განსხვავებული წესით უნდა ხდებოდეს კლასიკურ და ბლანკეტურ დელიქტებში³⁵⁴.

კლასიკური დელიქტის დროს მართლწინააღმდეგობა ფართოდ განიმარტება, როგორც წინააღმდეგობა ზოგადად სამართლის მიმართ³⁵⁵. ბლანკეტურ შემადგენლობებში კი საჭიროა მართლწინააღმდეგობის ვიწროდ ინტერპრეტირება³⁵⁶. თუმცა, მიუხედავად ამისა, პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების სისტემა ამ შემთხვევაშიც ისევე მოქმედებს, როგორც კლასიკურ შემადგენლობებში³⁵⁷. მასმასადამე, ბლანკეტურ დელიქტებში მართლწინააღმდეგობა ორ ეტაპად საჭიროებს შემოწმებას, პირველ ეტაპზე იგი განიმარტება ვიწროდ,

³⁵² იხ. *Welzel* (1969), გვ. 18.

³⁵³ იხ.: *იშუკისა და კაივინდის* დასახ. ნაშრ., გვ. 250; *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 315-317; *Kaufmann*, JZ (1955), გვ. 37; *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 47-48; *Jakobs*, AT (1991), გვ. 156-158.

³⁵⁴ იხ. *Welzel* (1961), გვ. 24-26. ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში მსგავსი შეხედულება აქვს გამოთქმული ო. *ვამერელიძეს*. ამის შესახებ იხ. *ვამერელიძე* (2008), გვ. 83-86.

³⁵⁵ შდრ.: *Amelung*, JuS (1993), გვ. 637; *Dreier*, JZ (1997), გვ. 426.

³⁵⁶ შდრ.: *Welzel* (1961), გვ. 24-26; *Heinrich*, AT I (2010), გვ. 231.

³⁵⁷ იხ. *Welzel* (1961), გვ. 24-26.

როგორც წინააღმდეგობა სამართლის კონკრეტული ნორმის მიმართ (მართლწინააღმდეგობის პოზიტიური დასაბუთება), მეორე ეტაპზე კი უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველი რომელიმე გარემოება (მართლწინააღმდეგობის ნეგატიური დასაბუთება).

კლასიკურ დელიქტებში მართლწინააღმდეგობის დადგენა, როგორც წესი, არ მოითხოვს პოზიტიურ დასაბუთებას, არამედ ნეგატიური პროცესით უნდა იქნეს გამოკვლეული. საჭიროა დადგინდეს, რომ არ არის სახეზე მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველი არცერთი გარემოება.

ასე რომ, მართლწინააღმდეგობა კლასიკურ დელიქტებში ნიშნავს წინააღმდეგობას არა მარტო პოზიტიური, არამედ დაუწერელი სამართლის ნორმების მიმართაც³⁵⁸. ბლანკეტურ შემადგენლობებში, პირიქით, შესაძლოა, ზეპოზიტიური სამართლის ნორმები არც კი ირღვეოდეს. გამოძინარე აქედან, მართლწინააღმდეგობის ფართო გაგება ასეთ დროს არ გამოიყენება. ასე მაგალითად, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ანდა ფრენის საერთაშორისო წესების დარღვევით ზეპოზიტიური სამართლის ნორმები, როგორც წესი, კი არ ირღვევა, არამედ ადგილი აქვს კონკრეტული კანონის მოთხოვნების ან კიდევ აკრძალვების უგულებელყოფას.

საკითხავია, თუ რას გულისხმობს მართლწინააღმდეგობის დადგენა ბლანკეტურ დელიქტებში?

ბლანკეტურ შემადგენლობებში მართლწინააღმდეგობის დადგენა ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანო უნდა ეყრდნობოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ იმ ქცევის წესს, რომელიც ქმედების ჩამდენმა დაარღვია. ასე მაგალითად, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში, რასაც მძიმე შედეგი (ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ხელყოფა) მოჰყვა, სამართალდამცავი ორგანო პირველ ეტაპზე უნდა ადგენდეს მოძრაობის რომელი წესის დარღვევით მოქმედებდა მძღოლი (ე.წ. ფორმალური მართლწინააღმდეგობა). მეორე ეტაპზე კი, უნდა შემოწმდეს, ხომ არ არის მძღოლის ასეთი მოქმედება მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველი რომელიმე გარემოებით გამართლებული. მართებულად მიუთითებს ამის შესახებ კ. ველკელი, რომ ცალკეულ დანაშაულებრივ ქმედებებში, ერთი მხრივ, საჭიროა მართლწინააღმდეგობის პოზიტიური დადგენა, ხოლო, მეორე მხრივ, იმის დასაბუთებაც, მოქმედებდა თუ არა პირი მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველ რომელიმე გარემოებაში (მართლწინააღმდე-

³⁵⁸ მართლწინააღმდეგობის ცნება ფართოდ გერმანიის უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა. ასე მაგალითად, ე.წ. „ბერლინის კედლის დამცველთა“ საქმეზე, მესაზღვრეების ქმედება სასამართლომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად შეაფასა, მიუხედავად იმისა, რომ მესაზღვრეებს პოზიტიური (დაწერილი) სამართლით სასიკვდილო სროლის უფლება ჰქონდათ. ამის შესახებ, იხ.: BGHSt 2, გვ. 34; BGHSt 3, გვ. 357; BGHSt 39, გვ. 1-31; BGHSt 40, გვ. 218-236; Amelung, JuS (1993), გვ. 637; Dreier, JZ (1997), გვ. 426.

გობის ნეგატიური დადგენა)³⁵⁹.

კლასიკურ და ბლანკეტურ შემადგენლობებზე დელიქტების დაყოფას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აკრძალვაში შეცდომის დროს შესამოწმებელი „მართლ-წინააღმდეგობის შეგნების“ შინაარსობრივი მხარის გასარკვევად. კერძოდ, თუ ბლანკეტურ დელიქტებში „მართლწინააღმდეგობა“ განიმარტება ვიწროდ, მაშინ ამგვარ დანაშაულებში არსებული „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ ფარგლებში მოცემული ცნება „მართლწინააღმდეგობაც“ გაგებულ უნდა იქნეს ასევე ვიწროდ³⁶⁰, სახელდობრ, როგორც ქმედების წინააღმდეგობა არა ზოგადად სამართლისადმი ან კულტურის ნორმებისადმი, არამედ იმ კანონის კონკრეტული ნორმისადმი, რომლის მოთხოვნა ან აკრძალვაც დაზნაშავემ დაარღვია. ეს პრობლემა კიდევ ერთხელ ქვემოთ იქნება განხილული.

მართლწინააღმდეგობის ცნების განსხვავებული დასაბუთება კლასიკურ და ბლანკეტურ შემადგენლობებში პირდაპირ კავშირშია ერთიანი მართლწესრიგის პრინციპთან³⁶¹. ამ პრინციპის თანახმად, დაუშვებელია, სისხლისამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო ქმედება მართლზომიერად ჩაითვალოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სამართლის სხვა დარგში³⁶² ისევე, როგორც არ შეიძლება, სისხლის სამართლის სფეროში მართლსაწინააღმდეგოდ და არამართლზომიერად შეფასდეს ისეთი ქმედება, რომელიც სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესაბამისად, გამონაკლისის სახით, წარმოადგენს მართლზომიერს.³⁶³

მაშასადამე, არასისხლისამართლებრივი მართლწინააღმდეგობის გამოძრეციველი გარემოებების სისხლისამართლებრივი მნიშვნელობის აღიარება გამომდინარეობს სწორედ სამართლებრივი სისტემის ერთიანობის პრინციპიდან, რასაც ასევე შეესაბამება მართლწინააღმდეგობის არა ვიწრო, არამედ ფართო, ზოგადსამართლებრივი კატეგორიის სახით წარმოდგენა.

მიუხედავად ამგვარი მსჯელობისა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო სამართლებრივად ან ადმინისტრაციულ სამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო ყველა მოქმედება ან უმოქმედობა იმავდროულად სისხლის-სამართლებრივადაც არის აკრძალული.³⁶⁴ ასე მაგალითად, მთერალ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა, თუ მას არ მოჰყვა მძიმე შედეგი (აღადიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ხელყოფა), საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, როგორც წესი, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. იგივე ქმედება სისხლისამართლებრივადაც მართლსაწინააღმდეგოდ არ ითვლება. მსგავს შემადგენლობას საქართველოს

³⁵⁹ იქვე.

³⁶⁰ შდრ. *Heinrich*, AT I (2010), გვ. 231.

³⁶¹ იხ. RGSSt 61, გვ. 242; BGHSt 11, გვ. 241; *Roxin*, AT I (2006), გვ. 613.

³⁶² იხ.: *Krey*, AT I (2008), გვ. 149; *Haft*, AT (2004), გვ. 65.

³⁶³ შდრ.: RGSSt 61, გვ. 242-247; BGHSt 11, გვ. 241; *Roxin*, AT I (2006), გვ. 601.

³⁶⁴ შდრ.: *Heinrich*, AT I (2010), გვ. 118-119; *Haft*, AT (2004), გვ. 65.

სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს. გარდა ამისა, მართლწინააღმდეგობას, განსხვავებით უმართლობისგან, არც ხარისხები გააჩნია³⁶⁵, არ ხდება მისი მძიმე ან მსუბუქ მართლწინააღმდეგობად დახარისხება, რადგან ქმედება ან ეწინააღმდეგება სამართალს, ან არა. დაუშვებელია, რომ ერთი ქმედება ნაკლებად ეწინააღმდეგებოდეს სამართალს, ხოლო მეორე ქმედება – მეტად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მართლწინააღმდეგობა კლასიკურ დელიქტებში შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც სამართლის ნორმებისადმი წინააღმდეგობა და არა სისხლის სამართლის კონკრეტული ნორმისადმი წინააღმდეგობა. მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ქურდობის, მკვლელობის, გაუპატიურების და ა.შ. შემთხვევაში ეწინააღმდეგება არა მხოლოდ პოზიტიური სამართლის, არამედ დაუწერელი სამართლის ნორმებსაც.

ბლანკეტურ შემადგენლობებში მართლწინააღმდეგობა ნიშნავს იმ კანონის კონკრეტული ნორმისადმი წინააღმდეგობას, რომლის მოთხოვნა ან აკრძალვაც დამნაშავეს მიერ იქნა დარღვეული, და არა ზოგადად სამართლის ნორმის წინააღმდეგობას. ბლანკეტურ შემადგენლობებში შესაძლოა, ზეპოზიტიური სამართლის ნორმების დარღვევას არც კი ჰქონდეს ადგილი.

გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ სწორი გაგებისთვის მიზანშეწონილია ჯერ თავად „მართლწინააღმდეგობის“ ცნების შესწავლა, ხოლო პრობლემას, თუ როგორ უნდა იქნეს ეს ცნება „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ დროს გაგებული, ნაშრომის მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ.

3.2.2. მართლწინააღმდეგობის შებენის არსი და მისი შინაარსობრივი მხარე

3.2.2.1. მართლწინააღმდეგობის შებენის არსი და მისი ალბილი ბრალის ერთიან სისტემაში

ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ცოდნისა და ნებელობის, ე.ი. განზრახვის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პირს ჩადენილი სისხლისსამართლებრივი უმართლობა ნებისმიერ შემთხვევაში შეერაცხება. ამისთვის საჭიროა, მას ასევე შეცნობილი ჰქონდეს მის მიერ განხორციელებული ქმედების მართლწინააღმდეგობაც.³⁶⁶ იურიდიულ ლიტერატურაში დამნაშავეს მიერ ქმედების მართლწინააღმდეგობის შეცნობას უმართლობის შეგნებას უწოდებენ.³⁶⁷ იგი

³⁶⁵ იხ. Baumann, Weber, AT (1985), გვ. 257-258.

³⁶⁶ შდრ. Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 160.

³⁶⁷ შდრ. იქვე.

შესაძლებელია, აგრეთვე „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ სახელწოდებითაც იქნეს მოხსენიებული. საანალიზო ცნებების იდენტურობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ უმართლობის შეგნება იყოფა ქმედების შემადგენლობის შეგნებად და მართლწინააღმდეგობის შეგნებად, მეორე ნაწილი მას განიხილავს ამ ელემენტთა განუყოფელ ერთობად, სადაც უმართლობის შეგნება მთლიანად მოიცავს ქმედების აკრძალვასა და აკრძალულ ქმედებას; სხვანი კი მიიჩნევენ, რომ უმართლობის შეგნება მართლწინააღმდეგობის შეგნებაა.³⁶⁸ ამ საკითხზე გამოთქმული შეხედულებებიდან უფრო მისაღებად მეცნიერთა ბოლო პოზიცია უნდა ჩაითვალოს³⁶⁹, ვინაიდან სინამდვილეში ორივე ეს ტერმინი ერთი და იმავე შინაარსს გამოხატავს³⁷⁰.

მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან დაკავშირებით გერმანიის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „უმართლობის შეგნება არსებობს მაშინ, როცა მოქმედს კონკრეტული ქმედების შემადგენლობით მოცული საეციფიკური სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, როგორც უმართლობა, შეცნობილი აქვს“³⁷¹. ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მართლწინააღმდეგობის შეგნება არა აბსტრაქტულად, არამედ ქმედების კონკრეტულ შემადგენლობასთან, კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთის დაზიანებასთან მიმართებაში უნდა არსებობდეს.³⁷²

ცნობილია, რომ „უმართლობის შეგნება“ სისტემურად თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განიხილება, როგორც ბრალის დამოუკიდებელი ნიშანი.³⁷³ მისი დადგენა ბრალის ერთიან სისტემაში ყოველთვის პირის ბრალუნარიანობის დასაბუთების შემდგომ ხდება³⁷⁴. ეს ნიშნავს

³⁶⁸ იხ. Leipzig Kommentar I (2007), გვ. 783.

³⁶⁹ ამ ცნებებს ასევე იდენტური შნიშვნელობით იყენებს გერმანელი მეცნიერი: ფ. ჰაფტი, იხ. *Haft*, AT (2004), გვ. 134, ასევე კ. პ. იეშეკი, იხ. *იეშეკისა და ეიფენდის* დასახ. ნაშრ., გვ. 452-453, და სხვა ცნობილი ავტორები.

³⁷⁰ თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „მართლწინააღმდეგობა“ და „უმართლობა“ ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი ტერმინებია. ამ შეხედულების საწინააღმდეგო პოზიცია აქვს ე. შეც-გერს, რომელიც მიჩნევს, რომ „მართლწინააღმდეგობა“ და „უმართლობა“ მსგავსი შინაარსის მქონე ცნებებია და ისინი ერთმანეთის სინონიმებია. ამის შესახებ იხ. *Mezger* (1949), გვ. 163.

³⁷¹ იხ. BGHSt 15, გვ. 377.

³⁷² იხ. *Safferling* (2008), გვ. 216.

³⁷³ იხ.: *Freund*, AT (2009), გვ. 287; *Blei* (1983), გვ. 196-199; *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 160; BGHSt 2, გვ. 194. ამ შეხედულებისგან განსხვავებით, სხვა პოზიცია აქვს გერმანელ მეცნიერ გ. შპენდელს, რომელიც მიიჩნევს, რომ უმართლობის შეგნება მიეკუთვნება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას და, გამომდინარე აქედან, თავიდან აუცილებელი შეცდომა ქმედების შემადგენლობის გამორიცხვას უნდა იწვევდეს. აკრძალვაში შეცდომა, მისი აზრით, არის შეფასების ობიექტი, ამიტომ იგი უმართლობას უნდა მიეკუთვნებოდეს, მაშინ როდესაც, ბრალი მხოლოდ ცარიელი შეფასებაა, ორივე ერთად კი (შეფასება და შეფასების ობიექტი) ქმნიან პასუხისმგებლობის გამოპრიცხველ საფუძვლებს. ამასთან დაკავშირებით იხ.: *Spendel, Tröndle* FS (1989), გვ. 89-105; *Roxin*, AT I (2006), მე-5 სქოლიო, გვ. 929.

³⁷⁴ იხ.: *Heinrich*, AT I (2010), გვ. 231; *ტურავა* (2010), გვ. 74.

იმას, რომ ქმედების ჩამდენის შეურაცხაობის გამოვლენის შემდეგ აღნიშნული ნიშანი შემოწმებას უკვე აღარ საჭიროებს. სამართლებრივი შედეგი კი ასეთ შემთხვევაში არის ის, რომ პირი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწევლობის გამო, ან მთლიანად გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, ან, ფსიქიკის დროებითი აშლილობის ან ქრონიკული ფსიქიკური მდგომარეობის გამო, მის მიმართ გამოყენებულ იქნება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება. გამომდინარე აქედან, ისმის კითხვა: რატომ ხდება ბრალში „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ შემოწმება ყოველთვის პირის ბრალუწარჩინების დადგენის შემდეგ?

ბრალში პირის ბრალუწარჩინების შემოწმების შემდეგ მართლწინააღმდეგობის შეგნების განხილვა, უპირველეს ყოვლისა, დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ, როგორც შეურაცხაობა, ისე უმართლობის შეგნება უკავშირდება პიროვნების ნების თავისუფლებას³⁷⁵, მის უწარს თავისუფლად შეძლოს მართლწინააღმდეგო და მართლწომიერი ქმედების შეფასება. ნების თავისუფლება მდგომარეობს სწორედ ადამიანის უწარსა და შესაძლებლობაში, გააკეთოს არჩევანი მოქმედების ამა თუ იმ შესაძლო ვარიანტებიდან და იმოქმედოს ამ არჩევანის შესაბამისად. შეურაცხად პირთა დიდ ნაწილს კი, არა მხოლოდ არ შესწევს უწარი, იმოქმედოს საკუთარი ნების შესაბამისად, არამედ არც ნების ჩამოყალიბების ფსიქიკური შესაძლებლობა მოეპოვება. ამაზე მიუთითებს, სწორედ, გერმანიის სსკ-ის მე-20 პარაგრაფი, სადაც აღნიშნულია, რომ ბრალის გარეშე მოქმედებს ის, ვისაც ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა.

გამომდინარე აქედან, თუკი პირი ბრალუწარჩინა, ე.ი. თუ მას არ აქვს თავისი მოქმედების კონტროლირების შესაძლებლობა, სიტუაციის ადეკვატურად აღქმის ან სიტუაციის შესაფერისი მოქმედების არჩევის უწარი, მაშინ, როგორც წესი, იგულისხმება, რომ აღნიშნულ პიროვნებას მართლწინააღმდეგობის შეგნებაც არ გააჩნია.

მიუხედავად ამგვარი მსჯელობისა, შესაძლებელია, დაისვას რამდენიმე შეკითხვა. კერძოდ, თუ მართლწინააღმდეგობის შეგნება და შეურაცხადობა უკავშირდება ერთსა და იმავე პრობლემას – ნების თავისუფლებას – მაშინ, რა საჭიროა ერთი და იმავე საკითხის (ბრალუწარჩინებისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების) ორჯერ შემოწმება? ნიშნავს თუ არა პირის ბრალუწარჩინების დასაბუთება ამავე დროს მართლწინააღმდეგობის შეგნების დადგენასაც? ამ კითხვებზე პასუხი მოცემულია გერმანიის სსკ-ის შესაბამის მუხლებში, სადაც კანონმდებელს ცალ-ცალკე ნორმებით აქვს განსაზღვრული როგორც შერაცხვისუწარჩინების პრობლემა (გერმანიის სსკ-ის მე-20 პარაგრაფი), ისე მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობაც (გერმანიის სსკ-ის მე-17 პარაგრაფი).

აღნიშნული პარაგრაფების მიხედვით, უმართლობის შეგნების წინაპირობა

³⁷⁵ იხ. Rudolphi (1969), გვ. 32-33.

ყოველთვის პირის ბრალუნარიანობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედების ჩამდენი შესაძლებელია იყოს ბრალუნარიანი, მაგრამ არ ჰქონდეს მართლწინააღმდეგობის შეგნება, მაგალითად, იმყოფებოდეს აკრძალვაში შეცდომის მდგომარეობაში. სწორედ ამიტომ, უმართლობის შეგნება, მართალია, პირდაპირ კავშირშია ბრალუნარიანობასთან, მაგრამ ყოველთვის მისი შემდგომი განხილვის ეტაპია სისხლისსამართლებრივი ბრალის დასადგენად და, საბოლოო ჯაშში, პირისთვის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესარაცხად.

3.2.2.2. მართლწინააღმდეგობის შიგნითი მხარე

მართლწინააღმდეგობის შეგნების შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში გერმანელმა მეცნიერმა ა. ფოიერბახმა წამოაყენა თეზა იმის შესახებ, რომ „მას, ვინც კანონს არ იცნობს, არც თავისი ქმედების უმართლობის შეცნობა შეუძლია“³⁷⁶. თუმცა, ა. ფოიერბახი მარტო „კანონის წინააღმდეგობის შეცნობას“ ბრალის დამადასტურებელ საკმარის წინაპირობად არ მიიჩნევდა და მეორე პუნქტად, ასევე, პირის მხრიდან მის მიერ ჩადენილი ქმედების დასჯადობის შესახებ ცოდნასაც მოითხოვდა.³⁷⁷

მასსადამე, ა. ფოიერბახის მოძღვრების მიხედვით, პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად სუბიექტს ორი პირობა წაუყენება: (1) პირმა უნდა იცოდეს კანონი, რომელიც მის ქმედებას კრძალავს; (2) მას ასევე შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ მისი საქციელი დასჯად ქმედებას წარმოადგენს.

ა. ფოიერბახის მიერ შექმნილი ეს ფორმულა თანამედროვე ლიტერატურაში არ სარგებლობს მხარდაჭერით. თუმცა სხვა გერმანელმა ავტორებმა აღნიშნული თვალსაზრისი შემდგომში კიდევ უფრო დახვეწეს და განავითარეს. მაგალითად, კ. ალფელდი³⁷⁸ და ე. ბელინგი³⁷⁹ თვლიან, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობისთვის საკმარია დამნაშავეს მხრიდან მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ქმედება აკრძალულია და არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ გარემოებას, საიდან იცის აღნიშნული აკრძალვის შესახებ ქმედების ჩამდენმა პირმა. უფრო შორს მიდის კ. ბინდინგი, რომელიც თავის მოძღვრებაში აღნიშნავს, რომ განზრახვა, რომელიც შედგება ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნებისგან, მხოლოდ მაშინ არის მოცემული, როცა პირმა,

³⁷⁶ იხ.: Feuerbach (1801), §93, ასევე იხ.: ამ წიგნის ახალი გამოცემა (1986), გვ. 163; Kaufmann (1985), გვ. 38; Baumann, Weber, Mitsch, AT (2003), გვ. 513.

³⁷⁷ იხ. Kaufmann (1985), გვ. 38.

³⁷⁸ იხ. Allfeld (1922), გვ. 166.

³⁷⁹ იხ. Beling (1906), გვ. 180.

ერთი მხრივ, იცის და აქვს აკრძალული ქმედების ჩადენის ნებელობა, ხოლო, მეორე მხრივ, მას ასევე ქმედების „ნორმის წინააღმდეგობაც“ აქვს შეცნობილი³⁸⁰. მისი აზრით, „სამართლის ნორმის წინააღმდეგობის შეცნობადობა“ ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება, რადგან მხოლოდ ნორმა ადგენს ასეთი მოქმედების თუ უმოქმედობის აკრძალვას ან ნებადართულობას³⁸¹.

ზემოაღნიშნულ ავტორთა შეხედულებებისგან განსხვავებით, მეცნიერთა მეორე ნაწილის (გ. ც. ღონა³⁸², ე. კოლრაუში³⁸³, პ. მერკელი³⁸⁴) აზრით, მართლწინააღმდეგობის შეგნებაში მოიაზრება ე.წ. „ვალდებულებაწინააღმდეგობის შეგნება“³⁸⁵. თუმცა, ასეთ ვითარებაში საკითხავია, თუ რისი ვალდებულების შეცნობა იგულისხმება ე.წ. „ვალდებულების საწინააღმდეგო მოქმედებაში“ – სამართლებრივი, სოციალურ-ეთიკური, მორალური თუ ყველა ამ სფეროში ერთად მოაზრებული ვალდებულება, მისი ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე? ამ შემთხვევაში ზემოდასახელებულ ავტორთა შეხედულებებში ეს საკითხი გაურკვეველია. უფრო მეტიც, ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, პ. ვაინბერგი მიიჩნევს, რომ დამნაშავეის მხრიდან ქმედების, როგორც მხოლოდ ანტიმორალურ-ზნეობრივი საქციელის შეგნებაა საჭირო ბრალის დასადგენად³⁸⁶.

ე. კოლრაუშისა და პ. მერკელისგან განსხვავებით, პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად ე.წ. „სოციალური ზიანის შეცნობადობის“³⁸⁷ არსებობას მოითხოვენ გ. რადბრუხი³⁸⁸ და ვ. ზაუერ³⁸⁹. აღნიშნული ავტორები „სოციალური ზიანის შეგნების“ დადგენის მასშტაბად იყენებენ ე.წ. „საშუალო ადამიანის“ მიერ გაკეთებულ პარალელურ შეფასებას³⁹⁰. ეს ნიშნავს იმას, რომ დამნაშავე ასეთ შემთხვევაში „საშუალო ადამიანის“ ღონეზე მაინც სწორად უნდა აცნობიერებდეს დანაშაულებრივი ქმედების, როგორც სოციალური ზიანის მნიშვნელობის შინაარსს. თუმცა, ამ მეცნიერთა მიერ შექმნილი ეს ფორმულა მოგვიანებით სისხლის სამართლის დოგმატიკოსებმა გამოიყენეს არა მართლწინააღმდეგობის შეგნების, არამედ განზრახვის დასასაბუთებლად, კერძოდ კი ქმედების შემადგენლობის ნორმატიულ ნიშნებთან მიმართებით დაშვებული შეცდომის დროს, რომლის შესახებაც საუბარი ზემოთ, განზრახვის განხილვისას იყო.

³⁸⁰ იხ.: Binding I (1991), გვ. 90; Kaufmann (1985), გვ. 43.

³⁸¹ იხ.: Binding II (1991), გვ. 403; Kaufmann (1985), გვ. 43.

³⁸² იხ. Dohna (1905), გვ. 68-69.

³⁸³ იხ. Kohlrausch I (1903), გვ. 24.

³⁸⁴ იხ. Merkel, ZStW 43 (1922), გვ. 229-351.

³⁸⁵ გერმანულად: Bewußtsein der Pflichtswidrigkeit.

³⁸⁶ იხ. Weinberg (1928), გვ. 42 ff.

³⁸⁷ გერმანულად: Bewußtsein der Sozialschädlichkeit.

³⁸⁸ იხ. Radbruch (1947), გვ. 55.

³⁸⁹ იხ. Sauer (1921), გვ. 541, 588.

³⁹⁰ იხ. Mezger (1933), გვ. 331 ff.

თანამედროვე გერმანული დოგმატიკა კი ე.წ. შუალედურ პოზიციას ირჩევს. გ. შტრატენვერტი, კ. როქსინი, ჰ. ჰ. იეშეკი და სხვა თანამედროვე ცნობილი მეცნიერები თვლიან, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნებაში, ერთი მხრივ, პირდაპირ არ მოიაზრება სისხლის სამართლის ნორმების ან ამა თუ იმ ქმედების „დასჯადობის“ შეგნებულობა, ხოლო, მეორე მხრივ, მის დასასაბუთებლად არც მარტო იმის შეცნობაა საკმარისი, რომ ქმედება მხოლოდ მორალურად ან სოციალურ-ეთიკურად არის აკრძალული.³⁹¹ „უმართლობის შეგნება“, ერთი მხრივ, არ გულისხმობს ქმედების შემაღვენილობის ყველა ნიშნის სამართლებრივი ბუნების ზედმიწევნით ზუსტ ცოდნას, ანუ ე.წ. ფორმალური მართლწინააღმდეგობის შეგნებას, ხოლო, მეორე მხრივ, მასში არც მარტო იმის შეგნება მოიაზრება, რომ ჩადენილი მოქმედება ან უმოქმედება სოციალურად საშიშია ან ეთიკურად მიუღებელია.³⁹² ერთი ქვეყნის სამართლის სისტემის მიერ დასჯადად შეფასებული ამორალური ქმედება შესაძლოა სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობით არც კი იყოს სისხლისსამართლებრივად გასაკიცხი.³⁹³ ასე მაგალითად, ახლო ნათესავებს შორის ნებაყოფლობითი სექსუალური კავშირი, რომელიც, თავის მხრივ, ამორალური საქციელია, გერმანიის სსკ-ის 173-ე პარაგრაფის მიხედვით, დასჯად ქმედებას წარმოადგენს, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მსგავსი შემაღვენილობის დანაშაულს საერთოდ არ ითვალისწინებს. ამ მსჯელობიდან გამომდინარე კი, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის მხრიდან მარტო მის მიერ განხორციელებული ქმედების ამორალურობის შეცნობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად საკმარისი წინაპირობა არ არის. ასეთ შემთხვევაში საჭიროა, ქმედების ჩამდენ პირს ასევე შეცნობილი ჰქონდეს ისიც, რომ მისმა საქციელმა შესაძლოა სამართლებრივი გაკიცხვა დაიმსახუროს.

მამასადამე, მართლწინააღმდეგობის შეგნება გულისხმობს დანაშაულის მიერ მხოლოდ იმის გაცნობიერებას, რომ მისი ქცევა კონკრეტული დანაშაულის განხორციელების დროს საზოგადოებრივი წეს-წყობილებით დადგენილ მოთხოვნებს ეწინააღმდეგება და ამიტომ ასეთი ქმედების ჩადენა სამართლებრივად აკრძალულია.³⁹⁴ ამგვარ ვითარებაში ირელევანტურად ითვლება, სამართლის თუ

³⁹¹ იხ.: *Hafn*, AT (2004), გვ. 134; *Roxin*, AT I (2006), გვ. 932-933. „ამორალურ-ზნეობრივი ნორმების დარღვევის შეგნებას არ შეუძლია, შეცვალოს უმართლობის შეგნება“, – მიუთითებს გ. შტრატენვერტი და იქვე აღნიშნავს, რომ ისინი შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევებში ერთმანეთს არც კი დაემთხვეს. ავტორის აღნიშნული მოსაზრება სრულიად არგუმენტირებულია, რადგან სისხლისსამართლებრივი ბრალი არსებითად განსხვავდება როგორც ზნეობრივი, ისე რელიგიური ბრალისაგან. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ სადავო ხასიათისა და ის ცალკე, დამოუკიდებელ კვლევას მოითხოვს. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. *Stratenwerth, Kuhlen*, AT I (2004), გვ. 215.

³⁹² იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 932-933.

³⁹³ იქვე.

³⁹⁴ იხ.: *იეშეკისა და კიიგენლის* დასახ. ნაშრ., გვ. 453-454; *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 160; *Küper*, JZ (1989), გვ. 617, 621; *Neumann*, JuS (1993), გვ. 793; *Safferling* (2008), გვ.

რომელი დარგის (სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული) მიხედვით მიიჩნია პირმა თავისი ქმედება დაუშვებლად.³⁹⁵

3.2.3. მართლწინააღმდეგობის შეზღვევის დადგენა კლასიკურ და ბლანკეტურ დელიქტებში

მართლწინააღმდეგობის დადგენა კლასიკურ და ბლანკეტურ დელიქტებში, როგორც ზემოთ ითქვა, განსხვავებული წესით ხორციელდება³⁹⁶. თუკი კლასიკური დელიქტის ჩადენის შემთხვევაში ხდება მისი ფართოდ განმარტება, ბლანკეტურ შემადგენლობებში საჭიროა მართლწინააღმდეგობის ვიწროდ გაგება. გამომდინარე აქედან, მართლწინააღმდეგობის შეგნების დადგენაც ამ ორი განსხვავებული სახის დანაშაულში სხვადასხვაგვარად ხორციელდება.

კლასიკური დელიქტების დროს შესამოწმებელ „მართლწინააღმდეგობის შეგნებაში“ მოცემული ცნება – „მართლწინააღმდეგობა“ საჭიროა გაგებულ იქნეს ფართოდ, როგორც სამართლის ნორმებისადმი წინააღმდეგობა და იგი ბლანკეტურ დანაშაულებში მოცემული „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ შინაარსობრივი მხარისგან განსხვავებული წესით უნდა დასაბუთდეს. თუმცა ისმის კითხვა, რატომ უნდა დადგინდეს ამ ორ სხვადასხვა ტიპის დელიქტში მართლწინააღმდეგობის შეგნება სხვადასხვაგვარად და რაში მდგომარეობს ეს განსხვავება.

ისეთი კლასიკური დელიქტების განხორციელება, როგორცაა: მკვლელობა, ქურდობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება და ა.შ., თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ მათი ჩადენა ამავე დროს ეწინააღმდეგება დაუწერელი, მათ შორის, ბუნებითი სამართლის ნორმებს. გამომდინარე აქედან, კლასიკური დანაშაულების განხორციელებისას, როგორც დანაშაულის მეორე ელემენტში – „მართლწინააღმდეგობაში“, ისე ბრალის ერთ-ერთ ნიშანში – „მართლწინააღმდეგობის შეგნებაში“ მოცემული ცნება „მართლწინააღმდეგობა“ გაგებულ უნდა იქნეს როგორც სამართლის ნორმებისადმი წინააღმდეგობა და არა როგორც სისხლის სამართლის კანონისადმი წინააღმდეგობა. ამ ორი სხვადასხვა ცნების – „მართლწინააღმდეგობისა“ და „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ – ამგვარი ინტერპრეტაცია კი ემსახურება მხოლოდ იმ მიზანს, რომ, ერთი მხრივ, გარკვეულწილად გაადვილდეს სისხლის სამართლებრივი შეცდომის მდგომარეობაში მყოფი პირის პასუხისმგებლობის დასაბუთება, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთ შემთხვევაში დაშვებული შეცდომაც ირელევანტურად იქნეს მიჩ-

216; Kühl, AT (2008), გვ. 408; Hafit, AT (2004), გვ. 134; Roxin, AT I (2006), გვ. 932; Baumann, Weber, AT (1985), გვ. 421.

³⁹⁵ იხ.: Baumann, Weber, AT (1985), გვ. 421; Otto (2000), გვ. 212; BGHSt 11, გვ. 263-266.

³⁹⁶ იხ. Welzel (1961), გვ. 24-26. ქართულ იურიდიულ მოძღვრებაში ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული ო. ვამერელიძეს. ამის შესახებ იხ. ვამერელიძე (2008), გვ. 83-86.

ნეული³⁹⁷. კონკრეტულად რომ ითქვას, დამნაშავეს კლასიკურ დელიქტებში დაშვებული სამართლებრივი შეცდომის დროს არ შეუძლია, თავი იმართლოს იმით, რომ იგი დანაშაულის ჩადენისას არ იცნობდა სისხლის სამართლის კანონის იმ ნორმას, რომელიც კაცის მკვლელობასა თუ ქურდობას კრძალავს და, შესაბამისად, მას არ ჰქონდა ეს მოთხოვნა შეცნობილი. ასეთი შეცდომა სამართლებრივად ყოველთვის უმნიშვნელოდ მიიჩნევა – კანონის უცოდინრობა ასეთ შემთხვევაში პირს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს (ლათ.: *error iuris criminalis nocet*)³⁹⁸. სწორედ ამ დებულებას დაეყრდნო გერმანიის უზენაესი სასამართლო სისხლისსამართლებრივი საქმეების განხილვისას იმ მესაზღვრეთა წინააღმდეგ, რომლებსაც არაერთი მოქალაქე ჰყავდათ ადგილზე დახვრეტილი ორ ნაწილად გაყოფილი გერმანიის პირობითი საზღვრის გადაკვეთის დროს. სასამართლომ ყველა ის მოქმედება, რომელიც „ადამიანის უფლებებს უხეშად და ამკარად ხელყოფდა“, მართლსაწინააღმდეგოდ და, შესაბამისად, აკრძალვაში თავიდან აცილებად შეცდომად ჩათვალა³⁹⁹. ეს პრობლემა კიდევ უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული.

რაც შეეხება ბლანკეტურ დელიქტებს, მასში ერთგვარად განსხვავებულად ხდება როგორც თავად დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტის – „მართლწინააღმდეგობის“, ისე ბრალის ერთ-ერთი ნიშნის – „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ დადგენა. კერძოდ, ამგვარ დანაშაულებში მოცემული დანაშაულის მეორე ელემენტი – „მართლწინააღმდეგობა“, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, განიმარტება ვიწროდ, ე.ი. წინააღმდეგობა კანონის იმ ნორმისადმი, რომლის მოთხოვნა თუ აკრძალვაც დამნაშავის მიერ იქნა დარღვეული. გამომდინარე აქედან, „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ ფარგლებში მოცემული ცნება – „მართლწინააღმდეგობაც“ ასეთ ვითარებაში ასევე ვიწროდ უნდა განიმარტოს. ამგვარი მოსაზრება, თავის მხრივ, არგუმენტირებულია იმით, რომ ბლანკეტური ნორმების დარღვევით შესაძლოა იმავდროულად არც კი ირღვეოდეს დაუწერელი სამართლის ნორმები.⁴⁰⁰ ამიტომ, ასეთი დელიქტების მიმართ არსებული სამართლებრივი შეცდომა ყოველთვის მიიჩნევა რელევანტურად. სახელდობრ, ერთ შემთხვევაში, თუკი იგი თავიდან აუცილებადია, გამოირიცხება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ხოლო, მეორე შემთხვევაში, თუ შეცდომა მიუტყვებელია, გერმანიის სსკ-ის შესაბამისად, დამნაშავეს მხოლოდ სასჯელი შეუძსუბუქდება⁴⁰¹.

³⁹⁷ შდრ. *Jakobs*, AT (1991), გვ. 544.

³⁹⁸ შდრ.: *Kaufmann* (1985), გვ. 51; *Roxin*, AT I (2006), გვ. 928.

³⁹⁹ შდრ.: BGHSt 39, გვ. 35; BGHSt 39, გვ. 190; *Gropp*, Triffler FS (1996), გვ. 120.

⁴⁰⁰ შდრ. *ტურავა* (2010), გვ. 230.

⁴⁰¹ გერმანული სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლის მიხედვით, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება გააფრთხილებლობისთვის იმ შემთხვევაში, თუკი შეცდომა თავიდან აცილებადია (მიუტყვევებელი შეცდომა), ხოლო შეცდომის თავიდან აუცილებადობის დროს (მიხატვევებილი

მასასადამე, ზემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, „უმართლობის შეგნება“ ბლანკეტურ დელიქტებში ნიშნავს იმ სამართლებრივი ნორმების შეგნებას, რომლებსაც ქმედების ჩამდენი პირი არღვევს, ხოლო კლასიკურ დანაშაულებში იგი გულისხმობს ქმედების ზოგადსამართლებრივი აკრძალულობის შეცნობას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მასში არ მოიაზრება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების შეგნება (ე.წ. ფორმალური მართლწინააღმდეგობა).

კლასიკური დელიქტების ჩადენისას პირს არ მოეთხოვება სისხლის სამართლის ნორმის შინაარსის ზუსტი ცოდნა, საკამარისია, მან იცოდეს, რომ იგი სამართლის (იგულისხმება როგორც პოზიტიური, ისე დაუწერელი სამართალი) რომელიმე ნორმით დადგენილ აკრძალვას არღვევს.⁴⁰² ამგვარ პოზიციას იზიარებს ასევე, გერმანიის უზენაესი სასამართლოც, რომელმაც ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე განმარტა, რომ პირის უმართლობის შეგნების დასაბუთებისთვის საკამარისია, „დამნაშავეს დანაშაულის შემადგენლობით მოცული სპეციფიკური სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, როგორც უმართლობა, შეცნობილი ჰქონდეს“⁴⁰³. იმავე სასამართლომ სხვა საქმეზე აღნიშნა: „მართლწინააღმდეგობის შეგნების დადგენის დროს ქმედების დასჯადობის ცოდნა აუცილებელი არ არის“⁴⁰⁴. მასასადამე, გერმანულ იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული შეხედულებით, კლასიკური დელიქტების ჩამდენ პირს არ მოეთხოვება, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედების დასჯადობა ჰქონდეს შეცნობილი, არამედ საკამარისია, ამგვარი ქმედების ზოგადსამართლებრივი აკრძალულობის ცოდნა (ე.წ. მატერიალური მართლწინააღმდეგობის შეგნება)⁴⁰⁵.

3.2.4. დანაშაულთა ერთობლიობის დროს მართლწინააღმდეგობის შეგნება და გერმანიის უზენაესი სასამართლოს პოზიციის

მართლწინააღმდეგობის შეგნება დანაშაულთა ერთობლიობის დროს სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარად იყო გაგებული. გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში დღეს გაბატონებული შეხედულებით, რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შემთხვევაში, მართლწინააღმდეგობის შეგნება თითოეული ამ დანაშაულისთვის ცალ-ცალკე მოწმდება⁴⁰⁶.

შეცდომა), იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება.

⁴⁰² შდრ. *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 515.

⁴⁰³ იხ.: BGHSt 15, გვ. 377, 383; *Kühl*, AT (2008), გვ. 408.

⁴⁰⁴ იხ.: BGHSt 45, გვ. 97; *Börger*, NSTZ (2000), გვ. 31-32.

⁴⁰⁵ იხ.: *იუშეისა და ვაიგენდის* დასახ. ნაშრ., გვ. 453-454; *Safferling* (2008), გვ. 216-217.

⁴⁰⁶ იხ.: BGHSt 10, გვ. 35; *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 160; *Kühl*, AT (2008), გვ. 337; *Hafst*, AT (2004), გვ. 134-135.

მაგალითად, თუ განხორციელებულია გერმანიის სსკ-ის 212-ე პარაგრაფის პირველი აბზაციითა (მკვლელობა) და 216-ე პარაგრაფის პირველი აბზაციით (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, ასეთ დროს მართლწინააღმდეგობის შეგნება მოწმდება როგორც 212-ე, ისე 216-ე პარაგრაფის მიმართ. თუმცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გერმანიის უზენაესმა სასამართლომ სხვადასხვა დროს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული გადაწყვეტილება გამოიტანა⁴⁰⁷. კერძოდ, 1952 წლის 9 დეკემბერის გადაწყვეტილებაში სასამართლომ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე აღნიშნა, რომ „უმართლობის შეგნება დანაშაულთა ერთობლიობის დროს ცალ-ცალკე არ მოწმდება“. ეს მოსაზრება კი დაასაბუთა იმით, რომ დამნაშავის მიერ მსგავსი ან ერთი და იმავე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის დროს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციას, თითოეული დანაშაულისათვის უმართლობის შეგნებულობის ცალ-ცალკე შემოწმება საჭირო არ არის. თუ ერთ დანაშაულში დადასტურდა მართლწინააღმდეგობის შეგნება, იგულისხმება, რომ იგი მეორე დანაშაულშიც ასევე არსებობს. ასე მაგალითად, როცა ჩადენილია 172-ე პარაგრაფითა (ორმაგი ქორწინება) და 173-ე პარაგრაფის მეორე აბზაციით (ახლო ნათესავებს შორის სექსუალური კავშირი) გათვალისწინებული დანაშაული და თუ დამნაშავეს ერთ-ერთი დანაშაულის განხორციელების უმართლობის შეგნება დაუმტკიცდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება, ასევე, მეორე დანაშაულშიც ავტომატურად იქნება მოცემული⁴⁰⁸.

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით კრიტიკის ობიექტი გახდა იურიდიულ სამეცნიერო წრეებში, რის გამოც იმავე სასამართლომ დაახლოებით ანალოგიურ საქმეზე წინა გადაწყვეტილებისგან განსხვავებული განაჩენი გამოიტანა⁴⁰⁹. კერძოდ, სასამართლომ 1956 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ცალსახად მიუთითა, რომ „დამნაშავეს აუცილებელია მართლწინააღმდეგობის შეგნება დანაშაულის ჩადენის დროს გააჩნდეს და იგი დანაშაულთა ერთობლიობის დროს ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს“. განაჩენში მოყვანილი საქმის გარემოებები კი შემდეგ შემთხვევას ეფუძნებოდა:

„ბრალდებულმა, რომელიც წარმოშობით ბელგრადიდან იყო და 1941 წლიდან მსახურობდა გერმანიის სამხედრო ძალებში, გერმანიის ტერიტორიაზე იძულებითი სქესობრივი კავშირი დაამყარა 17 წლით უმცროს ქალიშვილთან, რითაც განახორციელა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 174-ე პარაგრაფის პირველი აბზაციითა (გაუპატიურება) და 173-ე პარაგრაფის მეორე აბზაციით (ახლო ნათესავებს შორის სექსუალური კავშირი) გათვალისწინებული დანაშაული. გერმანიის უზენაესი სასამართლოს დიდი სენატის მიერ

⁴⁰⁷ შტრ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 935.

⁴⁰⁸ იხ. BGHSt 3, გვ. 342-344.

⁴⁰⁹ იხ. BGHSt 10, გვ. 35.

ექვემოთ არ დამდგარა 174-ე პარაგრაფით (გაუპატიურება) გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს სრულად ჰქონდა შეცნობილი იძულებითი სექსუალური კავშირის აკრძალულობა არასრულწლოვან გერთან, მაგრამ სხვა ვითარება იყო მოცემული კოდექსის 173-ე პარაგრაფთან (ახლო ნათესავებს შორის სექსუალური კავშირი)⁴¹⁰ მიმართებით. კერძოდ, ქმედების ჩამდენ პირს წარმოადგენდა არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ ახლო ნათესავებს შორის სექსუალური კავშირი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით წარმოადგენდა დასჯად ქმედებას. ეს არგუმენტი და ასევე ის, რომ დამნაშავე არ იყო გერმანიის „სამართლის გავლენის ქვეშ აღზრდილი“, საკმარისი პირობა აღმოჩნდა სასამართლოსათვის, რომ აღნიშნული ქმედება აკრძალვაში შეცდომად ჩაეთვალა. ამ გადაწყვეტილების დასაბუთებას კი წარმოადგენდა ის, რომ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის დროს თავისი ქმედების (ახლო ნათესავებს შორის სექსუალური კავშირი) აკრძალულობის შეგნება არ გააჩნდა.⁴¹¹

მასასადამე, უზენაესი სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებით, რომელმაც შემდგომში დოგმატიკაშიც მოწონება დაიმსახურა, დანაშაულთა ნებისმიერი ერთობლიობის შემთხვევაში, თუნდაც ეს იყოს მსგავსი ხასიათის ქმედებები, მართლწინააღმდეგობის შეგნების ცალ-ცალკე შემოწმება თითოეული ქმედებისთვის აუცილებელია⁴¹².

სასამართლოს ამ განაჩენიდან გამომდინარე, იბადება ლოგიკური კითხვა, რამდენად საჭიროა დანაშაულის ამგვარი ერთობლიობის დროს უმართლობის შეგნების ცალ-ცალკე შემოწმება მაშინ, როცა დამნაშავემ ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენისას დანამდვილებით იცის, რომ მისი ქმედება ზოგადად აკრძალულია.

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო პრაქტიკასა და დოგმატიკაში აღიარებული იქნება ბრალის ინდივიდუალურობა და მისი პერსონალურობა. ის, რომ სისხლის-სამართლებრივი ბრალი ინდივიდუალურია და თითოეული პიროვნებისათვის, თითოეული დანაშაულისათვის ცალ-ცალკე მოწმდება, თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში უკვე დავის საგანს აღარ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, თუ გერმანიის უზენაესი სასამართლო თავის ბოლო გადაწყვეტილებაშიც, წინა განაჩენის მსგავსად, კვლავ მხარს დაუჭერდა მოსაზრებას: ნებისმიერი დანაშაულის ერთობლიობის შემთხვევაში მართლწინააღმდეგობის შეგნება ცალ-ცალკე არ მოწმდება – მაშინ სასამართლო ამ პოზიციით, გარკვეულწილად, ბრალის ინდივიდუალურობის ფუნდამენტურ პრინციპს უარყოფდა. ეს კი, ფაქტობრივად,

⁴¹⁰ ანალოგიური ქმედების დასჯადობა არც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით არის გათვალისწინებული.

⁴¹¹ იხ. BGHSt 10, გვ. 35.

⁴¹² იხ.: Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 160; Kühl, AT (2008), გვ. 337; Haft, AT (2004), გვ. 134-135.

ნიშნავს იმას, რომ მას მომავალში თანამონაწილეებიც, ასევე, ერთიანი ბრალეულობის პრინციპის მიხედვით უნდა დაესაჯა. თანამონაწილეებიც ერთიან უმართლობას (მაგალითად, მკვლელობის, გაუპატიურების უმართლობა) ახორციელებენ, მაგრამ სწორედ მათი ბრალია ერთმანეთისგან განსხვავებული და, შესაბამისად, მათი უმართლობის შეგნებაც – სხვადასხვა. ამიტომ უზენაესმა სასამართლომ ბოლო გადაწყვეტილებაში, ერთი მხრივ, არაპირდაპირ აღიარა ბრალის ინდივიდუალურობის პრინციპი, ხოლო, მეორე მხრივ, დანაშაულთა ერთობლიობის დროს მართლწინააღმდეგობის შეგნების ცალ-ცალკე შემოწმების აუცილებლობაც დაასაბუთა.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში უმართლობის შეგნება, გარკვეულ შემთხვევებში, გულისხმობს არა დანაშაულის შემადგენლობის ნიშანთა შეგნებას, არამედ იმის შეგნებულობას, რომ პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა პოზიტიური სამართლით ან დაუწერელი სამართლის ნორმებით აკრძალულია და დანაშაულთა ნებისმიერი ერთობლიობის დროს იგი ცალ-ცალკე მოწმდება.

3.2.5. მართლწინააღმდეგობის შეგნება განზრახი დანაშაულის ჩადენის დროს

3.2.5.1. მართლწინააღმდეგობის აქტუალური და პოტენციური შეგნება

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ერთმანეთისგან განსხვავებენ მართლწინააღმდეგობის ე.წ. აქტუალურ და ე.წ. პოტენციურ შეგნებას.⁴¹³ განზრახი დანაშაულის ჩადენის დროს პირს, როგორც წესი, დანაშაულის უმართლობა, უმეტეს შემთხვევაში, გაცნობიერებული აქვს (მართლწინააღმდეგობის ე.წ. აქტუალური შეგნება)⁴¹⁴. ქმედების შემადგენლობის ცოდნითა და ნებელობით განხორციელება გულისხმობს ვარაუდს, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნებაც არსებობს. აღნიშნული ნიშანი კი მოცემულია, უპირველეს ყოვლისა, ისეთ დელიქტებში, რომლებიც მომზადებისა და მცდელობის სტადიებს გადაიან⁴¹⁵.

აღსანიშნავია, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნების ასეთი დიფერენცია-ცია ყოველთვის არ იყო მიღებული გერმანულ იურიდიულ მოძღვრებაში. ასე

⁴¹³ იხ.: *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 160; *Kühl*, AT (2008), გვ. 336; *Schmidhäuser, Mayer FS* (1966), გვ. 317-338.

⁴¹⁴ იხ.: *BGHSt* 15, გვ. 377; *Heinrich*, AT I (2010), გვ. 232; *იეშეკისა და ვაიგენდის* დასახ. ნაშრ., გვ. 455.

⁴¹⁵ იხ. *Schmidhäuser*, AT (1984), გვ. 214-215.

მაგალითად, ე.წ. „თანამიმდევრული (მკაცრი) განზრახვის თეორია“⁴¹⁶ განზრახვის ცნებაში, ცოდნასა და ნებელობასთან ერთად, მოიაზრებს ასევე უმართლობის აქტუალურ შეგნებას⁴¹⁷, ხოლო მართლწინააღმდეგობის პოტენციურ შეგნებას იგი საერთოდ არ იცნობს⁴¹⁸.

განზრახვის თეორიის საწინააღმდეგოდ, ე.წ. „ბრალის თეორია“, რომელიც გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულ მოძღვრებას წარმოადგენს, ითვალისწინებს უმართლობის როგორც აქტუალურ, ისე პოტენციურ შეგნებას და მას განზრახვისგან დამოუკიდებლად ბრალის ეტაპზე განიხილავს.⁴¹⁹ აღნიშნული თეორიის თანახმად, მართლწინააღმდეგობის შეგნების დასასაბუთებლად საკმარისია, დამნაშავეს უმართლობის განხორციელების დროს შეეძლოს თავისი ქმედების აკრძალულობის შეცნობა (მართლწინააღმდეგობის ე.წ. პოტენციური შეგნება).⁴²⁰ გერმანელი მეცნიერი *ე.შმიდჰაიზერი* აღნიშნავს, რომ „ბრალის თეორია მოითხოვს მხოლოდ ქმედების სუბიექტის მიერ ქმედების აკრძალვის შეგნების უნარს“⁴²¹. მამასადაამე, ბრალის თეორიით, მართლწინააღმდეგობის შეგნება განზრახვისგან დამოუკიდებლად არის წარმოდგენილი ბრალის ერთიან სისტემაში.⁴²² აღნიშნული მოძღვრება უმეტეს შემთხვევაში ასევე გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაშიც.

სასამართლოს მიერ შეცდომის თავიდან აცილებადობის დასაბუთება, რასაც ხშირად მიმართავს გერმანიის უზენაესი სასამართლო, ნიშნავს გარკვეულწილად დამნაშავისთვის მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნების დადგენას. ეს გულისხმობს იმას, რომ პირი საბოლოო ჯამში განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის მიეცემა პასუხისმგებლობაში. გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობა კი, ბრალის თეორიით, მხოლოდ ფაქტობრივი შეცდომის შემთხვევაში დგება, თუ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვის ორი ელემენტიდან ერთ-ერთი — ცოდნა ან ნებელობა არ იქნება შესრულებული.

⁴¹⁶ იქვე, გვ. 220, ასევე იხ.: *Blei* (1983), გვ. 197; *Schünemann*, NJW (1980), გვ. 738.

⁴¹⁷ იხ.: *Schmidhäuser*, Mayer FS (1966), გვ. 317; *Schmidhäuser*, AT (1984), გვ. 214.

⁴¹⁸ იხ. *Schmidhäuser*, AT (1984), გვ. 214.

⁴¹⁹ იქვე, გვ. 215, 220, ასევე შდრ.: *Bockelmann, Volk*, AT (1987), გვ. 120; *Krey*, AT I (2008), გვ. 149, 255-265.

⁴²⁰ იხ.: BGHSt 21, გვ. 18-20; *Kaufmann* (1985), გვ. 143; *Kühl*, AT (2008), გვ. 336; *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 160. აღსანიშნავია, რომ განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების (პოტენციური) ერთმანეთისგან ურთიერთგამიჯენის იდეა ერთ-ერთ პირველს ეკუთვნის *კ. შერკელს*. მან 1927 წელს თავის სახელმძღვანელოში აღნიშნა, რომ განზრახვა და უმართლობის პოტენციური შეგნება განხილულ უნდა იქნეს არა როგორც ერთიანი ელემენტი, არამედ ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებული კატეგორიები. განზრახვა, ავტორის აზრით, ეკუთვნის ფაქტობრივი გარემოებების სფეროს (Tatsachensphäre), ხოლო უმართლობის შეგნება — შეფასების სფეროს (Wertsphäre), რის შემდეგაც იგი იქვე მიუთითებს, რომ უმართლობის შეცნობადობა, მისი შეფასებითობიდან გამომდინარე, განეკუთვნება ბრალს და არა განზრახვას. იხ. *Merkel* (1927), გვ. 92-93, 113, 114-116, 142-144.

⁴²¹ იხ. *Schmidhäuser*, Mayer FS (1966), გვ. 319.

⁴²² იხ. *Schewe* (1967), გვ. 22-23.

მართლწინააღმდეგობის აქტუალური და პოტენციური შეგნების ურთიერთ-გამიჯენისას 60-იანი წლების გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად იხადება შეკითხვა: რამდენად არის საკმარისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნების არსებობა და ხომ არ არის საჭირო მისი აქტუალური ფორმით წარმოდგენა.⁴²³ პასუხი აღნიშნულ შეკითხვაზე მოგვიანებით ცალსახად გერმანიის უზენაესმა სასამართლომ გასცა⁴²⁴, რომელმაც ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე საერთოდ უარყო განზრახვის თეორია და უპირატესობა ბრალის თეორიას მიანიჭა.⁴²⁵ ამ უკანასკნელი მოძღვრების მიხედვით, დამნაშავეს არ მოეთხოვება უმართლობის აქტუალური შეგნების არსებობა, არამედ პასუხისმგებლობისთვის სრულიად საკმარისია, დადგინდეს, რომ ქმედების განხორციელების დროს პირს შეეძლო ჰქონოდა მართლწინააღმდეგობის შეგნება. სწორედ მსგავსი პოზიციაა გატარებული უზენაესი სასამართლოს ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, სადაც ხაზგასმულია: „დამნაშავეს, რომ შექმნილ ვითარებაში „კეთილსინდისიერად“ ემოქმედა, შეცდომას არ დაუშვებდა“⁴²⁶. მაშასადამე, უმართლობის აქტუალური შეგნება ყოველთვის დაკავშირებულია ქმედების შემადგენლობის ნიშნების შეგნებასთან, რომელიც დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე მოწმდება და განზრახვის დადგენას ნიშნავს.

რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის პოტენციურ შეგნებას, იგი ქმედების შემადგენლობის შეგნებულობას კი არ უკავშირდება, არამედ მისგან დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას ბრალის ეტაპზე. მის დასასაბუთებლად საკმარისია, დამნაშავეს დაუდგინდეს ის, რომ მას დანაშაულის ჩადენის დროს შეეძლო ჰქონოდა მართლწინააღმდეგობის შეგნება.⁴²⁷

მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნების არსებობის მნიშვნელობა გერმანიის უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ დაასაბუთა გასულ საუკუნეში განხორციელებული რამდენიმე გახმაურებული დანაშაულებრივი ქმედების განხილვის დროს. ამ მხრივ კი, განსაკუთრებით ყურადსაღებია იმ პირთა სასამართლო პროცესები, რომლებიც გასამართლდნენ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ებრაელთა და სხვა ადამიანების წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დანაშაულების (მასობრივი მკვლელობები, დეპორტაცია და სხვა

⁴²³ იხ. *Schmidhäuser, Mayer FS* (1966), გვ. 317.

⁴²⁴ იხ. *BGHSt 2*, გვ. 197.

⁴²⁵ ე. ნაუკე თავის ნაშრომში აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ აღნიშნავს: „სახელმწიფოს პოლიტიკა, რომ უპირატესობა მიენიჭებინა ბრალის თეორიისათვის, შესაძლებელია, გამართლებული იქნეს მხოლოდ ერთი გარემოებით, რათა არ მოხდეს დასჯადობის შესუსტება და ე.წ. „გონიერი დამნაშავეს“ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება“. იხ. *Naucke, Roxin FS* (2001), გვ. 503.

⁴²⁶ იხ.: *BGHSt 2*, გვ. 194-211; *Schmidhäuser, Mayer FS* (1966), გვ. 319; *იუშეკისა და ვაიფენდის* დასახ. ნაშრ., გვ. 414, 458.

⁴²⁷ შდრ.: *Schmidhäuser, AT* (1984), გვ.215; *Schmidhäuser, Mayer FS* (1966), გვ. 319-338; *Wessels, Beulke, AT* (2011), გვ. 160.

სახის მიძიმე დანაშაულები) ჩადენისათვის.⁴²⁸ აღნიშნულ პროცესებზე ბრალდებულების მიერ მიტეხული ჩვენებები იმის შესახებ, რომ ისინი მხოლოდ ბრძანებებს ასრულებდნენ და, შესაბამისად, მათ არ ჰქონდათ ქმედების მართლსაწინააღმდეგო ბუნება რეალურად შეცნობილი, სასამართლოსთვის ირელევანტური აღმოჩნდა.⁴²⁹ ასეთ შემთხვევაში უზენაესმა სასამართლომ ე.წ. გ. რადბრუხის ფორმულით იხელმძღვანელა.⁴³⁰ გერმანელი სამართლის ფილოსოფოსის გ. რადბრუხის ფორმულის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ სამართლის ნორმა შესაძლებელია არ შესრულდეს მაშინ, როდესაც პოზიტიური კანონი ამკარად უსამართლოა, რის გამოც კანონმა, როგორც „არამართალმა“ სამართალმა სამართლიანობას უნდა დაუთმოს ადგილი⁴³¹. თუმცა, ეს მოსაზრება არ ნიშნავს იმას, რომ გ. რადბრუხი პოზიტიური სამართლის მნიშვნელობას უარყოფს. სამართლიანობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას შორის კონფლიქტის დროს, რომელიც შინაარსობრივად დაწერილი სამართლის უსამართლობასა და მიზანშეუწონლობაში გამოიხატება, პრიორიტეტი პოზიტიურ სამართალს მიენიჭება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაწერილი კანონის წინააღმდეგობა სამართლიანობასთან ისეთ აუტანელ ხასიათს ატარებს, რომ კანონმა, როგორც „არამართალმა სამართალმა“ სამართლიანობა უხეშად ფეხქვეშ გათელა, პოზიტიური სამართალი იურიდიული ძალის არმქონედ მიიჩნევა და უპირატესობა ბუნებითი სამართლის გამოყენებას ენიჭება“⁴³².

გამომდინარე აქედან, ბრალდებულ პირებს, როგორც ბრძანების უშუალო ამსრულებლებს, დელიქტების განხორციელების დროს უნდა სცოდნოდათ ის, რომ ზეპოზიტიური სამართლის ნორმით აკრძალულ ქმედებას ჩადიდნენ (მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნება), მიუხედავად იმისა, რომ მათ შექმნილ ვითარებაში შესაძლოა, მართლაც არ ჰქონოდათ რეალურად შეცნობილი თავიანთი ქმედების მართლწინააღმდეგობა (მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნების არარსებობა)⁴³³.

ანალოგიური გადაწყვეტილება გამოიტანა გერმანიის უზენაესმა სასამართლომ იმ მესაზღვრეთა წინააღმდეგ, რომლებმაც სხვადასხვა სიმძიმის მკვლელობები ჩადინეს გერმანიის ფედერაციულსა და დემოკრატიულ რესპუბლიკებს შორის არსებულ საზღვარზე მშვიდობიანი მოქალაქეების მიერ საზღვრის გა-

⁴²⁸ შტრ.: *Forschner* (2003), გვ. 34; *Kaufmann* (1985), გვ. 214-220.

⁴²⁹ იხ.: BGHSt 2, გვ. 34; BGHSt 3, გვ. 357; BGHSt 39, გვ. 1-31; BGHSt 40, გვ. 218-236.

⁴³⁰ იხ. *Forschner* (2003), გვ. 34.

⁴³¹ იხ. *Radbruch* (1973), გვ. 345

⁴³² იქვე, გვ. 339-345. ქართულ ენაზე ამის შესახებ ასევე იხ. ტურავა (2011), გვ. 31-32.

⁴³³ მსგავსი დასაბუთება გააკეთა ასევე ფრანკფურტის სასამართლომ ე.წ. „ვეთანაზის პროცესში“ მონაწილე ექიმების გასამართლების დროს. სასამართლომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჩადენილი ქმედებები, რომლებიც იმ პერიოდში ნებადართულ ქმედებებს წარმოადგენა. ზეპოზიტიური სამართლის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებზე შეაფასა და აღნიშნულ პროცესში ბრალდებული პირები დაზნაშავევად გამოაცხადა. ამის შესახებ იხ. *Kaufmann* (1985), გვ. 214-217.

დაკვეთის დროს.⁴³⁴ ორ ნაწილად გაყოფილი გერმანიის გაერთიანების შემდეგ დღის წესრიგში დადგა იმ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც მოქალაქეებს საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში ცეცხლს უხსნიდნენ.⁴³⁵

სასამართლო პროცესებზე მკვლელობებში ბრალდებული პირების ადვოკატები შეეცადნენ დაემტკიცებინათ, რომ ასეთი ქმედებების ჩადენისას მათ არ შეეძლოთ როგორც თავად უშუალო მეთაურთა ბრძანებების კანონიერების საკითხის, ისე იმ კანონის ნორმის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრის შესახებ კანონის 27-ე პარაგრაფი) ეჭვქვეშ დაყენება⁴³⁶, რომლის მიხედვით, მესაზღვრეებს უფლება ეძლეოდათ, მოქალაქეებისთვის ცეცხლი გაეხსნათ საზღვრის გადაკვეთისას⁴³⁷. გამოძინარე იქედან, რომ ისინი მხოლოდ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ და ფიქრობდნენ, რომ ნებისმიერ ბრძანებას უპირობოდ უნდა დამორჩილებოდნენ, ბრალდებული პირების დამცველები ცდილობდნენ იმის დასაბუთებას, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფ მესაზღვრეებს ასეთ შემთხვევაში არ შეიძლებოდა სცოდნოდათ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა. თუმცა, სასამართლომ აღნიშნული არგუმენტი არ გაიზიარა და ამგვარი სახის ქმედებებიც ზეპოზიტიური სამართლის ნორმების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად აღიარა⁴³⁸.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს ორივე ეს გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ ასეთი კატეგორიის დანაშაულებში (ე.წ. კლასიკური დელიქტები) მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნების არარსებობა, როგორც წესი, არ უნდა იწვევდეს სამართლებრივ შეფასებებში ცვლილებას და, შესაბამისად, ამ სახის შეცდომა ირელევანტურად უნდა იქნეს მიჩნეული. ამგვარ ვითარებაში მოქმედ პირს უმართლობის შეგნება, მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნების არარსებობის მიუხედავად, პოტენციურად ყოველთვის უსაბუთდება.

ამრიგად, განზრახი დანაშაულის ჩადენის დროს აუცილებელია დადგინდეს მართლწინააღმდეგობის აქტუალური ან პოტენციური შეგნების არსებობა.⁴³⁹

⁴³⁴ შტრ.: *Gropp*, Trifflerer FS (1996), გვ. 120; *Roxin*, AT I (2006), გვ. 957-958; *Forschner* (2003), გვ. 36-67; *Amelung*, JuS (1993), გვ. 637; *Dreier*, JZ (1997), გვ. 426.

⁴³⁵ იხ.: BGHSt 39, გვ. 35; BGHSt 39, გვ. 190.

⁴³⁶ იხ.: *Forschner* (2003), გვ. 36-37; *Amelung*, JuS (1993), გვ. 637; *Dreier*, JZ (1997), გვ. 426.

⁴³⁷ შტრ.: *Gropp*, Trifflerer FS (1996), გვ. 120; *Heinrich*, AT II (2010), გვ. 192; *Amelung*, JuS (1993), გვ. 637; *Dreier*, JZ (1997), გვ. 426.

⁴³⁸ შტრ.: BGHSt 39, გვ. 1; *Roxin*, AT I (2006), გვ. 163; *Zippelius* (2006), გვ. 40; *Heinrich*, AT II (2010), გვ. 191-192. ასევე იხ. ამ წიგნის ქართული თარგმანი: *ციპელიუსი* (2009), გვ. 49, აგრეთვე, იხ. *ხუბუა* (2004), გვ. 32-39. ზეპოზიტიური სამართლის უპირატესობა პოზიტიურ სამართალთან მიმართებაში ასევე აღიარა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: BVerfGE 3, გვ. 232; BVerfGE 95, გვ. 96-114.

⁴³⁹ იხ.: BGHSt 10, გვ. 35; *Wessels*, *Beulke*, AT (2011), გვ. 160; *Kühl*, AT (2008), გვ. 337; *Haft*, AT (2004), გვ. 134-135; *Roxin*, AT I (2006), გვ. 935.

განზრახ დელიქტებში მოცემული ქმედების სუბიექტური შემადგენლობის განხორციელება იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ უმართლობის აქტუალური შეგნება არსებობს. რაც შეეხება უმართლობის პოტენციურ შეგნებას, მისი დასაბუთება მხოლოდ მაშინ არის საჭირო, როცა პირს მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნება ვერ უმტკიცდება, ე.ი., როცა ადგილი აქვს სამართლებრივ ან კიდევ მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებულ იურიდიულ შეცდომას. ასეთ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის სრულიად საკმარისია ქმედების ჩამდენს დაუსაბუთდეს, რომ მას დანაშაულის ჩადენის დროს შეეძლო ჰქონოდა უმართლობის შეგნება.

3.2.5.2. მართლწინააღმდეგობის არაპირდაპირი შეგნება

იურიდიულ ლიტერატურაში უმართლობის აქტუალური და პოტენციური შეგნებისგან განასხვავებენ უმართლობის ე.წ. არაპირდაპირ შეგნებას. ამ დროს პირი შესაძლებლად მიიჩნევა იმას, რომ მის მიერ განხორციელებული მოქმედება ან უმოქმედობა შეიძლება სამართლებრივად აკრძალულ ქმედებას წარმოადგენდეს, თუმცააში ბოლომდე დარწმუნებული არ იყოს.⁴⁴⁰ გამოძინარე აქედან, მართლწინააღმდეგობის შეგნება, ასეთ შემთხვევაში არსებობს არა აქტუალური ან პოტენციური, არამედ არაპირდაპირი ფორმით. ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა მართლწინააღმდეგობის არაპირდაპირი შეგნების მიჩნევა აკრძალვაში შეცდომის არსებობის წინაპირობად.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაბატონებული შეხედულებით, უმართლობის ამგვარი შეგნება არ ითვლება აკრძალვაში შეცდომის არსებობის დამადასტურებელ არგუმენტად.⁴⁴¹ ამავე პოზიციას იზიარებს ასევე, გერმანული სასამართლო პრაქტიკაც და მართლწინააღმდეგობის არაპირდაპირ შეგნებას იგი განიხილავს არა აკრძალვაში შეცდომის, არამედ დამთავრებული დანაშაულის ფარგლებში⁴⁴², თუ მოცემულია დანაშაულის სისტემის სხვა ელემენტებიც. „ვისაც წარმოადგენა აქვს იმის შესახებ, რომ მისი ქმედება შესაძლებელია მართლსაწინააღმდეგო იყოს და ამ შესაძლებლობას პირი ნებელობით ახორციელებს, ეს ნიშნავს იმას, რომ მას უმართლობის შეგნებაც გააჩნია.“⁴⁴³ – ასეთი განმარტება გააკეთა გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მართლწინააღმდეგობის არაპირდაპირი შეგნების შესახებ მსჯელობისას.

შედარებით პრობლემურია უმართლობის შეგნების დადგენა იმ დროს, როცა ქმედების ჩამდენმა პირმა ორი ალტერნატიული ქმედებიდან ზუსტად

⁴⁴⁰ შდრ.: Roxin, AT I (2006), გვ. 941; Safferling (2008), გვ. 218.

⁴⁴¹ იხ. Baumann, Weber, Mitsch, AT (2003), გვ. 512.

⁴⁴² იქვე.

⁴⁴³ იხ. BGHSt 4, გვ. 4.

არ იცის, თუ რომელია აკრძალული ან დაშვებული. მაგალითად, მესაზღვრე დარწმუნებული არ არის იმაში, რამდენად შეუძლია, ან ვალდებულია თუ არა ესროლოს გაქცეულ დამნაშავეს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შემთხვევაში.⁴⁴⁴ ასეთ სიტუაციაში გერმანელი მეცნიერი *კ. როქსინი* მიიჩნევს, რომ თუკი პირმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო და ალტერნატიული ქმედებიდან იმ ქმედებაზე გადაკეთა არჩევანი, რომლის განხორციელებაც აკრძალულია, მაშინ იგი ბრალის გამომრიცხველი ერთ-ერთი საპატიებელი გარემოებით უნდა გათავისუფლდეს სასჯელისგან. ასეთ ვითარებაში ქმედების ჩამდენს არ შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა.⁴⁴⁵ ამგვარი შემთხვევა საჭიროა, განხილულ იქნეს როგორც თავიდან აუცილებელი, მისატყვევებელი აკრძალვაში შეცდომა, რაც ნიშნავს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან საბოლოოდ გათავისუფლებას.⁴⁴⁶

3.2.6. მართლწინააღმდეგობის შეზღუდვა გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის დროს

იურიდიულ ლიტერატურაში გაუფრთხილებლობითი დანაშაულის შემთხვევაში მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მეცნიერთა ერთ ნაწილს მისი დასაბუთება მიზანშეუწონლად მიაჩნია⁴⁴⁷, მეორე ნაწილი კი მას მხოლოდ თვითიმედოვნების დროს უშვებს⁴⁴⁸.

განზრახი დანაშაულის შემთხვევაში, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, აუცილებელია უმართლობის შეგნების აქტუალური ან პოტენციური ფორმით დადგენა. საკითხავია, რამდენად არის იგი საჭირო გაუფრთხილებლობითი დელიქტების განხორციელებისას.

როგორც ცნობილია, გაუფრთხილებლობითი დელიქტების ჩადენისას, დანაშაულის თითოეული ელემენტის შემოწმება იმავე თანმიმდევრობით ხდება, როგორც ეს ხორციელდება განზრახი დანაშაულების დროს⁴⁴⁹. თუმცა გაუფრთხილებლობის შემთხვევაში დანაშაულის სამწვერიანი სისტემის პირველი და მესამე ელემენტის (ქმედების შემადგენლობა და ბრალი) შინაარსობრივი მხარე გარკვეულწილად განსხვავებულია განზრახი დელიქტის დროს მოცემული ამ ელემენტების შინაარსობრივი მხარისგან. ეს განსხვავება კი ვლინდება როგორც თვითიმედოვნებით, ისე დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულებისას.

⁴⁴⁴ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 941.

⁴⁴⁵ იქვე.

⁴⁴⁶ იქვე.

⁴⁴⁷ შდრ.: *Schmidhäuser*, AT (1984), გვ. 214; *Kaufmann* (1985), გვ. 73-77.

⁴⁴⁸ იხ.: *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 274-255, 354; *ეშეკისა და კაიგენდის* დასახ. ნაშრ., გვ. 593; *Roxin*, AT I (2006), გვ. 1102.

⁴⁴⁹ იხ. *Safferling* (2008), გვ. 262.

კერძოდ, თუ განზრახი დანაშაულის შემთხვევაში ბრალის ეტაპზე მოწმდება ბრალუნარიანობა, ბრალის სპეციალური ნიშნები, უმართლობის შეგნება და ა.შ., გაუფრთხილებლობითი (თვითიმედოვნების) დანაშაულების დროს ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ღვინდება ზოგადად ობიექტური გაუფრთხილებლობა, ხოლო ბრალში – ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა⁴⁵⁰, რომელსაც წინ უძღვის ბრალუნარიანობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების შემოწმება. მაშასადამე, თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით ჩადენილი დასჯადი ქმედების დასაშაულის სამწვერიანი სისტემის ელემენტების შინაარსობრივი მხარე ერთგვარად განსხვავებულია განზრახი დელიქტის სამწვერიანი სისტემის ელემენტების შინაარსობრივი მხარისგან და ეს განსხვავება ეხება, მათ შორის, მართლწინააღმდეგობის შეგნებასაც.

შეგნებული გაუფრთხილებლობის დროს ცნობილია, რომ პირს უმეტესწილად მის მიერ წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება და მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა გაცნობიერებული აქვს, თუმცა უსაფუძვლოდ იმედოვნებს ამ შედეგის თავიდან აცილებას.⁴⁵¹ მართლწინააღმდეგობის შეგნებას ასეთ შემთხვევაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. კერძოდ,

⁴⁵⁰ თანამედროვე კერძომულ თვითიმედოვან ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებით, გაუფრთხილებლობითი (როგორც შეგნებული, ისე შეუგნებელი გაუფრთხილებლობა) დელიქტუალის დროს არ არსებობს ქმედების შემადგენლობის დიფერენციაცია ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობისგან, არამედ ქმედების შემადგენლობის შიგნით არსებობს მხოლოდ ობიექტური გაუფრთხილებლობა, როგორც წინდახედულობის ნორმის ობიექტური დარღვევა. მართლმაც ეტაპზე კი, დგინდება სუბიექტური გაუფრთხილებლობა, როგორც წინდახედულობის ნორმის დარღვევის თავიდან აცილების ინდივიდუალური შესაძლებლობა. შდრ.: Heinrich, AT III (2010), გვ. 73-74; Westels, Beulke, AT (2011), გვ. 354; იუშეისა და ვაიკენდის დასახ. ნაშრომს, გვ. 596. ამ შეხედულებისგან განსხვავებული პოზიცია აქვს კ. როქსანს, რომელიც მიიჩნევს, რომ როგორც განზრახვის, ისე შეგნებული გაუფრთხილებლობის დროს არის შესაძლებელი, არსებობდეს ქმედების შემადგენლობის სუბიექტური შემადგენლობა, ვინაიდან წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების გაცნობიერება და მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება ნიშნავს შეგნებულ მოქმედებას. იხ. Roxin, AT I (2006), გვ. 1089-1091. კ. როქსანის მსგავსად, თვითიმედოვნების დროს ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას აღიარებს, აგრეთვე, ფ. პაუტი. ამის შესახებ იხ. Haf, AT (2004), გვ. 170, 262-263. რაც შეეხება დაუდევრობის სუბიექტური შემადგენლობის არსებობას, ამ შემთხვევაში ბეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა თითქმის არ არსებობს, ავტორთა უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ დაუდევრობის დროს სუბიექტური შემადგენლობა საერთოდ არ არსებობს, რადგან პირს ობიექტური შემადგენლობის ნიშნები და გარემოებები თავის წარმოსახვაში არა აქვს. შდრ. Roxin, AT I (2006), გვ. 1089-1090. ამ შეხედულებისგან საწინააღმდეგო პოზიცია აქვს გერმანულ მეცნიერს ე. შტრუენგეს, რომელიც დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას აღიარებს არამარტო თვითიმედოვნებისას, არამედ დაუდევრობის შემთხვევაშიც. აღნიშნულის შესახებ იხ.: Struensee, JZ (1987), გვ. 53-63; Struensee, JZ (1987), გვ. 541-543. აღსანიშნავია, რომ ქართულ თვითიმედოვან მოძღვრებაში თვითიმედოვნების დროს ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას აღიარებს ასევე მ. ტურავა. ამის შესახებ იხ.: ტურავა (2010), გვ. 166-167; ტურავა (2011), გვ. 555-556, 558-561.

⁴⁵¹ იხ. Sternberg-Lieben, Schönke/Schröder (2010), გვ. 306.

თუკი აღმოჩნდა, რომ დამნაშავემ იცოდა ქმედების ობიექტური შემადგენლობის გარემოებები, რომლებიც მის ქმედებას ობიექტურად წინადახედულობის ნორმის საწინააღმდეგოდ აქცევენ⁴⁵² (ამ შემთხვევაში იგულისხმება თვითიმედოვნების დროს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის არსებობა), მაშინ მას ბრალის ეტაპზე შესაძლებელია, ასევე, წინადახედულობის ნორმებით დადგენილი მოთხოვნების შეგნებულობაც დაუსაბუთდეს. ამასთან, პრობლემურია, თუ რა ფორმითა და მოცულობით უნდა იქნეს უმართლობის შეგნება (აქტუალური თუ პოტენციური ფორმით) ასეთ ვითარებაში ბრალის ეტაპზე წარმოდგენილი.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებით, შეგნებული გაუფრთხილებლობის დასასაბუთებლად სრულიად საკმარისია, ქმედების განმხორციელებელ პირს გააჩნდეს ე.წ. უმართლობის პოტენციური შეგნება.⁴⁵³ მისი შემოწმება თვითიმედოვნებისას იმავე წესით ხდება, როგორც ეს მოცემულია განზრახი დანაშაულის ჩადენის დროს აკრძალვაში შეცდომის შემთხვევაში.⁴⁵⁴ გამომდინარე აქედან, შეგნებული გაუფრთხილებლობის ვითარებაში დამნაშავე, როგორც წესი, ითვალისწინების ქმედების განხორციელების შესაძლებლობას და, შესაბამისად, შეუძლია თავისი ქმედების აკრძალულობის შეცნობაც.

მაშასადამე, პირს თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულის დროს შეგნებული უნდა ჰქონდეს ან უნდა შეეძლოს იმის შეცნობა, რომ თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით წინადახედულობის ნორმები ირღვევა და ამით იგი დადგენილ მართლწესრიგს უპირისპირდება (ე.წ. უმართლობის პოტენციური შეგნება).⁴⁵⁵

შეგნებულ გაუფრთხილებლობისას აკრძალვაში შეცდომის დაშვების შემთხვევაში, თუკი ეს შეცდომა თავიდან აუცილებელია, ცნობილი გერმანელი ავტორები უმართლობის შეგნების გამორიცხვის აუცილებლობაზე მიუთითებენ.⁴⁵⁶ ასე მაგალითად, გაუფრთხილებლობის დროს აკრძალვაში შეცდომის არსებობის დასასაბუთებლად, გერმანელ მეცნიერს კ. რუდოლფს შემდეგი კაზუსი მოჰყავს: „ექიმ ა.-ს ღამით დაურეკა პაციენტმა, რომელიც უეცრად ავად გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ექიმი დარწმუნებულია, ავადმყოფის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, იგი მაინც ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანაზე დაჯდა და დიდი სიჩქარით პაციენტის სახლისკენ გაემართა. გზაში იგი შემთხვევით მოპირდაპირე მხარეს მოძრავ ავტომანქანას დაეჯახა. შეჯახების შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა. ასეთ შემთხვევაში ა.-ს უბედური შემთხვევის

⁴⁵² შდრ.: Roxin, AT I (2006), გვ. 1089-1091; ტურავა (2010), გვ. 166-167.

⁴⁵³ იხ.: Sternberg-Lieben, Schönke/Schröder (2010), გვ. 306; Heinrich, AT II (2010), გვ. 77; Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 274, 354; Kindhäuser, AT (2011), გვ. 229; Momsen, StGB (2009), გვ. 141.

⁴⁵⁴ იხ. Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 274.

⁴⁵⁵ შდრ. Safferling (2008), გვ. 262-264.

⁴⁵⁶ იხ.: Herzberg, Jura (1984), გვ. 411; Sternberg-Lieben, Schönke/Schröder (2010), გვ. 306; Roxin, AT I (2006), გვ. 1102; Haft, AT (2004), გვ. 262-263.

დადგომის შესაძლებლობა გათვალისწინებული ჰქონდა, თუმცა სჯეროდა, რომ მის თავიდან აცილებას შეძლებდა. ამასთან, თუკი ა.-ს მიაჩნდა, რომ მისი მოქმედება (ავტოავარია) შესაძლებელია გამართლებული ყოფილიყო უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით, მაშინ ექიმის ქმედება აკრძალვაში შეცდომის ფარგლებში უნდა იქნეს განხილული, რამაც, შესაძლოა, გერმანული სისხლის სამართლის კანონიდან გამომდინარე, ბრალი მთლიანად გამორიცხოს ან შემსუბუქოს.⁴⁵⁷ მაშასადამე, აღნიშნულ მაგალითში ავტორი ცდილობს მართლწინააღმდეგობის შეგნების პრაქტიკული მნიშვნელობა ასევე დაასაბუთოს შეგნებული გაუფრთხილებლობის არსებობისას.

თვითიმედოვნების დროს უმართლობის შეგნების აუცილებლობაზე საუბრობს გერმანელი პროფესორი ფ. ჰაფტიც. მას მიაჩნია, რომ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისას ბრალის დასასაბუთებლად უმართლობის შეგნების დადგენა ისეთივე აუცილებელი წინაპირობაა, როგორც განზრახვი დანაშაულის შემთხვევაში.⁴⁵⁸ ავტორი აღნიშნავს, რომ თვითიმედოვნების დროს აკრძალვაში შეცდომის არსებობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა დამნაშავეს, მართალია, წინდახედულობის ნორმებით განსაზღვრული მოვალეობის დარღვევა გაცნობიერებული აქვს (ე.ი. როცა იგი ასრულებს გაუფრთხილებლობის სუბიექტურ შემადგენლობას), მაგრამ ჰგონია, რომ ეს ვალდებულება არ არის სამართლებრივი ვალდებულება.⁴⁵⁹ ამის საილუსტრაციოდ მას შემდეგი კაზუსი მოჰყავს: ა.-ს, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში დიდი სიჩქარით მართავს ავტომანქანას და სხვის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს გაუფრთხილებლობით საფრთხეს უქმნის (გერმანიის სსკ-ის 315-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მე-2 აბზაცი), მიაჩნია, რომ ასეთი მოქმედება სისხლისსამართლებრივად კი არ არის დასჯადი, არამედ მხოლოდ სპორტული ტემპერამენტის გამოვლინება.⁴⁶⁰ ფ. ჰაფტი თვლის, რომ ამ დროს სახეზეა აკრძალვაში შეცდომა. მან შესაძლოა, განზრახვი დანაშაულის მსგავსად, გამოიწვიოს გაუფრთხილებლობის დროს მართლწინააღმდეგობის შეგნების გამორიცხვა, რამაც საბოლოო ჯამში გერმანიის სსკ-ის მე-17 პარაგრაფიდან (აკრძალვაში შეცდომა) გამომდინარე, უნდა მიგვიყვანოს ბრალის მთლიანად უარყოფამდე ან კიდევ მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებამდე.⁴⁶¹

მაშასადამე, როგორც განზრახვი, ისე შეგნებული გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის დროს აკრძალვაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში, გერმანელ მეცნიერთა განმარტებით, გამოყენებულ უნდა იქნეს კოდექსის მე-17 პარაგრაფი.⁴⁶² აღნიშნული ნორმა კი, როგორც აღინიშნა, უკავშირდ-

⁴⁵⁷ შდრ.: Rudolphi (1969), გვ. 173; Roxin, AT I (2006), გვ. 1102-1103.

⁴⁵⁸ იხ. Haft, AT (2004), გვ. 263.

⁴⁵⁹ იქვე.

⁴⁶⁰ იქვე.

⁴⁶¹ იქვე.

⁴⁶² იხ.: Roxin, AT I (2006), გვ. 1103; MüKo-Joelck I (2011), გვ. 820-821; Haft, AT (2004),

ება აკრძალვაში შეცდომას და მისი შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: „თუ ქმედების ჩამდენ პირს ქმედების ჩადენის დროს შეცნობილი არა აქვს უმართლობა, ასეთ შემთხვევაში, იგი მოქმედებს არაბრალეულად, თუკი მას არ შეეძლო ამ შეცდომის აცილება. იმ შემთხვევაში კი, თუ პირს შეეძლო შეცდომის თავიდან აცილება, მაშინ მას, 49-ე პარაგრაფის პირველი აბცაზიდან გამომდინარე, შეიძლება სასჯელი შეუმსუბუქდეს“.

ამრიგად, აკრძალვაში შეცდომის დროს გერმანიის სსკ-ის მე-17 პარაგრაფითსამართლებრივი შედეგი დგება ე.წ. „ბრალის თეორიის“ მიხედვით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ, თუ აკრძალვაში შეცდომა თავიდან აცილებადია, პირს მხოლოდ სასჯელი უმსუბუქდება, ხოლო თუ აუცილებადია, მაშინ მთლიანად ბრალი გამოირიცხება და პირი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება. გამომდინარე აქედან, აღნიშნული ნორმა შესაძლებელია თანაბრად იქნეს გამოყენებული როგორც განზრახვი, ისე გაუფრთხილებლობითი დელიქტის დროს დაშვებული ე.წ. „აკრძალვაში შეცდომის“ ფარგლებში.⁴⁶³

დაუდევრობისას უმართლობის შეგნება, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებით⁴⁶⁴, საერთოდ არ არის მოცემული. ასეთ შემთხვევაში პირი არ ითვალისწინებს თავისი ქმედებით წინდახედულობის ნორმის დარღვევის განხორციელების შესაძლებლობას და, შესაბამისად, მას არც უმართლობის შეგნება აქვს.⁴⁶⁵

3.3. შიჯამება

მაშასადამე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პირის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ დადგენა და მისი ფუნქციის გარკვევა დანაშაულის ერთიან სისტემაში ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური ნიშნების დადასტურება. გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით, უმართლობის შეგნება არის არა განზრახვის შემადგენელი ნაწილი, არამედ მისგან დამოუკიდებლად არსებული ნიშანი, რომელიც ცალკე, განზრახვის გარეშე არსებობს ბრალის ეტაპზე.

გვ. 263; *Momsen*, StGB (2009), გვ. 141.

⁴⁶³ შდრ. *MüKo-Joecks I* (2011), გვ. 821.

⁴⁶⁴ შდრ.: *Haft*, AT (2004), გვ. 135, 263; *Roxin*, AT I (2006), გვ. 1103; *MüKo-Joecks I* (2011), გვ. 821; *Jescheck*, *Weigend*, AT (1996), გვ. 593.

⁴⁶⁵ ამ შეხედულებისგან განსხვავებული პოზიცია აქვს გ. არცტს, რომელიც დაუდევრობის დროს „მართლწინააღმდეგობის შეგნებას“ აღიარებს და ამგვარ დელიქტებში დაშვებულ აკრძალვაში შეცდომის შემთხვევაში მის გამოირიცხაზე მიუთითებს. იხ. *Arzt*, ZStW 91 (1979), გვ. 883-884. დაუდევრობის დროს უმართლობის შეგნებას აღიარებენ ასევე ა. კაუფმანი, იხ. *Kaufmann*, ZfRV (1964), გვ. 51 და რ. დ. ჰერცბერგი, იხ.: *Herzberg*, JuS (2008), გვ. 391; *Herzberg*, Jura (1984), გვ. 412.

თავად მართლწინააღმდეგობის შეგნება კი კლასიკური და ბლანკეტური დელიქტების დროს ნიშნავს ქმედების აკრძალულობის შეცნობას, ე.ი. პირის მხრიდან იმის შეფასებას, რომ მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა პოზიტიური ან დაუწერელი სამართლით აკრძალულია. გამომდინარე აქედან, უმართლობის შეგნება მხოლოდ შეფასებითი კატეგორიაა და თავისუფალია ყოველგვარი ფსიქოლოგიური მომენტებისგან. მისი დადგენა აქტუალური ან პოტენციური ფორმით საჭიროა ნებისმიერ შემთხვევაში განზრახვი დანაშაულის განხორციელების დროს. შეგნებული გაუფრთხილებლობისას კი მას, გერმანული დოგმატიკის მიხედვით, თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად, პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს. გაბატონებული შეხედულებით, თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულის დროს, მისი მხოლოდ „პოტენციურად“ არსებობა აუცილებელი, ხოლო დაუდევრობის შემთხვევაში იგი საერთოდ არ არის მოცემული.

4. მოქალაქეობა შეცდომის შესახებ. აკრძალვაში შეცდომა და მართლწინააღმდეგობის მტაკაჴმ დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა

4.1. შესავალი

განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართების პრობლემა უმეტესწილად შეცდომის სხვადასხვა სახით არსებობის დროს ვლინდება. როგორც ცნობილია, დანაშაულის სისტემის სამივე – ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის – ეტაჴზე შესაძლებელია პირმა შეცდომა დაუშვას. თითოეული ამ სახის შეცდომის დაშვება კი დაკავშირებულია, ერთი მხრივ, განზრახვასთან, ხოლო, მეორე მხრივ, მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობასთან. ქვემოთ წარმოდგენილ ქვეთავებში როგორც დოგმატური, ისე პრაქტიკული თვალსაზრით გაანალიზებულ იქნება უმართლობისა და ბრალის⁴⁶⁶ ეტაჴზე დაშვებული შეცდომები, ვინაიდან სწორედ ამგვარი შეცდომების დროს ხდება პრობლემური განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების დასაბუთება.

4.2. სამართლებრივი (აკრძალვაში) შეცდომა ბერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიხედვით

თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში სამართლებრივი (აკრძალვაში) შეცდომა ფაქტობრივი შეცდომისგან დამოუკიდებლად

⁴⁶⁶ იგულისხმება მხოლოდ სამართლებრივი შეცდომა და არა ბრალის საპატიებელ გარემოებებთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომები.

განიხილება. ფაქტობრივი შეცდომა, რომელიც შეიძლება პირმა ქმედების ობიექტური შემადგენლობის დესკრიფციულ და ნორმატიულ ნიშნებთან მიმართებაში დაუშვას, განზრახვასთანაა დაკავშირებული და ნიშნავს პირის მცდარ წარმოდგენას ქმედების ფაქტობრივ გარემოებებზე. რაც შეეხება აკრძალვაში შეცდომას, იგი ბრალის ეტაპზე მოწმდება და დაკავშირებულია მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის პრობლემასთან⁴⁶⁷.

ფაქტობრივი შეცდომისა და სამართლებრივი შეცდომის ისტორიული განვითარება სათავეს ჯერ კიდევ ძველი რომის სამართლიდან იღებს – „კანონისა და ფაქტის არცოდნა პირს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს“⁴⁶⁸, თუმცა საკამათოა, ძველი რომის სამართლის წარმომადგენლები ამ ფორმულის გამოყენებას სისხლის სამართალში გულისხმობენ თუ სამოქალაქო სამართალში. მოგვიანებით მეცნიერებმა ეს თეზა სისხლის სამართლის დოგმატიკაში განავრცეს შემდეგი პრინციპით: სამართლებრივი შეცდომა ირელევანტურია, ფაქტობრივი შეცდომა არ არის ირელევანტური⁴⁶⁹. აქვე ხაზგასასმელია ის, რომ ცნება „სამართლებრივი (იურიდიული) შეცდომა“ ამ შემთხვევაში ფართო მნიშვნელობით გამოიყენებოდა. სახელდობრ, აღნიშნულ შეცდომაში ასევე მოიაზრებოდა შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამოძრისთვის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და იგი, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, იმავე ეფექტის გამომწვევი იყო, რისაც ფაქტობრივი შეცდომა – ორივე შემთხვევაში შეცდომა ირელევანტურად ითვლებოდა.

სამართლებრივი შეცდომისა და ფაქტობრივი შეცდომის განვითარებამ თავისი ასახვა პოვა ასევე გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც. 1871 წლის რაიხის სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე პარაგრაფი ითვალისწინებდა მხოლოდ ფაქტობრივი ხასიათის შეცდომას, როგორც განზრახვის გამოძრისთვის გარემოებას, ხოლო სამართლებრივი შეცდომის პრობლემას კანონი ცალკე ნორმით არ აწესრიგებდა⁴⁷⁰. ეს უკანასკნელი ფაქტობრივი შეცდომის ფარგლებში მოიაზრება და ამგვარი შეცდომის არსებობისას გამონაკლის შემთხვევებში (თავიდან აუცილებელი შეცდომა) განზრახვის უარყოფა ხდება. მოგვიანებით რაიხის უზენაესმა სასამართლომ, სსკ-ის 59-ე პარაგრაფის (შეცდომა) საფუძველზე, ერთგვარი დიფერენციაცია გააკეთა სამართლებრივ და ფაქტობრივ შეცდომათა შორის⁴⁷¹. მან ფაქტობრივი შეცდომა განზრახვის გამოძრისთვის გარემოებად აღიარა,⁴⁷² ხოლო სამართლებრივი შეცდომა

⁴⁶⁷ იხ.: *Roxin*, AT I (2006), გვ. 932; *Zaczyk*, NJW (1989), გვ. 1744.

⁴⁶⁸ ლათ.: *Regula est iuris quidem ignorantiam cuique nocere, facti vero ignorantiam non nocere.* ამის შესახებ იხ.: *Honsel* (2010), გვ. 45; *Kaufmann* (1985), გვ. 47.

⁴⁶⁹ ლათ.: *error iuris nocet, error facti non nocet.* ამის შესახებ იხ.: *Honsel* (2010), გვ. 45; *Kaufmann* (1985), გვ. 47.

⁴⁷⁰ იხ.: *Blei* (1983), გვ. 197; *Roxin*, AT I (2006), გვ. 928.

⁴⁷¹ შდრ. *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 173.

⁴⁷² იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 928.

სისხლისსამართლებრივ და არასისხლისსამართლებრივ შეცდომებად დაყო.

რაიხის უზენაესი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით, სისხლის-სამართლებრივი შეცდომა უმეტეს შემთხვევაში ირელევანტურად მიიჩნევა, რაც გულისხმობს, თავის მხრივ, კვალიფიკაციის უცვლელად დატოვებას. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა კი, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ სასამართლო მასში მოიაზრებს არა სამართლის სხვა დარგებში არსებულ შეცდომას, არამედ შეცდომას მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმებთან, მის ცნებებთან დაკავშირებით.⁴⁷³ სხვაგვარად რომ ითქვას, ყოველი შეცდომა, რომელიც არ არის ფაქტობრივი და არასისხლისსამართლებრივი, ნიშნავს სისხლისსამართლებრივ შეცდომას და, როგორც წესი, პირის განზრახი და-ნაშაულისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას.⁴⁷⁴

რაც შეეხება არასისხლისსამართლებრივ შეცდომას, სასამართლო მას-ში გულისხმობს უკვე სამართლის სხვადასხვა დარგში მოცემული ნორმების მიმართ დაშვებულ შეცდომას და იგი, ფაქტობრივი შეცდომის მსგავსად, შეი-ძლება, გახდეს განზრახვის გამომრიცხველი გარემოება.⁴⁷⁵ ასე მაგალითად, თუ დამნაშავე ქურდობის ჩადენის დროს სხვის „მოდრავ ნივთთან“ მიმართებით დაუშვებს შეცდომას, სასამართლო მას არასისხლისსამართლებრივად ჩათვლის, ვინაიდან ნივთის დეფინიცია მოცემულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამის ნორმებში⁴⁷⁶.

რაიხის უზენაესი სასამართლოს ასეთი პოზიცია დაუსაბუთებელია და იგი მართებულად არ უნდა ჩაითვალოს⁴⁷⁷. ამ ლოგიკით გამოდის, რომ შეცდომა უკიდურეს აუცილებლობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ასევე მიჩნეულ უნდა იქნეს არასისხლისსამართლებრივ შეცდომად და, შესაბამისად, განზრახვის გამომრიცხველად. უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო სამართლის კოდექსი. აუცილებელ მოგერიებასთან მიმართებით შეცდომა კი, პირიქით, უნდა ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივ შეცდომად და, გამომდინარე აქედან, არასაპატიებელ შეცდომად, ვინაიდან მისი დეფინიცია მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსში.⁴⁷⁸ პრობლემის ამგვარი სახით გაანალიზება თავის მხრივ, ნიშნავს ბრალისა და კანონიერების ფუნ-დამენტური პრინციპების დარღვევას⁴⁷⁹. ასეთ შეცდომებში მოქმედი პირების პასუხისმგებლობის საკითხი, სასამართლოს აღნიშნული პოზიციით, სხვადასხ-ვაგვარად საჭიროებს გადაწყვეტას.

მოგვიანებით აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გერმანულ იურიდ-

⁴⁷³ იხ. Kaufmann (1985), გვ. 47-48.

⁴⁷⁴ იხ.: RGSt 2, გვ. 269; RGSt 15, გვ. 159; RGSt 57, გვ. 406; Kaufmann (1985), გვ. 48.

⁴⁷⁵ იხ.: Roxin, AT I (2006), გვ. 928; Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 173.

⁴⁷⁶ იხ.: RGSt 50, გვ. 183; Blei (1983), გვ. 197.

⁴⁷⁷ შტრ.: Blei (1983), გვ. 197; Roxin, AT I (2006), გვ. 928.

⁴⁷⁸ იხ. Roxin, AT I (2006), გვ. 928-929.

⁴⁷⁹ იქვე, გვ. 929.

იულ მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამართლებრივი შეცდომა (იგულისხმება, როგორც სისხლის-სამართლებრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი), სულ მცირე, იმ შემთხვევაში უნდა მიჩნეულიყო საპატიებელ შეცდომად, თუკი სასამართლო მას თავიდან აუცილებლად ჩათვლიდა.⁴⁸⁰ ამიტომ, სისხლის სამართლის სარეფორმო კომისიამ 1975 წელს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების განხორციელების მიზნით, მთელი რიგი საკანონმდებლო ინიციატივები წარმოადგინა⁴⁸¹, რაც გულისხმობდა ასევე სამართლებრივი შეცდომის შესახებ ნორმის ახლებურად ინტერპრეტაციასაც⁴⁸².

მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა გაიზიარა წარსული გამოცდილება და სამართლებრივი შეცდომა ფაქტობრივი შეცდომისგან დამოუკიდებლად, ცალკე ნორმით განსაზღვრა (გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფი ეძღვნება ფაქტობრივ, ხოლო მე-17 პარაგრაფი აკრძალვაში შეცდომას)⁴⁸³. სახელდობრ, ახალი სამართლებრივი რეგულაციით, ფაქტობრივი შეცდომა ყოველთვის განზრახვასთან კავშირში მოიაზრება და გულისხმობს დამნაშავეის მცდარ წარმოდგენას ქმედების ფაქტობრივ გარემოებებზე⁴⁸⁴. სამართლებრივი შეცდომა კი, ბრალის ეტაპზე მოწმდება და მასში მოიაზრება უკვე სისხლისსამართლებრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი შეცდომა. გარდა ამისა, შეცდომის ეს სახე უშუალოდ უკავშირდება მხოლოდ მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემას და არა განზრახვას, როგორც ამას გერმანული სისხლის სამართლის ძველი კოდექსი განსაზღვრავდა⁴⁸⁵. ამაზე მიუთითებს სწორედ გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კანონის მე-17 პარაგრაფი (აკრძალვაში შეცდომა), რომლის ნორმაში კანონმდებელი ცალსახად განმარტავს, რომ თუ ქმედების ჩამდენ პირს ქმედების ჩადენის დროს შეცნობილი არა აქვს უმართლობა, ასეთ შემთხვევაში, იგი მოქმედებს არაბრალეულად, თუკი მას არ შეეძლო ამ შეცდომის თავიდან აცილება. იმ შემთხვევაში, თუ პირს შეეძლო შეცდომის თავიდან აცილება, მას შეიძლება სასჯელი შეუშუსუბუქდეს.

მაშასადამე, დღეს მოქმედი სსკ-ის მე-17 პარაგრაფის მიხედვით, აკრძალვაში შეცდომას ქმედების განზრახვის არსებობაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. იგი, განზრახვისგან დამოუკიდებლად, ბრალის ეტაპზე მოწმდება და დაკავშირებულია მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემასთან.⁴⁸⁶

⁴⁸⁰ იქვე.

⁴⁸¹ იხ. იეშეკისა და ვაიგენდის დასახ. ნაშრ., გვ. 452.

⁴⁸² იქვე, ასევე იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 929.

⁴⁸³ იხ.: *Blei* (1983), გვ. 196; *Heinrich*, AT II (2010), გვ. 104.

⁴⁸⁴ იხ.: *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 93; *Blei* (1983), გვ. 196; *Heinrich*, AT II (2010), გვ. 104; *Zaczyk*, NJW (1989), გვ. 1744.

⁴⁸⁵ იხ.: *Zaczyk*, NJW (1989), გვ. 1744; *Roxin*, AT I (2006), გვ. 932; *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 160; *Freund*, AT (2009), გვ. 287; *Blei* (1983), გვ. 196-199.

⁴⁸⁶ შდრ. *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 173-174.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ აკრძალვაში შეცდომის შესახებ მეცნიერული დისკუსია განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, რაც გერმანიის უზენაესმა სასამართლომ 1952 წელს სისხლის სამართლის დოგმატიკისთვის ეპოქალური გადაწყვეტილება მიიღო⁴⁸⁷. სწორედ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, შემდგომში ძირეულად შეიცვალა აკრძალვაში შეცდომის შესახებ მანამდე გაბატონებული შეხედულება და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები⁴⁸⁸.

გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია გაანალიზდეს გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი ეს გადაწყვეტილება, რადგან სწორედ ამგვარი სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა აკრძალვაში შეცდომის ახალი საკანონმდებლო რეგულაცია.

4.2.1. გერმანიის უზენაესი სასამართლოს კოზიციბი აკრძალვაში შეცდომის შესახებ

გერმანულ სამართლებრივ მოძღვრებაში მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხი, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გადაიჭრა⁴⁸⁹. მანამდე გერმანიის უზენაესმა სასამართლომ 1952 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „მართლწინააღმდეგობის შეგნება ნიშნავს პირის მიერ თავისი ქმედების მართლწინააღმდეგო ხასიათის გაცნობიერებას“⁴⁹⁰. თუმცა, სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ „აღნიშნული ცნება არ გულისხმობს ისეთი გარემოებების არსებობის შეგნებას, რომლებიც კანონში მოცემულ ქმედების შემადგენლობის ნიშანს მიეკუთვნება, მაგალითად, „სხვისი ნივთი“ ქურდობის შემთხვევაში და ა.შ. თუ დამნაშავემ არ იცის, რომ სხვის ნივთს იპარავს, მაშინ ეს გამორიცხავს განზრახვას, რომელიც ქმედების შემადგენლობის ეტაპზე მოწმდება. გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობა კი დღის წესრიგში დადგება, თუ ამ ქმედების დასჯადობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონში“⁴⁹¹.

რაც შეეხება თავად აკრძალვაში შეცდომის პრობლემას, ამ შემთხვევაში, პირმა, მართალია, იცის რასაც აკეთებს, მაგრამ ცდება იმაში, რომ მას ეს ნებადართული ჰქონია. ამ დროს სახეზე გვაქვს შეცდომა აკრძალვაში. ეს უკანასკნელი შესაძლებელია პირობითად გამოიხატოს სისხლის სამართლის კანონის ნორმის ან მის გარეთ არსებული ბლანკეტური ნორმის არცოდნით.

⁴⁸⁷ შტრ. *Walter* (2006), გვ. 302-303.

⁴⁸⁸ იხ. *იეშეკისა და ვაიგენდის* დასახ. ნაშრ., გვ. 452.

⁴⁸⁹ იქვე.

⁴⁹⁰ იხ. BGHSt 2, გვ. 194-202.

⁴⁹¹ იქვე, გვ. 197.

პირველ შემთხვევაში სასამართლოს მისი არსებობა უმნიშვნელოდ მიაჩნია და კვალიფიკაციაზე ამგვარ შეცდომას გავლენის მოხდენა არ შეუძლია. მეორე შემთხვევაში კი პირს პასუხისმგებლობა შესაძლოა გაუფრთხილებლობისთვის დაეკისროს, თუ კანონმდებლობით მისი დასჯადობა გათვალისწინებულია⁴⁹².

ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, სასამართლომ განმარტა, რომ იურიდიულ დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებობს სამართლებრივ ნორმაში დაშვებული შეცდომის პრობლემის გადაწყვეტის ორი გზა, რომლებიც ცნობილია ე.წ. განზრახვისა და ბრალის თეორიების სახელწოდებით.⁴⁹³

განზრახვის თეორია მიიჩნევს, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება წარმოადგენს განზრახვის შემადგენელ ნაწილს. ამ დროს, მართლწინააღმდეგობის შეგნება, კოგნიტიურ და ვოლუნტატიურ ელემენტებთან ერთად, ბრალის სფეროში მოიაზრება როგორც განზრახვის შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტი. მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა კი, იწვევს მთლიანად განზრახვის გამორიცხვას და შესაძლებელია გაუფრთხილებლობისთვის პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება⁴⁹⁴.

ბრალის თეორიის მიხედვით, განზრახვა, მართლწინააღმდეგობის შეგნებისგან დამოუკიდებლად, ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში მოწმდება, ხოლო თავად მართლწინააღმდეგობის შეგნება, ბრალის ეტაპზე განიხილება. ეს ნიშნავს იმას, რომ აკრძალვაში შეცდომის შემთხვევაში, თუ შეცდომა თავიდან აცილებადია, პირი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ გათავისუფლდება და მას მხოლოდ სასჯელი შეუმცირდება, ხოლო თუ შეცდომა თავიდან აუცილებადი იქნება, მაშინ ეს ბრალის გამომრიცხველი გარემოება გახდება⁴⁹⁵. გამომდინარე აქედან, ასეთ ვითარებაში მართლწინააღმდეგობის შეგნება არის უკვე არა განზრახვის, არამედ ბრალის დამოუკიდებელი ნიშანი.

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ სწორედ ბრალის თეორიას დაუჭირა მხარი, რაც შემდგომში საკანონმდებლო დონეზეც სსკ-ის მე-17 პარაგრაფის დეფინიციაში აისახა⁴⁹⁶. აღნიშნული გადაწყვეტილებით, სასამართლომ პრაქტიკულად უარყო განზრახვის თეორია და ბრალის თეორიის უპირატესობა დაასაბუთა⁴⁹⁷. თუმცა, მანამდე როგორც განზრახვის, ისე ბრალის თეორიებმა გარკვეული განვითარების ისტორიული ეტაპები განვლეს და დღემდე მოაღ-

⁴⁹² იქვე.

⁴⁹³ იქვე, გვ. 204-205.

⁴⁹⁴ იქვე, გვ. 204.

⁴⁹⁵ იქვე, გვ. 205.

⁴⁹⁶ იხ. იეშეკისა და ვაიგენდის დასახ. ნაშრ., გვ. 452.

⁴⁹⁷ „მოქმედმა სამართალმა პრინციპულად აღიარა ბრალის თეორია და უარყო განზრახვის თეორია,“ – აცხადებს გ. შტრატენვერტი. ამის შესახებ იხ. *Sratenwerth, Kuhlen*, AT I (2004), გვ. 213, ასევე შდრ.: *Zaczyk*, NJW (1989), გვ. 1744; *Zaczyk*, JuS (1990), გვ. 893. გარდა ამისა, ბრალის თეორია აღიარებულ იქნა სამკურნეო სისხლის სამართლის თანამედროვე მოძღვრებაშიც. ამის შესახებ იხ. *Tiedemann* (2007), გვ. 66.

წიეს მოდიფიცირებული თუ სხვადასხვა სახეცვლილების სახით. მიზანშეწონილია ამ თეორიების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპების გაანალიზება.

4.2.2. განზრახვის თეორია

განზრახვის თეორიის (Vorsatztheorie) ჩამოყალიბება, რომელიც გერმანულ სამართლებრივ მეცნიერებაში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში იყო გაბატონებული⁴⁹⁸, უკავშირდება კ. ბინდის სახელს⁴⁹⁹. იგი ამგვარად გადმოგვცემს განზრახვის თეორიის ზოგად დეფინიციას: „განზრახვის თეორიისათვის ამოსავალია მტკიცება იმის შესახებ, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება ეკუთვნის სისხლისსამართლებრივ განზრახვას. ეს ნიშნავს იმას, რომ მართლწინააღმდეგობის ან დანაშაულის სხვა გარემოებათა შეუცნობლობის შემთხვევაში ხდება განზრახვის უარყოფა. ასეთ ვითარებაში სუბიექტი უნდა გაათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ან, შესაძლოა, დაისაჯოს დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენისათვის.“⁵⁰⁰

მასასაღმე, კ. ბინდიეი მართლწინააღმდეგობის შეგნებას სისხლისსამართლებრივი განზრახვის ერთ-ერთ კომპონენტად აცხადებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კ. ბინდიეი, ისე სხვა ავტორები (ი. ბაუმანი⁵⁰¹, კ. შროიდერი⁵⁰² და ა.შ.) ემზრობიან განზრახვის თეორიის მხოლოდ იმ მიმართულებას, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია განზრახვის მკაცრი თეორიის სახელწოდებით (strenge Vorsatztheorie).⁵⁰³

4.2.2.1. განზრახვის მკაცრი თეორია

განზრახვის მკაცრი თეორია ითვალისწინებს უმართლობის „აქტიურ“ შეგნებას როგორც განზრახვი დანაშაულის დასჯადობისთვის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას⁵⁰⁴. განზრახვის დასაბუთებისთვის საჭიროა „რეალური“, „ნამდვილი“, „აქტუალური“ უმართლობის შეგნების არსებობა⁵⁰⁵. აღნიშნული თეორია

⁴⁹⁸ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 215.

⁴⁹⁹ „ვისაც ქმედების შემადგენლობასთან ერთად მისი მართლწინააღმდეგობაც შეცნობილი აქვს, იმსახურებს განზრახვისთვის გაკიცხვას,“ – აღნიშნავს კ. ბინდინგი, იხ. *Binding II* (1991), გვ. 267 ff, ასევე შტრ. *Mezger*, AT (1948), გვ. 139-142.

⁵⁰⁰ იხ. *Binding* (1919), გვ. 132.

⁵⁰¹ იხ. *Baumann*, AT (1968), გვ. 420-422.

⁵⁰² იხ. *Jeschek*, *Weigend*, AT (1996), გვ. 452.

⁵⁰³ შტრ.: *Schünemann*, NJW (1980), გვ. 738; *Blei* (1983), გვ. 197.

⁵⁰⁴ იხ. *Schmidhäuser*, AT (1984), გვ. 220.

⁵⁰⁵ „განზრახვაში უმართლობის შეგნებულობის არსებობა საკმარისი არ არის მარტო „ცოდნის“ ფორმით რომ იყოს წარმოდგენილი, არამედ საჭიროა მხოლოდ მისი ნამდვილი, აქტუალური

განზრახვას ახასიათებს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების ცოდნას, ნებ-
ელობასა და მართლწინააღმდეგობის შეგნებას. გამოძინარე აქედან, განზრახ-
ვის ცნება თავის თავში მოიცავს არა მარტო კოგნიტიურ და ვოლუნტატიურ
ელემენტებს, არამედმართლწინააღმდეგობის შეგნებასაც. ამასთან, ამ თეორიის
მიხედვით, განზრახვის ადგილი დანაშაულის სისტემაში არის ბრალში⁵⁰⁶.
თუ არ არსებობს ამ სამი ნიშნიდან ერთ-ერთი, შესაბამისად, არ არსებობს
განზრახვაც. საკითხი იმის შესახებ, გაუფრთხილებლობითი დანაშაულისთვის
პასუხისმგებლობა დაეკისროს თუ არა დამნაშავეს, უნდა გადაწყდეს იმის გათ-
ვალისწინებით, შეეძლო თუ არა მას შეცდომის თავიდან აცილება⁵⁰⁷.

ამრიგად, განზრახვის მკაცრი თეორია ნებისმიერი შეცდომის შემთხვევაში,
იქნება ეს ფაქტობრივი, იურიდიული, თუ შეცდომა მართლწინააღმდეგობის
გამომრიცხველ ფაქტობრივ გარემოებებში, განზრახვის მთლიან გამორიცხვას
გულისხმობს⁵⁰⁸. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ შეხედულებით განზრახვა
გაგებულა როგორც ბოროტი განზრახვა (*dolus malus*) და მისი დადგენა ბრა-
ლის ეტაპზე უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს⁵⁰⁹.

განზრახვის მკაცრი თეორია ბევრ პასუხაუცემელ კითხვას ტოვებს. კრი-
ტიკის ობიექტს წარმოადგენს ის, რომ აღნიშნული მოძღვრებით შეუძლებელია,
ე.წ. „სინდისის პატიმრის“⁵¹⁰ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობის აქტუალ-
ური შეგნების დასაბუთება. ამგვარ ვითარებაში მოქმედი პირის დასჯადობის
საკითხი შესაძლოა უარყოფითად გადაწყდეს⁵¹¹. ასე მაგალითად, ე.წ. რწმე-
ნით ან სინდისით მოქმედ დამნაშავეს, რომელიც სხვადასხვა სიმძიმის დანა-
შაულს ჩაიდენს, მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნება შესაძლებელია
არ ჰქონდეს. მას, თავისი რელიგიური რწმენის საფუძველზე, შესაძლებელია
განხორციელებული ქმედება საერთოდ არც კი მიაჩნდეს მართლსაწინააღმდე-
გოდ. გამოდის, რომ ასეთი პირი მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგ-
ნების არარსებობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან უნდა
გათავისუფლდეს.

გარდა ამისა, მკაცრი განზრახვის თეორია შესაბამისობაში არ მოდის ასევე
გერმანიის მოქმედ სსკ-ის მე-17 პარაგრაფთან, რომელიც, რაიხის სსკ-ის
59-ე პარაგრაფისგან განსხვავებით, სხვაგვარად არეგულირებს სამართლებრივ

ფორმით არსებობა“. განზრახვის თეორიის ამ დებულების შესახებ იხ. *Welzel* (1969), გვ.
159-160, რომელიც, თავის მხრივ, ავითარებს ბრალის თეორიას.

⁵⁰⁶ იქვე, გვ. 215.

⁵⁰⁷ იხ. *Stratenwerth, Kuhlen*, AT I (2004), გვ. 212-213.

⁵⁰⁸ იხ. გერმანიის რაიხის 1871 წლის კოდექსის 59-ე პარაგრაფი.

⁵⁰⁹ იხ.: *Schmidhäuser*, AT (1984), გვ. 220; *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 452-453; *Roxin*,
AT I (2006), გვ. 215, 927.

⁵¹⁰ პირი, რომელიც ჩადის დასჯად ქმედებას მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი რელიგიური,
პოლიტიკური ან სხვა სახის რწმენის ან სინდისის საფუძველზე თავს უფლებამოსილად ან
ვაღივებულად თვლის განხორციელოს ესა თუ ის ქმედება.

⁵¹¹ შდრ. *Geerds*, *Jura* (1990), გვ. 429.

შეცდომის შემთხვევას. კერძოდ, თუ აღრე მოქმედი კოდექსის 59-ე პარაგრაფი უკავშირდებოდა მხოლოდ ფაქტობრივ შეცდომას, მოქმედი კოდექსის მე-16 (ფაქტობრივი შეცდომა) და მე-17 (შეცდომა აკრძალვაში) პარაგრაფები დიფერენციაციას აკეთებენ „ფაქტობრივ შეცდომას“ და „სამართლებრივ შეცდომას“ შორის, რაც სხვადასხვა სამართლებრივი შედეგის დადგენაშიც გამოიხატება.⁵¹² სწორედ ამგვარი კრიტიკული შეფასებების გამო იგი მოგვიანებით „შეზღუდული“ ფორმით განვითარდა გერმანულ იურიდიულ მოძღვრებაში.⁵¹³

4.2.2.2. განზრახვის შეზღუდული თეორია

განზრახვის შეზღუდული (eingeschränkte Vorsatztheorie) თეორია, რომლის ერთ-ერთი მიმდევრია გერმანელი მეცნიერი *ე. მეცგერი*⁵¹⁴, განზრახვისთვის მოითხოვს მართლწინააღმდეგობის უკვე არა მარტო აქტუალურ, არამედ ასევე, პოტენციურ შეგნებასაც.⁵¹⁵ ამ მოძღვრების თანახმად, ე.წ. „სამართლებრივი სიბრმავის“ მდგომარეობაში მყოფი პირის ან კიდევ „სინდისის პატიმრის“ მიერ განხორციელებული დელიქტი დასჯადად უნდა ჩაითვლოს იმის გამო, რომ სუბიექტი, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ არ აცნობიერებს თავისი ქცევის აკრძალულობას, მართლწინააღმდეგობის შეგნებას „პოტენციურად“ მაინც ფლობს.⁵¹⁶

ასე რომ, აღნიშნული თეორიის მიმდევრები ცდილობენ, მართლწინააღმდეგობის შეგნება და, შესაბამისად, განზრახვა, ამგვარ ვითარებაში მოქმედი პირის მიმართაც დაასაბუთონ.⁵¹⁷ თუმცა, მიუხედავად ამისა, განზრახვის შეზღუდული თეორია მაინც ვერ გამოდის განზრახვის მკაცრი თეორიის მიერ განსაზღვრული ჩარჩოებიდან. კერძოდ, ისიც, განზრახვის მკაცრი თეორიის მსგავსად, მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემას განზრახვის ფარგლებში განიხილავს.

მაშასადამე, როგორც განზრახვის მკაცრი, ისე შეზღუდული თეორია უმართლობის შეგნებას განზრახვის სფეროში მოიაზრებს. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ განზრახვის მკაცრი თეორია „სამართლებრივი სიბრმავის“ მდგომარეობაში მყოფი პირის ან „სინდისის პატიმრის“ მიმართ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სათანადოდ ვერ ასაბუთებს. განზრახვის შეზღუდული თეორია კი ცდილობს ასეთ შემთხვევაში განზრახვა არ გამორიცხოს

⁵¹² იხ. *იეშეკისა და ვაიკენდის* დასახ. ნაშრ., გვ. 453.

⁵¹³ აღნიშნული თეორიის განვითარებას საფუძველი ა. *კაუფმანმა* და *ე. შმიდლიზერმა* ჩაუყარეს. ამის შესახებ იხ. *Kaufmann* (1949), გვ. 143.

⁵¹⁴ შდრ.: *Mezger, Kohlrausch* FS (1944), გვ. 180; *Blei* (1983), გვ. 197.

⁵¹⁵ შდრ.: *Mezger, Kohlrausch* FS (1944), გვ. 180; *Blei* (1983), გვ. 197.

⁵¹⁶ შდრ. *Geerds*, Jura (1990), გვ. 429.

⁵¹⁷ იქვე.

და იგი უცვლელად დატოვოს. განზრახვის შეზღუდულმა თეორიამ თავისი ფუნქცია არც თანამედროვე გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დაკარგა, რაც მისი მოდიფიცირებული სახით განვითარებაში გამოიხატა.

4.2.2.3. განზრახვის მოდიფიცირებული თეორია თანამედროვეგერმანულ იურიდიულ დოგმატიკაში

განზრახვასა და მართლწინააღმდეგობის შეგნებას ზოგიერთი თანამედროვე ავტორი (ჰ. ოტო⁵¹⁸, დ. გეერდს⁵¹⁹, ე. შმიდჰაუსერი⁵²⁰...) მოდიფიცირებული ფორმით გვთავაზობს.⁵²¹ ეს მეცნიერები ცდილობენ დღეს მოქმედი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 (ფაქტობრივი შეცდომა) და მე-17 პარაგრაფების (შეცდომა აკრძალვაში) ინტერპრეტაციას განზრახვის მოდიფიცირებული თეორიის გამოყენებით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰ. ოტოს მოძღვრება, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ერთმანეთის განასხვავებს მატერიალურ და ფორმალურ მართლწინააღმდეგობის შეგნებას⁵²².

ჰ. ოტოს შეხედულების თანახმად, მატერიალური მართლწინააღმდეგობის შეგნება (მოქმედების სოციალური ზიანის შეგნებულობა) არის განზრახვის შემადგენელი ნაწილი, რომელიც, თავის მხრივ, ქმედების სუბიექტურ შემაღენლობას განეკუთვნება⁵²³. თავად განზრახვა კი შედგება ფაქტობრივი გარემოებების ცოდნის, განწყობის უღირსობისა და მოქმედების სოციალური ზიანის შეგნებულობისგან – მატერიალური მართლწინააღმდეგობის შეგნება⁵²⁴. ასე რომ, განზრახვა ამ შემთხვევაშიც გაგებულია როგორც ე.წ. „ბოროტი განზრახვა“ (dolus malus).⁵²⁵

რაც შეეხება ფორმალური მართლწინააღმდეგობის შეგნებას, იგი ბრალის ეტაპზე მოწმდება და მხოლოდ მე-17 პარაგრაფის (აკრძალვაში შეცდომა) ფარგლებში მოიაზრება. ჰ. ოტო მიუთითებს, რომ ამ მუხლის გამოყენება უნდა ზღვებოდეს ნებისმიერი სამართლებრივი ნორმის შეუგნებლობის შემთხვევაში, იქნება ეს სისხლისსამართლებრივი თუ არასისხლისსამართლებრივი. ამავე პოზიციას ემხრობა გერმანიის უზენაესი სასამართლოც თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში⁵²⁶.

მეცნიერის აღნიშნული შეხედულება გამომდინარეობს არტ. კაუფმანის იმ

⁵¹⁸ იხ. Otto, Jura (1990), გვ. 647, აგრეთვე შდრ. Geerds, Jura (1990), გვ. 421 ff.

⁵¹⁹ იხ. Geerds, Jura (1990), გვ. 429-430.

⁵²⁰ იხ. Schmidhäuser, JZ (1979), გვ. 368-369.

⁵²¹ იქვე.

⁵²² იხ. Geerds, Jura (1990), გვ. 429.

⁵²³ იქვე, ასევე იხ.: Otto (2000), გვ. 225; Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 174-175.

⁵²⁴ იხ.: Otto (2000), გვ. 225; Geerds, Jura (1990), გვ. 429.

⁵²⁵ იხ. Geerds, Jura (1990), გვ. 429.

⁵²⁶ შდრ. BGHSt 11, გვ. 266.

თეზიდან, სადაც ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ „უმართლობის აქტუალური შეგნებულობა არის განზრახვის, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნება – ბრალის შემადგენელი ნაწილი“.

მაშასადამე, *ჰ. ოტო* მართლწინააღმდეგობის შეგნებას ფორმალური და მატერიალური მართლწინააღმდეგობის შეგნების სახით წარმოგვიდგენს, რომლებიც, მისი განმარტებით, არა იდენტური, არამედ პარალელურად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებული განსხვავებული კატეგორიებია.

ჰ. ოტოს ეს პოზიცია არასწორია, რადგან სინამდვილეში ორივე ცნება – ფორმალური და მატერიალური მართლწინააღმდეგობის შეგნება – ერთი და იმავე შინაარსის გამოხატულებაა. გარდა ამისა, ამგვარ დიფერენციაციას არც გერმანიის სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსი აღიარებს. კერძოდ, მისი მე-17 პარაგრაფი (აკრძალვაში შეცდომა), როგორც აღინიშნა, მართლწინააღმდეგობის ანუ უმართლობის შეგნებას განზრახვისგან დამოუკიდებლად ბრალის ეტაპზე განიხილავს და ამ ცნების არსებობა-არარსებობას ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას საერთოდ არ უკავშირებს. ანალოგიური მოსაზრება გამომდინარეობს კოდექსის მე-16 პარაგრაფიდანაც, რომელიც ფაქტობრივ შეცდომას ეძღვნება. კანონმდებელი აქ განზრახვას ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე წარმოადგენს და მის შინაარსობრივ მხარეში მართლწინააღმდეგობის შეგნებას განზრახვის ერთ-ერთ ელემენტად არ მოიაზრებს.

ასე რომ, გერმანელი კანონმდებლის ამ პოზიციის მიხედვით, არც მატერიალური და არც ფორმალური მართლწინააღმდეგობის შეგნება არც ერთ შემთხვევაში არ არის განზრახვის შემადგენელი ნაწილი. გარდა ამისა, *ჰ. ოტოს* აღნიშნული შეხედულება დოგმატური თვალსაზრისითაც დაუსაბუთებელია. მისი ეს მოსაზრება სრულიად არგუმენტირებულად იქნა ზემოთ გაკრიტიკებული და აღნიშნულ საკითხს ამ შემთხვევაში აღარ მიეუბრუნდებით.

ჰ. ოტოს მოძღვრებისგან ერთგვარად განსხვავდება განზრახვის თეორიის გერმანელი მეცნიერის – *ე. შმიდჰაუსერის*²⁷ ინტერპრეტაცია. იგი

²⁷ *ე. შმიდჰაუსერი* აღნიშნავს, რომ სსკ-ის მე-16 პარაგრაფის პირველი აბზაცი და მთლიანად მე-17 პარაგრაფი გაგებულ უნდა იქნეს განზრახვის თეორიით, „ვინაიდან კანონმდებლის მიერ მე-16 პარაგრაფის პირველ აბზაცში მოცემული დეფინიცია: ფაქტობრივი გარემოებების „არცოდნა (Nichtkennen)“ გულისხმობს არა მარტო ქმედების, არამედ უმართლობის არცოდნასაც. გამოძინარე აქედან, ნებისმიერი შეცდომა საჭიროა, მის ფარგლებში განიხილებოდეს და განზრახვის გამორიცხვას უნდა იწვევდეს. რაც შეეხება მე-17 პარაგრაფს, მისი გამოყენება მხოლოდ დანაშაულის გაუფრთხილებლობით დასჯადობის შემთხვევაში უნდა ხდებოდეს, კერძოდ, მაშინ, როცა მე-16 პარაგრაფის პირველი აბზაცის მეორე წინადადებით განზრახვა გამოირიცხება და საკითხი გაუფრთხილებლობით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე გადავა. მე-17 პარაგრაფის მეორე წინადადება კი, რომელიც სასჯელის შემსუბუქებას ითვალისწინებს, მისი აზრით, გულისხმობს არა განზრახვი, არამედ გაუფრთხილებლობით დანაშაულის შემთხვევაში საჯელის შემცირებას“. ამის შესახებ იხ. *Schmidhäuser, JZ (1979), გვ. 361-369*, ასევე მისი ამ სტატიის მიმართ *ე. კრამერისა* და *მ. ტრიტელის* კრიტიკაზე იხ. *Schmidhäuser, JZ (1980), გვ. 396*, ასევე შდრ.: *Roxin, AT I (2006), გვ. 932; Baumann,*

განზრახვის ნებელობით მხარეს, როგორც ზემოთ ითქვა, ქმედების იმანენტურ მომენტად აცხადებს. „განზრახულობაში“ (Vorsätzlichkeit) კი, რომელიც ბრალის ნიშანს წარმოადგენს, ავტორი მხოლოდ კოგნიტიურ ნიშანსა და უმართლობის აქტუალურ შეგნებას მოიაზრებს⁵²⁸. მსგავს პოზიციას იზიარებს ვ. ლანგერი⁵²⁹. იგი ცნებაში „განზრახულობა“ უმართლობის შეგნებულობას განიხილავს, „მოქმედების შეგნებულობას“ კი უმართლობის სუბიექტური შემადგენლობის ნიშნად მიიჩნევს⁵³⁰.

განზრახვის თეორიის შენარჩუნებით ქმედების შემადგენლობის ეტაპზე სუბიექტური შემადგენლობის ელემენტად განზრახვის ნაცვლად „მოქმედების შეგნებულობის“ დასაბუთება სხვა არაფერია, თუ არა განზრახვის აღიარება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნად. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ მასში ასევე, ვოლუნტატიური მომენტიც მოიაზრება და არა მხოლოდ ფორმალური ან თუნდაც მატერიალური უმართლობის შეგნება. სწორედ ამიტომ, ამ შემთხვევაში როგორც პ. ოტოსა და ე. შმიდპოიზერის, ისე ვ. ლანგერის პოზიციას აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ვერ გავიზიარებთ. მართებულად მიუთითებს ამის შესახებ პ. ველცელი, რომელიც მიიჩნევს, რომ „ქმედების შეგნებულობა“ ან „ქმედების ჩადენის გადაწყვეტილება“ ეს იგივეა, რაც განზრახვა.⁵³¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განზრახვის მოდიფიცირებული თეორიის წარმომადგენლები, მიუხედავად განზრახვის ცნების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციისა, განზრახვას მაინც უმართლობის შეგნებასთან ერთად აანალიზებენ. სხვა თანამედროვე ავტორებისგან განსხვავებით, ამ მოძღვრების მიმდევრები დიფერენციაციას უკეთებენ ძირითადად მართლწინააღმდეგობის შეგნებას და მას ფორმალური და მატერიალური გაგებით გვთავაზობენ. აღნიშნული თეორიით, მატერიალური უმართლობის შეგნება არის „სოციალური ზიანის შეგნებულობა“. იგი ამ შემთხვევაში წარმოადგენს განზრახვის ერთ-ერთ ელემენტს და, განზრახვასთან ერთად, უმართლობის შემადგენელი ნაწილია. მაშასადამე, განზრახვა განზრახვის მოდიფიცირებული თეორიით კვლავ რჩება ბოროტ განზრახვად ანუ *dolus malus*-ად⁵³².

განზრახვის მოდიფიცირებულმა თეორიამ თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაში სამართლიანად ვერ მოიკიდა ფეხი. გარდა ამისა, ეს დოგმატიკა ასევე უძღურია დასაბუთოს მართლწინააღმდეგობის შეგნება გაუფრთხილებლობის დროს⁵³³, რომლის დადგენაც ამჟვარ დელიქტებში სისხლისსამართ-

Weber, Mitsch, AT (2003), გვ. 510; ტურავა (2011), მე-2 სქოლიო, გვ. 446.

⁵²⁸ იხ. Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 174-175.

⁵²⁹ იხ. Langer, GA (1976), გვ. 193 ff.

⁵³⁰ იხ. Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 174-175.

⁵³¹ იხ. Welzel (1961), გვ. 7.

⁵³² იხ. Geerds, Jura (1990), გვ. 429.

⁵³³ იხ. Roxin, AT I (2006), გვ. 1102.

ლებრივ მეცნიერებაში უკვე ეჭვს აღარ იწვევს.

3. *ველცელი*⁵³⁴ განზრახვის თეორიის კრიტიკისას სწორად მიუთითებს, რომ განზრახვა არის არა ბრალეული გაკიცხვის შემადგენელი ნაწილი, არამედ საგანი და ამიტომ განზრახვა მოქმედებას, კერძოდ, უმართლობას უნდა ეკუთვნოდეს. მართლწინააღმდეგობის შეგნება კი ბრალის ეტაპზე უნდა განიხილებოდეს, რადგან იგი გასაკიცხაობის შემადგენელი ერთ-ერთი დამოუკიდებელი კომპონენტია.⁵³⁵

მართლაც, მართლწინააღმდეგობის შეგნება პირის გაკიცხვის წინაპირობა კი არა, მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია. დამნაშავეს სწორედ იმიტომ კიცხავს მოსამართლე, რომ მას შეეძლო შეეცნო მართლწინააღმდეგობა და, შესაბამისად, უარი ეთქვა მის მიერ განხორციელებულ მართლწინააღმდეგო ქმედებაზე⁵³⁶. გამომდინარე აქედან, უმართლობის შეგნება ნებისმიერ შემთხვევაში განზრახვის შემადგენელი ნაწილი კი არ უნდა იყოს, არამედ მხოლოდ გასაკიცხაობის ელემენტი, ამიტომ იგი მხოლოდ ბრალში საჭიროებს შემოწმებას.

განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართების პრობლემის გარშემო დისკუსიას საბოლოო წერტილი, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 პარაგრაფის (აკრძალვაში შეცდომა) შემოღებამ დაუსვა. ამ ნორმის შინაარსმა საბოლოო ჯამში ბრალის თეორიის ჩამოყალიბება და მისი განვითარება განაპირობა.

ბრალის თეორიის მიხედვით, „უმართლობის შეგნების“ არარსებობა იწვევს არა განზრახვის გამორიცხვასა და გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობის დღის წესრიგში დაყენებას, არამედ მთლიანად ბრალის უარყოფას, გაუფრთხილებლობისთვის პირის დასჯადობის შესახებ მსჯელობის გარეშე⁵³⁷. სწორედ ამგვარ განმარტებას დაეყრდნო გერმანიის უზენაესი სასამართლო 1952 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებაში და, ამით, ცალსახად აღიარა სამოსამართლეო პრაქტიკაში ბრალის თეორიის უპირატესობა, განზრახვის თეორიისთან შედარებით⁵³⁸.

4.2.3. ბრალის თეორია

ბრალის თეორია (Schuldtheorie), რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანულ ლოგმატიკაში განვითარდა და ფინალურ მოძღვრებასთან ასოცირდება, განზრახვის თეორიისაგან განსხვავებით, მართლწინააღმდეგობის შეგნებას, როგორც განზრახვის შემადგენელ ელემენტს უარყოფს და მას დამოუკიდებელ

⁵³⁴ იხ. *Welzel* (1961), გვ. 62-63.

⁵³⁵ იქვე.

⁵³⁶ იქვე. ასევე შდრ. *ტურავა* (2011), გვ. 444-445.

⁵³⁷ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 108.

⁵³⁸ იხ. *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 509-512.

სტატუსს ანიჭებს ბრალის ეტაპზე⁵³⁹. განზრახვას კი, როგორც ცოდნასა და ნებელობას, ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში განიხილავს⁵⁴⁰.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ვ. შვეე ბრალის თეორიას ასე განმარტავს: „განზრახვის თეორიის საპირისპიროდ, ბრალის თეორია მიიჩნევს, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება არის არა განზრახვის შემადგენელი კომპონენტი, არამედ ბრალის სუვერენული ელემენტი. ამ თეორიის მიხედვით, უმართლობის შესახებ შეცდომა არ გამოირიცხავს განზრახვას.“⁵⁴¹

ჰ. ველცელი ასევე, მართებულად მიიჩნევს ბრალიდან განზრახვის ქმედების შემადგენლობაში „დაბინავებას“. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, შეუძლებელი იქნებოდა დანაშაულის მცდელობის დასჯადობის დასაბუთება. ეს უკანასკნელი მხოლოდ პირის განზრახვის მიმართულების მიხედვით შეიძლება დადგინდეს.⁵⁴² სწორედ ამიტომ, ჰ. ველცელი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ბრალის თეორია აღიარა და მისი მართებულობა დაასაბუთა.

გამომდინარე აქედან, ბრალის თეორიით, მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის ერთ-ერთ დამოუკიდებელ ელემენტს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მოძღვრება შეცდომის პრობლემასაც სხვაგვარად წყვეტს⁵⁴³. კერძოდ, ფაქტობრივი შეცდომის შემთხვევაში (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 პარაგრაფი), ე.ი მაშინ, როცა დამნაშავე არ იცნობს ქმედების ფაქტობრივ გარემოებებს, ხდება განზრახვის მთლიანად გამოირიცხვა და პირის გაუფრთხილებლობითი პასუხისმგებლობის დღის წესრიგში დაყენება, თუკი ამ ქმედების დასჯადობა გათვალისწინებულია კოდექსით. აკრძალვაში შეცდომის დროს (კოდექსის მე-17 პარაგრაფი) კი, ე.ი. მაშინ, როდესაც დამნაშავე არ იცნობს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობას, გამოირიცხება არა განზრახვა, არამედ მართლწინააღმდეგობის შეგნება, როგორც ბრალის დამოუკიდებელი ნიშანი და, შესაბამისად, ბრალიც (აუცილებადი შეცდომის მდგომარეობა). რაც შეეხება განზრახვას, იგი უცვლელი რჩება, თუ დამნაშავეს ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა და ნებელობა გააჩნია⁵⁴⁴.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მოქმედს აკრძალვაში შეცდომის თავიდან აცილება შეეძლო⁵⁴⁵, მაშინ პასუხისმგებლობა მას დაეკისრება არა

⁵³⁹ იხ.: *Schmidhäuser*, AT (1984), გვ. 220; *Bockelmann, Volk*, AT (1987), გვ. 120; *Kaufmann* (1949), გვ. 143.

⁵⁴⁰ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 215.

⁵⁴¹ იხ. *Schewe* (1967), გვ. 22-23.

⁵⁴² იხ. *Welzel* (1961), გვ. 8-9.

⁵⁴³ იხ. *Stratenwerth, Kuhlen*, AT I (2004), გვ. 213.

⁵⁴⁴ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 215.

⁵⁴⁵ როცა საუბარი ეხება შეცდომის თავიდან აცილებადობას, მეცნიერები სამართლიანად დავობენ იმ კრიტერიუმების განსაზღვრის გარშემო, რითაც უნდა დადგინდეს ის, თუ რამდენად შეუძლია კონკრეტულ ვითარებაში დამნაშავეს შეცდომის თავიდან აცილება. მისი დადგენის

გაუფრთხილებლობითი დანაშაულისთვის, როგორც ამას ასაბუთებს განზრახვის თეორია, არამედ ისევ განზრახვი დანაშაულისთვის, თუმცა ეს იქნება ბრალისა და, შესაბამისად, სასჯელის შემსუბუქების საფუძველი⁵⁴⁶.

ამრიგად, ბრალის თეორიის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის შეგნება წარმოადგენს განზრახვისგან განცალკავებულ ბრალის ერთ-ერთ დამოუკიდებელ ნიშანს. ე.წ. ბოროტი განზრახვა (*dolus malus*) კი, რომელიც თავის თავში მოიცავს ასევე უმართლობის შეგნებასაც, ამ მოძღვრებაში არსებობას წყვეტს და იგი ბუნებრივ, ანუ არაბოროტ განზრახვად წარმოგვიდგება ქმედების შემადგენლობის ეტაპზე.⁵⁴⁷ სწორედ ამიტომ, გერმანული ბრალის თეორიის ნებისმიერი მიმართულებისთვის, (იქნება ეს ბრალის თანამიმდევრული (მკაცრი), თუ შეზღუდული თეორია) ე.წ. „ბოროტი განზრახვის“ იდეა მიუღებელია. *dolus malus*-ი არსებობს მხოლოდ იმ მოძღვრებაში, რომელიც განზრახვასა და მართლწინააღმდეგობის შეგნებას განიხილავს როგორც ერთ მთლიან, ერთმანეთისგან განუყოფელ კატეგორიას⁵⁴⁸. ბრალის თეორია კი მათ ცალ-ცალკე წარმოადგენს დანაშაულის ერთიან სისტემაში.

ბრალის მოძღვრების განვითარებასა და მის დასაბუთებას საფუძველი დაუდო, როგორც ზემოთ აღინიშნა, გერმანიის უზენაესი სასამართლოს 1952 წლის 18 მარტის ცნობილმა გადაწყვეტილებამ. ამით, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 პარაგრაფს (აკრძალვაში შეცდომა) ახალი ინტერპრეტაცია მიეცა⁵⁴⁹. სახელდობრ, თუ შეცდომა თავიდან აცილებადია, პირს შეიძლება, მხოლოდ სასჯელი შეუმსუბუქდეს, ხოლო თუ შეცდომა აუცილებელია, იგი შესაძლებელია, პასუხისმგებლობისგან მთლიანად გათავისუფლდეს⁵⁵⁰.

ისმის კითხვა, რამდენად სამართლიანია ფაქტობრივი და სამართლებრივი შეცდომის დროს სხვადასხვა სამართლებრივი შედეგის დადგომა და, შესაბამისად, დამნაშავის, ერთ შემთხვევაში, უფრო მკაცრად (თავიდან აცილებადი აკრძალვაში შეცდომის დროს მხოლოდ სასჯელის შემსუბუქება) დასჯა, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ფაქტობრივი შეცდომის დროს, კვალიფიკაციის

მასშტაბი იგივე უნდა იყოს, რითაც ხდება გაუფრთხილებლობის დროს დამნაშავის მიერ „თავისი მოვალეობისადმი დამოკიდებულების შემოწმება“. დამნაშავის ცოდნის კრიტერიუმში უნდა ვეძებთ ის გასაღები, რომლითაც ხდება დამნაშავის დამოკიდებულების განსაზღვრა დადგენილ მართლწესრიგთან. თუ დადგინდება, რომ პირი „კეთილსინდისიერად“ მოქმედებდა ქმედების განხორციელების დროს, შეცდომა ჩათვლება თავიდან აუცილებლად, ანუ სისხლისსამართლებრივ გააცივებას დაიმსახურებს ის პირი, ვინც არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით იმოქმედებს სამართლებრივად დაცული სიკეთის მიმართ. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. BGHSt 2, გვ. 194-211.

⁵⁴⁶ იხ. *Sternberg-Lieben, Schönke/Schröder* (2010), გვ. 342-343; *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 458.

⁵⁴⁷ იხ. *Hruschka, Roxin FS* (2001), გვ. 442.

⁵⁴⁸ იქვე, გვ. 442-443.

⁵⁴⁹ იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 452, 458.

⁵⁵⁰ იხ. *MüKo I* (2011), გვ. 800-801.

შეცვლა და პირის გაუფრთხილებლობითი ქმედების ჩადენისთვის პასუხისგებაში მიცემა?

სწორედ ამ არგუმენტით, გერმანიის ქალაქ პინებერგის მიწის სასამართლომ ჩათვალა, რომ ფაქტობრივი და სამართლებრივი შეცდომების სხვადასხვაგვარად გადაწყვეტა და, გამოდინარე აქედან, პირისათვის განსხვავებული სამართლებრივი შედეგის დაკისრება (პირველში განზრახვა გამოირიცხება, მეორეში მხოლოდ სასჯელის შემსუბუქება ხდება), შესაძლოა, ერთგვარ წინააღმდეგობაში ყოფილიყო გერმანიის კონსტიტუციის მე-3 მუხლთან (კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი)⁵⁵¹. ამ საფუძველით 1975 წელს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნა სარჩელი. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს საკითხი არ ეწინააღმდეგებოდა გერმანიის კონსტიტუციის შესაბამის ნორმებს. სასამართლომ მე-17 პარაგრაფში მოცემული საკითხის გადაწყვეტა შეცდომის თავიდან აცილებადობის შემთხვევაში სასჯელის შემსუბუქების შესახებ კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია⁵⁵².

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით ცალკეულმა ავტორებმა გააკრიტიკეს,⁵⁵³ თუმცა ამან ბრალის თეორიის შემდგომ განვითარებასა და მის დოგმატიკაში დამკვიდრებას ხელი ვერ შეუშალა. მოგვიანებით შეიქმნა ბრალის თეორიის სხვადასხვა ვარიანტები, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ. აქვე კი, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, ბრალის თეორიით, თუ დამნაშავეს დაუმტკიცდა, რომ შეცდომის თავიდან აცილება შეეძლო, პასუხისმგებლობა მაინც განზრახვი დანაშაულისთვის დაეკისრება (ე.წ. მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნების არსებობა) და საბოლოოდ მხოლოდ სასჯელი შეუმსუბუქდება. პირი კი ასეთ შემთხვევაში განზრახვი დანაშაულის ჩამდენად ჩათვლება.

მამასადამე, განზრახვისა და ბრალის თეორიები განსხვავებულად განიხილავენ აკრძალვაში შეცდომის პრობლემას და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგს. პირველი მოძღვრება მართლწინააღმდეგობის შეგნებას განზრახვის ფარგლებში მოიაზრებს და მას, განზრახვასთან ერთად, მთლიანად ბრალის ეტაპზე ამოწმებს. მეორე თეორია კი უმართლობის შეგნებას ბრალის ერთიანი სისტემის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს და განზრახვისგან დამოუკიდებლად მხოლოდ ბრალის ეტაპზე განიხილავს.

განზრახვის თეორიისგან განსხვავებით, ბრალის თეორია უფრო მეტად იმსახურებს მხარდაჭერას. ამ მოძღვრების მიმდევართა მოსაზრება იმის შესახებ, რომ განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დანაშაულის სამწევრიან სისტემაში ცალ-ცალკე უნდა გაანალიზდეს, სწორია. ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს კი ის პოზიცია

⁵⁵¹ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 930.

⁵⁵² იხ. BVerfGE 41, გვ. 121-126.

⁵⁵³ იხ. *Schmidhäuser*, JZ (1979), გვ. 361-369.

იძლევა, რომ, ერთ შემთხვევაში, შეუძლებელია ცალკე აღებული მოქმედების ფსიქიკური კავშირის გარეშე (განზრახვა) დასაბუთება, ხოლო, მეორე შემთხვევაში, მართლწინააღმდეგობის ანუ უმართლობის შეგნება განზრახვისგან განცალკევებით, სწორედ რომ ბრალში უნდა გაირკვეს. თუ განზრახვა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ერთ-ერთ ელემენტად მიიჩნევა, მასში ქმედების მართლწინააღმდეგობა თავისთავად ვერ მოიაზრება. უმართლობა, მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა განხორციელებული.⁵⁵⁴ გამომდინარე აქედან, უმართლობის შეგნება მხოლოდ მას შემდეგ საჭიროებს შემოწმებას, რაც თავად უმართლობის არსებობა უტყუარად დადასტურდება. სწორედ ამიტომ, მართლწინააღმდეგობის თუ უმართლობის შეგნების ადგილი ყოველთვის ბრალში უნდა იყოს და არა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე. ამ მსჯელობის მიხედვით კი ლოგიკურია, რატომ ისჯება თავიდან აცილებადი სამართლებრივი შეცდომისას პირი ისევ განზრახი დანაშაულისთვის და არა გაუფრთხილებლობითი დელიქტის ჩადენისთვის. ამ ვითარებაში, თუ მართლწინააღმდეგობის შეგნება გამოირიცხება, განზრახვა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე უცვლელი, ხელშეუხებელი რჩება. ასეთ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობის შეგნებას ქმედების შემადგენლობის განზრახვასთან არც პირდაპირი და არც ირიბი კავშირი არა აქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალის თეორია გაბატონებულ შეხედულებას წარმოადგენს როგორც იურიდიულ დოგმატიკაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში და აკრძალვაში შეცდომის პრობლემატ სწორედ ამ თეორიის მიხედვით განიხილება.

4.3. გერმანულ სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებულ შეცდომა

4.3.1. საპითხის მოკლე მიმოხილვა

აკრძალვაში შეცდომის ანალიზის შემდეგ ყურადღებას ამაჯერად მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებულ შეცდომის მნიშვნელობაზე შევაჩერებთ. შეცდომის ეს სახეც შესაძლებელია, ასევე, მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემას უკავშირდებოდეს და ისიც, აკრძალვაში შეცდომის მსგავსად, ბრალის სფეროში საჭიროებდეს განხილვას.⁵⁵⁵

გერმანიის სისხლის სამართლის დოგმატიკაში დღესაც აქტიურად გრძელდება დისკუსია აკრძალვაში შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე

⁵⁵⁴ შტრ.: *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 300; *Blei* (1983), გვ. 129-130; *Roxin*, AT I (2006), გვ. 600-610.

⁵⁵⁵ იხ. *Frister*, AT (2009), გვ. 169-171.

დაშვებული შეცდომის ურთერთგამიჯენის საკითხის გარშემო.⁵⁵⁶ თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში ცალსახად არ არის მოწესრიგებული.

4.3.2. პრობლემის არსი

მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს მოჩვენებითი მოგერიება (ე.წ. პუტატიური მოგერიება).⁵⁵⁷ ამ დროს დამნაშავე მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველ ფაქტობრივ გარემოებებში ცდება.⁵⁵⁸ კერძოდ, პირს ჰგონია, რომ მასზე განხორციელებული თავდასხმა არის რეალური, ხოლო სინამდვილეში ასეთი რამ არ ხდება. ამგვარ მდგომარეობაში მყოფ სუბიექტს, მართალია, გააჩნია ფაქტობრივი გარემოების ცოდნა და თავდაცვის ან სხვისი გადარჩენის მიზნით სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ან განადგურების ნებელობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას თავისი ქმედების მართლწინააღმდეგო ხასიათი ბოლომდე მაინც არა აქვს შეცნობილი.⁵⁵⁹ გამომდინარე აქედან, იბალება რამდენიმე ლოგიკური შეკითხვა: (1) უკავშირდება თუ არა შეცდომის ეს სახეც ასევე მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობას და (2) დანაშაულის სისტემის რომელ ეტაპზე უნდა გადაწყდეს აღნიშნული პრობლემა. სახელდობრ, საკითხავია, ზომ არ უნდა განიხილებოდეს მოჩვენებითი მოგერიება სტრუქტურულად ბრალის გარეთ არსებული დანაშაულის სისტემის სხვა რომელიმე ელემენტში, რადგან ბრალში, როგორც წესი, შეფასებებში დაშვებული შეცდომა მოწმდება. ფაქტობრივი გარემოებების მიმართ არსებული შეცდომის დასაბუთება კი ყოველთვის ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ხდება.⁵⁶⁰

4.3.3. განზრახვისა და ბრალის თემორიბის მიხედვით მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის ინტერპრეტაცია

მოჩვენებითი მოგერიების პრობლემა გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აქტიური განსჯის საგანია და მეცნიერებს შორის კვლავ სადავო თემად ითვლება.⁵⁶¹ ერთიანი აზრი ამ საკითხის შესახებ არ არსებობს. გარდა ამისა,

⁵⁵⁶ იქვე, ასევე, შდრ. Alwart, FS der Strafrechtslehrertagung (2013), გვ. 421-433.

⁵⁵⁷ იქვე, ასევე შდრ. Stratenwerth, Kuhlen, AT I (2004), გვ. 185.

⁵⁵⁸ იხ. BGHSt 45, გვ. 378-384.

⁵⁵⁹ შდრ.: Haft, AT (2004), გვ. 257-259; Heinrich, AT II (2010), გვ. 126-128.

⁵⁶⁰ შდრ. Safferling (2008), გვ. 206.

⁵⁶¹ იქვე, გვ. 205, ასევე შდრ. Heinrich, AT II (2010), გვ. 126.

ამას ემატება ისიც, რომ შეცდომის ეს სახე, როგორც ზემოთ ითქვა, გერმანული სისხლის სამართლის კოდექსში საკანონმდებლო დონეზე არ არის მოწესრიგებული⁵⁶². თუმცა, ამის მცდელობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში არსებობდა. კერძოდ, 1962 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თავდაპირველი პროექტის მე-20 პარაგრაფი უკავშირდებოდა მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევას; აღნიშნული ნორმის შინაარსი კი, შემდეგი ფორმით იყო ჩამოყალიბებული: „ის, ვინც ქმედების ჩადენის დროს გარემოებებს, რომლებიც ამ ქმედებას გაამართლებდა, შეცდომით აღიქვამს, განზრახი დანაშაულისთვის არ დაისჯება. იგი გაუფრთხილებლობითი დელიქტისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისჯება, თუ შეცდომა გასაკიცხია და კანონი ამ კონკრეტული ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენისთვის სასჯელს აწესებს“.

გერმანიის საკანონმდებლო ორგანომ მოქმედ კოდექსში ეს წესი არ გაითვალისწინა და ამ საკითხის გადაჭრა მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკას მიანდო. სწორედ ამიტომ, მოჩვენებითი მოგერიების განხილვას თეორეტიკოსები გერმანიის სსკ-ის მე-16 (ფაქტობრივი შეცდომა) თუ მე-17 (აკრძალვაში შეცდომა) პარაგრაფების მიხედვით, განზრახვისა და ბრალის თეორიების შემადგენლობაში შექმნილი რამდენიმე თვალსაზრისის მეშვეობით ცდილობენ. ავტორთა ერთი ნაწილი ამ პრობლემას ბრალის, ხოლო მეორე ნაწილი ქმედების შემადგენლობის ეტაპზე წყვეტს. აქედან გამომდინარე, მართებულია, მოჩვენებითი მოგერიების დროს მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან დაკავშირებით არსებული საკითხები სხვადასხვა თვალსაზრისების განხილვის გზით იქნეს გაანალიზებული.

4.3.3.1. პრობლემის განხილვა განზრახვის თეორიის მიხედვით

განზრახვის თეორიის მიხედვით, განზრახვა განიხილება, როგორც ბოროტი განზრახვა (*dolus malus*) – ცოდნა, ნებელობა, მართლწინააღმდეგობის შეგნება – და იგი ყოველთვის ბრალში მოწმდება⁵⁶³.

ამ თეორიის მიხედვით, გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) ინტერპრეტაციისას, მოჩვენებითი მოგერიების დროს გამოირიცხება განზრახვის ერთ-ერთი კომპონენტი – მართლწინააღმდეგობის შეგნება, რასაც შედეგად მთლიანად განზრახვის უარყოფა მოჰყვება. დამნაშავეს კი პასუხისმგებლობა შეიძლება მხოლოდ გაუფრთხილებლობისთვის დაეკისროს⁵⁶⁴.

⁵⁶² იხ.: *Udo*, AT (2001), გვ. 156; *Heinrich*, AT II (2010), გვ. 126.

⁵⁶³ იხ. *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 174, 176.

⁵⁶⁴ იხ. *Heinrich*, AT II (2010), გვ. 129-130.

თუმცა, თავიდანვე უნდა ითქვას რომ, განზრახვის თეორია გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფთან შეუთავსებადია და აღნიშნული მოძღვრებით ამ ნორმის ინტერპრეტაცია არ არის სწორი⁵⁶⁵. სახელდობრ, კოდექსის მე-16 პარაგრაფი, ფაქტობრივი შეცდომის შემთხვევაში, მიანიშნებს მხოლოდ განზრახვის, როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის, გამორიცხვის აუცილებლობაზე⁵⁶⁶. მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი პირი კი ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშნებს – ცოდნასა და ნებელობას პრობლემის გარეშე ასრულებს.

მაშასადამე, განზრახვის თეორიით, გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფის განმარტება არ უნდა იყოს მიზანშეწონილი.

რაც შეეხება განზრახვის თეორიით სსკ-ის მე-17 პარაგრაფის (აკრძალვაში შეცდომა) ინტერპრეტირებას, როგორც ზემოთ იქნა მითითებული, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა, როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ, შესაძლებელია უკავშირდებოდეს მართლწინააღმდეგობის შეგნებას. უმართლობის შეგნება გერმანიის მოქმედი სსკ-ის მე-17 პარაგრაფის მიხედვით, განზრახვისგან დამოუკიდებლად ბრალში მოიაზრება. თუმცა, კანონმდებლის ამგვარი პოზიცია უკვე თავად განზრახვის თეორიის არსს ეწინააღმდეგება, რადგან ამ უკანასკნელის მიხედვით, განზრახვა განიმარტება როგორც ცოდნა, ნებელობა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. მაშასადამე, განზრახვის თეორიით, განზრახვა სამკომონენტო კატეგორიაა. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, ე.წ. განზრახვის თეორიისათვის მიუღებელია დანაშაულის სისტემის სხვადასხვა ეტაპზე განზრახვის თითოეული ამ ნიშნის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხილვა.

გარდა ამისა, კანონმდებელი სსკ-ის მე-17 პარაგრაფში, თავიდან აცილებადი სამართლებრივი შეცდომის დროს, ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებაზე მაშინ, როდესაც ანალოგიურ შემთხვევაში განზრახვის თეორია მთლიანად კვალიფიკაციის შეცვლაზე მიუთითებს⁵⁶⁷. სახელდობრ, ამ მოძღვრების მიხედვით, აკრძალვაში მიუტყეველი შეცდომის შემთხვევაში პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არა ისევე განზრახვი, არამედ გაუფრთხილებლობითი დელიქტის ჩადენისათვის ეკისრება, თუ, რა თქმა უნდა, ამ დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენა კანონით ისჯება.

მაშასადამე, განზრახვის თეორიის შესაბამისად, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის დროს როგორც პირდაპირ, ისე ანალოგიით ვერც სსკ-ის მე-17 პარაგრაფის გამოყენება იქნება მიზანშეწონილი.

⁵⁶⁵ იხ.: *Kindhäuser*, AT (2011), გვ. 233-234; *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 176.

⁵⁶⁶ იხ.: *Kindhäuser*, AT (2011), გვ. 233-234; *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 176.

⁵⁶⁷ იხ. *Heinrich*, AT II (2010), გვ. 129-130.

4.3.3.2. პრობლემის განხილვა ბრალის თანამიმდევრული (მკაცრი) თემორიის მიხედვით

ბრალის თანამიმდევრული (მკაცრი) თეორია (strenge Schuldtheorie)⁵⁶⁸ განზრახვას ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განიხილავს და მართლწინააღმდეგობის შეგნებას მისგან „მკაცრად“ მივანავს (პ. ველცელი)⁵⁶⁹. აღნიშნული მოძღვრებით, განზრახვის ორი კომპონენტი – ცოდნა და ნებელობა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებად წარმოგვიდგება მართლწინააღმდეგობის შეგნება კი ბრალში ინარჩუნებს დამოუკიდებელ ადგილს⁵⁷⁰.

მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობასთან დაკავშირებულია შეცდომის ისეთი სახეები, როგორცაა შეცდომა აკრძალვაში და შეცდომა აუცილებელი მოგერიების ფაქტობრივ და იურიდიულ მხარეში⁵⁷¹. აღნიშნული პოზიცია დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ ამ თეორიის წარმომადგენლებს (მაგალითად, პ. ველცელს)⁵⁷², სხვა ავტორებისგან განსხვავებით, აკრძალვაში შეცდომა ესმით არა მარტო სამართლებრივი ნორმის არცოდნად, ე.ი. ვიწროდ, არამედ ასევე მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველი ფაქტობრივი გარემოებების არცოდნად, მაშასადამე, ფართოდ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ, ბრალის თანამიმდევრული თეორიით, სულ ერთია, პირი შეცდომას უშვებს სამართლის მიერ აღიარებული ერთ-ერთი ასეთი გარემოების ობიექტურ წინაპირობებთან ან სამართლებრივ ფარგლებთან მიმართებით თუ შეცდომით ისეთ გარემოებას თვლის მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველად, რომელიც სამართლის მიერ არ არის ასეთად აღიარებული⁵⁷³. ასე რომ, ყველა ამგვარ ვითარებაში პირი შეცდომას უშვებს ქმედების მართლწინააღმდეგობასთან მიმართებით და, სწორედ ამიტომ, მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველ გარემოებებთან დაკავშირებული ყველა შემთხვევა, პ. ველცელის ბრალის მკაცრი თეორიის მიხედვით, ერთნაირად წარმოადგენს აკრძალვაში შეცდომას.⁵⁷⁴

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას: აღნიშნული მოძღვრებით, ფაქტო-

⁵⁶⁸ ამ თეორიის ფუძემდებლად პ. ველცელი ითვლება, რომელმაც მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის დამოუკიდებელ ნიშნად გამოაცხადა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის დროს, აკრძალვაში შეცდომის მსგავსად, მისი გამოძრიცხვის აუცილებლობაზე მიუთითა. ამის შესახებ იხ. *Welzel* (1969), გვ. 168. აღნიშნულ მოძღვრებას მხარს უჭერს ასევე გერმანალი მეცნიერი პ. ბოკელმანი. ამის შესახებ იხ. *Bockelmann*, AT (1978), გვ. 129.

⁵⁶⁹ იხ.: *Hruschka*, Roxin FS (2001), გვ. 446; *Kindhäuser*, AT (2011), გვ. 233-234; *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 176-177.

⁵⁷⁰ იხ. *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 176-177.

⁵⁷¹ სწორედ ამიტომ ეწოდა ამ თეორიას ბრალის თანამიმდევრული, მკაცრი თეორია, ვინაიდან იგი შეცდომის ყველა სახეს, ფაქტობრივი შეცდომის გარდა, მართლწინააღმდეგობის შეგნების ელემენტის არარსებობას უკავშირებს.

⁵⁷² იხ. *Welzel* (1961), გვ. 69.

⁵⁷³ იქვე. ამ მოძღვრებასთან დაკავშირებით ქართულ ენაზე იხ.: ტურავა (2011), გვ. 525-526; *მაღლაკელიძე*, „სამართლის ჟურნალი“, №2 (2009), გვ. 94-109.

⁵⁷⁴ იხ. *Welzel* (1961), გვ. 69.

ბრივი შეცდომა, რომელიც გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 პარაგრაფში მოიაზრება, იმით განსხვავდება სხვა დანარჩენი შეცდომებისაგან, რომ დამნაშავის მიერ ფაქტობრივი გარემოებების არცოდნა განზრახვის გამორიცხვის საფუძველს იძლევა. სამართლებრივი შეცდომისა და მოჩვენებითი მოგერიების დროს კი, გერმანიის სსკ-ის მე-17 პარაგრაფიდან გამომდინარე, ხდება მართლწინააღმდეგობის შეგნების და, შესაბამისად, ბრალის უარყოფა, თუ შეცდომა თავიდან აუცილებლად მიიჩნევა (ე.წ. მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნების არარსებობა).⁵⁷⁵

მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვით, მე-17 პარაგრაფის ინტერპრეტაცია გულისხმობს ნებისმიერი შეცდომის შემთხვევაში, გარდა ფაქტობრივი შეცდომისა, მხოლოდ უმართლობის შეგნების უპირობოდ გამორიცხვას და პირის მიმართ სასჯელის შემსუბუქებას სსკ-ის 49-ე პარაგრაფზე (კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოებები) მითითებით⁵⁷⁶. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე კი შეიძლება დავასკვნათ, რომ მსგავსი ხასიათის შეცდომები, რომლებიც ბრალის ეტაპზე განიხილება, არ გამორიცხავს განზრახვას, არამედ მხოლოდ მართლწინააღმდეგობის შეგნებას და ისიც იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა თავიდან აუცილებადია (მართლწინააღმდეგობის როგორც აქტუალური, ისე პოტენციური შეგნების არარსებობა).⁵⁷⁷

მიუხედავად ამგვარი მოსაზრებისა, ისმის კითხვა, რამდენად სამართლიანია ნებისმიერი შეცდომის დროს (გარდა ფაქტობრივისა) წარმოშობილი პრობლემის იდენტურად გადაწყვეტა და ხომ არ ეწინააღმდეგება აღნიშნული წესი კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს? უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, აქ მხედველობაში გვაქვს მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომისა და აკრძალვაში შეცდომის ურთერთგამიჯვნის პრობლემა, რა დროსაც მოქმედი, ერთ შემთხვევაში, შეცდომას უშვებს მხოლოდ მართლწინააღმდეგობის ფაქტობრივი გარემოებების არსებობასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე შემთხვევაში – სამართალში⁵⁷⁸. სამართლებრივი შედეგი კი მას ორივე ვითარებაში იდენტურად ერაცხება, ორივე სიტუაციაში დამნაშავე ისჯება ისევე განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის, თუ ეს შეცდომა თავიდან აცილებლად მიიჩნევა⁵⁷⁹.

ბრალის თანამიმდევრული თეორიის მიხედვით, მოჩვენებით მოგერიებამში მყოფი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის ამგვარად გადაწყვეტა გაუმართლებელია. დაუშვებელია, დამნაშავე მართლწინააღმდეგობის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომისთვის

⁵⁷⁵ იხ.: *Kühl*, AT (2008), გვ. 336; *Heinrich*, AT II (2010), გვ. 131-132; *Hruschka*, Roxin FS (2001), გვ. 446.

⁵⁷⁶ იხ. *Heinrich*, AT II (2010), გვ. 131-132, 149.

⁵⁷⁷ იხ.: *Schmidhäuser*, AT (1984), გვ. 220; *Roxin*, AT I (2006), გვ. 625.

⁵⁷⁸ იხ. *Scheffler*, Jura (1993), გვ. 617-620.

⁵⁷⁹ იხ. *Dieckmann*, Jura (1994), გვ. 178-185.

იმგვარადვე დაისაჯოს, როგორც თავიდან აცილებადი აკრძალვაში შეცდომის შემთხვევაში. საკითხის ამგვარი წესით გადაწყვეტა შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს სამართლიანობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებთან⁵⁸⁰. მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი პირი „სამართლისადმი ყოველთვის ერთგულია“⁵⁸¹ აკრძალვაში შეცდომის ვითარებაში მოქმედი კი, როგორც წესი, პოზიტიური სამართლის ნორმების დამრღვევად გვევლინება. გამომდინარე აქედან, შეცდომის ამ ორი განსხვავებული მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში პირის სამართლებრივი საკითხიც სხვადასხვაგვარად უნდა გადაწყდეს.

გარდა ზემოაღნიშნული არგუმენტისა, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის დროს დამნაშავე მხოლოდ მართლწინააღმდეგობის ფაქტობრივ გარემოებებში ცდება და არა მის სამართლებრივ მხარეში⁵⁸². სწორედ ამიტომ, ამ ვითარებაში საქმე ეხება არა უშუალოდ მართლწინააღმდეგობის შეგნებას, არამედ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ცოდნის არარსებობას⁵⁸³. უმართლობის შეგნება, როგორც აღმოჩნდა, უშუალოდ დაკავშირებულია დამნაშავეს მხრიდან მის მიერ განხორციელებული ქმედების შეფასებასთან (იგულისხმება არაიურისტის მიერ გაკეთებული შეფასება). სახელდობრ, პირი ასეთ შემთხვევაში საკუთარ გონებაში ახდენს იმის შეფასებას, ჩადენილი ქმედება მართლზომიერია თუ მართლსაწინააღმდეგო. მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი პირი კი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ არსებულ ცოდნაში ცდება და არა ასეთი ქმედების დასაშვებლობაში ან კიდევ მის აკრძალულობაში.⁵⁸⁴ ამ უკანასკნელ ვითარებაში მოქმედს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ იგი რეალურ თავდამსხმელს იგერიებს.

მართლწინააღმდეგობის ეტაპზე წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ცოდნა, ერთი მხრივ, საჭიროა, განვასხვავოთ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე მოცემული ბუნებრივი განზრახვის კონიტიური ელემენტისგან, რომელიც, ასევე, აუცილებელი მოგერიების შემთხვევაში არსებობს, ხოლო, მეორე მხრივ, მისი აღრევა არც უმართლობის შეგნებაში უნდა მოხდეს. იურიდიულ მეცნიერებაში მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომისას შესამოწმებელ ამ ცოდნას ზმირად „მართლწინააღმდეგობის განზრახვის“ სახელწოდებითაც მოიხსენიებენ⁵⁸⁵. თუმცა, გასარკვევია სწორედ ის, დანაშაულის სისტემის თუ რომელ ეტაპზე უნდა მოხდეს ამ ნიშნის შემოწმება⁵⁸⁶.

⁵⁸⁰ იხ.: *Wentzell*, *Jura* (2001), გვ. 30-34; *Heinrich*, *AT II* (2010), გვ. 109.

⁵⁸¹ ამის შესახებ იხ.: *Wessels*, *Beulke*, *AT* (2011), გვ. 177-178; *Heinrich*, *AT II* (2010), გვ. 128, 131; *BGHSt* 3, გვ. 107; *Kühl*, *AT* (2008), გვ. 415.

⁵⁸² იხ. *Udo*, *AT* (2001), გვ. 157.

⁵⁸³ იქვე.

⁵⁸⁴ იხ. *Safferling* (2008), გვ. 206.

⁵⁸⁵ იხ. *Heinrich*, *AT II* (2010), გვ. 133.

⁵⁸⁶ იქვე.

ამ პრობლემიდან გამოსავალი, გერმანელმა თეორეტიკოსებმა, ერთი შეხედვით, მარტივად, ბრალის შეზღუდული თეორიის შექმნაში იპოვეს. აღნიშნული მოძღვრების ფარგლებში შექმნილი „სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული თეორია“ დღესდღეობით გაბატონებულ შეხედულებად ითვლება გერმანიის იურიდიულ დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში, თუმცა, სანამ უშუალოდ ამ თეორიას განვიხილავდეთ, საჭიროა, თავად „ბრალის შეზღუდული თეორია“ გაანალიზდეს.

4.3.3.3. პრობლემის განხილვა ბრალის შეზღუდული თეორიის მიხედვით

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ბრალის შეზღუდული თეორიის (eingeschränkte Schuldtheorie) რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც სხვადასხვაგვარად განიხილავენ მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომას⁵⁸⁷.

აღნიშნული მოძღვრების წარმომადგენელთა ერთი ნაწილი (მაგალითად, *კ. როქსინი*⁵⁸⁸, *კ. ქიული*⁵⁸⁹, *უ. ებერტი*⁵⁹⁰ და სხვ.) მიიჩნევს, რომ მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევაში ქმედების სუბიექტური შემადგენლობა უნდა გამოირიცხოს და პირს პასუხისმგებლობა მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) ანალოგიის შესაბამისად, გაუფრთხილებლობისთვის უნდა დაეკისროს⁵⁹¹.

ამ შეხედულების მიმდევართა პოზიციით, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის დროს, სსკ-ის მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) პირველი ნაწილის ანალოგიით, უარყოფილ იქნება ქმედების განზრახვა, შესაბამისად – განზრახი დანაშაულის ქმედების სუბიექტური შემადგენლობაც. მოქმედის დასჯადობის საკითხი კი, ფაქტობრივი შეცდომის მსგავსად, გაუფრთხილებლობის ფარგლებში გადაწყდება⁵⁹². ზემოდასახელებულ ავტორთა ამგვარი თვალსაზრისი დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფის პირველ ნაწილში („ის ვინც არ იცნობს ქმედების განზრციელების დროს გარემოებას, რომელიც კანონით განსაზღვრულ ქმედების შემადგენლობას მიეკუთვნება, განზრახ არ მოქმედებს“) გათ-

⁵⁸⁷ იხ.: *Hruschka*, Roxin FS (2001), გვ. 441-456; *Heinrich*, AT II (2010), მე-15 სქოლიო, გვ. 131.

⁵⁸⁸ იხ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 624, 626-632.

⁵⁸⁹ იხ. *Kühl*, AT (2008), გვ. 414-416.

⁵⁹⁰ იხ. *Udo*, AT (2001), გვ. 156-158.

⁵⁹¹ იხ.: *Stratenwerth*, *Kuhlen*, AT I (2004), გვ. 185-188; *Baumann*, *Weber*, *Mitsch*, AT (2003), გვ. 493, 511-512; *Hruschka*, Roxin FS (2001), გვ. 441-456.

⁵⁹² შდრ. *Heinrich*, AT II (2010), გვ. 132.

ვალისწინებული განზრახვის კოგნიტიური ელემენტი გულისხმობს როგორც ქმედების ფაქტობრივი გარემოებების მიმართ, ისე მართლწინააღმდეგობის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არსებულ ცოდნასაც⁵⁹³. სწორედ ამიტომ, განზრახვის ცოდნის კომპონენტი უარყოფილ უნდა იქნეს ფაქტობრივი შეცდომისა და მოჩვენებითი მოგერიების დროს.

მეცნიერთა მეორე ნაწილი (არტ. *კაუფმან*⁵⁹⁴, ბ. *შუნემან*⁵⁹⁵ და სხვ.) თვლის, რომ ასეთი შეცდომის შემთხვევაში საჭიროა სსკ-ის მე-16 პარაგრაფის არა ანალოგიით, არამედ პირდაპირი წესით გამოყენება. ამ ვითარებაშიც მიზანშეწონილია, გამოირიცხოს ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, ე.ი. განზრახვა, რის შემდეგაც პირს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისთვის უნდა დაეკისროს.

მეცნიერთა მესამე ნაწილი, ასე მაგალითად, (პ. პ. *იეშეკი*, ი. *ვესელსი*, ვ. *გალასი*...) მართლწინააღმდეგობის შეგნებას, მართალია, ბრალის დამოუკიდებელ ელემენტად აცხადებს, მაგრამ შეცდომის პრობლემებს განსხვავებულად წყვეტს⁵⁹⁶. კერძოდ, სამართლებრივ შეცდომასა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებულ შეცდომას დასახელებული ავტორები მართლწინააღმდეგობის შეგნების სფეროში მოიაზრებენ. ეს კი, ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული შეცდომის სახეები სსკ-ის მე-17 პარაგრაფიდან (აკრძალვაში შეცდომა) გამომდინარე, გამორიცხავს მხოლოდ უმართლობის შეგნებას, როგორც ბრალის დამოუკიდებელ ნიშანს⁵⁹⁷. რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომას, მეცნიერები ასეთ დროს უარყოფენ მხოლოდ ე.წ. განზრახვის ბრალს, ე.ი. განზრახვას, როგორც ბრალის დამოუკიდებელ ნიშანს⁵⁹⁸. ავტორთა ეს შეხედულება ეყრდნობა, ერთი მხრივ, დებულებას იმის შესახებ, რომ ამგვარ შეცდომაში მოქმედი სამართლისადმი ყოველთვის ერთგულია⁵⁹⁹, ანუ დამნაშავე აქ ცდება მხოლოდ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ფაქტობრივ გარემოებებში და არა სამართალში, ხოლო, მეორე მხრივ, იმ არგუმენტს, რომლის მიხედვითაც მოჩვენებითი მოგერიებაში მყოფი პირი უფრო ნაკლებად უნდა იმსახურებდეს გაკიცხვას, ვიდრე ეს აკრძალვაში შეცდომითაა გათვალისწინებული⁶⁰⁰. ხატოვნად აღწერს ამ შემთხვევას ი. *ვესელსი*, როცა მოჩვენებითი მოგერიების მდ-

⁵⁹³ შტრ. *Roxin*, AT I (2006), გვ. 629.

⁵⁹⁴ იხ. *Kaufmann*, JZ (1954), გვ. 653-659.

⁵⁹⁵ იხ. *Schünemann, Greco*, GA (2006), გვ. 777-792.

⁵⁹⁶ იხ.: *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 177-180; *იეშეკის* და *ვაიგენლის* დასახ. ნაშრ., გვ. 462-466; *Heinrich*, AT II (2010), გვ. 132-136; *Gallas, Bockelmann* FS (1979), გვ. 170-179; *Gallas* (1969), გვ. 56-58, ასევე შტრ. *Herzberg*, FS (2000), გვ. 51-82.

⁵⁹⁷ იხ. *Kühl*, AT (2008), გვ. 415-416.

⁵⁹⁸ იხ. *Turava* (1998), გვ. 257.

⁵⁹⁹ იხ.: *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 177-178; *Heinrich*, AT II (2010), გვ. 128, 131; *BGHSt* 3, გვ. 107; *Kühl*, AT (2008), გვ. 415.

⁶⁰⁰ იხ. *Kelker*, Jura (2006), გვ. 591-597.

გომარეობაში მოქმედს შემდეგნაირად ახასიათებს: – აქ დამნაშავე არის „ბოთე“ და არა „არამზადა“⁶⁰¹.

მაშასადამე, ზემოაღნიშნულ ავტორთა შეხედულებები, როგორც აღმოჩნდა, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია. თითოეულ ამ მოსაზრებას კი თავისი დოკუმატური დასაბუთება აქვს:

მეცნიერთა პირველი ნაწილი, რომელიც მოჩვენებით მოგერიებისას, გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფის ანალოგიიდან გამომდინარე, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის გამორიცხვას ემხრობა, შეიძლება, ჩაითვალოს ე.წ. ბრალის წმინდა შეზღუდული თეორიის წარმოდგენელად (ბრალის თეორიის ვიწრო გაგება). ეს ავტორები, ერთი მხრივ, განზრახვას ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშნად აღიარებენ, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი შეცდომის დროს წარმოშობილ პრობლემას ფაქტობრივი შეცდომის ანალოგიურად წყვეტენ;

მეცნიერთა მეორე ნაწილი, რომელიც მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევაში გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფის პირდაპირ გამოყენებას მიზანშეწონილად მიიჩნევს, ითვლება ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების შესახებ მოძღვრების მხარდამჭერად;

ავტორთა მესამე ჯგუფი კი, რომელთა თვალსაზრისიც ერთგვარად განსხვავებულია მეცნიერთა წინა ორი შეხედულებისგან და გულისხმობს ასეთი შეცდომის მდგომარეობაში არა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის, არამედ ბრალის გამორიცხვას, მიეკუთვნება ე.წ. სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული თეორიის წარმომადგენელთა წრეს.

მიზანშეწონილია ყურადღების შეჩერება იმ მეცნიერთა შეხედულებებზე, რომლებიც ერთ შემთხვევაში ქმედების სუბიექტური შემადგენლობის, ხოლო მეორე შემთხვევაში ბრალის გამორიცხვას აღიარებენ. ავტორთა (ჯ. როქსინი, ქ. ქიული, უ. ებერტი) ის მოსაზრება კი, რომლის მიხედვითაც, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომისას ხდება მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) ანალოგიის წესით გამოყენება და უმართლობის განზრახვის უარყოფა, ცალკე გაანალიზებას არ საჭიროებს. მათი შეხედულებები შინაარსობრივად, გარკვეულწილად, ემსგავსება ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების შესახებ მოძღვრების მიმდევართა მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რაც გულისხმობს ასევე ამ შემთხვევაშიც განზრახვი დანაშაულის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის უპირობოდ გამორიცხვას. გამომდინარე აქედან, მომდევნო კვთაებში განვიხილავთ მხოლოდ მოძღვრებას ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების შესახებ და სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდულ თეორიას.

⁶⁰¹ გერმანულად: Der Täter ist ein Schussel und kein Schurke. ამის შესახებ იხ. *Wessels, Beulke, AT* (2011), გვ. 177-178.

4.3.3.3.1. პრობლემის განხილვა ქმედების შემაღვანელობის ნეგატიური ნიშნების მოძღვრების მის ელვით

ქმედების შემაღვანელობის ნეგატიური ნიშნების შესახებ მოძღვრების მიხედვით, მოჩვენებითი მოგერიების დროს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ბრალის ე.წ. წმინდა შეზღუდული თეორიის ანალოგიურად წყდება⁶⁰². თუმცა, ეს მოძღვრება ამ შედეგამდე სულ სხვა გზით მიდის. კერძოდ, იგი, მართალია, განზრახვას ქმედების სუბიექტურ შემაღვანელობას აკუთვნებს, მაგრამ ქმედების შემაღვანელობასა და დანაშაულის მეორე ელემენტს – მართლწინააღმდეგობას, როგორც ერთ მთლიანს ისე განიზილავს და ამ უკანასკნელს ქმედების შემაღვანელობის შემაღვანელ ნაწილად აცხადებს⁶⁰³. ეს ნიშნავს იმას, რომ მართლწინააღმდეგობა არის უკვე არა დანაშაულის დამოუკიდებელი, არამედ უშუალოდ ქმედების შემაღვანელობის ნეგატიური ნიშანი⁶⁰⁴.

თავად „ქმედების შემაღვანელობის ნეგატიური ნიშნების შესახებ“ მოძღვრების არსი კი, როგორც აღინიშნა, მდგომარეობს იმაში, რომ ქმედების შემაღვანელობა მოცავს არა მარტო პოზიტიურ, არამედ, ასევე, ნეგატიურ ნიშნებსაც, რომლებიც, მართალია, შემაღვანელობაში პირდაპირ მითითებული არ არის, მაგრამ მასში „უხილავად“ მოიაზრება⁶⁰⁵. მასასადამე, ამ თეორიით, მოჩვენებითი მოგერიების დროს ისევე, როგორც აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა გამოირიცხოს არა მარტო ქმედების სუბიექტური შემაღვანელობა, არამედ დანაშაულის მთლიანი შემაღვანელობაც⁶⁰⁶.

ამრიგად, აღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომისას პირდაპირ მოხდება მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) გამოყენება, რის შედეგადაც, ფაქტობრივი შეცდომის ანალოგიურად, გამოირიცხება ქმედების სუბიექტური შემაღვანელობა – განზრახვა და პირს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისთვის დაეკისრება.⁶⁰⁷

ეს შეხედულება თავშივე უნდა იქნეს უარყოფილი, ვინაიდან, ჯერ ერთი,

⁶⁰² ამ მოძღვრების შესახებ იხ.: Kaufmann (1984), გვ. 66; Hirsch (1960), გვ. 311-344; Schünemann, Greco, GA (2006), გვ. 777-792; Stratenwerth, Kuhlen, AT I (2004), გვ. 186; Mayr (1992), გვ. 54.

⁶⁰³ იხ. Kindhäuser, AT (2011), გვ. 235-236.

⁶⁰⁴ იქვე, ასევე იხ. Rengier, AT (2009), გვ. 275-276.

⁶⁰⁵ შდრ.: იეშეკისა და ვაიგენლის დასახ. ნაშრომს, გვ. 250; Baumann, Weber, Mitsch, AT (2003), გვ. 315-317; Kaufmann, JZ (1955), გვ. 37; Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 47-48; Jakobs, AT (1991), გვ. 156-158.

⁶⁰⁶ შდრ.: Kühl, AT (2008), გვ. 416; Heuchemer (2005), გვ. 159-160.

⁶⁰⁷ იქვე, ასევე იხ. Roxin, AT I (2006), გვ. 630.

მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევაში, ისევე, როგორც აუცილებელი მოგერიების დროს, პირი ქმედების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებს ეჭვგარეშე ახორციელებს, მეორეც, ამგვარი შეცდომის ვითარებაში მოქმედ თანამონაწილეთა დასჯადობის დასაბუთება, ამ თეორიის მიხედვით, შეუძლებელია. თვალსაჩინოებისთვის შეიძლება, შემდეგი მაგალითის მოყვანა:

ა.-მ თავის მეგობარ ბ.-ს შარვლის უკანა ჯიბიდან ხუმრობით მობილური ტელეფონი ფარულად ამოაცალა და იგი თავის ზურგანთაში დამალა. როცა ბ. მიხვდა, რომ ტელეფონი ჯიბეში აღარ ჰქონდა, ა.-მ იქვე მიმავალ მის თანაკურსულ ც.-ზე, როგორც მისი მობილურის ქურდზე, მიუთითა. განრისხებული ბ. მაშინვე მივარდა ც.-სთან საკუთარი ტელეფონის უკან დასაბრუნებლად (რომელიც სინამდვილეში არა ც.-ს, არამედ ა.-ს ჰქონდა) და მას ხელიც გაართვა. ამ „ფაქტს“ თავის მხრივ, თვალყურს ადევნებდა ასევე, ა.-ს მეგობარი დ.-ე, რომელმაც რეალურად იცოდა, რაც მოხდა, თუმცა იგი ბ.-ს მინც ფსიქოლოგიურად ამხნევებდა და შემახილებით ც.-ს ცემისკენ მოუწოდებდა. იგი თავადაც იყო განაწყენებული ც.-ზე და მისი ცემა დიდი ხნის წინ ჰქონდა გადაწყვეტილი. ც. ხელის გარტყმის გამო მიწაზე წაიქცა. ამის შემდეგ ა.-მ ბ.-ს მობილური ტელეფონი დაუბრუნა⁶⁰⁸.

ზემოთ მოყვანილ კაზუსში, როგორც ჩანს, ადგილი აქვს მოჩვენებით მოგერიებას, ანუ მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომას. თუმცა, საკითხავია, როგორ უნდა გადაწყდეს როგორც ამსრულებლის – ბ.-ს, ისე ამ ქმედებაში მონაწილე ა.-სა და დ.-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

ამ შემთხვევისთვის, თუკი გამოყენებული იქნება მოძღვრება „ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების შესახებ“, მაშინ ამსრულებლის, ანუ ბ.-ს მიმართ, გამოირიცხება როგორც ქმედების შემადგენლობა, ისე მართლწინააღმდეგობაც, ე.ი. მთლიანად განზრახი დანაშაულის უმართლობა და მას პასუხისმგებლობა შეიძლება გაუფრთხილებლობისთვის დაეკისროს. მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევას აღნიშნული მოძღვრება ქმედების შემადგენლობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის ანალოგიურად წყვეტს. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ამ ვითარებაში წამქეზებლის – ა.-სა და ფსიქოლოგიური დამხმარის – დ.-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ნეგატიურად უნდა გადაწყდეს⁶⁰⁹, ვინაიდან თანამონაწილეობა აქცესორული ხასიათისაა და მათი დასჯადობის საკითხი დამოკიდებულია სწორედ ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. გაუფრთხილებელობითი თანამონაწილეობა კი

⁶⁰⁸ ანალოგიური ტიპის კაზუსი თავის სახელმძღვანელოში მოყვანილი აქვს ასევე გერმანელ პროფესორს პ. ჰაინრიხს. აღნიშნულის შესახებ იხ. Heinrich, AT II (2010), გვ. 136.

⁶⁰⁹ იქვე, გვ. 138.

არ არსებობს⁶¹⁰. ამაზე მიუთითებს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე (წამქეზებლობა) და 27-ე (დახმარება) პარაგრაფებიც, სადაც კანონმდებელი მხოლოდ განზრახ დანაშაულში მონაწილე წამქეზებელისა და დამხმარის დასჯადობაზე მიანიშნებს.

მაშასადამე, ამ თეორიის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში ამსრულებელმა – ბ.-მ გაუფრთხილებლობით დანაშაულისთვის უნდა აგოს პასუხი, ხოლო წამქეზებელი – ა. და ფსიქოლოგიური დამხმარე – დ. სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლდნენ.

მიუხედავად ამგვარი კრიტიკული მსჯელობისა, „ქმედების შემაღენლობის ნეგატიური ნიშნების შესახებ“ მოძღვრების წარმომადგენლები ცდილობენ ზემოთ მოყვანილ ანალოგიურ შემთხვევებში ა.-ს მიმართ არა წამქეზებლობა, არამედ შუალობითი ამსრულებლობა დაასაბუთონ, ხოლო ფსიქოლოგიური დამხმარის – დ.-ს მიმართ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ თეორიის მომხრეთა მიერ არ არის არგუმენტირებული. საბოლოოდ, ამსრულებლის მიმართ განზრახი დანაშაულის უმართლობა გამოირიცხება, ხოლო დამხმარის, როგორც შუალობითი ამსრულებლის პასუხისგებაში მიცემა, დოგმატურად დაუსაბუთებელია. ეს უკანასკნელი შუალობითი ამსრულებლის ფუნქციას არ ახორციელებს, არამედ მხოლოდ ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს ამსრულებელს. მაშასადამე, აღნიშნული მოძღვრებით, ფიზიკური თუ ფსიქიკური დამხმარე საბოლოო ჯამში მაინც დაუსჯელი უნდა დარჩეს. ამ მსჯელობიდან გამომდინარე კი შეიძლება ითქვას, რომ ეს თეორია როგორც ამსრულებლის, ისე თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხს რაციონალურად ვერ წვევტს⁶¹¹.

„ქმედების შემაღენლობის ნეგატიური ნიშნების შესახებ“ მოძღვრებით, თანამონაწილეობის დასჯადობის დასაბუთება განსაკუთრებით პრობლემურია ასევე დელიქტების იმ ტიპში, რომელიც შესაძლებელია, ჩადენილ იქნეს მხოლოდ „საკუთარი ხელით“. ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი სახის დანაშაულები, რომელთა განხორციელებაც მხოლოდ სპეციალურ სუბიექტს შეუძლია და ასეთ დროს შუალობითი ამსრულებლობის დადგენა ვერ ხერხდება. ასე მაგალითად, ა.-მ თავისი თანასოფელი ბ. წააქეზა, რათა ამ უკანასკნელს სასამართლოში ა.-ს ახლო ნათესავის სასარგებლოდ ცრუ ჩვენება მიეცა. ამასთან, ა.-მ ბ. იმაშიც დაარწმუნა, რომ ამგვარი მოქმედება არ წარმოადგენდა სამართლებრივად აკრძალულ ქმედებას. ბ.-მ მართლაც მისცა სასამართლოში ცრუ ჩვენება. ბ. დარწმუნებული იყო იმაში, რომ მისი საქციელი არ იყო კანონსაწინააღმდეგო.

ამ ვითარებაში, ა. შუალობითი ამსრულებელი ვერ იქნება. მას, როგორც აღნიშნული დანაშაულისთვის არასპეციალურ სუბიექტს არ შეუძლია ცრუ

⁶¹⁰ შდრ.: იემეკისა და ვაიენდის დასახ. ნაშრომს, გვ. 654-655; Welzel (1969), გვ. 99.

⁶¹¹ იხ. Heinrich, AT II (2010), გვ. 138.

ჩვენების შემადგენლობის განხორციელება. ამიტომ, ეს უკანასკნელი პასუხისმგებლობისგან სრულიად უსაფუძვლოდ უნდა გათავისუფლდეს, რაც სწორი არ უნდა იყოს. ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი არის თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დასაბუთება, რომელიც გულისხმობს ა.-ს წამქეზებლის სტატუსით დასჯას, ხოლო ბ.-ს, როგორც არაბრალეულად მოქმედი ამსრულებლის (მან ამ შემთხვევაში თავიდან აუცილებელი სამართლებრივი შეცდომა დაუშვა), პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. „ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების შესახებ“ მოძღვრებას კი, როგორც აღმოჩნდა, საკითხის ამგვარი წესით გადაწყვეტა არ ძალუძს. პრობლემიდან ყველაზე ოპტიმალურ გადაჭრის გზას ასეთ შემთხვევაში სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული თეორია გვთავაზობს. ამ უკანასკნელის მიხედვით, შესაძლებელია, მსგავსი სახის დანაშაულებრივ ქმედებაში, ერთი მხრივ, ამსრულებლობის საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა, ხოლო, მეორე მხრივ, თანამონაწილეების დასჯადობის დამტკიცებაც, თანამონაწილეობის ლიმიტირებული აქტესორული თეორიიდან გამომდინარე.⁶¹²

ამრიგად, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის დროს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის განზრახვის გამორიცხვა არ უნდა ხდებოდეს. ამგვარ ვითარებაში პირი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანს, ისევე როგორც აუცილებელი მოგერიების დროს, უპრობლემოდ ასრულებს⁶¹³. კერძოდ, დამნაშავემ მოჩვენებითი მოგერიებისას იცის, რომ ადამიანს კლავს და ამის ნებელობა აქვს კიდევ. სწორედ ამიტომ, გაზიარებულ არ უნდა იქნეს როგორც ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების შესახებ მოძღვრების მიმდევართა, ისე ე.წ. ბრალის წმინდა შეზღუდული თეორიის წარმოადგენელთა (ე. როქსინის, უ. ებერტი და სხვ.) ის მოსაზრება, რომელიც გულისხმობს ამ სახის შეცდომის დროს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის მთლიანად გამორიცხვას. ასეთ შემთხვევაში მზარდაჭერას უფრო მეტად იეშეკისა და ვესელის თვალსაზრისი იმსახურებს. მათი შეხედულებით, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომისას საჭიროა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ჯერ „ბუნებრივი განზრახვის“ დადგენა, ხოლო შემდეგ ე.წ. „განზრახვის ბრალის“ შემოწმება, რომელიც ამგვარი შეცდომისას შეიძლება გამოირიცხოს⁶¹⁴.

მიუხედავად ასეთი მსჯელობისა, ჩნდება რამდენიმე პრობლემა: (1) საკითხავია, თუ რა ფუნქციისა და შინაარსის მატარებელია ე.წ. „განზრახვის ბრალი“; (2) გასარკვევია, თუ რა კავშირი აქვს მას ქმედების შემადგენლობის განზრახვასთან. ამასთან, საკითხი აუცილებლად გერმანიის სსკ-ის მე-17

⁶¹² იქვე, გვ. 136-138.

⁶¹³ იხ.: Heinrich, AT II (2010), გვ. 133; Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 179.

⁶¹⁴ იხ.: Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 52-54, 177; იეშეკისა და ვაიკენლის დასახ. ნაშრ., გვ. 243, 430, 447, 462-466; Dreher, Heinitz FS (1972), გვ. 224-225; Hürenfeld, ZStW 93 (1982), გვ. 1000-1004.

პარაგრაფის (აკრძალვაში შეცდომა) გარეთ საჭიროებს გადაწყვეტას, რადგან, ამ ნორმით დამნაშავის სამართლებრივი მდგომარეობა თავიდან აცილებადი იურიდიული შეცდომის დროს ფაქტობრივად არ იცვლება და პირის მიმართ მხოლოდ სასჯელის შემსუბუქება ხდება⁶¹⁵.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის მისაღებად საჭიროა სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული თეორიის საგანგებოდ გაანალიზება.

4.3.3.3.2. სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული თეორია და განზრახვის ორმაგი ფუნქცია

სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული თეორია (rechtsfolgenverweisende oder rechtsfolgenbeschränkte Schuldtheorie), დღესდღეობით გაბატონებულ შეხედულებად ითვლება გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში. ეს მოძღვრება განზრახვას სხადასხვა „ფუნქციას“ ანიჭებს ქმედებისა და ბრალის ეტაპებზე. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ განზრახვის ორმაგი ბუნების არსებობის იდეა, რომელიც შემდგომში *ვ. გალასმა*⁶¹⁶ სულ სხვა კუთხით წარმოაჩინა, *პ. ველცელს* ეკუთვნის.⁶¹⁷ ეს უკანასკნელი თავის სახელმძღვანელოში ხასგასმით უთითებს, რომ „თუკი განზრახ დელიქტებში განზრახვა დგინდება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე, ბრალში ის უკვე მნიშვნელოვანია სწორედ პერსონალური გასაკიცხაობის კუთხით“⁶¹⁸.

პ. ველცელის მიხედვით, გასაკიცხაობის კრიტერიუმები არ ამოიწურება მხოლოდ სუბიექტური ნიშნებით, არამედ გასაკიცხაობის საგანს წარმოადგენს ასევე ყველა ის გარეგანი და შინაგანი (ამ შემთხვევაში სუბიექტური) გარემოება, რომელიც ცალკეულ მოქმედებას კონკრეტული დროისათვის ახასიათებს.⁶¹⁹ ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: მოლარე ბანკის სალაროდან ყოველდღიურად ფარულად ფულს ითვისებს. მეცნიერის აზრით, მისი განზრახი მოქმედების ბრალის ხარისხის განსაზღვრისა და გასაკიცხაობისთვის ღიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, მოლარე ამ ქმედებას ახორციელებს უბრალოდ იმის გამო, რომ ფული სჭირდება მეგობარ ქალთან ერთად მოგზაურობისთვის, თუ უნდა, რომ ფილტვების ან-

⁶¹⁵ იხ. *Heinrich*, AT II (2010), გვ. 109.

⁶¹⁶ შტრ.: *Gallas*, Bockelmann FS (1979), გვ. 170; *Gallas*, ZStW (1955), გვ. 1-15; *Gallas* (1968), გვ. 57, ასევე იხ.: *Hürenfeld*, ZStW 93 (1982), გვ. 1000-1004; *Moos*, ZStW 93 (1982), გვ. 1017-1043.

⁶¹⁷ შტრ. *Welzel* (1961), გვ. 59-60.

⁶¹⁸ იქვე, ასევე იხ.: *Herzberg*, FS (2000), გვ. 51-82; *ტურავა* (2011), გვ. 437-438.

⁶¹⁹ შტრ.: *Welzel* (1961) გვ. 59-60; *ტურავა* (2011), გვ. 437-438.

თებით დაავადებული მეუღლე გააგზავნოს სანატორიუმში დასასვენებლად.⁶²⁰

მაშასადამე, კ. ველცელი განზრახვას, ერთი მხრივ, ქმედების სუბიექტურ შემადგენლობის ეტაპზე განიხილავს, ხოლო, მეორე მხრივ, მის მნიშვნელობას ბრალში, პერსონალური გასაკიცხაობის კუთხითაც აღიარებს. ეს კი იმას მიუთითებს, რომ განზრახვას დანაშაულის საწყისსა (ქმედების შემადგენლობის) და საბოლოო (ბრალის) ეტაპზე სხვადასხვა ფუნქცია ენიჭება.

განზრახვის ორმაგი ფუნქციის იდეა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ვ. გალასმა სულ სხვა კუთხით წარმოაჩინა და იგი უფრო გამოკვეთილად გამოხატა თავის სამეცნიერო პუბლიკაციაში⁶²¹. მისი მოძღვრების მიხედვით, განზრახვა მხოლოდ საკუთრივ ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში როდია მოცემული, არამედ არსებობს აგრეთვე ბრალის სფეროში, სადაც ის „განზრახვის ბრალის“ გამომხატველ ცნებად განისაზღვრება⁶²². ეს იმას ნიშნავს, რომ არსებითად ჩვენ წინაშეა განზრახვის ორი სახე: „ბუნებრივი“, რომელიც წამოდგენილია ქმედების შემადგენლობის ფარგლებში და „განზრახვის ბრალი“, რომელიც ბრალის შინაარსის განმსაზღვრელ ცნებად გვევლინება⁶²³. ასეთი ორმაგი ფუნქციის საფუძველზე, განზრახვა, ერთი მხრივ, ბრალის სფეროში ხდება ე.წ. „განწყობის უღირსობის“⁶²⁴ მატარებელი მოვლენა, ხოლო, მეორე მხრივ, ქმედების შემადგენლობის ეტაპზე დამნაშავეის მიერ ქმედებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულობის ამსახველი აქტი⁶²⁵.

ანალოგიურ პოზიციას ავითარებს ასევე ი. ვესელსი. იგი ამის შესახებ მიუთითებს: „ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვა არის ქცევის ფორმა, ქმედების სამართლებრივ-სოციალური მნიშვნელობით გამოხატული, რომელიც მხოლოდ დამნაშავეის ფსიქიკურ კავშირს გულისხმობს ქმედებასთან. ბრალის სფეროში კი განზრახვა არის ბრალის ფორმა, როგორც განწყობის უღირსობის მატარებელი, რომელიც გაკიცხვის საგანს წარმოადგენს“.⁶²⁶

„სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული მოძღვრების“ ამოსავალი დებულება არის, რომ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე

⁶²⁰ შდრ. *Welzel* (1961), გვ. 59. ანალოგიური მაგალითი ასევე იხ. *ტურავა* (2011), გვ. 437-438.

⁶²¹ შდრ.: *Gallas*, ZStW (1955), გვ. 1-15; *Gallas*, Bockelmann FS (1979), გვ. 170. იგივე ნაშრომი იხ. წიგნში: *Gallas* (1968), გვ. 57, ასევე შდრ.: *Herzberg*, FS (2000), გვ. 51-82; *Dreher*, Heinitz FS (1972), გვ. 224-225; *Moos*, ZStW 93 (1982), გვ. 1017-1043; *Hürenfeld*, ZStW 93 (1982), გვ. 1000-1004.

⁶²² შდრ.: *Gallas*, Bockelmann FS (1979), გვ. 170; *Kindhäuser*, AT (2011), გვ. 233-237.

⁶²³ იხ.: *Gallas*, Bockelmann FS (1979), გვ. 170; *Wessels*, *Beulke*, AT (2011), გვ. 52-54, 177; *იუშეკისა* და *ვაიგენდის* დასახ. ნაშრ., გვ. 243, 430, 447, 462-466, აგრეთვე შდრ. *Herzberg*, FS (2000), გვ. 51-82. ამ თეორიის კრიტიკის შესახებ იხ.: *Krey*, AT2 I (2008), გვ. 245; *Heuchemer* (2005), გვ. 182.

⁶²⁴ გერმანულად: *Gesinnungsunwert*.

⁶²⁵ იხ. *იუშეკისა* და *ვაიგენდის* დასახ. ნაშრ., გვ. 430, 465.

⁶²⁶ იხ. *ვესელსისა* და *ბიოლკეს* დასახ. ნაშრ., გვ. 52-54.

არსებული განზრახვა, როგორც ქცევისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების გამოხატავი და უმართლობის სუბიექტური ნიშანი „კავშირში“ უნდა იყოს ე.წ. „განზრახვის ბრალთან“. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, ქმედების შემადგენლობაში მოცემული „ბუნებრივი“ განზრახვა დანაშაულის ჩადენის დროს საჭიროა, შესაბამისობაში მოდიოდეს ბრალში წარმოდგენილ „განზრახვასთან“⁶²⁷. ბუნებრივი განზრახვის დადგენა კი ასეთ შემთხვევაში უნდა იძლეოდეს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ „განზრახვის ბრალიც“ არსებობს. „ისე, როგორც ქმედების შემადგენლობის განხორციელება მიუთითებს ქმედების მართლწინააღმდეგობაზე, ქმედების შემადგენლობის განზრახვაც, როგორც უმართლობის სუბიექტური ნიშანი, მიუთითებს განზრახვი ბრალის არსებობაზე“ – აღნიშნავს ი. ვესელსი⁶²⁸. თუმცა, ასეთი ინდიცია ისეთ ატიპიურ სიტუაციებში, როგორცაა მოჩვენებით მოგერიება, ძალას კარგავს. მაშასადამე, აღნიშნული ცნებების ერთმანეთთან თანხვედრა გამოირიცხება მხოლოდ მაშინ, როცა დამნაშავე ქმედების გამამართლებელ გარემოებებს შეცდომით აღიქვამს (ე.წ. მოჩვენებითი მოგერიების დროს). ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოხდება „განზრახვის ბრალის“ არსებობის უარყოფა და მთელი ყურადღება გადაიტანება გაუფრთხილებლობაზე⁶²⁹.

ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს ასევე, ჰ. კ. იეშეკი⁶³⁰. იგი იზიარებს განზრახვის ორმაგი ბუნების იდეას და ამასთან დაკავშირებით მიუთითებს: „განზრახვა, როგორც ქცევის წამმართველი ფაქტორი, არის ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მოქმედების უმართლობის ბირთვი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, როგორც პირის ბრალს მიკუთვნებული ნების წარმოქმნის პროცესის წარმმართველი, ასევე ბრალის შემადგენელი ნაწილი, რადგან ბრალში აისახება სწორედ ჩადენილი უმართლობის სახე და სიმძიმე“⁶³¹.

ამ მოძღვრებას ემხრობა, აგრეთვე, გერმანელი პროფესორი ფ. ჰაფტი. იგი აღნიშნავს, რომ „მართო ერთ შემთხვევაში, მართლწინააღმდეგობის ფაქტორი შეცდომის დროს, გეჭირდება განზრახვი ბრალის შემოწმება, რომელიც განზრახვისორმაგი ფუნქციის დებულებას ეყრდნობა.“⁶³²

განზრახვის ორმაგ ბუნებას მხარს უჭერს ასევე ავსტრიელი მეცნიერი რ. მოოსი,⁶³³ რომელიც, თავის მხრივ, უთითებს განზრახვის ორმაგი ფუნქციის

⁶²⁷ იქვე.

⁶²⁸ იქვე.

⁶²⁹ შტრ.: ვესელსისა და ბილიკის დასახ. ნაშრომს, გვ. 52-54; Gallas, ZStW (1955), გვ. 1-15; Gallas, Bockelmann FS (1979), გვ. 170; იეშეკისა და ვაიგენდის დასახ. ნაშრომს გვ. 243, 430, 447, 460; Hafst, AT (2004), გვ. 133-134; Hürenfeld, ZStW 93 (1982), გვ. 1000-1004; Herzberg, FS (2000), გვ. 51-82.

⁶³⁰ შტრ. იეშეკისა და ვაიგენდის დასახ. ნაშრომს, გვ. 243.

⁶³¹ იქვე, ასევე იხ. ტურავა (2011), გვ. 434-435.

⁶³² იხ. Hafst, AT (2004), გვ. 133-134.

⁶³³ შტრ. Moos, ZStW 93 (1982), გვ. 1017-1043.

შესახებ ავსტრიულ სისხლის სამართალში უფრო ადრე ფ. ნოვაკოვსკის მიერ განვითარებულ თვალსაზრისზე⁶³⁴.

რ. მოოსის მოსაზრებით, ავსტრიულ დოგმატიკაში აღნიშნულ საკითხს მხოლოდ მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის დროს უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა. მეცნიერის ეს პოზიცია გამოძვინარეობს ავსტრიის სსკ-ის მე-8 პარაგრაფიდან, რომელიც მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომას უკავშირდება.

შეცდომის ეს სახე ავსტრიელმა კანონმდებელმა, გერმანელი კანონმდებლისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე ნორმის სახით განსაზღვრა და ამით პრაქტიკულად საკანონმდებლო დონეზე შეეცადა აღნიშნული პრობლემის დარეგულირებას. ავსტრიის სსკ-ის მე-8 პარაგრაფის შინაარსი კი შემდეგში მდგომარეობს: „ის, ვინც ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამ ქმედების მართლწინააღმდეგობას გამორიცხავდა, შეცდომით აღიქვამს, შეიძლება, განზრახი დანაშაულისთვის არ დაისჯოს. პირი გაუფრთხილებლობითი დელიქტისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისჯება, თუკი შეცდომა გაუფრთხილებლობით დელიქტს აფუძნებს და კანონი ამ კონკრეტული ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენისთვის სასჯელს აწესებს.“

რ. მოოსი თვლის, რომ მოჩვენებითი მოგერიების დროს წარმოშობილი პრობლემა შესაძლებელია, განზრახვის ორმაგი ფუნქციის გამოყენებით გადაიჭრას. სახელდობრ, ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს ე.წ. „განზრახვის ბრალის“ უარყოფა და, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, პირს პასუხისმგებლობა შეიძლება გაუფრთხილებლობისთვის დაეკისროს⁶³⁵. ქმედების განზრახვა კი, მეცნიერის აზრით, ხელშეუხებელი უნდა რჩებოდეს⁶³⁶.

ამრიგად, სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული თეორიით, განზრახვას ახასიათებს ორმაგი ბუნება და ამით განსხვავდება იგი განზრახვის ცნების ტრადიციული გაგებისგან. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს პრობლემა აუცილებლად გერმანიის სსკ-ის მე-17 პარაგრაფის (აკრძალვაში შეცდომა) ფარგლებს გარეთ უნდა გადაიჭრას, რადგან აღნიშნული ნორმა სამართლებრივ შეცდომას უკავშირდება და მხოლოდ მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობა-არარსებობაზე მიუთითებს და არა ე.წ. „განზრახვის ბრალზე“.

სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული თეორიის წარმომადგენლებმა ამ შემთხვევაში შემდეგი სახის გამოსავალი იპოვეს: მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სასამართლომ ასეთი შეცდომის დროს უნდა გამოიყენოს არა გერმანიის სსკ-ის მე-17 პარაგრაფი (აკრძალვაში შეცდომა), არამედ მხოლოდ მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) ანალოგია მიუთითოს,

⁶³⁴ იქვე.

⁶³⁵ იქვე, გვ. 1037.

⁶³⁶ იქვე.

რომლის შინაარსიც ფაქტობრივი შეცდომის პრობლემას არეგულირებს. ეს ნორმა კი, როგორც არაერთხელ ითქვა, გულისხმობს ამგვარი შეცდომისას მთლიანად განზრახვის უარყოფასა და პრობლემის გაუფრთხილებლობის სფეროში გადაწყვეტას, მიუხედავად იმისა, ასეთი შეცდომა თავიდან აცილებადი იყო თუ არა⁶³⁷.

მამასადამე, გერმანიის სისხლის სამართლის მეცნიერებამე განზრახვის ორმაგი ფუნქცია მხოლოდ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ფაქტობრივი გარემოებების დროს დაშვებული შეცდომისას არის აქტუალური და საკითხის გაანალიზება გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფის ანალოგიის მეშვეობით ხდება. კანონის ანალოგია კი, ასეთ შემთხვევაში გამართლებულია. ბრალდებულს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თავიდან აცილებადი აკრძალვაში შეცდომის დროს დადგენილი პასუხისმგებლობისგან განსხვავებით, შედარებით უმსუბუქდება, რაც მის მიერ გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედების დასჯადობაში გამოიხატება.⁶³⁸

სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებულმა ბრალის შეზღუდულმა თეორიამ მოგვიანებით ფართო გავრცელება პოვა არა მარტო დოგმატიკაში, არამედ სასამართლო პრაქტიკაშიც.⁶³⁹

4.3.3.3. სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული თეორიის კრიტიკული ანალიზი

სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული თეორიიდან გამომდინარე, შესაძლებელია, დღის წესრიგში რამდენიმე პრობლემური საკითხი დადგეს⁶⁴⁰. კერძოდ, ამ მოძღვრების ანალიზისას, ერთი შეხედვით, რთულია იმის გარკვევა, ე.წ. „განზრახვის ბრალი“ ბუნებრივი განზრახვის შემადგენელ ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, თუ, პირიქით, იგი ბუნებრივი განზრახვისგან დამოუკიდებლად არსებული ბრალის ნიშანია⁶⁴¹. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად. სახელდობრ:

ერთ შემთხვევაში, თუკი მიიჩნევა, რომ ე.წ. „განზრახვის ბრალი“ წარმოადგენს „ბუნებრივი განზრახვის“ შემადგენელ ერთ-ერთ ელემენტს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ბრალის ეტაპზე განიხილება, მაშინ ამ უკანასკნელი

⁶³⁷ იხ.: *Heinrich*, AT II (2010), გვ. 134; *Kühl*, AT (2008), გვ. 416.

⁶³⁸ იხ. *Heinrich*, AT II (2010), გვ. 132.

⁶³⁹ შდრ.: BGHSt 3, გვ. 105-107; BGHSt 3, გვ. 357-364; BGHSt 31, გვ. 264-288; BGHSt 45, გვ. 219-224; BGHSt 23, გვ. 356; BGHSt 94, გვ. 304.

⁶⁴⁰ ამ თეორიის კრიტიკის შესახებ ასევე იხ. *Heuchemer* (2005), გვ. 183-187.

⁶⁴¹ იქვე, გვ. 186.

ნიშნის უარყოფისას, თითქოსდა, ლოგიკურად ბუნებრივი განზრახვაც უნდა გამოირიცხოს ბრალის განზრახვისა და ბუნებრივი განზრახვის ერთიანი ცნებიდან, მათი ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე. ეს საბოლოო ჯამში, მართალია, ამსრულებლის პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობითი დანაშაულისთვის გამოიწვევს, მაგრამ ასეთ ქმედებაში თანამონაწილენი დაუსჯელი დარჩებიან. სახელდობრ, ამსრულებლის შემთხვევაში ე.წ. განზრახვის ბრალის გამოირიცხვით ასევე ქმედების განზრახვაც და, მასადაამე, განზრახი დანაშაულის უმართლობაც უნდა გამოირიცხოს, გაუფრთხილებლობით დანაშაულში თანამონაწილეობის არარსებობის გამო კი, წამქეზეელი და დამხმარე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლდნენ;

მეორე შემთხვევაში, თუ აღიარებულ იქნება „განზრახვის ბრალი“, როგორც „ბუნებრივი განზრახვის“ დამოუკიდებელი კატეგორია, პრობლემა შესაძლებელია უკვე სხვა კუთხით წარმოიშვას. კერძოდ: მოჩვენებითი მოგერიების დროს მოხდება „განზრახვის ბრალის“ უარყოფა, „ბუნებრივი განზრახვა“ კი, ვინაიდან იგი „განზრახვის ბრალისგან“ დამოუკიდებლად არსებობს, ქმედების შემადგენლობის ეტაპზე უცვლელი დარჩება⁶⁴². შედეგად, გერმანიის მოქმედი სსკ-ის მე-16 პარაგრაფიდან (ფაქტობრივი შეცდომა) გამომდინარე, პირი არა განზრახი დანაშაულისთვის, არამედ გაუფრთხილებლობითი დელიქტის ჩადენისთვის დაისჯება მაშინ, როცა განზრახი დანაშაულის ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობა იქნება შესრულებული⁶⁴³. გამოდის, რომ ამ თეორიის მიხედვით, სამართლებრივი შედეგი, ყოველგვარი დოგმატური დასაბუთების გარეშე, „ჰაერში გამოკიდებული რჩება“⁶⁴⁴.

გარდა ამისა, პრობლემა, ასევე, შესაძლებელია თავად გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფთან მიმართებითაც წარმოიშვას. მისი შინაარსი მიუთითებს მხოლოდ ქმედების განზრახვის და არა ე.წ. „განზრახვის ბრალის“ გამოირიცხვაზე.

სწორედ ამიტომ, ზემოაღნიშნული მსჯელობებიდან გამომდინარე, იბადება რამდენიმე შეკითხვა: (1) წარმოადგენს თუ არა ე.წ. „განზრახვის ბრალი“ ე.წ. „ბუნებრივი განზრახვის“ შემადგენელ ერთ-ერთ ნიშანს ცოდნასა და ნებელობასთან ერთად; (2) თუ „განზრახვის ბრალი“ „ბუნებრივი განზრახვისგან“ დამოუკიდებლად არსებული ბრალის ერთ-ერთი ნიშანია, ამ უკანასკნელის უარყოფის შემთხვევაში რატომ იხსება ქმედების ჩამდენი გაუფრთხილებლობითი დანაშაულისთვის; (3) როგორ უნდა მოხდეს ასეთ შემთხვევაში მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) გამოყენება მაშინ, როცა კანონმდებელი ამ ნორმაში ქმედების განზრახვის და არა ე.წ. „განზრახვის ბრალის“ გამორიცხვაზე მიუთითებს.

⁶⁴² ამის შესახებ იხ.: *Heuchemer* (2005), გვ. 182; *Paeffgen, Kaufmann FS* (1989), გვ. 399-400.

⁶⁴³ შდრ.: *Schmidhäuser* (1968), გვ. 11-12; *Heuchemer* (2005), გვ. 182.

⁶⁴⁴ ამის შესახებ იხ. *Heinrich, AT II* (2010), გვ. 134.

ამ პრობლემის გადაჭრის ორი გზა არსებობს: (ა) სსკ-ის მე-16 პარაგრაფი საჭიროა ისე იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი, ერთი მხრივ, სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული თეორიის ძირითად პრინციპებთან წინააღმდეგობაში არ მოვიდეს, ხოლო, მეორე მხრივ, ამით არც მოჩვენებით მოგერიებაში მყოფი პირის სამართლებრივი მდგომარეობა გაუარესდეს; (ბ) საკანონმდებლო დონეზე ამ მიმართულებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები უნდა განხორციელდეს, რაც ახალი ნორმის შემოღებას გულისხმობს; ეს კი შეცდომის ასეთ სახეებს საკანონმდებლო რეგულაციით სამართლებრივად „მოაწესრიგებს“. განვიხილოთ პრობლემის გადაწყვეტის აღნიშნული თვალსაზრისები ცალ-ცალკე.

4.3.3.3.1. განზრახვის ბრალის გამომრიცხველი მოდიფიცირებული შიგნულული თქორია

მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევაში, გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფისა (ფაქტობრივი შეცდომა) და სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული თეორიის გამოყენების დროს წარმოშობილი პრობლემის გადაწყვეტა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია „ბუნებრივი ანუ არაბოროტი განზრახვისა“ და „განზრახვის ბრალის“ ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევაზე.

„განზრახვის ბრალი“ ასეთ ვითარებაში საჭიროა, ბრალის ეტაპზე არა ქმედების განზრახვისგან დამოუკიდებლად ან კიდევ თუნდაც მასთან „ურთიერთკავშირში“, არამედ როგორც მისი ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი ისე გაანალიზდეს და მხოლოდ ამგვარი შეცდომის დროს გახდეს სასამართლოსთვის რელევანტური. სახელდობრ, აქ განზრახვა გაგებულ უნდა იქნეს უკვე არა როგორც ორკომპონენტური, არამედ სამკომპონენტური კატეგორია. განზრახვის ამ სამი კომპონენტიდან პირველი ორი საჭიროა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე, ხოლო მესამე კომპონენტი ე.ი. „განზრახვის ბრალი“, ბრალის ეტაპზე შემოწმდეს. ეს მოსაზრება არგუმენტირებულია იმით, რომ ცოდნა და ნებელობა ფაქტობრივი გარემოებებისადმი აქვს არა მარტო დამნაშავეს, არამედ მასაც, ვინც მოქმედებს მართლზომიერად, მაგალითად, ვინც იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

ქმედების შემადგენლობის არაბოროტი განზრახვა ბრალის ეტაპზე მხოლოდ მაშინ იქცევა ე.წ. „განზრახვის ბრალად“, როცა პიროვნება სწორად აქვს შეგნებული, რომ ის არ მოქმედებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოების ვითარებაში. თუ პირი შეცდომას უშვებს და ჰგონია, რომ მასზე განხორციელებული თვალსაზრისით არის რეალური, სინამდვილეში კი ასეარ ხდება, ამ შემთხვევაში ბრალის ეტაპზე განზრახვის მესამე კომპონენ-

ტის გამორიცხვით გამოირიცხება ე.წ. „განზრახვის ბრალი“ და მთლიანად განზრახვა. მოქმედის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი კი გადაწყდება ფაქტობრივი შეცდომის ანალოგიით, გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფის საფუძველზე.⁶⁴⁵

მოჩვენებითი მოგერიებისას ე.წ. „განზრახვის ბრალის“ გამორიცხვით, მართალია, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის არ დაეკისრება, მაგრამ მის მიერ დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა და მისი განზორციელების ნებელობა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ხელშეუხებელი დარჩება. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია, ამ თეორიას ეწოდოს „განზრახვის ბრალის გამომრიცხველი მოდფიცირებული შეზღუდული თეორია“⁶⁴⁶ და ამით გაიმიჯნოს ე.წ. „უმართლობის განზრახვის გამომრიცხველი შეზღუდული თეორიისგან“⁶⁴⁷.

განზრახვის მესამე კომპონენტის უარყოფა არ ნიშნავს იმედროულად დანაწრენი ორი ელემენტის – ცოდნისა და ნებელობის – გამორიცხვას, მაგრამ ნიშნავს განზრახვის, როგორც მთლიანის, უარყოფას და პირის გაუფრთხილებლობითი დელიქტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას⁶⁴⁸.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი მიიჩნევა, რომ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვა მხოლოდ ცოდნისა და ნებელობის სახით დგინდება, ხოლო „განზრახვის ბრალი“ – როგორც ბუნებრივი განზრახვისგან დამოუკიდებელი კატეგორია, მაშინ პრობლემა უკვე სხვა კუთხით იჩენს თავს. სახელდობრ, გართულდება მოჩვენებითი მოგერიებისას პირის გაუფრთხილებლობითი პასუხისმგებლობის დასაბუთება, მაშინ, როდესაც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის განზრახვა ყოველგვარი პრობლემის გარეშე დასაბუთდება. გარდა ამისა, კითხვები გაჩნდება ასევე, „განზრახვის ბრალთან“ მიმართებაშიც. გასარკვევი იქნება, რატომ უნდა იწვევედეს „განზრახვის ბრალის“ გამორიცხვა დანაშაულის კვალიფიკაციაში ცვლილებას (იგულისხმება განზრახვიდან გაუფრთხილებლობაზე გადასვლა). ლოგიკურად, ასეთ ვითარებაში კვალიფიკაციაში ცვლილება არ უნდა ხდებოდეს და პირი, გერმანული აკრძალვაში შეცდომის მსგავსად, თუკი ეს შეცდომა მიუტყეველად მიიჩნევა, ისევე განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის უნდა ისჯებოდეს. სწორედ ამიტომ, აქ განზრახვა გაგებულ უნდა იქნეს როგორც სამკომპონენტო და არა როგორც ორკომპონენტო კატეგორია. პირველი ორი – ცოდნა და ნებელობა – საჭიროა ქმედების შემად-

⁶⁴⁵ ანალოგიურ შეზღუდვას ავითარებს ქართველი მეცნიერი მ. ტურავა ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ტურავა (2011), გვ. 537.

⁶⁴⁶ გერმანულად: *Vorsatzschuldtauschließende eingeschränkte Schuldtheorie*. ამის შესახებ იხ.: *Heuchemer* (2005), გვ. 182; *Paeffgen*, Kaufmann FS (1989), გვ. 400.

⁶⁴⁷ გერმანულად: *Vorsatzunrechtauschließende eingeschränkte Schuldtheorie*. ამის შესახებ იხ.: *Heuchemer* (2005), გვ. 182; *Paeffgen*, Kaufmann FS (1989), გვ. 400.

⁶⁴⁸ შდრ.: *Gallas*, Bockelmann FS (1979), გვ. 170-179; *Gallas* (1969), გვ. 56-58; *Bockelmann*, Volk, AT (1987), გვ. 126.

გენლობის, ხოლო „განზრახვის ბრალი“ ბრალის ეტაპზე შემოწმდეს.

ისმის კითხვა: ნიშნავს თუ არა ეს მოსაზრება ე.წ. განზრახვის თეორიის აღიარებას? ამ შეკითხვაზე პასუხი უარყოფითია შემდეგ გარემოებათა გამო: (1) განზრახვის თეორია ე.წ. „ბოროტ განზრახვას“ მთლიანად ბრალში განიხილავს მისი ყოველგვარი გამონაკლისისა და კონკრეტიზაციის გარეშე; (2) „განზრახვის“ ცნებაში განზრახვის თეორია გულისხმობს, ცოდნასა და ნებელობასთან ერთად, აგრეთვე, მართლწინააღმდეგობის შეგნებასაც. ზემოთ წარმოდგენილი პოზიციის მიხედვით კი, განზრახვის სამკომპონენტოანი გაგება ნიშნავს წინა ორკომპონენტთან ერთად, არა უმართლობის შეგნების, არამედ „განზრახვის ბრალის“ აღიარებას, რომელიც, მართალია, ასევე ბრალის ეტაპზე ღვინდება, მაგრამ სულ სხვა შინაარსისა და ფუნქციის მატარებელია, ვიდრე თავად მართლწინააღმდეგობის შეგნება.

ბრალის ეტაპზე ე.წ. „განზრახვის ბრალის“ ანუ „ბოროტი განზრახვის“ დადგენა, როგორც წესი, არ მოითხოვს განსაკუთრებულ შემოწმებას. ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვის არსებობა, ძირითადად, გულისხმობს „განზრახვის ბრალის“ არსებობასაც. ბრალის ეტაპზე განზრახვის სპეციალურად დადგენის ერთადერთი შემთხვევაა მოჩვენებითი მოგერიება ან მართლწინააღმდეგობის გამოძრის ხელის შეშლის სხვა მოჩვენებითი გარემოებანი.

მაშასადამე, ამ მსჯელობით, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის დროს „განზრახვის ბრალის“ ანუ „ბოროტი განზრახვის“ გამორიცხვით ქმედების ცოდნა და ნებელობა ყოველთვის ხელშეუხებელი რჩება. სწორედ, განზრახვის ამგვარი ფორმულირებისა და მისი სტრუქტურის გამო, ეს თეორია განსხვავებულია როგორც სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული, ისე ე.წ. კლასიკური განზრახვის თეორიისგან.

რაც შეეხება უშუალოდ გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) განმარტებას, იგი მოჩვენებითი მოგერიებისას არა გრამატიკული, სიტყვასიტყვითი, არამედ ობიექტურ-თელეოლოგიური (ratio legis) გზით უნდა იქნეს ინტერპრეტირებული. ეს კი გულისხმობს იმას, რომ ამგვარ ვითარებაში მთელი აქცენტი გადაიტანება აღნიშნულ ნორმაში აღწერილ სამართლებრივ შედეგზე. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, ამ თეორიის თანახმად, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა მხოლოდ სამართლებრივი შედეგით ემსგავსება ქმედების შემადგენლობის ეტაპზე დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომას მაშინ, როცა დოგმატურად ორივე ეს შეცდომა დანაშაულის სისტემის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულად განიხილება.

განზრახვის ბრალის გამოძრის ხელის შეშლის თეორია ასევე არგუმენტირებულად ასაბუთებს მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი პირის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობასაც.

სახელდობრ, თუკი ზემოთ მოყვანილი მაგალითი ამ მოძღვრების მიხედ-

ვით გაანალიზდება, მაშინ შესაძლებელი გახდება როგორც ამსრულებლის, ისე თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის დასაბუთებაც. მოჩვენებითი მოგერიების დროს ამსრულებელი, ე.ი. ბ., გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისათვის დაისჯება. მის შემთხვევაში, მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) ანალოგიიდან გამომდინარე, გამოირიცხება ე.წ. „განზრახვის ბრალი“ (და არა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის განზრახვა) და მსჯელობა უშუალოდ გაუფრთხილებლობის ფარგლებში წარიმართება. ხოლო რაც შეეხება ქმედებაში მონაწილე სხვა პირთა, კერძოდ, ა.-სა და დ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტას, ამ თეორიით, შესაძლებელია პასუხისმგებლობა პირველს, ანუ ა.-ს დაეკისროს როგორც განზრახი დანაშაულის წამქეზებელს, ხოლო მეორეს, ე.ი. დ.-ს, როგორც ფსიქიკურ დახმარეს. აღნიშნული შეხედულების მართებულობა კი იმ გარემოებით დასაბუთდება, რომ ამსრულებელი ასეთ ვითარებაში სისხლისსამართლებრივ უმართლობას უპრობლემოდ ახორციელებს. მის შემთხვევაში მოხდება მხოლოდ ბრალის (ე.წ. „განზრახვის ბრალის“ არარსებობა) და არა უმართლობის გამოირიცხება, ხოლო წამქეზებლობა და დახმარება გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაში, თანამონაწილეობის ლიმიტირებული აქტესორული თეორიის თანახმად, სწორედ რომ ერთიან სისხლისსამართლებრივ უმართლობაში არის შესაძლებელი.

4.3.3.3.2. პრობლემის გადაჭრა საკანონმდებლო ცვლილებების გზით

მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის დროს წარმოშობილი პრობლემა შესაძლებელია, ასევე საკანონმდებლო ცვლილებების გზით გადაიჭრას. უფრო მართებული იქნებოდა ეს საკითხი ისევე, როგორც აკრძალვაში შეცდომის შემთხვევა, სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე ნორმაში ასახულიყო. კანონმდებელს ასეთ ვითარებაში უნდა გაეთვალისწინებინა იმ ავტორთა შეხედულებები, რომლებიც თავის დროზე მოქმედ სისხლის სამართლის კანონში აღნიშნული შეცდომის საკანონმდებლო რეგულირების ინიციატივით გამოდიოდნენ. სახელდობრ, საუბარია 1962 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თავდაპირველი პროექტის მე-20 პარაგრაფზე, რომელიც უკავშირდებოდა სწორედ მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევას და იგი შემდეგი შინაარსით იყო ჩამოყალიბებული⁶⁴⁹:

„ის, ვინც ქმედების ჩადენის დროს გარემოებებს, რომლებიც ამ ქმედებას გაამართლებდა..., შეცდომით აღიქვამს, განზრახი დანაშაულისთვის არ დაისჯება. პირი გაუფრთხილებლობითი დელიქტისთვის მხოლოდ იმ შემთხ-

⁶⁴⁹ შდრ.: *Wessels, Beulke, AT (2011)*, გვ. 177; *Roxin, AT I (2006)*, გვ. 622-623.

ვევაში დაისჯება, თუკი შეცდომა გასაკიცხია და კანონი ამ კონკრეტული ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენისთვის სასჯელს აწესებს“.

აღნიშნული ნორმის შინაარსი ზემოთ განხილულ პრობლემურ საკითხს რაციონალურად და სამართლიანობის ფარგლებში წყვეტს. ეს პარაგრაფი, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომისას, ერთ შემთხვევაში, ამსრულებლის პასუხისმგებლობას სწორედ რომ გაუფრთხილებლობისთვის აწესებს, ხოლო, მეორე შემთხვევაში, იგი ამგვარი შეცდომის გასაკიცხაობაზეც მიუთითებს, რაც უდავოდ აუცილებელი და სავალდებულო წინაპირობაა საბოლოო ვაშში პირის დასჯადობის დასასაბუთებლად. თუმცა, კანონმდებელმა ცალკეულ მეცნიერთა ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა და ამ პრობლემის გადაწყვეტა სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკას „გადაუშინა მართა“.

4.4. შეჯამება

მაშასადამე, აკრძალვაში შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის ურთიერთგამიჯვნის პრობლემა გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში კვლავ სადავო საკითხად რჩება. თუ სისხლის სამართლის კოდექსში აკრძალვაში შეცდომის კატეგორია კანონმდებლობითაა დარეგულირებული და დოგმატიკაშიც მის გარშემო ნაკლებად მიმდინარეობს დისკუსია, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის შემთხვევა კვლავ აქტიური განსჯის საგანია. ფაქტობრივად, ვერც ერთი მოძღვრება ამ პრობლემას გარკვეული წინააღმდეგობების გარეშე ვერ აგვარებს. ასეთ ვითარებაში ყველაზე სწორ პოზიციას ე.წ. განზრახვის ბრალის გამომორიცხველი მოდიფიცირებული შეზღუდული თეორია ავითარებს, რომელიც მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის საკითხს ორიგინალურად წყვეტს. იგი განზრახვას ქმედების შემადგენლობისა და ბრალის ეტაპზე სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებს და მას სამკომპონენტო ელემენტად აღიარებს.

აღნიშნული მოძღვრება, სხვა თეორიებთან შედარებით, პრობლემიდან ყველაზე ოპტიმალურ გამოსავალს გვთავაზობს. კერძოდ, ის, ერთი მხრივ, მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევას სწორედ ბრალში ამოწმებს, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთ დროს იგი არა მართლწინააღმდეგობის შეგნებას ან ქმედების განზრახვას, არამედ ე.წ. „განზრახვის ბრალს“ გამოორიცხვას. ეს უკანასკნელი ნიშანი კი საჭიროა გაანალიზდეს არა ქმედების განზრახვისგან დამოუკიდებლად, არამედ მასთან ერთად. სახელდობრ, განზრახვა, ასეთ შემთხვევაში, უკვე უნდა გახდეს არა ორკომპონენტო, არამედ სამკომპონენტო კატეგორია. მისი პირველი ორი ელემენტი – ცოდნა და ნებელობა – ქმედების

შემადგენლობის ეტაპზე, ხოლო მესამე – ბრალში უნდა შემოწმდეს.

ბუნებრივი განზრახვა ბრალის განზრახვის დადასტურების შემთხვევაში იქცევა ე.წ. „განზრახვის ბრალად“. „განზრახვის ბრალის“ გამორიცხვით კი, მართალია, განზრახი დანაშაულისთვის პირის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, მაგრამ ქმედების ცოდნა და ნებელობა უცვლელი დარჩება. განზრახვის მესამე კომპონენტის უარყოფა არ ნიშნავს დანარჩენი ორი კომპონენტის – ცოდნისა და ნებელობის გამორიცხვას, მაგრამ ნიშნავს მთლიანად განზრახვის უარყოფას და პირისთვის გაუფრთხილებლობითი ქმედების ჩადენის გამო პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუ ეს შეცდომა, რა თქმა უნდა, თავიდან აცილებად მიიჩნევა.

შეცდომის თავიდან აუცილებადობის შემთხვევაში კი, მოქმედმა არც გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისთვის უნდა აგოს პასუხი.

რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის ეტაპე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის დროს გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) ინტერპრეტირებას, ასეთ ვითარებაში აღნიშნული ნორმა ობიექტურ-თელეოლოგიური გზით უნდა იქნეს განმარტებული, რაც გულისხმობს მთელი ყურადღების გადატანას მხოლოდ სამართლებრივ შედეგზე.

მაშასადამე, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა მხოლოდ სამართლებრივი შედეგით ემსგავსება ქმედების შემადგენლობის ეტაპზე დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომას, მაშინ როდესაც დოგმატურად ისინი განსხვავებულად განიხილება.

განზრახვის ბრალის გამომრიცხველი მოდიფიცირებული შეზღუდული თეორიით, შესაძლებელია მოჩვენებით მდგომარეობაში მყოფი პირის თანამონაწილეების პასუხისმგებლობის საკითხის არგუმენტირებულად დასაბუთებაც. სწორედ ამიტომ, ეს მოძღვრება, სხვა თეორიებთან შედარებით, უფრო მეტად იმსახურებს მხარდაჭერას.

პარი II. განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით

(მოკლე ისტორიული ექსკურსი)

1. შესავალი

ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაში განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემა, ტრადიციულად, სამეცნიერო დისკუსიის საგანს წარმოადგენს. ქართველ დოგმატიკოსებს შორის ამ ინსტიტუტის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არ არსებობს. ეს განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული და შემდგომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დამკვიდრებული არაერთგვაროვანი შეხედულებების სიმრავლით. გამომდინარე აქედან, მართებულია, განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ადგილი და მნიშვნელობა დანაშაულის ერთიან სისტემაში სხვადასხვა პერიოდის მიხედვით გაანალიზდეს.

2. განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით

2.1. ქართველ მეცნიერთა შეხედულებანი ბრალის შესახებ მოქმედებებთან დაკავშირებით

ქართულ საბჭოთა სისხლის სამართლის დოგმატიკაში საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება (მართლწინააღმდეგობის შეგნება) განიხილებოდა როგორც განზრახვის ერთ-ერთი კომპონენტი, ხოლო განზრახვა, როგორც ბრალის ერთ-ერთი ფორმა. ამაზე მიუთითებს სწორედ 1960 წლის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი, სადაც აღნიშნულია რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება“. ამავე კოდექსის მე-9 მუხლი კი თავად განზრახვის დეფინიციას აყალიბებს. კერძოდ, დანაშაული განზრახ ჩადენილად ითვლება, „თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ეს შედეგები ან შეგნებუ-

ლად უშვებდა მათ დადგომას.“

მაშასადამე, ადრე მოქმედი სსკ-ის მიხედვით, განზრახვა განსაზღვრულია როგორც ბრალის ერთ-ერთი ფორმა და იგი თავის თავში მოიცავს ფაქტობრივი გარემოებების ცოდნას, ნებელობასა და საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებას⁶⁵⁰.

კანონმდებლის აღნიშნულ პოზიციას იზიარებს ქართული საბჭოთა სისხლის სამართლის დოგმატიკაც. სახელდობრ, ამ შეხედულების მომხრეებად გვევლინებიან: თ. წერეთელი⁶⁵¹, ვ. მაყაშვილი⁶⁵² და მ. უგრეხელიძე⁶⁵³. ეს ავტორები თავიანთ ნაშრომებში, მართალია, გარკვეული განსხვავებებით, მაგრამ მანც აქტიურად უჭერენ მხარს განზრახვის, როგორც ბრალის ერთ-ერთი ფორმის არსებობის იდეას. ასე მაგალითად, თ. წერეთლის მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბრალის პრობლემის შესწავლას. ავტორი აღნიშნავს, რომ ბრალი არის „რეალური სინამდვილის გამოვლენის ფორმა, რომელიც მოსამართლის შეფასებისგან დამოუკიდებლად არსებობს“⁶⁵⁴. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ თ. წერეთლის მოძღვრებაში ბრალი გაგებულია როგორც პირის ისეთი ფსიქიკური კავშირი მის მიერ ჩადენილ საზოგადოებრივად საშიშ ქმედებასთან, რომელიც ზნეობისა და მორალურ-პოლიტიკური პოზიციიდან იმსახურებს გაკიცხვას (ე.წ. ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორია)⁶⁵⁵. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი მიუთითებს: „ბრალი ეს ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულებაა ქმედობასთან და შედეგთან, რომელიც იმსახურებს ზნეობრივ გაკიცხვას სოციალისტური საზოგადოების მხრივ.“⁶⁵⁶

გამომდინარე აქედან, თ. წერეთლის ეს მოსაზრება განსხვავდება ბრალის როგორც ფსიქოლოგიური, ისე ნორმატიული თეორიის მიმდევართა შეხედულებებისგან.

ფსიქოლოგიური თეორიის კრიტიკისას თ. წერეთელი აღნიშნავს, რომ „ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენლები არ ცდილობენ ბრალის ცნების მატერიალური შინაარსის გარკვევას, არამედ მაშინვე გადადიან ბრალის ფორმებზე, რომლებსაც განასხვავებენ ფსიქიკური დამოკიდებულების სპეციფიკურობის მიხედვით (განზრახვა — შედეგის გათვალისწინება და მისი სურვილი ან დაშვება, გაუფრთხილებლობა — შედეგის აცდენის დაუსაბუთებელი იმედი ან

⁶⁵⁰ იხ.: წერეთელი, „საბჭოთა სამართალი“, №2 (1966), გვ. 37; *Макашвили* (1957), გვ. 11-12.

⁶⁵¹ იხ.: წერეთელი, „მაცნე“, №1 (1960), გვ. 128-129; წერეთელი, *ტყეშელიაძე* (1969), გვ. 53-55, 60; *Церетели, Макашвили*, „მაცნე“ (1986), გვ. 71-86.

⁶⁵² იხ.: *Макашвили* (1957), გვ. 55-57; *მაყაშვილი*, კოდექსის კომენტარები (1976), გვ. 47-63; *Макашвили* (1984), გვ. 99

⁶⁵³ იხ.: *უგრეხელიძე* (1982), გვ. 7-8.

⁶⁵⁴ შტრ. *Церетели*, „მაცნე“, №1 (1960), გვ. 128-144.

⁶⁵⁵ იხ.: წერეთელი, „მაცნე“, №1 (1960), გვ. 128-129; წერეთელი, *ტყეშელიაძე* (1969), გვ. 53-55, 60; *Церетели, Макашвили*, „მაცნე“ (1986), გვ. 71-86.

⁶⁵⁶ იხ. წერეთელი, *ტყეშელიაძე* (1969), გვ. 60.

მისი გაუთვალისწინებლობა, როცა პირს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა იგი)⁶⁵⁷.

განსაკუთრებით კრიტიკულია თ. წერეთელი შეუგნებელი გაუფრთხილებლობის დროს ამგვარი ფსიქიკური კავშირის არარსებობის შესახებ მსჯელობისას: „რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, განსაკუთრებით, შეუცნობელ გაუფრთხილებლობას, ასეთ დროს სუბიექტი არათუ უშვებს მაგნე შედეგს, არამედ არც ითვალისწინებს მისი განხორციელების შესაძლებლობას.“⁶⁵⁸ გამომდინარე აქედან, მეცნიერის აზრით, ის თეორეტიკოსები, რომლებიც ბრალის საკითხების შესწავლისას ტრადიციულ ფსიქოლოგიას ემყარებიან და ფსიქიკისა და ცნობიერების იგივეობას აღიარებენ, ვერ ახერხებენ ფსიქიკური დამოკიდებულების დასაბუთებას შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დროს.⁶⁵⁹

თ. წერეთლის ამ მოსაზრებას არ შეიძლება არ დაეთანხმო. მართლაც, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის კრიზისი სწორედ მაშინ დაიწყო, როცა დაუდევრობის დროს ფსიქიკური კავშირი ქმედებისა და შედეგის მიმართ ვერ დადასტურდა⁶⁶⁰. გარდა ამისა, როგორც ზემოთ ითქვა, ამ დოქტრინას არ შეუძლია დაასაბუთოს აგრეთვე, რატომ გამოირიცხება განზრახ მოქმედი პიროვნების ბრალი, როდესაც ის მისატყვევებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში იმყოფება.⁶⁶¹ კერძოდ, თუკი ბრალი არის ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულება დამდგარ შედეგთან, მაშინ საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მოქმედ ადამიანსაც უნდა ჰქონდეს ბრალი, ვინაიდან პირი ითვალისწინებს, რომ აზიანებს თავდამსხმელს და სურს კიდევ ეს⁶⁶².

გამომდინარე აქედან, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის კრიტიკისას შესაძლებელია, პირობითად ოთხი ძირითადი პრობლემა გამოიყოს:

1) აუცილებელი მოგერიება, რომლის დროსაც არის შედეგის მიმართ ფსიქიკური დამოკიდებულება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირი მოქმედებს ბრალეულად;

2) საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობა, რადგან ასეთი უკიდურესი აუცილებლობის დროს მოქმედ პირსაც აქვს შედეგის მიმართ ფსიქიკური დამოკიდებულება და ე.ი. იგი მოქმედებს ბრალეულად;

3) შერაცხვისუნარიანობა, რომელიც ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით არის ბრალის, ანუ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის წინაპირობა, მაშინ, როცა, იგი არის არა ბრალის წინაპირობა, არამედ მიეკუთ-

⁶⁵⁷ იხ. წერეთელი, „საბჭოთა სამართალი“, №6 (1974), გვ. 3-4.

⁶⁵⁸ იქვე, გვ. 4.

⁶⁵⁹ იქვე.

⁶⁶⁰ იხ. Jescheck, Weigend, AT (1996), გვ. 420.

⁶⁶¹ იხ. Roxin, AT I (2006), გვ. 856, ქართულ ენაზე ასევე იხ. ვესელის, ბოილკე (2010), გვ. 223.

⁶⁶² იხ. გამყრელიძე, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4 (2002), გვ. 78.

ენება უშუალოდ ბრალს. სულით ავადმყოფსაც შეიძლება დანაშაულის ჩადენის დროს ჰქონდეს ცოდნა და ნებელობა;

4) დაუდევრობა, რა დროსაც ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ფსიქიკური კავშირის დადგენა შეუძლებელია.

მართალია, დაუდევრობის დროს ფსიქიკური კავშირის არსებობის დასაბუთება ქმედებასთან ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენლებმა ვერ მოახერხეს, მაგრამ მის სხვაგვარ ინტერპრეტაციას ბევრი მათგანი მაინც შეეცადა. ასე მაგალითად, გერმანელი მეცნიერი *ე. კოლრაუში* მიიჩნევს, რომ შეუგნებელი გაუფრთხილებლობა საერთოდ არ არის ბრალის ფორმა, არამედ იგი ბრალისგან დამოუკიდებელ კატეგორიას წარმოადგენს. მისი დასჯადობის დასაბუთება კი, ავტორის აზრით, ე.წ. „სასჯელის გაფრთხილების პრევენციის“ პრინციპის არსებობით უნდა მოხდეს⁶⁶³. ამგვარ პოზიციას იზიარებს *გ. ჰეგელიც*, თუმცა იგი შედარებით შორს მიდის და მიაჩნია, რომ სისხლის სამართალმა მხოლოდ განზრახი დანაშაულისთვის უნდა დააწესოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, გაუფრთხილებლობისათვის კი ასეთი პასუხისმგებლობის დადგენა საჭირო არ არის.⁶⁶⁴

პ. რ. ბუში გაუფრთხილებლობის შესახებ მსჯელობისას აღნიშნავს: „ბრალის ფსიქოლოგიურ ცნებას რეალურად არ ძალუძს ერთმანეთთან დააკავშიროს განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც დანაშაულის ალტერნატიული ნიშნები. ფსიქიკური დამოკიდებულება მოიპოვება მხოლოდ განზრახვაში, ხოლო გაუფრთხილებლობა შეიცავს არა ფსიქიკურ დამოკიდებულებას, არამედ ფსიქიკური დამოკიდებულების შესაძლებლობას.“

პ. რ. ბუშის ამგვარი პოზიციის მიუხედავად, რეალური ფსიქიკური და შესაძლო, ანუ პოტენციური ფსიქიკური დამოკიდებულების ერთმანეთისგან გამიჯვნის მცდელობა უშედეგოა და თითქმის ვერაფერს ცვლის. ფსიქიკური დამოკიდებულება, როგორც ასეთი, გაუფრთხილებლობის დროსაც (თვითმძღველების შემთხვევაში) არის მოცემული.

ასე რომ, ვერც *ე. კოლრაუშის*, ვერც *გ. ჰეგელისა* და *პ. რ. ბუშის* შეხედულებებმა სამართლიანად ვერ მოიკიდეს ფეხი მაშინდელ გერმანულ და ქართულ იურიდიულ აზროვნებაში და, მიუხედავად ამგვარი მცდელობისა, ბრალის ფსიქოლოგიურმა თეორიამ შემდგომი განვითარება ვეღარ პოვა.

ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის კრიტიკის გარდა, *თ. წერეთელი* ასევე არ იზიარებს ბრალის ნორმატიული თეორიის მომხრეთა შეხედულებებსაც⁶⁶⁵. ფინალური მოძღვრების მიერ ბრალიდან მოქმედების სფეროში გადატანილი განზრახვა, ავტორის აზრით, მართებულად ვერ ჩაითვლება. იგი მიიჩნევს, რომ

⁶⁶³ იხ.: *Kohlrausch I* (1903), გვ. 23-37; *Welzel* (1969), გვ. 139. *კოლრაუშის* მოძღვრების კრიტიკის შესახებ ასევე იხ. *წერეთელი*, „საბჭოთა სამართალი“, №6 (1974), გვ. 5. აგრეთვე შდრ.: *Jakobs*, AT (1991), მე-6 სქოლიო, გვ. 470; *Turava* (1998), გვ. 62.

⁶⁶⁴ იხ. *Hegel*, Rechtsphilophie, §115-128. მითითებულია წიგნიდან: *Welzel* (1969), გვ. 128.

⁶⁶⁵ შდრ.: *წერეთელი*, *ტყემულიძე* (1969), გვ. 134-137; *წერეთელი* (1966), გვ. 35-44.

„მოქმედების სფეროში გადატანილი განზრახვა ყოველგვარ ეთიკურ მომენტს მოკლებულ, ინდიფერენტულ ცნებად იქცა.“⁶⁶⁶ მეცნიერი ამ შემთხვევაში არ ეთანხმება განზრახვის *ველცელიის*ულ განმარტებას და ემზრობა *ე. მეცკერის* შეხედულებას, რომელიც შენიშნავს, რომ „ბუნებრივი განზრახვა და ბუნებრივი გაუფრთხილებლობა არაბუნებრივი და მახინჯი ცნებებია.“⁶⁶⁷ მსგავსი პოზიციაა განვითარებული *თ. წერეთლის* სხვა ნაშრომებშიც⁶⁶⁸. ასე მაგალითად, მის ერთ-ერთ სამეცნიერო პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „მანკიერია, უპირველეს ყოვლისა, ფინალისტიების მტკიცება, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა გადატანილ უნდა იქნენ მოქმედების სფეროში და გამოძევებული ბრალის სფეროდან.“⁶⁶⁹ ავტორი იქვე განაგრძობს მსჯელობას: „თუ განზრახვაზე კიდევ შეიძლება ითქვას, რომ თავისთავად აღებული იგი მოკლებულია შეფასების მომენტს და ამიტომ შეიძლება გათანაბრებულ იქნეს ფინალურობასთან, ამასვე ვერ ვიტყვით გაუფრთხილებლობაზე იმის გამო, რომ გაუფრთხილებლობის ცნება თავის თავში შეიცავს შეფასების მომენტს. განზრახ შეიძლება გააკეთო კარგი საქმეც და ცუდი საქმეც. შეიძლება კეთილი განზრახვა და ბოროტი განზრახვაც, მაგრამ არ შეიძლება იყოს კარგი გაუფრთხილებლობა. გაუფრთხილებლობა ყოველთვის გულისხმობს უარყოფით მსჯელობას.“⁶⁷⁰ ამის შემდეგ *თ. წერეთელი* სვამს რიტორიკულ კითხვას: „როგორ შეიძლება ეს ცნება მიეკუთვნოს მოქმედების ცნებას, ე.ი. ისეთ ცნებას, რომელიც თვით ფინალისტიების მითითებით, მოკლებულია სამართლებრივი შეფასების ნორმატიულობის მომენტს და წინ უსწრებს სამართლებრივ შეფასებას, როგორც ონტოლოგიური ცნება.“⁶⁷¹ მისი ღრმა რწმენით, განზრახვა ისევე, როგორც გაუფრთხილებლობა, საჭიროა მიეკუთვნებოდეს მხოლოდ ბრალს. თუმცა, ავტორის აზრით, ამან არც მეორე უკიდურესობა უნდა გამოიწვიოს. კერძოდ, ბრალი არ შეიძლება გახდეს მხოლოდ წმინდა ფსიქოლოგიური კატეგორია, არამედ აუცილებელია მასში გასაკიცხაობის მომენტებიც იქნეს შეტანილი. ამის შესახებ *თ. წერეთელი* მიუთითებს: „დანაშაული ორი ძირითადი მხარისაგან შედგება: ერთი — ეს არის დანაშაულის ობიექტური მხარე, ე.ი. ადამიანის ქცევა, როგორც ადამიანის ნებისყოფის გარეგანი გამოვლინება, ამ ქცევის საზოგადოებრივი საშიში შედეგი და მიზეზობრივი კავშირი მათ შორის. მეორე — დანაშაულის სუბიექ-

⁶⁶⁶ იხ.: *წერეთელი*, „საბჭოთა სამართალი“, №6 (1974), გვ. 17; *წერეთელი*, „საბჭოთა სამართალი“, №2 (1966), გვ. 26-37.

⁶⁶⁷ იხ.: *წერეთელი*, „საბჭოთა სამართალი“, №6 (1974), გვ. 17; *Mezger* (1950), გვ. 34.

⁶⁶⁸ შტრ. *წერეთელი*, *ტყეშელიძე* (1969), გვ. 134-137.

⁶⁶⁹ იხ.: *წერეთელი*, „საბჭოთა სამართალი“, №2 (1966), გვ. 36; *წერეთელი* (1966), გვ. 35-43.

⁶⁷⁰ იხ.: *წერეთელი*, „საბჭოთა სამართალი“, №2 (1966), გვ. 36; *წერეთელი* (1966), გვ. 35-43.

⁶⁷¹ იხ.: *წერეთელი*, „საბჭოთა სამართალი“, №2 (1966), გვ. 36; *წერეთელი* (1966), გვ. 35, 43-44.

ტური მხარე, ბრალი, ე.ი. პიროვნების გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშემქმედობასთან და მის შედეგთან, რაც განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით ვლინდება⁶⁷².

ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ თეორიას ემხრობა ასევე ვ. მაყაშვილიც. ავტორი აკრიტიკებს რა ნორმატიულ თეორიას, უთითებს: „ნორმატივისტების შეცდომა ისაა, რომ ისინი შეფასებითი მსჯელობისას თავიდან იცილებენ შეფასების საგანს, ე.ი. იმ განსაზღვრულ ფაქტს, რომელიც დანაშაულის ჩადენის ფსიქიკაში არსებობს. სწორედ ინდივიდის ფსიქიკური ცხოვრების ამ რეალურ ფაქტებში უდევს საფუძველი ბრალს და არა შიშველ შეფასებით მსჯელობაში. ეს უკანასკნელი არის მხოლოდ რეზულტატი, მხოლოდ ჩვენი დასკვნა იმის თაობაზე, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში პირის ფსიქიკური მდგომარეობა იმსახურებს მორალურ-პოლიტიკურ მსჯავრს და გაკიცხვას, და ამიტომ პირი სასჯელის ღირსია.“⁶⁷³

მაშასადამე, თ. წერეთელი და ვ. მაყაშვილი კატეგორიულად ემიჯნებიან ბრალის ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ მოძღვრებას. მათი შეხედულებები, შეიძლება ითქვას, რომ ეფუძნება ბრალის ე.წ. ნორმატიულ-ფსიქოლოგიური დოქტრინის იმ წარმომადგენელთა მოსაზრებებს, რომლებიც ბრალს განმარტავენ ფსიქოლოგიურად ან ნორმატიულად⁶⁷⁴. უფრო ზუსტად რომ ითქვას, ამ მოძღვრების ქართული მიმდევრები თავიანთ ნაშრომებში აკეთებენ ბრალის ფსიქოლოგიურ და ნორმატივისტულ ცნებათა „სინთეზს“⁶⁷⁵. კერძოდ, ფსიქიკური დამოკიდებულებისადმი გასაკიცხაობის დამატება მათ მოძღვრებაში ბრალის შესახებ მსჯელობისას ამოსავალი პრინციპია. თუმცა, ამ თეორიის გერმანელ წარმომადგენელთა შეხედულებებისგან განსხვავებით, ბრალი როგორც თ. წერეთელთან, ისე ვ. მაყაშვილთან არა მოსამართლის პოზიციიდან გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულებაა⁶⁷⁶, არამედ მოსამართლის შეფასებისგან დამოუკიდებლად არსებული ეთიკურად, ზნეობისა და მორალურ-პოლიტიკური პოზიციიდან გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება⁶⁷⁷.

ბრალის ამგვარი განმარტების მიუხედავად, განზრახვა და გაუფრთხილებლობა, აღნიშნული მოძღვრების მიხედვით, კვლავ ბრალის ეტაპზე მოწმდება. სახელდობრ, განზრახვა, დანაშაულის კლასიკური და ფინალური მოძღვრე-

⁶⁷² იხ.: წერეთელი (1953), გვ. 163-164; Макашвили, ВЮЗИ (1948), გვ. 92; Цепелу (1963), გვ. 304; Цепелу, „მაცნე“, №1 (1960), გვ. 128.

⁶⁷³ იხ.: Макашвили (1957), გვ. 55-57; სურგულაძე (1997), გვ. 181; მაყაშვილი, კოდექსის კომენტარები (1976), გვ. 47-63; Makaschwili (1984), გვ. 99.

⁶⁷⁴ იხ.: Baumann, Weber, AT (1985), გვ. 369; Radbruch, Frank FS I (1930), გვ. 167-168.

⁶⁷⁵ შტრ. კუტალია (2000), გვ. 310.

⁶⁷⁶ ე. კ. როზენფელდს ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა, რომლის მიხედვით, ბრალი უნდა იყოს არა დანაშაულის, არამედ მოსამართლის თავში. ამის შესახებ იხ.: Rosenfeld, ZStW 32 (1911), გვ. 469; Baumann, Weber, AT (1985), გვ. 369; ტურაყა (2011), გვ. 408.

⁶⁷⁷ ბრალის ამგვარი განმარტება გაკრიტიკებულია ლ. გ. კუტალიას მიერ. ამ საკითხთან მიმართებაში იხ. კუტალიას დასახ. ნაშრ., გვ. 310-312.

ბებისგან განსხვავებით, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება, შეფასების პარალელურად განაგრძობს არსებობას ბრალის სფეროში და ორივე ეს მომენტი — ფსიქიკური დამოკიდებულება და გასაკიცხაობა — ბრალის ცნების დამოუკიდებელი, განსხვავებული კატეგორიებია. სწორედ ამით განსხვავდება ეს მოძღვრება როგორც ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური, ისე ბრალის წმინდა ნორმატიული თეორიისგან. ამის შესახებ ვ. მაყაშვილი აღნიშნავს: ბრალის ცნება ორი ძირითადი ნიშნით ხასიათდება. პირველი ეს არის ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი, ხოლო მეორეა — ბრალის შეფასებითი მომენტი, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებასთან და მიგვანიშნებს მის გასაკიცხ ხასიათზე.⁶⁷⁸

ფსიქიკური დამოკიდებულებისა და გასაკიცხაობის ურთიერთობაში ხედავს ამ განსხვავებას მ. უგრეხელიძე⁶⁷⁹. ამის შესახებ იგი აღნიშნავს: „ამჟამად გაბატონებულად შეიძლება ჩაითვალოს აზრი, რომ ბრალი წმინდა ფსიქოლოგიური ცნება კი არ არის, არამედ სოციალურ-ეთიკური კატეგორია, რომელიც თავის განუყოფელ ნიშნად გულისხმობს საკუთარი ქცევისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების გასაკიცხაობას. ამასთან, გასაკიცხაობის მომენტი მეორადაა და იგი რეალური ფსიქიკური დამოკიდებულებიდან წარმოდგება. ფსიქოლოგიურმა ფაქტებმა და მათ შინაარსმა უნდა განსაზღვროს, ნამდვილად გასაკიცხია თუ არა რეალურად მოცემული ქცევა. უკეთ რომ ვთქვათ, ამოსავალია დებულება, რომ მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობა გარედან კი არ შეიტანება ვინმეს მიერ ფსიქიკურ დამოკიდებულებაში, არამედ, პირიქით, ფსიქიკური დამოკიდებულების შინაარსიდან გამოიტანება შესაბამისი დასკვნა. ამით ბრალის საბჭოური თეორია პრინციპულად ემიჯნება ბრალის იდეალისტურ ნორმატივისტულ თეორიას.“⁶⁸⁰

მასმასაღამე, ის გარემოება, რომ მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულება სრულყოფილად ვერ გადმოგვცემს ბრალის შინაარსს და რომ ბრალი მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულება არ არის, უკვე საკმარისი საფუძველია იმის მტკიცებისა, რომ მ. უგრეხელიძე ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ ბუნებას აღიარებს.⁶⁸¹

ბრალში ფსიქიკური დამოკიდებულებისა და შეფასებითობის აუცილებლობაზე საუბრობს ალ. ვაჩიშვილიც. ავტორი მიუთითებს, რომ ბრალი ყოველთვის გულისხმობს ამ ორი ნაწილის (ფაქტობრივი და შეფასებითი) არსებობას. იგი აუცილებლად ფაქტობრივი და შეფასებითი ელემენტების სინთეზს წარმოადგენს, ამიტომ, მეცნიერის აზრით, მართებულად ვერ ჩაითვლება ის შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ ბრალი მხოლოდ ფსიქიკური

⁶⁷⁸ იხ.: *Макашвили (1957)*, გვ. 55-57; *Церетели, Макашвили, „მაცნე“ (1986)*, გვ. 71-86.

⁶⁷⁹ შდრ.: *უგრეხელიძე (1982)*, გვ. 7-8; *კუტალიას დასახ. ნაშრომს*, გვ. 318.

⁶⁸⁰ იხ. *უგრეხელიძე (1982)*, გვ. 7-8.

⁶⁸¹ შდრ. *კუტალიას დასახ. ნაშრომს*, გვ. 318-319.

დამოკიდებულებაა დანაშაულებრივ ქმედებასთან და მისი შინაარსი მარტო ამ ფსიქიკური დამოკიდებულებით ამოიწურება.⁶⁸²

ბრალის ფსიქოლოგიური ბუნების ახსნას ცდილობს თავის მონოგრაფიულ ნაშრომში ბ. ხარაზიშვილიც. იგი განზრახვას, როგორც პირდაპირს, ისე არაპირდაპირს, ბრალის სფეროში მოიაზრებს.⁶⁸³

ავტორი, მართალია, განზრახვას ბრალს აკუთვნებს, მაგრამ სხვა ავტორებისგან განსხვავებით, იგი ბრალის ნორმატიულ ხასიათზე თითქმის არ საუბრობს და მხოლოდ მის ფსიქოლოგიურ მომენტზე ამახვილებს თავის ყურადღებას. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ბ. ხარაზიშვილი არა ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური, არამედ ფსიქოლოგიური მოძღვრების მიმდევართა შეხედულებებს იზიარებს.

ამრიგად, ისტორიული განვითარების ის ეტაპი, რომელიც ზემოთ მოკლედ იქნა წარმოდგენილი, მე-20 საუკუნის ქართული იურიდიული აზროვნების ნაყოფი იყო, რომელმაც თავისი ასახვა იმ დროს მოქმედ სისხლის სამართლის კანონშიც პოვა. კერძოდ, 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა განზრახვა, ისევე როგორც გაუფრთხილებლობა, ბრალის ფორმად გამოაცხადა.

დანაშაულის სისტემაში თუკი განზრახვის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით იმდროინდელ სისხლისსამართლებრივ მეცნიერებაში ნაკლებად მიმდინარეობდა დისკუსია, მის ცალკეულ ნიშნებთან მიმართებით არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. კერძოდ, ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემა, რომელიც სხვადასხვა თეორეტიკოსთან განსხვავებულად არის გაგებული. აღნიშნული საკითხი, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მიზანშეწონილია ცალკე გაანალიზდეს.

2.2. საბჭოთა მეცნიერთა შეხედულებები საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებასა და უმართლობის შეგნებასთან დაკავშირებით

მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემასთან დაკავშირებით საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება არსებობდა. ზოგიერთი ავტორი მართლწინააღმდეგობის შეგნებას საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებასთან აიგივებდა და ამ ნიშნებს განზრახვის ცნებაში მოიაზრებდა, სხვანი კი აღნიშნულ ცნებებს ერთმანეთისაგან იზოლირებულად განიხილავდნენ: საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებას განზრახვის კომპონენტად მიიჩნევენ, მართლწინააღმდეგობის შეგნებას კი – ბრალის დამოუკიდებელ

⁶⁸² იხ. ვაჩიშვილი (1957), გვ. 192.

⁶⁸³ იხ. Хорнапукажели (1981), გვ. 25-40.

ელემენტად. შეიძლება ითქვას, რომ იმჟამინდელ სისხლის სამართლის მეცნიერებაში საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით არსებობდა სამი განსხვავებული პოზიცია:

(1) გაბატონებული შეხედულებით, საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება და მართლწინააღმდეგობის შეგნება იდენტური ცნებებია და ისინი, ფაქტობრივად, ერთმანეთისგან არც კი განსხვავდებოდა⁶⁸⁴. ასე მაგალითად, საბჭოთა რუსი მეცნიერის — ა. პიონტკოვსკის პოზიციით, საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება და მართლწინააღმდეგობის შეგნება ერთი და იმავე შინაარსს გადმოცემს და ამიტომ იგი ყოველთვის განზრახვის აუცილებელი ელემენტი უნდა იყოს. მისი გამორიცხვით კი მოქმედს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისთვის უნდა ეკისრებოდეს⁶⁸⁵.

მაშასადამე, როცა ა. პიონტკოვსკი საზოგადოებრივი საშიშროების მიმართ ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე საუბრობს, მასში მართლწინააღმდეგობის შეგნებასაც გულისხმობს. ის აცხადებს, რომ საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება არის დანაშაულის არსებითი მატერიალური ელემენტი და მის გარეშე სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობაზე საუბარი შეუძლებელია. ავტორის აზრით, იმისათვის, რომ პირი განზრახი დანაშაულისთვის დაისაჯოს, საჭიროა მას ჰქონდეს არა მარტო ფაქტობრივი გარემოებების შეგნება, არამედ ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებაც და, შესაბამისად, მართლწინააღმდეგობის შეგნებაც.

ა. პიონტკოვსკის შეხედულებით, ნებისმიერი შერაცხადი პირი, რომელიც განზრახ დანაშაულს ჩაიდენს, სასამართლოს მხრიდან მართლწინააღმდეგობის შეგნების ცალკე შემოწმებას არ საჭიროებს. იგულისხმება, რომ მოქმედს ამ ნიშნის შეგნებაც დანაშაულის ჩადენის დროს თავისთავად აქვს. ამგვარი თვალსაზრისი კი, მეცნიერის აზრით, ეფუძნება შემდეგ არგუმენტს: ნებისმიერი ახალი კანონი (მხედველობაში აქვს ბლანკეტური ნორმები), რომელიც ძალაში შევა, იგულისხმება, რომ ყოველი მოქალაქისთვის უკვე ცნობილია და ამიტომ პირის პატიება სამართლებრივი შეცდომის შემთხვევაში გამოირიცხება⁶⁸⁶. თუმცა ეს წესი, ავტორის შეხედულებით, არ უნდა გავრცელდეს სისხლის სამართლის პროცესზე. ამ ნორმებთან დაკავშირებით არსებულ აკრძალვაში შეცდომისას საკითხი შეცდომის აცილებითა თუ არაცილებით უნდა გადაწყდეს⁶⁸⁷;

(2) ვ. მაყაშვილისა და თ. წერეთლის შეხედულებით, მართლწინააღმდეგობა და საზოგადოებრივი საშიშროება გაგებულია როგორც ორი ურთიერთგანსხვავებული ცნება. შესაბამისად, ამ პოზიციით, საზოგადოებრივი საშიშროე-

⁶⁸⁴ იხ. Кырц II (1970), გვ. 300. ამის შესახებ ასევე იხ. Turava (1998), გვ. 197.

⁶⁸⁵ იხ. Кырц II (1970), გვ. 300.

⁶⁸⁶ იქვე, გვ. 299.

⁶⁸⁷ იხ. Кырц II (1970), გვ. 300.

ბისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება მართლწინააღმდეგობისადმი ფსიქიკური დამოკიდებულებისგან დამოუკიდებლად არის განხილული⁶⁸⁸. ამის შესახებ ვ. მაყაშვილი აღნიშნავს, რომ ყოველი მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეიცავს გარკვეულწილად საზოგადოებრივი საშიშროების სხვადასხვა ხარისხს. ამიტომ, არ შეიძლება, რაც საზოგადოებრივად საშიშია უსათუოდ იყოს ასევე მართლსაწინააღმდეგოც. ავტორის აზრით, ეს ორი სხვადასხვა ცნებაა და, გამომდინარე აქედან, მათდამი ფსიქიკური დამოკიდებულების ერთ ცნებაზე დაყვანაც დაუშვებელია⁶⁸⁹.

ვ. მაყაშვილის ამ პოზიციას იზიარებს ასევე ლ. სურგულაძე, რომელიც მიუთითებს, რომ „ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება არ შეიძლება გათანაბრებულ იქნეს მართლწინააღმდეგობის, ანუ ქმედების სისხლის სამართლის კანონით აკრძალვის შეგნებასთან. უმრავლეს შემთხვევაში განზრახი დანაშაულის ჩამდენს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ განზრახი დანაშაული ჩადენილი იქნეს მართლწინააღმდეგობის შეგნების გარეშეც. ზოგჯერ კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს ჩადენილი ქმედების უკანონობის წინასწარი შეცნობის მომენტზე, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობაზე. ასეთ შემთხვევაში ქმედება განზრახ ჩადენილად მხოლოდ მისი მართლწინააღმდეგობის შეგნების პირობით ჩაითვლება.“⁶⁹⁰

მართლწინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი საშიშროების ერთმანეთისგან გამიჯვნის შესახებ საუბრობს საბჭოთა რუსი მეცნიერი ი. ფილანოვსკიც. იგი აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ერთმანეთში აღრევა ყოველად დაუშვებელია, რადგან საბჭოთა სისხლის სამართალში ის, რაც მართლსაწინააღმდეგოა, არის საზოგადოებრივად საშიშიც, მაგრამ ის რაც საზოგადოებრივად საშიშია, შეიძლება, არც იყოს მართლსაწინააღმდეგო.⁶⁹¹

ამ პოზიციას ემხრობა ასევე საბჭოთა რუსი მეცნიერი ნ. დურმანოვი. იგი მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანია. მისი აზრით, სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის გვერდით არსებობს ასევე სხვა სამართლის დარგებიც შესაბამისი მართლწინააღმდეგობით, ამიტომ სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა განსხვავდება სამოქალაქო ან ადმინისტრაციული მართლწინააღმდეგობისგან⁶⁹². გამომდინარე აქედან, საზოგადოებრივი საშიშროებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება და მართლწინააღმდეგობისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება

⁶⁸⁸ იქვე, ასევე იხ. Курц I (1968), გვ. 413-415, ასევე შტრ.: Церетели, „მაცნე“, №1 (1960), გვ. 128-144; Макашвили (1957), გვ. 38.

⁶⁸⁹ იხ. Makaschwili (1984), გვ. 102.

⁶⁹⁰ იხ. სურგულაძე (1997), გვ. 189.

⁶⁹¹ იხ. Курц I (1968), გვ. 413-415.

⁶⁹² იხ. Дурманов (1948), გვ. 131.

სხვადასხვა კატეგორიებია.

აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმება ა. ვაჩეიშვილიც, რომელიც იმ დებულებიდან გამომდინარე, რომ მართლწინააღმდეგობა უფრო ფართო ზოგადი ცნებაა, ვიდრე საზოგადოებრივი საშიშროება.⁶⁹³ იგი ამის შესახებ აღნიშნავს: „სისხლის სამართლის უმართლობა სხვა მონათესავე მოვლენებისგან განსხვავდება ამ ძირითადი თვისებით: იგი საზოგადოებრივად საშიშია.“⁶⁹⁴

ზემოაღნიშნულ მეცნიერთა ეს პოზიცია არ არის გასაზიარებელი, რადგან მართლწინააღმდეგობა დაუშვებელია გაგებულ იქნეს ცალკეული დარგების მიხედვით. თუკი ამა თუ იმ ქმედებას საკონსტიტუციო, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალი მართლზომიერად აცხადებს, არ შეიძლება იგივე ქმედება სისხლის სამართლის თვალსაზრისით მართლწინააღმდეგო იყოს.⁶⁹⁵ აღნიშნული დებულება კი, როგორც ზემოთ ითქვა, გამოძინარეობს სამართლებრივი სისტემის ერთიანობის პრინციპიდან.

რაც შეეხება საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების კავშირს თავად განზრახვის ცნებასთან, საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში ამ საკითხზეც არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს:

(ა) თავდაპირველი პოზიციით ითვლებოდა, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება და საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება არ შეიძლება იყოს განზრახვის შემადგენელი კომპონენტი. ეს კი იმით არის განპირობებული, რომ ამ ელემენტის არარსებობამ შესაძლოა მთლიანად განზრახვის გამორიცხვა გამოიწვიოს და შედეგად „სოციალურად საშიში“ დანაშაულები საერთოდ დაუსჯელი დარჩეს. აღნიშნული მოსაზრება იმ დროისათვის სრულიად გასაგებ თეზას წარმოადგენდა, ვინაიდან ანალოგიის ინსტიტუტის გამოყენებას სისხლის სამართალში მაშინ ბევრი მომხრე ჰყავდა⁶⁹⁶;

(ბ) მოგვიანებით ეს შეხედულება ცალკეულ მეცნიერთა ნაშრომებში ახლებურად იქნა გააზრებული. კერძოდ, საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება და მართლწინააღმდეგობის შეგნება გახდა განზრახვის ერთ-ერთი დამოუკიდებელი ელემენტი⁶⁹⁷;

(გ) ამ ორივე პოზიციის საწინააღმდეგოდ, მესამე შეხედულება გულისხმობს, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება, როგორც დამოუკიდებელი ნიშანი,

693 იხ. ვაჩეიშვილი (1957), გვ. 261-263.

694 იქვე, გვ. 262.

695 იხ.: Krey, AT I (2008), გვ. 149; Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 102-103; Haft, AT (2004), გვ. 65; Heinrich, AT I (2010), გვ. 119; ტურავა (2010), გვ. 104-124.

696 იხ. ტრაინი (1946), გვ. 141. თუმცა შემდგომ ა. ტრაინინმა შეცვალა თავისი შეხედულება და მიუთითა, რომ „პირის საქციელის საზოგადოებრივ-მორალური გაკიცხვა უაზრობა იქნება, თუ ამ პირის მიერ არ იქნება შეგნებული ამ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, რომელიც წარმოადგენს ბრალის ნიშანს“. ამის შესახებ იხ. ტრაინი (1951), გვ. 126. ასევე შდრ.: Turava (1998), გვ. 197-202; სარა (2001), გვ. 166-167.

697 იხ. Кириченко (1952), გვ. 36-37. ასევე შდრ. Turava (1998), გვ. 197-202.

ბრალში უნდა იქნეს განხილული და მხოლოდ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათთან დაკავშირებული თავიდან აუცილებელი შეცდომის შემთხვევაში საჭიროა მისი და, შესაბამისად, ბრალის გამორიცხვა⁶⁹⁸. რაც შეეხება საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებას, ამ ნიშნის არარსებობა წმინდა სამართლებრივი შეცდომის დროს უნდა გახდეს განზრახვის გამორიცხვის საფუძველი.

ანალოგიურ პოზიციას იზიარებენ ასევე *თ. წერეთელი* და *ვ. მაყაშვილი*. მათ ნაშრომებში საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება არის განზრახვის ელემენტი, მაგრამ მართლწინააღმდეგობის შეგნება – არა. მართლწინააღმდეგობის შეგნებას ეს ავტორები ანიჭებენ მხოლოდ დამოუკიდებელ მნიშვნელობას პირის მორალური გაკიცხვისა და ბრალის ხარისხის დაძვირებისთვის, მაგრამ არა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის არსებობის დასასაბუთებლად⁶⁹⁹.

ამის შესახებ *თ. წერეთელი* აღნიშნავს, რომ „ბრალისათვის სისხლის-სამართლებრივი მართლწინააღმდეგობისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების მოთხოვნა ზედმეტია“⁷⁰⁰. ის ასეთ შემთხვევაში მიუთითებს სისხლის სამართლის მოქმედი კანონის იმ ნორმაზე, რომელშიც ბრალის ფორმების დახასიათება ამოიწურება მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების ნიშნით, მართლწინააღმდეგობის შეგნება ან ამგვარი შეგნების შესაძლებლობა კი არ არის მოხსენიებული ბრალის ელემენტად.⁷⁰¹

ასე რომ, *თ. წერეთელი* საკუთარი პოზიციის გასამყარებლად მიმართავს კანონის შეზღუდულ განმარტებას და იმ ნორმაზე მიანიშნებს, სადაც განზრახვის შესახებ არის საუბარი. კერძოდ, საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში აღნიშნულია, რომ „დანაშაული განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივ საშიშ შედეგებს და სურდა ეს შედეგები ან შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას.“

მამასადამე, როგორც *თ. წერეთელი*, ისე *ვ. მაყაშვილი* ბრალის არსებობისათვის საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე მართლწინააღმდეგობის შეგნებას. ფსიქიკური დამოკიდებულება მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი არის ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი და არა მისი დადგენის წინაპირობა. თუმცა, როცა *ვ. მაყაშვილი* საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებულობაზე, როგორც განზრახვის ელემენტზე საუბრობს, გამოდის იქიდან, რომ ეს შეგნება არა მარტო მაშინ უნდა იყოს სახეზე, როცა დამნაშავეს არ ჰქონდა იგი, არამედ მაშინაც, როცა მას უნდა

⁶⁹⁸ შდრ. *Макашвили* (1957), გვ. 175-183.

⁶⁹⁹ შდრ. *Turava* (1998), გვ. 199.

⁷⁰⁰ იხ. *Церетели*, „მაცნე“, №1 (1960), გვ. 128.

⁷⁰¹ იქვე, გვ. 131.

ჰქონოდა ანუ შეეძლო ამის გათვალისწინება. ამასთან, მეცნიერი მიუთითებს, რომ განზრახვის სხვა ელემენტები: ცოდნა და სურვილი მაინც რჩება, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება.

ამრიგად, *ვ. მაყაშვილი* განზრახვაში აღიარებს არა მარტო საზოგადოებრივი საშიშროების აქტუალურ, არამედ პოტენციურ შეგნებასაც, რაც, უდავოდ, სწორი პოზიციაა; თუმცა გასაზიარებელი არ არის ავტორის ნაშრომებში წარმოდგენილი შეხედულება განზრახვის ადგილთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, განზრახვა ბრალის შემადგენელ ერთ-ერთ ფორმად არის მიჩნეული.

მაშასადამე, მეცნიერთა ამ შეხედულებებში, როგორც აღმოჩნდა, ბრალთან დაკავშირებული თეორიებიდან ყველაზე ღიდი მნიშვნელობა ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ თეორიას ენიჭება. შეიძლება ითქვას, რომ იმჟამინდელ ქართულ იურიდიულ დოგმატიკაში აღნიშნულ მოძღვრებას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული და საბჭოთა სისხლისსამართლებრივი აზროვნების სპეციფიკურ გამოხატულებას წარმოადგენდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ მოძღვრებასაც აქვს თავისი უარყოფითი მხარეები. მის ერთ-ერთ კრიტიკულ პუნქტს წარმოადგენს ის, რომ იგი შეფასების ობიექტსა და შეფასებას ერთობლივად ბრალის ცნების ქვეშ აერთიანებს. გასაკიცხაობა და ფსიქიკური დამოკიდებულება სხვადასხვა სინამდვილის მოვლენებია და მათ ერთ ცნებაში მოთავსება შეუძლებელია.⁷⁰² „გასაკიცხაობა – აღნიშნავს *ო. გამყრელიძე* – ღირებულებითი სინამდვილის ელემენტია, ხოლო ფსიქიკური დამოკიდებულება რეალური სინამდვილის მოვლენა, რომელიც მიზნუშედეგობრივ კანონზომიერებას ემორჩილება.“⁷⁰³ ამიტომ, ავტორის აზრით, შეფასება და შეფასების ობიექტი ერთ ცნებაში არ უნდა მოიაზრებოდეს⁷⁰⁴.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ისევე როგორც ფსიქოლოგიური, ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიაც განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ბრალის ფარგლებში განიხილავს. მართალია, წმინდა ფსიქოლოგიური თეორიისგან განსხვავებით, ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური მოძღვრების წარმომადგენლები ბრალს არა მარტო ფსიქოლოგიურად, არამედ ასევე ნორმატიულადაც განმარტავენ, მაგრამ ეს საქმის ვითარებას არსებითად არ ცვლის. სწორედ ამ საფუძველით ბრალის ეს უკანასკნელი თეორია მოგვიანებით ფინალისტიკებმა გააკრიტიკეს⁷⁰⁵, რის შედეგადაც იგი თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, ისევე როგორც გერმანულ მეცნიერებაში, ბრალის ნორმატიული თეორიით შეიცვალა და დღესდღეობით ანგარიშგასაწევ

⁷⁰² იხ. *გამყრელიძე*, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4 (2002), გვ. 83.

⁷⁰³ იქვე.

⁷⁰⁴ ანალოგიურ პოზიციას იზიარებს ასევე *ლ. გ. კუტალია*. ამის შესახებ იხ. *კუტალიას* დასახ. ნაშრ., გვ. 289.

⁷⁰⁵ ბრალის კომპლექსურ-ფსიქოლოგიურმა თეორიამ პირველად კრიტიკა განიცადა *გ. ც. დონას* მოძღვრებაში, ამის შესახებ იხ.: *Dohna* (1950); *Baumann, Weber*, AT (1985), გვ. 370.

შეხედულებად იქცა⁷⁰⁶.

ნორმატიული მოძღვრების ქართველმა წარმომადგენლებმა სრულიად მართებულად მიიჩნიეს, რომ ბრალი, როგორც თავად შეფასება არ შეიძლება შეიცავდეს შეფასების ობიექტს – განზრახვას – როგორც ფსიქიკურ კატეგორიას⁷⁰⁷. იგი ან ფსიქოლოგიურ კატეგორიად უნდა დარჩეს, ან მარტო შეფასებით კატეგორიად იქცეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ განზრახვა ან მთლიანად გამორიცხულ უნდა იქნეს ბრალის შემადგენლობიდან, ან კიდევ ბრალში განთავსდეს, მაგრამ ნორმატიული ბუნება ჩამოსცილდეს.⁷⁰⁸ ფსიქოლოგიური და ნორმატიული მომენტების ერთ ცნებაში მოთავსება შეუძლებელია, ისინი სხვადასხვა სინამდვილის მოვლენებია⁷⁰⁹. თუმცა, მიუხედავად ამგვარი მსჯელობისა, ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ თეორიას თავისი გავლენა არც თანამედროვე ქართულ სისხლისსამართლებრივ მოძღვრებაში დაუკარგავს და ზოგიერთი მეცნიერის მიერ იგი დღესაც კვლავ აღიარებულია.

3. განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეზღუდვა თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების შესახებ სამეცნიერო მსჯელობა კვლავაც აქტუალურია. სისხლის სამართლის ქართულ დოქტრინაში ამ ცნებებთან მიმართებით დღემდე არ არსებობს ერთიანი პოზიცია. ქართველ იურისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ამ ცნებების ადგილი და შინაარსი დანაშაულის ერთიან სისტემაში. მართალია, შინაარსობრივი თვალსაზრისით, დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ნორმები ერთგვარად განსხვავდება ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ანალოგიური ნორმებისგან, მაგრამ ეს ცვლილება, შეიძლება ითქვას, რომ განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართების საკითხსა და მათ ადგილს დანაშაულის სისტემაში ნაკლებად ეხება. მოქმედი კოდექსის მე-7 მუხლი, რომელიც ეძღვნება დანაშაულის ზოგად ცნებას, საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლისგან („სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები“) განსხვავებით, მართალია, განზრახვას ბრალის ფორმად აღარ მოიხსენიებს, მაგრამ ამ ნორმაში არც იმაზეა პირდაპირი მითითება, რომ იგი ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშანს განეკუთვნება.

⁷⁰⁶ იხ. *Turava* (1998), გვ. 66.

⁷⁰⁷ იხ.: *Baumann, Weber*, AT (1985), გვ. 370; *Maurach, Zipf*, AT I (1992), გვ. 422; *Turava* (1998), გვ. 66.

⁷⁰⁸ იხ. *Maurach, Zipf*, AT I (1992), გვ. 422-423.

⁷⁰⁹ იხ. *Welzel* (1969), გვ. 140.

სწორედ ეს აძლევთ ცალკეულ მეცნიერებს იმის საფუძველს, რომ განზრახვა, ისევე როგორც გაუფრთხილებლობა, კვლავ ბრალის სფეროში მოიაზრონ.

თანამედროვე ქართულ იურიდიულ დოგმატიკაში შეიძლება, გამოიყოს ავტორთა ორი ჯგუფი, რომელიც ამ პრობლემას განსხვავებულად აანალიზებს. მეცნიერთა პირველი ნაწილი განზრახვას ბრალში მოიაზრებს, მეორე ნაწილი კი ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განიხილავს. ავტორთა პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან გ. ტყეშელაძე, გ. ნაჭყებია, ლ. გ. კუტალია. ავტორთა მეორე ჯგუფს კი – მ. ტურავა, ო. გამყრელიძე, ი. დვალაძე.

გ. ტყეშელაძე განზრახვას, ისევე, როგორც გაუფრთხილებლობას, მოქმედი კოდექსის შესაბამისი ნორმებიდან გამომდინარე, ბრალს აკუთვნებს და ამ უკანასკნელს ნორმატიულ ფუნქციასაც ანიჭებს. „ბრალის ცნება შეიცავს არა მარტო შესაბამის ფსიქიკურ ნიშნებს (ბრალის აღწერილობითი მომენტი), არამედ პირის შეფასების ანუ გაკიცხვის მომენტს (ნორმატიული მომენტი)“⁷¹⁰, – აღნიშნავს ავტორი და იქვე განაგრძობს: „ამ ორი მომენტის სინთეზის საფუძველზე, ბრალის ცნება შეიძლება, ასე განისაზღვროს: ბრალი არის პირის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისა და მისი შედეგისადმი.“⁷¹¹ მაშასადამე, მეცნიერი აღნიშნული მსჯელობით, ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ თეორიას იზიარებს და ამ შეხედულების მართებულობას მოქმედი კანონმდებლის პოზიციიდან გამომდინარე ასაბუთებს.

გ. ნაჭყებიას მოსაზრებით, ბრალი არის „მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება“, რომელიც „არაა მოწყვეტილი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას“, მაგრამ არც „ამ ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე დაიყვანება“. განზრახვა და გაუფრთხილებლობა კი ამ უპასუხისმგებლობის, ე.ი. ბრალის ფორმებია⁷¹².

ლ. გ. კუტალია განზრახვას, ისევე როგორც გაუფრთხილებლობას, ბრალის ეტაპზე განიხილავს. ამის შესახებ ავტორი უთითებს: „სისხლისსამართლებრივი ბრალი არის სისხლისსამართლებრივი მოვალეობის ნებისმიერად ანუ განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზიანო შედეგის ან საფრთხის სუბიექტური მიზეზი“⁷¹³.

ზემოაღნიშნულ ავტორთა შეხედულების საწინააღმდეგოდ, მ. ტურავა განზრახვას ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განიხილავს⁷¹⁴. იგი განზრახვის

⁷¹⁰ იხ.: ტყეშელაძე, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 128; ტყეშელაძე (2003), გვ. 326.

⁷¹¹ იხ.: ტყეშელაძე, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 128 ტყეშელაძე (2003), გვ. 326.

⁷¹² შტრ.: ნაჭყებია, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 25-26; ნაჭყებია (2011), გვ. 378-390; ნაჭყებია (2001), გვ. 290-296; ნაჭყებია, „სამართლის ჟურნალი“, №1 (2009), გვ. 26-34; ნაჭყებია, „სამართლის ჟურნალი“, №2 (2009), გვ. 26-33.

⁷¹³ იხ. კუტალიას დასახ. ნაშრ., გვ. 575.

⁷¹⁴ იხ.: ტურავა (2010), გვ. 124-126; ტურავა (2011), გვ. 262-263.

ცალკეულ ელემენტებს დანაშაულის სისტემაში განსხვავებულად ანაწილებს. კერძოდ, მის ორ კომპონენტს – ცოდნასა და ნებელობას ქმედების შემადგენლობის, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნებას ბრალის სფეროში მოიაზრებს⁷¹⁵.

მისი თვალსაზრისით, განზრახვის სამი კომპონენტიდან პირველი ორი უნდა დადგინდეს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე, რადგან, ავტორის პოზიციით, ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა და ნებელობა აქვს არა მარტო მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედ პირს, არამედ მასაც, ვინც მოქმედებას მართლზომიერად⁷¹⁶. უმართლობის შეგნება კი, ქმედების განზრახვისგან დამოუკიდებლად, ბრალის ეტაპზე უნდა შემოწმდეს.

ბ. ტურავას ეს პოზიცია დასაბუთებულია. ადამიანის ქცევა მისი ფსიქიკისგან განუყრელია. შესაბამისად, ადამიანის ქცევისგან განზრახვის გათიშვა და მისი ბრალის ცნებაში გადატანა გაუმართლებელია. გარდა ამისა, ბრალი, როგორც თავად შეფასება, არ შეიძლება შეიცავდეს შეფასების ობიექტს – განზრახვას – როგორც ფსიქიკურ კატეგორიას. იგი ან ფსიქოლოგიურ კატეგორიად უნდა დარჩეს, ან მარტო შეფასებით კატეგორიად იქცეს. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, არაბოროტი განზრახვა, უდავოდ, ქმედების შემადგენლობას უნდა ეკუთვნოდეს.

რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნებას, მეცნიერი მას ასე განმარტავს: „განზრახვის ცნების საკანონმდებლო ნორმაში (სსკ-ის მე-9 მუხლი) მოცემულ დეფინიციაში „მართლწინააღმდეგობის შეგნება“ არ მოიაზრებს წმინდა სამართლებრივ შეცდომას, ანუ იგი არ ეხება შეცდომას აკრძალვაში, რომელიც განზრახვისგან დამოუკიდებელი ბრალის ცალკე კომპონენტია (სსკ-ის 36-ე მუხლი), არამედ განზრახვის მესამე კომპონენტია მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით.“⁷¹⁷

მასასადამე, *ბ. ტურავას* შეხედულების მიხედვით, მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით, რომელიც გამომდინარეობს სსკ-ის მე-9 მუხლიდან, და სსკ-ის 36-ე მუხლში მოცემული სამართლებრივი შეცდომა, ბრალის ორი დამოუკიდებელი პრობლემაა, რომლებიც მხოლოდ სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით არის ერთმანეთის მსგავსი.

უმართლობის შეგნების ასეთი დიფერენციაცია სწორია, ვინაიდან აღნიშნულით შესაძლებელია აკრძალვაში შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის ერთმანეთისგან ურთიერთგამიჯვნა. ეს საკითხი უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება გაანალიზებული.

ცალკე არის ყურადღაღები *ბ. ტურავას* თვალსაზრისი გაუფრთხილებლობის თაობაზე. ავტორი ასეთ შემთხვევაში ემხრობა გერმანელ მეცნიერთა

⁷¹⁵ იხ.: ტურავა (2010), გვ. 126-132, 229-236; ტურავა (2011), გვ. 265-266.

⁷¹⁶ იხ. ტურავა (2011), გვ. 266.

⁷¹⁷ იქვე, გვ. 265.

უმცირესობის იმ პოზიციას, რომლის მიხედვით, ქმედების სუბიექტური შემადგენლობა არსებობს ასევე თვითიმედოვნების დროსაც.⁷¹⁸ ამასთან დაკავშირებით ავტორი მიუთითებს: „თვითიმედოვნების დროს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შინაარსს განსაზღვრავს პირის მიერ ქმედების ობიექტური შემადგენლობის გარემოებების ცოდნა, რომლებიც მის ქმედებას ობიექტურად წინდახედულობის ნორმის საწინააღმდეგოდ აქცევენ.“⁷¹⁹ გამომდინარე აქედან, ობიექტური გაუფრთხილებლობა მოწმდება ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში, სუბიექტური გაუფრთხილებლობა (თვითიმედოვნების დროს) – ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში, ხოლო ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა – ბრალის ეტაპზე.

მ. ტურავასგან განსხვავებით, *ო. გამყრელიძე* ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ელემენტად მხოლოდ განზრახვას მიიჩნევს, გაუფრთხილებლობას კი ბრალში განიხილავს. „განზრახვა, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე..., ყოველგვარი შეფასებისაგან თავისუფალი უნდა იყოს“⁷²⁰, – აღნიშნავს ავტორი. იგი, ისევე როგორც *მ. ტურავა*, განზრახვის ორ კომპონენტს – ცოდნასა და ნებელობას – ქმედების სუბიექტური შემადგენლობის კომპონენტებად აღიარებს, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნებას ბრალის დამოუკიდებელ ერთ-ერთ ნიშნად აცხადებს. ამის შესახებ *ო. გამყრელიძე* მიუთითებს: „შეცნობილი ჰქონდა თუ არა მოქმედს მისი ქმედების მართლწინააღმდეგობის ხასიათი, ეს ბრალზე მსჯელობის დროს უნდა გაირკვეს, როცა ჩადენილი უმართლობა ფასდება და ბრალი დგინდება“.⁷²¹

ასე რომ, *ო. გამყრელიძე*, *მ. ტურავას* მსგავსად, საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის ანალოგიურ ინტერპრეტაციას აკეთებს და განზრახვა ბრალის ცნებიდან ქმედების შემადგენლობის ეტაპზე გადააქვს.

რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, მეცნიერი ამის შესახებ აღნიშნავს, რომ გაუფრთხილებლობა თავის თავად უკვე გაკიცხვას, რაღაცის უარყოფითი შეფასებაა. შესაბამისად, ამ ცნების ადგილი უკვე ბრალშია.⁷²² მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ *ო. გამყრელიძე* *თ. წერეთლის* იმ პოზიციას ავითარებს⁷²³, რომლის მიხედვით გაუფრთხილებლობა მარტო შეფასებაა და მისი ადგილი ყოველთვის ბრალში უნდა იყოს.⁷²⁴

⁷¹⁸ იქვე, გვ. 443.

⁷¹⁹ იქვე, გვ. 581.

⁷²⁰ იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 99, ასევე შტრ. *ო. გამყრელიძის* ალტერნატიული პროექტის მე-10 მუხლს. ამის შესახებ იხ.: *გამყრელიძე* (1998), გვ. 274; *გამყრელიძე*, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4 (2002), გვ. 72-90.

⁷²¹ იქვე, ასევე იხ. *ო. გამყრელიძის* ალტერნატიული პროექტის მე-10 მუხლი. ამის შესახებ იხ. *გამყრელიძე* (1998), გვ.274.

⁷²² იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 116.

⁷²³ იხ. *წერეთელი* (1966), გვ. 43-44.

⁷²⁴ იქვე, გვ. 43-44.

ო. გამყრელიძის ეს უკანასკნელი მოსაზრება არ იმსახურებს მხარდაჭერას. წიგნში განვითარებული პოზიციით, ქმედების სუბიექტური შემადგენლობა არსებობს თვითიმედოვნების დროსაც, ხოლო დაუდევრობის შემთხვევაში მხოლოდ ქმედების ობიექტური შემადგენლობაა მოცემული.

განზრახვას, ორმაგ ფუნქციას აღიარებს ასევე ი. დვალიძეც. ამის შესახებ იგი აღნიშნავს: „სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში მოცემული განზრახვის ორივე სახის განსაზღვრების მიხედვით, განზრახვა ბრალის ფორმად გვევლინება, რადგან პირდაპირი განზრახვისა და არაპირდაპირი განზრახვის განსაზღვრებებში მითითებულია მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამგვარი განზრახვა უკვე უარყოფითი ნიშნითაა დაღდასმული და განზრახვა ბრალის ფორმაა.“⁷²⁵ თუმცა, ავტორი არც ქცევას ტოვებს განზრახვის გარეშე, რაც ლოგიკურად იქიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი ქცევა მოტივისა და მიზნის გარეშე არ არსებობს, ე.ი. სადაც მოტივი და მიზანია, იქ აუცილებლად განზრახვაც მოიაზრება.

მაშასადამე, ი. დვალიძე განზრახვას ქმედებისა და ბრალის ეტაპზე სხვადასხვა ფუნქციას ანიჭებს: განზრახვა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე არის ქცევის ფორმა, ხოლო ბრალის ეტაპზე იგი წარმოადგენს ბრალის ფორმას.

4. შეჯამება

მაშასადამე, განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართების პრობლემის შესახებ როგორც საბჭოთა, ისე თანამედროვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისის მიხედვით, განზრახვა ქმედების სუბიექტურ სფეროში მოიაზრება, ხოლო მეორე ნაწილის თანახმად, ეს ცნება ბრალში საჭიროებს განიხილვას. ზემოთ მოცემული სხვადასხვა პოზიციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მხარდაჭერას უფრო ავტორთა ის შეხედულება იმსახურებს, რომლის მიხედვით, განზრახვა ქმედების შემადგენლობის ეტაპზეა წარმოდგენილი. კერძოდ, განზრახვა, როგორც ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და ნებელობა, საჭიროა, შემოწმდეს სწორედ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე. ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ფსიქიკური დამოკიდებულება აქვს არა მარტო მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედ დამნაშავეს, არამედ მასაც, ვინც იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე.ი. ვინც მოქმედებს მართლზომიერად. სწორედ ამიტომ, განზრახვის ინტელექტუალური და ნებელობითი მხარე ბრალის ეტაპამდე, ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში უნდა იქნეს დადგენილი.

⁷²⁵ იხ. დვალიძე (2008), გვ. 101.

ამ პოზიციის მართებულობის დასასაბუთებლად კი მიზანშეწონილად მიმაჩნია ქართული სისხლისსამართლებრივი განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების შინაარსობრივი მხარის გერმანული დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკის გამოყენებით გაანალიზება. როგორც აღმოჩნდა, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკისა და სამართალშემოქმედებითი საქმიანობისთვის მეტად საყურადღებო თეორიული თუ პრაქტიკული დებულებები არსებობს. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი ქართული მატერიალური სისხლის სამართლის კოდექსი და, შესაბამისად, მეცნიერებაც, ძირითადად გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაზეა ორიენტირებული. ამიტომ მართებულა, ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში განსაზღვრული განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხი სწორედ რომ გერმანულ იურიდიულ მეცნიერებაში არსებული სხვადასხვა თეორიების მიხედვითაც გაანალიზდეს.

პარი III. ქართული „სისხლისსამართლებრივი ბანჯრახვისა“ და „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ კატეგორიების ინტერპრეტაცია გერმანული იურიდიული დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკის გამოყენებით

1. შესავალი

თანამედროვე ქართულ იურიდიულ დოგმატიკაში, როგორც აღინიშნა, დისკუსიის საგანს წარმოადგენს განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართების საკითხი. კერძოდ, პრობლემურია, უნდა მოიაზრებოდეს თუ არა განზრახვის ცნებაში, ცოდნასა და ნებელობასთან ერთად, აგრეთვე, მართლწინააღმდეგობის შეგნებაც. სწორედ ამიტომ, განზრახვის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში არათუ ვარაუდები შეხედულებები არსებობს.

არაერთი ქართველი მეცნიერი, განსაკუთრებით, *მ. ტურავა* და *ო. გამყრელიძე*, თავიანთ ნაშრომებში სხვადასხვა სისხლისსამართლებრივი პრობლემის გადაჭრისას ხშირად იყენებს გერმანულ სისხლის სამართალში ჩამოყალიბებულ და შემდგომში განვითარებულ თეორიებს. აღნიშნული ტრადიცია გრძელდება ამ ნაშრომშიც, რის გამოც განსახილველი საკითხები გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკისა და კანონმდებლობის მიხედვით გაანალიზდება, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება, გაირკვეს, დანაშაულის სისტემის რომელ ეტაპს მიეკუთვნება განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება.

2. სისხლისსამართლებრივი ბანჯრახვის შინაარსობრივი მხარე ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

ვიგნის პირველივე კარში მითითებულია, რომ დანაშაულის შესახებ არსებული მოძღვრებებიდან (კლასიკური, ნეოკლასიკური და ფინალური) ვიზარებთ ფინალური „სკოლის“ წარმომადგენლთა იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით განზრახვა ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას ეკუთვნის. ამ თვალსაზრისს იზიარებს ასევე ქართული სასამართლო პრაქტიკაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „...პირველი ინსტაციის სასამართლოს განაჩენში მსჯელობა ზ.-ს მიერ ჩადენილი ქმედების სუბიექტური მხარის თაობაზე ბუნდოვანი და გაურკვეველია, საიდანაც ძნელია გამოიტანო დასკვნა: ზ.-მ ქმედება ჩაიდინა პირდაპირი, თუ ევენტუალური

განზრახვით⁷²⁶. მაშასადამე, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში განზრახვა აღიარებულია როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნაწილი.

გამომდინარე აქედან, ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული განზრახვის ცალკეული ნიშნები სწორედ დანაშაულის ფინალური მოძღვრების მიხედვით უნდა იქნეს ინტერპრეტირებული. ამ პოზიციის პრაქტიკული უპირატესობის შესახებ საუბარი კიდევ ერთხელ ქვემოთ, შეცდომის პრობლემის განხილვის დროს გვექნება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქმედების შემადგენლობაში ცოდნისა და ნებელობის აღიარებას ასევე თავისი თეორიული დასაბუთებაც აქვს.

საზელობორ, ადამიანის მოქმედება, რომელიც სისხლის სამართლის კანონითაა გათვალისწინებული, როგორც ცნობილია, რეალური სინამდვილის მოვლენაა და მიზეზშედეგობრივ კანონზომიერებას ემორჩილება. ასეთივე მოვლენაა ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი მოქმედებისა და შედეგისადმი⁷²⁷. ადამიანის მოქმედება მისი ფსიქიკისგან განუყრელია, მისგან დამოუკიდებლად არ არსებობს. შესაბამისად, ადამიანის მოქმედებისგან განზრახვის გათიშვა და მისი ბრალის ცნებაში გადატანა ყოველად გაუმართლებელია.

ამ მოსაზრებას ემხრობა ასევე *მ. ტურავაც*. იგი ამის შესახებ მიუთითებს: „დანაშაულის კაუზალური სისტემისგან განსხვავებით, უმართლობის პერსონალურ მოძღვრებაში მოქმედება და განზრახვა ერთმანეთისგან არ არის მოწყვეტილი. უფრო მეტიც, განზრახვა წარმოადგენს ამა თუ იმ ქმედების ჩადენის გზით სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თაობაზე პირის პერსონალურ გადაწყვეტილებას, რომელიც ქმნის მოქმედების უმართლობის ბირთვს.“⁷²⁸

ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრება, ისევე როგორც ნორმატიულ-ფსიქოლოგიური, ხელოვნურად ხლეჩს მოქმედებასა და მის შინაარსს. როგორც *ო. გამყრელიძე* ამის შესახებ მიუთითებს, „ეს უსამართლობაა, ამიტომ აუცილებელია, აღდგეს სამართლიანობა და განზრახვა დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ ადგილს“⁷²⁹. ადრეული შეხედულებებისგან განსხვავებით, მან ბრალიდან სწორედ ქმედების შემადგენლობის ცნებაში უნდა გადაინაცვლოს.

2.1. პრობლემის დასმა

ქართული სისხლის სამართლის კანონიდან გამომდინარე, ისმის კითხვა: საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლში მოცემული განზრახვა ისე უნდა იქნეს გაგებული, როგორც „ბუნებრივი განზრახვა“, თუ როგორც ე.წ. „ბოროტი განზრახვა“?

⁷²⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2009, გვ. 27-30.

⁷²⁷ იხ. *გამყრელიძე*, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4 (2002), გვ. 84.

⁷²⁸ იხ. *ტურავა* (2011), გვ. 289-290.

⁷²⁹ იხ. *გამყრელიძე*, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4 (2002), გვ. 84.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში განსაზღვრული პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის ცნებები, რომლის მიხედვითაც:

(1) „ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ან ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

(2) ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.“

მაშასადამე, კოდექსისეული ამ დეფინიციიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, თითქოს აშკარაა, რომ სისხლისსამართლებრივი განზრახვა განმარტებულია როგორც ბოროტი განზრახვა და იგი ერთდროულად რამდენიმე ელემენტს მოიცავს, ესენია: (1) ინტელექტუალური; (2) ნებელობითი; (3) მართლწინააღმდეგობის შეგნება. თუმცა გასარკვევია, ასეთი განზრახვა ამ სამი კომპონენტისგან შემდგარ ერთ მთლიან ცნებას წარმოადგენს, თუ შესაძლებელია მისი დაყოფა ორ ნაწილად: ბოროტ და არაბოროტ განზრახვად? გარდა ამისა, საკითხავია, განზრახვა ამ შემთხვევაში მხოლოდ ფსიქოლოგიურად უნდა იქნეს გაგებული, თუ ასევე საჭიროა მისი ნორმატიული დასაბუთებაც? ამასთან, დასადგენია პირველი ორი ნიშნის (ინტელექტუალური და ნებელობითი) ურთიერთმიმართება მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან. ყველა ეს საკითხი კი, თავისი მნიშვნელობის გამო, ცალ-ცალკე უნდა იქნეს განხილული.

2.2. განზრახვის ინტელექტუალური და ნებელობითი მხარის ზოგიერთი პრობლემა სისხლის სამართლის დოგმატიკაში

ქართულ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში განზრახვა განმარტებულია, როგორც „გადაწყვეტილების შედეგად ადამიანში აღმოცენებული მზაობა, რომელშიც უკვე წინასწარ არის განსაზღვრული მეტ-ნაკლები სიცხადით, თუ სად რა უნდა გაკეთდეს.“⁷³⁰ მაშასადამე, განზრახვა ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილია წმინდა ფსიქოლოგიური გაგებით და მის დასაბუთებლად ძირითადი აქცენტი განზრახვის ინტელექტუალურ მომენტებზე კეთდება.⁷³¹

თუ რამდენად მისაღებია განზრახვის ამგვარი განმარტება სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ეს ცალკე მსჯელობის საგანია, რადგან არაპირდა-

⁷³⁰ იხ.: ყვავილაშვილი, „მაცნე“ (1992), გვ. 43; ნაჭყებია (2011), გვ. 377.

⁷³¹ შლრ.: ყვავილაშვილი, „მაცნე“ (1992), გვ. 43; ნაჭყებია (2011), გვ. 377-378.

პირი განზრახვა, როგორც „არაპირდაპირი გადაწყვეტილება“, შეუძლებელია ფსიქოლოგიურად არსებობდეს. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, თუკი არაპირდაპირი განზრახვა სიტყვასიტყვით განიმარტება, შესაძლოა, ერთი შეხედვით, არაზუსტიც აღმოჩნდეს. ქმედების შემადგენლობის განზრახვის ნებისმიერი სახე, იქნება ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი, უპირობოდ უნდა აკმაყოფილებდეს ქმედებისადმი პირის მხრიდან ნებელობის არსებობის მოთხოვნას⁷³². არაპირდაპირი ნებელობა კი, როგორც პირის შინაგანი გადაწყვეტილების მიუღებლობის გამოხატულება, განზრახვით ჩადენილ დანაშაულს არ ქმნის. არანებელობითი განზრახვა სისხლის სამართალს არ აინტერესებს და, შესაბამისად, არც პასუხისმგებლობას აწესებს⁷³³. მართებულად მიუთითებს ბ. ზარაზიშვილი, როცა არაპირდაპირი განზრახვის ფსიქოლოგიურ დასაბუთებას გაუმართლებლად მიიჩნევს.⁷³⁴ მსგავს მოსაზრებას იზიარებს ასევე, გ. ნაჭყებიაც, იგი აღნიშნავს: „...თუ იქიდან ამოვალთ, რომ განზრახვა წმინდა ფსიქოლოგიურად გადაწყვეტილების სინონიმი, მაშინ აშკარაა, რომ „ევენტუალური გადაწყვეტილება“ როგორც ევენტუალური განზრახვის გამოხატულება, ფსიქოლოგიურად მართლაც შეუძლებელია, რადგან გადაწყვეტილება ფსიქოლოგიურად ყოველთვის მიიღება პირდაპირ და არა ევენტუალურად, არაპირდაპირ.“⁷³⁵ სწორედ ამიტომ, ზოგიერთი გერმანელი ავტორი, ასე მაგალითად, ე. შმიდჰაუზერი მას ე.წ. „ქმედების გაურკვეველი გაცნობიერების“⁷³⁶ სახელწოდებით მოიხსენიებს და მთელი ყურადღება ასეთ შემთხვევაში განზრახვის ინტელექტუალურ მომენტზე აქვს გადატანილი⁷³⁷.

სიტყვა „არაპირდაპირი“ აქ ეტიმოლოგიურად კი არ უნდა იქნეს გაგებული, არამედ მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს მის შინაარსობრივ მხარეზე. კერძოდ, განზრახვის აღნიშნულ ფორმაში „არაპირდაპირობაში“ იგულისხმება ის, რომ დამნაშავის ნებელობითი ქმედება ირიბად მიიმართება მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ. ეს კი განპირობებულია იმით, რომ დამნაშავე ესწრაფვის სხვა, განსაზღვრულ და არა ამ კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო შედეგს. უფრო ნათლად რომ ითქვას, ასეთ შემთხვევაში არაპირდაპირი განზრახვის ნებელობითი შინაარსი გამოიხატება სხვა მიზნებისაკენ მიმართულ ქმედებაში. მაგალითად, საპროტესტო აქციის მსვლელობის დროს, ხალხის მიმართულებით უმისამართო სროლისას დამნაშავის მოქმედების მიზანი არის არა კონკრეტული პიროვნების მოკვლა, არამედ საპროტესტო აქციის მონაწილეთა დაშინება,

⁷³² შდრ. *Wessels, Beulke*, AT (2011), გვ. 84.

⁷³³ შდრ.: *RGSt 70*, გვ. 201; *Roxin*, AT I (2006), გვ. 447; *Sternberg-Lieben*, Schönke/Schröder (2010), გვ. 262.

⁷³⁴ იხ. *Хорнабуджели* (1981), გვ. 30-31.

⁷³⁵ იხ.: *ნაჭყებია* (2011), გვ. 383; *ნაჭყებია* (2001), გვ. 294-295.

⁷³⁶ გერმანულად: *unsicheres Tatbewußtsein*.

⁷³⁷ იხ. *Schmidhäuser*, JuS (1980), გვ. 250-252.

რათა დემონსტრაციის მონაწილეები დაიშალონ⁷³⁸. ამგვარ ვითარებაში თუნდაც ერთი მოქალაქის დალუპვაც კი, ნიშნავს იმას, რომ დამნაშავემ, როგორც მინიმუმ, არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედებისთვის პასუხი უნდა აგოს, თუ იგი უშვებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას ან გულგრილად ეკიდებოდა მას. პირს, რომელიც „დანაშაულებრივ შედეგს გამოიწვევს არა „გაბლიერებული სურვილით“, არამედ „სუსტი სურვილით“, მაშინ, როდესაც მას შეეძლო ასეთი შედეგის თავიდან აცილება, არცერთ შემთხვევაში არ შეუძლია, ამტკიცოს ის, რომ ეს შედეგი მას საერთოდ არ სურდა.“⁷³⁹

მაშასადამე, არაპირდაპირობა ნიშნავს არა არაპირდაპირ გადაწყვეტილებას, არამედ დამნაშავეს მოქმედების ირიბ მიზანსწრაფულობას არაკონკრეტული მართლსაწინააღმდეგო შედეგისკენ.

ამ მსჯელობიდან გამომდინარე კი, იბადება ლოგიკური შეკითხვა, თუ არაპირდაპირი განზრახვა ფსიქოლოგიურად არ არსებობს, ხომ არ არსებობს იგი ნორმატიულად? ამ კითხვაზე პასუხი დადებითია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ცნება მარტო წმინდა ნორმატიული ხასიათისაა, მისი არსებობისათვის საჭიროა ასევე ფსიქოლოგიური მომენტების დასაბუთებაც. ეს მოსაზრება თავად ევენტუალური განზრახვის ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ფორმულიდანაც გამომდინარეობს. კერძოდ, ქართველი კანონმდებელი ევენტუალური განზრახვის დეფინიციისას, ცალსახად უთითებს მოქმედის მიერ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის „გათვალისწინებაზე“. სახელდობრ, სსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილში ვკითხულობთ: ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, „...თუ პირი ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი...“ მაშასადამე, არაპირდაპირი განზრახვის მთლიანად ფსიქოლოგიური ელემენტისგან მოწყვეტით გაგება სწორი არ იქნებოდა.

მსგავს პოზიციას იზიარებს გ. ნაჭყებიაც, რომელიც თვლის, რომ „განზრახვის დასაბუთებაში დაძლეულია ფსიქოლოგიზმი, როცა განზრახვა ესმით წმინდა ფსიქოლოგიურად, მოტივისა და მიზნის განხორციელების შესაბამისი ხერხებისა და მათი შეფასებების გარეშე; ასევე დაძლეულია ნორმატივიზმიც, როცა განზრახვა გაგებულია როგორც წმინდა ნორმატიულად, განზრახვის ფსიქოლოგიური შინაარსისგან მოწყვეტით“. თუმცა, ავტორის ამგვარი შეხედულება გაზიარებული არ უნდა იქნეს იმ ნაწილში, სადაც იგი მიუთითებს, რომ, რადგან არაპირდაპირი განზრახვა ნორმატიულ ნიშანსაც შეიცავს, ამიტომ თითქოსდა მისი ადგილი ყოველთვის ბრალში უნდა იყოს.⁷⁴⁰

გ. ნაჭყებია ამ შემთხვევაში ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში ნები-

⁷³⁸ ანალოგიური მაგალითი აქვს ასევე თავის სადისერტაციო ნაშრომში განხილული ი. დვალ-იძის. ამის შესახებ იხ. დვალ-იძე (2008), გვ. 84.

⁷³⁹ შდრ.: BGHSt 7, გვ. 363-369; Baumann, Weber, Mitsch, AT (2003), გვ. 486.

⁷⁴⁰ იხ.: ნაჭყებია (2011), გვ. 383; ნაჭყებია (2001), გვ. 294-295.

სმიერი შეფასებითი ნიშნის შეტანას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და ქმედების შემადგენლობას წმინდა ფსიქოლოგიურად განმარტავს. ამის შესახებ იგი წერს: „ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის სტრუქტურაში შედის სუბიექტის ქცევის მოტივი და მიზანი.“, ხოლო განზრახვა, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი, ბრალს ეკუთვნის⁷⁴¹. რაც შეეხება თავად მოტივსა და მიზანს, ავტორის აზრით, მოტივი და მიზანი ფსიქოლოგიური ცნებებია. იგი მიანიშნებს: „მოტივი და მიზანი, როგორც ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური მხარის ორი არსებითი ელემენტი, დანაშაულებრივი ქმედების ფსიქიკურ საზრისს გამოხატავენ და ამიტომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის საქმეში ერთ-ერთ არსებით კრიტერიუმს წარმოადგენენ“⁷⁴².

მაშასადამე, არაპირდაპირი განზრახვა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაგებულია არა როგორც წმინდა ფსიქოლოგიური, არამედ ასევე, როგორც ნორმატიული კატეგორიაც, რაც სწორია. თუმცა, დანაშაულის სისტემაში მის ადგილთან დაკავშირებით, გაზიარებულ არ უნდა იქნეს არც ბრალის ფსიქოლოგიური და არც ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიის ქართველ მომხრეთა შეხედულებები. ასეთ შემთხვევაში მართებულად უნდა ჩაითვალოს ბრალის ნორმატიული თეორიის მიმდევართა მოსაზრებები იმ ნაწილში, სადაც არაპირდაპირი განზრახვის ცოდნა და ნებელობა, ისევე როგორც პირდაპირი განზრახვის ეს ნიშნები, ქმედების შემადგენლობის ეტაპზეა წარმოდგენილი და ნებელობა ნორმატიულად არის გაგებული.

თუმცა, ამ მსჯელობიდან გამომდინარე, საკითხავია, თუ რაში გამოიხატება არაპირდაპირი განზრახვის ნორმატიული ბუნება და რას გულისხმობს მისი ამგვარი ხასიათი. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილია, პრობლემის განხილვა პირდაპირი განზრახვის ცნების გარკვევით დაიწყო. შეუძლებელია, ევენტუალური განზრახვის ნებელობით მომენტზე ისაუბრო, თუკი ჯერ პირდაპირი განზრახვის ვოლუნტატიური ელემენტი არ იქნება სათანადოდ გაანალიზებული.

2.2.1. პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური და ნებელობითი მხარე

პირდაპირი განზრახვისთვის დამახასიათებელია ის, რომ პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას და სურს ეს შედეგი, ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის დადგომის გარდაუვალობას (სსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი).

⁷⁴¹ იხ. ნაკვებია (2001), გვ. 285.

⁷⁴² იქვე, გვ. 281-295.

კანონმდებლის ამგვარი ფორმულირებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ პირდაპირი განზრახვა ფსიქოლოგიური და ნებელობითი მომენტების ერთობლიობით არის წარმოდგენილი. მასში აუცილებლად საჭიროა, არსებობდეს როგორც კოგნიტიური, ისე ვოლუნტატიური ელემენტიც. საკითხავია, როგორ უნდა დასაბუთდეს მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვაში ვოლუნტატიური მომენტი.

მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვაში „შედეგის განხორციელების გარდაუვალობის“ არსებობა, თავის მხრივ, ამ ცნებაში ნებელობითი მომენტის არსებობას მიუთითებს⁷⁴³. ის გარემოება, რომ სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, ე.ი. შედეგის დადგომა პირისთვის არასასურველია, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს არ გამოირიცხავს ნებელობის ელემენტი.⁷⁴⁴ ანალოგიურ პოზიციას იზიარებს ასევე ბ. ზარაზიშვილი, რომელიც შენიშნავს, რომ პირდაპირი განზრახვა ეს არის ფსიქოლოგიური ქცევის დაწყების უზრუნველყოფა (რომელსაც აქვს საკუთარი მიზანი და მოტივი), საზოგადოებრივად მიუღებელი, შეუთავსებელი დასჯადი შედეგების დადგომის კატეგორიული გათვალისწინება. პირი, ასეთ შემთხვევაში, დასაჯული მიზნის მისაღწევად ანტისაზოგადოებრივი დასჯადი შედეგების დადგომას აუცილებლად, გარდაუვლად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა მათი დადგომა.⁷⁴⁵ მართლაც, მაგალითად, სისხლის აღების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის შემთხვევაში სუბიექტს სურს მსხვერპლის სიკვდილი, მაშინ როცა ანგარებით მკვლელობის დროს სუბიექტს არ სურს დაზარალებულის სიკვდილი, როგორც ასეთი, არამედ სურს მისი ქონების დაუფლება, ან მისივე ვალისგან თავის დაღწევა, რის გამოც ამ მიზნის მისაღწევად მსხვერპლის სიკვდილის დადგომას გარდაუვლად მიიჩნევს.⁷⁴⁶

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი არ ითვალისწინებდა განზრახვის ცნებაში შედეგის განხორციელების გარდაუვალობის მომენტის არსებობას, რაც არაერთი მეცნიერის მხრიდან სრულიად საფუძვლიან კრიტიკას იწვევდა. თუმცა, დღეს მოქმედი კოდექსის ანალოგიურ ნორმაში ეს ხარვეზი უკვე აღმოფხვრილია და საზგასმულოა მართლსაწინააღმდეგო შედეგის გარდაუვლად დადგომის შეგნება, როცა ეს შედეგი შეიძლება, სრულიადაც არასასურველი იყოს დაშნაშავისათვის, მაგრამ იგი მაინც მოქმედებდეს პირდაპირი განზრახვით. ამით კი, თავის მხრივ, „თავიდანაა აცილებული ადამიანის ცნობიერების ინტელექტუალური ასპექტის დაყვანა ნებელობით ასპექტზე ან პირველის

⁷⁴³ იხ.: ტურავა (2010), გვ. 128-129; ტურავა (2011), გვ. 271, 280.

⁷⁴⁴ შდრ.: *Ото*, Jura (1996), გვ. 472; ტურავა (2011), გვ. 271, 280; ნაჭყებია, „სახელმწიფო და სამართალი“ (1990), გვ. 20-29.

⁷⁴⁵ იხ. *Хорнашуджели* (1981), გვ. 107.

⁷⁴⁶ შდრ. ნაჭყებია (2011), გვ. 386.

მეორესგან მოწყვეტა.⁷⁴⁷

სრულიად მართებულად მიუთითებენ გერმანელი პროფესორები (ი. პუპე, კ. ოტო) ასეთ შემთხვევაში ნებელობის ელემენტის არსებობის აუცილებლობაზე. სახელდობრ, ცნება „ნებელობა“, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვაში ორი მნიშვნელობით – დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური და ნორმატიულ-შერაცხვითი გაგებით უნდა იქნეს გამოყენებული⁷⁴⁸. ნებელობის დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური გაგება პირდაპირ განზრახვაში ნიშნავს „შედეგის დადგომისკენ მიმართულ მიზნით დეტერმინირებულ ნებელობას“⁷⁴⁹. ნებელობის ნორმატიულ-შერაცხვითი გაგება კი გულისხმობს იმას, რომ პირს შედეგის დადგომა, მართალია, გამიზნულად არ სურს, მაგრამ მის დადგომას გარდაუვლად მიიჩნევს⁷⁵⁰. აქ ნებელობა არა ფსიქოლოგიურად, არამედ ნორმატიულად უნდა დასაბუთდეს.

ქართველი მეცნიერი ო. გამყრელიძე პირდაპირი განზრახვის შესახებ მსჯელობისას მიუთითებს: „მართალია, არაპირდაპირი განზრახვის დროსაც მოქმედს არ სურს შედეგი, მაგრამ იგი ითვალისწინებს, რომ შედეგი შეიძლება განხორციელდეს და შეიძლება არ განხორციელდეს. მაგრამ იქ სადაც შედეგის განხორციელების გარდაუვალობა წარმოდგენილი, ვერ ვიტყვით, რომ ეს არის არაპირდაპირი განზრახვა. აქ სურვილი თუმცა პირდაპირ არ არის გამოხატული, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ მოქმედს ამ შედეგის განხორციელება არ უნდოდა. თუ არ არის სურვილი, სამაგიეროდ არის ნდობა (не желание, а хотение)“⁷⁵¹.

მაშასადამე, მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვაში როგორც კოგნიტიური, ისე ვოლუნტატიური ელემენტი ერთობლივად უნდა იქნეს წარმოდგენილი, თუმცა არათანაბარი ინტენსიურობით.

2.2.2. არაპირდაპირი განზრახვის კომპონიტიური და ვოლუნტატიური ნიშანი

არაპირდაპირ განზრახვის პრობლემის გარშემო ქართველ მეცნიერებს შორის ერთიანი შეხედულება არ არსებობს. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ე. მაცაშვილი ევენტუალური განზრახვის დროს „ნებელობის“ მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას. მეცნიერის შეხედულებით, ევენტუალური განზრახვის შინაარსი არ ამოიწურება მხოლოდ ინტელექტუალური პროცესებით და საჭიროა, ასევე, „სუბიექტის ნების“ არსებობაც ქმედებისა და შედეგისადმი,

⁷⁴⁷ იქვე.

⁷⁴⁸ შტრ.: Puppe, Nomos Kommentar I (2010), გვ. 604; Otto, Jura (1996), გვ. 470.

⁷⁴⁹ ამის შესახებ იხ.: Puppe, Nomos Kommentar I (2010), გვ. 604; Otto, Jura (1996), გვ. 470.

⁷⁵⁰ შტრ.: Puppe, Nomos Kommentar I (2010), გვ. 604; Otto, Jura (1996), გვ. 470.

⁷⁵¹ იხ. გამყრელიძე (2008), გვ. 105.

რის გამოც არაპირდაპირი განზრახვის არსი სწორედ რომ ნების „მანიკერ წარმართვაში“ უნდა გამოიხატოს. ასეთი ნება კი, ავტორის აზრით, იმსახურებს გაკიცხვას. იგი სრულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ პირდაპირი განზრახვისგან ევენტუალური განზრახვა ნების არარსებობით კი არ განსხვავდება, არამედ მხოლოდ იმით, რომ „ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი არ მიისწრაფვის ასეთი საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ“, მას „ამ შედეგის მიმართ რაიმე ემოციური განცდები არა აქვს“, მისი განზორციელება „არავითარ სიამოვნებას არ გვრის“.⁷⁵² ვ. მაყაშვილის განმარტებით, ევენტუალური განზრახვის დეფინიციაში უნდა განსაზღვროს მხოლოდ ძირითადი გეზი, რომელსაც უნდა გაჰყვეს სასამართლო პრაქტიკა და სისხლის სამართლის მეცნიერება.⁷⁵³

მსგავს პოზიციას აეთარებს მ. ტურავა. ავტორი ცალსახად აღნიშნავს, რომ პირდაპირი განზრახვისგან განსხვავებით, არაპირდაპირი განზრახვა როგორც ცოდნის, ასევე ნებელობის დაბალი ხარისხით ხასიათდება.⁷⁵⁴ მისი აზრით, „ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების დეფინიციებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი გამიჯვნისთვის აუცილებელია ნებელობით მომენტზე დაყრდნობა“.⁷⁵⁵

შესაბამისად, არ არის გასაზიარებელი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თითქოს ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, გერმანულისაგან განსხვავებით, განზრახვას ვერ განვმარტავთ როგორც ქმედების განზორციელების ცოდნასა და სურვილს, რადგან ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო დეფინიცია შედეგის დადგომის სურვილის არქონაზე ამახვილებს ყურადღებას. გარდა ამისა, მხარდაჭერას არ იმსახურებს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ევენტუალურ განზრახვაში სუსტი სურვილის არსებობის დასადასტურებლად ნებელობის დოგმატიკური ფიგურის შემოტანა აღნიშნულ პრობლემას ვერ გადაჭრის.⁷⁵⁶

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, სრულიად მართებულად მიუთითებს მ. ტურავა, რომ „ნებელობის დოგმატიკური ფიგურის შემოტანით სუსტი სურვილის არსებობაზე მითითება არის ერთადერთი გზა ევენტუალური განზრახვის შინაარსის გასარკვევად, წინააღმდეგ შემთხვევაში, განზრახვის ამ ფორმას ხელიდან გამოეცლება ვოლუნტატიური ელემენტი, რომელიც განზრახვის ყველა ფორმისთვის აუცილებელი კომპონენტია“. ავტორის აზრით, „ასეთი დოგმატიკური ფიგურის არსებობას ხელს ვერ შეუშლის ევენტუალური განზრახვის ქართულ საკანონმდებლო დეფინიციაში (სსკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი) შედეგის დადგომის სურვილის არქონის თაობაზე მითითება. სამაგიეროდ კანონ-

⁷⁵² შდრ.: მაყაშვილი, „საბჭოთა სამართალი“ (1965), გვ. 4, 19; ტურავა (2011), გვ. 271, 280-290.

⁷⁵³ იხ.: მაყაშვილი, „საბჭოთა სამართალი“ (1965), გვ. 27; ტურავა (2011), გვ. 283-285.

⁷⁵⁴ იხ.: ტურავა (2010), გვ. 129; ტურავა (2011), გვ. 271, 285-286.

⁷⁵⁵ იხ.: ტურავა (2010), გვ. 142; ტურავა (2011), გვ. 271, 285-286.

⁷⁵⁶ იხ.: მჭედლიშვილი-ქედრიხი (2010), გვ. 89-91; მჭედლიშვილი-ქედრიხი (2011), გვ. 70-84.

მდებელი იქვე უთითებს შედეგის დადგომის შესაძლებლობის შეგნებულად დამკვეთზე ან შედეგის დადგომისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე⁷⁵⁷.

მართლაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში, მართალია, არ არის განსაზღვრული განზრახვის ცნება, თუმცა, მეცნიერებაში ჩამოყალიბებულია მისი ზოგადი განმარტება: „განზრახვა ეს არის ცოდნითა და ნებელობით განზორციელებული ქმედების შემადგენლობა“⁷⁵⁸. განზრახვის ასეთი დეფინიცია არ წარმოადგენს განზრახვის ზუსტ განმარტებას, მაგრამ არის მისი მოკლე „ფორმულა“, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ განზრახვას. მაშასადამე, გერმანული სისხლის სამართლის დოქტრინაში განზრახვის ამგვარი ზოგადი ფორმულა გამოიყენება იმისდა მიუხედავად, დამნაშავეს სურდა თუ არა შედეგის განზორციელება. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში სწორად არის მითითებული, ეს ზოგადი ფორმულა გამოყენებულ უნდა იქნეს ფრთხილად და გარკვეული დათქმებით⁷⁵⁹. სისხლის სამართლის დოგმატიკაში თითქმის ერთხმადაა აღიარებული, რომ განზრახვის ასეთი ფორმულირება არაზუსტი, არაკონკრეტული ცნებაა, რის გამოც საჭიროებს დაზუსტებას.⁷⁶⁰

ამგვარი დაკონკრეტების ერთ-ერთ მცდელობას წარმოადგენს *მ. ტურავას* მიერ შემოთავაზებული განზრახვის ცნება, რომელიც გერმანული განზრახვის ზოგადი ფორმულის ანალოგია ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში. ავტორისეული ინტერპრეტაციით, განზრახვა ეს არის „ცოდნა იმისა, რასაც ვაკეთებ, ნებელობა იმისა, რასაც ვაკეთებ“⁷⁶¹. მეცნიერი ამ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებს განზრახვის ორ – ინტელექტუალურ და ნებელობით – კომპონენტზე და მას ახასიათებს მხოლოდ ამ ნიშნებით, მიუხედავად იმისა, ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ არაპირდაპირ.

მ. ტურავას აღნიშნული შეხედულების საპირისპიროდ *ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი*, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება განზრახვაში ნებელობითი მომენტის არსებობას, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ცნებაში შედეგისადმი „გულგრილ დამოკიდებულებაზე“ საუბრობს. კერძოდ, ავტორი აცხადებს, რომ: „ვეენტუალური განზრახვის დროს ნებელობითი ელემენტი მოიცავს შედეგის დადგომის სურვილის არქონას, მის შეგნებულად დაშვებას ან მისდამი გულგრილ დამოკიდებულებას“⁷⁶².

⁷⁵⁷ შდრ. ტურავა (2011), გვ. 286.

⁷⁵⁸ იხ.: BGHSt 19, გვ. 295, 298; BGHSt 36, გვ. 1, 10; BGHSt 51, გვ. 100, 119; BGHSt 36, გვ. 1-11, ასევე შდრ.: Kuhl, AT (2008), გვ. 68; Wessels, Beulke, AT (2011), გვ. 80-81; Frisch (1983), გვ. 255; Schroth (1998), გვ. 3-4; Satzger, Jura (2008), გვ. 113; Hruschka, Roxin FS (2001), გვ. 443.

⁷⁵⁹ იხ.: Otto, Jura (1996), გვ. 468; ტურავა (2011), გვ. 285.

⁷⁶⁰ შდრ.: Satzger, Jura (2008), გვ. 113; Otto, Jura (1996), გვ. 468; ტურავა (2011), გვ. 285.

⁷⁶¹ იხ.: ტურავა (2010), გვ. 127; ტურავა (2011), გვ. 266-268.

⁷⁶² შდრ.: მჭედლიშვილი-ჰედრიხი (2010), გვ. 92; მჭედლიშვილი-ჰედრიხი (2011), გვ. 70-84.

შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება წარმოადგენს ევენტუალური განზრახვის ნებელობითი მომენტს. თუკი ევენტუალური განზრახვისას ნებელობის მომენტი არ არსებობს, მაშინ რატომ უთითებს კანონმდებელი ამ ცნების საკანონმდებლო დეფინიციასი „გულგრილ დამოკიდებულებაზე“? პასუხი აღნიშნულ კითხვაზე ცალსახაა. არაპირდაპირ განზრახვაში შედეგისადმი „გულგრილი დამოკიდებულება“ სხვა არაფერია, თუ არა მასში ნებელობითი მომენტის აღიარება. თუმცა, ნებელობა ასეთ შემთხვევაში ნორმატიულად უნდა იქნეს გაგებული.

ევენტუალური განზრახვის ამ ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანზე (გულგრილობაზე) მიანიშნებდა ჯერ კიდევ გასულის საუკუნის 60-იან წლებში სსრ კავშირის სასამართლო პრაქტიკაც. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის დადგენილებაში აღნიშნული იყო: „თუ... სასამართლო დაადგენს, რომ დამნაშავე ითვალისწინებდა სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას და გულგრილად ეკიდებოდა ასეთ შედეგს, დამნაშავეს ქმედობა უნდა ჩაითვალოს ჩადენილად არაპირდაპირი განზრახვით და დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახ მკვლელობა“.⁷⁶³ მაშასადამე, აქ ევენტუალური განზრახვა განმარტებულია ნორმატიულად.

რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ე.-ს მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მკვლელობა. საქმის არსი კი შემდეგში მდგომარეობდა: ე.-მ გააუპატიურა უგონოდ მთვრალი მ., შემდეგ გაიტანა ოთახიდან და დააგლო იატაკზე დერეფანში, სადაც 24 გრადუსი ყინვა იყო. დაზარალებული სხეულის გაყინვისაგან გარდაიცვალა. კოლეგიამ სწორად მიუთითა, რომ, როდესაც ე.-მ დაზარალებული უგრძნობ მდგომარეობაში ცივ დერეფანში დატოვა, იგი შეგნებულად უშვებდა სიკვდილის შესაძლებლობას.⁷⁶⁴ მართალია, იურიდიულ ლიტერატურაში იმ დროს გაბატონებული შეხედულებით, არაპირდაპირი განზრახვა როგორც ბრალის ფორმა განიხილებოდა, თუმცა, მისი ნორმატიულ ნიშანი მეცნიერებს შორის ეჭვს არ იწვევდა. მაშასადამე, არც თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკასა და პრაქტიკაში უნდა გაზდეს სადავო ევენტუალური განზრახვის ნორმატიული ბუნება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას განეკუთვნება.

ანალოგიური განაჩენი დაადგინა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ეხებოდა განზრახ მკვლელობის შემთხვევას.

ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო თავის

⁷⁶³ საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილების შესახებ იხ. კოდექსის კომენტარები (1976), გვ. 59.

⁷⁶⁴ რსფსრ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ იხ. კოდექსის კომენტარები (1976), გვ. 60.

გადაწყვეტილებაში, შეიძლება ითქვას, ერთი მხრივ, სწორად უთითებს არაპირდაპირი განზრახვის არსებობაზე, თუმცა, მეორე მხრივ, მისი დასაბუთება „ბუნდოვანი და გაურკვეველია“. კერძოდ, როცა სააპელაციო პალატა განაჩენში მსჯელობს მკვლელობის ნაწილში მსჯავრდებულის ქმედების სუბიექტური მხარის თაობაზე, ორაზროვნად განმარტავს, რომ ზ. მ. მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისას, „შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მ. ა.-ს სიკვდილის დადგომას“. გამომდინარე აქედან, შეუძლებელია დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, რატომ ჩათვალა ასეთი შემთხვევა სასამართლომ არაპირდაპირ განზრახვად. მართებული იქნებოდა სააპელაციო პალატას ამგვარ ვითარებაში ყურადღება არაპირდაპირი განზრახვის ცალკეული ელემენტების დასაბუთებაზე გაემახვილებინა და მსჯელობა სწორედ ამ მიმართულებით წარემართა. აღნიშნული არგუმენტით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ეს განაჩენი გააუქმა და სისხლის სამართლის საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა.⁷⁶⁵

მამასადამე, არაპირდაპირ განზრახვაში შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება გულისხმობს ამ ცნებაში ნებელობითი მომენტის აღიარებას. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, ნებელობა განმარტებული უნდა იქნეს ნორმატიულ-შერაცხვითი გაგებით. ეს ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს შედეგის დადგომა ფსიქოლოგიური გაგებით არ სურს, არა აქვს გამიზნული, მაგრამ ნორმატიულად აქვს ასეთი შედეგის დადგომის ნებელობა. აქედან გამომდინარეობს ვოლუნტატიური ელემენტის ორგვარი მნიშვნელობაც: „ნებელობა შედეგის სურვილით“ (პირდაპირი განზრახვა) და „ნებელობა შედეგის სურვილის გარეშე“ (არაპირდაპირი განზრახვა) ჩადენილი აქტის სუბიექტური გამოხატულება.⁷⁶⁶

სწორად მიუთითებს ამასთან დაკავშირებით მ. ტურავა, რომ „არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს დესკრიფციულ-ფსიქოლოგიურად არ სურს შედეგის დადგომა, მაგრამ ნორმატიულ-შერაცხვითი მნიშვნელობით აქვს შედეგის დადგომის ნებელობა. სისხლის სამართალი, როგორც ნორმატიული მეცნიერება, არაპირდაპირი განზრახვის დროს დანაშაულის მცდელობის დასჯადობისას ეფუძნება სწორედ ნორმატიულად გაგებული განზრახვის ვოლუნტატიური ელემენტის კატეგორიას.“⁷⁶⁷

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ შესაძლებელია დაისვას შეკითხვა: შეიძლება თუ არა, რომ ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში ფსიქოლოგიურ ელემენტებთან ერთად შეტანილი იქნეს ასევე ნორმატიული მომენტებიც (მსგავსი პოზიცია გამოითქვა აგრეთვე მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის

⁷⁶⁵ ამის შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2009, გვ. 27-30.

⁷⁶⁶ შდრ.: *Otto, Jura* (1996), გვ. 470; ტურავა (2011), გვ. 283-290.

⁷⁶⁷ შდრ. ტურავა (2011), გვ. 283-290.

დასაბუთების დროსაც). სწორედ ეს იყო ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიის კრიტიკის საგანი ფინალისტების მიერ, როცა ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური დოქტრინის წარმომადგენლებმა ორი სხვადასხვა სინამდვილე (შეფასებითობა და ფსიქიკური დამოკიდებულება) ერთ ცნებაში – ბრალში მოიაზრეს.

ქმედების შემადგენლობაში ნორმატიულობის მომენტის შეტანა არ არის უცხო თანამედროვე იურიდიულ დოქტრინაში. ამის კლასიკურ მაგალითს კი წარმოადგენს ობიექტური შერაცხვა, რომელიც მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემდგომი ეტაპია. ცნობილია, რომ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ობიექტური შერაცხვა განიხილება, როგორც ნორმატიული კატეგორია და მისი მნიშვნელობა დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს. გამომდინარე აქედან, თუ ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში შეიძლება შეფასების მომენტის შეტანა, ეს რატომ უნდა იყოს შეუძლებელი ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში? პასუხი ამ შეკითხვაზე დადებითია. ამის ნათელ მაგალითს შეადგენს ევენტუალურ განზრახვაში მოცემული „შედგის შეგნებული დაშვება“, „შედგისადმი გულგრილი დამოკიდებულება“ ან კიდევ „შედგის მოწონება“, რომლებიც ასევე, ნებელობით მომენტებზე დაიყვანება და შეფასებას ნიშნავს. დამნაშავე ყველა ამ შემთხვევაში ერთნაირად ურიგდება შედეგის დადგომის შესაძლებლობას. გარდა ამისა, ისიც აშკარაა, რომ იურიდიულ ლიტერატურაში თანდათან შეინიშნება განზრახვაში ნორმატიული ელემენტების შემოტანის მცდელობის ტენდენცია არა მარტო იმ მეცნიერთა შეხედულებებში, რომლებიც ნებელობითი კომპონენტის დასაბუთებას მიზანშეწონილად მიიჩნევენ, არამედ, აგრეთვე, იმ ავტორთა მოსაზრებებშიც, რომლებიც ევენტუალურ განზრახვაში ნებელობის მომენტის მნიშვნელობას პირდაპირ არ აღიარებენ. ასე მაგალითად, გერმანელი პროფესორი გ. იაკობსი, რომელიც, თავის მხრივ, განზრახვაში მხოლოდ ინტელექტუალურ ელემენტს ანიჭებს მნიშვნელობას⁷⁶⁸, თავის ნაშრომში კ. ველცელის მიერ დამკვიდრებულ ფსიქოლოგიური განზრახვის იდეას არ ეთანხმება. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, იგი აღნიშნავს, რომ „განზრახვა ეს არის არა ფსიქიკური ფაქტებისგან შემდგარი შერაცხაობის ხელოვნური კავშირი, არამედ დამოუკიდებელი, ნორმატიული შერაცხვითი კატეგორია“.⁷⁶⁹ „ევენტუალური განზრახვისა და შეგნებული გაუფრთხილებლობის ერთმანეთისგან ურთიერთგამიჯვნა ნორმატიული შეფასების მასშტაბის დადგენის გარეშე რთულია“, – აღნიშნავს კ. როქსინი⁷⁷⁰. მისი აზრით, განზრახვა არ არის შიშველი ფსიქიკური მდგომარეობა, არამედ არის, ასევე, ნორმატიული, შეფასებითი კატეგორია.⁷⁷¹

⁷⁶⁸ იხ.: *Jakobs*, AT (1991), გვ. 269-270; *Jakobs*, ZStW (1989), გვ. 516-530; *Jakobs*, ZStW (2002), გვ. 584-599.

⁷⁶⁹ ამის შესახებ იხ. *Jakobs*, Rudolphi FS (2004), გვ. 107-109.

⁷⁷⁰ იხ.: *Roxin*, Rudolphi FS (2004), გვ. 257; *Maurer* (2007), გვ. 109.

⁷⁷¹ აღსანიშნავია, რომ კ. როქსინი თავის წინა ნაშრომებში (იხ.: *Roxin*, JuS (1964), გვ. 53-

ასეთ შემთხვევაში, უფრო მართებული იქნებოდა, რომ განზრახვის ცნებაში ნებელობის დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური კატეგორია მიგვეჩინა როგორც ამ ცნების დამოუკიდებელი „დაწერილი“ ნიშანი, ხოლო ნებელობის ნორმატიულ-შერაცხვითი გაგება – არა როგორც განზრახვის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, არამედ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის დაუწერელი შეფასებითი ნიშანი.

გერმანულ დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ევენტუალურ განზრახვაში შედეგის დადგომის სურვილის არარსებობაზე ხშირად მიანიშნებენ. სწორედ ამის დამასტურებელია ფედერალური უზენაესი სასამართლოს 1955 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, სადაც ცალსახადაა ხაზგასმული, რომ ევენტუალური განზრახვა არსებობს მაშინაც, როცა ქმედების ჩამდენი პირისთვის შედეგის დადგომა არასასურველია.⁷⁷² გამომდინარე აქედან, ნებისმიერი განზრახვი მოქმედება ნებელობითი აქტია⁷⁷³, შესაბამისად, ევენტუალური განზრახვის დროს პირის დამოკიდებულება მოქმედებასა და შედეგისადმი ნებელობითია. თუკი გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკა და სასამართლო პრაქტიკა აღიარებს ევენტუალური განზრახვის დროს ვოლუნტატიური ელემენტის არსებობას, რატომ უნდა გამოირიცხოს იგი ქართული სისხლის სამართლის მიხედვით? როგორც მართებულად მიიჩნევს *მ. ტურავა*, ევენტუალურ განზრახვაში ინტელექტუალურ კომპონენტთან ერთად ასევე, საჭიროა ვოლუნტატიური ელემენტიც დასაბუთდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ევენტუალური განზრახვის ცნებაში დარჩება მხოლოდ ინტელექტუალური მხარე (ცოდნა), რაც არ იქნება საკმარისი. ნებელობის (სუსტი სურვილის) უარყოფითა და მხოლოდ ინტელექტუალური ელემენტის გამოყენებით იშლება ზღვარი ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვებას შორის, რადგან მათი ცოდნის ელემენტი ერთმანეთს ემთხვევა და განსხვავება შედეგის ნებელობის სფეროში იკვეთება⁷⁷⁴.

დაუსაბუთებელია იმაზე მითითება, თითქოს ნებელობა მხოლოდ სისხლის-სამართლებრივად რელევანტურ და არარელევანტურ ქმედებათა ურთიერთგამიჯვნის კრიტერიუმს წარმოადგენს⁷⁷⁵. როგორც *მ. ტურავა* აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ მიუთითებს, მოქმედება, მართალია, არის ნებელობითი

58; *Roxin* (1973), გვ. 226-234) არა თუ ნებელობის ელემენტის ნორმატივიზაციას, არამედ განზრახვაში ნებელობის ელემენტის მნიშვნელობასაც უარყოფდა. მოგვიანებით მან ეს პოზიცია შეიცვალა და არაპირდაპირ განზრახვაში ნებელობის, როგორც ნორმატიული ნიშნის დასაბუთება სცადა. ამის შესახებ იხ.: *Roxin Rudolphi FS* (2004), გვ. 257; *Roxin, AT I* (2006), გვ. 449.

⁷⁷² იხ.: BGHSt 7, გვ. 369; *Schlüchter* (1983), გვ. 31.

⁷⁷³ იხ. *Spendel, Lackner FS* (1987), გვ. 171.

⁷⁷⁴ შდრ. *ტურავა* (2011), გვ. 283-290.

⁷⁷⁵ შდრ. *მჭედლიშვილი-ჭედრიხი* (2010), გვ. 91-92. *ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხის* ამ მოსაზრების კრიტიკის შესახებ ასევე იხ. *ტურავა* (2011), გვ. 283-290.

აქტი და ნებელობა უდავოდ ემსახურება სისხლისსამართლებრივად რელევანტურ მოქმედებათა დადგენას, თუმცა, ამ ფუნქციის გარდა, იგი არ კარგავს თავის მნიშვნელობას ასევე განზრახვისა და ბრალის ეტაპზე. ნებელობის შინაარსი სწორედ მათ არსებობაზე მსჯელობის დროს დგინდება.⁷⁷⁶

მაშასადამე, ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, ისევე როგორც გერმანულ დოქტრინაში, განზრახვა გულისხმობს როგორც ინტელექტუალური, ისე ნებელობითი მომენტების არსებობას, მიუხედავად იმისა, ქმედება ჩადენილია პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით. ევენტუალური განზრახვა – ეს არის შედეგის დადგომის შესაძლებლობის არა მარტო უბრალო გათვალისწინება და შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება ანდა შედეგის შეგნებული დაშვება, არამედ, სურვილის არარსებობის მიუხედავად, ქმედების ჩამდენი პირის მიერ შედეგის დადგომის შინაგანი მოწონებაც, რაც, თავის მხრივ, მის ნებელობით მომენტზე მიუთითებს.

ამ პრობლემის განხილვის შემდეგ კი, გასარკვევია, თუ როგორ ურთმიმართებაშია განზრახვის ეს ორი მნიშვნელოვანი ელემენტი თავად მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან. აღნიშნული საკითხი შეცდომის პრობლემატიკასთან დამოკიდებულებაში უნდა გაირკვეს. თუმცა მანამდე მართებულია თავად მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობა და მისი ფუნქცია გაანალიზდეს.

2.2.3. მართლწინააღმდეგობის შემნების პრობლემა თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მეცნიერთა ერთი ნაწილი, როგორც ზემოთ ითქვა, მიიჩნევს, რომ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში მოცემული სამკომპონენტიანი განზრახვისპირველი ორი კომპონენტი – ცოდნა და ნებელობა, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე, ხოლო მესამე კომპონენტი – ბრალის ეტაპზე უნდა შემოწმდეს.⁷⁷⁷ მეცნიერთა მეორე ნაწილი კი, თვლის, რომ ამ შემთხვევაში განზრახვა პირდაპირ, როგორც ეს კოდექსის მე-9 მუხლშია ფორმულირებული, ისე უნდა იქნეს გაგებული და მისი ერთიანობა არ უნდა დაირღვეს. ეს იმას ნიშნავს, რომ განზრახვა და, შესაბამისად, მართლწინააღმდეგობის შეგნება საჭიროა, არა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე, არამედ 36-ე მუხლიდან

⁷⁷⁶ შდრ. ტურავა (2011), გვ. 283-290. ნებელობისა და ნებელობის შინაარსს ერთმანეთისგან ასხვავებს აგრეთვე *ო. გამყრელიძე*. ამის შესახებ იხ. *გამყრელიძე* (2006), გვ. 43. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ასევე შდრ. *გიორგიძე* (2008), გვ. 45-53.

⁷⁷⁷ „ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება განზრახვის კი არა ბრალის ნიშანია“, – აცხადებს *ო. გამყრელიძე*. ამის შესახებ იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 98-99.

გამომდინარე, მთლიანად ბრალის სფეროში განიზილებოდეს.⁷⁷⁸

მ. ტურავას შეხედულება წარმოადგენს ამ პრობლემისადმი განსხვავებულ მიდგომას. იგი თავისი წიგნის ბოლო გამოცემებში ცალსახად მიუთითებს, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება (ვიწრო გაგებით) არა განზრახვის, არამედ ბრალის დამოუკიდებელი ნიშანია და ის ქმედების შემადგენლობის განზრახვისგან მოწყვეტით ცალკე განაგრძობს ბრალის სფეროში არსებობას.⁷⁷⁹

ყველა ზემოთ აღნიშნული პოზიციის დადებითი და უარყოფითი მხარეები კიდევ ერთხელ ქვემოთ იქნება განხილული, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხარდაჭერას იმსახურებს იმ ავტორთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, უმართლობის შეგნების პრობლემა ბრალშია განსახილველი. სახელდობრ, სსკ-ის მე-9 მუხლში მოცემული განზრახვის, რომელიც სამკომპონენტია, პირველი ორი კომპონენტი – ცოდნა და ნებელობა ქმედების სუბიექტური შემადგენლობაში, ხოლო მესამე კომპონენტი – ბრალის ეტაპზე უნდა იქნეს შემოწმებული.

გარდა ამისა, გასაზიარებელია მ. ტურავას მიერ შემოთავაზებული თვალსაზრისი მართლწინააღმდეგობის შეგნების ვიწროდ და ფართოდ დიფერენციაციის შესახებ. ამგვარი დაყოფა აკრძალვაში შეცდომის პრობლემასა და მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევას სხვადასხვა თეორიულ მნიშვნელობას ანიჭებს, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით ემსგავსებიან. თუმცა აღნიშნული საკითხის გაანალიზებამდე გასარკვევია თავად „მართლწინააღმდეგობის“ ცნების მნიშვნელობა.

2.2.3.1. მართლწინააღმდეგობის ცნება ქართულ იურიდიულ დოქტრინაში

თანამადეროვე ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მოძღვრება, გერმანული დოგმატიკის ანალოგიურად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალთან სისტემას ითვალისწინებს, რაც უშუალოდ მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, მე-8 („მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები“) და მე-9 („ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები“) თავების სახით. ასეთი დაყოფა უცხო იყო როგორც მანამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისთვის, ისე ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებისთვის.⁷⁸⁰ საბჭოური სისხლის სამართლის კოდექსი და დოგმატიკა მართლწინააღმდე-

⁷⁷⁸ იხ.: ნაჭყებია (2001), გვ. 290-291; კუტალია (2000), გვ. 632-645; დვალიძე (2008), გვ. 101.

⁷⁷⁹ იხ. ტურავა (2010), გვ. 127, 229-236, ასევე იხ. ამ წიგნის მე-7 გამოცემა და შტრ. ტურავა (2011), გვ. 266-268, 283-290, 449-452.

⁷⁸⁰ იხ. ტურავა (2010), გვ. 177.

გობის ცნების ნაცვლად იყენებდა ცნებას „საზოგადოებრივი საშიშროება“.⁷⁸¹ *ო. გამყრელიძე* ამის შესახებ აღნიშნავს: „საბჭოურ სისხლის სამართალში მიღებული იყო, რომ მართლწინააღმდეგობას, როგორც ფორმალურ ნიშანს, დანაშაულის ნიშნად აღიარებდა ვგრეთ წოდებული ბურჟუაზიული სამართალი“⁷⁸², რის გამოც მას კატეგორიულად უარყოფდა მაშინდელი სისხლის სამართლის მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა. ყოველივე ეს კი, ავტორის მტკიცებით, განპირობებული იყო ამ მეცნიერული პრობლემის ზედმეტი პოლიტიზებითა და იმდროინდელი იდეოლოგიით.⁷⁸³ გამოძინარე აქედან, „მართლწინააღმდეგობა“ როგორც საბჭოურ, ისე თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში მონოგრაფიულად სათანადოდ დაუმუშავებელი პრობლემაა. თუმცა, ზოგიერთი თანამედროვე ქართველი მეცნიერი მაინც შეეცადა მის სამართლებრივ ინტერპრეტაციას. ასე მაგალითად, *მ. ტურავა* თავის სახელმძღვანელოში აღნიშნავს, რომ „მართლწინააღმდეგობა“ ეს არის „პირის მიერ ჩადენილი ქმედების წინააღმდეგობა კულტურის ნორმებისადმი და არა ვიწროდ გაგებული სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა“⁷⁸⁴.

მასასადამე, *მ. ტურავა*, *მ. ე. მაიერის* მსგავსად, მართლწინააღმდეგობას განმარტავს, როგორც კულტურის ნორმებისადმი წინააღმდეგობას და არა როგორც სისხლის სამართლის კანონისადმი წინააღმდეგობას. თუმცა, ამ შემთხვევაში ავტორი არ აკონკრეტებს თუ რა იგულისხმება „კულტურის ნორმებში“ და როგორ უნდა იქნეს იგი გაგებული მართლწინააღმდეგობის დადგენის დროს.

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ასევე *ო. გამყრელიძე*, რომელიც მიიჩნევს, რომ მართლწინააღმდეგობა ნიშნავს არა სისხლისსამართლებრივი ნორმებისადმი, არამედ მის ფარგლებს გარეთ არსებული ზოგადსამართლებრივი ნორმებისადმი ქმედების წინააღმდეგობას.⁷⁸⁵

ასე რომ, როგორც *მ. ტურავას*, ასევე *ო. გამყრელიძის* შეხედულებით, მართლწინააღმდეგობა განმარტებულია არა ვიწროდ, როგორც სისხლისსამართლებრივი ნორმისადმი წინააღმდეგობა, არამედ ფართოდ, როგორც სამართლის ნორმებისადმი (იგულისხმება როგორც პოზიტიური, ისე დაუწერელი სამართალი) წინააღმდეგობა, რაც, უდავოდ, სწორია.

შესაბამისად, არ ვეთანხმები *თ. წერეთლის* შეხედულებას, სადაც იგი მკაცრად აკრიტიკებს მართლწინააღმდეგობის ამგვარ განმარტებას და მიიჩნევს,

⁷⁸¹ იხ.: *შავგულიძე, სურგულაძე* (1988); *წერეთელი* (2006), გვ. 100-109; *წერეთელი* (2010), გვ. 31-126; *ფუტყარაძე* (2006), გვ. 123-130. *ნ. სარია* ამის შესახებ მიუთითებს: „საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების განმსაზღვრელი ნიშანია“. იხ. *სარია* (2001), გვ. 165. თუმცა ავტორი ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ამ ტერმინს კანონმდებელი დღეს მოქმედი კოდექსის არც მე-7 და არც 36-ე მუხლში აღარ იყენებს.

⁷⁸² იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 85-86.

⁷⁸³ იქვე, გვ. 85-86.

⁷⁸⁴ *შდრ. ტურავა* (2010), გვ. 56.

⁷⁸⁵ იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 85-86.

რომ მართლწინააღმდეგობის ასეთი გაგება თითქოსდა მოსამართლის სუბიექტივიზმის გაფართოებას იწვევს.⁷⁸⁶ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად მეცნიერს იმ კერძო საწარმოს მესაკუთრის მაგალითი მოჰყავს, რომელიც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება „უბედური შემთხვევებისათვის“ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ დანაშაულებრივი შედეგი არ ეწინააღმდეგება მართლწესრიგს, არ ეწინააღმდეგება კულტურის ნორმებს და ამიტომ, თითქოსდა, არ არის მართლსაწინააღმდეგო⁷⁸⁷.

გ. ნაჭყებიას მართლწინააღმდეგობა გაგებული აქვს როგორც სისხლის სამართლის ნორმებისადმი წინააღმდეგობა. ავტორი აღნიშნულ ცნებას, მართალია, წმინდა შეფასებით კატეგორიას უწოდებს, თუმცა, მას არა ფართოდ, არამედ ვიწროდ განმარტავს. „თუ ქმედების შემადგენლობა, როგორც წესი, აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობაა, მართლწინააღმდეგობა, პირიქით, არის ღირებულებითი (შეფასებითი) მსჯელობა, რადგან ის ქმედების უარყოფით სამართლებრივ შეფასებას გამოხატავს,⁷⁸⁸ – აღნიშნავს მეცნიერი. იგი იქვე განაგრძობს, რომ „მართლწინააღმდეგობა გამოხატავს ქმედების წინააღმდეგობას სამართლის იმ ნორმასთან, რომელიც ქმედების მოცემულ, კონკრეტულ, შემადგენლობას ითვალისწინებს“⁷⁸⁹.

მაშასადამე, როგორც თ. წერეთლის, ისე გ. ნაჭყებიას მოძღვრებაში მართლწინააღმდეგობა განმარტებულია არა ფართოდ, როგორც სამართლის, არამედ ვიწროდ, როგორც სისხლის სამართლის ნორმებისადმი წინააღმდეგობა⁷⁹⁰. სწორედ ამიტომ, ორივე ეს ავტორი სისხლის სამართლებრივი მართლწინააღმდეგობის მნიშვნელობასაც არ უარყოფს. ამის შესახებ გ. ნაჭყებია წერს: „დანაშაული, რა თქმა უნდა, არღვევს სისხლის სამართლის კანონმდებელს და მის გარეთ არსებულ ნორმებსაც, მათ შორის ბიბლიურ აკრძალვასაც, ზნეობრივ ნორმებსაც, რაკი დანაშაული მორალურ-პოლიტიკურ შედეგებსაც მოიცავს, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამიტომ სისხლის სამართლებრივი მართლწინააღმდეგობა არ არსებობს.“⁷⁹¹ მას მიაჩნია: „ვინაიდან სისხლის სამართალს სამართლის სისტემაში სულ ბოლო, დამამთავრებელი ადგილი უჭირავს, ამიტომ სისხლის სამართალი დანაშაულებრივი ხელყოფისგან იცავს მის წინარე ნორმებსა და მათ შესატყვის ურთიერთობებს, რაც სწორედ იმას ამტკიცებს, რომ სისხლის სამართალში სამართლებრივ ღირებულებათა გადანაწილებების თვალსაზრისით მინიმალური მოთხოვნაა გამოხატული.“⁷⁹²

⁷⁸⁶ იხ.: წერეთელი (2006), გვ. 111; წერეთელი (2010), გვ. 110.

⁷⁸⁷ იხ.: წერეთელი (2006), გვ. 111; წერეთელი (2010), გვ. 110.

⁷⁸⁸ იხ. ნაჭყებია (2011), გვ. 296.

⁷⁸⁹ იქვე.

⁷⁹⁰ გ. ნაჭყებიას ეს პოზიცია სრულიად მართებულია აქვს ასევე გაკრიტიკებული ო. გამყრელიძის. ამის შესახებ იხ. გამყრელიძე (2008), 143-ე სქოლიო, გვ. 254.

⁷⁹¹ იხ. ნაჭყებია (2002), გვ. 110-115.

⁷⁹² იქვე.

სისხლის სამართალი, ვ. ნაჭყებიას მტკიცებით, მოითხოვს მკვლელობის, ყაჩაღობის, ქურდობის და ა.შ. ქმედებათაგან თავშეკავებას ან აქტიურ მართლ-ზომიერ მოქმედებას (მაგალითად, დახმარების აღმოჩენა), რომლის „ქვემოთ“ სამართლებრივი მოთხოვნა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, დანაშაულებრივი ქმედება, მართალია, ეწინააღმდეგება მის წინარე არსებულ ნორმებსაც, მაგრამ დანაშაული არის უკიდურესი სამართალდარღვევა, რამდენადაც იგი არღვევს სწორედ იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რაც სისხლის სამართლის კანონშია გამოხატული. აღნიშნული მოსაზრების დასასაბუთებლად კი მას შემდეგი მაგალითი მოჰყავს: იარაღის უსაფრთხოდ გამოყენების წესების დარღვევის გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვის დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია, მაგრამ სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ამ წესების დარღვევას გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვება. სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა რომ არ არსებობდეს, მაშინ იარაღის დაუდევრად შენახვის დანაშაული მხოლოდ ადმინისტრაციულ გადაცდომად უნდა მიგვეჩინა, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა⁷⁹³.

არ ვიზიარებთ. წერეთლისა და ვ. ნაჭყებიას⁷⁹⁴ შეხედულებას მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებათა გამო:

(1) თუკი მართლწინააღმდეგობა გაგებული იქნება, როგორც სისხლის სამართლის კონკრეტული ნორმისადმი წინააღმდეგობა, მაშინ ამ მსჯელობიდან ლოგიკურად გამოვა ის დასკვნა, რომ პირი ასეთ შემთხვევაში დანაშაულს ვერ ჩაიდენს. სწორად მიუთითებს ამის შესახებ ო. გამყრელიძე: „დანაშაულის განხორციელებისას დამნაშავე მოქმედებს არა სისხლის სამართლის კანონის წინააღმდეგ, არამედ პირიქით, ასრულებს მას“⁷⁹⁵. მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება ნიშნავს იმას, რომ ქმედების ჩამდენი ახორციელებს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მოცემული კონკრეტული შემაღენლობის დესკრიფციულ და ნორმატიულ ნიშნებს ერთობლივად და არა ამ ნიშნების წინააღმდეგ მოქმედებს. ო. გამყრელიძე ამის თაობაზე აღნიშნავს: „ქმედების სამართლებრივი შეფასების დროს მხედველობაში მისაღები ამ ქმედების ჩადენის აკრძალვა, რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა. მართლწინააღმდეგობა ნიშნავს იმის დადგენას, დაარღვია თუ არა პირმა აკრძალვა. დამნაშავე ასრულებს სისხლის სამართლის კანონს, ანუ ქმედების შემაღენლობას და არღვევს ნორმას, აკრძალვას, რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა.“⁷⁹⁶

⁷⁹³ იქვე.

⁷⁹⁴ ვ. ნაჭყებიას ამ პოზიციის კრიტიკის შესახებ ასევე იხ. გამყრელიძე, „ალმანახი“, №13 (2000), გვ. 7-21.

⁷⁹⁵ იხ.: გამყრელიძე (2008), გვ. 83-84; გამყრელიძე, „ალმანახი“, №13 (2000), გვ. 7-21.

⁷⁹⁶ იხ. გამყრელიძე (2008), გვ. 83-84.

ო. გამყრელიძის ამ პოზიციას არ იზიარებს ნ. თოდუა. მას მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში კანონი გაიგივებულია დისპოზიციასთან.⁷⁹⁷ მეცნიერის აზრით, დამნაშავეს ქმედება შესაბამება დისპოზიციას და არა კანონს.⁷⁹⁸ აღნიშნული შეხედულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედების კონკრეტული ნორმის დისპოზიციასთან შესაბამისობა ნიშნავს ფორმალური მართლწინააღმდეგობის დადგენას და არა მატერიალური მართლწინააღმდეგობის განსაზღვრას. სახელდობრ, აკრძალვები და ვალდებულებები ქმედების შემადგენლობათა ფორმით მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში⁷⁹⁹. სწორედ ამ შემადგენლობათა განხორციელება, მასშტაბად, მათი შესაბამისი ქმედების შესრულება წარმოადგენს ფორმალურ მართლწინააღმდეგობას. მკვლელობის, ქურდობის და სხვა დელიქტების შემადგენლობათა განხორციელება გულისხმობს დამნაშავეს მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობას კანონით გათვალისწინებული ნორმის დისპოზიციასთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მართლწინააღმდეგობა გაგებულ უნდა იქნეს ვიწროდ, როგორც სისხლის სამართლის კანონის კონკრეტული ნორმისადმი წინააღმდეგობა. სისხლის სამართლის ნორმა, რომელსაც დამნაშავე არღვევს და სისხლის სამართლის კანონი ერთი და იგივე არ არის. სისხლის სამართლის კანონი კი არ კრძალავს ქმედებას, არამედ სჯის უკვე აკრძალული ქმედების ჩამდენ პირს⁸⁰⁰. სწორედ ამიტომ მატერიალური მართლწინააღმდეგობა ასეთ შემთხვევაში გულისხმობს წინააღმდეგობას სამართლის ნორმებისადმი (ნორმებში შესაძლებელია, მოაზრებულ იქნეს როგორც პოზიტიური, ისე დაუწერელი სამართალი), რადგან კლასიკური დანაშაულების ჩადენისას, როგორც წესი⁸⁰¹, ზეპოზიტიური სამართლის ნორმების დარღვევასაც ყოველთვის აქვს ადგილი;

(2) ბლანკეტური ნორმის დარღვევის შემთხვევებში მართლწინააღმდეგობის დადგენა, განსხვავებით კლასიკური დელიქტებისგან, სხვაგვარად ხდება. კერძოდ, იმისათვის, რომ პირმა განახორციელოს იარაღის დაუდევრად შენახვის (საქართველოს სსკ-ის 238-ე მუხლი) ან კიდევ სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის შემადგენლობა (საქართველოს სსკ-ის 240-ე მუხლი), აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, იმის დასაბუთება, დაარღვია თუ არა დამნაშავემ ამგვარ ვითარებაში ეს წესები. აღნიშნული წესები კი მოცემულია არა სისხლის სამართლის კოდექსში, არამედ განსაზღვრულია

⁷⁹⁷ შდრ. თოდუა, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 310, მე-2 სქოლიო.

⁷⁹⁸ იქვე.

⁷⁹⁹ შდრ. ტურავა (2011), გვ. 325.

⁸⁰⁰ შდრ. გამყრელიძე (2008), გვ. 255.

⁸⁰¹ გამონაკლისი შეიძლება იყოს ევთანაზიის (სსკ-ის 110-ე მუხლი) შემთხვევა. მისი ჩამდენი შეიძლება, შეცდომით ფიქრობდეს, რომ ასეთი ქმედება სისხლის სამართალში წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის გამოძირიცხველ დაუწერელ ზეკანონურ გარემოებას. ამგვარი შეცდომა შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ იგი, მაგალითად, ევროსაბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოში არ წარმოადგენს დანაშაულს. ამის შესახებ იხ. ტურავა (2011), გვ. 451.

სპეციალურ ბლანკეტურ ნორმებში.

გამომდინარე აქედან, თუკი კლასიკური დელიქტის დროს ხდება მართლწინააღმდეგობის ფართოდ ინტერპრეტირება, ბლანკეტურ შემადგენლობებში საჭიროა ამ ცნების ვიწროდ განმარტება. კერძოდ, ეწ ბლანკეტური დანაშაულების ჩადენის დროს, პირველ ეტაპზე, სახელმწიფოს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანო მართლწინააღმდეგობის დადგენისას უნდა ეყრდნობოდეს იმ ქცევის წესს, რომელიც ქმედების ჩამდენმა დაარღვია (მართლწინააღმდეგობის ე.წ. პოზიტიური დასაბუთება, ანუ ფორმალური მართლწინააღმდეგობა)⁸⁰². ამის შემდეგ, მეორე ეტაპზე, უნდა შემოწმდეს, ხომ არ არის სახეზე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება (მართლწინააღმდეგობის ნეგატიურად დადგენა). ამ მსჯელობის საფუძველზე კი, შეიძლება ითქვას, რომ მართლწინააღმდეგობა ბლანკეტურ შემადგენლობებში ვიწროდ უნდა იქნეს გაგებული. ბლანკეტური ნორმების დარღვევით, შესაძლოა, იმავდროულად არც კი ირღვეოდეს ბუნებითი სამართლის ნორმები⁸⁰³, ხოლო კლასიკური დანაშაულების ჩადენისას, როგორც წესი, ზეპოზიტიური სამართლის ნორმების დარღვევას ყოველთვის აქვს ადგილი.

აქედან გამომდინარე, თ. წერეთლის პოზიცია იმის შესახებ, რომ მართლწინააღმდეგობის ფართოდ გაგება „უბედური შემთხვევებისათვის“ საწარმოს მეპატრონის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას მხოლოდ იმ მიზეზით გამოიწვევს, რომ დანაშაულებრივი შედეგი არ ეწინააღმდეგება კულტურის ნორმებს და ამიტომ, თითქოსდა, არ არის მართლსაწინააღმდეგო⁸⁰⁴, არგუმენტს მოკლებულია. მართლწინააღმდეგობა ბლანკეტურ შემადგენლობებში ვიწროდ უნდა იქნეს განმარტებული, ხოლო ისეთ კლასიკურ დელიქტებში, როგორცაა მკვლელობა, ქურდობა, ყაჩაღობა და ა.შ., იგი ყოველთვის გაგებულ უნდა იქნეს როგორც კულტურის ნორმებისადმი (კულტურის ნორმებში შესაძლებელია მოაზრებულ იქნეს როგორც პოზიტიური, ისე დაუწერელი სამართალი) და არა სისხლის სამართლის კონკრეტული ნორმისადმი წინააღმდეგობა. მკვლელობის, ქურდობის თუ სხვა ანალოგიურ კლასიკურ დელიქტებში, ამ დანაშაულების ჩადენის აკრძალვები მოცემულია ასევე სისხლის სამართლის კანონის გარეთ არსებულ ბუნებითი სამართლის ნორმებშიც.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მართლწინააღმდეგობა არის შეფასებითი მსჯელობა. ის ქმედების უარყოფით სამართლებრივ შეფასებას გამოხატავს და უნდა განიმარტოს როგორც კულტურის ნორმებში გამოხატული ღირებულებებისადმი წინააღმდეგობა და არა მხოლოდ სისხლის-სამართლებრივი ნორმებისადმი წინააღმდეგობა.

⁸⁰² იქვე, გვ. 84.

⁸⁰³ იხ. ტურავა (2010), გვ. 230.

⁸⁰⁴ იხ.: წერეთელი (2006), გვ. 111; წერეთელი (2010), გვ. 110.

2.2.3.2. მართლწინააღმდეგობის შეხვედრის მნიშვნელობა განზრახვი და გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის დროს

მას შემდეგ რაც განისაზღვრა მართლწინააღმდეგობის შინაარსი, უნდა გაირკვეს, თუ რა არის მართლწინააღმდეგობის შეგნება, არის ეს მხოლოდ ფსიქიკური პროცესი, თუ გულისხმობს ასევე შეფასებით მომენტსაც?

როგორც ცნობილია, ადამიანი გადაწყვეტილების მიღებამდე მრავალ ფაქტორს უნდა ითვალისწინებდეს, მათ შორის, საზოგადოებაში დამკვიდრებული პოზიტიური სამართლის თუ კულტურის ნორმებისადმი მის მიერ არჩეული ქმედებების წინააღმდეგობას. ადამიანის შეგნება, ცხადია, ფსიქიკურ პროცესებზეა დამოკიდებული, მაგრამ უნდა გაიმიჯნოს პრაქტიკული აზროვნება (რაც გულისხმობს გარე სინამდვილისადმი პრაქტიკულ-სამომხმარებლო დამოკიდებულებას) და შეფასებითი დამოკიდებულება⁸⁰⁵.

წმინდა ფსიქოლოგიური გაგებით, ფსიქიკური დამოკიდებულება არ არის შეფასებითი, არამედ გამოხატავს ობიექტურად არსებული ფსიქიკური პროცესების შედეგს. ამ პოზიციას იზიარებს ასევე ფინალისტა დიდი ნაწილი, მათ შორის, *ჰ. ველცელიც*. იგი წმინდა ფსიქოლოგიურ კატეგორიად მხოლოდ განზრახვას მიიჩნევს. მართლწინააღმდეგობის შეგნებას კი შეფასებით მომენტებს უკავშირებს, თავისუფალს ყოველგვარი ფსიქოლოგიური კომპონენტებისგან.⁸⁰⁶

აღნიშნული პრობლემის ხაზგასმა იმიტომაც გახდა აუცილებელი, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნებას იურიდიულ ლიტერატურაში ინტელექტუალურ ელემენტად აღიქვამენ (მაგალითად, *თ. წერეთლისა* და სხვა ქართველ მეცნიერთა შეხედულებებში). თავიდანვე უნდა გაიმიჯნოს ეს ცნება იმ ინტელექტუალური მომენტისაგან, რაც ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვის სახით ვლინდება. აქ ინტელექტუალური მომენტი მოიცავს ყველა იმ ფაქტობრივი გარემოების ცოდნას, რაც ახასიათებს უმართლობას ფორმალურად.

ქმედების განზრახვაში თუკი ინტელექტუალურ ელემენტს ზოგადად განვმარტავთ, მაშინ იგი წარმოადგენს ფსიქიკურად ფაქტობრივი გარემოებების ცოდნას, მაგრამ მასში არ უნდა მოიაზრებოდეს სუბიექტის მიერ თავისი ქცევის მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ შემდეგ ლოგიკურ დასკვნას: ქმედების შემადგენლობის განზრახვა მოიცავს როგორც ცოდნასა და ნებელობას, ისე მართლწინააღმდეგობის შეგნებასაც. ეს მოსაზრება კი თავშივე საჭიროებს უარყოფას. როგორც არაერთხელ იქნა აღნიშნული, მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება თუ მისი გაუცნობიერებლობა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ვერ დადგინდება. თავად მართლწინააღმდეგობა სწორედ რომ ქმედების შემადგენლობის დასაბუთების შემდეგ მტკიცდება, ამიტომ მისი გაცნობიერებაც ქმედების შემადგენლობის არსებობის

⁸⁰⁵ შდრ. სარია (2001), გვ. 87-88.

⁸⁰⁶ შდრ. Welzel (1969), გვ. 64-65, 77.

შემდგომ უნდა შემოწმდეს.

გამომდინარე აქედან, უმართლობის შეგნება ინტელექტუალურ და, შესაბამისად, ფსიქოლოგიურ მომენტებზე არ დაიყვანება.

იურიდიულად მართლწინააღმდეგობის შეგნების დადგენისათვის შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს არა ინტელექტუალური პროცესი, არამედ პირის შეფასებითი დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებულ თუ მომავალში ჩასადენ ქმედებასთან. სწორედ ამიტომ, მართლწინააღმდეგობის შეგნება – ეს არის ნორმატიული, შეფასებითი ნიშანი და მისი განხილვის ადგილი ყოველთვის ბრალშია. თუმცა საკითხავია, ამ შემთხვევაში როგორ უნდა იყოს მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის უტაპზე წარმოდგენილი. კერძოდ, გასარკვევია, თუ რა ფორმით – აქტუალურით თუ პოტენციურით – უნდა არსებობდეს იგი.

2.2.3.2.1. განზრახი დანაშაულის ჩადენის დროს მართლწინააღმდეგობის აქტუალური ან პოტენციური ფორმით

ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის ჩადენის დროს მართლწინააღმდეგობის შეგნების აქტუალური ან პოტენციური ფორმით დასაბუთება რაიმე სირთულეებს არ უკავშირდება. ასეთი დასკვნის საფუძველს კი შემდეგი თვალსაზრისი გვაძლევს: როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა მკვლელობისთვის. მკვლელობა, თავის მხრივ, კლასიკური დელიქტების კატეგორიას განეკუთვნება⁸⁰⁷. მკვლელი ასეთ შემთხვევაში არღვევს ნორმას – „არა კაც ჰკლა“, ისევე როგორც ქურდობის აკრძალვა გამოიხატება ნორმით – „არა იპარო“⁸⁰⁸. გამომდინარე აქედან, მკვლელობის დელიქტში შესამოწმებელი „მართლწინააღმდეგობის შეგნების“ ფარგლებში მოცემული ცნება – „მართლწინააღმდეგობა“ გავებულ უნდა იქნეს როგორც კულტურის ნორმებისადმი წინააღმდეგობა. აღნიშნული შეხედულება კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ამგვარ დანაშაულებში დაშვებულმა შეცდომამ სამართლებრივ შეფასებებზე გავლენა არ უნდა მოახდინოს. ამ მოსაზრებას იზიარებს ასევე ნ. თოდუა. იგი მიუთითებს: „კლასიკური დელიქტების ჩამდენი თავს ვერ გაიმართლებს იმით, რომ მან არ იცოდა ამ ქმედების აკრძალვის შესახებ. მის ასეთ ჩვენებას არავინ გაიზიარებს, რადგან ადამიანი დაბადებიდან იღებს ინფორმაციას ამ ქმედების აკრძალვის შესახებ.“⁸⁰⁹ ასე მაგალითად, თუ პირი სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ მკვლელობის უმართლობას განახორციელებს და შემდეგ სამართალდამცავი ორგანოების წინაშე შეეცდება იმის დამტკიცებას,

⁸⁰⁷ იხ.: *გამყრელიძე* (2008), გვ. 255; *ტურავა* (2010), გვ. 229.

⁸⁰⁸ იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 255.

⁸⁰⁹ იხ. *თოდუა*, *ზოგადი ნაწილი* (2007), გვ. 310.

რომ მას დანაშაულის ჩადენის დროს აქტუალურად შეცნობილი არ ჰქონდა ქმედების მართლწინააღმდეგობა (მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნების არარსებობა), ასეთი შეცდომა მინც ირელევანტურად ჩაითვლება. პიროვნებას, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორც წესი, ყოველთვის უნდა ჰქონდეს შეცნობილი იმ ქმედების აკრძალულობა, რომელიც ე.წ. კულტურის, ბუნებითი სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება (მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნება). სწორედ ამიტომ, გავრცელებული გამოთქმა – „კანონის არ ცოდნა არ ათავისუფლებს ადამიანს პასუხისმგებლობისგან“ ეხება მხოლოდ სისხლის სამართლის კანონში მოცემულ კლასიკურ დანაშაულებს და არა ბლანკეტურ დელიქტებს⁸¹⁰. აქედან შეიძლება ლოგიკურად დავასკვნათ, რომ სსკ-ის 36-ე მუხლით გათვალისწინებული „შეცდომა“ ნიშნავს ქმედების აკრძალვის შეუგნებლობას და არა იმ სისხლის სამართლის კანონის არცოდნას, რომლითაც ამ აკრძალვის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას.⁸¹¹ ეს თვალსაზრისი კი აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ სამართლებრივი ვალდებულებები და მოთხოვნები არ არის წარმოშობილი მხოლოდ პოზიტიური სამართლის ნორმებიდან, არამედ არსებობს ასევე დაუწერელ, კულტურის ნორმებშიც. გამომდინარე აქედან, არ არის ნორმის ზედმიწევნით ცოდნა აუცილებელი იმისათვის, რათა ქმედების სუბიექტმა გააცნობიეროს ნორმისადმი მისი ქმედების წინააღმდეგობა. ყოველ პირს აქვს გარკვეული წარმოდგენა იმაზე, თუ როგორი მართლწესრიგი არსებობს სახელწიფოსა და საზოგადოებაში, რა სახის ქმედებებია მიღებული ამ მართლწესრიგის შესანარჩუნებლად და რა – არა. თუ სუბიექტი, როგორც სოციუმის წევრი, აცნობიერებს, რომ მისი ქცევა ეწინააღმდეგება საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ სხვადასხვა ღირებულებით წარმოდგენებს⁸¹², ეს საკმარისი პირობაა იმისათვის, რათა იგი მართლწინააღმდეგობის შეგნებით მოქმედებდეს⁸¹³ (მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნება).

იმის მიხედვით, თუ რა სახის ვალდებულება ირღვევა, განსხვავდება მართლწინააღმდეგობის შეგნებაც. უფრო ზუსტად რომ ითქვას, თუკი სისხლის სამართლის ნორმები ირღვევა შეგნებულად, განზრახ, მაშინ არსებობს პირის მიერ იმის შეგნებაც, რომ მისი ქმედება საზოგადოებაში არსებულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება. გაუფრთხილებლობისას კი, პირიქით, პიროვნება არ აცნობიერებს წინდახედულობის ვალდებულების დარღვევას, მაგრამ შეუძლია ამის გაკეთება. თუმცა, ამ უკანასკნელი მსჯელობიდან გამომდინარე, იბადება ლოგიკური კითხვა, ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, გაუფრთხილებლობითი დელიქტების ჩადენის დროს არსებობს თუ არა მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნება.⁸¹⁴

⁸¹⁰ შდრ. ტურავა (2010), გვ. 231.

⁸¹¹ შდრ. გამყრელიძე (2008), გვ. 255.

⁸¹² შდრ. სარია (2001), გვ. 99-101, 102-107.

⁸¹³ შდრ. თოდუა, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 309.

⁸¹⁴ აღნიშნული შეხედულება გერმანული „ბრალის თეორიიდან“ მომდინარეობს, მართლწინააღ-

2.2.3.2.2. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის დროს მართლწინააღმდეგობის პოტენციური შიშვნება

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაუფრთხილებლობით განხორციელებული დანაშაულისას უმართლობის პოტენციური შეგნების დასაბუთება შესაძლებელია, როგორც თვითიმედოვნებით⁸¹⁵, ისე დაუდევრობით ჩადენილი დელიქტების დროს⁸¹⁶.

შეგნებული გაუფრთხილებლობის შემთხვევებში პრობლემა ადვილად გადასაწყვეტია. უნდა ითქვას, რომ იურიდიულ დოგმატიკაში ამის თაობაზე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული. ასე მაგალითად, საბჭოთა რუსი მეცნიერი *კ. ტიხონოვი* თვლის, რომ შეგნებული გაუფრთხილებლობისას პირს შეგნებული აქვს საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობა, არა აქვს შეგნებული თავისი ქმედების საშიშროება, მაგრამ აქვს ამის შესაძლებლობა⁸¹⁷. მაშასადამე, *კ. ტიხონოვი* თვითიმედოვნებისას აღიარებს მართლწინააღმდეგობის პოტენციურ შეგნებას. *ა. გერცენზონი* მიუთითებს, რომ „თვითიმედოვნების აუცილებელი ნიშანია ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება, რაც გულისხმობს საზოგადოებრივად საშიში შედეგის შეგნებასაც.“⁸¹⁸ ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, *მ. უგრეხელიძე* აღნიშნავს: „დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების შეგნების აუცილებლობა თვითიმედოვნების ცნებაში არ უნდა ჩაიდოს, ე.წ. „სამართლებრივი გაუფრთხილებლობა“ თვითიმედოვნების დროს გამორიცხულია.“⁸¹⁹

მ. უგრეხელიძის ეს მოსაზრება გაზიარებულ არ უნდა იქნეს, რადგან შეგნებული გაუფრთხილებლობისას პირს გაცნობიერებული აქვს, რომ „ნებადართული რისკის ფარგლებს გარეთ მოქმედებს, რითაც შესაძლებელია, განხორციელდეს ქმედების შემადგენლობა, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ შედეგი არ დადგება ან მისი მოქმედება სამართლებრივად გამართლებულია.“⁸²⁰ ამ პოზიციას იზიარებს ასევე *ნ. სარაიკი*. იგი მიუთითებს: „თუ ვინელებლვანელებთ დებულებით, რომ საზოგადოებრივი საშიშროების შეგნების შესაძლებლობა ის მინიმალური მოთხოვნაა, რომლის გარეშე ქმედება ვერ შეერაცხება ბრალად პიროვნებას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებრივი

მდგომის პოტენციურ შეგნებაზე იხ.: ტურავა (2011), გვ. 438-442, 449-452; მალაქელიძე, „სამართლის ჟურნალი“, №1/2 (2010), გვ. 245-251.

⁸¹⁵ შდრ.: სარაი (2001), გვ. 107-114; ტურავა (2011), გვ. 590.

⁸¹⁶ როგორც თვითიმედოვნებისას, ისე დაუდევრობისას მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობას იზიარებს ასევე პროფესორი *მ. ტურავა*. შდრ.: ტურავა (2010), გვ. 164; ტურავა (2011), გვ. 589-592. ასევე იხ. მალაქელიძე, „სამართლის ჟურნალი“, №1/2 (2010), გვ. 245-251.

⁸¹⁷ შდრ. *Тихонов*, „Проведение“, №3 (1963), გვ. 87.

⁸¹⁸ შდრ. *Герцензон* (1948), გვ. 339.

⁸¹⁹ იხ. *Угрехелидзе* (1976), გვ. 111.

⁸²⁰ იხ. ტურავა (2011), გვ. 590.

საშიშროების შეგნების შესაძლებლობა თვითიმედოვნებისას აუცილებელია.⁸²¹

მართლაც, შეგნებული გაუფრთხილებლობის შემთხვევაში პირს უმეტესწილად მის მიერ წინდახედულობის ნორმებით აკრძალული ქმედება და მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა გაცნობიერებული აქვს, თუმცა უსაფუძვლოდ იმედოვნებს ამ შედეგის თავიდან აცილებას.⁸²² თუ დადგინდა, რომ დამნაშავემ იცოდა ქმედების ობიექტური შემადგენლობის გარემოებები, რომლებიც მის ქმედებას ობიექტურად წინდახედულობის ნორმის საწინააღმდეგოდ აქცევენ,⁸²³ მაშინ მას შესაძლებელია, ბრალის ეტაპზე წინდახედულობის ნორმებით დადგენილი მოთხოვნების შეგნებულობაც დაუსაბუთდეს (მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნება). გამომდინარე აქედან, თვითიმედოვნებისას მართლწინააღმდეგობის შეგნების შემოწმება აუცილებელია.

რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის საკითხს დაუდევრობის დროს, როგორც ცნობილია, აკრძალვაში შეცდომის პრობლემას ეძღვნება საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლი. მასში ხაზგასმულია, რომ „ის, ვინც არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის, აკრძალულია, არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა მისატყვებელია“. იქვე კანონმდებელი განმარტავს, რომ „შეცდომა მისატყვებელია, თუ შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას“. გერმანულისგან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის კოდექსით, როცა შეცდომა მისატყვებელი არ არის, პირს შეიძლება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის. მართლწინააღმდეგობის შეგნებას კი ასეთ შემთხვევაში როგორც ღოგმატური, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, მას შემდეგ, რაც აკრძალვაში შეცდომისას მოხდება განზრახი დანაშაულიდან გაუფრთხილებლობაზე გადასვლა⁸²⁴, ამგვარი შეცდომის მისატყვებლობის საკითხი სწორედ დაუდევრობით ჩადენილ დელიქტში მოცემული უმართლობის შეგნების ფარგლებში უნდა გადაწყდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნების სფეროში საჭიროა იმის დადგენა, ეპატიოს თუ არა პირს მის მიერ დაშვებული შეცდომა⁸²⁵. თუკი დადასტურდა, მოქმედმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ მას ასეთი სახის შეცდომა მიეტივება და იგი დაუყონებლივ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. შეცდომის მიუტივებლობის შემთხვევაში, ქმედების ჩამდენს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისთვის და, კერძოდ, დაუდევრობისთვის დაეკისრება, თუ მის მიერ განხორციელებული

⁸²¹ შდრ. სარია (2001), გვ. 113.

⁸²² იხ. Sternberg-Lieben, Schönke/Schröder (2010), გვ. 306.

⁸²³ შდრ.: Roxin, AT I (2006), გვ. 1089-1091; ტურავა (2010), გვ. 166-167.

⁸²⁴ შდრ. გამყრელიძე (2008), გვ. 255-256.

⁸²⁵ შდრ. ტურავა (2011), გვ. 592.

ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება სისხლის სამართლის კანონით.

ზემოაღნიშნული თვალსაზრისის დამადასტურებელ არგუმენტად შესაძლებელია, შეძვევი მაგალითის მოყვანა: ექიმა ა.-მ, რომელიც არის პოლანდიის მოქალაქე, საქართველოში სტუმრობისას განუკურნებელი სენით დაავადებულ მეგობარ ბ.-ს სიცოცხლე აქტიური ევთანაზიის გზით მოუსპო. როგორც გამოძიებით დადგინდა, ა.-ს ამ შემთხვევაში ეგონა, რომ ისევე, როგორც პოლანდიაში⁸²⁶, საქართველოშიც აქტიური ევთანაზია (საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლი) წარმოადგენდა მართლზომიერ ქმედებას. მაშასადამე, კახუსიდან გამოძინარე, ა.-მ შეცდომა დაუშვა მართლწინააღმდეგობის გამოძრისცხველი გარემოების სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით⁸²⁷. სახელდობრ, იგი შეცდომით ფიქრობდა, რომ მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით საქართველოში არ იყო სისხლისსამართლებრივად დასჯადი. ასეთი სახის შეცდომა კი, თავის მხრივ, განხილულ უნდა იქნეს აკრძალვაში შეცდომის ანალოგიურად საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლით დადგენილი წესით⁸²⁸. ეს იმას ნიშნავს, რომ ა.-ს პასუხისმგებლობა ნებისმიერ შემთხვევაში გამოირიცხება განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის. მას განზრახი დელიქტის განზორციელებისას მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნება არ გააჩნდა. გაუფრთხილებლობითი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა ასეთ დროს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მისატყვებელია ამგვარი შეცდომა. ეს უკანასკნელი საკითხი სწორედ დაუდევრობით დანაშაულში მოცემული უმართლობის შეგნების სფეროში უნდა გადაიჭრას. სახელდობრ, თუ დადასტურდება, რომ ა.-მ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ მას ასეთი სახის შეცდომა მიეტიკება და იგი დაუყონებლივ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. შეცდომის მიუტიკებლობის შემთხვევაში ექიმი გაუფრთხილებლობით და, კერძოდ, სსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დაუდევრობით ჩადენისთვის დაისჯება.

მაშასადამე, ქართული დოგმატიკის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის შეგნება (მათ შორის პოტენციური) უნდა არსებობდეს როგორც განზრახვის, ისე გაუფრთხილებლობის შემთხვევაში⁸²⁹.

განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართების პრობლემა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველაზე უფრო ნათლად წარმოჩინდება ხოლომე აკრძალვაში შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული

⁸²⁶ პოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილით, აქტიური ევთანაზიის ჩადენისას პირი იმ შემთხვევაში თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, თუკი ქმედება ჩადენილია ექიმის მიერ და ისიც მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. *Grundmann* (2004), გვ. 85-87.

⁸²⁷ შდრ.: *Hafj*, AT (2004), გვ. 259; *Heinrich*, AT II (2010), გვ. 138; ტურავა (2010), გვ. 232.

⁸²⁸ იხ. ტურავა (2010), გვ. 232.

⁸²⁹ იხ.: *მალაქელიძე*, „სამართლის ჟურნალი“, №1/2 (2010), გვ. 245-251; ტურავა (2011), გვ. 449-452, 589-592.

შეცდომის ურთიერთგამიჯვნის საკითხის გარკვევის დროს. თუკი განზრახვაში კოგნიტიური და ვოლუნტატიური ელემენტების არსებობა აუცილებელია, მეორე ეტაპზე საჭიროა, გაირკვეს, ხომ არ გულისხმობს ქართული სისხლისსამართლებრივი განზრახვა, ამ ელემენტებთან ერთად, ასევე მართლწინააღმდეგობის შეგნებასაც და რა გავლენას ახდენს მისი უარყოფა ასეთი შეცდომების დროს თავად კოგნიტიური და ვოლუნტატიური ელემენტების არსებობაზე.

3. სამართლებრივი (აკრძალვაში) შეცდომა ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით

3.1. საკითხის მოკლე მიმოხილვა

ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, ისევე როგორც გერმანულ დოქტრინაში, აკრძალვაში შეცდომა ფაქტობრივი შეცდომისგან დამოუკიდებლად განიხილება. ფაქტობრივი შეცდომა, რომელიც შეიძლება პირმა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნებთან მიმართებაში დაუშვას, განზრახვასთანა და დაკავშირებული, ხოლო აკრძალვაში შეცდომა, ბრალის ეტაპზე მოწმდება და ეხება მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის პრობლემას⁸³⁰.

გერმანულიდან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის კოდექსით, როცა შეცდომა მისატყვებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით.

მაშასადამე, აკრძალვაში შეცდომა ქართულ იურიდიულ დოქტრინაში ხასიათდება სპეციფიკური ნიშან-თვისებით. კერძოდ, გერმანული სამართლის მიხედვით, თუ შეცდომა თავიდან აცილებადია, პირს შეიძლება, სასჯელი მხოლოდ შეუმსუბუქდეს. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად კი ანალოგიურ ვითარებაში ქმედების ჩამდენს პასუხისმგებლობა შეიძლება გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის დაეკისროს.

3.2. პრობლემის დასმა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, პირი შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს, თუ მოცემული იქნება შემდეგი ორი წინაპირობა: (1) მოქმედმა დანაშაულის ჩადენის დროს არ უნდა იცოდეს თავისი ქმედების

⁸³⁰ იხ.: ტურავა (2010), გვ. 229-232; ტურავა (2011), გვ. 525-530; გამყრელიძე (2008), გვ. 253-254.

მართლწინააღმდეგობა; (2) ეს შეცდომა უნდა იყოს მისატყვებელი. ამ ორივე პირობის კუმულაციურად არსებობის შემთხვევაში კი დამნაშავე პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება. მაგრამ საკითხი არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. კერძოდ, პრობლემატურია პირველი წინაპირობის დასაბუთება, როცა პირს დანაშაულის ჩადენის დროს შეგნებული არა აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა.

თუ 36-ე მუხლი, მისი კანონში განთავსების ადგილის მიხედვით, სისტემური ახსნა-განმარტების მეთოდის საფუძველზე იქნება განხილული, მაშინ აშკარაა, რომ აკრძალვაში შეცდომა ბრალის გამოძირიცხველ გარემოებას აფუძნებს. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ ამგვარი შეცდომა უდავოდ ბრალის ეტაპზე ექვემდებარება გააანალიზებას და პრობლემატ სწორედ მის ფარგლებში საჭიროებს გადაჭრას. გამოძინარე აქედან, აკრძალვაში მისატყვებელი შეცდომა, როგორც ბრალის გამოძირიცხველი ერთ-ერთი გარემოება, უშუალო კავშირშია პირის მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობასთან. აქედან წარმოიშობა ლოგიკური დასკვნაც იმის შესახებ, რომ სამართლებრივი შეცდომის დროს, თუ ის მისატყვებელია, გამოძირიცხულია მართლწინააღმდეგობის შეგნება, რაც იწვევს ბრალის უარყოფას, ხოლო საბოლოო ჯამში დანაშაულის გამოძირიცხვასა და პირის სასჯელისგან გათავისუფლებას. მაგრამ მთავარი პრობლემა სწორედ აქ ჩნდება: კერძოდ, 36-ე მუხლში მოცემული მართლწინააღმდეგობის შეგნება არის ბრალის დამოუკიდებელი ნიშანი, თუ განზრახვის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი?

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი, რომელიც განზრახვის ცნებას განსაზღვრავს, ცალსახად მიუთითებს, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება, დანარჩენ ორ ნიშანთან – ცოდნასა და ნებელობასთან ერთად, განზრახვის თანაბარმნიშვნელოვანი ნიშანია⁸³¹. ორივე ამ მუხლის სისტემური ანალიზის შედეგად კი გამოდის, რომ მე-9 მუხლში მოცემული მართლწინააღმდეგობის შეგნება განზრახვის შემადგენელი ნაწილია, ხოლო 36-ე მუხლში ნაგულისხმევი მართლწინააღმდეგობის შეგნება – ბრალის. ეს ნიშნავს იმას, რომ კოდექსში ერთი და იგივე ცნება – მართლწინააღმდეგობის შეგნება – ორ განსხვავებულ კონტექსტშია წარმოდგენილი. გარდა ამისა, ეს ორი სხვადასხვა მუხლი, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისითაც, იდენტურად წყვეტს ფაქტობრივი და აკრძალვაში შეცდომის საკითხს. კერძოდ, პირველ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებების არცოდნა გამოძირიცხავს განზრახვის ერთ-ერთ კომპონენტს – ცოდნას და, შესაბამისად, განზრახვას, რის შემდეგაც დღის წესრიგში პირის გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობა დგება. მეორე შემთხვევაში, როცა აკრძალვაში შეცდომა მიუტყვებელია, გამოძირიცხება მართლწინააღმდეგობის შეგნება და მოქმედი ამ ვითარებაშიც შეიძლება გაუფრთხილებლობისთვის დაისაჯოს. გამოძინარე აქედან, ისმის კითხვა: არის თუ არა

⁸³¹ იხ. ტურავა (2010), გვ. 126-132.

სსკ-ის მე-9 და 36-ე მუხლებში მოცემული „მართლწინააღმდეგობის შეგნება“ ერთი და იმავე შინაარსის შემცველი კატეგორია? უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, ამ ორ განსხვავებულ მუხლში მოაზრებული უმართლობის შეგნება ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, თუ მას სხვადასხვა შინაარსი აქვს?

პრობლემის არსის უკეთ წარმოსაჩენად მართებულია, ქართული აკრძალვაში შეცდომა გერმანულ დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული სხვადასხვა თეორიების მიხედვით იქნეს გაანალიზებული.

3.2.1. პრობლემის განხილვა განზრახვის თეორიის მიხედვით

განზრახვის თეორიის მიხედვით, განზრახვა განიხილება როგორც ბოროტი განზრახვა და იგი ყოველთვის ბრალში მოწმდება. ცნობილია, რომ ეს მოძღვრება ნებისმიერი შეცდომის შემთხვევაში, იქნება ეს ფაქტობრივი, იურიდიული, თუ შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ფაქტობრივ გარემოებებში, ბრალის ეტაპზე განზრახვის მთლიან გამორიცხვას გულისხმობს და დღის წესრიგში გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეხება აკრძალვაში შეცდომას. კანონმდებელი ამ ნორმაში პირდაპირ არ უთითებს, ასეთ ვითარებაში უმართლობის შეგნებასთან ერთად ქმედების განზრახვაც უნდა გამოირიცხოს თუ არა.

36-ე მუხლის ანალოგიურ სამართლებრივ შედეგზე მიუთითებს კანონმდებელი მე-9 მუხლშიც. აღნიშნულ ნორმაშიც განზრახვის გამორიცხვით პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება გაუფრთხილებლობისთვის დადგეს, თუ, რა თქმა უნდა, ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით.

მამასადამე, როგორც მე-9, ისე 36-ე მუხლი, ნებისმიერი შეცდომის დროს წარმოშობილ სამართლებრივ შედეგს იდენტურად ადგენს. გამომდინარე აქედან, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ორივე ეს ნორმა, ერთი შეხედვით, შეცდომის პრობლემას თითქოს განზრახვის თეორიის მიხედვით წყვეტს, რაც ნიშნავს იმას, რომ განზრახვა მთლიანად ბრალის სფეროში უნდა შემოწმდეს. თუმცა, აღნიშნული შეხედულება არ არის პრობლემიდან ყველაზე სწორი გამოსავალი, რადგან ეს ეწინააღმდეგება თავად კანონმდებლის ისტორიულ ნებასა და მის არსს. კერძოდ, თუ კანონმდებელს სურდა განზრახვის ბრალის ფორმად გამოცხადება, მაშინ რატომ არ განათავსა მე-9 მუხლი იმ თავში,

სადაც იგი ბრალის გამოძიებულ ან მის შემამსუბუქებელ გარემოებებზე საუბრობს? გარდა ამისა, კანონმდებელმა მოქმედ სისხლის სამართლის კანონში, 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, განზრახვა და გაუფრთხილებლობა არა ბრალის ფორმებად, არამედ მისგან დამოუკიდებელ კატეგორიებად გამოაცხადა მე-9 და მე-10 მუხლების სახით.

გამომდინარე აქედან, განზრახვის თეორიის მიხედვით, განზრახვის ცნების განსაზღვრა არ არის პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზა. თუმცა, ამ თეორიის მიმდევრებს აქვთ არგუმენტები თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლი სამართლებრივ შედეგს სწორედ გერმანული განზრახვის თეორიის ანალოგიურად ადგენს. სახელდობრ, როგორც მე-9, ისე 36-ე მუხლი ნებისმიერი შეცდომის შემთხვევაში, თუკი ეს შეცდომა მიუტყვევებელია, გამორიცხავს განზრახვას და შესაძლებლად მიიჩნევს პირის პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისთვის.

3.2.2. პრობლემის განხილვა ბრალის თეორიის მიხედვით

ბრალის თეორიის მიხედვით მე-9 მუხლისა და 36-ე მუხლის ინტერპრეტირებას რაც შეეხება, ამ შემთხვევაშიც არ არის საკითხი მარტივად. როგორც ცნობილია, ბრალის თეორია ცალსახად აღიარებს მართლწინააღმდეგობის შეგნებას, როგორც ბრალის დამოუკიდებელ ნიშანს. განზრახვას კი, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტად აცხადებს მხოლოდ ცოდნისა და ნებელობის სახით.

თუ 36-ე მუხლი ბრალის თეორიის მიხედვით განიმარტება, მაშინ განზრახვა, მე-9 მუხლიდან გამომდინარე, უნდა „დაიშალოს“. კერძოდ, განზრახვის ორი კომპონენტი — ცოდნა და ნებელობა ქმედების შემადგენლობის, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის ეტაპზე უნდა დადგინდეს. თუმცა ის სამართლებრივი შედეგი, რასაც 36-ე მუხლი ითვალისწინებს (მიუტყვევებელი შეცდომისას, განზრახვის გამორიცხვა და პირის გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობაში მიცემა) შესაბამისობაში არ მოდის ბრალის თეორიის კლასიკურ გაგებასთან.

სახელდობრ, გერმანული ბრალის თეორიის თანახმად, აკრძალვაში შეცდომის დროს, როცა ეს შეცდომა მიუტყვევებელია, პირის პასუხისმგებლობა არ იცვლება და ქმედების ჩამდენი ისევ განზრახვი დანაშაულისთვის ისჯება. ამაზე მიუთითებს სწორედ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 პარაგრაფიც (აკრძალვაში შეცდომა), რომლის დეფინიციაში მითითებული სამართლებრივი შედეგი აკრძალვაში შეცდომის თავიდან აცილებადობისას, განზრახვი დანაშაულისთვის უცვლელია. აღნიშნული დებულება კი ეყრდნობა იმას,

რომ განზრახვა მართლწინააღმდეგობის შეგნებისგან დამოუკიდებლად არსებობის დანაშაულის სისტემაში. თუ მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალში გამოირიცხება, განზრახვა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ხელშეუხებელი რჩება და პირი ისევ განზრახვი დანაშაულის ჩადენისთვის ისევება.

გერმანელი კანონმდებლის ეს პოზიცია ამ შემთხვევაში სრულიად დასაბუთებულია. ბრალს ქმედების სუბიექტურ შემადგენლობასთან არავითარი შემხებლობა არა აქვს. მაშასადამე, ვერც ბრალის თეორიის დებულებების უშუალო გამოყენება აგვარებს ზემოთ განხილული მუხლების დროს წარმოშობილ პრობლემას. აკრძალვაში შეცდომის დროს მიღებული სამართლებრივი შედეგი, ქართული სსკ-ის მიხედვით, არა გერმანული ბრალის თეორიის, არამედ განზრახვის თეორიის ანალოგიურად დგება.

3.2.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა აკრძალვაში შეცდომის შესახებ

სასამართლო პრაქტიკის განხილვამდე უნდა ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები, ისევე როგორც გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები, იყოფა ორ ნაწილად: კლასიკურ და დამატებით ნორმებად. პირველი მათგანი წარმოადგენს ისეთ კლასიკურ დელიქტებს, როგორცაა: მკვლელობა, ქურდობა და ა.შ. ნორმათა მეორე ჯგუფი კი აერთიანებს ყველა იმ დანაშაულის შემადგენლობას, რომელსაც ბლანკეტური შინაარსი აქვს. ამ შემადგენლობებთან მიმართებით ხშირად საჭიროა სპეციალური განათლება, რომ ნორმის ადრესატი ნორმის შინაარსს ჩაწვდეს.⁸³² ეს მოსაზრება, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ სწორედ ბლანკეტური ნორმების არცოდნა შეიძლება იყოს აკრძალვაში შეცდომა და, შესაბამისად, სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე. კლასიკურ დელიქტებთან მიმართებაში კი, ამგვარი შეცდომა, როგორც წესი, ირელევანტურია⁸³³.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე საგადასახადო კოდექსის ცალკეული ნორმების შინაარსის არცოდნა აკრძალვაში შეცდომად ჩათვალა და გადასახადისათვის თავის არიდებაში (სსკ-ის 160-ე მუხლი, 1998 წლის 28 ნოემბრის რედაქცია) მსჯავრდებული პირი საბოლოოდ გაამართლა⁸³⁴.

საკასაციო პალატის მიერ დადგენილ განჩინებაში კვითხულობთ: საქმეზე თანდართული მტკიცებულებების ანალიზისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, სასამართლოს „ასეთ ვითარებაში სრულიად შეუძლებლად მიაჩნია საუბარი იმაზე, რომ მსჯავრდებულ ა. ტ.-ს განზრახული ჰქონდა, დაემალა

⁸³² შდრ. ტურავა (2011), გვ. 528.

⁸³³ იქვე.

⁸³⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, გვ. 2223-2227.

მოგება და სხვა საგადასახადო ობიექტი, რის გარეშეც არ არსებობს სსკ-ის 160-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით (1998 წლის 28 ნოემბრის რედაქცია) გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ იმის ვარაუდი, რომ ა. ტ.-ს, თავისი მცდარი წარმოდგენის გამო, არაჯეროვან სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებდა თავის ურთიერთობას იურიდიულ ფორმა „კვადროსთან“, საბაუო და საგადასახადო ორგანოებთან, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, როცა შეცდომა მისატიყებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუკი დასჯადია ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა.“⁸³⁵

სასამართლომ განჩინების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ „საქართველოს სსკ-ის 160-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით (1998 წლის 28 ნოემბრის რედაქცია) გათვალისწინებული ქმედების ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, როცა პირის ქმედება მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს შესაბამისი შედეგის მისაღწევად. ასეთი განზრახვა კი, სასამართლოს მტკიცებით, „მსჯავრდებულ ა. ტ.-ს ქმედებაში ვერ დადგინდა“. ამას „უდავოდ ადასტურებს იმ ფაქტობრივი გარემოებების ობიექტური ანალიზი და შეფასება მოქმედ კანონმდებლობასთან შეჯერებით, რომლებიც ა. ტ.-ს ბრალდების საქმეში ფიგურირებს.“⁸³⁶

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ა. ტ.-ს მსჯავრდების თაობაზე გააუქმა როგორც უკანონო, ხოლო მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე საბოლოოდ შეწყვიტა იმ საფუძველით, რომ მას არ ჰქონდა ჩადენილი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, შეიძლება ითქვას, რომ სწორია, თუმცა, დოგმატურად არ არის დასაბუთებული. კერძოდ, ბუნდოვანია, რატომ არის ეს შეცდომა მიუტყეველი ან რატომ უნდა მოხდეს ასეთ შემთხვევაში პირის განზრახვი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვა. გარდა ამისა, სასამართლო თავის განჩინებაში, ძირითადად, განზრახვის არსებობა-არარსებობაზე მსჯელობს და არა მართლწინააღმდეგობის შეგნების შესახებ, რომელიც სწორედ აკრძალვაში შეცდომას უკავშირდება.

გამომდინარე აქედან, სასამართლოს ამ პოზიციით, გაურკვეველია, სსკ-ის 36-ე მუხლში მოცემული მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის დამოუკიდებელი ნიშანია, თუ განზრახვის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი. ასეთ შემთხვევაში მართებული იქნებოდა პალატას მეტი ყურადღება მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემის მიმართ გაემახვილებინა და მის შესახებ გამოკვეთილად ემსჯელა.

⁸³⁵ იქვე, გვ. 2225-2226.

⁸³⁶ იქვე.

ამ გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის არცოდნა აკრძალვაში შეცდომად არ მიიჩნია და ჯაშუშობაში (საქართველოს სსკ-ის 314-ე მუხლის პირველი ნაწილი) მსჯავრდებული პირის მიმართ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი უცვლელად დატოვა⁸³⁷.

საქმეში არსებული გარემოებებით ირკვევა, რომ ა.-მ უცხო ქვეყნისათვის გადაცემის მიზნით, დაუდგენელ ვითარებაში შეაგროვა საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, კერძოდ, საქართველოს საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში შემაჯალი, ფოთის აკვატორიაში დისლოცირებული სამხედრო დანიშნულების გემების რაოდენობის, სახეობის, საბრძოლო მდგომარეობისა და სხვა ტექნიკური მახასიათებლების შესახებ. აღნიშნული მონაცემები კი წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ა.-მ მოპოვებული ინფორმაცია, წერილის სახით, სახალწლო მისალოც ბარათთან ერთად, გააგზავნა რუსეთში ვინმე ბ.-ს სახელზე.

აღნიშნული ქმედებისათვის ა.-ს მსჯავრი დაედო სსკ-ის 314-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველის მიერ წარდგენილ საჩივარში, ადვოკატი ცდილობდა დაესაბუთებინა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობა. მისი მტკიცებით, მსჯავრდებულმა არ იცოდა იმ კონკრეტული ნორმატიული აქტის არსებობის შესახებ, რომლითაც დადგენილია საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციათა ნუსხა. შესაბამისად, ა.-ს შეცნობილი არ ჰქონდა თავისი ქმედების აკრძალულობა. მას არ გააჩნდა მართლწინააღმდეგობის შეგნება, ამიტომ აღნიშნული შემთხვევა ბრალის გამოძრისთვის ერთ-ერთ გარემოებად – აკრძალვაში მისატყვებელ შეცდომად უნდა მიჩნეულიყო.

უზენაესმა სასამართლომ, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, ადვოკატის ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენი უცვლელი დატოვა.

პალატამ საერთოდ არ იმსჯელა იმის შესახებ, რატომ არ ჰქონდა ადგილი ასეთ ვითარებაში აკრძალვაში შეცდომას, მაშინ როდესაც მას მისატყვებელი შეცდომის არარსებობა დოგმატურად უნდა დაესაბუთებინა.

ცალკეული სიტუაციებიდან გამომდინარე, შესაძლოა, პირს ქმედების განხორციელებისას არ ჰქონდეს მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნება. ამ კონკრეტულ მაგალითში, ერთი შეხედვით, სრულიად დასაშვებია ის ფაქტი,

⁸³⁷ სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2007, გვ. 82-84.

რომ პირმა მართლაც არ იცოდეს იმ ბლანკეტური ნორმის ზუსტი შინაარსი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციის ნუსხას. თუმცა უმართლობის შეგნებისთვის საკმარისია, მოქმედს შეგნებული ჰქონდეს მის მიერ ჩადენილი ქმედების სოციალური არსი, რომ მისი ქცევა ეწინააღმდეგება კონკრეტული დანაშაულის განზორციელების დროს საზოგადოებრივი წეს-წყობილებით დადგენილ მოთხოვნებს, საზოგადოებაში გაბატონებულ სამართლებრივ წარმოდგენებს.⁸³⁸

სამხედრო დანიშნულების გემების რაოდენობის, სახეობის, საბრძოლო მდგომარეობისა და სხვა ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მოპოვება იმ მიზნით, რომ შემდგომ ეს ინფორმაცია გადაეცეს უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან ორგანიზაციას, ზოგადად დაუშვებელი საქმიანობაა. ამისათვის პირს არ სჭირდება ცალკეული კანონის თუ სხვა ნორმატიული აქტის კონკრეტული ცოდნა, არამედ სრულიად საკმარისია დანაშაულის მხრიდან იმის შეგნება, რომ მის მიერ ჩადენილ ქმედებას შესაძლოა სამართლებრივი გაკიცხვა მოჰყვეს. ამგვარ ვითარებაში ირელევანტურად ითვლება, პირმა სამართლის რომელი დარგის მიხედვით მიიჩნია თავისი ქმედება დაუშვებლად.⁸³⁹

გამომდინარე აქედან, სასამართლოს სწორედ ამ კუთხით უნდა ემსჯელო აკრძალვაში შეცდომის პრობლემაზე და ზემოაღნიშნული არგუმენტით უარი ეთქვა მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის საჩივარის დაკმაყოფილებაზე.

ანალოგიური განაჩენი დაადგინა სასამართლომ ასევე ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ადგილი ჰქონდა განზრახ მკვლელობის (სსკ-ის 108-ე მუხლი) ფაქტს⁸⁴⁰.

სასამართლო პროცესზე ადვოკატი ითხოვდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. საქმის გარემოებები კი შემდეგ შემთხვევას ეფუძნებოდა:

მ. ჭოხონელიძის მეუღლემ – მ. პაპაზოვამ 2001 წლიდან დაიწყო ალკოჰოლური სასმელების სისტემატური მიღება და დაეადდა ალკოჰოლიზმით. 2003 წლის 3 დეკემბერს, დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე, როდესაც მ. ჭოხონელიძე დაბრუნდა სახლში, მთვრალი მეუღლე მძინარე დახვდა. მ. ჭოხონელიძემ ივანშმა და მეუღლესთან დაწვა. დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე მ. პაპაზოვამ გაიღვიძა და დაუწყო ჩხუბი იმ მოტივით, რომ თითქოსდა მ. ჭოხონელიძის ღეღამ რ. მანაგაძემ გვიან აჭამა საჭმელი. შემდეგ ადგა, გავიდა ფოიეში, ქურთუკის ჯიბიდან ამოიღო ჯაყვა-დანა და დაემუქრა ოჯახის წევრების დაზოცვით. მ. ჭოხონელიძემ გამოართვა ჯაყვა-დანა და იქვე, კომოდზე, დადო, თან სთხოვა, შეეწყვიტა მისი და ოჯახის წევრების

⁸³⁸ იხ.: *Roxin*, AT I (2006), გვ. 932; *Baumann, Weber*, AT (1985), გვ. 421; *Küper*, JZ (1989), გვ. 617, 621; *Neumann*, JuS (1993), გვ. 793.

⁸³⁹ იხ.: *Baumann, Weber*, AT (1985), გვ. 421; *Otto* (2000), გვ. 212; BGHSt 11, გვ. 263-266.

⁸⁴⁰ სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, გვ. 523-525.

უსაფუძვლო ლანძღვა. მ. პაპაზოვამ არ შეისმინა მისი თხოვნა და საცემად გაიწია, რაზედაც განაწყენდა მ. ჭოხონელიძე და მ. პაპაზოვას სხეულის დაზიანების მიზნით ხსენებული „ბაბოჩკის“ ტიპის ჯაყვა-დანა ერთხელ დაარტყა ზურგში, რითაც მას მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება. ამის შემდეგ მ. პაპაზოვამ შეწყვიტა მისი ფიზიკური შეურაცხყოფა, დაწყნარდა და დაიძინა⁸⁴¹.

დაახლოებით 03:00 საათზე მ. პაპაზოვამ გაიღვიძა და კვლავ განაგრძო მ. ჭოხონელიძის სიტყვიერი შეურაცხყოფა. მეუღლის ქმედებით განაწყენებულმა მ. ჭოხონელიძემ, შურისძიების მოტივით, განიზრახა მ. პაპაზოვას მოკვლა, იატაკიდან აიღო იგივე ჯაყვა-დანა და მუცლის წინა მარჯვენა ნახევარში მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება. მიღებული დაზიანების შედეგად კი მ. პაპაზოვამ გონი დაკარგა და გარდაიცვალა.

ჩადენილი ქმედებისათვის სასამართლომ ბრალდებული მ. ჭოხონელიძე დამნაშავედ სცნო.

აღნიშნული განაჩენი მსჯავრდებულ მ. ჭოხონელიძის დამცველმა გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. საჩივარში მომჩივანი ითხოვდა მსჯავრდებულ მ. ჭოხონელიძის მიმართ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ „მას არ ჰქონდა მ. პაპაზოვას მოკვლის განზრახვა, არამედ მან დაუშვა მისატყვებელი შეცდომა მისი მოქმედების შესაძლო შედეგების თაობაზე“⁸⁴². დამცველის მტკიცებით, მ. ჭოხონელიძე შეცდომით ფიქრობდა, რომ ასეთი ქმედება სამართლებრივად ნებადართული იქნებოდა, რადგან იგი ამ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი თავისა და დედის დაცვას ცდილობდა. „მეუღლის მოკვლა კი, რომ ნდომებოდა, როცა მას ეძინა, მაშინ მოკლავდა“, – მიუთითა ადვოკატმა.⁸⁴³

უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა დამცველის ეს მოთხოვნა და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი უცვლელად დატოვა⁸⁴⁴.

უზენაესი სასამართლოს ეს პოზიცია სწორია. კლასიკურ დელიქტებში აკრძალვაში შეცდომის პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც წესი, ძალზე დაბალია და, მითუმეტეს, ირელევანტურად უნდა იქნეს იგი მიჩნეული ე.წ. მარტივი მკვლელობის განხორციელების შემთხვევაში.

კლასიკური დელიქტების ჩადენისას, პიროვნებას, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ყოველთვის უნდა ჰქონდეს შეცნობილი იმ ქმედების აკრძალულობა, რომელიც ე.წ. ბუნებითი სამართლის ნორმებს

⁸⁴¹ იქვე.

⁸⁴² იქვე.

⁸⁴³ სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, გვ. 523-525.

⁸⁴⁴ იქვე.

ენინააღმდეგება (მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნება). ასეთ დროს იგულისხმება, რომ პირს ყოველთვის აქვს შეგნებული ქმედების მართლწინააღმდეგობა, ე.ი. საჭიროა არა აქტიური, არამედ საკმარისია ე.წ. მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნება.

თავიდან აუცილებელი შეცდომის ინსტიტუტი კი, რომელიც ბრალს გამოიცხავს, როგორც წესი, მხოლოდ ე.წ. დამატებით სისხლის სამართალში შეიძლება იქნეს გამოყენებული.

გამომდინარე აქედან, ადვოკატის მოთხოვნა განზრახ მკვლევლობაში მსჯავრდებული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან საერთოდ გათავისუფლების შესახებ, დაუსაბუთებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაუფრთხილებლობითი დანაშაულისას უმართლობის შეგნების დასაბუთება შესაძლებელია როგორც თვითმიდევნებით, ისე დაუდევრობით ჩადენილი დელიქტების დროს⁸⁴⁵.

გერმანულისგან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის კოდექსით, როცა შეცდომა მისატყვევებელი არ არის, პირს შეიძლება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის. მართლწინააღმდეგობის შეგნებას კი ასეთ შემთხვევაში როგორც დოგმატური, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შესაძლებელია ქართული სასამართლო პრაქტიკიდან ერთი შემთხვევის მოყვანა:

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში არსებული საქმის გარემოებების მიხედვით, თ. ნადირაძეს მსჯავრი ედებოდა სამსახურებრივი მოვალეობის არაჯერონად შესრულებისათვის მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც იურიდიული პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია (სამსახურებრივი გულგრილობა, სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილი)⁸⁴⁶. აღნიშნული კი გამოიხატა შემდეგში:

„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით განისაზღვრა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები. ამ კანონის თანახმად კი ასეთ პირებად მიიჩნევიან ის სამოქალაქო პირები, რომლებიც აფხაზეთის რაიონების და ქალაქების დაცვისას მუშაობდნენ წარმოებებში, მათ შორის, სარკინიგზო დაწესებულებებში და მათი სამსახურებრივი საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებული იყო საბრძოლო მოქმედებებთან, ან დაინვალიდნენ საბრძოლო მოქმედებების შედეგად. აღნიშნული კანონის შესაბამისად, ასეთი პირებისთვის 2004 წლიდან განისაზღვრა შეღავათები. ამ კანონის რეალიზაციის მიზნით, თავდაც-

⁸⁴⁵ შდრ.: ტურავა (2010), გვ. 164; ტურავა (2011), გვ. 589-592.

⁸⁴⁶ ამის შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, გვ. 517-518.

ვის სამინისტრომ დირექტიული წერილით დაავალა სამხედრო კომისარიატებს კანონში მითითებული კატეგორიის პირებისათვის „ცნობების ჟურნალის“ გახსნა და საქმის წარმოების ერთი პირისათვის ჩაბარება⁸⁴⁷.

თ. ნადირაძემ, რომელიც მუშაობდა ზაშურის რაიონის სამხედრო კომისრად, ვეტერანთა საქმეების წარმოება დაავალა კომისარიატის წამყვან სპეციალისტ ლ. ტარანს, თუმცა აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე არ განახორციელა სათანადო კონტროლი. ამ საქმიანობას ახორციელებდა კომისარიატის სხვადასხვა თანამშრომელი, რომლებიც არ იცნობდნენ კანონის ამ მოთხოვნას. ისინი აღრიცხვაზე მყოფ ყველა პირს, როგორც ომის მონაწილეებს, ისე მასთან გათანაბრებულ პირებსაც მიიჩნევდნენ ომის მონაწილეებად. აღნიშნულ მოქალაქეებზე გაცემულ ცნობებს კი ხელმოწერითა და ბეჭდით ადასტურებდა თ. ნადირაძე.

თ. ნადირაძემ ამ წესით, როგორც აფხაზეთის ომის მონაწილეებზე, ცნობები გასცა ზაშურის სალოკომოტივო დეპოს 17 თანამშრომელზე, რომლებიც აფხაზეთში მუშაობდნენ რკინიგზის აღდგენით სამუშაოზე და საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული. ამის გამო, მათზე არასწორად გავრცელდა შეღავათები და სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკანონოდ გაიცა გარკვეული ოდენობის თანხა.

საკასაციო საჩივრით თ. ნადირაძე ითხოვდა განაჩენის გაუქმებას და საქმის წარმოების შეწყვეტას. საჩივარში იგი, მართალია, არ უარყოფდა ზაშურის რაიონის სალოკომოტივო დეპოს თანამშრომლებზე ცნობების გაცემას, მაგრამ უთითებდა, რომ კანონში „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების“ შესახებ არ იყო გამიჯნული, ვინ უნდა ჩათვლილიყო ომის მონაწილედ და ვინ — მასთან გათანაბრებულ პირად. მისი შეცდომა იყო სწორედ ის, რომ ვეტერანის ნაცვლად ცნობებში მიუთითებდა ომის მონაწილეს. თ. ნადირაძე თვლიდა, რომ ეს ქმედება არ წარმოადგენდა დანაშაულს. სწორედ ამიტომ, მსჯავრდებულის ადვოკატის მტკიცებით, მის დაცვის ქვეშ მყოფს ქმედების ჩადენისას არ გააჩნდა მართლწინააღმდეგობის შეგნება. შესაბამისად, აქ ადგილი უნდა ჰქონოდა აკრძალვაში მისატყვეველ შეცდომას⁸⁴⁸.

საკასაციო პალატამ საქმის მასალების განხილვის საფუძველზე, საჩივარი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ ჩათვალა, რომ მსჯავრდებულ თ. ნადირაძის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სწორი სამართლებრივი შეფასება ჰქონდა მიცემული სასამართლოს ქვედა ინსტანციებში.

ისმის კითხვა: შესაძლებელია, თუ არა ეს კონკრეტული შემთხვევა მიჩენილი იქნეს როგორც აკრძალვაში შეცდომა?

ცნობილია, რომ სამსახურებრივი გულგრილობა გაუფრთხილებლობითი დელიქტების კატეგორიას მიეკუთვნება. სახელდობრ, მისი განხორციელება

⁸⁴⁷ იქვე.

⁸⁴⁸ იქვე.

შესაძლებელია როგორც თვითიმედოვნებით, ისე დაუდევრობით. საკითხავია, როგორ უნდა გადაწყდეს ამ დელიქტის ჩადენისას არსებული აკრძალვაში შეცდომის პრობლემა.

საქმის გარემოებების მიხედვით, თ. ნადირაძე, როცა თავის შეცდომაზე ამბავილებს ყურადღებას, უთითებს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების“ კანონის იმ მუხლზე, რომლის მიხედვითაც არ არის გამიჯნული, ვინ უნდა ჩაითვალოს ომის მონაწილედ და ვინ – მასთან გათანაბრებულ პირად. შესაბამისად, მან არ იცის ამ მუხლის ზუსტი შინაარსი, იგი არასწორად ახდენს აღნიშნული ნორმის ინტერპრეტაციას. გამომდინარე აქედან, თ. ნადირაძეს არ აქვს მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნება. ამდენად, იგი უნდა მოქმედებდეს სამართლებრივი შეცდომის მდგომარებაში.

გაუფრთხილებლობის დროს აკრძალვაში შეცდომას არ უშვებს ის, ვისაც აქვს მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნება.⁸⁴⁹ შეგნებული გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ეს პრობლემა ადვილად გადასაწყვეტია. ამ დროს პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ნებართული რისკის ფარგლებს გარეთ მოქმედებს, რითაც შესაძლებელია, განხორციელდეს ქმედების შემადგენლობა, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ შედეგი არ დადგება ან მისი მოქმედება სამართლებრივად გამართლებულია⁸⁵⁰. დაუდევრობის დროს კი დამნაშავეს, შექმნილი საფრთხის მდგომარეობიდან გამომდინარე, უნდა შეეძლოს მის მიერ ჩადენილი უმართლობის გათვალისწინება (ე.წ. მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნება).

თ. ნადირაძემ, როგორც ეს სასამართლოს განაჩენშია მითითებული, მართლწინააღმდეგო ქმედება შეუგნებელი გაუფრთხილებლობით ჩაიდინა. სახელდობრ, წინდახედულობის ნორმის დაუდევრობით დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ მან ბრძანების შესრულებაზე არ განახორციელა სათანადო კონტროლი, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ხოლო მის ქმედებაში აკრძალვაში შეცდომის დამადასტურებელია ის, რომ მან „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების“ კანონის შესაბამისი მუხლი არასწორად განმარტა.

გამომდინარე აქედან, სასამართლოს ეს შემთხვევა აკრძალვაში შეცდომად (სსკ-ის 36-ე მუხლი) უნდა მიეჩნია და მსჯავრდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც სწორედ მის ფარგლებში გადაწყვიტა. კერძოდ, თუ სასამართლო ამ შეცდომას თავიდან აცილებდა და ჩათვლიდა, ე.ი. თუ თ. ნადირაძეს შეეძლო ამის გათვალისწინება (მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნება), მაშინ პალატას მსჯავრდებულის მიმართ ქვედა ინსტან-

⁸⁴⁹ იხ.: ტურავა (2010), გვ. 164; ტურავა (2011), გვ. 589-592; *მაღლაკელიძე*, „სამართლის ჟურნალი“, №1/2 (2010), გვ. 245-251.

⁸⁵⁰ ამის შესახებ იხ.: *Herzberg*, Jura (1984), გვ. 411; *Sternberg-Lieben*, Schönke/Schröder (2010), გვ. 304-306; ტურავა (2011), გვ. 589-590.

ციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი უცვლელად უნდა დაეტოვებინა. შეცდომის თავიდან აუცილებადობის შემთხვევაში კი სასამართლოს თ. ნადირაძის ბრალეულობა საერთოდ უნდა გამოერიცხა.

უზენაესმა სასამართლომ თ. ნადირაძის ადვოკატის საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა. პალატამ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი, მართალია, უცვლელად დატოვა, მაგრამ ამ შედეგამდე სულ სხვა გზით მივიდა. ასეთ შემთხვევაში მას შეცდომის შესახებ საერთოდ არ უმსჯელია.

ბრალის პრინციპზე აგებული სისხლის სამართალი ბრმად არ აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პრინციპით: „კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისგან“, არამედ სასჯელის დაკისრების დროს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალად შერაცხვის ერთ-ერთ ძირითად მომენტად უმართლობის შეგნების არსებობის დადგენას მიიჩნევს.⁸⁵¹

ფსიქოტროპულ ნივთიერებასთან და ნარკოტიკულ საშუალებასთან მიმართებაში ზოგჯერ მნიშვნელობა აქვს მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის დადგენას. ამ მოსაზრების საიულუსტრაციოდ კი განვიხილავთ შემთხვევას, რომელსაც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ჰქონდა ადგილი⁸⁵²: ა., რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში საზღვარგარეთ ცხოვრობდა, დააკავეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. მას ჩანთაში აღმოაჩნდა ფსიქოტროპული ნივთიერება, რომელიც საზღვარგარეთ შეიძინა ლეგალურად. მან არ იცოდა, რომ საქართველოს კანონმდებლობით ამ ნივთიერების შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, შემოტანა და ა.შ. დანაშაულს წარმოადგენდა.⁸⁵³

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ეს შემთხვევა აკრძალვაში მისაღებულ შეცდომად ჩათვალა. პირს ასეთ ვითარებაში არ ჰქონდა მართლწინააღმდეგობის შეგნება. ამ მოსაზრების დასაბუთება კი არის ის, რომ არ შეიძლება ყველა ადამიანს მოსთხოვო ბლანკეტური ნორმის შინაარსის ცოდნა, ისევე როგორც არ შეიძლება, დასაჯო პრინციპით – „კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან.“⁸⁵⁴

გამომდინარე აქედან, სრულიად შესაძლებელია, ა.-ს არ სცდონოდა საქართველოს კანონმდებლობის ის ნორმა, რომელიც ადგენს ნარკოტიკულ საშუალებათა თუ ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ნუსხას. სწორედ ამიტომ, სასამართლომ ა., ბრალის არარსებობის გამო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა (სსკ-ის 36-ე მუხლი).

ამ წესისგან განსხვავებით, იმ ნარკოტიკული საშუალებების მიმართ, რომლებიც თავიანთი დასახელებებიდან გამომდინარე, საყოველთაოდ ცნობილია (მაგალითად, ჰეროინი ან კოკაინი), პირი, როგორც წესი, ვერ მოახდენს

⁸⁵¹ იხ. ტურავა (2011), გვ. 529.

⁸⁵² ქართული სასამართლო პრაქტიკიდან ეს მაგალითი თავის სახელმძღვანელოში მოყვანილი აქვს მ. ტურავას. ამის შესახებ იხ. ტურავა (2011), გვ. 529.

⁸⁵³ იქვე.

⁸⁵⁴ იქვე.

აკრძალვაში შეცდომაზე მითითებას. ასეთ შემთხვევაში სრულიად საკმარისია მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნების არსებობა.⁸⁵⁵

მაშასადამე, ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო უმეტეს შემთხვევაში საქმის გარემოებებს სწორ სამართლებრივ შეფასებას აძლევს. თუმცა ზემოგანხილული განაჩენები დოგმატურად არ არის დასაბუთებული. გამომდინარე აქედან, შეუძლებელია დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, მართლწინააღმდეგობის შეგნება განზრახვის შემადგენელი კომპონენტია, თუ მისგან დამოუკიდებლად არსებული ბრალის ერთ-ერთი ნიშანი. ამასთან, ამ გადაწყვეტილებებში ასევე არ არის სათანადოდ დასაბუთებული ისიც, რატომ მიიჩნევა სასამართლო, ერთ შემთხვევაში, ბლანკეტურ ნორმებთან მიმართებით დაშვებულ შეცდომას სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მქონედ, ხოლო, მეორე შემთხვევაში, რატომ თვლის იგი ანალოგიურ შეცდომას ირელევანტურად.

3.2.4. აკრძალვაში შეცდომის ნორმის ახლებურად განმარტების მცდელობა ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და 36-ე მუხლების ანალიზი ადასტურებს, რაოდენ რთულია განზრახვისა და ბრალის თეორების პირდაპირი გამოყენების გზით აკრძალვაში შეცდომის ბუნების გარკვევა. პრობლემის გადაჭრა ვერც სასამართლოს პრაქტიკის განხილვის საფუძველზე ხერხდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ზოგიერთი ქართველი მეცნიერი შეეცადა ამ საკითხის ახლებურად გადაწყვეტას. ამ მხრივ კი, ცალკე მოსაყოფია *ო. გამყრელიძისა* და *მ. ტურავას* განსხვავებული პოზიციები დასახელებულ პრობლემასთან დაკავშირებით.

საკითხი უპირველესად განხილულ უნდა იქნეს *მ. ტურავას* შეხედულების მიხედვით, რადგან განზრახვის ცნების განსხვავებული ინტერპრეტაცია ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაში სწორედ მან განავითარა.⁸⁵⁶

მ. ტურავას თავდაპირველი, ადრინდელი მოსაზრებით, ვინაიდან განზრახვა შეიძლება იყოს როგორც არაბოროტი, ისე ბოროტი, ქმედების შემადგენლობის ეტაპზე მხოლოდ ცოდნა და ნებელობა, ანუ არაბოროტი განზრახვა უნდა დადგინდეს, ხოლო ბრალის ეტაპზე, მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული არაბოროტი განზრახვა უკვე ბოროტ განზრახვად (*dolus malus*) შეიძლება იქცეს. მაშასადამე, განზრახვა, მე-9 მუხლიდან გამომდინარე, ორ ნაწილად საჭიროებს დაყოფას, პირველი ორი – ცოდნა და ნებ-

⁸⁵⁵ შლრ. ტურავა (2011), გვ. 529.

⁸⁵⁶ შლრ. Turava (1998), გვ. 256-257.

ელობა, ქმედების შემადგენლობის, ზოლო განზრახვის მესამე კომპონენტი – მართლწინააღმდეგობის შეგნება – ბრალის ეტაპზე უნდა იქნეს განხილული⁸⁵⁷. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ განზრახვას ორმაგი ფუნქცია მიენიჭება ქმედების შემადგენლობისა და ბრალის სფეროში. თუმცა, *მ. ტურავას* დღევანდელი პოზიცია ნაწილობრივ განსხვავებულია როგორც თავად ამ ავტორის წინა, ისე სხვა ქართველი მეცნიერების შეხედულებებისგან. კერძოდ, თუ იგი თავისი წიგნის ადრინდელ გამოცემებში⁸⁵⁸ აკრძალვაში შეცდომის დროსაც განზრახვის ორმაგი ბუნებაზე საუბრობდა, ბოლო გამოცემებში შეხედულებას განზრახვის ორმაგი ფუნქციის შესახებ მხოლოდ მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომასთან მიმართებაში ავითარებს. აკრძალვაში შეცდომის შემთხვევაში კი, მეცნიერი თვლის, რომ ამ დროსაც მართლწინააღმდეგობის შეგნება უნდა გამოირიცხოს, რომელიც ბუნებრივი განზრახვისგან დამოუკიდებლად არსებობს ბრალის ეტაპზე და მხოლოდ სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით ემსგავსება მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომას⁸⁵⁹.

განზრახვის ორმაგ ფუნქციას აღიარებს ასევე *ო. გამყრელიძე*. მეცნიერი მიიჩნევს, რომ „განზრახვა, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე, ყოველგვარი შეფასებისაგან თავისუფალი უნდა იყოს“⁸⁶⁰. მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემას რაც შეეხება, იგი იქვე მიუთითებს, რომ „შეცნობილი ჰქონდა თუ არა მოქმედს მისი ქმედების მართლწინააღმდეგობის ხასიათი, ეს ბრალზე მსჯელობის დროს უნდა გაირკვეს, როცა ჩადენილი უმართლობა ფასდება და ბრალი დგინდება“⁸⁶¹.

ასე რომ, ზემოაღნიშნული მეცნიერები თავიანთ ნაშრომებში საუბრობენ განზრახვის ორმაგ ბუნებაზე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ *ო. გამყრელიძე* ასეთ ორმაგ ფუნქციას აკრძალვაში შეცდომის დროსაც აღიარებს⁸⁶², *მ. ტურავა* კი მას მნიშვნელობას მხოლოდ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ფაქტობრივი შეცდომის შემთხვევაში ანიჭებს. აკრძალვაში შეცდომისას, ავტორი, მართალია, არ მიუთითებს განზრახვის ორმაგ ფუნქციაზე, მაგრამ ყურადღებას ამახვილებს მართლწინააღმდეგობის შეგნების გამომრიცხვის აუცილებლობაზე.

მეცნიერთა ამ მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე კი ისმის კითხვა: საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლიდან გამომდინარე, მოიაზრება თუ არა განზრახვის შემადგენლობაში, სხვა დანარჩენ კომპონენტებთან ერთად, ასევე

⁸⁵⁷ იხ. ტურავა (2006), გვ. 57-62.

⁸⁵⁸ ამ პრობლემის შესახებ იხ. *მ. ტურავას* ზოგადი ნაწილის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 გამოცემები.

⁸⁵⁹ იხ.: ტურავა (2010), გვ. 229-236; ტურავა (2011), გვ. 525-530.

⁸⁶⁰ იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 99.

⁸⁶¹ იქვე, ასევე იხ. *ო. გამყრელიძის* ალტერნატიული პროექტის მე-10 მუხლი. ამის შესახებ იხ. *გამყრელიძე* (1998), გვ. 274.

⁸⁶² იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 98-100.

მართლწინააღმდეგობის შეგნება? თუ ეს უკანასკნელი განზრახვისგან დამოუკიდებლად არსებული ბრალის პრობლემა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე, თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ განზრახვა ასეთ შემთხვევაში საჭიროა გაგებულ იქნეს, როგორც სამკომპონენტიანი კატეგორია. მისი პრიველი ორი კომპონენტი ქმედების შემადგენლობის, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის ეტაპზე უნდა შემოწმდეს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მიიჩნევა, რომ კანონმდებელი საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლში მართლ მართლწინააღმდეგობის შეგნების გამორიცხვაზე მიუთითებს და განზრახვას ქმედების შემადგენლობის ეტაპზე უცვლელად ტოვებს, მაშინ უკვე სხვა პრობლემა წარმოიშობა, კერძოდ:

(1) კოდექსის 36-ე მუხლი „წინააღმდეგობაში“ მოვა მე-9 მუხლის დებულებასთან, ვინაიდან აღნიშნული ნორმა განზრახვის ერთიან ცნებაზე მიუთითებს. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ მიუტყვევებელი სამართლებრივი შეცდომის შემთხვევაში, მართლწინააღმდეგობის შეგნების არ არსებობის გამო, ლოგიკურად, ქმედების განზრახვაც უნდა გამოირიცხოს;

(2) მართლწინააღმდეგობის შეგნების ბუნებრივი განზრახვისგან დამოუკიდებლად განხილვის შემთხვევაში, საკითხავია, როგორ უნდა მოხდეს პირის გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობის დასაბუთება, მაშინ როდესაც ქმედების სუბიექტური ნიშნები – ცოდნა და ნებელობა უპრობლემოდ შესრულდება. გამოდის, რომ დამნაშავე, რომელიც მიუტყვევებელ სამართლებრივ შეცდომას დაუშვებს, შეიძლება გაუფრთხილებლობისთვის დაისაჯოს, მიუხედავად იმისა, რომ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვას უპრობლემოდ ახორციელებს;

(3) მართლწინააღმდეგობის შეგნების განზრახვისგან დამოუკიდებლად აღიარების შემთხვევაში, საკითხავია, მართლწინააღმდეგობის შეგნების გამორიცხვა რატომ უნდა იძლეოდეს იმის საფუძველს, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია შეიცვალოს (იგულისხმება, მიუტყვევებელი შეცდომისას, განზრახვიდან გაუფრთხილებლობაზე გადასვლა)? თუ უმართლობის შეგნება განზრახვისგან დამოუკიდებლად არსებული ბრალის პრობლემაა, ლოგიკურად, ამ სახის შეცდომისას, განზრახვა უცვლელად უნდა რჩებოდეს და პირი ისევ განზრახვი დანაშაულისთვის ისჯებოდეს, როგორც ეს ხდება გერმანული აკრძალვაში შეცდომისას, და არა გაუფრთხილებლობისთვის ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა.

ყველა ეს პრობლემაური საკითხი, რომლებიც ცალკე მსჯელობასა და ანალიზს მოითხოვს, ქვემოთ იქნება წარმოდგენილი, თუმცა მანამდე მიზანშეწონილია, განხილულ იქნეს მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომა და სწორედ ამის შემდეგ მოხდეს ამ ნორმების ინტერპრეტაცია.

4. მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომა

4.1. საკითხის მოკლე მიმოხილვა

აკრძალვაში შეცდომის შემდეგ ყურადღება ამჯერად მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებულ შეცდომაზე იქნება გამახვილებული. შეცდომის ეს სახე, ქართულ იურიდიულ დოგმატიკაში გაბატონებული შეხედულებით, სწორედ მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემასთან არის დაკავშირებული და ისიც, აკრძალვაში შეცდომის მსგავსად, ბრალის სფეროში საჭიროებს განხილვას. უნდა ითქვას, რომ ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში ეს საკითხი მეტად აქტუალურია, რადგან აღნიშნული შეცდომის რეგულაცია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.

4.2. პრობლემის დასმა

მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის დროს დამნაშავე ცდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ფაქტობრივ გარემოებებში.⁸⁶³ მეცნიერთა ნაწილი მას 36-ე მუხლის ანალოგიით განიხილავს, ვინაიდან საკითხი უშუალოდ მართლწინააღმდეგობის შეგნებას უკავშირდება⁸⁶⁴; თუმცა დოგმატურად თუ რომელი თეორიის გამოყენებით უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა, ცალკე განხილვას მოითხოვს⁸⁶⁵. სახელდობრ, საკითხავია, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა განზრახვის თეორიით უნდა იქნეს იტერპრეტირებული, თუ, ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია ე.წ. ბრალის თეორიის გამოყენება? ამასთან, მნიშვნელოვანია ასევე ქართული სასამართლოს პოზიციაც ამ საკითხთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, მომდევნო ქვეთავებში მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევა დასახელებული თეორიებისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით იქნება გაანალიზებული.

4.2.1. პრობლემის განხილვა განზრახვის თეორიის მიხედვით

განზრახვის თეორიის მიხედვით, უმართლობის შეგნება არის განზრახვის შემადგენელი ნაწილი. მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის შემთხვევაში განზრახვა გადაიქცევა ბოროტ განზრახვად (dolus malus).

ეს თეორია, როგორც აღმოჩნდა, განზრახვას მიიჩნევს მთლიანად ბრა-

⁸⁶³ იხ.: BGHSt 45, გვ. 378-384; BGH, NStZ (2001), გვ. 590.

⁸⁶⁴ იხ.: ტურავა (2010), გვ. 232-236; ტურავა (2011), გვ. 536-541.

⁸⁶⁵ შდრ. მაღლაკელიძე, „სამართლის ჟურნალი“, №2 (2009), გვ. 94-109.

ლის ნიშნად, რომელიც, ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნასა და ნებელობასთან ერთად, თავის თავში მართლწინააღმდეგობის შეგნებასაც მოიცავს. ნებისმიერი ამ კომპონენტის არარსებობა კი განზრახვის გამომრიცხველია.

გამომდინარე აქედან, თუკი საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლი განზრახვის თეორიის მიხედვით განიმარტება, მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევაში, განზრახვის ერთ-ერთი კომპონენტი – მართლწინააღმდეგობის შეგნება – გამოირიცხება, რასაც შედეგად მთლიანად განზრახვის გამომრიცხვა მოჰყვება და დამნაშავეს პასუხისმგებლობა შეიძლება, დაეკისროს გაუფრთხილებლობისთვის.

იგივე შედეგი დადგება კოდექსის 36-ე მუხლის ინტერპრეტაციისას. ეს მუხლი, მართალია, მხოლოდ სამართლებრივ შეცდომაზე მიუთითებს, მაგრამ როგორც არაერთი ქართველი მეცნიერი აღნიშნავს, ამ უკანასკნელი ნორმის ანალოგიის მეთოდით გამოყენება ბრალდებულის სასარგებლოდ სრულიად დასაშვებია. თეორეტიკოსთა მტკიცებით, ეს პრინციპი არ ეწინააღმდეგება სსკ-ის 36-ე მუხლის მიზანს.⁸⁶⁶

მაშასადამე, განზრახვის თეორიის მიხედვით, განზრახვა ბრალის ელემენტია. მართლწინააღმდეგობის შეგნების გამომრიცხვით გამომრიცხება მთლიანად განზრახვა და საკითხი ავტომატურად გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობაზე გადაინაცვლებს.

წიგნში წარმოდგენილი თვალსაზრისი კი უარყოფს ე.წ. „განზრახვის თეორიის“ პირდაპირ გამოყენებას ქართულ სისხლის სამართალში. ეს პოციზია კიდევ ერთხელ, უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება დასაბუთებული. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში განვითარებული შეხედულება, სსკ-ის მე-9 მუხლში გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის განზრახვის ცნებისგან განსხვავებული დეფინიციის არსებობის მიუხედავად, ამ ნორმის ინტერპრეტაციას ახდენს ბრალის თანამედროვე, მოდიფიცირებული თეორიის მიხედვით, რომელიც, მხოლოდ სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, არის ე.წ. „განზრახვის თეორიის“ მსგავსი⁸⁶⁷.

4.2.2. პრობლემის განხილვა ბრალის შეზღუდული თეორიის მიხედვით

ბრალის გერმანული შეზღუდული თეორია მართლწინააღმდეგობის შეგნებას ბრალის დამოუკიდებელ ელემენტად აცხადებს, თუმცა შეცდომის პრობ-

⁸⁶⁶ იხ.: ნაჭყებია, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 17-20; ტურავა (2010), გვ. 329-330.

⁸⁶⁷ ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს ასევე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მ. ტურავა. ამის შესახებ იხ.: ტურავა (2010), გვ. 232-236; ტურავა (2011), გვ. 536-541.

ლემებს განსხვავებულად წყვეტს. კერძოდ, როგორც ზემოთ ითქვა, სამართლებრივ შეცდომასა და შეცდომას მართლწინააღმდეგობის გამოძრევად იურიდიულ მხარესთან დაკავშირებით იგი მართლწინააღმდეგობის შეგნების სფეროში მოიაზრებს. ეს კი, ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული შეცდომის სახეები გამოძრევად მხოლოდ უმართლობის შეგნებას, როგორც ბრალის დამოუკიდებელ ნიშანს.⁸⁶⁸

რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომას, ეს თეორია გერმანულ სისხლის სამართალში გამოძრევას ე.წ. განზრახვის ბრალს, ე.ი. განზრახვას, როგორც ბრალის დამოუკიდებელ ნიშანს.

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის ზოგიერთი წარმომადგენელი, ასე მაგალითად, მ. ტურავა⁸⁶⁹, ამ პრობლემის გადაჭრისას სწორედ „ბრალის შეზღუდულ თეორიას“ იყენებს. ქართველი მეცნიერის ეს შეხედულება ცალკე განხილვას მოითხოვს, თუმცა, მანამდე მიზანშეწონილია, ამ საკითხთან დაკავშირებით გაანალიზდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიცია.

4.2.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებულ ფაქტობრივი შეცდომის შესახებ

არსებობს ქართული სასამართლო პრაქტიკა მოჩვენებითი მოგერიების შესახებ. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება დ. ხიზანიშვილის სისხლის სამართლის საქმეზე⁸⁷⁰. ქვედა ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, აღნიშნული შემთხვევა უზენაესმა სასამართლომ არ მიიჩნია მოჩვენებითი მოგერიებად და საქმე დააბრუნა ხელახალი არსებითი განხილვისათვის.

განაჩენში მითითებული საქმის გარემოებები ასეთი იყო: დ. ხიზანიშვილს ბრალი ედებოდა დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე განზრახ მკვლელობის ჩადენაში. კერძოდ, დ. ხიზანიშვილი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორი და შენახვის უფლებით ფლობდა „ზიგ-ზაუერის“ სისტემის პისტოლეტს, რომელსაც ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში, მცხეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში. 2004 წლის 12 მაისს, დაახლოებით ღამის 3 საათზე, ამავე სოფელში მცხოვრები ე. სიჭინავა შევიდა მისი სახლის ეზოში და მივიდა პირველ სართულზე მდებარე იმ ოთახის ფანჯარასთან, სადაც ეძინა დ. ხიზანიშვილის დას – ქ. ხიზანიშვილს.

⁸⁶⁸ იხ. Kühn, AT (2008), გვ. 415-416.

⁸⁶⁹ იხ.: Turava (1998), გვ. 257; ტურავა (2010), გვ. 232-236; ტურავა (2011), გვ. 536-541.

⁸⁷⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2005, გვ. 29-32.

გამოძიებებით დადგინდა, რომ ქ. ხიზანიშვილი და ე. სიჭინავა დიდი ხნის შეყვარებულები იყვნენ და სწორედ შეყვარებულის მოსანახულებლად შევიდა იგი ხიზანიშვილების სახლის ეზოში. ძაღლების ყეფისა და შიფერის მტკრევის ხმაზე გამოღვიძებულმა მსჯავრდებულის მამამ — ი. ხიზანიშვილმა, თავის მხრივ, გააღვიძა დ. ხიზანიშვილი. ამ უკანასკნელმა იფიქრა, რომ ნამდვილად ყაჩაღები ცდილობდნენ სახლში შეღწევას და შევიდა თავისი დის საძინებელ ოთახში. მას ამ დროს ხელთ ჰქონდა კუთვნილი პისტოლეტი. დარწმუნებული, რომ ფანჯრის მიღმა იდგა ყაჩაღი, რომელიც ცდილობდა ბინაში შეღწევას და საცაა შეაღწევდა კიდევ, დადგა ფანჯრის მარჯვენა მხარეს და მასზე ჩამოფარებული ფარდის გვერდიდან გაისროლა. გასროლისას ფანჯრის მინა გატყდა, რის შემდეგაც დ. ხიზანიშვილმა კიდევ მოახდინა სამი გასროლა. ერთ-ერთი გასროლის შედეგად ე. სიჭინავამ მიიღო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება, რის გამოც მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა⁸⁷¹.

დ. ხიზანიშვილის ქმედება წინასწარი გამოძიების ეტაპზე დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით და საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა სასამართლოში.

სასამართლომ დ. ხიზანიშვილის ქმედება შეაფასა არა როგორც განზრახი მკვლელობა, არამედ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილი). ასეთ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ „დ. ხიზანიშვილს არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული“. ეს იყო მიუტყვებელი შეცდომა, რის გამოც ბრალდებულის ქმედება გადაკვალიფიცირდა კოდექსის 116-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის დასაბუთება კი იყო ის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დ. ხიზანიშვილს გაცნობიერებული არ ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და, გამომდინარე აქედან, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა, შეეძლო ამის გათვალისწინება. იგი დარწმუნებული იყო, რომ მის ოჯახს თავს დაესხნენ ყაჩაღები, ამიტომ დ. ხიზანიშვილი, თავისი წარმოდგენით, თავს იცავდა თავდამსხმელისაგან. აღნიშნული კი, სასამართლოს მტკიცებით, „მსჯავრდებულის ცნობიერებაში გამორიცხავს ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს და აქცევს მის ქმედებას მართლზომიერების ფარგლებში“⁸⁷².

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სწორია, თუმცა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იგი არ გაიზიარა და საქმე ხელახალი არსებითი განხილვისათვის დააბრუნა ქვედა ინსტანციის სასამართლოში.

სასამართლოს განაჩენში გამოხატული პოზიცია იმის შესახებ, რომ „დ. ხიზანიშვილის მიერ ჩადენილი ქმედება მსჯავრდებულის ცნობიერებაში გამორ-

⁸⁷¹ იქვე, გვ. 30.

⁸⁷² იქვე.

იცხავს ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს და აქცევს მის ქმედებას მართლზომიერების ფარგლებში“, უზენაესმა სასამართლომ არათანმიმდევრულ და დაუსაბუთებელ მსჯელობად შეაფასა. მან მიიჩნია, რომ სასამართლომ განაჩენში არსებული ამ მოსაზრებით, თითქოსდა, ფაქტობრივად გამორიცხა დ. ხიზანიშვილის მიერ ჩადენილი „ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, მაგრამ მაინც დასაჯა იგი გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის“⁸⁷³.

უზენაესი სასამართლოს ეს პოზიცია არასწორია. საკასაციო პალატას მხედველობიდან გამორჩა ქვემდგომი სასამართლოს განაჩენში მოცემული ერთი უმთავრესი გარემოება, კერძოდ, სასამართლომ ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი ობიექტურად კი არ გამორიცხა, არამედ მიუთითა, რომ ასეთ შემთხვევაში დ. ხიზანიშვილს შეგნებული არ ჰქონდა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტი, ჩათვალა, რომ დ. ხიზანიშვილის მიერ განხროციელებული მოქმედება „მსჯავრდებულის ცნობიერებაში გამორიცხავს ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს და აქცევს მის ქმედებას მართლზომიერების ფარგლებში“.

მართლაც, დ. ხიზანიშვილი შეცდომით თვლიდა, რომ იგი რეალურ თავდასხმელს იგერიებდა. ეს კი, მოჩვენებითი მოგერიების არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. სახელდობრ, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომისას პირს ჰკონია, რომ მასზე განხროციელებული თავდასხმა არის რეალური, ხოლო სინამდვილეში ასე არ არის. მაშასადამე, ამგვარ მდგომარეობაში მყოფ სუბიექტს, თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი შეცნობილი არა აქვს. პირი სწორედ თავის ცნობიერებაში ახდენს ფაქტობრივი გარემოებების არასწორ შეფასებას და მიიჩნევს, რომ ასეთი ქმედება ნებადართულია და, ე.ი. მართლზომიერია.

ამდენად, ქვემდგომმა სასამართლომ ეს შემთხვევა სწორად შეაფასა როგორც მოჩვენებითი მოგერიება. უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი დაუსაბუთებელი და არასწორია.

4.3.4. მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის ინტერპრეტაცია ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში

მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის პრობლემასთან დაკავშირებით ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, მაგალითად, მ. ტურავა, თვლის, რომ ამ დროს უნდა გამოირიცხოს მართლწინააღმდეგობის შეგნება (ე.წ. განზრახვის ბრალი), ოღონდ – ფართო გაგებით, და, შესაბამისად, მთლიანი განზრახვაც (ე.წ. ბოროტი განზრახვა). განზრახვის ცნების

⁸⁷³ იქვე.

ამგვარი ინტერპრეტაცია კი, მისი აზრით, თავად მე-9 მუხლის დისპოზიცი-
იდან გამომდინარეობს და იგი ბრალის დამოუკიდებელ პრობლემას აფუძნებს.⁸⁷⁴
თავად შეცდომის ეს სახე, აკრძალვაში შეცდომის შემთხვევას მხოლოდ სამარ-
თლებრივი შედეგის თვალსაზრისით ემსგავსება.⁸⁷⁵

ამის შესახებ *მ. ტურავა* მიუთითებს: „ქართული სისხლის სამართლის
მიხედვით, განზრახვის ბრალი წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის შეგნების
პრობლემას ფართო გაგებით.“ მეცნიერი იქვე აღნიშნავს, რომ „სისხლის
სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, განზრახვა არის სამკომპონენ-
ტიანი. ე.ი. განზრახვა არის:

(1) ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა;

(2) ნებელობა, გამოხატული შედეგის დადგომის სურვილში, გარდაუვალო-
ბის შეგნებასა და შეგნებულად დაშვებაში;

(3) განზრახვის ბრალი – მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით
(მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ფაქტობრივი მხარის
ცოდნა).

ბრალის ეტაპზე სწორედ განზრახვის ეს მესამე კომპონენტი არის
მნიშვნელოვანი“.⁸⁷⁶

მ. ტურავას შეხედულების მიხედვით, ქმედების შემადგენლობის ეტაპზე
განზრახვა დგინდება მხოლოდ არაბოროტი განზრახვის სახით. ბრალის ეტაპზე
კი ბოროტი განზრახვის სახით დგინდება განზრახვის მესამე კომპონენტი,
ანუ მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით. ეს იმას ნიშნავს, რომ
ქმედების შემადგენლობის განზრახვა მხოლოდ მაშინ იქცევა ე.წ. ბოროტ გან-
ზრახვად, როცა პიროვნებას სწორად აქვს შეგნებული, რომ ის არ მოქმედებს
მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოების ვითარებაში.

თუ პირი შეცდომას უშვებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ფაქ-
ტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და ჰგონია, რომ მასზე განხორციელე-
ბული თავდასხმა არის რეალური, სინამდვილეში კი, ასეთს ადგილი არა აქვს,
ამ შემთხვევაში გამოირიცხება ბრალის ეტაპზე განზრახვის მესამე კომპონენტი
– მართლწინააღმდეგობის შეგნება (ე.წ. განზრახვის ბრალი) და, შესაბამის-
ად, ბოროტი განზრახვა; პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის
საკითხი კი გადაწყდება სამართლებრივი შეცდომის ანალოგიით, სსკ-ის 36-ე
მუხლის საფუძველზე⁸⁷⁷.

აქვე აღსანიშნავია, რომ *მ. ტურავა* ბოროტ განზრახვას (*dolus malus*), თა-
ვისი წიგნის მე-9 და მისი წინა გამოცემებისგან განსხვავებით, მხოლოდ მარ-
თლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ფაქტობრივი გარემოებების დროს დაშვე-

⁸⁷⁴ იხ.: ტურავა (2010), გვ. 232-236; ტურავა (2011), გვ. 536-541.

⁸⁷⁵ იხ.: ტურავა (2010), გვ. 232-236; ტურავა (2011), გვ. 536-541.

⁸⁷⁶ იხ.: ტურავა (2011), გვ. 536.

⁸⁷⁷ იქვე.

ბული შეცდომის შემთხვევაში ანიჭებს მნიშვნელობას, არაბოროტ განზრახვას კი, ქმედების შემადგენლობის ელემენტად აცხადებს. ასე რომ, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის პრობლემას განზრახვის ორმაგი ბუნების მიხედვით განიხილავს.

ორმაგი ფუნქცია აქვს მის მოძღვრებაში ასევე მართლწინააღმდეგობის შეგნებასაც. სახელდობრ, აკრძალვაში შეცდომის შემთხვევაში იგი გამორიცხავს მართლწინააღმდეგობის შეგნებას, ოღონდ ვიწრო გაგებით, ხოლო მოჩვენებითი მოგერიებისას უარყოფს, ასევე, მართლწინააღმდეგობის შეგნებას ფართო გაგებით (ბრალის განზრახვა) და მას მე-9 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე განმარტავს.

მართლწინააღმდეგობის შეგნების ასეთი დიფერენციაცია სწორია, ვინაიდან აღნიშნულით შესაძლებელია, აკრძალვაში შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის ერთმანეთისგან ურთიერთგამიჯვნა. ამასთან, ეს მოსაზრება, თავად მე-9 მუხლის დისპონციიდანაც გამომდინარეობს, რომელიც განზრახვას, როგორც ბოროტ განზრახვას, ისე განსაზღვრავს. რაც შეეხება 3ნ-ე მუხლს, კანონმდებელი ამ შემთხვევაში საუბრობს მხოლოდ სამართლებრივ შეცდომაზე, რა დროსაც მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა ბრალის გამორიცხვის საშუალებას იძლევა. თავად ეს მართლწინააღმდეგობის შეგნება კი შინაარსობრივი და დოგმატური თვალსაზრისით განსახვავებულია მე-9 მუხლში მოცემული მართლწინააღმდეგობის შეგნებისგან.

მასსადამე, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის დროს წარმოშობილი პრობლემის გადაჭრისას განზრახვის სამ კომპონენტად წარმოდგენა შეესაბამება ნაშრომში განვითარებულ შეხედულებას, ოღონდ აქ წარმოდგენილი თვალსაზრისით, განზრახვის მესამე კომპონენტი მოიცავს როგორც მოჩვენებითი მოგერიების, ისე სამართლებრივი შეცდომის შეთხვევებს.

განზრახვა, არის ცოდნა, ნებელობა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. აკრძალვაში შეცდომისას საჭიროა უმართლობის შეგნების ვიწროდ ინტერპრეტირება, ხოლო მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის შემთხვევაში – ამ ცნების ფართოდ გაგება.

5. შეჯამება

ამრიგად, განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ადგილი დანაშაულის სამწვერიან სისტიმაში და მათი ურთიერთმიმართება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში. ზემოგანხილული მოსაზრებებიდან გამომდინარე, უდავოდ გასაზიარებელია ფინალური სკოლის წარმომადგენელთა ის შეხედულება, რომლის მიხედვით,

განზრახვის ორი კომპონენტი – ცოდნა და ნებელობა – ქმედების სუბიექტური შემაღვენლობაში მოწმდება. რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნებას, იგი შეფასებითი კატეგორიაა და ნიშნავს პირის დამოკიდებულებას სამართლებრივი ღირებებულებებისადმი, რომლებიც ასახულია როგორც პოზიტიური სამართლის, ისე კულტურის ნორმებში.

აკრძალვაში შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის განხილვისას, როგორც პრობლემის კვლევამ აჩვენა, ქართველ მეცნიერთა შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვევა. თეორეტიკოსთა ერთი ნაწილი შეცდომის ამ სახეებს ე.წ. განზრახვის ორმაგი ბუნების მიხედვით ანალიზებს, ხოლო მეორე ნაწილი, ამ უკანასკნელს მნიშვნელობას მხოლოდ მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომისას ანიჭებს.

განზრახვის ორმაგი ფუნქციის შესახებ გერმანული თეორიის ანალიზისას აღმოჩნდა, თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს მისი დამკვიდრება გერმანულ მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში. სახელდობრ, იგი შემოღებულ იქნა მხოლოდ იმ მიზნით, რათა მოჩვენებით მოგერიებაში მყოფი პირის გაუფრთხილებლობისთვის დასჯადობის დასაბუთება მომხდარიყო; თუმცა გერმანულ დოგმატიკოსებს შორის დღემდე მიმდინარეობს დისკუსია იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ასეთ შემთხვევაში გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფის (ფაქტობრივი შეცდომა) ანალოგიის გამოყენება. ეს ნორმა ფაქტობრივი შეცდომისას ქმედების განზრახვის გამორიცხვაზე მიუთითებს. მოჩვენებითი მოგერიებისას კი განზრახვა, როგორც ასეთი, უპრობლემოდ სრულდება.

ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ქართულ კანონმდებლობაში მოცემულ აკრძალვაში შეცდომის შემთხვევაშიც. მართალია, ამგვარი მიუტყვებელი შეცდომის დროს პირს სსკ-ის 36-ე მუხლის საფუძველზე პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისთვის ეკისრება, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ამ ნორმით მისი დასჯადობის დასაბუთება, თუკი განზრახვი ქმედების სუბიექტური შემაღვენლობა სრულდება, გაურკვეველია. სწორედ ამიტომ, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ორი გზა არსებობს: (ა) მოქმედი ნორმების ახლებური ინტერპრეტაცია ან (ბ) ამ მიზნით სისხლის სამართლის კოდექსში საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება.

პარი IV. სამართლებრივი ინტეგრირაცია და ზოგიერთი მოსაზრება „განზრახვისა“ და „მართლწინააღმდეგობის შებენის“ კატეგორიების სრულყოფისათვის ქართულ სისხლის სამართალში

1. განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შებენის ინტეგრირაცია

ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ, ერთი შეხედვით, ცალსახად არ ჩანს, განზრახვა ბრალის ნიშანია, თუ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტი. აღნიშნული პრობლემა ინტერპრეტაციის გზით საჭიროებს გადაჭრას, ამიტომ მნიშვნელოვანია სსკ-ის მე-9 და 36-ე მუხლების შინაარსის სწორი ინტერპრეტაცია.

1.1. საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის ინტეგრირაცია და განზრახვის ორმაგი ფუნქცია

საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლიდან გამომდინარე, განზრახვის დროს ცოდნა და ნებელობა ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას უნდა იქნეს მიკუთვნებული, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ნიშნები – უმართლობის, ხოლო განზრახვის შესამე კომპონენტი – მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის ეტაპზე უნდა შემოწმდეს. ეს თვალსაზრისი დასაბუთებულია იმით, რომ თავად „მართლწინააღმდეგობა“ დანაშაულის სისტემაში სისხლისსამართლებრივი დელიქტის მეორე ეტაპია, შესაბამისად, მისი შეგნებაც „მართლწინააღმდეგობის“, ე.ი. დანაშაულის მეორე ეტაპის არსებობის დადასტურების შემდეგ უნდა გაირკვეს.

ამასადამე, აქ წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, რომელიც გამომდინარეობს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის ინტერპრეტაციიდან, განზრახვის ორი კომპონენტი – ცოდნა და ნებელობა უნდა შემოწმდეს ქმედების შემადგენლობის ეტაპზე, ხოლო უმართლობის შეგნება, რომელიც ასევე წარმოადგენს განზრახვის ერთ-ერთ ნიშანს, უნდა განხილულ იქნეს ბრალის სფეროში. ამ შეხედულების მართებულებასთან დაკავშირებით, შეიძლება შემდეგი არგუმენტების მოყვანა:

(ა) მოქმედი კოდექსი, რომელიც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ორკვალთან სისტემას ითვალისწინებს, ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებათა შესაბამის თავში განზრახვაზე, როგორც ბრალის ფორ-

მაზე, საერთოდ არ მიუთითებს;

(ბ) საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლისგან განსხვავებით, რომელიც განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ბრალის ფორმად აღიარებდა, დღეს მოქმედი კოდექსი მსგავსი შინაარსის მქონე ნორმას აღარ ითვალისწინებს. კერძოდ, აღრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის ანალოგიურ დღეს მოქმედ მე-7 მუხლში ვკითხულობთ: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.“ მაშასადამე, აღნიშნულ ნორმაში განზრახვაზე, როგორც ბრალის ერთ-ერთ ფორმაზე, აღარ არის საუბარი.

გარდა თავად კანონმდებლის ასეთი პოზიციისა, დოგმატური თვალსაზრისითაც ბრალის როგორც ფსიქოლოგიური, ისე ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორია არ არის დასაბუთებული. ამ მოსაზრების დამადასტურებლად ჩაითვლება შემთხვევა, როცა ადამიანს ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი აქვს, თუმცა ბრალეულად არ მოქმედებს. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მცირეწლოვნის მოქმედება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეეარაცება ბრალად იმას, ვისაც ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი. ასე რომ, მცირეწლოვანი შეურაცხია, ე.ი. ჩადენილი უმართლობა ბრალად არ შეეარაცება, თუმცა, ქმედებისა და შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება მას გააჩნია.⁸⁷⁸

გარდა ამისა, კოდექსის 34-ე მუხლი საუბრობს ჩადენილი უმართლობის შეურაცხაობაზე ფსიქიკური დაავადების გამო. ფსიქიკური ავადმყოფობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ჩადენილი უმართლობისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება არა აქვს⁸⁷⁹. ამ დროს, როგორც *ო. გამყრელიძე* აღნიშნავს, „შეიმჩნევა ნორმალური ფსიქიკისაგან გადახრა, მაგრამ ფსიქიკა მაინც ფსიქიკაა, ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი მაინც გვაქვს. მიუხედავად ამისა, ბრალზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია“⁸⁸⁰.

მაშასადამე, როგორც დოგმატური თვალსაზრისით, ისე კანონმდებლობის არსიდან გამომდინარე, განზრახვის ორი კომპონენტი: ცოდნა და ნებელობა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე უნდა იქნეს შემოწმებული.

რაც შეეხება მართლსაწინააღმდეგობის შეგნებას და მის ურთიერთმიმართებას ცოდნასა და ნებელობასთან, ამ შემთხვევაში მართებული იქნება, თუკი ეს კომპონენტი, კოგნიტიურ და ვოლუნტატიურ ნიშნებთან ერთად, ერთი საერთო

⁸⁷⁸ შლრ. *გამყრელიძე*, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4 (2002), გვ. 82.

⁸⁷⁹ შლრ. *გიორგიძე* (2008), გვ. 44, 64.

⁸⁸⁰ იქვე, გვ. 83.

ცნების – განზრახვის ქვეშ გაერთიანდება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ განზრახვა გაგებულ უნდა იქნეს როგორც სამკოპონენტიანი კატეგორია: ცოდნა, ნებელობა და მართლწინააღმდეგობის შეგნება.

ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვა დგინდება მხოლოდ პოზიტიურად (ე.წ. არაბოროტი განზრახვა), ანუ ფაქტობრივი გარემოებებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება. ასეთი განზრახვა არსებობს ასევე აუცილებელი მოგერიების შემთხვევაშიც, ვინაიდან ამ დროს პირს აქვს ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა და თავდაცვის ან სხვისი გადარჩენის მიზნით სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ან განადგურების ნებელობა⁸⁸¹. ბრალის ეტაპზე კი ბოროტი განზრახვის სახით დგინდება განზრახვის მესამე კომპონენტი – მართლწინააღმდეგობის შეგნება.

ქმედების შემადგენლობის არაბოროტი განზრახვა ბრალის ეტაპზე მხოლოდ მაშინ იქცევა ე.წ. ბოროტ განზრახვად, როცა პიროვნებას სწორად აქვს შეგნებული, რომ ის არ მოქმედებს მართლწინააღმდეგობის გამოორიციხველი ერთ-ერთი გარემოების ვითარებაში ან არ უშვებს აკრძალვაში შეცდომას. მაშასადამე, ამ მოსაზრების მიხედვით, განზრახვას ორმაგი ფუნქცია ენიჭება ქმედების შემადგენლობისა და ბრალის ეტაპზე.

თუ პირი შეცდომას უშვებს მართლწინააღმდეგობის გამოორიციხველ ერთ-ერთ გარემოებასთან ან მის სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით, მაშინ ბრალის ეტაპზე განზრახვის მესამე კომპონენტის გამოორიციხვით გამოორიციხება ე.წ. ბოროტი განზრახვა. თუმცა, ქმედების ცოდნა და ნებელობა უცვლელი დარჩება. განზრახვის მესამე კომპონენტის უარყოფა არ ნიშნავს დანაჩრენი ორი კომპონენტის გამოორიციხვას, მაგრამ ნიშნავს განზრახვის, როგორც მთლიანის, საერთოდ უგულებელყოფას და პირის გაუფრთხილებლობითი ქმედების ჩადენისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, ტერმინოლოგიური მსგავსების მიუხედავად, წიგნში წარმოდგენილი „ბოროტი განზრახვის“ (dolus malus) გაგება განსხვავდება გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით „ბოროტი განზრახვის“ გაგებისაგან. სახელდობრ, გერმანულ სისხლის სამართლის თეორიაში, როგორც აღმოჩნდა, ე.წ. ბოროტი განზრახვის ცნება სხვა მნიშვნელობით გამოიყენება. დანაშაულის კლასიკური და ნეოკლასიკური სისტემების ე.წ. განზრახვის თეორიის მიხედვით, თავიდან აუცილებადი სამართლებრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში, ბრალის ეტაპზე მთლიანად გამოორიციხება განზრახვა. ნაშრომში განვითარებული თვალსაზრისის მიხედვით კი აკრძალვაში მიუტყეველი შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული თავიდან აუცილებადი ფაქტობრივი შეცდომის დროს გამოორიციხება მხოლოდ მართლწინააღმდეგობის შეგნება, თუმცა, ქმედების შემადგენლობის განზრახვა უცვლელი რჩება.

⁸⁸¹ იხ. ტურავა (2011), გვ. 536-537.

აქ განვითარებული თვალსაზრისით, განზრახვის მესამე კომპონენტი მოიცავს, როგორც აკრძალვაში შეცდომის, ისე მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის შემთხვევებს. ეს შეხედულება ნაწილობრივ განსხვავდება *მ. ტურავას* დღევანდელი პოზიციისგან. მისი მოსაზრების მიხედვით, განზრახვის მესამე კომპონენტი მოიცავს მხოლოდ მართლწინააღმდეგობის გამოძრევი ფაქტობრივი გარემოებების ცოდნას, ხოლო უმართლობის შეგნება წარმოადგენს არა განზრახვის, არამედ ბრალის დამოუკიდებელ კომპონენტს⁸⁸². ავტორი განზრახვას, როგორც ორ კომპონენტთან კატეგორიას, მხოლოდ სამართლებრივი შეცდომის შემთხვევაში აღიარებს. მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომისას კი განზრახვას ორმაგ ფუნქციას ანიჭებს და მას სამი კომპონენტისგან შემდგარ კატეგორიად განიხილავს.

მაშასადამე, აქ წარმოდგენილი განსხვავებული მოსაზრების მიხედვით, განზრახვას აქვს ორმაგი ფუნქცია როგორც აკრძალვაში შეცდომის, ისე მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის დროს. ეს კი, ნიშნავს იმას, რომ განზრახვა, საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლიდან გამომდინარე, ცალკე აღებული, დანაშაულის სისტემაში ერთდროულად წარმოადგენს როგორც ქცევის ფორმას – ქმედების შემადგენლობის ეტაპზე, ასევე ბრალის ფორმას ე.წ. „განზრახვის ბრალის“ სახით. „განზრახვა, როგორც ქცევის წარმმართველი ფაქტორი, არის ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მოქმედების უმართლობის ბირთვი, მაგრამ საბოლოო ჯამში, როგორც პირის ბრალს მიკუთვნებული ნების წარმოქმნის პროცესის წარმმართველი, ასევე ბრალის შემადგენელი ნაწილი.“⁸⁸³ გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ განზრახვა განსაზღვრავს როგორც უმართლობის, ასევე პირის ბრალის შინაარსს.

აქ წარმოდგენილი თვალსაზრისისგან განსხვავებით, გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განზრახვის ორმაგი ფუნქცია არ გამოდინარეობს განზრახვის სამკომპონენტო ცნებიდან. განზრახვა გერმანულ სისხლის სამართალში შედგება მხოლოდ ორი კომპონენტისგან: ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების განხორციელების ცოდნა და ნებელობა. მიუხედავად ამისა, განზრახვის მეორე ფუნქცია, გერმანული ე.წ. სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული ბრალის შეზღუდული თეორიით, ქმედების შემადგენლობის განზრახვის გარეთ, ბრალის ცნებაში არსებობს,⁸⁸⁴ რასაც ასევე იზიარებს ნაშრომში წარმოდგენილი პოზიცია.

⁸⁸² იქვე, გვ. 265, 449.

⁸⁸³ შდრ. *იეშკისა და ვაიგენდის* დასახ. ნაშრომს, გვ. 243. ანალოგიურ პოზიციას იზიარებს ასევე *მ. ტურავა*. ამის შესახებ იხ. *ტურავა* (2011), გვ. 434-435.

⁸⁸⁴ ანალოგიური პოზიცია იხ. ასევე *ტურავა* (2011), გვ. 435.

2.2. საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლის ინტერპრეტაცია. აკრძალვაში შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის მტკიცე დაშვებული ვატყობრივი შეცდომის პრობლემის რეპულაცია

2.2.1. აკრძალვაში შეცდომა

საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლი შეიცავს მხოლოდ აკრძალვაში შეცდომის ნორმას და წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემას⁸⁸⁵. ამ ნორმის მიხედვით, სამართლებრივი შეცდომა ნიშნავს იმას, რომ პირმა ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ მას არ ჰქონდა უმართლობის შეგნება, ანუ დაუშვა სამართლებრივი შეცდომა. მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა, გარკვეული პირობების არსებობისას, ბრალის გამომრიცხველი გარემოება შეიძლება იყოს (ე.წ. მისატყვებელი შეცდომა). მიუტყეველმა შეცდომამ კი, შეიძლება გამოიწვიოს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება.

მართლწინააღმდეგობის შეგნება ასეთ შემთხვევაში წარმოადგენს განზრახვის შემადგენელ ერთ-ერთ კომპონენტს. თუმცა, ცოდნისა და ნებელობისგან განსხვავებით, იგი ბრალის სფეროში საჭიროებს დადგენას. უმართლობის შეგნების გამორიცხვით ქმედების ცოდნა და ნებელობა უცვლელი დარჩება, ვინაიდან მართლწინააღმდეგობის შეგნების უარყოფა არ ნიშნავს ამ ორი ელემენტის ავტომატურად გამორიცხვას, მაგრამ ნიშნავს განზრახვის საერთოდ უარყოფასა და პირისათვის გაუფრთხილებლობითი ქმედების ჩადენისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

მაშასადამე, საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლი შეიცავს აკრძალვაში შეცდომის ნორმას და წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემას ვიწრო გაგებით. ეს უკანასკნელი მხოლოდ ტერმინოლოგიურად არის მე-9 მუხლში მოცემული უმართლობის შეგნების (ფართო გაგებით) იდენტური, თუმცა, შინაარსობრივად განსხვავებულია 36-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე ანალოგიური ცნებისგან.

სსკ-ის 36-ე მუხლი განსხვავდება გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის ანალოგიური ნორმისგან (სსკ-ის მე-17 პარაგრაფი) სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით. სახელდობრ, თუ სამართლებრივი შეცდომის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, მაშინ გერმანული სამართლით ბრალი გამოირიცხება, ხოლო მაშინ, როცა აკრძალვაში შეცდომის აცილება შესაძლებელი იყო, სახეზეა შემცირებული ბრალი, რომელიც იწვევს მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებას.

მაშასადამე, გერმანული სამართლის ასეთი მიდგომისგან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, უმართლობის შეგნების არარსებობა,

⁸⁸⁵ იქვე, გვ. 527.

მისი აცილების შესაძლებლობის შემთხვევაში, ბრალის ეტაპზე არა უბრალოდ ამცირებს ბრალის ხარისხს, არამედ გამოირიცხავს განზრახვას (ე.წ. ბოროტი განზრახვის არარსებობა) და შესაძლებელს ხდის გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობას.

2.2.1. მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომა

მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებულ ფაქტობრივი შეცდომის დროს გამოირიცხება ასევე მართლწინააღმდეგობის შეგნება. ეს მოსაზრება მე-9 მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარეობს. ამ ნორმაში მოცემული „მართლწინააღმდეგობის შეგნება“ არ გულისხმობს წმინდა სამართლებრივ შეცდომას, ანუ იგი არ ეხება შეცდომას აკრძალვაში, არამედ უკავშირდება მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველი გარემოების ფაქტობრივი მხარის ცოდნას⁸⁸⁶. სწორედ ამიტომ, სსკ-ის მე-9 მუხლში მოცემული „მართლწინააღმდეგობის შეგნება“ უნდა განვასხვავოთ სსკ-ის 36-ე მუხლში მოაზრებული „უმართლობის შეგნებისგან“, რომელიც მხოლოდ ტერმინოლოგიურად არის იდენტური ამ ნორმაში მოაზრებული „მართლწინააღმდეგობის შეგნებისა“.

მართლწინააღმდეგობის შეგნება ასეთ შემთხვევაშიც ისევე, როგორც სამართლებრივი შეცდომის დროს, წარმოადგენს განზრახვის შემადგენელ ერთ-ერთ კომპონენტს და ბრალის სფეროში საჭიროებს დადგენას.

ასე რომ, სსკ-ის მე-9 მუხლში არსებული განზრახვის მესამე კომპონენტი მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით და იგი, განზრახვის პირველი ორი კომპონენტისგან განსხვავებით, დგინდება არა ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში, არამედ ბრალში.

სწორედ ამიტომ, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის მიმართ მიზანშეწონილია არა სსკ-ის 36-ე, არამედ სსკ-ის მე-9 მუხლის ანალოგიის გამოყენება. მოჩვენებითი მოგერიება და სხვა მსგავსი გარემოებების დროს დაშვებული შეცდომა ფაქტობრივი ხასიათისაა, ამიტომ არ არის მართებული პრობლემის გადაწყვეტა იმ ნორმის (36-ე მუხლი) მიხედვით, რომელიც წმინდა სამართლებრივ (აკრძალვაში) შეცდომას ეძღვნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წიგნში განვითარებული თვალსაზრისის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის შეგნება არსებობს ვიწრო და ფართო გაგებით დამოუკიდებლად და ცალ-ცალკე აღებული აფუძნებს ე.წ. ბოროტ განზრახვას. უმართლობის შეგნება ფართო გაგებით, რომელიც გამოძინარეობს სსკ-ის მე-9 მუხლიდან და სსკ-ის 36-ე მუხლში მოცემული წმინდა სამართლებრივი შეცდომა (მართლწინააღმდეგობის შეგნება ვიწრო გაგებით)

⁸⁸⁶ იქვე, გვ. 265-266.

ბრალის ორი დამოუკიდებელი პრობლემაა, რომლებიც მხოლოდ სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით არიან ერთმანეთის მსგავსი. მართლწინააღმდეგობის შეგნების ამგვარი დიფერენციაციით კი შესაძლებელია აკრძალვაში შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის ერთმანეთისგან ურთიერთგამიჯვნა.

2. საკითხის საკანონმდებლო სრულყოფისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (de lege ferenda)

საკითხის სრულყოფის მიზნით, მართებულია, მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებების გზით მოხდეს როგორც განზრახვის, ისე შეცდომის პრობლემის ახლებური რეგულაცია:

მუხლი 9. განზრახი დანაშაული

განზრახ მოქმედებს ის, ვინც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობას ცოდნითა და ნებელობით განახორციელებს.

ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირი ითვალისწინებდა შედეგის დადგომის შესაძლებლობას და გამიზნულად სურდა შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირი ითვალისწინებდა შედეგის დადგომის შესაძლებლობას და გამიზნულად არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შინაგანად ეგუებოდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

კომენტარი:

ამ მუხლის პირველ ნაწილში, განზრახვის ზოგადი ცნების ამგვარი სახით განსაზღვრა მიზანშეწონილია შემდეგ გარემოებათა გამო:

(1) განზრახვა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ორი კომპონენტით — ცოდნითა და ნებელობით უნდა განისაზღვროს. მოქმედება და განზრახვა ერთმანეთისგან არ არის მოწყვეტილი, ამიტომ განზრახვა, როგორც „არაბოროტი განზრახვა“ ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას უნდა მიეკუთვნოს;

(2) ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა და ნებელობა აქვს არა მარტო მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედ პირს, არამედ იმასაც, ვინც მოქმედებს მართლზომიერად;

(3) განზრახვის საკანონმდებლო დეფინიცია არ უნდა შეიცავდეს მართლწინააღმდეგობის შეგნებაზე მითითებას. იგი ბრალის დამოუკიდებელ კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს და, შესაბამისად, ქმედების შემადგენლობის

განზრახვასთან შემხებლობა არ უნდა ჰქონდეს.

სისხლის სამართლის კოდექსში განზრახვის პირდაპირი და არაპირდაპირი⁸⁸⁷ ფორმით არსებობა ბევრი პრობლემის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა. განზრახვა, იქნება ეს პირდაპირი, თუ არაპირდაპირი ფორმით გამოხატული, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს როგორც კოგნიტიური, ისე ვოლუნტატიური ნიშნების არსებობას. სწორედ ამიტომ, განზრახვის ორივე ამ ფორმაში ცოდნისა და ნებელობის ელემენტის შემოწმება თანაბრად აუცილებელია.

მუხლი 36. შეცდომა აკრძალვაში

თუ ქმედების ჩამდენ პირს ქმედების ჩადენის დროს შეცნობილი არა აქვს ამ ქმედების უმართლობა, ასეთ შემთხვევაში იგი მოქმედებს არაბრალეულად, თუ მას არ შეეძლო ამ შეცდომის თავიდან აცილება. იმ შემთხვევაში, თუ პირს შეეძლო აკრძალვაში შეცდომის თავიდან აცილება, მაშინ მას შეიძლება მხოლოდ სასჯელი შეუმსუბუქდეს.

კომენტარი:

„სამართლებრივი შეცდომის“ ამგვარი ინტერპრეტაცია სწორია, რადგან მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ შეცდომის თავიდან აცილებადობის შემთხვევაში, პირს პასუხისმგებლობა არა გაუფრთხილებლობის, არამედ ისევე განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის უნდა დაეკისროს, თუმცა, ეს შეიძლება გახდეს ბრალისა და, შესაბამისად, სასჯელის შემცირების საფუძველი.

ამ არგუმენტის გარდა, აკრძალვაში შეცდომის ამგვარი დეფინიციით შესაძლებელია ასევე პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება ბლანკეტურ დელიქტებში დაშვებული სამართლებრივი შეცდომის შემთხვევაშიც.

უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, დღეს მოქმედი კოდექსის 36-ე მუხლის მიხედვით, თუ ამსრულებელმა ბლანკეტური დელიქტების დროს განზრახ განახორციელა მართლწინააღმდეგო ქმედება, ანუ განზრახ დაარღვია ბლანკეტური ნორმის მოთხოვნა ან აკრძალვა⁸⁸⁸, მაგრამ მას არ ჰქონდა უმართლობის შეგნება, ე.ი. დაუშვა აკრძალვაში შეცდომა და ეს შეცდომა სასამართლომ

⁸⁸⁷ კ. როქსინის თვლის, რომ სისხლის სამართლის კოდექსი უნდა შეიცავდეს მინიმუმ ევენტუალური განზრახვის განმარტებას, რომ საკანონმდებლო დონეზე შესაძლებელი იყოს შეგნებული გაუფრთხილებლობისაგან მისი გამოჯენა. ამის შესახებ იხ. Roxin, JuS (1973), გვ. 201. ამ პოზიციას იზიარებს ასევე კ. კ. იეშეკი. იხ. Jescheck, Weigend, AT (1996), გვ. 292.

⁸⁸⁸ მაგალითად, ფსიქოტროპულ ნივთიერებებთან ან საგადასახლო კოდექსის ცალკეულ ნორმებთან დაკავშირებით, რომელთა დარღვევაც, გარკვეულ შემთხვევებში, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

თავიდან აცილებადად მიიჩნია, პირი საბოლოო ჯამში პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, მიუხედავად იმისა, რომ შეცდომა მიუტყვებელია. ამის დასაბუთება კი არის ის, რომ ბლანკეტური შემადგენლობის გაუფრთხილებლობით ჩადენა კოდექსში არ არის გათვალისწინებული. იგივე შედეგი დგება მისატყვებელი შეცდომის შემთხვევაშიც.

ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითი: საქართველოს მოქალაქე, რომელიც წარსულში ნასამართლევია იყო ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გამო (სსკ-ის 273-ე მუხლი) და გარკვეული დროის პერიოდში იმყოფებოდა საზღვარგარეთ, დააკავეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. მას ჩხრეკისას აღმოაჩნდა ფსიქოტროპული ნივთიერება, რომელიც საზღვარგარეთ შეიძინა ლეგალურად. მან არ იცოდა, რომ ქართული კანონმდებლობით ამ ნივთიერების შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, შემოტანა და ა.შ. დანაშაულს წარმოადგენდა.

სასამართლომ ეს შემთხვევა აკრძალვაში მიუტყვებელ შეცდომად ჩათვალა, ე.ი. პირის მიერ მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნება საკმარისად მიიჩნია. ისმის კითხვა, როგორ უნდა გადაწყდეს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი?

საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლის მიხედვით, აკრძალვაში შეცდომა გამოირიცხავს ბრალს, როცა იგი მისატყვებელია. მისატყვებელია თავიდან აუცილებადი შეცდომა, მაგრამ შეცდომა მაშინ არ არის მისატყვებელი, თუ იგი თავიდან აცილებადია და კოდექსი ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენისთვის სასჯელს აწესებს.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, როგორც აღმოჩნდა, ადგილი ჰქონდა აკრძალვაში თავიდან აცილებად, ე.ი. მიუტყვებელ შეცდომას, რის გამოც პირი გაუფრთხილებლობისთვის უნდა დაისაჯოს; თუმცა პრობლემა სწორედ ისაა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ამგვარი ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენას საერთოდ არ ითვალისწინებს.

არც ამ შეცდომის მისატყვებლობის შემთხვევაში დაეკისრებოდა ქმედების ჩამდენს პასუხისმგებლობა, რადგან ასეთ დროს მისი ბრალეულობა მთლიანად გამოირიცხებოდა.

მამასადამე, მოქმედი კოდექსის მიხედვით, ორივე ვითარებაში, როგორც თავიდან აცილებადი, ისე თავიდან აუცილებადი შეცდომისას პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან საბოლოოდ თავისუფლდება.

აღნიშნული მსჯელობის შედეგად კი ლოგიკურად გამოდის დასკვნა, რომ საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლში მოცემული ის სამართლებრივი შედეგი (გაუფრთხილებლობისათვის პირის პასუხისმგებლობა), რომელიც დგება ბლანკეტური დელიქტებისას აკრძალვაში მიუტყვებელი შეცდომის დროს, უმეტეს შემთხვევაში არარეალიზებადია. კლასიკურ დელიქტებში კი აკრძალვაში შეცდომა, როგორც წესი, არასდროს იწვევს განზრახვისა და ბრალის გამოირიცხ-

ვას, რადგან იგი ირელევანტურად მიიჩნევა.

ამ პრობლემის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ პირს პასუხისმგებლობა, შეცდომის მიუტევებლობის შემთხვევაში, ისევე განზრახვი დანაშაულის ჩადენისათვის დაეკისრება. თუმცა, ეს შეიძლება გახდეს ბრალისა და, შესაბამისად, სასჯელის შემცირების საფუძველი.

მუხლი 36. მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა

ის, ვინც განზრახვი დანაშაულის ჩადენის დროს გარემოებებს, რომლებიც ამ ქმედებას გაამართლებდა, შეცდომით აღიქვამს, განზრახვისთვის არ დაისჯება. პირი გაუფრთხილებლობითი დელიქტის ჩადენისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებს პასუხს, თუ შეცდომა მიუტევებელია და კოდექსი ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენისთვის სასჯელს აწესებს.

კომენტარი:

მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის ამგვარად ფორმულირება მიზანშეწონილია, რადგან მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი პირი „სამართლისადმი ყოველთვის ერთგულია“. აკრძალვაში შეცდომის ვითარებაში მოქმედი კი, როგორც წესი, პოზიტიური სამართლის ნორმების დამრღვევად გვევლინება. გამომდინარე აქედან, სისხლის სამართლის კოდექსში შეცდომის ამ ორი განსხვავებული ფორმით არსებობის შემთხვევაში პირის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც სხვადასხვაგვარად უნდა გადაწყდეს.

აღნიშნულ მუხლში მოცემული სამართლებრივი შედეგით, შეცდომის ეს სახე ფაქტობრივი შეცდომის ანალოგიურია, რა დროსაც პირის პასუხისმგებლობა შესაძლებელია ასევე გაუფრთხილებლობისთვის დადგეს; თუმცა ფაქტობრივი შეცდომისგან მოჩვენებითი მოგერიება განსხვავდება შინაარსობრივი და დოგმატური თვალსაზრისით.

მაშასადამე, ასეთ ვითარებაში, ამსრულებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუკი შეცდომა თავიდან აცილებადია, საჭიროა, სწორედ რომ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისათვის განისაზღვროს.

დასკვნა

განზრახვისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთმიმართების პრობლემას, როგორც აღმოჩნდა, თეორიულთან ერთად, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. თუ გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში მართლწინააღმდეგობის შეგნება განზრახვისგან დამოუკიდებლად არსებული ბრალის ნიშანია, საქართველოში, მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, იგი განზრახვის ბრალის ელემენტია, ხოლო ავტორთა მეორე ნაწილის შეხედულების თანახმად, უმართლობის შეგნება განზრახვისგან დამოუკიდებლად არსებული ბრალის ნიშანია.

აქ ჩამოყალიბებული თვალსაზრისით მართლწინააღმდეგობის შეგნება სისხლისსამართლებრივი განზრახვის შემადგენელი კომპონენტია, რომელიც ბრალის სფეროში საჭიროებს დადგენას. მაშასადამე, განზრახვა, როგორც სამკომპონენტიანი კატეგორია, ისე არის გაგებული.

განზრახვის ამ სამი კომპონენტიდან პირველი ორი საჭიროა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე დადგინდეს, რადგან ცოდნა და ნებელობა ფაქტობრივი გარემოებებისადმი აქვს არა მარტო დამნაშავეს, არამედ მასაც, ვინც მოქმედებს მართლზომიერად, ხოლო მესამე კომპონენტი ბრალის ეტაპზე უნდა შემოწმდეს. ე.წ. „ბუნებრივი განზრახვა“ მართლწინააღმდეგობის შეგნების დადასტურების შემთხვევაში, იქცევა „ბოროტ განზრახვად“ და პირი დამთავრებული განზრახვი დანაშაულის ჩადენის გამო დაისჯება.

ბრალის ეტაპზე ბოროტი განზრახვის დადგენა, ძირითადად, არ მოითხოვს განსაკუთრებულ შემოწმებას. ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვის არსებობა, როგორც წესი, გულისხმობს ბოროტი განზრახვის არსებობის ვარაუდს. ბრალის ეტაპზე განზრახვის სპეციალურად დადგენის შემთხვევაა მოჩვენებითი მოგერიება და აკრძალვაში შეცდომა.

ასე რომ, ამ მსჯელობის მიხედვით, განზრახვას ორმაგი ფუნქცია ენიჭება ქმედების შემადგენლობისა და ბრალის ეტაპზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ განზრახვა, ცალკე აღებული, დანაშაულის სისტემაში ერთდროულად წარმოადგენს როგორც ქცევის ფორმას, ასევე ბრალის ფორმას ე.წ. „განზრახვის ბრალის“ სახით; ე.ი. განზრახვა განსაზღვრავს როგორც უმართლობის, ასევე ინდივიდის ბრალის შინაარსს.

ქმედების შემადგენლობის განზრახვა ასეთ შემთხვევაში არის სუბიექტის ფაქტობრივ გარემოებებთან ფსიქიკური ურთიერთობა, რაც ქმედების სუბიექტურ ნიშანს წარმოადგენს; ეს არ ნიშნავს იმას, რომ განზრახვა ბრალის ეტაპზე ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს. ბრალის სფეროში განზრახვა არის ბრალის ფორმა, როგორც განწყობის უღირსობის მატარებელი, რომელიც გააიცივების საგანს წარმოადგენს და პირის ბრალის შინაარსს განსაზღვრავს.

გამომდინარე აქედან, განზრახვის ერთიანი, სამკომპონენტიანი ცნება,

რომელიც მოცემულია სსკ-ის მე-9 მუხლში და თითქოს, ერთი შეხედვით, გარეგნულად მოითხოვს გერმანული ე.წ. განზრახვის თეორიით ინტერპრეტაციას, საჭიროა დოგმატურად ორ ნაწილად დაიყოს და განიმარტოს ე.წ. ბრალის მოდიფიცირებული თეორიის მიხედვით. ეს უკანასკნელი მოძღვრება კი არ არის გერმანული ბრალის თეორიის იდენტური. სახელდობრ, ნაშრომში განვითარებული მოსაზრება:

(1) განზრახვის ორ კომპონენტს (ცოდნა და ნებულობა) ადგენს ქმედების შემადგენლობის, ხოლო უმართლობის შეგნებას – ბრალის ეტაპზე;

(2) განზრახვის ამ მესამე კომპონენტს წარმოადგენს გერმანული სისხლის სამართლისაგან განსხვავებულად. კერძოდ, მასში გულისხმობს მართლწინააღმდეგობის შეგნებას, რომელშიც, თავის მხრივ, მოიაზრებს მართლწინააღმდეგობის გამოპრიცხველი ფაქტობრივი გარემოებების ცოდნასა და მართლწინააღმდეგო ქმედების სამართლებრივი მხარის შეცნობას, ხოლო მისი არსებობის შეგნებას უწოდებს „ბოროტ განზრახვას“. „ბოროტი განზრახვის“ (dolus malus) ამგვარი გაგება კი, ტერმინოლოგიური ზეგავლენისა და მსგავსებების მიუხედავად, განსხვავდება გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით „ბოროტი განზრახვის“ კლასიკური გაგებისაგან.

მაშასადამე, წიგნში განვითარებული თვალსაზრისი უარყოფს „განზრახვის თეორიის“ პირდაპირ გამოყენებას და სსკ-ის ნორმების ინტერპრეტაციას ახდენს გერმანული სისხლის სამართლისაგან განსხვავებული, ბრალის, კონკრეტულად კი, ე.წ. განზრახვის ბრალის გამოპრიცხველი მოდიფიცირებული შეზღუდული თეორიის მიხედვით. ეს უკანასკნელი მოძღვრება მხოლოდ სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით არის ე.წ. „განზრახვის თეორიის“ მსგავსი.

„განზრახვი თეორიის“ უარყოფა და ე.წ. „ბრალის თეორიის“ აღიარება გამოძინარეობს ასევე სხვა იმ ქართული ავტორების (მ. ტურავა, ო. გამყრელიძე) ნაშრომებიდანაც, რომლებმაც განზრახვა ბრალის ცნებიდან ქმედების შემადგენლობის ეტაპზე გადაიტანეს, ხოლო „მართლწინააღმდეგობის შეგნება“ ბრალის ელემენტად აღიარეს.

აკრძალვაში მისატყვებელი შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული თავიდან აუცილებელი ფაქტობრივი შეცდომის დროს გამოირიცხება მართლწინააღმდეგობის შეგნება. ეს უკანასკნელი თავის თავში აერთიანებს მართლწინააღმდეგობის შეგნებას როგორც ვიწრო, ასევე ფართო გაგებით. პირველ შემთხვევაში, ანუ სამართლებრივი შეცდომისას მოხდება მართლწინააღმდეგობის შეგნების ვიწრო გაგებით, ხოლო მეორე შემთხვევაში, ე.ი. მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომისას ამ ცნების ფართო გაგებით (ბრალის განზრახვა) უარყოფა. აღნიშნული მოსაზრება კი სსკ-ის მე-9 მუხლის დისპოზიციიდან გამოძინარეობს. ამ ნორმაში მოცემული „მართლწინააღმდეგობის შეგნება“ არ გულისხმობს წმინდა სამართლებრივ შეცდომას, ანუ იგი არ ეხება შეცდომას აკრძალვაში, არამედ უკავშირდ-

ება მართლწინააღმდეგობის გამოძრვიცხველი გარემოების ფაქტობრივი მხარის ცოდნას.

მაშასადამე, სსკ-ის მე-9 მუხლში მოცემული „მართლწინააღმდეგობის შეგნება“ უნდა განვასხვავოთ სსკ-ის 36-ე მუხლში მოაზრებული „უმართლობის შეგნებისგან“, რომელიც მხოლოდ ტერმინოლოგიურად ჰგავს აკრძალვაში შეცდომისას შესამოწმებელ „მართლწინააღმდეგობის შეგნებას“.

სწორედ ამ შეხედულებიდან გამომდინარე, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის მიმართ მიზანშეწონილია, გამოყენებულ იქნეს არა სსკ-ის 36-ე, არამედ სსკ-ის მე-9 მუხლის ანალოგია. აღნიშნული პოზიციის დასაბუთება კი არის ის, რომ სსკ-ის მე-9 მუხლში მითითებული „მართლწინააღმდეგობის შეგნება“, როგორც ზემოთ ითქვა, არ უკავშირდება წმინდა სამართლებრივ შეცდომას. გარდა ამისა, მოჩვენებითი მოგერიება და სხვა მსგავსი გარემოებების დროს დაშვებული შეცდომა ფაქტობრივი ხასიათისაა, შესაბამისად, არ არის მართებული პრობლემის გადაწყვეტა იმ ნორმის (36-ე მუხლი) მიხედვით, რომელიც წმინდა სამართლებრივ შეცდომას ეძღვნება.

უმართლობის შეგნების ამგვარი დიფერენციაციით შესაძლებელია აკრძალვაში შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის ურთიერთგამიჯვნის პრობლემის გადაწყვეტა. ორივე შეცდომისას მართლწინააღმდეგობის შეგნების გამოძრვიცხვით ქმედების ცოდნა და ნებელობა, ე.ი. ბუნებრივი განზრახვა უცვლელი რჩება. განზრახვის მესამე კომპონენტის უარყოფა არ ნიშნავს დანაჩრენი ორი კომპონენტის – ცოდნისა და ნებელობის გამოძრვიცხვას, მაგრამ ნიშნავს განზრახვის, როგორც მთლიანის, საერთოდ უარყოფასა და პირისათვის გაუფრთხილებლობითი ქმედების ჩადენისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას.

განზრახვის სამკომპონენტიანი გაგება შესაძლებელია, ასევე ანალოგიურად გამოყენებულ იქნეს გერმანულ სისხლის სამართალშიც. კონკრეტულად კი, – მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის დროს.

შეცდომის ამ სახის არსებობის შემთხვევაში, ე.წ. „განზრახვის ბრალის“ გამოძრვიცხვით, მართალია, პირს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისთვის დაეკისრება, თუმცა, ქმედების ცოდნა და ნებელობა უცვლელი დარჩება. მაშასადამე, ამ ვითარებაშიც, ისევე, როგორც ქართული სამართლებრივი შეცდომისა და მოჩვენებითი მოგერიების დროს, განზრახვა გაგებულ უნდა იქნეს როგორც სამკომპონენტიანი კატეგორია (ე.წ. განზრახვის ბრალის გამოძრვიცხვა ი მოდიფიცირებული შეზღუდული თეორია).

რაც შეეხება თავად ქმედების განზრახვის ნიშნების შინაარსობრივ მხარეს, განზრახვაში:

(1) ინტელექტუალური კომპონენტის არსებობა გულისხმობს იმას, რომ იგი დანაშაულის მიმდინარეობისას აქტუალური და უწყვეტი ფორმით უნდა იქნეს წარმოდგენილი, რის გამოც მისი პოტენციურად არსებობა საკმარისი არ

არის; ამასთან კოგნიტიური ელემენტი საჭიროა მოიცავდეს:

(ა) კონკრეტული ქცევის ყველა ძირითად ნიუანსს;

(ბ) განსახორციელებელი ქმედების შემადგენლობისთვის მნიშვნელოვან გარემოებებს;

(გ) ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგის დადგომის წინასწარ განჭვრეტას;

(დ) მოვლენის კაუზალური განვითარების არსობრივ მონახაზს;

(ე) უმართლობის ობიექტური შემადგენლობის ყველა სხვა ნიშანს;

(ვ) ქმედების გარემოებების სოციალური ბუნების მნიშვნელობას;

(2) ცოდნის ელემენტი დანაშაულის ჩადენის ყველა ეტაპზე უწყვეტად და კონკრეტულად უნდა არსებობდეს;

(3) ინტელექტუალური ელემენტის არსებობის დადგენის მასშტაბი დანაშაულის შემადგენლობის ნორმატიული ნიშნების მიმართ უნდა იყოს არა კონკრეტული ქმედების ჩამდენი პირის შეფასების უნარი, არამედ „პარალელური შეფასება“, საშუალო ადამიანის შესაძლებლობიდან გამომდინარე;

(4) ფსიქოლოგიური კომპონენტის დასაბუთება აფექტური დანაშაულების ჩადენის დროს, განსხვავებით აფექტის გარეშე ჩადენილი დელიქტისგან, შემდეგი ფორმით უნდა ხდებოდეს: აფექტურ დანაშაულებში ფაქტობრივი გარემოებების შესაცნობად საკმარისი უნდა იყოს ამ გარემოებათა უბრალო აღქმა და არა მათი სიღრმისეული გაცნობიერება;

(5) ნებელობითი კომპონენტის არსებობა ნიშნავს იმას, რომ განზრახვა გაგებული უნდა იქნეს როგორც ფსიქოლოგიურად (პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა), ისე ნორმატიულად (მეორე ხარისხის პირდაპირი და ევენტუალური განზრახვა). კერძოდ, როგორც მეორე ხარისხის პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვაში საჭიროა, ნებელობა დასაბუთდეს არა დესკრიფციულ-ფსიქოლოგიურად, არამედ ნორმატიულ-შერაცხვითი გაგებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში მართებულია, განზრახვის ნებელობის დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური კატეგორია მივიჩნიოთ როგორც ამ ცნების დამოუკიდებელი „დაწერილი“ ნიშანი, ხოლო ნებელობის ნორმატიულ-შერაცხვითი გაგება — არა როგორც განზრახვის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, არამედ როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასებითი დაუწერელი კატეგორია.

მაშასადამე, ნაშრომში წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, განზრახვა გერმანულ და ქართულ იურიდიულ დოგმატიკაში, ბრალისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ შეფასებითია, არის როგორც წმინდა ფსიქოლოგიური, ისე ნორმატიული-შეფასებითი კატეგორია.

რაც შეეხება თავად მართლწინააღმდეგობის შეგნებას, იგი კლასიკური და ბლანკეტური დელიქტების დროს ნიშნავს ქმედების აკრძალულობის შეცნობას, ე.ი. იმის შეგნებას, რომ პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო მოქ-

მედება ან უმოქმედობა პოზიტიური ან დაუწერელი სამართლით აკრძალულია. მისი დადგენა განზრახი დანაშაულის განხორციელებისას აქტუალური ან პოტენციური ფორმით საჭიროა ნებისმიერ შემთხვევაში.

გაუფრთხილებლობით დელიქტებში გერმანული სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობის შეგნებას მნიშვნელობა მხოლოდ თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულების დროს ენიჭება. სახელდობრ, შეგნებული გაუფრთხილებლობის დასასაბუთებლად სრულიად საკმარისია, ქმედების განმახორციელებელ პირს გააჩნდეს ე.წ. უმართლობის პოტენციური შეგნება. მისი შემოწმება კი თვითიმედოვნებისას იმავე წესით ხდება, როგორც ეს მოცემულია განზრახი დანაშაულის ჩადენის დროს არსებული აკრძალვაში შეცდომის შემთხვევაში.

დაუდევრობისას უმართლობის შეგნება, გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის თანახმად, საერთოდ არ არის მოცემული. ასეთ ვითარებაში პირი არ ითვალისწინებს თავისი ქმედებით წინდახედულობის ნორმის დარღვევის განხორციელების შესაძლებლობას და, შესაბამისად, მას არც უმართლობის შეგნება აქვს.

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით კი უმართლობის შეგნების დადგენა შესაძლებელია როგორც შეგნებული, ისე შეუგნებელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის განხორციელების დროს.

თვითიმედოვნების შემთხვევაში პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ნებადართული რისკის ფარგლებს გარეთ მოქმედებს, რითაც შესაძლებელია, განხორციელდეს ქმედების შემადგენლობა, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ შედეგი არ დადგება ან მისი მოქმედება სამართლებრივად გამართლებული იქნება.

რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობის საკითხს დაუდევრობისას, ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, მას, დოგმატურთან ერთად, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. სახელდობრ, მას შემდეგ, რაც აკრძალვაში შეცდომისას მოხდება განზრახი დანაშაულიდან გაუფრთხილებლობაზე გადასვლა, ამგვარი შეცდომის მისატყვევლობის საკითხი დაუდევრობით ჩადენილ დელიქტში მოცემული უმართლობის შეგნების ფარგლებში უნდა გადაწყდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლწინააღმდეგობის პოტენციური შეგნების სფეროში საჭიროა იმის გარკვევა, ეპატიოს თუ არა პირს მის მიერ დაშვებული შეცდომა. თუკი დადასტურდა, მოქმედმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სწადიოდა მართლწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ მას ასეთი სახის შეცდომა მიეტიყება და იგი გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. შეცდომის მიუტყვევლობის შემთხვევაში, ქმედების ჩამდენს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისთვის და, კერძოდ, დაუდევრობისთვის დაეკისრება, თუ მის მიერ განხორციელებული ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება სისხლის სამართლის კანონით.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი ლიტერატურა:

- გამყრელიძე* (1998). – *გამყრელიძე ო.*, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბილისი, 1998.
- გამყრელიძე* (2008). – *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008.
- გიორგიძე* (2008). – *გიორგიძე ა.*, შეზღუდული შერაცხადობა, სისხლის-სამართლებრივ – კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ასპექტები, თბილისი, 2008.
- დვალაძე, ზოგადი ნაწილი* (2007). – *დვალაძე ი.*, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ.: ნაჭყებია გ., დვალაძე ი., თბილისი, 2007.
- დვალაძე* (2008). – *დვალაძე ი.*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა დანაშაულის კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბილისი, 2008.
- ვარციშვილი* (1957). – *ვარციშვილი ალ.*, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბილისი, 1957.
- ვესელისი, ბოილკე* (2010). – *ვესელისი ი.*, *ბოილკე ვ.*, (ქართული თარგმანი), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ქართული გამოცემის რედ. დვალაძე ი., 38-ე გამოცემა, თბილისი, 2010.
- თოდუა, ზოგადი ნაწილი* (2007). – *თოდუა ნ.*, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ.: ნაჭყებია გ., დვალაძე ი., თბილისი, 2007.
- კუტალია* (2000). – *კუტალია ლ. გ.*, ბრალი სისხლის სამართალში, თბილისი, 2000.

- მჭედლიშვილი-ჰედრიზი* (2010). – *მჭედლიშვილი-ჰედრიზი ქ.*, კაზუსების ამოხსნის მეთოდოლოგია სისხლის სამართალში, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2010.
- მჭედლიშვილი-ჰედრიზი* (2011). – *მჭედლიშვილი-ჰედრიზი ქ.*, სისხლის სამართალი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი, 2011.
- ნაჭყებია* (2001). – *ნაჭყებია გ.*, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბილისი, 2001.
- ნაჭყებია* (2002). – *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბილისი, 2002.
- ნაჭყებია, ზოგადი ნაწილი* (2007). – *ნაჭყებია გ.*, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ.: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., თბილისი, 2007.
- ნაჭყებია* (2011). – *ნაჭყებია გ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011.
- სარია* (2001). – *სარია ნ.*, შეცდომის ცნება და მნიშვნელობა სისხლის სამართალში, თბილისი, 2001.
- სურგულაძე* (1997). – *სურგულაძე ლ.*, სისხლის სამართალი, დანაშაული, თბილისი, 1997.
- ტურავა* (2010). – *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, თბილისი, 2010.
- ტურავა* (2011). – *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011.
- ტყეშელაძე, ზოგადი ნაწილი* (2007). – *ტყეშელაძე გ.*, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ.: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., თბილისი, 2007.

- უგრეხელიძე** (1982). – **უგრეხელიძე მ.**, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბილისი, 1982.
- შავგულიძე, სურგულაძე** (1988). – **შავგულიძე თ., სურგულაძე ლ.**, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი, 1988.
- ციბელიუსი** (2009). – **ციბელიუსი რ.**, (ქართული თარგმანი), იურიდიული მეთოდების მოძღვრება, სამეცნიერო რედ. ტურავა მ., მე-10 გამოცემა, მიუნხენი, 2009.
- წერეთელი** (1953). – **წერეთელი თ.**, პასუხისმგებლობის საფუძვლები საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი 51, თბილისი, 1953.
- წერეთელი** (1966). – **წერეთელი თ.**, დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი, თბილისი, 1966.
- წერეთელი, ტყეშელაძე** (1969). – **წერეთელი თ., ტყეშელაძე გ.**, მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1969.
- წერეთელი** (2006). – **წერეთელი თ.**, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბილისი, 2006.
- წერეთელი** (2010). – **წერეთელი თ.**, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი IV, თბილისი, 2010.
- ზუბუა** (2004). – **ზუბუა გ.**, სამართლის თეორია, თბილისი, 2004.

ქართულენოვანი ჟურნალ-პრეზუმიები:

- გამყრელიძე* „ალ-მანახი“, №13 (2000). — *გამყრელიძე* *ო.*, დასკვნა დოცენტ გ. ნაჭყებიას სადოქტორო დისერტაციაზე „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი“, ჟურნალში: „ალმანახი“, №13, 2000.
- გამყრელიძე* „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4 (2002). — *გამყრელიძე* *ო.*, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა (გაგრძელება), ჟურნალში: „ადამიანი და კონსტიტუცია“ №4, 2002.
- გამყრელიძე* (2006). — *გამყრელიძე* *ო.*, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, კრებულში: თამაზ შავგულიძის დაბადების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, 2006.
- მაყაშვილი* „საბჭოთა სამართალი“ (1965). — *მაყაშვილი* *გ.*, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, ჟურნალში: „საბჭოთა სამართალი“, 1965.
- მალაქელიძე*, „სამართლის ჟურნალი“, №2 (2009). — *მალაქელიძე* *ლ.*, სამართლებრივი შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის ურთიერთგამიჯვნის საკითხისათვის, ჟურნალში: „სამართლის ჟურნალი“, №2, 2009.
- მალაქელიძე*, „სამართლის ჟურნალი“, №1/2 (2010). — *მალაქელიძე* *ლ.*, მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობა განზრახვი და გაუფრთხილებლობითი დელიქტების დროს, ჟურნალში: „სამართლის ჟურნალი“, №1/2, 2010.
- მალაქელიძე* (2013). — *მალაქელიძე* *ლ.*, განზრახვის ცნების ზოგიერთი პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, სისხლის სამართლის სამეცნიერო კრებულში: „სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში“, 2013.

- ნაჭყებია**, „სახელმწიფო და სამართალი“ (1990). – **ნაჭყებია გ.**, პირდაპირი განზრახვისა და სასჯელის ლოგიკური კავშირის ფსიქოლოგიური დასაბუთების პრობლემა, ჟურნალში: „სახელმწიფო და სამართალი“, 1990.
- ნაჭყებია**, „სამართლის ჟურნალი“, №1 (2009). – **ნაჭყებია გ.**, დანაშაული ბრალის ორი ფორმით, ჟურნალში: „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009.
- ნაჭყებია**, „სამართლის ჟურნალი“, №2 (2009). – **ნაჭყებია გ.**, ბრალის ხარისხის ზოგიერთი საკითხი სისხლის სამართალში, ჟურნალში: „სამართლის ჟურნალი“, №2, 2009.
- ტყეშელაძე** (2003). – **ტყეშელაძე გ.**, ბრალი შეფასებითი ცნებაა, სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, საიუბილეო კრებულში: მიძღვნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისიურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, თბილისი, 2003.
- ფუტყარაძე** (2006). – **ფუტყარაძე ე.**, მართლწინააღმდეგობის საკითხისათვის, კრებულში: სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები, 2006.
- ყვავილაშვილი**, „მაცნე“, (1992). – **ყვავილაშვილი ლ.**, განწყობა და ნებისმიერი ქცევა, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, ჟურნალში: „მაცნე“, 1992.
- წერეთელი**, „მაცნე“, №1 (1960). – **წერეთელი თ.**, ბრალის ცნების საკითხი, ჟურნალში: „მაცნე“, №1, 1960.
- წერეთელი**, „საბჭოთა სამართალი“, №2 (1966). – **წერეთელი თ.**, ფინალური თეორია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში და მისი კრიტიკა, ჟურნალში: „საბჭოთა სამართალი“, №2, 1966.
- წერეთელი**, „საბჭოთა სამართალი“, №6 (1974). – **წერეთელი თ.**, თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინალისათვის მოძღვრება ბრალზე და მისი კრიტიკა, ცნების საკითხი, ჟურნალში: „საბჭოთა სამართალი“, №6, 1974.

გერმანულენოვანი ლიტერატურა:

- Allfeld* (1922). – *Allfeld P.*, Lehrbuch des deutschen Strafrechts, მე-8 გამოცემა, Leipzig, 1922.
- Achenbach* (1974). – *Achenbach H.*, Historische und dogmatische Grundlagen der strafrechtssystematischen Schul-
lehre, მე-12 ტომი, Berlin, 1974.
- Baumann, AT* (1968). – *Baumann J.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, მე-5 გამოცემა, Bielefeld, 1968.
- Baumann, Weber, AT* (1985). – *Baumann J., Weber U.*, Strafrecht, Allge-
meiner Teil, მე-9 გამოცემა, Bielefeld, 1985.
- Baumann, Weber, Mitsch, AT* (2003). – *Baumann J., Weber U., Mitsch W.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, მე-11 გამოცემა, Bielefeld, 2003.
- Beling* (1906). – *Beling E.*, Die Lehre vom Verbrechen, Tübingen, 1906.
- Buri* (1873). – *Buri M. v.*, Ueber Causalität und deren Verant-
wortung, Leipzig, 1873.
- Buri* (1995). – *Buri M. v.*, Theorie des Strafrechts, Leipzig, 1995.
- Busch* (1949). – *Busch H. R.*, Moderne Wandlungen der Ver-
brechenslehre, Tübingen, 1949.
- Binding* (1919). – *Binding K.*, Die Schuld im deutschen Strafrecht, Leipzig, 1919.

- Binding I** (1991). – **Binding K.**, Die Normen und ihre Übertretung, ტომი I, მე-4 გამოცემა, Leipzig, 1991.
- Binding II** (1991). – **Binding K.**, Die Normen und ihre Übertretung, ტომი II, მე-2 გამოცემა, Leipzig, 1991.
- Bieri** (2005). – **Bieri P.**, Das Handwerk der Freiheit, Über die Entdeckung des eigenen Willens, მე-3 გამოცემა, Frankfurt, 2005.
- Blei** (1983). – **Blei H.**, Strafrecht, მე-18 გამოცემა, München, 1983.
- Bockelmann, AT** (1978). – **Bockelmann P.**, Strafrecht, Allgemeiner Teil, მე-3 გამოცემა, München, 1978.
- Bockelmann, Volk, AT** (1987). – **Bockelmann P., Volk K.**, Strafrecht, Allgemeiner Teil, მე-4 გამოცემა, München, 1987.
- Dohna** (1905). – **Dohna A. Graf zu**, Die Rechtswidrigkeit als allgemeingültiges Merkmal im Tatbestande strafbarer Handlungen, Halle, 1905.
- Dohna** (1950). – **Dohna A. Graf zu**, Aufbau der Verbrechenlehre, მე-4 გამოცემა, Bonn, 1950.
- Freudenthal** (1922). – **Freudenthal B.**, Schuld und Vorwurf im geltenden Strafrecht, Tübingen, 1922.
- Frisch** (1983). – **Frisch W.**, Vorsatz und Risiko, Köln, 1983.
- Freund, AT** (2009). – **Freund G.**, Strafrecht, Allgemeiner Teil, მე-2 გამოცემა, Berlin-Heidelberg, 2009.
- Frister, AT** (2009). – **Frister H.**, Strafrecht, Allgemeiner Teil, მე-4 გამოცემა, München, 2009.

- Forschner** (2003). – **Forschner S.**, Die Radbruchsche Formel in den Höchststrichterlichen „Mauerschützenurteilen“, Tübingen, 2003.
- Feuerbach** (1986). – **Feuerbach P. J.A. v.**, Lehrbuch des gemeinen in Deutschland gültigen peinlichen Rechts, მე-14 გამოცემა, Aalen, 1986.
- Gallas** (1969). – **Gallas W.**, Beiträge zur Verbrechenslehre, Berlin, 1969.
- Günther** (1983). – **Günther H. L.**, Strafrechtswidrigkeit und Strafunrechtsausschluß, Köln, 1983.
- Gropp**, AT (2005). – **Gropp W.**, Strafrecht, Allgemeiner Teil, მე-3 გამოცემა, Berlin-Heidelberg, 2005.
- Grundmann** (2004). – **Grundmann A.**, Das niederländische Gesetz über die Prüfung von Lebensbeendigung auf Verlangen und Beihilfe zur Selbsttötung, Aachen, 2004.
- Haft**, AT (2004). – **Haft F.**, Strafrecht, Allgemeiner Teil, მე-9 გამოცემა, München, 2004.
- Hartmann** (1951). – **Hartmann N.**, Teleologisches Denken, Berlin, 1951.
- Hartmann** (1962). – **Hartmann N.**, Ethik, მე-4 გამოცემა, Berlin, 1962.
- Honsel** (2010). – **Honsel H.**, Römisches Recht, მე-7 გამოცემა, Berlin-Heidelberg, 2010.
- Heinrich**, AT I (2010). – **Heinrich B.**, Strafrecht, Allgemeiner Teil I, მე-2 გამოცემა, Stuttgart, 2010.

- Heinrich*, AT II (2010). – *Heinrich B.*, Strafrecht, Allgemeiner Teil II, 89-2 გამოცემა, Stuttgart, 2010.
- Heuchemer* (2005). – *Heuchemer M.*, Erlaubnistatbestandsirrtum, Berlin, 2005.
- Hippel* (1903). – *Hippel R.*, Die Grenze von Vorsatz und Fahrlässigkeit, Leipzig, 1903.
- Hippel* (1932). – *Hippel R. v.*, Lehrbuch des Strafrechts, Berlin, 1932.
- Hruschka* (1988). – *Hruschka J.*, Strafrecht nach logisch-analytischer Methode, 89-2 გამოცემა, Berlin - New York, 1988.
- Hirsch* (1960). – *Hirsch H. J.*, Die Lehre von den negativen Tatbestandsmerkmalen, Bonn, 1960.
- Jakobs*, AT (1991). – *Jakobs G.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 89-2 გამოცემა, Berlin - New York, 1991.
- Jescheck, Weigend*, AT (1996). – *Jescheck H. H., Weigend T.*, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 89-5 გამოცემა, Berlin, 1996.
- Mayer*, AT (1915). – *Mayer M. E.*, Der Allgemeine Teil des deutschen Strafrechts, Heidelberg, 1915.
- Mayr* (1992). – *Mayr J.*, Error in persona vel objecto und aberratio ictus der Notwehr, Frankfurt am Main, 1992.
- Mezger*, AT (1948). – *Mezger E.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 89-2 გამოცემა, München, 1948.

- Mezger* (1949). – *Mezger E.*, Strafrecht, Ein Lehrbuch, მე-3 გამოცემა, Berlin, 1949.
- Mezger* (1950). – *Mezger E.*, Moderne Wege der Strafrechtsdogmatik, Berlin-München, 1950.
- Naucke* (2002). – *Naucke W.*, Strafrecht, Eine Einführung, მე-7 გამოცემა, Frankfurt am Main, 2002.
- Otto* (2000). – *Otto H.*, Grundkurs, Strafrecht, მე-6 გამოცემა, Berlin, 2000.
- Platzgummer* (1964). – *Platzgummer W.*, Die Bewußtseinsform des Vorsatzes, Eine strafrechtsdogmatische Untersuchung auf psychologischer Grundlage, Wien, 1964.
- Puppe*, AT I (2002). – *Puppe I.*, Strafrecht Allgemeiner Teil I, Baden-Baden, 2002.
- Radbruch* (1947). – *Radbruch G.*, Vorschule der Rechtsphilosophie, 1-ლი გამოცემა, Göttingen, 1947.
- Radbruch* (1958). – *Radbruch G.*, Der Geist des englischen Rechts, მე-4 გამოცემა, Göttingen, 1958.
- Rohracher* (1965). – *Rohracher H.*, Einführung in die Psychologie, მე-9 გამოცემა, Wien, 1965.
- Radbruch* (1973). – *Radbruch G.*, Rechtsphilosophie, მე-8 გამოცემა, Stuttgart, 1973.
- Roxin* (1973). – *Roxin C.*, Strafrechtliche Grundlagenprobleme, Berlin, 1973.
- Roxin*, AT II (2003). – *Roxin C.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, ტომი II, მე-4 გამოცემა, München, 2003.

- Roxin**, AT I (2006). – **Roxin C.**, Strafrecht, Allgemeiner Teil, ტომი I, მუ-4 გამოცემა, München, 2006.
- Udo**, AT (2001). – **Udo E.**, Strafrecht, Allgemeiner Teil, მუ-3 გამოცემა, Heidelberg, 2001.
- Walter** (2006). – **Walter T.**, Der Kern des Strafrechts, Tübingen, 2006.
- Weber** (1948). – **Weber H.**, Grundriß des deutschen Strafrechts, მუ-2 გამოცემა, Bonn, 1948.
- Welzel** (1949). – **Welzel H.**, Um die Finale Handlungslehre, Tübingen, 1949.
- Welzel** (1961). – **Welzel H.**, Das neu Bild des Strafrechtssystems, Eine Einführung in die finale Handlungslehre, მუ-4 გამოცემა, Göttingen, 1961.
- Welzel** (1969). – **Welzel H.**, Das deutsche Strafrecht, მუ-11 გამოცემა, Berlin, 1969.
- Wessels, Beulke**, AT (2011). – **Wessels J., Beulke W.**, Strafrecht, Allgemeiner Teil, 41-ე გამოცემა, Heidelberg, 2011.
- Weinberg** (1928). – **Weinberg H.**, Der Verbotsirrtum, Bonn, 1928.
- Ziegert** (1987). – **Ziegert U.**, Vorsatz, Schuld und Vorverschulden, Berlin, 1987.
- Zippelius** (2006). – **Zippelius R.**, Juristische Methodenlehre, მუ-10 გამოცემა, München, 2006.

გერმანულენოვანი ჟურნალ-პრეპულაბი:

- Alwart*, FS der Strafrecht-lehrertagung (2013). – *Alwart H.*, „Irrtumslehre“ und deutsches Strafgesetz – ein Gedankenexperiment, კრებულში: „სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში“, 2013.
- Amelung*, JuS (1993). – *Amelung K.*, Strafbarkeit von „Mauerschütze“, ჟურნალში: JuS, 1993.
- Arzt*, ZStW 91 (1979). – *Arzt G.*, Zum Verbotsirrtum beim Fahrlässigkeitsdelikt, ჟურნალში: ZStW 91, 1979.
- Bloy*, JuS (1989). – *Bloy R.*, Funktion und Elemente des subjektiven Tatbestands im Deliktsaufbau, ჟურნალში: JuS, 1989.
- Börger*, NSTZ (2000). – *Börger H.*, Strafvereitelung durch Ausländer – Fall Schneider, ჟურნალში: NSTZ, 2000.
- Dreher*, Heinitz FS (1972). – *Dreher E.*, Irrtum über Rechtfertigungsgründe, კრებულში: Festschrift für Ernst Heinitz zum 70. Geburtstag, 1972.
- Darnstädt*, JuS (1978). – *Darnstädt T.*, Der Irrtum über normative Tatbestandsmerkmale im Strafrecht, ჟურნალში: JuS, 1978.
- Dieckmann*, Jura (1994). – *Dieckmann A.*, Plädoyer für die eingeschränkte Schuldtheorie beim Irrtum über Rechtfertigungsgründe, ჟურნალში: Jura, 1994.
- Dreier*, JZ (1997). – *Dreier H.*, Gustav Radbruch und die Mauerschützen, ჟურნალში: JZ, 1997.

- Dopslaff**, GA (1987). – **Dopslaff U.**, Plädoyer für einen Verzicht auf die Unterscheidung in deskriptive und normative Tatbestandsmerkmale, *ჟურნალში*: GA, 1987.
- Engisch**, Mezger FS (1954). – **Engisch K.**, Die normativen Tatbestandselemente im Strafrecht, *კრებულში*: Festschrift für Edmund Mezger, 1954.
- Frank**, ZStW 10 (1890). – **Frank R.**, Vorstellung und Wille in der modernen Doluslehre, *ჟურნალში*: ZStW 10, 1890.
- Frank**, FS (1907). – **Frank R.**, Über den Aufbau des Schuldbegriffs, *კრებულში*: Festschrift für die juristische Fakultät der Universität Gießen, 1907.
- Frisch**, Kaufmann GS (1989). – **Frisch W.**, Vorsatz und Mitbewußtsein-Strukturen des Vorsatzes, Zur normativen Relevanz psychologischer Befunde im Strafrecht, *კრებულში*: Gedächtnisschrift für Armin Kaufmann, 1989.
- Gallas**, ZStW (1955). – **Gallas W.**, Zum gegenwärtigen Stand der Lehre vom Verbrechen, *ჟურნალში*: ZStW, 1955.
- Gallas**, Bockelmann FS (1979). – **Gallas W.**, Zur Struktur des strafrechtlichen Unrechtsbegriffs, *კრებულში*: Festschrift für Paul Bockelmann, 1979.
- Gropp**, Triffterer FS (1996). – **Gropp W.**, Naturrecht oder Rückwirkungsverbot? – Zur Strafbarkeit der Berliner „Mauerschützen“, *კრებულში*: Festschrift für Otto Triffterer zum 65. Geburtstag, 1996.
- Goldschmidt**, Frank FS I (1930). – **Goldschmidt J.**, Normativer Schuld begriff, *კრებულში*: Festschrift für Reinhard von Frank, ტომი I, 1930.

- Goldschmidt*, ÖstZStr (1913). – *Goldschmidt J.*, Der Notstand, ein Schuldproblem, ჟურნალში: ÖstZStr, 1913.
- Haft*, JuS (1980). – *Haft F.*, Der doppelte Irrtum im Strafrecht, ჟურნალში: JuS, 1980.
- Haft*, JA (1981). – *Haft F.*, Grenzfälle des Irrtums über normative Tatbestandsmerkmale im Strafrecht, ჟურნალში: JA, 1981.
- Hassemer*, GS (1989). – *Hassemer W.*, Kennzeichen des Vorsatzes, კრებულში: Gedächtnisschrift für Armin Kaufmann, 1989.
- Hirsch*, ZStW 93 (1982). – *Hirsch H. J.*, Der Streit um Handlings - und Unrechtslehre, ჟურნალში: ZStW (93), 1982.
- Hruschka*, Roxin FS (2001). – *Hruschka J.*, Wieso ist eigentlich die „eingeschränkte Schuldtheorie“ eingeschränkt? კრებულში: Festschrift für Claus Roxin, 2001.
- Herzberg*, Jura (1984). – *Herzberg R. D.*, Die Schuld beim Fahrlässigkeitsdelikt, ჟურნალში: Jura, 1984.
- Herzberg*, JuS (1986). – *Herzberg R. D.*, Die Abgrenzung von Vorsatz und bewusster Fahrlässigkeit – ein Problem des objektiven Tatbestandes, ჟურნალში: JuS, 1986.
- Herzberg*, JZ (1988). – *Herzberg R. D.*, Das Wollen beim Vorsatzdelikt und dessen Unterscheidung vom bewußt fahrlässigen Verhalten, ჟურნალში: JZ, 1988.
- Herzberg, Hardtung*, JuS (1999). – *Herzberg R. D., Hardtung B.*, Grundfälle zur Abgrenzung von Tatumstandsirrturn und Verbotssirrturn, ჟურნალში: JuS, 1999.

- Herzberg**, FS (2000). – **Herzberg R. D.**, Der Vorsatz als „Schuldform“, als „aliud“ zur Fahrlässigkeit und als „Wissen und Wollen, კრებულში: 50 Jahre Bundesgerichtshof, Festgabe aus der Wissenschaft, 2000.
- Herzberg**, JuS (2008). – **Herzberg R. D.**, Vorsatzausschließende Rechtsirrtümer, *ჟურნალში*: JuS, 2008.
- Heinrich**, Roxin FS (2011). – **Heinrich B.**, Der Irrtum über Normative Tatbestandsmerkmale, კრებულში: FS für Claus Roxin zu 80. Geburtstag, 2011.
- Hürenfeld**, ZStW 93 (1982). – **Hürenfeld P.**, Zum Stand der deutschen Verbrechenlehre aus der Sicht einer gemeinrechtlichen Tradition in Europa *ჟურნალში*: ZStW (93), 1982.
- Jakobs**, ZStW (1989). – **Jakobs G.**, Über die Behandlung von Wollensfehlen und von Wissensfehlen, *ჟურნალში*: ZStW, 1989.
- Jakobs**, ZStW (2002). – **Jakobs G.**, Gleichgültigkeit als dolus indirectus, *ჟურნალში*: ZStW, 2002.
- Jakobs**, Rudolphi FS (2004). – **Jakobs G.**, Dolus malus, კრებულში: Festschrift für Hans-Joachim Rudolphi, 2004.
- Jescheck**, ZStW 73 (1961). – **Jescheck H. H.**, Die Entwicklung des Verbrechenbegriffs in Deutschland seit Beling im Vergleich mit der österreichischen Lehre, *ჟურნალში*: ZStW 73, 1961.
- Jescheck**, ZStW (1981). – **Jescheck H. H.**, Grundfragen der Dogmatik und Kriminalpolitik, *ჟურნალში*: ZStW, 1981.

- Kaufmann*, JZ (1955). – *Kaufmann Arm.*, Tatbestandseinschränkung und Rechtfertigung, *ჟურნალში*: JZ, 1955.
- Kaufmann*, ZfRV (1964). – *Kaufmann Arm.*, Das fahrlässige Delikt, *ჟურნალში*: ZfRV, 1964.
- Kaufmann*, JZ (1954). – *Kaufmann Arth.*, Zur Lehre von den negativen Tatbestandsmerkmalen, *ჟურნალში*: JZ, 1954.
- Kaufmann*, Lackner FS (1987). – *Kaufmann Arth.*, Eine Anmerkungen zu den Irrtümern über den Irrtum, *კრებულში*: Festschrift für Karl Lackner, 1987.
- Kelker*, Jura (2006). – *Kelker B.*, Erlaubnistatumstands - und Erlaubnisirrtum - eine systematische Erörterung, *ჟურნალში*: Jura, 2006.
- Küpper*, ZStW 100 (1988). – *Küpper G.*, Zum Verhältnis von dolus eventualis, Gefährdungsvorsatz und bewusster Fahrlässigkeit, *ჟურნალში*: ZStW 100, 1988.
- Küper*, JZ (1989). – *Küper W.*, Die dämonische Macht des „Katzenkönigs“ oder: Probleme des Verbotsirrtums und Putativsnotstandes an den Grenzen strafrechtlicher Begriff, *ჟურნალში*: JZ, 1989.
- Krüger, Helmke*, JA (1989). – *Krüger R., Helmke R.*, „Nötlüge“, *ჟურნალში*: JA, 1989.
- Kindhäuser*, ZStW 96 (1984). – *Kindhäuser U.*, Der Vorsatz als Zurechnungskriterium, *ჟურნალში*: ZStW 96, 1984.
- Langer*, GA (1976). – *Langer W.*, Vorsatztheorie und strafgesetzzliche Irrtumsregelung, - Zur Kompetenzabgrenzung von Strafgesetzgebung, Verfassungsgerichtsbarkeit und Strafrechtswissenschaft, *ჟურნალში*: GA, 1976.

- Lesch*, JA (1996). – *Lesch H. H.*, Dogmatische Grundlagen zur Behandlung des Verbotsirrtums, *ჟურნალში*: JA, 1996.
- Lesch*, JA (1997). – *Lesch H. H.*, Dolus directus, indirectus und eventualis, *ჟურნალში*: JA, 1997.
- Makaschwili* (1984). – *Makaschwili W. G.*, Schuldprinzip in der sowjetischen Strafgesetzgebung, *კრებულში*: Zweites deutsch-sowjetisches Kolloquium über Strafrecht und Kriminologie, 1984.
- Mayer*, ZStW 26 (1911). – *Mayer M. E.*, Glossen zur Schuldlehre, *ჟურნალში*: ZStW 26, 1911.
- Merkel*, ZStW 43 (1922). – *Merkel P.*, Die Bestimmungen des Strafgesetzentwurfes von 1919 über die Straftat, *ჟურნალში*: ZStW (43), 1922.
- Mezger*, Kohlrausch FS (1944). – *Mezger E.*, Rechtsirrtum und Rechtsblindheit, *კრებულში*: Festschrift für Eduard Kohlrausch, 1944.
- Müller*, NJW (1980). – *Müller I.*, Der Vorsatz der Rechtsbeugung, *ჟურნალში*: NJW, 1980.
- Moos*, ZStW 93 (1982). – *Moos R.*, Zum Stand der österreichischen Verbrechenlehre, *ჟურნალში*: ZStW (93), 1982.
- Morkel*, NStZ (1981). – *Morkel D. W.*, Abgrenzung zwischen vorsätzlicher und fahrlässiger Straftat, *ჟურნალში*: NStZ, 1981.
- Nagler*, Binding FS (1911). – *Nagler J.*, Der heutige Stand der Lehre von der Rechtswidrigkeit, *კრებულში*: Festschrift für Karl Binding, 1911.

- Nagler*, Frank FG (1930). – *Nagler J.*, Der Begriff der Rechtswidrigkeit, კრებულში: Festgabe für Reinhard von Frank, 1930.
- Naucke*, Roxin FS (2001). – *Naucke W.*, Staatstheorie und Verbotsirrtum, კრებულში: Festschrift für Claus Roxin, 2001.
- Neumann*, JuS (1993). – *Neumann U.*, Der Verbotsirrtum (§17 StGB), ჟურნალში: JuS, 1993.
- Otto*, ZStW 87 (1975). – *Otto H.*, Personales Unrecht, Schuld und Strafe, ჟურნალში: ZStW 87, 1975.
- Otto*, Jura (1990). – *Otto H.*, Verbotsirrtum, ჟურნალში: Jura, 1990.
- Otto*, Jura (1996). – *Otto H.*, Der Vorsatz, ჟურნალში: Jura, 1996.
- Paeffgen*, Arm. Kaufmann FS (1989). – *Paeffgen H. U.*, Anmerkungen zum Erlaubnistatbestandsirrtum, კრებულში: Gedächtnisschrift für Armin Kaufmann, 1989.
- Puppe*, GA (1990). – *Puppe I.*, Tatirrtum, Rechtsirrtum, Subsumtionsirrtum, ჟურნალში: GA, 1990.
- Puppe*, ZStW 103 (1991). – *Puppe I.*, Der Vorstellungsinhalt des dolus eventualis, ჟურნალში: ZStW 103, 1991.
- Radbruch*, ZStW (1904). – *Radbruch G.*, Über den Schuldbegriff, ჟურნალში: ZStW, 1904.
- Radbruch*, SJZ (1946). – *Radbruch G.*, Gesetzliches Unrecht und übergesetzliches Recht, ჟურნალში: SJZ, 1946.
- Radbruch*, Frank FG I (1969). – *Radbruch G.*, Zur Systematik der Verbrechenlehre, კრებულში: Festgabe für Reinhard von Frank, ტომი I, 1969.

- Rosenfeld*, ZStW 32 (1911). – *Rosenfeld E. H.*, Schuld und Vorsatz im v. Litztschen Lehrbuch, ჟურნალში: ZStW (32), 1911.
- Roxin*, ZStW 74 (1962). – *Roxin C.*, Zur Kritik der finale Handlungslehre, ჟურნალში: ZStW 74, 1962.
- Roxin*, JuS (1964). – *Roxin C.*, Zur Abgrenzung von bedingtem Vorsatz und bewußter Fahrlässigkeit-BGHSt 7, 363, ჟურნალში: JuS, 1964.
- Roxin*, ZStW 78 (1966). – *Roxin C.*, Literaturbericht, ჟურნალში: ZStW 78, 1966.
- Roxin*, Radbruch FS (1968). – *Roxin C.*, Einige Bemerkungen zum Verhältnis von Rechtsidee und Rechtsstoff in der Systematik unseres Strafrechts, კრებულში: Gedächtnisschrift für Gustav Radbruch, 1968.
- Roxin*, Jus (1973). – *Roxin C.*, Unterlassung, Vorsatz und Fahrlässigkeit, Versuch und Teilnahme im neuen Strafgesetzbuch, ჟურნალში: JuS, 1973.
- Roxin*, Rudolphi FS (2004). – *Roxin C.*, Zur Normativierung des dolus eventualis und zur Lehre von der Vorsatzgefahr, კრებულში: Festschrift für Hans-Joachim Rudolphi, 2004.
- Satzger*, Jura (2008). – *Satzger H.*, Der Vorsatz - einmal näher betrachtet, ჟურნალში: Jura, 2008.
- Spendel*, Lackner FS (1987). – *Spendel G.*, Zum Begriff des Vorsatzes, კრებულში: Festschrift für Karl Lackner, 1987.
- Spendel*, Tröndle FS (1989). – *Spendel G.*, Das Unrechtsbewußtsein in der Verbrechenssystematik, კრებულში: Festschrift für Hebert Tröndle, 1989.

- Scheffler*, Jura (1993). – *Scheffler U.*, Der Erlaubnistatbestandsirrtum und seine Umkehrung, das Fehlen subjektiver Rechtfertigungselemente, *ჟურნალში*: Jura, 1993.
- Scheffler*, Jura (1995). – *Scheffler U.*, J. S. F. von Böhrer (1704-1772) und der dolus eventualis, *ჟურნალში*: Jura, 1995.
- Schmidhäuser*, Mayer FS (1966). – *Schmidhäuser E.*, Über Aktualität und Potentialität des Unrechtsbewußtseins, *კრებულში*: Festschrift Hellmuth Mayer, 1966.
- Schmidhäuser*, JZ (1979). – *Schmidhäuser E.*, Der Verbotsirrtum und das Strafgesetz (§16 I Satz 1 und §17), *ჟურნალში*: JZ, 1979.
- Schmidhäuser*, JuS (1980). – *Schmidhäuser E.*, Die Grenze zwischen vorsätzlicher und fahrlässiger Straftat („dolus eventualis“ und „bewußte Fahrlässigkeit“), *ჟურნალში*: JuS, 1980.
- Schünemann*, NJW (1980). – *Schünemann H. W.*, Verbotsirrtum und faktische Verbotskenntnis, *ჟურნალში*: NJW, 1980.
- Schünemann, Greco*, GA (2006). – *Schünemann B., Greco L.*, Der Erlaubnistatbestandsirrtum und das Strafrechtssystem, oder: Das Peter-Prinzip in der Strafrechtsdogmatik? *ჟურნალში*: GA, 2006.
- Struensee*, JZ (1987). – *Struensee E.*, Der Subjektive Tatbestand des Fahrlässigen Delikts, *ჟურნალში*: JZ, 1987.
- Struensee*, JZ (1987). – *Struensee E.*, „Objektives“ Risiko und subjektiver Tatbestand, *ჟურნალში*: JZ, 1987.

- Schlehofer*, NJW (1989). – *Schlehofer H.*, Risikovorsatz und zeitliche Reichweite der Zurechnung beim ungeschützten Geschlechtsverkehr des HIV-Infizierten, *ჟურნალში*: NJW, 1989.
- Stratenwerth*, Welzel FS (1974). – *Stratenwerth G.*, Unbewußte Finalität? *კრებულში*: Festschrift für Hans Welzel, 1974.
- Ulrich*, Emge FS (1960). – *Ulrich K.*, Der Hadlungsbegriff des Finalismus als methodisches Problem, *კრებულში*: Festschrift Carl August Emge, 1960.
- Warda*, Jura (1979). – *Warda G.*, Grundzüge der strafrechtlichen Irrtumslehre, *ჟურნალში*: Jura, 1979.
- Welzel*, JZ (1953). – *Welzel H.*, Arten des Verbotsirrtums, *ჟურნალში*: JZ, 1953.
- Welzel*, JZ (1954). – *Welzel H.*, Der Parteiverrat und die Irrtumslehre (Tatabestands-, Verbots- und Subsumtionsirrtum), *ჟურნალში*: JZ, 1954.
- Welzel*, JuS (1966). – *Welzel H.*, Die deutsche strafrechtliche Dogmatik der letzten 100 Jahre und die finale Handlungslehre, *ჟურნალში*: JuS, 1966.
- Wolff*, Gallas FS (1973). – *Wolff E. A.*, Die Grenzen des dolus eventualis und der willentlichen Verletzung, *კრებულში*: Festschrift für Wilhelm Gallas, 1973.
- Wentzell*, Jura (2001). – *Wentzell T.*, Grenzen der Rechtfertigung und Erlaubnistatbestandsirrtum, *ჟურნალში*: Jura, 2001.
- Zaczyk*, NJW (1989). – *Zaczyk R.*, Der verschuldete Verbotsirrtum-BayObLG, *ჟურნალში*: NJW, 1989.

რუსულენოვანი ლიტერატურა:

- Дурманов* (1948). – *Дурманов Н. Д.*, Понятие преступления, Москва, 1948.
- Герцензон* (1948). – *Герцензон А. А.*, Уголовное право, часть общая, Москва, 1948.
- Курс I (1968). – Курс советского уголовного права, часть общая, Издательство Ленинградского Университета, ტომი I, Ленинград, 1968.
- Курс II (1970). – Курс советского уголовного права, часть общая, редактор: Пионтковский А. А., ტომი II, Москва, 1970.
- Кириченко* (1952). – *Кириченко В. Ф.*, Значение ошибки по советскому уголовному праву, Москва, 1952.
- Макашвили* (1957). – *Макашвили В. Г.*, Уголовная Ответственность за неосторожность, Москва, 1957.
- Трайнин* (1946). – *Трайнин А. Н.*, Учение о составе преступлений, Москва, 1946.
- Трайнин* (1951). – *Трайнин А. Н.*, Состав в преступлении по советскому уголовному праву, Москва, 1951.
- Угрехелидзе* (1976). – *Угрехелидзе М. Г.*, Проблемы неосторожной вины, Тбилиси, 1976.
- Хорнабужели* (1981). – *Хорнабужели Б.*, Психологическая сторона вины, Тбилиси, 1981.

- Церетели* (1963). – *Церетели Т. В.*, Причинная связь в уголовном праве, Москва, 1963.

რუსულენოვანი ჟურნალ-კრებულები:

- Макашвили*,
ВЮЗИ (1948). – *Макашвили В. Г.*, Вина и сознание противоправности, კრებულში: Методические материалы ВЮЗИ, მე-2 გამოცემა, 1948.
- Тихонов*,
„Провождение“,
№3, 1963. – *Тихонов К. Ф.*, К вопросу о разграничении форм „Провождение“, виновности в советском уголовном праве, ჟურნალში: №3 (1963).
- Церетели*,
„მაცნე“, №1 (1960). – *Церетели Т. В.*, К вопросу о понятии вины, ჟურნალში: „მაცნე“, №1, 1960.
- Церетели, Макашвили*,
„მაცნე“ (1986). – *Церетели Т. В., Макашвили В. Г.*, Понятие вины в уголовном праве, ჟურნალში: „მაცნე“, 1986.

სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები

ქართული:

- კოდექსის
კომენტარები (1976). – საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, რედ.: წერეთელი თ., ტყეშელაძე გ., თბილისი, 1976.

მცაშვილი კოდექსის
კომენტარები (1976).

– მცაშვილი ვ., წიგნში: საქართველოს სსრ სისხ-
ლის სამართლის კოდექსის კომენტარები, რედ.:
წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ., თბილისი, 1976.

გერმანული:

MüKo I (2011).

– Strafgesetzbuch, Münchener Kommentar, Jo-
ecks W., Miebach K., (Hrsg.), ტომი I, მე-2
გამოცემა, München, 2011.

MüKo-Joecks I (2011).

– Joecks W., წიგნში: Strafgesetzbuch, Mün-
chener Kommentar, Joecks W., Miebach K.,
(Hrsg.), ტომი I, მე-2 გამოცემა, München,
2011.

Leipziger Kommentar I
(2007).

– Strafgesetzbuch, Leipziger Kommentar, Lauf-
hütte H. W., Rissing-van Saan R., Tiedemann
K., (Hrsg.), ტომი I, მე-12 გამოცემა, Berlin,
2007.

Momsen,
Strafgesetzbuch
(2009).

– Momsen C., წიგნში: Strafgesetzbuch, Kom-
mentar, Satzger H., Schmitt B., Widmaier G.,
Köln, 2009.

Puppe,
Nomos Kommentar I
(2010).

– Puppe I., წიგნში: Strafgesetzbuch, Nomos
Kommentar, Kindhäuser U., Neumann U.,
Paeffgen H. U., (Hrsg.), ტომი I, მე-3 გამოცემა,
Baden-Baden, 2010.

Sternberg-Lieben,
Schönke/Schröder (2010).

– Sternberg-Lieben D., წიგნში: Strafgesetzbuch,
Schönke A., Schröder H., (Hrsg.), Kommentar,
28-ე გამოცემა, München, 2010.

Eser, Bosch,
Schönke/Schröder (2010).

– Eser A., Bosch N., წიგნში: Strafgesetzbuch,
Schönke A., Schröder H., (Hrsg.), Kommentar,
28-ე გამოცემა, München, 2010.

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

ქართული:

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, გვ. 517-518.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, გვ. 523-525.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, გვ. 2223-2227.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2005, გვ. 29-32.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2007, გვ. 82-84.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, 2008, გვ. 129-132.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2009, გვ. 27-30.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2009, გვ. 304-311.

გერმანული:

**მიჯის უმაღლესი სასამართლოს
გადაწყვეტილებები:**

- BayObLG, NJW (1974), გვ. 1342.
OLG Frankfurt, Verkehrsrechts-Sammlung 28 (1965), გვ. 364.
OLG Hamm, ურნალში: NJW (1975), გვ. 657.

**საკონსტიტუციო სასამართლოს
გადაწყვეტილებები:**

- BVerfGE 3, გვ. 232.
BVerfGE 95, გვ. 96-114.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- BGHSt 1, გვ. 132.
BGHSt 2, გვ. 34.
BGHSt 2, გვ. 194-197.
BGHSt 3, გვ. 105-107.
BGHSt 3, გვ. 248.
BGHSt 3, გვ. 342-344.
BGHSt 3, გვ. 355-356.
BGHSt 4, გვ. 4.
BGHSt 4, გვ. 347.
BGHSt 5, გვ. 149-152.
BGHSt 6, გვ. 121.
BGHSt 6, გვ. 329-331.
BGHSt 7, გვ. 363-369.
BGHSt 8, გვ. 321.
BGHSt 9, გვ. 143.
BGHSt 9, გვ. 341-347.
BGHSt 9, გვ. 370-375.
BGHSt 10, გვ. 35.
BGHSt 11, გვ. 241.
BGHSt 11, გვ. 263-266.
BGHSt 13, გვ. 135-138.
BGHSt 13, გვ. 207-219.
BGHSt 15, გვ. 332-338.
BGHSt 15, გვ. 377, 383.
BGHSt 18, გვ. 23.
BGHSt 19, გვ. 101.
BGHSt 19, გვ. 289-298.
BGHSt 21, გვ. 14-20.
BGHSt 21, გვ. 283.
BGHSt 23, გვ. 121.
BGHSt 23, გვ. 356.
BGHSt 29, გვ. 129-133.

- BGHSt 31, გვ. 264-288.
BGHSt 36, გვ. 1-11.
BGHSt 36, გვ. 362-367.
BGHSt 39, გვ. 1-35.
BGHSt 39, გვ. 190.
BGHSt 40, გვ. 218-236.
BGHSt 41, გვ. 121-126.
BGHSt 44, გვ. 34-38.
BGHSt 45, გვ. 97.
BGHSt 45, გვ. 219-224.
BGHSt 45, გვ. 378-384.
BGHSt 48, გვ. 322-328.
BGHSt 51, გვ. 100-119.
BGHSt 94, გვ. 304.
BGHSt, უურნალში: NStZ (2000), გვ. 583.
BGHSt, უურნალში: NStZ (2001), გვ. 86.
BGHSt, უურნალში: NStZ (2001), გვ. 590.
BGHSt, უურნალში: NStZ (2004), გვ. 201.
BGHSt, უურნალში: NStZ (2006), გვ. 100.

რაციის სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- RGSt 15, გვ. 159.
RGSt 20, გვ. 393.
RGSt 26, გვ. 265.
RGSt 44, გვ. 325-327.
RGSt 50, გვ. 183.
RGSt 51, გვ. 305-311.
RGSt 57, გვ. 406.
RGSt 61, გვ. 242-255.
RGSt 70, გვ. 201.

ნორმატიული მასალა:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

გერმანიის კონსტიტუცია (2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი (2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი.

გერმანიის სამოქალაქო სამართლის კოდექსი (2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსი (2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი (2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

ჰოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსი (2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

